ზვიად კილოსანიძე

XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია

წიგნი II (1642—1689)

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1983

9(4)
63.3(4Вп)
9(42)
ж 571

1979 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა პროფესორ გ. კიღურაძის მონოგრაფია — „XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია“, წიგნი I, (1603 — 1642 წწ.).

წინამდებარე ნაშრომი მონოგრაფიის მეორე წიგნია. მასში ნაჩვენებია ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის **1642 — 1689 წლების პერიოდი.**

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბ. ანთაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. დონაძე.

К 10605—137 ბრძ. № 816
М601(16).83

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983

პირველი თავი

სამოქალაქო ომები (1642 — 1648)

I. პირველი სამოქალაქო ომი (1642 — 1646)

1. მეფე და პარლამენტი ომისათვის ემზადებიან

მეფის ჩრდილოეთში წასვლით მთავრდება რევოლუციისწმვიდობიანი განვითარების ე. წ. „კონსტიტუციური პერიოდი". იწყება შეურიგებელი სამოქალაქო ომების ეტაპი. ამიერიდან ბრძოლა პარლამენტსა და მეფეს შორის, ანუ კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასა და ფეოდალებს შორის მიმდინარეობს იარაღით, სისხლითა და ცეცხლით. სამოქალაქო ომი გააჩაღეს „ძველი რეჟიმის" დამცველმა ძალებმა, რომელთაც განახლებისათვის მებრძოლი პროგრესული ძალებისადმი სპარეზის დათმობა არ შეეძლოთ და არც სურდათ.

რევოლუციის პროცესში ადგილი ჰქონდა ორ სამოქალაქო ომს. 1642 წელს დაწყებული პირველი სამოქალაქო ომი 1646 წლამდე გაგრძელდა, როცა 1646 წლის მაისში ჩარლზმა თავი დამარცხებულად ცნო, ჩრდილოეთში გაქცა და შოტლანდიელებს დანებდა. მეორე სამოქალაქო ომი 1648 წელს მიმდინარეობდა და მეფის დატყვევებით დამთავრდა. სამოქალაქო ომების ისტორიაში გამოიყოფა თვისობრივად ორი პერიოდი. პირველი, ე. წ. პრესბიტერული, ანუ პერიოდი, როცა რევოლუციას და სამოქალაქო ომს პრესბიტერელები წარმართავდნენ და მეორე — ინდიპენდენტური, ანუ პერიოდი, როცა რევოლუციას და სამოქალაქო ომს ინდიპენდენტები ჩაუდგნენ სათავეში.

სამოქალაქო ომების პრესბიტერული პერიოდის დამთავრება და ინდიპენდენტული პერიოდის დაწყება თარიღდება 1644 წლის ოქტომბრით, ოლივერ კრომველის გამოსვლით „აღმოსაველეთ ასოციაციის" სარდლის გრაფ მანჩესტერის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა „ბილი თვითგადადგომა" (1644, 16/XII) და ბილი „ახალი მოდელის არმიის შექმნის" (1645, 11/I). ამიერიდან პრესბიტერელებმა არმიაში ხელმძღვანელი პოსტები ინდიპენდენტებს დაუთმეს. მხოლოდ 1648 წლამდე პრესბიტერელები პარლამენტში, ანუ სახელმწიფოში კვლავ ინარჩუნებდნენ უპირატესობას. მათ ხელთ იყო სახელმწიფოს მართვის ყველა სადავე საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, ფინანსური, საეკლესიო, სამხედ-

რო, სასამართლო და სხვა, რასაც ისინი საპარლამენტო კომიტეტების, პირველ ყოვლისა, „ორივე სამეფოს კომიტეტის“ საშუალებით ახორციელებდნენ.

1647 წლის 26 ივლისს პრესბიტერელებმა შეძლეს პარლამენტიდან 100 ინდეპენდენტის და მათი მომხრის — სკიპერის განდევნა. 1647 წლის 6 აგვისტოს ინდეპენდენტური არმიის ლონდონში შემოსვლის შემდეგ პარლამენტში პრესბიტერელების გავლენა საგრძნობლად შემცირდა. 1648 წლის 6-7 აგვისტოს ოლივერ კრომველის დავალებით ინდეპენდენტმა პოლკოვნიკმა პრაიდმა პარლამენტიდან განდევნა პრესბიტერელები („პრაიდის წმენდა“). ამიერიდან რევოლუციის სადავეები საბოლოოდ გადადის ინდეპენდენტების და მათი ბელადის — ოლივერ კრომველის ხელში.

პრესბიტერელებს, რომლებიც ინგლისის ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის მსხვილი, ყველაზე უფრო შეძლებული ნაწილს — (პამჭრის მსხვილი ოსტატები, მსხვილი ვაჭრები, მსხვილი მანუფაქტურისტები, ფინანსისტები, მევახშე-ბანკირები, კაპიტალთან დაკავშირებული მდიდარი, მსხვილი ახალი თავადაზნაურობა და სხვ.) „ფულის ტომრის ხალხის“ იწტერესებს გამოხატავდნენ, მუდამ ეშინოდათ სამოქალაქო ომის გაჩაღებისა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ იგი აუცილებლად გამოიწვევდა ხალხთა ფართო მასების შეიარაღებას და მათი რევოლუციური აქტიურობის ზრდას, ამდენად ისინი მუდამ, თავიანთი მოღვაწეობის მთელს ეტაპზე, მზად იყვნენ მეფესთან კომპრომისზე წასულიყვნენ, საერთო ენა გამოენახათ და შერიგებოდნენ მას. მასთან ერთად, მათ არ სურთ მონარქიის ბოლომდე დამხობა, მათ უნდათ ჰყავდეთ მონარქი არა ფეოდალურ-აბსოლუტისტური, „ნებითა ღვთისითა“, არამედ კონსტიტუციური — „ნებითა ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობისა“, მეფე, რომელიც „მეფობს და არ მართავს“. მათ სურვილი ჰქონდათ, რომ ქვეყნის ფაქტიური მბრძანებელი ყოფილიყო პარლამენტი, რაც მეფესთან კონფლიქტს გარდუვალს ხდიდა. ასეთ ვითარებაში საჭირო იყო პარლამენტის წინააღმდეგ ამხედრებული მეფის დამარცხება, მისი დამორჩილება. ეს თავისთავად არღვევდა პრესბიტერელების მიზანს შეთანხმებოდნენ მეფეს. შეიქმნა ნამდვილად პარადოქსალური სიტუაცია. პარლამენტის არმიის სათავეში მყოფ პრესბიტერელებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, არ სურდათ მეფეზე სერიოზულად გამარჯვება, მუდამ ცდილობდნენ მასთან მოლაპარაკებას არმიის ზურგს უკან. ამით აიხსნება ის, რომ სამოქალაქო ომების პრესბიტერული პერიოდისათვის დამახასიათებელია ძალზე ხშირი „საპარლამენტო წინადადებანი“ მეფისადმი, „მეფის პასუხები“ და სხვ. აი, რატომ იყო, რომ მიუხედავად მატერიალურ-მორალური უპირატესობისა, თავდაპირველად წარმატებები მეფის არმიის მხარეზე იყო. ვითარება არსებითად

შეიცვალა, როცა არმიის სათავეში მოვიდნენ ინდეპენდენტები, რომლებმაც არმიის შესაძლებლობანი სწორი გზით წარმართეს.

განახლებისათვის მებრძოლ ძალებს მოწინააღმდეგესთან შედარებით სამხედრო გამოცდილება ნაკლებად ჰქონდათ. ისინი მას ბრძოლაში იძენდნენ, ქმნიდნენ არმიას და სწავლობდნენ სამხედრო ხელოვნებას. ასეთ პირობებში რევოლუციის გამარჯვების მთავარ საწინდარს წარმოადგენდა ხალხის ფართო მასების შემოქმედებითი ძალების ზრდა. რევოლუციური არმიის ძირითად ბირთვს კი სწორედ დემოკრატიული, ხალხური ინგლისი ქმნიდა. საჭირო იყო სახალხო რევოლუციური შემართების, გაჭანების, ჰეროიზმის შემდგომი გაღრმავება, მათი გამოყენება „ძველი რეჟიმის“ წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის. ეს პრესბიტერელებს არ სურდათ, ისინი ამუხრუჭებდნენ ამ ერთადერთ შესაძლებლობას. ინდეპენდენტები კი პირიქით, არ შეუშინდნენ ამ ძალას, გამოიყენეს იგი და დაანგრიეს კიდეც ფეოდალიზმი და აბსოლუტიზმი.

პრესბიტერელები (რომლებიც ამჯერად რელიგიურ-საეკლესიოსთან ერთად პოლიტიკურ მიმდინარეობად ჩამოყალიბდნენ) და მათი ლიდერები: დენზი ჰოლისი, ფილიპ სტეპლტონი, ჯონ გლინი, ჯონ მეინარდი (თემთა პალატაში), გრაფი ესექსი, გრაფი მანჩესტერი, ლორდი ბედფორდი, ლორდი ბრუკი და სხვები (ლორდთა პალატაში) შეუთანხმდნენ მეფეს, თავიდან აიცილონ სამოქალაქო ომი.

კომპრომისულ ტენდენციებს ავლენდა ჯონ პიმიც, რომელიც, როგორც ვიცით, თავისი მოღვაწეობის მთელს მანძილზე რჩებოდა მონარქისტად (ცხადია, შეზღუდული მონარქიის მომხრედ). „მეფე (მამა) და ხალხი (შვილი) ურთიერთთან მტკიცე კავშირში იმყოფებიან“—ამბობდა იგი. რელიგიურად მრწამსით, პიმი უფრო ორთოდოქსული პროტესტანტიზმის, ანგლიკანიზმის პოზიციებზე იდგა. იგი ებრძოდა ანგლიკანიზმში შემოჭრილ პაპიზმს, არმენიანელობას, იეზუიტებს, კათოლიციზმს, ეპისკოპატს. „ის, რომ მე ვარ, ვიყავი და ვიქნები ერთგული მიმდევარი პროტესტანტული ეკლესიისა, სრულიადაც არ მაკავშირებს ისეთ მცდარ რწმენასთან, როგორიცაა ანაბაპტიზმი, ბროუნიზმი და სხვა მისთანანი“ — ამბობდა იგი, როგორც ვხედავთ, იგი მკვეთრად უპირისპირდება არა საერთოდ პურიტანიზმს, არამედ მის უფრო გაბედულ (ბროუნიზმი ანუ ინდეპენდენტები) და უკიდურეს რადიკალურ (ანაბაპტიზმი, ანუ სექტანტობა) ნაწილს. პრესბიტერელებსა და ჯონ პიმს ინტერესთა დამთხვევის მრავალი საერთო წერტილი ჰქონდათ.

რევოლუციის განვითარების აღნიშნულ ეტაპზე პრესბიტერელებთან რაიმე არსებით დაპირისპირებას ჯერჯერობით არც ინდეპენდენტები ავლენდნენ. მათი ლიდერები პარლამენტში ჯონ ჰემდენი, ჰენრი ვენი, არტურ ჰეზლრიგი და სხვები მეფესთან კომპრომისის შესაძლებლობას არ გამორიცხავდნენ. რევოლუციის განვითარების აღნიშნულ ეტაპზე,

პურიტანთა ბანაკი ერთობლივად მოქმედებს, პრესბიტერელები და ინდეპენდენტები ჯერ არ დაპირისპირებიან ერთმანეთს. ინდეპენდენტური პარტია საბრძოლოდ 1644-45 წლებში ჩამოყალიბდა და პრესბიტერელებს გაემიჯნა.

2 ივნისს პარლამენტის ორივე პალატამ ლონდონში მეფეს, მასთან კომპრომისის მიღწევისა და სამოქალაქო ომის თავიდან აცილების მიზნით, გაუგზავნა ულტიმატუმური ხასიათის დოკუმენტი ე. წ. „19 წინადადება“, ანუ სხვანაირად „2 ივნისის პროტესტაცია“.

აღნიშნულ დოკუმენტში ერთგულ ქვეშევრდომულად განწყობილი კომონერები და ლორდები მოაგონებენ მეფეს იმას, რომ მათ შორის არსებობს უთანხმოება (რომელიც, მათი თქმით, გამოიწვიეს მეფის ცუდმა, მრჩეველებმა, უეშმარიტი რელიგიის მოწინააღმდეგეებმა ანუ პაპისტებმა და ეპისკოპოსებმა) და თუ იგი არ აღმოიფხვრა, აუცილებლად გამოიწვევს დიდ „საფრთხესა და უბედურებას“. „საზოგადოებრივი სიმშვიდისათვის და მისი უდიდებულესობის ერის კეთილდღეობისათვის“ საჭიროა მეფემ მიიღოს ის სიახლე, რაც პარლამენტმა ინგლისის კონსტიტუციურ ცხოვრებაში დანერგა.

პირველ ყოვლისა, ამიერიდან სახელმწიფო მინისტრების, საიდუმლო საბჭოს წევრების და სხვა თანამდებობის პირების დანიშვნა უნდა ხდებოდეს მხოლოდ პარლამენტის ორივე პალატის თანხმობით (იგულისხმება, რომ კანდიდატებად შერჩეულ იქნენ პარლამენტის ნდობით აღჭურვილი პირები).* მეფეს სახელმწიფოსა და ერის ხაჯითხების გადაწყვეტისას არ შეუძლია ისარგებლოს კერძო, პარლამენტის სანქციის არმქონე პირების რჩევით, ასეთ პირებს ელით სასამართლო და სასჯელი პარლამენტის მხრივ, ანუ მეფის მრჩეველთა შერჩევა-დანიშვნა უნდა ხდებოდეს პარლამენტის მითითებით, მეფის მიერ დანიშნული ვერც ერთი პირი ვერ დაიკავებს ადგილს პარლამენტში პარლამენტის თანხმობის გარეშე და სხვ. საიდუმლო საბჭოში სახელმწიფო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება უნდა ხდებოდეს მხოლოდ ხმის უმრავლესობით (პარლამენტმა განსაზღვრა საბჭოს შემადგენლობა, მაქსიმუმი 25 კაცი, მინიმუმი — 15). „საიდუმლო საბჭოს“ უფლებები საგრძნობლად იკვეცებოდა. მას ენიჭებოდა სათათბიროს უფლებები და ისიც არა ყვე-

---

* დოკუმენტში ჩამოთვლილია ის უმაღლესი თანამდებობანი, რომელზეღაც დანიშვნა უნდა მოხდეს პარლამენტის ორივე პალატის თანხმობით. ესენია: ინგლისის სახელმწიფო ქონების ლორდი-მცველი, პოლიციის უფროსი, ლორდი-კანცლერი, სახელმწიფოს დიდი ბეჭდის ლორდი-მცველი, ლორდი-ხაზინადარი, საიდუმლო საბჭოს ბეჭდის ლორდი-მცველი, მეფის მარშალი, ლორდი-ადმირალი, მცველი ხუთი ნავსადგურისა, ირლანდიის მთავარი გუბერნატორი, ხაზინის კანცლერი, საგადასახადო საბჭოების უფროსი, სახელმწიფოს მდივნები, ორი მთავარი მოსამართლე და მთავარი ბარონი.

ლა სფეროში. სახელმწიფოს ყველა საჭირბოროტო საკითხი უნდა გადაეწყვიტა პარლამენტს, მეფის „დიდ და უმაღლეს საბჭოს". „19 წინადადების" თანახმად მეფის ბავშვების აღმზრდელი პირები უნდა დაინიშნოს პარლამენტის თანხმობით, მისივე ნებართვით უნდა განხორციელდეს სამეფო ოჯახის წევრთა ქორწინება ინგლისში თუ მის გარეთ. მეფისაგან კიდევ ერთხელ, მთელი სიმკაცრით მოითხოვეს პურიტანული ხასიათის საეკლესიო რეფორმების ბოლომდე მიყვანა, ანტიპაპისტური. ანტიკათოლიკური და ანტიეპისკოპალური ყველა კანონის დაცვა და განხორციელება, პაპისტ-ლორდების პარლამენტიდან დათხოვა და სხვ./მეფეს წინადადებას აძლევდნენ ეცნო პარლამენტის მიერ მიღებული კანონი მილიციის შესახებ და გაეუქმებინა მის წინააღმდეგ მიმართული ყველა სამეფო დეკლარაცია და პროკლამაცია. მეფისგან მოითხოვეს: დაეთხოვა პარლამენტის ნებართვის გარეშე შექმნილი თავისი სამსედრო ნაწილები, ყველა ფორტი და ციხე-სიმაგრე უნდა გადაეცა სამმართველოდ პარლამენტის ნდობით აღჭურვილ პირთათვის. პარლამენტი მეფისგან მოითხოვდა ეცნო საპარლამენტო პროტესტი იერისპრუდენციის სფეროში. სასამართლო მეფისგან დამოკიდებულ ორგანოდ უნდა გადაქცეულიყო, მეფეს არ უნდა ჰქონოდა პარლამენტის თანხმობით დანიშნულ მოსამართლეთა გადაყენების უფლება, ყველა მოსამართლე (მათ შორის საიდუმლო საბჭოს ყველა წევრი) ფიცს დებს პარლამენტის მიერ შემუშავებული ფორმით, პარლამენტის მიერ მიღებული კანონებისადმი ერთგულების ნიშნით. „19 წინადადება" ითვალისწინებდა პარლამენტის, როგორც უმაღლესი სასამართლო ორგანოს ფუნქციების გაზრდას. პარლამენტს ენიჭებოდა შეწყალების უმაღლესი უფლება, ნება ეძლეოდა გაესამართლებინა პარლამენტის მოწინააღმდეგეები, ასე დელინკვენტები, ფაქტიურად პარლამენტის ხელთ უნდა ყოფილიყო მართლმსაჯულების საყოველთაო უფლება, პარლამენტის იურისდიქცია უნდა გავრცელებულიყო ყველა სახის დანაშაულზე.

„19 წინადადება" საგარეო პოლიტიკას პარლამენტის კონტროლს უქვემდებარებდა, მეფეს ამ მხრივ კონკრეტული წინადადება ეძლეოდა დაახლოებოდა ჰოლანდიას და სხვა პროტესტანტ სახელმწიფოებს.

ჩარლზ I-მა, რომელსაც ომი პარლამენტთან საბოლოოდ ჰქონდა გადაწყვეტილი, მონარქისტული პრინციპის — „არ შეუძლია შეიცვალოს ინგლისის ძველი კანონები" (Nolumus Leges Angliana mutari) საფუძველზე კატეგორიულად უარყო „19 წინადადება". „შემოთავაზებულს რომ დავთანხმდე, — ამბობდა ჩარლზი, — მართალია, იქ (პარლამენტში, — გ. კ.) ქუდმოხდილი შემეგებებიან, მორიდებით მომმართავენ — „თქვენო უდიდებულესობავ", მეამბორებიან ხელზე, წინ წამიძღვარებენ კეერთხსა და მახვილს, დამატკბობენ გვირგვინისა და სკიპტრის მხოლოდ ხილვით, ოფიციალურად კვლავ განაცხადებენ „ნება მე-

ფისა, გამოხატული ორივე პალატის მიერ"... ნამდვილად კი ჩვენს ხელთ იქნება ხელისუფლების მხოლოდ აჩრდილი, მხოლოდ დეკორაცია, მხოლოდ სიმბოლო მონარქიისა...". მისთვის ნათელი იყო „19 წინადადების" არსი — ინგლისში ფაქტური უზენაესი ხელისუფალი უნდა ყოფილიყო პურიტანიზმით გაელენთილი პარლამენტი და არა მეფე. მეფეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი — უკან დაებრუნებინა პარლამენტისადმი გაცემული ყველა დათმობა. პარლამენტს კი აღარ შეეძლო მეფესთან რაიმე ქმედითი შეთანხმების მიღწევა, რადგანაც, პროფ. სემენოვის სიტყვებით რომ ვთქვათ „სულ უფრო და უფრო აღმავალი მოძრაობა ხალხთა მასებისა მისგან ითხოვდა გადამჭრელ მოქმედებას".

—ამრიგად, შეთანხმება გამოირიცხა. ორივე მხარე გამალებით იარაღდება. ორივე ბანაკი აღიარებს კონსტიტუციას და აგრეთვე არმიას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ურთიერთშეუთანხმებლად. მეფე არმიას ქმნიდა სახალხო ლაშქარში გაწვევის ძველი ბრძანებების (the commissions of array) საფუძველზე. პარლამენტი კი მობილიზაციას ახორციელებდა მეფის გვერდის ავლით მიღებულ „მილიციის შესახებ ბილის" მეშვეობით.

15 ივნისს მეფემ საზოგადოებისათვის თვალის ახვევის მიზნით სპეციალური პროკლამაციაც კი გამოსცა, სადაც იფიცებოდა, რომ სამოქალაქო ომისათვის არაუთარ მზადებას არ აქვს ადგილი. ცხადია, ეს არავინ დაიჯერა. 11 ივნისს მეფემ კიდევ ერთხელ აკრძალა „მილიციის შესახებ ბილის" საფუძველზე მილიციაში გაწვევა. 16 ივნისს კი თვითონვე გასცა საერთო ბრძანება მილიციის მოწვევის შესახებ. 17 ივნისს როიალისტებმა პერკოს ნიუკასლის დახმარებით ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი ქალაქი-ნავსადგური—ნიუკასლი. მეფე, როგორც ვიცით, უდიდეს იმედებს ამყარებდა ევროპის კონტინენტურ მონარქთა მხარდაჭერაზე, ნიუკასლი კი მათთან კონტაქტის საიმედო საშუალება იყო. ცნობილი გახდა ისიც, რომ მეფის ბანაკში დაიწყო ომისათვის საჭირო თანხების შეგროვება. პირველ ყოვლისა ფეოდალური თავადაზნაურობის მხრივ შემოწირულების სახით.

9 ივნისიდან მსგავსი ღონისძიებების განხორციელებას პარლამენტიც შეუდგა. ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა არ ზოგავდა თანხებს. დაიწყო მასობრივი შემოწირულობანი: ფულთან ერთად მოჰქონდათ ოქრო-ვერცხლის ნივთები, სერვიზები, სამკაულები, ცხენები და სხვ. შემოსავალი აურაცხელი იყო. ტოუერი და გილდ-ჰოლი ვეღარ იტევდა ყველაფერ ამას, სასწრაფოდ ეძებდნენ დამატებით შესანახ ადგილებს. აღნიშნულ დღეებში განსაკუთრებით იგრძნობოდა დემოკრატიული მასის აქტიურობა და რევოლუციური შემართება. მოჰქონდათ ყველაფერი, რაც კი შედარებით ღირებული გააჩნდათ. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ცოლ-ქმარს „თავისუფლების და სამშობლოს საკეთილდღეოდ" (ასე ეს-

მოდა ხალხს პარლამენტისადმი დახმარება) თითიდან მოუძვრიათ ერთადერთი საგანძური — ქორწინების ბეჭედი, ერთ-ერთ მეღვინეს კი ღვინის თასი შეუწირავს. მამაკაცებთან ერთად საოცარ აქტიურობას იჩენდნენ ქალები. ერთმა მკერავმა ქალმა (ნორფოკში) პარლამენტს შესწირა ვერცხლის სათითე, მზარეულმა ქალმა — ვერცხლის კოვზი, ერთმა ქვრივმა (სეფოკში) მოიტანა გარდაცვლილი ქმრის მუნდშტუკი და 20 შილინგი. მეორემ — 10 შილინგი. ქალები მასობრივად იხსნიდნენ ყელსაბამებს, საყურეებს, ბეჭდებს. ამიტომ იყო, რომ როიალისტებმა პარლამენტის ჯარს დაცინვით უწოდეს „თმის სამაგრისა და ბეჭდების არმია“.

4 ივლისს პარლამენტის ორივე პალატამ „სახელმწიფოს უშიშროებაზე თვალყურის დევნების მიზნით „აირჩია უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანო — „საზოგადოებრივი უშიშროების (თავდაცვის) კომიტეტი“—5 ლორდის და 10 კომონერის შემადგენლობით. კომიტეტის შემადგენლობაში იყვნენ: ჯონ პიმი, არტურ ჰეზლრიგი, დეწზილ ჰოლოსი, შემდეგში ცნობილი ინდეპენდენტი — რესპუბლიკელი ჰენრი მარტენი და სხვ. კომიტეტისა და საერთოდ მოვლენათა მსვლელობის სათავეში იდგა დაუღალავი და მოუსყიდველი „მეფე პიმი“. 11 ივლისს პარლამენტმა ოფიციალურად ამცნო ქვეყანას მეფის მიერ პარლამენტისათვის ომის გამოცხადების შესახებ. უკვე 6 ივლისს დადგინდა 10 000-ნი არმიის ორგანიზების შესახებ. 12 ივლისს კი არმიის შექმნა ოფიციალურად და საყოველთაოდ დაკანონდა, მთავარსარდლად დაინიშნა გრაფი ესექსი, რომელზედაც პარლამენტი და ხალხი დიდ იმედებს ამყარებდა. ესექსის არმიაში ცხენოსან შენაერთთა მეთაურობა დაეკისრა გრაფ ბედფორდს.

ცნობილი ინდეპენდენტი ბალსტროდ უაიტლოკი თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ ესექსის არმიაში სექტემბრის დამლევს იყო 24 000 ჯარისკაცი (20 000 ფეხოსანი, 4 000 ცხენოსანი). პარლამენტის განკარგულებით სასწრაფოდ გამოიწვიეს ნიდერლანდების სამსახურში მყოფი ინგლისელი და შოტლანდიელი ოფიცრები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ლონდონის მილიციას. საყოველთაო რევოლუციური აღტკინების პირობებში მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში მილიციაში 5 ათასამდე მოხალისე შევიდა. ლონდონის სიტმა 6 პოლკი შექმნა, რამდენიმე ათასი მებრძოლი გამოყო ლონდონის გარეუბნებმა. საერთო მეთაურობა დაეკისრა გენერალ-მაიორს სკიპონს. პოლკების მეთაურთა შორის იყო ბევრი ოლდერმენი. განსაკუთრებით აქტიურობდა ლონდონის ახალი ლორდი-მერი პურიტანი ისააკ ბენინგტონი. ჯარისკაცის ფარაჯა გადაიცვა ბევრმა პურიტანმა სასულიერო პირმა, რომლებიც არმიის მღვდლების მოვალეობას ასრულებდნენ და ჯარისკაცებში რევოლუციურ-პურიტანულ სულისკვეთებას

ნერგავდნენ. პარლამენტის არმიის ოფიცერთა შემადგენლობა ძირითადად კეთილშობილურ-თავადაზნაურული იყო. რიგითი შემადგენლობა დაკომპლექტდა მილიციელებითა და დაქირავებული ჯარისკაცებით. სამხედრო სამსახურში პარლამენტის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე ჩადგა. ოფიცერთა შორის იყვნენ ჯონ პიმის ვაჟიშვილი, არტურ ჰეზლრიგი და ოლივერ კრომველი, რომლებიც ცხენოსან შენაერთებს მეთაურობდნენ. ფეხოსანი პოლკების მეთაურთა შორის იყვნენ ჯონ ჰემპდენი, დენზილ ჰოლისი, ლორდი რობერტ ბრუკი, ლორდი კიმბოლტონი (გრაფი მანჩესტერი) და სხვები.

ლორდმა ბრუკმა პოლკი თავის საგვარეულო უორვიკის ციხე-დარბაზთან შეკრიბა და მიმართა პატრიოტული სიტყვით. ლონდონელი მოსალიხეები არბევდნენ როიალისტთა სახლებს, აპატიმრებდნენ აშკარა თუ ფარულ კათოლიკეებს.

— დიდ ბრიტანეთს იჩენდა ოლივერ კრომველი. იელისში მან კემბრიჯის პატრიოტებს იარაღის შესაძენად ფული გაუგზავნა და სთხოვა თემთა პალატას ქალაქისთვის მოხალისეთა ორი რაზმის ორგანიზების უფლება მიეცა. აგვისტოში იგი თვით ესტუმრა კემბრიჯს, ჩაშალა იქაური უნივერსიტეტის განზრახვა, მეფისთვის გაეგზავნათ ვერცხლის ჯამჭურჭელი. ეს 20 000 გირვანქა სტერლინგად ღირებული განძი, თვითონ იგდო ხელთ და პარლამენტს გადმოუგზავნა. კრომველმა ქალაქი მონარქისტებისაგან გაწმინდა, რამდენიმე კონტრრევოლუციონერი სასულიერო პირი დააპატიმრა.

სექტემბერში კრომველი კაპიტნის ჩინით სათავეში ჩაუდგა მოხალისეთა 60-კაციან შენაერთს, რომელიც კემბრიჯელ და ჰელტინგდონელ პურიტანებით იყო წარმოდგენილი. ეს იყო ბირთვი კრომველისეული „რკინისგვერდიანთა“ სახელგანთქმული რაზმისა.

პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება დელინქვენტების მიწების კონფისკაციის შესახებ. მიღებული თანხები გამიზნული იყო არმიის შესანახად და სხვა ხასიათის სამხედრო ხარჯებისათვის. დელინქვენტების მიწების კონფისკაციით ჩაეყარა საფუძველი ხანგრძლივი პარლამენტის აგრარულ კანონმდებლობას, საკუთრების ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის სასარგებლოდ (დელიქვენტების მიწებს, ანუ ფეოდალურ საკუთრებას, როგორც წესი, იძენდა მდიდარი ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა. ეს იყო პროცესი ფეოდალური საკუთრების ბურჟუაზიულად გადაქცევისა).

„საზოგადოებრივი უშიშროების (თავდაცვის) კომიტეტმა“ ფართო საქმიანობა გააჩაღა. არმიის დასაკომპლექტებელი თანხები საკმარისად იყო, სუფევდა საყოველთაო რევოლუციური ენთუზიაზმი. იწყება ახლად ჩამოყალიბებული სამხედრო შენაერთების დათვალიერება. ლონდონსა და პარლამენტის ერთგულ საგრაფოებში მიმდინარეობს მილიცი-

ელთა ინტენსიური სწავლება. იქმნება იარაღის, ტყვია-წამლის და ამუნიციის ახალი საწყობები. ჰულის არსენალიდან საომარი მასალა სასწრაფოდ ლონდონში გადმოზიდეს. პარლამენტი ყოველნაირად ცდილობდა აღეკვეცა იორკში ტყვია-წამლისა და იარაღის შეტანა. ლონდონში იმართება მასობრივი პურიტანული წირვა-ლოცვანი და ქადაგებანი, შეწყდა ყოველგვარი საზოგადოებრივი გართობა, თეატრალური სანახაობა.

მეფის მდგომარეობა უფრო რთული იყო. პირველ ყოვლისა, იგი განიცდიდა ეკონომიურ სიძნელეებს, არ ჰქონდა საჭირო ფული. მნიშვნელოვანი არსენალები და ციხეები პარლამენტის ხელთ იყო. მეფის მატერიალურ ფონდს ძირითადად ქმნიდა ის შემოწირულებანი, რომელსაც ფეოდალური ინგლისი იღებდა. თავადაზნაურობას მოჰქონდა იარაღი, ფული, სხვადასხვა სამხედრო მასალა, საგვარეულო განძეული, სამკაულები. ოქსფორდიდან ვერცხლის ჯამ-ჭურჭელიც კი გამოაგზავნეს.

მეფის მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ მისი კონტროლის ქვეშ მყოფი საგრაფოების მოსახლეობა სამხედრო ღონისძიებებს წინააღმდეგობას უწევდა. მაგალითად, იორკშირის, ბერკშირის და იორკის მოსახლეობა, პირველ ყოვლისა გლეხობა, ყოველნაირად გაურბოდა ჯარში გაწვევას. ადგილობრივი ჯენტრი, ფრიჰოლდერები, მოიჯარე გლეხები ჰაიეორტ-მურში ცისქვეშ მოწვეულ მიტინგზე, მეფისგან სპეციალური პეტიციით პარლამენტთან შერიგებას ითხოვენ. მეფემ უარყო პეტიცია, მაშინ ჯერ კიდევ უცნობმა სერ ტომას ფერფაქსმა (გენერალ ფერდინანდ ფერფაქსის შვილი, პარლამენტის არმიის მომავალი მთავარსარდალი) პეტიციის ტექსტი მეფის ცხენის უნაგირზე დაამაგრა. მეფესთან შეთანხმება პარლამენტმაც სცადა. მეფესთან მოსალაპარაკებლად გააგზავნა სასახლესთან დაახლოებული პირი გრაფი ჰენრი რიჩ ჰოლანდი, რომელიც ბურჟუაზიის ნდობითაც სარგებლობდა (იყო კოლონიური პოლიტიკის აქტიური მონაწილე). მეფემ პარლამენტს წარუდგინა მკაცრი მოთხოვნები: ჯარის დათხოვნა, ციხესიმაგრეებისა და არსენალების დაბრუნება, კანონების გამოცემა მხოლოდ მეფის თანხმობით, პარლამენტის გადაყვანა ლონდონიდან და სხვა. მოლაპარაკება ჩაიშალა. 9 აგვისტოს მეფემ გრაფი ესექსი და პარლამენტის არმიაში მომსახურე ყველა ოფიცერი სახელმწიფოს მოღალატედ გამოაცხადა. თავის მხრივ პარლამენტმა პოლიტიკურ დამნაშავედ ცნო ყველა, ვინც მეფეს დაუჭერდა მხარს.

მეფეს, მიუხედავად სიძნელეებისა, სექტემბრის დამლევს თოფქვეშ ჰყავდა 6 000 ქვეითი და 2 000 ცხენოსანისაგან შემდგარი საკმაოდ ბრძოლისუნარიანი არმია, რომლის ბირთვს ქმნიდა მეფის ერთგული თავადაზნაურობა. მათთვის სამხედრო საქმე პრესტიჟის წარმოადგენდა. მეფის არმიაში აღმოჩნდა ირლანდიისა და შოტლანდიის წინააღმდეგ მებრძოლი დაშლილი არმიების ოფიცერთა შემადგენლობა და პროფესიონალ

ჯარისკაცთა დიდი ნაწილი. აომიის კონტინგენტის დაკომპლექტებისას მეფემ განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ნოტინჰემის საგრაფოში. მეფეს დიდ დახმარებას უწევდა ინგლისის უმსხვილესი და უმდიდრესი ფეოდალური მაგნატი ჰერცოგი უილიამ ნიუკასლი. ჰერცოგის მეუღლე ირწმუნებოდა, რომ მის ქმარს ჩარლზისადმი მხარდაჭერა 900 000 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. ეს თანხა უდრიდა მთელი სამეფოს წლიურ შემოსავალს. როიალისტთა შორის გამოირჩეოდნენ ლორდი ჰერბერტ რეგლანი, მდიდარი კათოლიკე გრაფი უსტერი, გრაფი დერბი და სხვ.

ორივე მხარე ოფიციალურად აცხადებდა, რომ იბრძვის კანონიერებისა და თავისუფლების დასაცავად. პარლამენტი გრაფ ესექსს ოფიციალურად ავალებს „ბრძოლით ან სხვა რაიმე გზით გაანთავისუფლოს იგი (მეფე) ბოროტ გაიძვერა მრჩეველებისაგან და დაუბრუნოს პარლამენტს". მეფე აცხადებდა, რომ „არმიას აგროვებს, რათა დაიცვას ორივე პალატა და ისინი, ვინც ემორჩილება მის ბრძანებებს, რათა შეინარჩუნოს ჰეშმარიტი რელიგია, კანონები, თავისუფლება და სახელმწიფოში მშვიდობა, რათა უზრუნველყოს მეფის პიროვნების უსაფრთხოება". ივლისში კიდევ ერთი პროვოკაციული ვერსია გაავრცელა. ჩარლზ I მოუწოდებს ყველა ქვეშევრდომს დაეხმარონ მას „კანონიერი მეფის" წინააღმდეგ ამბოხებულ, ურჩი ფეოდალის — გრაფ ესექსის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„მხარი დაუჭირეთ ჩემს მხოლოდ ისეთ წამოწყებას, რომელიც არ შორდება კანონის ფარგლებს" — ფარისევლურად აცხადებდა მეფე. ჩვენ ვიცავთ მეფის პრეროგატივას, სამეფოს კანონებს, კანონიერ ანგლიკანურ ეკლესიას, ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი უზურპაციისა, კანონის დარღვევისა (ეს იქნება პარლამენტის თუ მეფის მხრივ), ტირანიისა და დესპოტიზმისა — კვერს უკრავენ მეფეს ერთგული ფეოდალები. უფრო გულახდილი იყო ფეოდალთა ერთი ჯგუფი, რომელმაც განაცხადა: „მეფის გვირგვინი ბუჩქებზეც რომ ეკიდოს, ჩვენ მაინც მზად ვართ ვიბრძოლოთ მისთვის". ფეოდალები ხშირად ღმერთის სახელით ლაპარაკობდნენ და დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთ მისიის სიმართლეში. „თქვენს სინდისს ამშვიდებს ის, რომ შეგნებული გაქვთ თქვენი საქმის სამართლიანობა" — ეუბნებოდა სერ ედმონდ ვერნი ჰაიდს. ამ, ასე ვთქვათ, „იდეურ მებრძოლებთან" ერთად მეფის ბანაკში ბევრი იყო თავზეხელაღებული ავანტიურისტი და ბედის მაძიებელი.

მოწოდებამ — „ჩავახშოთ გრაფ ესექსის ამბოხება", ფართო გამოძახება ჰპოვა ჩრდილოეთ და დასავლეთ საგრაფოებში. ადგილობრივი ფეოდალები იარაღქვეშ უხმობენ მოიჯარეებსა და გლეხებს. ბევრ ფეოდალს მოჰყავს თავისი პირადი მსახურები, ლაქიები, ფარეშები, მცველები. სამხედრო სამსახურში იწვევენ მეტყევეებს, ეიგერებს, მეჯინიბეებს და სხვ. ფეოდალები იარაღდებიან, ამაგრებენ თავიანთ ციხე-დარბაზებს,

სამეიკტნოებსა და სხვა სახალხო თავშესაყრელ ადგილებში იმართება კამათი, რომელიც გადადის ხელჩართულ ბრძოლაში.

— არმიის უმაღლესი ხელმძღვანელობა იკისრა თვით მეფემ, თუმცა უმაღლესი მთავარსარდლის ტიტულს ატარებდა სხვა, კერძოდ გრაფი ლინდსეი (ძველი სამხედრო, რომელმაც ბეკინჰემის სიკვდილის შემდეგ ამაოდ სცადა ლა-როშელის დაბრუნება). იგი პირველსავე ბრძოლებში დაიღუპა და მისი ადგილი დაიკავა გუსტავ-ადოლფის სამხედრო სკოლის წარმომადგენელმა პატრიკ რეტვენმა (გრაფი ფორტი). სამეფო ჯარების ხელმძღვანელთა შორის იყვნენ ჰერცოგი ნიუკასლი, ენდიმიონ პორტერი, ჯონ ბელასისი, გრაფი ბრისტოლი, ლორდი დიგბი, ლორდი კეპელი, სერ ჯონ ბაირონი, სერ რალფ ჰოპტონი და სხვ.

— მეფის არმიაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა სამეფო კავალერიის სარდალს, მეფის დისწულს, ელისაბედ სტიუარტისა და პფალცის კურფურსტის ფრიდრიხ V-ის შვილს, 22 წლის პრინცს რუპერტ პფალცელს (1619—1682). ის იყო დაკარგული გვირგვინის მაძიებელი, ფათერაკების მოყვარული, ტიპური „მოხეტიალე რაინდი", რომელიც ბიძის დიდი ნდობით სარგებლობდა. რუპერტი ერთადერთი ოფიცერი იყო მეფის არმიაში, რომელიც ბრძანებებს უშუალოდ მეფისაგან ღებულობდა. რუპერტი გამოირჩეოდა პირადი სიმამაცით, თავგანწირვით, მაგრამ აკლდა სარდლისათვის საჭირო ღრმა სამხედრო აზროვნება და ფართო სტრატეგიული ხედვის უნარი. რუპერტთან ერთად მეფის არმიაში იბრძოდა მისი უმცროსი ძმა პრინცი მორისი (1620 — 1652). მეფის არმიის ქვეით შენაერთებს ომის დასაწყისში მეთაურობდა სერ ჯეკობ ასტლი.

არც მეფის და არც პარლამენტის არმიაში ჯერჯერობით ნიჭიერი სარდალი არ ჩანდა. კრომველი ჩრდილში იყო, ახალგაზრდა ფერფაქსი ახლად იწყებდა სამხედრო კარიერას. პარლამენტის არმიის კაპიტანი, შემდგომ პოლკოვნიკი და გენერალი ედმუნდ ლედლოუ ამბობდა: „ჩვენ შეუმჩნეველად აღმოვჩნდით სამოქალაქო ომის პირისპირ: დაიწყეთ „საპამფლეტო ომით" (paper combats) ანუ დეკლარაციებით, დემონსტრაციებით, პროტესტაციებით, პასუხებითა და უარის თქმებით და მიველით იქამდე, რომ ამჯერად ვადგენთ არმიას, ვნიშნავთ გენერლებსა და ოფიცრებს".

2. ორი ბანაკი — მებრძოლი კლასობრივი ძალების განლაგება

— 22 აგვისტოს ქალაქ ნოტინჰემში ჩარლზ I-მა პარლამენტისათვის ომის ოფიციალურად გამოცხადების ნიშნად აღმართა სამეფო დროშა— შტანდარტი. უზარმაზარ დროშის ოთხივე კუთხეში გამოხატული იყო მეფის ღერბები. შუაში გვირგვინი წარწერით — „მიეც კეისარს კეისრისა", რომლისკენაც ციდან მიმართული იყო თითი. მეფეს თან ახლდნენ

შვილები უელსის პრინცი ჩარლზი, იორკის პრინცი ჯეიმზი, დისწულები: პრინცები რუპერტი (მას მეფემ რამდენიმე დღით ადრე, ინგლისის უმაღლესი ჯილდო „წვივსაკრავის ორდენი“ უბოძა) და მორისი, დიდებულთა და კავალერთა დიდი ამალა. შტანდარტის აღმართვა წმინდა ფეოდალური რიტუალი იყო. ასე იქცეოდნენ მეფეები, როცა რომელიმე ურჩ ფეოდალს ომს უცხადებდნენ. ფორმალურად ასეც იყო, მეფე ომს უცხადებდა „კანონიერი მონარქის წინააღმდეგ ამხედრებულ ურჩ ფეოდალს ესექსს“, შტანდარტი გამოიტანა ოთხმა რაინდმა-ბარონეტმა, რომლებსაც თან მიჰყვებოდა კავალერისტთა სამი რაზმი (2000 კაცი) და ქვეით ჯარისკაცთა 600-კაციანი რაზმი.

ჰეროლდებმა გამოაქვეყნეს მეფის პროკლამაცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ ესექსის წინააღმდეგ ომს მეფე იწყებს „ხალხის ინტერესებისათვის, მის ქვეშევრდომთათვის ზავისა და მშვიდობისათვის, წესრიგისათვის. 25 აგვისტოს მან მიმართვა გაუგზავნა პარლამენტს. აქ ომის მიზეზად მხოლოდ ფეოდალური ფიქცია (აჯანყება ესექსის) არაა გამოცხადებული, აქ ლაპარაკია სამეფო პრეროგატივის დაცვის აუცილებლობაზე. ომის მიზეზად აღიარებულია პარლამენტის ორიენ პალატის ღალატი და დანაშაულობანი. აღსანიშნავია, რომ ომის გამოცხადების პირველსავე დღეებში მეფემ, როგორც ჩანს, საზოგადოებრივი აზრის გულის მოგების მოსაზრებით პარლამენტს მოსალაპარაკებლად გაუგზავნა ზომიერი როიალისტი ლორდი ფოკლენდი. იგი ცნობილი იყო პრინციპულობით, მოუსყიდველობით, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა კონფლიქტის ურთიერთშეშვიდობიანი შეთანხმების გზით მოგვარებას. მას არ მოსწონდა არც მეფის ტირანია და არც „პარლამენტის დესპოტიზმში გამოხატული პურიტანული ფანატიზმი“. ფოკლენდს თან ახლდა ლორდი სპენსერი. მოლაპარაკება უნაყოფო აღმოჩნდა, ორივე მხარე ძალზე დიდ პრეტენზიებს აყენებდა.

მებრძოლ ძალთა განლაგების მკვეთრად გამოყოფილი რაიონები თავდაპირველად არ ჩანდა: როგორც ყველა სახის რევოლუცია, ინგლისის რევოლუციაც დაიწყო „ქვემოდან“, მასების რევოლუციური აქტიურობის პირობებში. ინგლისის ყოველი სოფელი, დაბა, ქალაქი, საგრაფო, ხალხის თავშესაყრელი ადგილი, წარმოადგენდა ბრძოლის მიკრო თუ მაკრო უჯრედს. მთელი ინგლისის მასშტაბით ხდება შეტაკებები კავალერებსა და მილიციას შორის, ხალხსა და კავალერებს შორის, გლეხებსა და ფეოდალებს შორის, პურიტანებსა და ანგლიკანებს შორის. ბრძოლა მიმდინარეობდა იარაღისათვის, ტყვია-წამლისათვის, ფულისათვის, საყრდენი პუნქტებისათვის.*

* რევოლუციის ისტორიის ეს საინტერესო უბანი ნაკლებადაა შესწავლილი. საბჭოთა ისტორიკოსებმა ვ. მ. ლავროვსკიმ და მ. ლ. ბარგმა სცადეს ამ საკითხის წინ წამოწევა და მისი სათანადო ილუსტრირება.

პროვინციულ ქალაქ სენტ-ოლბანსში, 1642 წლის ზაფხულზე, ერთდროულად მიდის სამი ცირკულარი. პარლამენტი ბრძანებს მილიციის შეკრება განხორციელდეს მისი კომისრების მეშვეობით, მეფე უარყოფს ამას, მისი დიდი ბეჭდით გამოხატული დასტურის გარეშე, პარლამენტი კრძალავს აქ „კავალერთა“ შენაერთების დაბანაკებას. როგორც ამ ქალაქში, ისე ყველგან ხშირ მოვლენად იქცა შეტაკებები მოხალისეებსა და კავალერებს შორის. მოხალისეები არბევენ როიალისტთა ბინებს, აპატიმრებენ აშკარა თუ ფარულ კათოლიკეებს. ძაგალითად, ქ. კოლჩესტერში (განეითარებული მაუდის წარმოების) ადგილობრივმა მოსახლეობამ ვინმე სერ ჯონ ლუკასს, რომელიც შეფისათვის ძალებს აგროვებდა, დაუნგრიეს სახლი და იგი დააპატიმრეს, აქვე სახლი დაურბიეს, გაუნადგურეს და წაართვეს ქონება (40 000 გირვანქა სტერლინგად შეფასებული) კათოლიკურად განწყობილ ჭ-ნ რიცერსს. კენტში მოსახლეობამ ხელთ იგდო დუკრის ციხე-დარბაზი, მეფის მომხრეებს წაართვეს იარაღი და ფული.

— სამოქალაქო ომის პროცესში თანდათან მკაფიოდ გამოიკვეთა მებრძოლი მხარეების განლაგება გეოგრაფიულ-რეგიონალური პრინციპის მიხედვით. ეს დაყოფა აღმოცენდა კანსაღი, რეალური სელექციის საფუძველზე. პირველ ყოვლისა, იგი კლასობრივი ხასიათის იყო და მას მთავარ საფუძვლად ედო ეკონომიკური ფაქტორი. ეკონომიკურად განვითარებული რაიონები, სადაც წარმოების ახალი კაპიტალისტური წესი დომინირებდა, ბურჟუაზიულ-ახალთავადაზნაურულ კლასობრივი ბუნებით ხასიათდებოდა და ცხადია, პარლამენტის მხარეზე აღმოჩნდა. ასეთი იყო მჭიდროდ დასახლებული, მდიდარი, შრომისმოყვარე სამხრეთი და აღმოსავლეთი ინგლისი — ვაჭრობით, წარმოებით, ფინანსური საქმიანობით, კაპიტალისტურ საფუძველზე აგებული მოწინავე განვითარებული სოფლის მეურნეობით, შედარებით მაღალი კულტურითა და განათლებით. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ პარლამენტის მხარეზე იყო უდიდესი და უმცირესი ლონდონი, რომელიც რევოლუციას ამარაგებდა ფულით, ცოცხალი ძალით და წარმოადგენდა რევოლუციის პოლიტიკური, ეკონომიკური და მორალური ხელმძღვანელობის ცენტრს. ლონდონში იმჟამად 300 000 კაცი ცხოვრობდა და მომდევნო ქალაქებზე (მაგალითად, ბრისტოლი, ნორიჩი) დაახლოებით ათჯერ უფრო დიდი იყო. ლონდონთან ერთად პარლამენტის მხარეზეა ინგლისის სავაჭრო-სამრეწველო ქალაქების უმრავლესობა, მათ შორის: ბრისტოლი, ლიდსი, მანჩესტერი, პორტსმუტი, პლიმუტი, ჰული. აღსანიშნავია ისიც, რომ პარლამენტის მომხრე ქალაქთა შორის მეფის ბევრი მომხრე ჩრდილოეთ ინგლისში მდებარეობდა, მათ შორის ჰული, ლიდსი, მანჩესტერი, ჰალიფაქსი, ბრედფორდი. მეფემ ვერა და ვერ გატეხა მათი სიმტკიცე.

ცნობილია ის გმირული წინააღმდეგობა, რომელსაც ქ. გლოსტერი უწევდა მეფეს.

პარლამენტის მხარეზე აღმოჩნდა ინგლისის საზღვაო ნავსადგურები და ფლოტი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ინგლისის სამეფო ფლოტში თავიდანვე გაჩაღდა მწვავე კლასობრივი ბრძოლა ოფიცრებსი (თავადაზნაურობა) და მძიმე, არაადამიანურ პირობებში მყოფ მეზღვაურებს (საზოგადოების-დაბალი ფენები) შორის. მეზღვაურები აიძულებდნენ ოფიცრებს პარლამენტის მხარეზე გადასულიყვნენ, ხოლო იმათ, ვინც უარს ამბობდა, გემებიდან ერეკებოდნენ. პარლამენტსა და მეფეს შორის ფლოტისათვის ბრძოლა ხასიათდებოდა არანაკლები სიმწვავით, ვიდრე ბრძოლა არმიისათვის. პარლამენტმა ფლოტის სარდალი მონარქისტი გრაფი ნორტემბერლენდი თავისი კაცით, გრაფ უორვიკით შესცვალა. მეფემ არ ცნო ეს ფაქტი და თავის მხრივ ამ პოსტზე სანდო პიროვნება სერ ჯონ პენინგტონი განაწესა. მეფემ საწადელს ვერ მიაღწია. უორვიკმა ჩაიბარა ფლოტი, რომელიც ბოლომდე ერთგული დარჩა პარლამენტისა. პარლამენტი ენერგიულად იბრძოდა ფლოტისათვის და ნავსადგურებისათვის. მაგალითად, ომის გამოცხადებამდე ცოტა ადრე, როცა პორტსმუტის გარნიზონის უფროსი, პოლკოვნიკი გორინგი მეფის მხარეზე გადავიდა, პარლამენტმა მოაწყო ქალაქ-ნავსადგურის ალყა ზღვიდან და ხმელეთიდან, პორტსმუტი მეფეს გამოსტაცეს.

მეფემ დაკარგა საშუალება გარესამყაროსთან ურთიერთობისა. ეს დიდი ტრავმა იყო მისთვის. გამოირიცხა ევროპის კონტინენტურ მონარქისტებთან ურთიერთობის და მათგან დახმარების მიღების შესაძლებლობა. მაშინ, როდესაც ამ დახმარებაზე მეფე უდიდეს იმედებს ამყარებდა. მეფემ ვერა და ვერ შესძლო ევროპიდან არტილერიის შემოტანა, რაც მისთვის ესოდენ საჭირო იყო. პარლამენტი თავისუფლად სეროვდა ზღვებს, გადაჰქონდა ტვირთი, ცოცხალი ძალები. პარლამენტისეული ინგლისი კვლავ აღმოჩნდა მსოფლიო ვაჭრობის ცენტრში. ეს ვითარება პარლამენტისა და ინგლისის ბურჟუაზიის კავშირს კიდევ უფრო ამტკიცებდა თუნდაც იმიტომ, რომ ლონდონელ და პროვინციულ კაპიტალისტებს საგარეო ვაჭრობის გარეშე არსებობა არ შეეძლოთ. პარლამენტის ხელში აღმოჩნდა დიდი თანხები საზღვაო-სააბაჟო გადასახადების სახით, რომელსაც ადრე ნავსადგურებში მეფე კრეფდა (პარლამენტის დასტურით). მეფეს საკუთარი ფლოტის სარგებლობის საშუალება მიეცა 1648 წელს, პარლამენტის ფლოტში მომხდარი ამბოხების შემდეგ, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

პარლამენტის მხარეზე იყო პურიტანული ეკლესია, მისი ორიენ პრესბიტერიული და ინდეპენდენტური მიმდინარეობა. პურიტანული სამღვდელოება დიდ რევოლუციურ-მებრძოლ ძალას წარმოადგენდა. მათი წირვა-ლოცვანი და ქადაგებანი განახლებისათვის მებრძოლ ძა-

ლებს მორალურად აწრთობდნენ, მატებდნენ ბრძოლის უნარს. აღსანიშნავია, რომ პურიტანი მღვდელთმსახურნი მარტო სიტყვით როდი იბრძოდნენ, ისინი საქმითაც ადასტურებდნენ რევოლუციისადმი ერთგულებას. ხმალამოწვდილი, ცხენზე ამხედრებული პურიტანი მღვდელი პარლამენტის არმიაში ჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა.

ასეთი იყო დაახლოებით პარლამენტის მომხრეთა — „მრგვალთავიანთა“* ბანაკი, ბანაკი ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობისა. მეფის წინააღმდეგ ერთად იბრძვიან მსხვილი, საშუალო და წვრილი ბურჟუაზია — ვაჭრები, მევახშეები, ჰამქრის ოსტატები, ფინანსისტები, მანუფაქტურისტები. მსხვილი, საშუალო და წვრილი „ახალი თავადაზნაურობა“, მათ შორის კაპიტალიზმს ზიარებული მსხვილი ტიტულოსანი მემამულეები — ახალი ლენდლორდები, მსხვილი, საშუალო, წვრილი სოფლის მემამულეები — სკუაირები, კაპიტალისტურ საქმიანობაში ჩაბმული წვრილი აზნაურობა — ჯენტრი, ფეოდალიზმსა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიასთან და ახალ თავადაზნაურობასთან ერთად იბრძვის ინგლისის გლეხობის — იომენების შეძლებული და საშუალო ფენები. რევოლუციის მძლავრ მამოძრავებელ ძალას ქალაქის პლებეურ მასასთან ერთად ქმნიდა სოფლის ღარიბი და უღარიბესი მოსახლეობის მრავალრიცხოვანი ფენა.

აღსანიშნავია, რომ გლეხობის გარკვეული ნაწილი თავიდან ვერ გაერკვა რევოლუციის ამოცანებში, ვერ განსაზღვრა თავისი ადგილი მებრძოლ ძალთა განლაგებაში, ვერ შეიგნო პარლამენტის მხარეზე მეფის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის აუცილებლობა. ამიტომ იყო, რომ გლეხობის ნაწილი თავდაპირველად იბრძვის როგორც დაქირავებული ჯარისკაცი — უკეთეს შემთხვევაში პარლამენტის, უარეს შემთხვევაში მეფის არმიაში. ჩრდილოეთ და დასავლეთის ჩამორჩენილი ფეოდალებისა და ეკლესიის გავლენის ქვეშ მყოფი გლეხობა, როგორც წესი, მეფის მხარეზე იბრძოდა, უპირატესად მათ ბაზაზე ყალიბდებოდა სამეფო არმიის ქვეითი შენაერთები. ფრანგი ისტორიკოსი ოგიუსტენ ტიერრი ჯერ კიდევ 1817 წელს ადასტურებდა აღნიშნულ ვითარებას. იგი მიუთითებდა, რომ „მესამე წოდების“ (ხალხის — გ. კ.) ნაწილი მეფის, ანუ ფეოდალთა ბანაკში აღმოჩნდა, მათ შორის ფეოდალთა პირადი მსახურნი, მათი მოჯარენი, ჩამორჩენილი, არქაულ, პატრიარქალურ ტრადიციებზე აღზრდილი გლეხობა (მაგალითად, უელსში, კორნუოლში). მეფის ბანაკში ვხედავთ ზოგიერთ კათედრალურ ქალაქს, სადაც მოსახლეობა უპირატესად ცხოვრობდა ეკლესიის და მაღალი სამღვდელოების მომსახურეობის ხარჯზე.

---

* მეფის მომხრეები — „კავალერები“, როგორც წესი, ხელოვნურ პარიკებს ატარებდნენ, პარლამენტის მომხრეები — პურიტანები — თმას მოკლედ იკრეჭდნენ, აქედანაა მათი ზედმეტი სახელი — „მრგვალთავიანები“.

რევოლუციის მომზადებაში და მის მსვლელობაში გლეხობის, როგორც ერთი კლასის აქტიური როლი, უდავოა. მათმა რევოლუციურმა ანტიფეოდალურმა გამოსვლებმა, რომელსაც რევოლუციამდელ ინგლისში ესოდენ ხშირად ჰქონდა ადგილი, საგრძნობლად შეარყია აბსოლუტიზმი და ფეოდალიზმი, ხელი შეუწყო პარლამენტის გამარჯვებას.

აქტიური ბრძოლა რევოლუციის დროსაც მიმდინარეობს, პარლამენტის მომხრე რაიონებში აღინიშნა გლეხობის მასობრივი გამოსვლები (ინგრევა ღობეები, ჯებირები, არხები, არღვევენ ტყის, ნადირობის, თევზაობის ძველ ფეოდალურ უფლებებს, უარს ამბობენ რენტის გადახდაზე, ხშირად ანგრევენ ფეოდალთა ციხე-დარბაზებს, არბევენ მათ მეურნეობას და სხვ.). გლეხობა ერთიანდება დიდ რაზმებად. მავრამ, გლეხთა მოძრაობამ ვერ მიიღო ფერდალიზმის წინააღმდეგ გლეხობის საყოველთაო რევოლუციური ბრძოლის ხასიათი, როგორც ეს მოხდა საფრანგეთში — დიდი რევოლუციის დროს. ეს კი პირველ რიგში გამოწვეული იყო იმ ღრმა დიფერენციაციით, რომელიც ინგლისის გლეხობამ განიცადა უკვე რევოლუციის წინ, სოფელში კაპიტალისტურ ურთიერთობათა შეჭრის შედეგად. მდიდარი და ნაწილობრივ საშუალო გლეხობა ბურჟუაზიის ბანაკში იმყოფებოდა, მას შემოღობვის პრობლემა ესმოდა ისე, როგორც მოკავშირე კლასებს.

სამოქალაქო ომების პროცესში, გლეხობა დარწმუნდა ან დაარწმუნეს იმაში, რომ პარლამენტის გამარჯვება იხსნის მათ ლორდების ტირანიისაგან, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი გადაწყდეს მიწით მათი უზრუნველყოფის საკითხი. ამიერიდან გლეხთა მოძრაობა უფრო ორგანიზებულ და ფართო ხასიათს ღებულობს. განსაკუთრებით გააქტიურდა სამხრეთ და აღმოსავლეთ ინგლისის გლეხობა, რომელიც რევოლუციის ძირითად მამოძრავებელ ძალად მოგვევლინა. სწორედ იგი გახდა ძირითადი სოციალური საყრდენი პარლამენტის ახალი არმიისა, რომელმაც უზრუნველყო რევოლუციის გამარჯვება.

გლეხობისა და ქალაქის პლებეების ფართო ფენები, რომლებიც რევოლუციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ, თავისი ბრძოლით უზრუნველყოფდნენ ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის გამარჯვებას. რევოლუციას, როგორც ვიცით, ქალაქის პლებეური მასებისათვის და გლეხთა ფართო ფენებისათვის არსებითი წარმატება არ მოუტანია. მათ და ბევრ სხვას საბოლოოდ რევოლუციამ გაუტეხა გული, გაუცრუა იმედები, მოტყუებული დატოვა, მიუხედავად ამისა, მათი აქტიურობა ისტორიულად გამართლებული იყო. ჩარლზ I-ის დამარცხებით მათ ხელი შეუწყეს სოციალურ პროგრესს — ფეოდალიზმზე კაპიტალიზმის გამარჯვებას.

მეფის ბანაკში აღმოჩნდა ჩრდილოეთის და დასავლეთის ჩამორჩენილი, ნაკლებად დასახლებული, ღარიბი, აგრარული რაიონები (კორნუ-

ოლი, უელსი, ლანკაშირი, ვეტმარლენდი, კომბერლენდი, ნორტუმბერლენდი, დერგემი და სხვ.), სადაც დომინირებდა წარმოების ძველი, ჩამორჩენილი ფეოდალური წესი. მეფის ბანაკს უნდა მივაკუთვნოთ ცენტრალური საგრაფოები, როგორიცაა ბერკშირი, ოქსფორდი და იორკი. მაგრამ აქ პარლამენტსაც ბევრი მომხრე ჰყავდა.

როგორც აღვნიშნეთ, სამრეწველო-სავაჭრო მდიდარი ქალაქები პარლამენტს მიემხრნენ, მეფესთან უპირატესად დარჩნენ ციხე-დარბაზები და კათედრალური (საეპისკოპო) ან საუნივერსიტეტო ქალაქები, მათ შორის ოქსფორდი, სადაც მეფე იორკიდან გადმოვიდა 1642 წლის ოქტომბერში. ოქსფორდი იყო ჩარლზ I-ის რეზიდენცია 1646 წლის აპრილამდე, პირველი სამოქალაქო ომის დამთავრებამდე. აქვე მოღვაწეობდა ოქსფორდის სამეფო პარლამენტი. მეფის ძირითად სოციალურ საყრდენს წარმოადგენდა ფეოდალურ რენტაზე მცხოვრები „ძველი თავადაზნაურობა". ტიტულოსანი ფეოდალური არისტოკრატია, სოფლის მემამულეთა—სკუაირთა (სოფლის ჯენტლმენთა) და წვრილ აზნაურთა ჯენტრის ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ მისდევდნენ წარმოების ძველ ფეოდალურ წესს, ფეოდალური რენტით ცხოვრობდნენ. ისინი ამარაგებდნენ მეფეს ფულით, იარაღით, ცოცხალი ძალით, სწორედ მათ საფუძველზე შეიქმნა მაღალი ბრძოლისუნარის მქონე ცხენოსანი არმია (კავალერია). უკვე თანამედროვეები მიუთითებდნენ, რომ მეფის არმიაში უფრო მეტი ოფიცერია (აზნაური), ვიდრე ჯარისკაცი (გლეხი თუ დაბალი ფენის წარმომადგენელი). ფეოდალები ამაგრებდნენ თავიანთ ციხე-დარბაზებს, რომელთაც როიალისტები თავის საყრდენად იყენებდნენ. ფეოდალები მეფისათვის საუთარ ხარჯზე აკომპლექტებდნენ მთელ შენაერთებს. გრაფმა გლამორგენმა სტიუარტთა რესტავრაციის დროს ჩარლზ II-ს წარუდგინა ანგარიში იმ თანხისა, რომელიც მან ჩარლზ I-ს დაახარჯა. გრაფს მეფის სასარგებლოდ გაუღია 918 000 ვირვანქა სტერლინგი, იმ დროისათვის ეს კოლოსალურ თანხას წარმოადგენდა. ლორდი ჰერბერტი, შემდგომში მარკიზი უსტერი ამტკიცებდა, რომ მას და მამამისს თითქმის იმდენივე ჰქონდათ დახარჯული. სამეფოს ერთ-ერთმა უმდიდრესმა პირმა გრაფმა ვუსტერმა მეფეს გადასცა საკუთარ ხარჯზე ჩამოყალიბებული 2000-ჯარისკაციანი შენაერთი. უზარმაზარ თანხებს ხარჯავდა ჰერცოგი ნიუკასლი, მის მიერ დაკომპლექტებული „თეთრი ქურთუკოსნების" სახელით ცნობილი რაზმი გამოირჩეოდა მაღალი ბრძოლისუნარიანობით.

მეფის მომხრეთა შორის ვხედავთ მეფის, დედოფლისა და სასახლის პრინცების კარისკაცთა მრავალრიცხოვან არმიას, მეფის ბიუროკრატიულ-სამოხელეო უზარმაზარ აპარატს წარმომადგენლებს, მეფის კმაყოფაზე მყოფ მოსამართლეებს და სხვებს. ფეოდალებს მეფის სამსა-

ხურში მიჰყავდათ თავიანთი პირადი მსახურები და მათი მიწისმფლობელი ნახევრადყმა გლეხები და შინაყმანი. გლეხობის გარკვეული ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეფის არმიაში მოხვდა, როგორც დაქირავებული ჯარისკაცი (დაქირავება ხშირ შემთხვევაში ძალდატანებით ხასიათს ატარებდა).

მეფეს მხარს უჭერდა ოფიციალური ანგლიკანური ეკლესია, არა მარტო „ღვთაებრივი სიტყვის ძალით", არამედ რეალურადაც, ფულით, იარაღით, ცოცხალი ძალით. მაგალითად, პარლამენტის მომხრეებმა კენტერბერიის ტაძარში იპოვეს იარაღისა და ტყვია-წამლის დიდი საწყობი. ქ. ჩიჩესტერის სამღვდელოება ადგილობრივ მონარქისტებს არსენალის ხელში ჩაგდებაში დაეხმარა. ქალაქის ცენტრალური ტაძრის ფართო ეზო წარმოადგენდა კავალერთა სავარჯიშო-საწვრთნელ პოლიგონს. ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო ის, რომ აჯანყებული ხალხი მემამულეთა მამულებთან ერთად ხშირად არბევდა ანგლიკანურ ეკლესიებს, სდევნიდა როიალისტურად განწყობილ მღვდლებს.

მეფის მხარეზე აღმოჩნდა ფარული თუ აშკარა კათოლიკური ინგლისი, კათოლიკები საკმაოდ ბევრნი იყვნენ, მაგალითად, უელსში. მეფეს მხარს უჭერდნენ აგრეთვე ინგლისის ძველი უნივერსიტეტები, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ შუა საუკუნეობრივ სტატუტს და მონარქიისადმი ერთგულებას, იმყოფებოდნენ ეკლესიის გავლენის ქვეშ.

მონარქის ბანაკში აღმოჩნდა ბურჟუაზიის გარკვეული ნაწილი, რომელიც თავისი საქმიანობით უშუალოდ მონარქიასთან იყო დაკავშირებული. ასეთები იყვნენ მონოპოლიებისა და პატენტების მფლობელები, ფინანსისტები, რომლებიც მეფეს სესხს აძლევდნენ, საჯაჭრო კომპანიების პრივილეგირებული ზედაფენები იყვნენ მონარქიის, ასე ეთქვათ, „ძალად მოკავშირეებიც". მაგალითად, ცნობილია, რომ ინგლისის თეატრალური საზოგადოება, მსახიობები, დრამატურგები, თეატრებისა და სხვადასხვა გასართობი დაწესებულებების პატრონები ავლენდნენ როიალისტურ განწყობას, რაც წმინდა პრაგმატული ხასიათის იყო. მათ სძულდათ პურიტანები და პარლამენტი, რომელიც კრძალავდა თეატრს, გართობას, სანახაობას.

ბევრი იყო ნეიტრალურად განწყობილი ელემენტი, თავისებური ინგლისური „ჭაობი", რომელიც არც მეფისკენ იყო და არც პარლამენტისკენ. ისინი უფრთხილდებოდნენ საკუთარ ტყავს, საკუთარ ქონებას, ასრულებდნენ „მესამე მოციქარის" როლს.

როგორც პარლამენტი, ასევე მეფე დახმარებასა და მოკავშირეებს ინგლისის გარეთაც ეძებდნენ. პარლამენტს მხარს უჭერდა სამხრეთ შოტლანდიის პრესბიტერულ-პოზიციურად განწყობილი ბურჟუაზია და თავადაზნაურობა. მეფეს ჩრდილოეთ შოტლანდიის პატრიარქალური, მთიანი კლანების ბელადების იმედი ჰქონდა. მეფესა და ჩრდილოეთ

შოტლანდიას შორის კი სამხრეთ შოტლანდია იყო აღმართული, როგორც ძნელად დასაძლევი ბარიერი. მეფე დიდ იმედებს ამყარებდა კათოლიკურ ირლანდიაზე. იგი ეძებდა დახმარებას ევროპის კონტინენტურ მონარქიებთან (საფრანგეთი, ნიდერლანდი, ლოთარინგიის ჰერცოგი, დანია და თვით რომის კურია), მაგრამ ეს დახმარება, რომელზედაც მეფე დიდ იმედებს ამყარებდა, რეალური არ აღმოჩნდა. სხვა მიზეზებთან ერთად იგი გაძნელდა იმითაც, რომ ფლოტზე, ანუ საზღვაო კომუნიკაციებზე კონტროლი მთლიანად პარლამენტის ხელთ იყო. ევროპაში, ემიგრაციაში მყოფმა დედოფალმა რეალურ წარმატებას ვერ მიაღწია.

როგორც ვხედავთ, „კავალერების" და „მრგვალთავიანების" განლაგებას კლასობრივი საფუძველი ჰქონდა. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მიერ უარყოფილი ეს ჰეშმარიტება თავის დროს აღიარეს ფრანსუა გიზომ, ოგიუსტენ ტიერრიმ და სხვ. „მუქთახორები, რომელთაც მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდათ, უშრომლად დამტკბარიყვნენ ცხოვრებისეული სიკეთით, შედიოდნენ მეფის არმიის რიგებში... მათ მხოლოდ საკუთარი ინტერესები ამოძრავებდათ. მაშინ როდესაც ის გვარები... რომლებიც წარმოებამ დააინტერესა, მიემხრნენ თემების პარტიას" — წერდა ოგიუსტენ ტიერრი.

3. სამოქალაქო ომის პირველი წლები. პარლამენტის არმიის წარუმატებლობანი

ომის გამოცხადების მომენტში ჩარლზ I-ს წარმატებისათვის საჭირო არმია ფაქტიურად არ გააჩნდა. პარლამენტის მესვეურებმა იცოდნენ ამის შესახებ და ამიტომ იყო, რომ სწრაფი წარმატების იმედი ჰქონდათ. ცნობილი პურიტანი ბაქტერი უფრო გვიან ამბობდა: „ყველა დარწმუნებული ვიყავით იმაში, რომ პირველივე შეტაკება გადაწყვეტდა ყველაფერს". პარლამენტის სკიპერის, უილიამ ლენტონის აზრით „მეფე ორიოდე კვირის შემდეგ იძულებული გახდება ითხოვოს პატიება". „კავალერებიც" გრძნობდნენ ყოველივე ამას. „თქვენო უდიდებულესობავ,— მიმართავდნენ ისინი მეფეს, — მათ შეუძლიათ ერთ მშვენიერ დღეს შიშველა ხელებით ჩაგიგდონ ხელში".

ესექსი და მასთან ერთად პარლამენტის არმიის კიდევ ერთი სარდალი გრაფი მანჩესტერი (ედუარდ კომბოლტონი) ყოველნაირად აყოვნებდა გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებას. იგი ამ შემთხვევაში პრესბიტერული უმრავლესობის პრინციპით მოქმედებდა, პროფ. ნ. კარეევის თქმით „იგი ფაქტიურად იბრძოდა არა მეფის წინააღმდეგ, არამედ მეფისთვის". პრესბიტერელებს და მათთან ერთად მათ გენერლებს ვერ წარმოედგინათ ინგლისი მონარქის გარეშე. ამიტომ ისინი სრულიადაც არ ფიქრობდნენ მეფისთვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენებას, მის ბო-

ლომდე განიარაღებას, განადგურებას. თავიდან ისინი ფიქრობდნენ, რომ პარლამენტის უფრო დიდი ძალების წინაშე მეფე თავისთავად დაყრის ფარხმალს და შერიგებაზე დათანხმდება. ამიტომ სამხედრო ოპერაციების დაუყოვნებლივ დაწყებაზე არავინ ფიქრობდა და სამხედრო დემარშებით კმაყოფილდებოდნენ. შემდგომ, როცა სამხედრო შეტაკებები აუცილებელი გახდა, პარლამენტის სამხედრო მესვეურები ფიქრობდნენ მეფისთვის მიეყენებინათ პატარ-პატარა, ლოკალური ხასიათის დარტყმები. ამით იძულებული გაეხადათ იგი შეეწყვიტა ომი და პარლამენტს შერიგებოდა. ასრიგად, შერიგება მეფესთან და არა მასზე სწრაფი და გადამწყვეტი გამარჯვება—ასეთი იყო პარლამენტის სტრატეგიული გეგმა. შესანიშნავად თქვა ინგლისელმა ისტორიკოსმა ტომაზ მაკოლიმ: „მას (ესექსს — გ. კ.) დიდ დამარცხებასთან ერთად ამ ქვეყანაზე ყველაზე უფრო დიდი გამარჯვებისა ეშინოდა". თვით ესექსმა კარგად გამოხატა ასეთი პოლიტიკის კლასობრივი არსი: „ნუთუ ჩვენი საქმიანობის ჯილდოდ ჩვენ დავიმსახურებთ შთამომავლობის წყევლა-კრულვას, იმის გამო, რომ მეფის უღლისაგან მათი განთავისუფლებისათვის, ჩვენ ისინი უპარალო ხალხის ტირანიას დავუმორჩილეთ". რევოლუციურ ხალხთან თანამშრომლობისადმი და შეიარაღებული ხალხის წინაშე პირისპირ აღმოჩენის შიში — აი, რა განაპირობებდა არმიის სარდლების, „კონსტიტუციური ლორდების" შემარიგებლურ პოლიტიკას. პარლამენტის პრესბიტერული ზედაფენები და მისი გენერალიტეტი მეფის წინააღმდეგ კვლავ „კონსტიტუციურ ომს" აწარმოებდა.

შემარიგებლური იყო პარლამენტის სექტემბრის დეკლარაციაც. აქ აღნიშნული იყო, რომ პარლამენტი თავის შეიარაღებულ ძალებს დაითხოვს მხოლოდ მაშინ, როცა მეფე პარლამენტს გასასამართლებლად გადასცემს ყველა „დელიკვენტს" და ბოროტგანმზრახველს, რომელმაც მეფეს სამოქალაქო ომისკენ უბიძგა. აქ აშკარად ჩანს ის, რომ პარლამენტი ებრძვის არა მეფეს, არამედ ისევ და ისევ მის „ცუდ მრჩევლებს". სამოქალაქო ომის პირველ ეტაპზე პარლამენტის საქმიანობას ხანგრძლივი შემარიგებლური პოლიტიკა წითელი ხაზივით გასდევდა. მეფესთან შერიგების მიზნით პარლამენტს ოფიციალური დელეგაცია ჰქონდა 1643, 1644, 1645 და 1646 წლებში. ნიშანდობლივია ერთი ფაქტი: 1643 წლის აგვისტოში პრესბიტერელებმა პარლამენტიდან დაითხოვეს და ტოუერში ჩასვეს კომონერი (თემთა პალატის წევრი), ინდეპენდენტ-რესპუბლიკელთა ერთ-ერთი ცნობილი ლიდერი ჰენრი მარტენი, რომელმაც პრესბიტერული პარლამენტის აზრით, წამოაყენა დანაშაულებრივი მოთხოვნა, მეფისა და მისი ოჯახის ლიკვიდაციის შესახებ.

ესექსისა და სხვათა გაუბედაობამ და შემარიგებლობამ სულ მალე იჩინა თავი. მეფის არმია გაიზარდა, გაძლიერდა და საბრძოლველად განეწ-

ყო. პარლამენტის არმიამ, რომელიც უფრო მრავალრიცხოვანი და უკეთ შეიარაღებული იყო. მეფის არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში თავდაპირველად საეჭვნობი წარუმატებლობა განიცადა.

•

სისხლი ნოტინჰემში შტანდარტის აღმართვამდე იღვრებოდა. მეფემ რამდენიმე ცალკეული დივერსია განახორციელა. მიზანი იყო დერბისა და სტრაფორდის გაელით უელსში შეღწევა. იგი იმედოვნებდა, რომ მისდამი შეგობრულად განწყობილ საგრაფოებში მოახერხებდა ჯარის უფრო ადვილად მოგროვებას. როიალისტებმა ერთხელ კვლავ უშედეგოდ სცადეს ჰულის აღება, ასევე უშედეგოდ დამთავრდა მათი ცდა, ხელთ ეგდოთ ქალაქი კოვენტრი. ერთადერთ ხანმოკლე წარმატებას როიალისტებმა პორტსმუტში მიაღწიეს. როგორც ვიცით, კომენდანტმა გორინგმა ქალაქი მეფეს ჩააბარა, მაგრამ პარლამენტმა დაიბრუნა იგი. 28 სექტემბერს მოხდა შეტაკება პოვიკ-ბრიჯთან. კავალერებმა წარმატებას მიაღწიეს, ხელთ იგდეს პირველი ტყვეები. პრინცი რუპერტი თავისი კავალერიით დათარეშობს ქვეყანაში, ძარცვავს ქალაქებს, საშხედრო საწყობებს, ჯონ ბაირონი დროებით ახერხებს ოქსფორდის დაკავებას. აქედან იგი მალე გააძევეს.

შრუსბერგში გამაგრებული (20 სექტემბრიდან) მეფე მიზნად ისახავდა ლონდონზე შეტევას. იგი სთვლიდა, რომ მას საამისო საკმაო ძალები უკვე გააჩნდა: დარწმუნებული იყო, რომ დედაქალაქს ერთი დარტყმით აიღებდა, და ამით დაამთავრებდა ომს. ხანგრძლივი ბრძოლისათვის, რომელიც დიდ ცოცხალ და მატერიალურ რესურსებს მოითხოვდა, იგი მზად არ იყო, მეფე იმედოვნებდა, რომ შობას უაიტჰოლში შეხვდებოდა. ამ რწმენით მან ჯარები სამხრეთისაკენ დაძრა.

9 სექტემბერს ესექსმა, როგორც იქნა, დაძრა არმია ლონდონიდან. ლონდონელებმა იგი დიდი ზარ-ზეიმით გააცილეს. გენერალი თავიდანვე პესიმისტურად განწყო: აღალში თან მიჰქონდა თავისთვის წინასწარ გამზადებული დასამარხი საჭიროებანი — კუბო, სუდარა, საგვარეულო გერბები. მან ორჯერ „შეასვენა“ არმია ნორტჰემპტონსა და ვუსტერში. დრო, რომელიც მეფის სასარგებლოდ მოქმედებდა, იკარგებოდა. ჩარლზ I-მა საბოლოოდ დააკომპლექტა არმია და 12 ოქტომბერს შრუსბერგიდან ლონდონისაკენ დაიძრა. 11 დღე გაგრძელდა დედაქალაქისაკენ მისი შეუფერხებელი სელა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა ნათელი ესექსისათვის მეფის განზრახვა და თავქუდმოგლეჯილი დაედევნა მოწინააღმდეგეს. 23 ოქტომბერს, შაბათს ეჯჰილის (ეიტონთან ახლოს, უორვიკშირის საგრაფოს სამხრეთით) ბორცვზე გაიმართა სამოქალაქო ომების ისტორიაში პირველი, დიდი სისხლისმღერელი ბრძოლა, რომელიც მეფის ერთგვარი უპირატესობით დამთავრდა.

მეფის არმია იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი სქემის შესაბამისად მოქმედებდა. ქვეითი შენაერთები ცენტრში განლაგდნენ, კავალერიამ ფლანგები დაიკავა (მარჯვენა — რუპერტმა, მარცხენა — უილმოტმა). ასეთივე იყო პარლამენტის არმიის განლაგებაც. მოწინააღმდეგე არმიების რიცხობრივი შემადგენლობა დაახლოებით თანაბარი იყო (14-14 000). პარლამენტის ძალები საგრძნობლად შეასუსტა სერ ფეტფულ ფორტესკიუს მიერ თაყისი კავალერისტთა შენაერთით მეფის მხარეზე გადასვლამ. ომში მონაწილეობდა ოლივერ კრომველი — კაპიტნის ჩინით (მეთაურობდა 67-ე ესკადრონს). ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ ჰემპდენი, ჰეზლრიგი, სტეპლტონი და სხვ. ეჯჰილის ბედი გადაწყვიტა პრინც რუპერტის კავალერიამ, რომელიც პარლამენტის კავალერიაზე გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ბრძოლა დაიწყო შუადღეს და დამთავრდა გვიან ღამით. რუპერტმა სწრაფი დარტყმით პირდაპირ გადათელა პარლამენტის არმიის მარცხენა ფრთა და თითქმის პანიკურად უკან გაქცეულ პარლამენტის კავალერიას კეიტონამდე ჩაჰყვა. აქ იგი აღალის და ადგილობრივი სიმდიდრის ძარცვას შეუდგა. წარმატებას მეფის არმიის მარცხენა ფრთაზე მოქმედ სერ უილმოტის სარდლობით კავალერიამაც მიაღწია. უილმოტიც დევნით გაერთო, ისიც მოწყდა ბრძოლის ველს. პარლამენტის არმიის ცენტრი გაშიშვლდა და მისი მარცხი გარდუვალი იყო. მაგრამ ბრძოლის დასაგვირგვინებლად საჭირო კავალერია ადგილზე არ იმყოფებოდა, ამით ისარგებლა ესექსმა, ცენტრში თავი მოუყარა ყველა დაქსაქსულ ქვეით ძალას, ასევე პარლამენტის კავალერიის მეთაურმა სერ უილიამ ბალფურმაც შესძლო გაფანტულ კავალერისტთა შეკრება. მათ ცენტრში როიალისტთა წინააღმდეგ წამოიწყეს ახალი შტეევა. მეფე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მთავარსარდალი ლინდსეი დაიღუპა, იგი შეცვალა გრაფმა ფორტმა. პარლამენტის ჯარებმა ხელთ იგდეს მეფის შტანდარტი; მისი მცველი, სერ ედმუნდ ვერნი მოკლეს, დაატყვევეს ლორდი უილოგბი და მისი შვილი, საფრთხე შეექმნა თვით მეფესაც. მდგომარეობა იხსნა რუპერტმა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს მოიფიქრა უკან დაბრუნება და ბრძოლაში ჩაბმა. მან წონასწორობა კვლავ მეფის სასარგებლოდ აღადგინა. ჩამოწოლილმა უკუნმა ღამემ ბრძოლა შეუძლებელი გახადა. შუაღამისას სროლა შეწყდა. ბრძოლის ბედი ფაქტიურად გაურკვეველი იყო, მხოლოდ ესექსის გაუბედაობამ მისცა საშუალება მეფეს გამარჯვებულის როლში გამოსულიყო.

მეორე დილით ესექსმა მნიშვნელოვანი შევსება მიიღო. მის განკარგულებაში იყო ჰემპდენის კავალერისტთა შესანიშნავი, „მწვანე ქურთუკოსანთა" სახელით ცნობილი რაზმი. ესექსს შეემატა აგრეთვე არტილერია. ნაცვლად შეტევისა, მან უკან, ჭ. უორვიკისკენ დაიხია. დედაქალაქზე გზა ფაქტიურად ღია იყო.

ჩარლზი უბრძოლველად წინ მიდის. როიალისტებმა ხელთ იგდეს ჭ. ბენბერი, ჭ. ოქსფორდი, ჭ. როდინგი. 12 ნოემბერს მეფის ჯარებმა იერიშით აიღეს ჭ. ბრენტფორდი (7 მილი ლონდონიდან). პარლამენტის არმიას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა რუპერტმა, ხოლო ქალაქი სასტიკად გაძარცვა. მტერი ლონდონის პირისპირ იდგა. რევოლუცია სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამჯერადაც თავისი გადამჭრელი სიტყვა ხალხმა თქვა. ლონდონელები მასობრივად დაირაზმნენ დედაქალაქის დასაცავად. ესექსთან, რომელმაც მოასწრო ლონდონთან დაბანაკება, 4 000 შეიარაღებული მოხალისე მილიციელი გამოცხადდა. დაიწყო ქალაქის მისადგომებისა და ქუჩების გამაგრება. თხრიან სანგრებს, გაამაგრეს ქალაქის კარიბჭეები, ქუჩებში გარდიგარდმო ჯაჭვებიც კი გააბეს ქავალერიისაგან თავის დასაცავად, მამაკაცებთან ერთად აქტიურობდნენ ქალებიც. ესექსს მოუწონეს ეჯჰილთან ბრძოლა და 500 გირვანქა სტერლინგით დააჯილდოეს. ქალაქში მეფის შემოჭრა, ამჯერად არც ზომიერებს აწყობთ. გრინის სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ არ აწყობთ მეფის სრული გამარჯვება, ისევე როგორც არ აწყობთ არც პარლამენტის სრული გამარჯვება. დაიწყო „ექვმიტანილთა“ და „ბოროტგანმზრახველთა“ მასობრივი დევნა, მათი განიარაღება, მათზე აწესებენ მკაცრ მეთვალყურეობას. ქალაქის დამცველებს მოსახლეობა საკუთარი სასმელ-საჭმელით უზრუნველყოფს. ლონდონის დაცვის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჯონ პიმმა, გენერალმა სკიპონმა და სხვ.

13 ნოემბერს ლონდონის მისადგომებთნ, ტერჰემ-გრინთან ორი არმია პირის პირ წარსდგა. პარლამენტის არმია რიცხობრიეად (24 000 კაცი, აქედან 20 000 ქვეითი და 4 000 ცხენოსანი) ჭარბობდა მეფისას. ჩარლზმა და რუპერტმა მასთან შებმა ვერ გაბედეს და უკან დაიხიეს, დატოვეს ჭ. ბრენტფორდი. როიალისტები ჭ. ოქსფორდში (ლონდონიდან 30 კმ) გამაგრდნენ და იქ გამოზამთრება გადაწყვიტეს. ამიერიდან 1646 წლამდე ოქსფორდი სამეფო რეზიდენცია გახდა. როიალისტებმა დაიკავეს და გაამაგრეს მომიჯნავე პუნქტები: რედინგი, ბენბერი, უილინგფორდი და მალბორო. პარლამენტის ჯარებმა დატოვეს ჭ. ვუსტერი, რითაც მეფეს საშუალება მიეცა როიალისტურად განწყობილ დასავლეთთან კავშირისა. ჩრდილოეთში როიალისტთა ბანაკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელი ჰერცოგი უილიამ კავენდიშ ნიუკასლი (1592 — 1676) საკუთარ ხარჯზე შექმნილი 8.000-იანი „თეთრქურთუკიანთა“ სახელით ცნობილი არმიით იორკშირში შეიჭრა.

ნიუკასლს პარლამენტმა დაუპირისპირა ძველი მდიდარი გვარის წარმომადგენლები მამა-შვილი ფერფაქსები. მამა — გენერალი ფერდინანდ ფერფაქსი ბარონი კამერონი (1584—1648) პარლამენტის წევრი იყო და ერთგულად იცავდა მის ინტერესებს მდიდარ სამხრეთელთ

იორკშირში. ახალგაზრდა ტომას ფერფაქსი (1612-1671), პარლამენტის არმიის მომავალი მთავარსარდალი, მამის მარჯვენა ხელი იყო და მხედართმთავრის საქმაოდ კარგ ნიჭს ავლენდა. ნიუკასლის უპირველესი ამოცანა იყო ხელთ ეგდო პარლამენტის მთავარი დასაყრდენი ციხე-სიმაგრე და ნავსადგური ჰული, რომელსაც ასევე მამა-შვილი ჰოტემები იცავდნენ. ნიუკასლმა ფერფაქსებს და უმცროს ჰოტემს ომის დასაწყისშივე რამდენიმე დამარცხება აგემა, რითაც უშუალო საფრთხე შეუქმნა და 1643 წლის დამდეგისათვის ხელთ იგდო კიდეც პარლამენტის მომხრე მაუდის მრეწველი იორკშირის მდიდარი ქალაქები: ლიდსი, ჰალიფაქსი და ბერდფორდი (ე. წ. „მაუდის ქალაქები").

ეს საფრთხე კიდევ უფრო სერიოზული გახდა, როცა 1642 წლის დამლევს და 1643 წლის დამდეგს ჰერცოგმა ნიუკასლმა პარლამენტის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნა ჩრდილოეთ საგრაფოების როიალისტური კავშირ-ასოციაცია, სადაც შევიდნენ საგრაფოები: კამბერლენდი, უესტმორლენდი, ნორტუმბერლენდი; საეპისკოპოები: დერამი, ნიუკასლი და სხვა.

სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში პარლამენტის ძალებს, გრაფ ფრენსის ბედფორდის ხელმძღვანელობით, ერთგვარი უპირატესობა ჰქონდათ. აქვე მოქმედებდა პარლამენტის და „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის" წევრი, პრესბიტერელთა ერთ-ერთი ლიდერი გენერალი უილიამ უოლერი (1597 — 1668), რომელზედაც ესექსთან ერთად განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდნენ. უოლერი სამხედრო ხელოვნებას 30-წლიან ომში ეზიარა. 1642 წლის დასაწყისში მოპოვებულ წარმატებათა გამო მას „ვილჰელმ დამპყრობელიც" კი შეარქვეს. წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა, მალე დაიწყო წარუმატებლობათა მთელი ციკლი. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მეფის მამაცმა ოფიცერმა სერ რალფ ჰოპტონმა, როიალისტთა ბანაკის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა სარდალმა. აქ მასთან ერთად მოქმედებდა მარკიზი ჰარტფორდი და პრინცი მორის პფალცელი. ომის დაწყებისთანავე მთელი დევონშირი როიალისტებმა დაიმორჩილეს.

ამრიგად, პარლამენტის რწმენა, რომ მეფე ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გასწევდა და შეტაკებისას პატიებას (პარლამენტთან შერიგებას და ზავს) ითხოვდა, გაიფანტა, „მეამბოხეთა არმია" (ასე უწოდებდა პარლამენტის არმიას მეფე) თვით აღმოჩნდა დასაცავი.

აღმოსავლეთ საგრაფოებში პარლამენტის მომხრე ოლივერ კრომველის და გრაფ მანჩესტერის (იგივე გრაფი კიმბოლტონი) ინიციატივით 1642 წლის 23 ნოემბერს განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიება — საგრაფოების კავშირის, ანუ „აღმოსავლეთის ასოციაციის" შექმნა, ეს ფაქტიურად იყო სამხედრო ორლი, რომელიც ითვალისწინებდა მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად საგრაფოთა ცოცხალი ძალისა და მა-

ტერიალური შესაძლებლობის მობილიზებას. აღმოსავლეთის ასოციაციაში გაერთიანდნენ აღმოსავლეთის საგრაფოები (შირები): კემბრიჯშირი, ნორფოლკი, სეფოლკი, ესექსი, ჰენტინგდონშირი; უფრო გვიან მათ შეუერთდა: ლინკოლნშირი და ჰერტფორდშირი. ასოციაციაში შევიდა აგრეთვე ლონდონის მოსაზღვრე ზოგიერთი საგრაფო: ბეკინჰემშირი, ბედფორდშირი, ნორტჰემტონშირი. „აღმოსავლეთის ასოციაციის“ ხელმძღვანელად და აქ ჩამოყალიბებული ახალი 10 000-იანი არმიის მთავარსარდლად დაინიშნა ლორდი მანჩესტერი, მის მოადგილედ — ოლივერ კრომველი, რომელსაც კავალერიის სარდლობა დაეკისრა. „აღმოსავლეთის ასოციაციის“ არმიას როიალისტებისათვის უნდა გადაეკეტა გზა ჩრდილო-სამხრეთისაკენ. მსგავსი ასოციაციები შეიქმნა ჩრდილოეთში იორკის საგრაფოს ბაზაზე, ფერდინანდ ფერფაქსის ხელმძღვანელობით, ჩეშორისა და მის მომიჯნავე საგრაფოთა ბაზაზე — სერ უილიამ უოლერის ხელმძღვანელობით, ჰემპშირისა და სხვა საგრაფოთა ბაზაზე — სერ უილიამ ბრერეტონის ხელმძღვანელობით, ლესტერშირის და სხვათა ბაზაზე — ლორდ გრეის ხელმძღვანელობით, შროპშირისა და სხვათა ბაზაზე — გრაფი დენბის ხელმძღვანელობით. ბერკშირისა და სხვათა ბაზაზე — გენერალ-მაიორ ბრაუნის ხელმძღვანელობით, ჩრდილოეთ უელსის ბაზაზე — სერ თომაზ მილდტონის ხელმძღვანელობით.

სამხედრო-თავდაცვით ღონისძიებების გატარებასთან ერთად პარლამენტის მესვეურები მეფესთან ზავის მიღწევასაც ცდილობდნენ. 1643 წლის 1 თებერვალს, მეფეს ოქსფორდში წარედგინა ახალი საზავო პირობები (ე. წ. „ოქსფორდის წინადადებანი“) თითქმის ანალოგიური იმისა, რაც „19 წინადადებაში“ იყო წარმოდგენილი. მეფეს სთავაზობდნენ „უმორჩილეს სურვილებსა და წინადადებას“. სამოქალაქო ომს განიხილავდნენ არა როგორც დავის გადაჭრის ერთადერთ და აუცილებელ გზას, არამედ როგორც „გაუგებრობას“, როგორც მოელენას, რომელსაც ინგლისის ხალხს შეუძლია მოუტანოს მხოლოდ „უბედურება და ტანჯვა“. ომის აღმოცენებაში ისევ და ისევ დამნაშავედ მიაჩნდათ მეფის „ცუდი მრჩევლები“, „პაპისტები“ და ა. შ.

პარლამენტი მეფეს წინადადებას აძლევს დაითხოვოს არმია და დაუბრუნდეს თავის პარლამენტს. თავის მხრივ პარლამენტიც პირობას დებს დაშალოს თავისი შეიარაღებული ძალები. პარლამენტი მოითხოვს: დელიქვენტების (როიალისტების) კანონიერ სამართალში მიცემას, ანტიეპისკოპალური და ანტიკათოლიკური ყველა კანონის დამტკიცებას, მჭიდრო კავშირის და თანამშრომლობის დამყარებას ნიდერლანდთან და ევროპის სხვა პროტესტანტულ ქვეყნებთან. „მილიციის შესახებ ბილის“ ცნობას და სხვა. დაისვა აგრეთვე დელიქვენტთა ნაწილის ამნისტიის საკითხი. პარლამენტი ამაზე თანხმობას აცხადებს, გამორიც-

ხავს მხოლოდ განსაკუთრებით დამნაშავე დელიქვენტებს, მათ შორის ლორდ ჰერბერტ რეგლანს, ჰერცოგ ნიუკასლს, ლორდ ჯორჯ დერბის და სხვა. მეფემ უარყო აღნიშნული წინადადებები და პარლამენტის დელეგაცია ოქსფორდიდან გაისტუმრა.

1643 წლის გაზაფხულზე საომარი მოქმედება განახლდა და თითქმის 1645 წლის ბოლომდე გაგრძელდა. 1643 წლის კამპანია როიალისტთა მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნა, პარლამენტი მეტად მძიმე პირობებში აღმოჩნდა. როიალისტთა არმიის წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო ესექსის ყოველად გაუმართლებელი უმოქმედობა. ყველაზე უფრო პასუხსაგებ ფრონტზე, ცენტრში, ლონდონ-ოქსფორდის რაიონში მას თითქმის უმოძრაოდ ჰყავს ხელახლა დაკომპლექტებული, გაძლიერებული დაახლოებით 20 000-იანი არმია. მან ჯიუტად მოიკალათა ლონდონის ახლოს. ამაოდ ავალებდნენ და სთხოვდნენ (პარლამენტი, პირადად ჰემპდენი) მას ოქსფორდზე გალაშქრებას. ნაცვლად ამისა, იგი კმაყოფილდება მცირედი, მეორეხარისხოვან ბრძოლებით. ოქსფორდში საზავო მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ ესექსმა 27 აპრილს აიღო რედინგი. ოქსფორდზე გზა ხსნილი იყო. ესექსი კვლავ უკან დაბრუნდა და ისევ ლონდონთან, ტემზაზე დაბანაკდა. უმოქმედობაში ესექსის არმია დაიღია. თავი იჩინა დეზერტირობამ, მოარულმა სენმა, უდისციპლინობამ. ესექსის არმიას ასუსტებდა მის გარნიზონებზე, აღალზე, საწყობებზე პრინც რუპერტის ხშირი პარტიზანულ-დივერსიული თავდასხმები. ესექსის არმიის ავანპოსტებზე რუპერტის ერთერთი ასეთი თავდასხმის მოგერიების დროს, 18 ივლისს, ოქსფორდთან ახლოს, ჩალგროვთან მძიმედ დაიჭრა ჯონ ჰემპდენი. 24 ივნისს იგი გარდაიცვალა. ამრიგად, აშკარად ჩანდა, რომ ესექსი გამარჯვებას კი არა, ზავს ეძებდა, ხოლო კარგი ზავის მისაღწევად „არც მეფემ არ უნდა გაიმარჯვოს, და არც პარლამენტმა". მეფე, რომელსაც არც ფული გააჩნია და არც ცოცხალი ძალები ჰყავს, თვითონვე იტყვის ომზე უარს და პარლამენტს დაუზავდება — ესექსს კვლავ აკვიატებული ჰქონდა ეს მცდარი აზრი.

1643 წლისათვის მეფე საკმაოდ მომძლავრდა. დედოფლის წყალობით მის განკარგულებაში აღმოჩნდა უზარმაზარი თანხა — 2 000 000 გირვანქა სტერლინგი, მას შეემატა ცოცხალი ძალა აჯანყებულ კორნუელების და სხვათა სახით. დედოფალმა ჰენრიეტა-მარიმ ჰოლანდიაში შეძლო განძეულობის დაგირავება და გაყიდვა, პრინც ორლეანელისა და ადგილობრივი როიალისტების დახმარებით მან შეიძინა იარაღი, ტყვია-წამალი, მედიკამენტები, ამუნიცია, რომელთა ნაწილი უკვე 1642 წლის თებერვალში გამოაგზავნა. ამაო აღმოჩნდა პარლამენტის ოფიციალური პროტესტი ნიდერლანდის მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ. დედოფალმა 1643 წლის თებერვალში პატარა ფლოტით

შეძენილი სამხედრო ქონება ინგლისში ჩამოიტანა (იგი გადმოჯდა ჩრდილოეთით, იორკშირის სანაპიროზე — ბრიდლინგტონთან). დედოფალმა ყველაფერი გადმოზიდა და დააბინავა, მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდა პარლამენტის ფლოტი, რომელმაც ბრიდლინგტონს ყუმბარები დაუშინა. დედოფალი შემთხვევით გადაურჩა ცეცხლს, მან და მისმა მცველებმა ღამე გარეთ, ცის ქვეშ გაატარეს, ერთ-ერთი ყუმბარა დედოფლის საძინებელ ოთახსაც კი მისწვდა.

ჰერცოგ ნიუკასლის თანხლებით დედოფალი იორკში ჩავიდა. მის ირგვლივ თავი მოიყარა როიალისტთა და კათოლიკეთა დიდმა რაოდენობამ. დედოფალი აქტიურად მოქმედებდა, მან შესძლო პარლამენტის ზოგიერთი მომხრის გადმობირებაც კი (მაგალითად, სკარბოროს ციხესიმაგრის კომენდანტი ჰიუგო ჩოლმლი). გამართა მოლაპარაკება შოტლანდიელ მონარქისტებთან — მონტროზთან, ჰამილტონთან, აჯანყებულ ირლანდიელებთან, დანიის მეფესთან. დედოფალმა დააკომპლექტა „დედოფლის არმიის“, „პაპისტური არმიის“ სახელით ცნობილი ახალი სამხედრო შენაერთი. დედოფალი ქმარს წინადადებას აძლევდა კატეგორიულად უარეყო პარლამენტის ყველა საზავო წინადადება.

ივნისში(დედოფალი ოქსფორდში ჩავიდა. თან ჩაიყვანა „დედოფლის არმია“,) ჩაიტანა ფული, სურსათი, იარაღი, ამუნიცია, მედიკამენტები და სხვა.(ამიერიდან მეფის სამხედრო შესაძლებლობებმა საგრძნობლად იმატა. ჯონ პიმმა პარლამენტის საშუალებით დედოფალს სახელმწიფოს ღალატში დასდო ბრალი.)

(მეფის ძირითადი სტრატეგიული გეგმა ლონდონის აღებას ითვალისწინებდა. ამ ამოცანის გადაწყვეტას ისახავდა მიზნად მეფის სამი— ჩრდილოეთის, ცენტრისა და სამხრეთ-დასაელეთი არმიების საბრძოლო ოპერაციები. ეს ჩანაფიქრი არ განხორციელდა, ლონდონი გადარჩა, მიუხედავად იმისა, რომ სამივე ფრონტზე მეფის წარმატება დიდი მასშტაბის იყო.)

ჩრდილოეთში პერცოგმა ნიუკასლმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. 30 იელისს ბრედფორდთან ახლოს აუდოლტონ-მურთან ფერფაქსები დამარცხდნენ და თავი შეაფარეს ჰულს, რომელიც ამიერიდან პარლამენტისათვის ჩრდილოეთში ერთადერთი სიმაგრე იყო, მდიდარი სამრეწველო იორკშირი და მასთან ერთად ლინკოლნშირი (ქ. ლინკოლნითურთ) ნიუკასლის ხელთ აღმოჩნდა. ჰული ნიუკასლმა ვერ აიღო. 2 სექტემბრიდან ქალაქი ალყაში იმყოფებოდა და მამაცურად იცავდა თავს. 11 ოქტომბერს ნიუკასლმა ალყა მოხსნა. ფერფაქსების მარცხს ხელი შეუწყო ჰულის კომენდანტის სერ ჯონ ჰოტემისა და მისი ვაჟის ღალატმა. ისინი ამხილეს, ლონდონში ჩაიყვანეს, გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. „აღმოსავლეთ ასოციაციამ“ ფერფაქსებს სათანადო დახმარება არ აღმოუჩინა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კრომ-

ველის გაბედულ რეიდებსა და ლოკალური მასშტაბების ბრძოლებს ლინკოლნშირში (ჰენსბორო, 31.VII) და უინსბისთან (11.X). პირველ ბრძოლაში კრომველი სერ ჯონ მელდრომთან ერთად მოქმედებდა, ხოლო უინსბისთან კრომველი დამოუკიდებლად იბრძვის და მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს. ეს იყო მისი რაზმის ერთ-ერთი პირველი საბრძოლო ნათლობა. უინსბის ბრძოლამ ვითარება ვერ შეცვალა, ლინკოლნშირი კვლავ მტრის ხელთაა.

სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში როიალისტებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. კორნუელში აჯანყდა მეფის მომხრე ადგილობრივი მოსახლეობა. მეფემ ისარგებლა ესექსის პასიურობით და თავისი არმიის ნაწილი, სერ ბევილ გრენვილის მეთაურობით, სასწრაფოდ კორნუელის დასახმარებლად გადმოისროლა. კორნუელის მეზობლად დევონშირში მოქმედი პარლამენტის არმია, გრაფ სტამფორდის (მისი ერთადერთი ღირსება იყო სიმდიდრე და არისტოკრატიული წარმომავლობა) მეთაურობით დამარცხდა. დევონშირი (პლიმუტის გარდა) პარლამენტმა დაკარგა. ასევე უნაყოფო აღმოჩნდა პლიმუტის გუბერნატორის როტვენის ცდა კორნუელში შეჭრისა. კორნუელელებს და გრენვილს დაემატა მეფის ნიჭიერი სარდლის ლარფ ჰოპტონის შენაერთები, სამხრეთ-დასავლეთში მოქმედებდნენ აგრეთვე პრინცი მორისი, მარკიზი ჰეტფორდი. როიალისტებმა მალე ხელთ იგდეს სომერსეტშირი; პარლამენტის არმიას სერ უილიამ უოლერის სარდლობით 5 ივლისს ლენს-დაუნთან და 10 ივლისს რაუნდ-უეიდაუნთან ორი მნიშვნელოვანი დამარცხება აგებინეს. გლოსტერშირი და უილტშირი როიალისტების ხელთ იყო. მათ ალყა შემოარტყეს მნიშვნელოვან ქალაქებს ბრისტოლსა და გლოსტერს. 26 ივლისს მნიშვნელობით ინგლისის მეორე ქალაქი და ნავსადგური ბრისტოლი დაეცა. ქალაქის აღებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუპერტის კავალერიამ (მეფემ იგი ცენტრალურ ფრონტიდან გადმოისროლა, ისევ ესექსის იხერტულობის წყალობით). ქალაქის გუბერნატორმა ნათანიელ ფინესმა (უნიჭომ, პროტექციით დაწინაურებულმა) სრული უსუსურობა გამოიჩინა (პარლამენტმა მას სიკვდილი მიუსაჯა, ხოლო შემდეგ პატიებით შეუცვალეს). რუპერტმა ქალაქი გაძარცვა. როიალისტებმა ხელთ იგდეს დიდი ნადავლი: სამხედრო მარაგი, სურსათი, ბედიკამენტები და ფლოტი (რომელიც ირლანდიის წინააღმდეგ იყო გამიზნული).

10 აგვისტოდან ალყაშემორტყმული გლოსტერის დამცველები მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ძალები შესუსტდა, ტყვია-წამალი და სურსათი დაილია, გუბერნატორი მასეი საეჭვოდ იქცეოდა. ქალაქის ღელები დათვლილი იყო. ხალხის ფართო ფენებმა გაითვალისწინეს ქალაქის დაცემის შედეგები და გამოაფხიზლეს პარლამენტი და ესექსი. ლონდონში შეიქმნა სახალხო მილიციის ექვსი პოლკი. არმიის

შემადგენლობა შეიცვა უკვე ახალი, იძულებითი წესით გაწვევის შედეგად. 26 აგვისტოს ესექსი 15 000-იანი არმიით (რომელშიც მილიცია წამყვან როლს ასრულებდა) დაიძრა გლოსტერის დასახსნელად. 5 სექტემბერს მეფის არმიამ ქალაქს ალყა მოხსნა, ამ მომენტში დამცველთა ხელში სამიოდ კასრი დენთი იყო დარჩენილი. 8 სექტემბერს ესექსი ქალაქში შევიდა, აქ სამი დღე გაჩერდა და ისევ ლონდონისაკენ დაბრუნდა. ამ ბრძოლის შედეგად როიალისტებმა მხოლოდ ერთადერთ რეალურ წარმატებას მიაღწიეს, დაიბრუნეს ბერკშირის საგრაფოში ქ. რედინგი.

ზაფხულში მოპოვებული წარმატებებით გულდაჯერებულმა მეფემ შემოდგომისათვის ლონდონზე ფართო შეტევა წამოიწყო. მას სურდა ბრძოლებში ჩაება ჩრდილოეთიდან ნიუკასლი. სამხეთიდან—უელსელები, კორნუელელები, სერ რალფ ჰოპტონი, პრინცი მორისი და სხვ. მეფესა და რუპერტს უნდა ემოქმედათ ცენტრში ესექსის წინააღმდეგ. სამივე არმიის კონსოლიდაცია ვერ მოხერხდა) ნიუკასლს ეშინოდა იორკშირის დატოვება ჰულიდან ზურგში დარტყმის შიშით. კორნუელელები უპირატესად თავისი მიწა-წყლის დაცვით იყვნენ დაინტერესებულნი, და შორს წასელა არ სურდათ. ამასთანავე მათაც ეშინოდათ პლიმუტიდან ზურგში დარტყმისა. უელსელები წინააღმდეგი იყვნენ ლონდონზე ლაშქრობისა, მათაც ზურგში რჩებოდათ პარლამენტისეული გლოსტერი.

გლოსტერიდან ლონდონისაკენ მომავალ ესექსს მეფის არმიამ გზა გადაუღობა. ბერკშირის ტერიტორიაზე ნიუბერთან 20 სექტემბერს გაიმართა კიდევ ერთი დიდი, ე. წ. ნიუბერის პირველი ბრძოლა. პარლამენტის არმიის დამარცხების შემთხვევაში ლონდონის ბედი გადაწყვეტილი იყო. ლონდონის მილიციამ რუპერტის მრისხანე კავალერიას სათანადო წინააღმდეგობა გაუწია. მეფის არმია შედრკა. მაგრამ მილიციამ თავისი მისია შესრულებულად ჩათვალა და სახლისაკენ, ლონდონისაკენ იბრუნა პირი. ნიუბერის ბრძოლამ ნათელყო მილიციის ერთ-ერთი არსებითი ნაკლი — იგი არ ვარგოდა ხანგრძლივი ტერიტორიული ბრძოლებისათვის, მისი ბრძოლისუნარიანობა მაღალი იყო მხოლოდ საკუთარ ტერიტორიაზე, საკუთარ სახლთან ახლოს. ყოველივე ეს კრომველმა სათანადოდ გაითვალისწინა „ახალი ნიმუშის" არმიის შექმნის დროს.) ნიუბერის ბრძოლაში როიალისტებმა მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადეს — დაიღუპა მათი ერთ-ერთი ბელადი, საკმაოდ რეალისტი პოლიტიკოსი ლორდი ფოკლენდი.

(ამრიგად, 1643 წლის კამპანიამ მეფეს მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა. მის განკარგულებაში აღმოჩნდა მთელი ჩრდილოეთი. სამხრეთ-დასავლეთ საგრაფოთა უმრავლესობა, უელსი, კორნუელი, ცენტრალური ინგლისის ნაწილი.) ინგლისის ტერიტორიის მნიშვნელოვანი

ნაწილი (დაახლოებით 3/5) როიალისტთა კონტროლის ქვეშ იყო. პარლამენტის სამხედრო ძალები საგრძნობლად დასუსტდნენ. მაგალითად, ესექსის არმია 6 000-მდე შემცირდა. პარლამენტის მდგომარეობა გაართულა იმანაც, რომ მძიმე განსაცდელის ჟამს მან დაკარგა დიდი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ლიდერი ჯონ პიმი. იგი გარდაიცვალა 1643 წლის 8 დეკემბერს, უესტმინსტერში დერბის სასახლეში, რომელიც მას პარლამენტმა გამოუყო როგორც პირადი რეზიდენცია. პარლამენტმა იგი დიდი პატივისცემით დაკრძალა უესმინსტერის სააბატოში.

სამხედრო წარუმატებლობასთან ერთად პარლამენტის ბანაკში თავი იჩინა საკმაოდ მწვავე პოლიტიკურმა კრიზისმა. გააქტიურდნენ ზავის მომხრეები, ამოქმედდა „მეხუთე კოლონა“, წარმოიშვა ეკონომიკური სიძნელეები. მეფის ჯარებმა გაძარცვეს მოსახლეობა, აოხრებდნენ და წვავდნენ დასახლებულ ადგილებს. განსაკუთრებით აქტიურობდა პრინცი რუპერტი, რომელსაც ხალხმა პრინცი-ყაჩაღი (prine robber) შეარქვა. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ძარცვას მეფემ, რომელსაც ომის საწარმოებლად მუდმივი რესურსები არ გააჩნდა, ოფიციალური სანქცია მისცა. მოქმედებდა კანონი „ომმა გამოკვებოს ომი“. ვითარებას ართულებდა ისიც, რომ მეფის არმიაში ბევრი დაქირავებული იყო, მათთვის კი, როგორც ცნობილია, მოსახლეობის ძარცვა შემოსავლის ოფიციალურ, „კანონიერ“ წყაროდ ითვლებოდა და პროფესიულ აუცილებლობას წარმოადგენდა. რუპერტი მეფის არმიაში მასობრივად იწვევდა უცხოელებს. მაგალითად, 1643 წლის ნოემბერში, ჰოლანდიელმა საქმოსანმა, ვინმე ვენ ჰეზდონკმა პრინცისათვის დაიქირავა 200-კაციანი რაზმი. კონტრაქტის თანახმად ამ რაზმის მიერ ნაძარცვის ნახევარი რჩებოდა ჯარისკაცებს, მეოთხედი — რუპერტს, 1/8 — ჰეზდონკს. კავალერები საშინელ სისასტიკეს იჩენდნენ ტყვე „მრგვალთავიანების“ მიმართ, თავის მხრივ ვალში არც „მრგვალთავიანები“ რჩებოდნენ. მოსახლეობის ძარცვაში პარლამენტის შენაერთებიც მონაწილეობდნენ, მათ შორის ხომ ამ საქმის ოსტატი ბევრი დაქირავებული ჯარისკაცი იყო.

1643 წლის გაზაფხულზე გამომჟღავნდა პარლამენტის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება. ხელმძღვანელთა შორის იყო ფარული როიალისტი, პოეტი და პოლიტიკოსი, თემთა პალატის წევრი ედმუნდ უოლერი. შეთქმულთა მიზანი იყო: პარლამენტის ლიდერებისა და ლორდ მერის იზოლირება, აჯანყების მოწყობა და ქალაქის მეფისათვის ჩაბარება. 31 მაისს უოლერი დააპატიმრეს. მან გასცა თანამონაწილენი და ამით სიცოცხლე შეინარჩუნა. მის მიერ დასახელებული ორი შეთქმული, მისი გერი ძმა ტომპინსი და ჩალონერი 5 ივნისს სიკვდილით დასაჯეს. უოლერს 10 000 გირვანქა სტერლინგის ჯარიმის გადახდა აკმარეს.

მეფის აგენტებმა, ლონდონის სიტის ზოგიერთმა მაგნატმა, ლორდთა და თემთა პალატის ზოგიერთმა წევრმა დაუყოვნებლივ თითქმის კაპიტულატური ზავის დადება სცადეს, განსაკუთრებით ბრისტოლის დაცემის და ფერფაქსების მარცხის შემდეგ. ზავის მომხრეებმა შეძლეს მოსახლეობის ნაწილის პროვოცირება, ისინი პარლამენტში წარგზავნილ პეტიციებში მოითხოვდნენ ზავს.

1643 წლის 4 აგვისტოს ლორდებმა ოფიციალურად წამოაყენეს ზავის მეტად დამამცირებელი პირობები, მათ მომხრეები თემთა პალატაშიც გამოუჩნდნენ. ვითარება ისევ ლონდონის მოსახლეობის ჯანსაღმა ნაწილმა განმუხტა. აქტიურად მოქმედებს ჯონ პიმი — „ხალხი პარლამენტისათვის, პარლამენტი ხალხისათვის“ — ასეთია მისი დევიზი. მან შეძლო თემთა პალატაში უმრავლესობის მიმხრობა, საზაო წინადადებანი უარყოფილ იქნა. რამდენიმე ლორდმა დატოვა პარლამენტი და მეფესთან გადაბარგდა. მათ შორის იყვნენ ფრენსის ბედფორდი, ჰენრი ჰოლანდი და გრაფი პორტლენდი. მათ ოქსფორდში მკლავგაშლილები როდი შეეგებნენ. ჰენრი ჰოლანდმა უკან დაბრუნებაც კი არჩია.

მეფის წინაშე კაპიტულაციის მომხრეებს სოციალური ბაზა არ გააჩნდათ, ეს იყო უპირველესი მიზეზი ზავის მომხრეთა წარუმატებლობისა. ამან განაპირობა ისიც, რომ პროვოკატორებმა პარლამენტის წინააღმდეგ მხოლოდ პოლიტიკურად შეუგნებელ და დეკლასირებულ ელემენტთა გამოყენება შეძლეს. მათ შორის იყო ლონდონელ ქალთა ერთი ჯგუფი (მაშინდელი დოკუმენტების მიხედვით „მდიდართა ცოლები“, აგრეთვე, ლონდონელი მეძავებიც კი რომლებსაც სამოქალაქო ომმა და პურიტანულმა მკაცრმა მორალმა შემოსავლის წყარო დაუშრო). ქვით შეიარაღებული ქალები პარლამენტის შენობისკენ მოგრუვდნენ, გაისმოდა შეძახილები „ძაღლი პიმის“ საწინააღმდეგოდ. მათი განდევნა მილიციის რაზმებმა იკისრეს, დაიღვარა სისხლი.

შექმნილმა ვითარებამ განაპირობა პარლამენტის მიერ რამდენიმე საგანგებო რევოლუციური ღონისძიების განხორციელება. პირველ ყოვლისა, მკაცრი კონტროლი დააწესეს გაზეთებზე და საერთოდ ბეჭდვით საქმეზე, როიალისტურად განწყობილ ელემენტებს (მათ შორის პოეტებს, ჟურნალისტებს) აღუკვეცეს აგიტაციის საშუალება. გაქცეულ როიალისტების ქონებას მასობრივად დაადეს მკაცრი სეკვესტრი, ლონდონი და მისი მისადგომები კიდევ უფრო საგულდაგულოდ გააგრეს. გატარებულ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სიახლენი საგადასახადო პოლიტიკაში. ომმა ხანგრძლივი ხასიათი მიიღო. ამიერიდან მწვავედ დადგა რესურსების, პირველ რიგში ფინანსების პრობლემა. პარლამენტმა განიზრახა სახელმწიფო შემოსავლის წელიწადში 2 000 000 გირვანქა სტერლინგამდე გაზრდა

მას, ცხადია, საფუძვლად უნდა დადებოდა სახელმწიფო შემოსავლის მუდმივი, მყარი, ფიქსირებული საგადასახადო სისტემა. საგანგებო, ექსტრაორდინალური ღონისძიებანი (სესხი, შემოწირულებანი, ირლანდიელ და ინგლისელ დელიქვენტთა ქონების კონფისკაცია და სხვ.), ცხადია, ვერ უზრუნველყოფდნენ საჭირო მოთხოვნებს. პარლამენტმა, პირველ ყოვლისა, შემოიღო მუდმივი პირდაპირი გადასახადი, რომელიც გავრცელდა ჯერ ლონდონზე, ხოლო შემდეგ პარლამენტის კონტროლის ქვეშ მყოფ ყველა ტერიტორიაზე. დაწესდა გადასახადის ყოველთვიური აკრეფა. პარლამენტის სპეციალურ კომისიებს უნდა განესაზღვრათ მისი მოცულობა ყოველი საგრაფოსათვის და ქალაქისათვის. ადგილობრივ ხელისუფლებას დაევალა მისი განსაზღვრა ცალკეული პიროვნებისათვისაც კი. ამ ახალმა საგადასახადო სისტემამ შეცვალა ძველი ქონებრივი გადასახადი, რომელიც მოქმედებდა მრავალრიცხოვანი ერთდროული „სუბსიდიების“ სახით, რომელიც იკრიბებოდა, დროდადრო, პარლამენტის დასტურით და შეიცავდა საშუალოდ 70 000 გირვანქა სტერლინგს. პირდაპირთან ერთად არაპირდაპირი გადასახადებიც გაზარდეს. ჯონ პიმის წინადადებით დაწესდა აქციზი გასაყიდ და საყიდელ ფართო მოხმარების საგნებზე (თამბაქო, ლუდი, ხილის ღვინო, საპონი, ქაღალდი, აბრეშუმი, სააფთიაქო საქონელი, კოლონიური საქონელი, უფრო გვიან ხორცი, მარილი და სხვ.), გაიზარდა საბაჟო გადასახადები. ლონდონში და შესაბამისად პერიფერიებში შეიქმნა აქციზისა და ახალი გადასახადების სამმართველო. მათ დაევალათ გასაყიდი და საყიდი საქონლის მკაცრი აღრიცხვა და რეგისტრირება, აქციზის აკრეფის საერთო ხელმძღვანელობა. აქციზის გადაუხდელობისას სასტიკად ისჯებოდნენ. შესაბამისი ორდონანსი (კანონი) პარლამენტმა გამოაქვეყნა 1643 წლის 22 ივნისს. თავდაპირველად აქციზი გამოაცხადეს როგორც დროებითი ღონისძიება (3 თვით), მაგრამ შემდეგ მისი გაუქმება არ მოხდა. 1647 წლისათვის აქციზი წლიურად იძლეოდა საშუალოდ 330 000 გირვანქა სტერლინგს, ნებაყოფლობით გაწვევასთან ერთად (რომელიც სათანადო ეფექტურობას მოკლებულ იყო) 10 აგვისტოს პარლამენტმა დააწესა იძულებითი გაწვევა. გადაწყდა ესექსის არმიის პარალელურად სხვა არმიების შექმნაც. ახალი, მეორე არმია შექმნეს უილიამ უოლერისათვის. როგორც ვიცით, ათი ათასიანი არმია მანჩესტერისა და კრომველის მეთაურობით შეიქმნა „აღმოსავლეთ ასოციაციასთან“. პარლამენტმა პრაქტიკაში შემოიღო ბრძოლებში წარჩინებული ოფიცრებისა და შენაერთების ფულადი ჯილდოთი წახალისება. მაგალითად, კრომველს თავისი ჯარისკაცების წასახალისებლად პარლამენტმა 3 000 გირვანქა სტერლინგი გამოუყო. აღსანიშნავია, რომ პარლამენტის ახალი საგადასახადო პოლიტიკა მესაკუთრულმა ინგლისმა პოზიტიურად მიიღო. თავის პარლამენტს და თავის მთავრობას ისინი საფულეს სია-

მოვნებით უხსნიდნენ. სამოქალაქო ომის პერიოდში და შემდეგაც ფულის მჭონე კლასები სიამოვნებით თანხმდებოდნენ გადაესადათ რამდენჯერმე მეტი იმ გადასახადზე, რომელზედაც ისინი ჩარლზ I-ს უარს ეუბნებოდნენ.

(1643 წლის 25 ოქტომბერს პარლამენტმა დაამტკიცა ინგლის-შოტლანდიის „საზეიმო ლიგისა და კოვენანტის“ სახელით ცნობილი ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენდა ფორმალუოად რელიგიურს, ფაქტიურად კი პოლიტიკურ და სამხედრო კავშირს.) კოვენანტის სულის ჩამდგმელის როლში ჯონ პიმი მოგვევლინა. ეს იყო მისი უკანასკნელი დიდი წარმატება პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე. აქტიური როლი შეასრულა ჰენრი ვენმაც.

პარლამენტმა შოტლანდიასთან პოლიტიკურად ესოდენ აუცილებელ კავშირს მიაღწია იმით, რომ ინგლისისათვის ოფიციალურ ეკლესიად გამოაცხადა შოტლანდიაში გაბატონებული პრესბიტერული ეკლესია, იგივე ეკლესიას ირლანდიაც დაუქვემდებარეს. ინგლისში პრესბიტერული ეკლესიის ოფიციალური აღიარება მოხდა უესტმინსტერში პარლამენტის ინიციატივით მოწვეულ საეკლესიო კრებაზე — ე. წ. უესტმინსტერის სინოდზე, 1643 წლის 1 ივლისს. რაუნდ-უეიდაუნთან და აუდოლტონ მურთან განცდილი მარცხის შემდეგ პარლამენტმა სასწრაფოდ გაგზავნა დელეგაცია 2 პერისა და 4 კომონერის შემადგენლობით ედინბურგში შოტლანდიელებთან მოსალაპარაკებლად. დელეგაციის ხელმძღვანელი იყო ჰენრი ვენი. მოლაპარაკება დაიწყო 8 აგვისტოს.

ამიერიდან ინგლისში ყველგან, სადაც კი პარლამენტს ხელი მიუწვდებოდა, სპობდნენ ყველაფერს, რაც ლოუდის ეკლესიას მოაგონებდათ. ჩამოხსნეს ჯვარცმები, დაანგრიეს საკურთხეველები, დაამსხვრიეს მოხატული საეკლესიო ფანჯრები (ვიტრაჟები) — შუა საუკუნეობრივი ხელოვნების ეს თვალსაჩინო ფასეულობა, დაიკარგა და განადგურდა ბევრი არქიტექტურული სამკაული თუ ძეგლი.

პარლამენტი ჩქარობდა კოვენანტის საყოველთაოდ გავრცელებას. 18 წელს მიღწეული ყველა ინგლისელი მამაკაცი ვალდებული იყო ხელმოწერით ეცნო ეს შეთანხმება. მსხვილი ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა ცდილობდა ინგლისის ხალხი დაემორჩილებინა ახალ, ერთიან რწმენისათვის და ეკლესიისათვის. თავის მხრივ მეფე და დედოფალი მჭიდრო კავშირში იყვნენ ირლანდიელ კათოლიკეებთან. მეფემ კონტაქტი დაამყარა აჯანყებულთა ბელადებთან ტომას პრესტონთან და ოუენ ო'ნილთან. ეჭვილის ბრძოლის შემდეგ მეფე მათ შეპირდა კათოლიციზმის აღდგენას, კათოლიკეებისათვის მიწების დაბრუნებას, თავი-

სუფალ პარლამენტს და სხვ. მეფეს სურდა ირლანდიაში მარკიზ ჯეიმზ ბატლერ ორმონდის სარდლობით მოქმედი სამეფო არმია ინგლისში გადმოესროლა. ირლანდიელები მეფეს პირდებოდნენ ამ ოპერაციებისათვის საჭირო თანხას — 30 000 გირვანქა სტერლინგს. ირლანდიელებთან საერთო ენა გამოინახა. 1641 წლის სექტემბერს ორმონდმა ჯარები გადმოსხა ჩრდილოეთ ინგლისში ჩესტერის რაიონში. ირლანდიელი კონფედერატები მას დაპირდნენ ჯარების გადასხმას ჩრდილოეთ შოტლანდიაშიც. ისინი უნდა დახმარებოდნენ აჯანყებულ მონტროზს ედინბურგის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ირლანდიელებთან შერიგების წინადადება მიეცა ირლანდიაში მოქმედ შოტლანდიელთა არმიასაც (სარდალი მონრო). უარის შემთხვევაში ორმონდს ნეიტრალიტეტი უნდა დაეცვა, ან დახმარებოდა ირლანდიელებს. ირლანდიელებთან ურთიერთობა მეფისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. როცა ინგლისში ცნობილი გახდა (ნეზბის ბრძოლის შემდეგ) მისი კავშირი ირლანდიელ კათოლიკეებთან, უკმაყოფილების ხმა თვით მეფის ბანაკშიც კი გაისმა. მეფეს განუდგა რამდენიმე პერი და შრავალი ოფიცერი. ხოლო ეს კავშირი მეფეს სასამართლოზე ჩაუთვალეს სახელმწიფოს ღალატად.

მეფე და დედოფალი დიდ იმედებს ამყარებდნენ მონტროზზე, ჰამილტონზე და შოტლანდიელ სხვა მონარქისტებზე. მათ იორკში მყოფი დედოფალი გააფრთხილეს კიდეც სულ მოკლე ხანში ინგლისში შოტლანდიელთა შემოჭრის შესახებ. მეფის ურთიერთობამ ირლანდიელ კათოლიკეებთან და შოტლანდიის რეაქციულ ფეოდალებთან პარლამენტში ზავის მომხრეთა აქტიურობას წერტილი დაუსვა. უმრავლესობა დარწმუნდა იმაში, რომ წარმატების მოპოვების ერთადერთ რეალურ საშუალებად რჩებოდა ომი, მეფეზე სამხედრო გამარჯვება.

1644 წლის 19 იანვარს თოვლსა და ყინვაში შოტლანდიის არმიამ გადმრლახა მდინარე ტვიდი და ინგლისის ტერიტორიაზე შემოიჭრა. არმიას სარდლობდა გენერალი გრაფი ლივენი (ალექსანდრე ლესლი), აქვე იყო გენერალი დევიდ ლესლი ბარონი ნიუარკი. არმია ითვლიდა 18 000 ქვეითს, 3 000 ცხენოსანსა და 600-მდე დრაგუნს. პარლამენტმა შოტლანდიის არმიის შესანახად ყოველთვიურად გამოჰყო 30 000 გირვანქა სტერლინგი. მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა ქვეყნის მართვის სისტემაში.

პარლამენტთან შეიქმნა უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო „ორთავე სამეფოს კომიტეტი“, რომელშიც შევიდა შვიდი პერი, 14 კომონერი და შოტლანდიის ოთხი წარმომადგენელი. მეს თავისებური ინგლისურ-შოტლანდიური მთავრობა ხელმძღვანელობდა საშინაო და საგარეო პოლიტიკას, წარმართავდა ომს და სხვ. კომიტეტში შევიდნენ ესექსი, კრომველი და სხვა სამხედრო სარდლები.

შოტლანდიელების შემოჭრის შემდეგ ჩრდილოეთში ნიუკასლის მდგომარეობა გართულდა, იგი ორი—ფერფაქსებისა და შოტლანდიელების არმიას შორის აღმოჩნდა. 1644 წლის დასაწყისში პარლამენტს სამი არმია ჰყავდა დაახლოებით 50 000 მებრძოლის შემადგენლობით. ბრძოლა კვლავ სამ ფრონტზე მიმდინარეობს. სამხრეთ-დასავლეთით, კორნუელში და ლანკაშირში წარმატება „კავალერების“ ხელთაა. ცენტრში — ესექსი კვლავ ფაბიანურ პოლიტიკას აგრძელებს. ჩრდილოეთში შოტლანდიელთა შეჭრის შედეგად ვითარება მკვეთრად შეიცვალა პარლამენტის სასარგებლოდ. ამჯერად ბრძოლის ამ ასპარეზს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. ნიუკასლი 8 000 კაცით დაუყოვნებლივ გაიჭრა ჩრდილოეთისაკენ შოტლანდიელთა წინსვლის შესაჩერებლად. ჰულში გამოკეტილ ფერფაქსებს ხელები გაეხსნათ. ტომას ფერფაქსი გაეშურა ნანტვიჩის დამცველის, პარლამენტის გენერლის ტომას ბრერტონის დასახმარებლად, რომელსაც უტევდა მეფის გენერალი ლორდი ბაირონი. მასთან ერთად მოქმედებდა მარკიზი ორმონდი, ირლანდიიდან გადმოყვანილი არმიით. ბრძოლა ფერფაქსმა მოიგო. ორმონდის მისია ამით ამოიწურა. აღსანიშნავია, რომ პარლამენტის ჯარების მიერ ხელთგდებულ 1500 ტყვეთა შორის იყო პოლკოვნიკი ჯორჯ მონკი — მომავალი გენერალი მონკი — სტიუარტთა „რესტავრატორი“.

ჩრდილოეთ ინგლისში გამოჩნდა აგრეთვე „აღმოსავლეთ ასოციაციის“ 14 000-იანი არმია — მანჩესტერისა და კრომველის. მეთაურობით მანამდე იგი ლინკონშირში იბრძოდა და ეს საგრაფო როიალისტებიდან თითქმის მთლიანად გაანთავისუფლა. იორკის ბედით შეშინებული და შოტლანდიელების მიერ უკუგდებული ნიუკასლი სასწრაფოდ უკან დაბრუნდა. იორკთან ახლოს შოტლანდიისა და პარლამენტის ჯარები გაერთიანდნენ. ნიუკასლი აღმოჩნდა შოტლანდიელების (ლიევენი, ლესლი) მანჩესტერის, კრომველის და ფერფაქსების პირისპირ. მეფემ ნიუკასლის დასახმარებლად გამოგზავნა 18 000-იანი არმია პრინც რუპერტის სარდლობით. ორივე როიალისტური არმია გაერთიანდა 28 ივნისს და იორკთან ახლოს დაბანაკდა.

2 ივლისს იორკისაგან ახლოს მარსტონ-მურისთან გაიმართა დიდი ბრძოლა, რომელიც პარლამენტის არმიის სრული გამარჯვებით დამთავრდა.

მოწინააღმდეგეთა განლაგება ასეთი იყო: ცენტრში ქვეითი შენაერთები განლაგდნენ, პარლამენტის არმიის მარცხენა ფრთა — კრომველის ცხენოსნებს ეკავათ, მის პირისპირ როიალისტთა არმიის მარჯვენა ფრთაზე იდგა პრინცი რუპერტი. პარლამენტის არმიის მარჯვენა ფრთაზე განლაგებული იყო კავალერია ტომას ფერფაქსის სარდლობით; მის პირისპირ იდგა მეფის გენერალი ლორდი გორინგი. კრომველს რეზერ-

ვში პყავდა შოტლანდიელთა კავალერია გენერალ დევიდ ლესლის მეთაურობით. მანჩესტერი, ფერდინანდ ფერფაქსი და ლიევენი ცენტრში ქვეით ჯარების ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ. დილიდანვე მოწინააღმდეგეებმა გააფთრებული საარტილერიო დუელი გააჩაღეს. დაახლოებით 7 საათზე დაიწყო ბრძოლა. შეტევა კრომველმა დაიწყო, რუპერტი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა. კრომველი კისერში დაიჭრა, მაგრამ ბრძოლა მაინც განაგრძო. დევიდ ლესლის რაზმმა რუპერტს ფლანგიდან შეუტია. შეტევა კრომველის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, რუპერტის კავალერია განადგურებულ იქნა. „ჯარების ხელმძღვანელობის საქმეში ევროპას მსგავსი რამ არ უნახავს", — ასე დაახასიათა კრომველის მოქმედება გენერალმა დევიდ ლესლიმ.)

(ბრძოლის სხვა უბნებზე წარმატებას როიალისტებმა მიაღწიეს.) მარჯვენა ფრთაზე გორინგმა სძლია ტომას ფერფაქსს. ცენტრში პარლამენტის ქვეითი ჯარების მდგომარეობა გართულდა, ნიუკასლის „თეთრქურთუკიანებთან" შეტაკებისას მანჩესტერი, ფერდინანდ ფერფაქსი და ლესლი შედრკნენ. აი, აქ იჩინა თავი კრომველის დიდმა სამხედრო ნიჭმა. მან რუპერტის დევნა დევიდ ლესლის დააკისრა, თვითონ დატბორებულ ჭაობებზე (მთელი დღე წვიმდა) შემოვლით მარჯვენა ფლანგზე გადმოინაცვლა და გორინგის ზურგში მოექცა. აქ მეფის კავალერიის განადგურების შემდეგ იგი დაეხმარა ცენტრს. ბრძოლის ბედი გადაწყდა, წარმატება დიდი იყო. მოწინააღმდეგემ დაკარგა დაახლოებით ოთხი ათასი კაცი, მათ შორის ასზე მეტი ოფიცერი. გამარჯვებულებმა ხელთ იგდეს 1 500 ტყვე, ოცამდე ზარბაზანი, 6 000-ზე მეტი მუშკეტი, ასზე მეტი საბრძოლო დროშა (შტანდარტი). რუპერტის მრისხანე კავალერია და ნიუკასლის სახელგანთქმული „თეთრქურთუკიანთა" შენაერთები აღარ არსებობდა. ნიუკასლმა ლორდ ეიტენთან და რამდენიმე ოფიცერთან ერთად ზღვით უშველა თავს და ევროპაში გაიხიზნა. რუპერტი გადარჩენილი რაზმებით ტოვებს ბრძოლის ველს. იორკის გუბერნატორმა სერ ტომას გლეპემმა ქალაქი დატოვა. ამ ბრძოლაში დაიბადა ცნობილი გამოთქმა „რკინის გვერდიანი" (Ironsides). ასე უწოდა რუპერტმა შეუპოვარ კრომველს. შემდეგ ეს სახელი შეერქვა კრომველის ჯარისკაცებსაც. მარტსონ-მურთან გამარჯვებას დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც ჰქონდა. გაიფანტა მითი „კავალერთა" უძლეველობის შესახებ. „მრგვალთავიანები" დარწმუნდნენ, რომ მეფის ძლევა შესაძლებელია.

მოსალოდნელი იყო, რომ პარლამენტი გამოიყენებდა ამ წარმატებას. მაგრამ ასე როდი მოხდა. კრომველი სამხრეთისაკენ იწევდა, „ფრთები რომ მქონდეს იქ გავფრინდებიო" — ამბობდა იგი.

გრაფმა მანჩესტერმა „აღმოსავლეთ ასოციაციის" არმია ისევ უკან დააბრუნა თავისსავე ტერიტორიაზე, „კავალერებისაგან" მისი დაცვის

მიზნით. იგი, ზომიერი მონარქისტი, პრესბიტერიული მემამულე-არისტოკრატი, არ იყო დაინტერესებული მეფის საბოლოო განადგურებით. ესექსისა და სხვათა მსგავსად იგი მზად იყო შერიგებოდა მონარქს. გრაფ მანჩესტერს აღარც ის დღეები ახსოვდა, როცა პარლამენტის 5 ლიდერთან ერთად იგი (მაშინ ლორდი კიმბოლტონი) ემალებოდა მეფის რისხვას. კრომველი სასტიკ უკმაყოფილებას გამოთქვამდა მთავარსარდლის ასეთი მოქმედებით. მანჩესტერმა ყურად არ იღო მოადგილის არც მეორე თხოვნა, წასულიყვნენ დასავლეთში (ჩეშირში) რუპერტის საბოლოოდ გასანადგურებლად. გრაფმა არც ლინკონშირის ზოგიერთ ციხე-დარბაზში შემორჩენილ როიალისტთა წინააღმდეგ იღონა რამე. გრაფს განსაკუთრებით აწუხებდა ის, რომ მის არმიაში ძლიერდებოდა ინდეპენდენტების გავლენა.

სამხრეთში მეფის მდგომარეობა ვერ იყო სახარბიელო. უოლერს, რომელსაც დორსეტშირში რუპერტი აჩერებდა, ამ უკანასკნელის ჩრდილოეთში წასვლის შემდეგ საშუალება მიეცა ესექსთან გაერთიანებისა. ამჯერად ორივე სარდალი საკმაოდ დიდი არმიით (თითოეულ მათგანს თოფჭვეშ დაახლოებით 10 000 მებრძოლი ჰყავდა) მეფის პირისპირ იდგა. მეფის მდგომარეობა მძიმე იყო. რუპერტი შორსაა, ფინანსური მდგომარეობა შერყეულია. 22 იანვარს მოწვეულმა ოქსფორდის პარლამენტმა მეფეს გამოუყო სუბსიდია 100 000 გირვანქა სტერლინგის მოცულობით, ნება დართო აკციზის აკრეფისა და სხვ. ყველაფერი ეს წვეთი იყო ზღვაში. სამი თვის თავზე 16 აპრილს, მეფემ პარლამენტი ნახევარი წლით დაითხოვა. მან ვერ მოითმინა პარლამენტის მცირე პრეტენზიებიც კი, პირველ რიგში ის, რომ პარლამენტმა მეფის მიერ სახსოვების ხარჯვაზე კონტროლის უფლება ითხოვა. ოქსფორდის პარლამენტს არც უესტმინსტერის პარლამენტის უკანონოდ და სახელმწიფოს მოღალატედ გამოცხადებამ უშველა. „მე მოხარული ვარ იმით, რომ მოვიშორე ჩვენი უჯიშო პარლამენტი, ეს მდაბალი და მეამბოხე თავყრილობა“, — წერდა მეფე დედოფალს.

ესექსს, უოლერს, მანჩესტერს ძალთა კონსოლიდაციის შემთხვევაში ადვილად შეეძლოთ მეფის ძლევა. მოხდა პირიქით — პარლამენტის ძალები დაისაქსნენ. მანჩესტერი აღმოსავლეთ საგრაფოებში ორი თვე უქმად იდგა. პარლამენტმა ესექსი დევონშირში და უფრო შორს — კორნუოლში გადაისროლა, მათი როიალისტებისაგან გაწმენდის მიზნით. (29 ივნისს მეფემ შესძლო მარტოდ დარჩენილი უოლერის დამარცხება ბანბერთან.)

ესექსმა დევონშირში რამდენიმე წარმატება მოიპოვა: გაანთავისუფლა ლიმი, დაიკავა უემაუტი, ემუქრება ეკზესტერს. აქ იმყოფებოდა მშობიარე დედოფალი (შეეძინა ქალიშვილი — შემდგომში ჰერცოგინია ორლეანისა). დატყვევებით შეშინებულმა ჰენრიეტა-მარიამ

დატოვა ინგლისი და ევროპაში გაემგზავრა. ამიერიდან იგი თავის მეუღლეს ჩარლზ I-ს აღარ შეხვედრია.

(12 ივლისს მეფე დაედევნა ესექსს, რომელიც უკვე მეფის მომხრეთა ტერიტორიაზე—კორნუოლში იმყოფებოდა. ესექსმა პარლამენტს სასწრაფოდ მსტოვარი გაუგზავნა და დამარცხებულ და უჯარო უოლერის სახით დამხმარე ძალა ითხოვა. აგვისტოს ბოლოს ლოსტუიზილის უურეში ესექსმა სასტიკი მარცხი განიცადა. არმია განადგურდა, ქვეითმა ჯარმა, რომელსაც ფილიპე სკიპონი მეთაურობდა 2 სექტემბერს იარაღი დაყარა (ტყვეები მეფემ გაუშვა. მათი შენახვის თავი არ ჰქონდა), უილიამ ბალფურმა 2 000 ცხენოსნით შეძლო პლიმუტში გაჭრა. ესექსმა ნავით უშველა თავს.)

(მეფემ, რომელიც ჩრდილოეთიდან დახმარებას ელოდა, ლონდონზე გალაშქრება განიზრახა. პარლამენტმა ესექსს, უოლერს, მანჩესტერს, კრომველს, სკიპონს და სხვ. უბრძანა მისთვის გადაეჭრათ გზა, არ მიეცათ საშუალება რუპერტთან შეერთებისა და იგი „ტომარაში" მოექციათ. 27 ოქტომბერს ნიუბერთან გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა (ნიუბერის მეორე ბრძოლა). გენერალთა შორის თანხმობა არ იყო, უველაზე უფრო მეტად ცოდავდა მანჩესტერი, რომელიც საერთოდ ამ ბრძოლაში მონაწილეობას დიდი უოყმანის შემდეგ დათანხმდა. მეფე დაუსხლტა გაცილებით მრავალრიცხოვან მტერს და ოქსფორდში შევიდა, როგორც გამარჯვებული. მეტიც, რამდენიმე დღის შემდეგ მან შეძლო შეუფერხებლად უკან დაბრუნება და თან წაიღო ციხესიმაგრე დონინგტონ- კასლში დატოვებული დიდი სამხედრო მარაგი.

10 ნოემბერს სამხედრო საბჭოს სხდომაზე მანჩესტერმა კატეგორიულად უარი თქვა დადევნებოდნენ მეფეს. კრომველმა დაგმო მთავარსარდლის ეს პოზიცია; კონფლიქტი კრომველსა და მანჩესტერს შორის გაღრმავდა. ეს არ იყო კონფლიქტი მხოლოდ ორ პიროვნებას შორის, გარდინერის სიტყვებით რომ ვთქვათ, კრომველი ებრძოდა არა პიროვნებას, არამედ სისტემას, ეს იყო კონფლიქტი პრესბიტერელებსა და ინდეპენდენტებს შორის.)

II. ოლივერ კრომველი და „ახალი ნიმუშის არმია"

ჯონ ჰემპდენის დაღუპვისა და ჯონ პიმის გარდაცვალების შემდეგ პარლამენტში ლიდერობა დროებით ჰენრი ვენმა და სენტ-ჯონმა იკისრეს. მაგრამ სულ მალე მოვლენათა მსვლელობის სათავეში აღმოჩნდა 45 წლის გენერალ-ლეიტენანტი, პარლამენტის წევრი, ინდეპენდენტი ოლივერ კრომველი.

მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი და საინტერესო პიროვნება ოლივერ კრომველი დაიბადა 1599 წლის 25 აპრილს, აღმო-

საველეთ ინგლისში, ჰენტინგტონში, ამავე სახელწოდების საგრაფოს ცენტრში, საშუალო შეძლების სოფლის ჯენტლმენის, მიწათმფლობელის რობერტ კრომველის ოჯახში. თვითონ ოლივერ კრომველიც, ტიტულით სკუაირი, აღიზარდა როგორც წარმოების კაპიტალისტურ წესს ზიარებული სოფლის აზნაურის — ჯენტრის ტიპური წარმომადგენელი, იგი მოწმე იყო მამის დაუღალავი შრომისა, იმისა, თუ როგორ აგვარებდა იგი სამეურნეო თუ ფინანსურ საქმეებს მოიჯარეებთან, როგორ ამყარებდა ვაჭრებთან კონტაქტს, როგორ ყიდდა მატყლს, ხორცს და სასოფლო-სამეურნეო თუ სხვა პროდუქტს. ოლივერის დედაც ელისაბედ სტიუარტი (სტიუარტთა სამეფო გვართან მას კავშირი არა აქვს) ახალი თავადაზნაურობის ტიპური წარმომადგენელია. ეს გამრჯე და საქმიანი ქალი ოჯახთან ერთად წარმატებით ვაჭრობს — უძღვება ლუდის საკუთარ წარმოებას. ოლივერ კრომველი ფანატიკოსი პურიტანი იყო. ეს თვისებაც მას ოჯახმა შესძინა. კერძოდ, ღრმად მორწმუნე პურიტანმა მამამ, რომელმაც ოლივერს პატარაობიდანვე შთაუნერგა სიყვარული ბიბლიისადმი, პურიტანული მორალი და სიმკაცრე, პაპის, როგორც „ეშმაკისეულის" და „ანტიქრისტეს" მიმართ ღრმა სიძულვილი, სრული თავისუფლება რწმენის სფეროში (აქედან თავიდანვე სიძულვილი სამეფო აბსოლუტიზმის, ანგლიკანური ეკლესიის და ეპისკოპოსების მიმართ) და სხვ. მამამ შეაჩვია კრომველი შრომას, მომჭირნეობას, კომერციას (აქედანვე დაჰყვა მას სიძულვილი ფეოდალური უსაქმურობისა და მფლანგველობისადმი).

პურიტანიზმისადმი ერთგულება კრომველების ოჯახში მარტო რელიგიური რწმენის გამოვლენა როდი იყო, მას თავისი ისტორიულ-მატერიალური საფუძველიც ჰქონდა. კრომველები ხომ რეფორმაციის შედეგად დაწინაურდნენ, სამონასტრო მიწების შესყიდვის შედეგად. ოლივერ კრომველის წინაპარს (მამის პაპა) წარმოშობით ვალიელს მორგან უილიამსს ცოლად შეურთავს ჰენრი VIII-ის ყოველისშემძლე მინისტრის, რეფორმაციის ერთ-ერთი ბურჯის — ტომას კრომველის (ყოფილი მემაუდე) უფროსი და. მათი შვილი (კრომველის პაპა) დიდი ბიძისა და მფარველის გვარზე დაწერილა და ისიც სამონასტრო მიწების შესყიდვით გამდიდრებულა. ოლივერის მამის რობერტ კრომველის მიწა-მამული და სიმდიდრე ასეთივე წარმომავლობის იყო. კათოლიციზმის აღდგენის შემთხვევაში იკარგებოდა მიწა, ჯენტლმენობა, პრივილეგიები ანუ ყველაფერი. კრომველის მშობლებს შვიდი ქალიშვილი ჰყავდათ. ოლივერი ერთადერთი ვაჟიშვილი იყო (ორი უფროსი ძმა ადრე გარდაიცვალა) და ამიტომ ოჯახში განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა. პირველდაწყებითი განათლება კრომველმა მიიღო მშობლიურ ქალაქში, მისი მასწავლებელი იყო ცნობილი პურიტანი დოქტორი ტომას ბირდი. 17 წლის კრომველი 1618 წლის 23 აპ-

რილს უმაღლესი განათლების მისაღებად მიემგზავრება ძველ საუნივერსიტეტო ქალაქში — კემბრიჯში და სიდნეი სერექსის პურიტანულ კოლეჯში იწყებს სწავლას. იგი მეცადინეობდა დოქტორ სამუელ უორდის ხელმძღვანელობით.

1617 წელს მოულოდნელად გარდაიცვალნენ კრომველის მამა და პაპა (დედის მამა). 7 ქალიშვილით (მათ შორის მხოლოდ ერთი იყო გათხოვილი) მარტო დარჩენილ დედას შვილა ჰირდება. ოლივერი წყვეტს სწავლას, ოჯახს და მეურნეობას უბრუნდება. მისი ყურადღების ცენტრში იყო ცხვრის მოშენება.

1619 წელს კრომველი ლონდონში მიემგზავრება იურიდიული განათლების მისაღებად. იურიდიული ცოდნა მემამულე-სკუაირისათვის, რომელიც ეწეოდა რთულ სამიწათმოქმედო და კომერციულ საქმიანობას, აუცილებელი იყო. ამავე დროს მას ევალებოდა ადგილობრივი მოსამართლის ფუნქციაც. მოსალოდნელი იყო მისი არჩევა პარლამენტში, აქაც იურიდიული განათლება იყო საჭირო. ამ მან გაიცნო და 1620 წლის 22 აგვისტოს ცოლად შეირთო ლონდონელი ვაჭრისა და ესექსელი მესაკუთრის ჯეიმზ ბურჩერის ქალიშვილი ელისაბედი (ვაჭრის ოჯახთან დამოყვრება — ესეც ტიპურია ახალი თავადაზნაურობისათვის). მათი ქორწინება ბედნიერი აღმოჩნდა. კრომველს მხურვალედ უყვარდა მეუღლე, რომელმაც ათი შვილი შობა (შერჩათ 8, ორი ადრევე გარდაიცვალა). ეს იყო შესანიშნავი მეუღლე, დედა, დიასახლისი, ჭკვიანი, უპრეტენზიო, მშრომელი ადამიანი, რომელიც მარად ერთგული იყო ქმრისა და არასოდეს ერეოდა მის რელიგიურსა თუ პოლიტიკურ მოღვაწეობაში. თავის მხრივ კრომველიც სანიმუშო მეუღლე და მამა იყო. კრომველის სიმამრი პარლამენტის წევრი და მომრიგებელ-მოსამართლე იყო. მან ქალიშვილს საკმაოდ დიდი მზითვი გაატანა.

ამრიგად კრომველმა სისტემატური განათლება ვერ მიიღო, ადრევე მოეკიდა შრომასა და ოჯახს. კრომველის შესახებ ხშირად წერდნენ (განსაკუთრებით მოწინააღმდეგენი), რომ იგი გონებრივ შრომას ფიზიკურ წვრთნას და ათლეტურ ვარჯიშს ამჯობინებდაო. ეს არაა მართალი: კრომველს თავისი დროისათვის საკმაოდ კარგი განათლება ჰქონდა, როგორც საერო, ასევე სასულიერო. მაგალითად, იგი არცთუ ცუდად ფლობდა ლათინურს და შეეძლო ელჩებთან ამ ენაზე საუბარიც კი. მან საპარლამენტო მოღვაწეობაში საკმაოდ დამაჯერებლად განაგრძო ტრადიციები, პოლიტიკისა და იურიდიული აზროვნების ისეთი ტალანტების მიერ დანერგილი, როგორებიც იყვნენ ედუარდ კოკი, ჯონ ელიოტი, ჯონ პიმი და სხვ.

კრომველი მუდამ გამოირჩეოდა შესანიშნავი ფიზიკური და ათლეტური მონაცემებით. ხალგაზრდობაში იგი გატაცებული იყო ნადირობით, ჯირითით, ცურვით, სროლით, ისრის ტყორცნით, ბურთაობით,

ფარიკაობით. კარგი ცხენი და იარაღი კრომველის განსაკუთრებული გატაცების საგანს წარმოადგენდა. იგი თავის ოჯახში ერთ-ერთ საუკეთესო ცხენოსნად ითვლებოდა. ამ წრთობამ თავი იჩინა კრომველის სამხედრო მოღვაწეობის პერიოდში. მან ახალგაზრდობაშივე შეიძინა სამხედრო საქმის ცოდნა. იგი მსახურობდა ადგილობრივ მილიციაში, დაინტერესებული იყო გუსტავ-ადოლფის პიროვნებით, მისი სამხედრო თეორიით. კრომველი იცნობდა „30-წლიანი ომის“ გამოცდილებას სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის საქმეში. იგი ავლენდა ისტორიის საკმაოდ კარგ ცოდნას, რაც მისთვის, როგორც პოლიტიკოსისათვის, დიდი იარაღი იყო.

წინაპრების შემდეგ კრომველი კვლავ სოფელს და მეურნეობას უბრუნდება. 1631 წელს მან გაყიდა (1800 გირვანქა სტერლინგად) თავისი მამული ჰენტინგტონში და იჯარით აიღო მამული-ფერმა სენტ-ივში. 1632 წელს მან გარდაცვლილ ბიძისაგან — ტომას სტიუარტისაგან მიიღო საკმაოდ სოლიდური მემკვიდრეობა ილში (მეზობელ კემბრიჯშირში), სადაც ცხოვრობდა 1646 წლამდე, ლონდონში საცხოვრებლად გადასვლამდე. აღსანიშნავია, რომ ილში კრომველის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა საეკლესიო მეათედი (ტომას სტიუარტი ილის ტაძრის წინამძღოლი იყო). შეიძლება ამით აიხსნას ის, თუ რატომ იყო კრომველი შემდგომში ესოდენ დიდი წინააღმდეგი ამ გადასახადის გაუქმებისა.

ბიოგრაფები მტრულ ბანაკიდან ხშირად მიუთითებენ კრომველის ამორალიზმის შესახებ, რაც აშკარა ცილისწამებაა (ამას ბრიტანეთის ენციკლოპედიაც ადასტურებს). ნაპოლეონს უთქვამს: ხელისუფლებისათვის დაბადებული ადამიანისათვის პატიოსნება ბუნებრივ თვისებას უნდა წარმოადგენდეს. კრომველი ამ თვისებით იყო დაჯილდოვებული და ზოგჯერ უკიდურესადაც კი, როგორც ჩანს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პურიტანულ-რელიგიურმა მკაცრმა აღზრდამ და მშრომელი ოჯახის მაგალითმა. კრომველის ბიოგრაფიაში ცნობილია ფაქტი, როცა მან ერთ სკუაირს ორი წლის შემდეგ დაუბრუნა ბანქოში მოგებული ფული. საჭიროა ხაზი გაესვას კრომველის კიდევ ერთ თვისებას — ხასიათის უდიდეს სიმტკიცეს მიზნის განხორციელების დროს. „ბიბლია უნდა გიყვარდეს, ამავე დროს თოფის წამალი მუდამ მშრალი უნდა გქონდეს“, — ამბობდა იგი.

პოლიტიკურ ასპარეზზე კრომველი 1628 წლიდან გამოდის, როცა მას ჰენტინგტონის მოსახლეობა პარლამენტის წევრად ირჩევს. აქ იგი პოლიტიკური აქტიურობით არ გამოირჩევა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 20 ოქტომბერს წარმოთქმულ მის მოკლე სიტყვას: კრომველი თავს დაესხა ოფიციალურ ეკლესიას, კერძოდ, მის წარმომადგენელს

ეპისკოპოს უინჩესტერს, რომელიც ილაშქრებდა მისი ყოფილი მასწავლებლის, პურიტან ტომას ბირდის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, 1628 წელს პარლამენტს კრომველის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი მისთვის გახდა დიდი პოლიტიკური სკოლა. კრომველი აქ მოვიდა, როგორც სოფლელი, მისტიკოს-პროტესტანტი სკუაირი, რომლის სიძულვილი არსებული სისტემის მიმართ მხოლოდ რელიგიური ფანატიზმით იყო შემოფარგლული. აქედან წაიყვანა, როგორც პოლიტიკური ბრძოლის თეორიითა და პრაქტიკით შეიარაღებული პიროვნება. მან ბევრი რამ ისწავლა ოპოზიციის გამოჩენილი მოღვაწეების: ედუარდ კოკის, ჯონ ელიოტის, ჯონ ჰემპდენის, ჯონ პიმისა და სხვათა მეშვეობით. აქ მას საბოლოოდ განუმტკიცდა შეურიგებელი სიძულვილი აბსოლუტიზმისადმი. მის მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა ელიოტის მგზნებარე სიტყვები: „ამ კამათში (მეფესა და პარლამენტს შორის — გ. კ.) საქმე ეხება არა მარტო ჩვენს ქონებას და მამულს, არამედ დგება ყოფნა-არყოფნის საკითხი ყველაფერი იმისა, რასაც ჩვენ ჩვენად ვთვლით, ყველა იმ უფლებებისა და პრივილეგიისა, რომლის წყალობით ჩვენი წინაპრები თავისუფალნი გახდნენ". საბოლოოდ აქვე გამოუმუშავდა ეპისკოპალური, ოფიციალური ეკლესიის დანგრევის აუცილებლობის შეგნება, აქვე განუმტკიცდა მას ფანატიკური მოწიწება და ერთგულება საკუთრებისადმი, როგორც საზოგადოების ძირითადი საფუძვლისადმი. კრომველზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა პარლამენტის მიერ 5 ივნისს მიღებულმა დეკლარაციამ, რომელიც საკუთრების უფლების დაცვას ითვალისწინებდა. აქ ნათქვამია: „ქვეშევრდომებს თავიანთ ქონებაზე აქვთ საკუთრების შეუზღუდველი უფლება... კანონი იცავს, როგორც წმიდათაწმინდას „ჩემსა" და „შენზე" გაყოფას, რომელიც წარმოადგენს შრომისმოყვარეობის მარჩენალს და გმირობის დედას... „ჩემად" და „შენად" დაყოფის გარეშე სახელმწიფოში ვერ იარსებებს ვერც კანონი, ვერც მართლმსაჯულება, რადგან საკუთრების დაცვაში გამოიხატება ერთისა და მეორის არსებობის ჭეშმარიტი არსი". ამ სიტყვებმა კრომველზე, მსოფლიო ისტორიაში საკუთრების ერთ-ერთ ყველაზე დიდ დამცველზე, ბიბლიური ძალით იმოქმედა. საკუთრების წმიდათაწმიდობა, მისი შეუზღუდველობა, და ხელშეუხებლობა — აი, რა იყო კრომველის პოლიტიკური რელიგიის მთავარი დოგმა. აი, რატომ დეენიდა ესოდენ დიდი სიმკაცრით რევოლუციური ინგლისის სათავეში მდგომი კრომველი ყველას, ვინც ხელყოფდა, თუნდაც ოდნავ, ახალი ეპოქის ახალ ღვთაებას — საკუთრებას.

უპარლამენტოდ მმართველობის პერიოდში კრომველი სოფლის სკუაირის ცხოვრებას მისდევს. მას აღიზიანებს აბსოლუტიზმისადმი ხანგრძლივი დამორჩილების აუცილებლობა და შესაძლებლობისამებრ

არსებული სისტემისადმი შეურიგებლობას საქმითაც ავლენს. ჯერ იყო და, მან კატეგორიული უარი თქვა რაინდად კურთხეულიყო, რისთვისაც ხელისუფლების გულისწყრომა და დიდი ჯარიმა დაიმსახურა, შემდეგ მას ვხედავთ წვრილ მიწათმფლობელთა, მოიჯარეთა და ღარიბ გლეხთა დამცველის როლში. იგი ებრძვის ლორდ ბედფორდს და ჭაობების ამომშრობ მის კომპანიას. ბედფორდს შესაფერისი პატენტი მეფისგან ჰქონდა შეძენილი, ამიტომ ბედფორდის მთელ საქმიანობას კრომველი განიხილავდა როგორც სამეფო აბსოლუტიზმის თვითნებობის გამოხატულებას. ღარიბთა მფარველობა კრომველისათვის ადრევე იყო დამახასიათებელი, ჯერ კიდევ ჰენტინგტონში. ამ ნიადაგზე მას კონფლიქტი ქონდა ქალაქის მმართველობასთან. იგივე პოლიტიკას განაგრძობდა იგი მომრიგებელ-მოსამართლის პოსტზეც.

ღრმად რელიგიური, თითქმის „წმინდანად" აღიარებული, ჩაგრულთა მფარველი კრომველი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. მას საბოლოოდ განუმტკიცდა ურყევი, ამ შემთხვევაში თითქმის მისტიკური რწმენა იმისა, რომ იგი ღმერთმა აირჩია, რომ იგი მისი იარაღია და მოქმედებს მისი სახელით და მისი საქმისათვის. თანამედროვეთა შორის გავრცელებული იყო ლეგენდა, რომლის თანახმად კრომველს ბავშვობაში გამოეცხადა ღვთაებრივი ძალა, რომელმაც უწინასწარმეტყველა დიდი საქმენი და დიდი ადამიანობა (როგორც თავის დროს ჟანა დ'არკს). იგი ყოველ ბრძოლაში ებმებოდა რწმენით „ღმერთი ჩვენთანაა". მარსტონ-მურის ბრძოლის წინ კრომველი გაუჩინარდა. იგი იპოვეს ერთ-ერთი შენობის სხვენში, განმარტოებულ ოთახში ბიბლიით ხელში — ლოცვად დამხობილი. ყოველი ბრძოლის წინ, როგორც წესი, კრომველი ხანგრძლივად ლოცულობდა. ხშირად რაიმე პრობლემის გადაწყვეტისას იგი მიმართავდა ღმერთს — პასუხი მუდამ ემთხვეოდა კრომველისეულ წინადადებას ან მოსაზრებას. ამ ვითარებას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი, როგორც კრომველის მოღვაწეობის გარკვევის ერთ-ერთ არსებით საშუალებას. კრომველს სწამდა ის, რასაც აკეთებდა. ამით აიხსნება ის საოცარი სიმტკიცე და შეუპოვრობა, რომლითაც იგი დასახულ მიზანს ახორციელებდა. ამასთან ერთად ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ მას სჯეროდა მისი საქმის სამართლიანობისა. კრომველს ღრმად რელიგიურობა, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, სრულიადაც არ უშლიდა ხელს ყოფილიყო რეალისტი, პრაქტიკოსი, იგი მოქმედებდა დევიზით — „ღმერთის იმედი იქონიე, მაგრამ თავადაც მარჯვედ იყავი".

[1640 წელს მას ირჩევენ „ხანმოკლე პარლამენტში", ამჯერად კემბრიჯშირიდან. იქიდანვე აირჩიეს იგი „ხანგრძლივი პარლამენტის" წევრად, სადაც მისმა ნიჭმა ფართო გასაქანი პოვა.]

ერთხელ, როცა უესტმინსტერში შემოვიდა საშუალოზე მაღალი, მხარბეჭიანი ათლეტი, მზისგან დამწვარი, უხეში, ფართო, ენერგიული სახით, დიდი ცხვირით (მოწინააღმდეგენი ამას იყენებენ, როგორც დაცინვის ობიექტს), ხშირი დაფანჩული წარბებით, პირქუში გამომეტყველებით, გონიერი თვალებით, რომლებიც ზოგჯერ ცეცხლს აფრქვევდნენ და მათ მზერას იშვიათად თუ უძლებდა ვინმე, გრძელი, მხრებამდე ჩამოზრდილი თმებით (კრომველი თვითონ „მრგვალთავიანი“ არ იყო), მაღალი, მჭახე ხმით, განუყრელი დაშნით, უხეშ ქსოვილისაგან უგემურად შეკერილ კოსტიუმში გამოწყობილი კრომველი, არისტოკრატმა ლორდმა დიგბიმ ჰკითხა გვერდზე მდგომ ჰემპდენს: „ვინ არის ეს გლეხი?“ ჰემპდენს პასუხად უთქვამს: „თუ მეფესთან განხეთქილება მოხდა, მაშინ ეს მოუხეშავი გლეხი ინგლისში პირველ კაცად მოგვევლინება“.

სანამ სადავო საკითხებს ორატორული ხელოვნება და იურისპრუდენციაში გაწაფულობა წყვეტდა, კრომველი არ იდგა პირველთა შორის. 1642 წლის იანვარში დასაპატიმრებელ ლიდერთა სიაში მისი სახელი არ ჩანს, მაგრამ, როცა მუზების ნაცვლად ზარბაზნები ალაპარაკდნენ, როცა უპირატესობა მიენიჭა საქმეს და არა სიტყვას, კრომველი თავის სტიქიაში აღმოჩნდა.

მის მიერ შექმნილი სამხედრო შენაერთი სანიმუშო იყო და ყველგან წარმატებით მოქმედებდა. მისი რაზმი ჯანსაღი, რევოლუციურ სელექციის საფუძველზე იყო შერჩეული. იგი დაკომპლექტებული იყო ჰენტინგტონელ და კემბრიჯელ მოხალისე ფრიჰოლდერებისა, იომენებისა და ხელოსნებისაგან. რაზმის შესაქმნელად კრომველმა თავისი ქონების დიდი ნაწილი დახარჯა. თავისი შესაძლებლობანი კრომველმა განსაკუთრებით ფართოდ „აღმოსავლეთ ასოციაციაში“ საქმიანობისას გამოავლინა. აქ იგი იყო ყველა წამოწყებათა კეშმარიტი სულისჩამდგმელი. იგი აყალიბებდა სამხედრო შენაერთებს, შოულობდა ფულს, იარაღს, ამუნიციას, ავლენდა და იზოლაციას უკეთებდა როიალისტურ ელემენტებს, წვრთნიდა ჯარისკაცებს, ოფიცრებს. აი, ერთი სამაგალითო სურათი მისი მოღვაწეობისა: თითქმის ერთ და იმავე დროს კრომველმა მოახერხა როიალისტების გამოსვლების ლიკვიდაცია ლოვესტოფტში, კავალერების განიარაღება ლინეში, როიალისტური შეთქმულების აღმოჩენა და სწრაფი ლიკვიდაცია ჰენტინგდონში, მტრის გარნიზონის ხელში ჩაგდება — კროულენდში და სხვ. კრომველი ოფიციალურად ითვლებოდა ასოციაციაში შემავალი ორი საგრაფოს კომიტეტის წევრად, ფაქტიურად იგი ყველა საგრაფოს კომიტეტების მუშაობაში მონაწილეობდა, კრომველი ახორციელებდა კონტაქტს ასოციაციასა და პარლამენტს შორის.

საერთო საქმეში იგი გამოირჩეოდა ყოველგვარი შეღავათის გამორიცხვით. მის ბიოგრაფიაში ცნობილია შემდეგი ფაქტი: რამსეიში მან მოინახულა თავისი ბიძა — ოლივერ კრომველი, მოკითხვისა და სათანადო ნათესაური პატივისცემის გამოხატვის შემდეგ მან პარლამენტის საჭიროებისათვის კონფისკაცია უყო და წაიღო ბიძის საგვარეულო ვერცხლეული.

კრომველის სამხედრო კარიერა თავბრუდამხვევი სისწრაფით იზრდებოდა. 1642 წელს ეჯჰილის ბრძოლაში იგი კაპიტანია და კავალერიის ერთ ესკადრონს (№ 67) მეთაურობს, 1643 წელს იგი პოლკოვნიკია, მაისისათვის მისი რაზმი 700 მებრძოლს ითვლის (12 ესკადრონი), წლის ბოლოს კი — 1100 კაცს (ზოგიერთი ცნობით 2 000). კრომველის მონაწილეობა პირველსავე ბრძოლებში, რომელსაც იგი 1643 წელს ლანკაშირის ტერიტორიაზე აწარმოებდა (გრენტემი — 13 მაისი, ჰენსბორო — 31 ივლისი, უინსბი — 11 ოქტომბერი), დიდი წარმატებებით აღინიშნა. მართალია ამ ბრძოლებს ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგრამ მათ ნათელყვეს კრომველის სამხედრო ტალანტი, მისი რაზმის დიდი ბრძოლისუნარიანობა. კრომველის პოპულარობა ყოველდღიურად იზრდებოდა, მასზე ალაპარაკდა პარლამენტი, არმია და, რაც მთავარია, ხალხი. მისი სახელი ხშირად გაისმის ლონდონის ყოველკვირეულ ბეჭდვით ორგანოებში „პერფეტ დიურნალში“ (The Perfect Diurnall) და „სპეშელ პესეჯში“ (Special Passaque). მარსტონ-მურმა კრომველს წარმოუდგენელი დიდება მოუტანა.

*

სამ საუკუნეზე მეტია აღელვებს შთამომავლობას კრომველის საქმენი. მრავალმა ისტორიკოსმა სცადა კრომველის სახის გამოკვეთა, მაგრამ მისი სრულყოფილი პორტრეტის შექმნა ვერა და ვერ მოხერხდა.

XVII—XVIII საუკუნეებმა კრომველი უპირატესად წარმოაჩინეს როგორც ტირანი, უზურპატორი, პატივმოყვარე კარიერისტი და დემაგოგი. ეს ტენდენცია როიალისტთა ბანაკის ცნობილმა მოღვაწემ და ისტორიკოსმა გრაფმა კლარენდონმა დანერგა. კრომველი მისთვის იყო: „შესანიშნავი გაიძვერა“, „პატივმოყვარე პირფერი“ და სხვ. გარდინერის შეხედულებანი დღესაც გაზიარებულია ბურჟუაზიულ-მემარჯვენული რეაქციული ისტორიოგრაფიის მიერ. კრომველი უზურპატორად და ტირანად მონათლეს აგრეთვე მისმა იდეურმა და პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა თვით რევოლუციონერთა შორის (პრესბიტერელები, ლეველერები, დიგერები და სხვ.)

იგივეს აგრძელებენ XVIII საუკუნის ინგლისელი განმანათლებლე-

ბი და XIX საუკუნის I ნახევრის ლიბერალები. მაგალითად, ვოლტერმა კრომველი წარმოაჩინა როგორც „ნახევრად თაღლითი, ნახევრად ფანატიკოსი“. რევოლუციისადმი უარყოფითად განწყობილი დევიდ იუმი და ინგლისური ლიბერალური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ადრინდელი წარმომადგენელი ჰენრი ჰალამი ოლივერ კრომველს ახასიათებენ როგორც უზურპატორს, უხეშ ფარისეველს, როგორც „გენიალურ ბანდიტს“ და სხვ. XIX საუკუნის პირველ ნახევარში მტრულად განწყობილ ისტორიკოსებს ვერ მოუნელებიათ ის, რომ კრომველმა მონარქია დაამხო და ჩაიდინა მიუტევებელი ცოდვა — მირონცხებულს თავი მოკვეთა. ვიგური მიმართულების ისტორიკოსებს აღაშფოთებს კრომველის დიქტატორული მისწრაფებანი, განსაკუთრებით ის, რომ მან აბუჩად აიგდო პარლამენტი, უცერემონიოდ დაითხოვა იგი.

ზემოაღნიშნული ავტორები კრომველის ერთადერთ დამსახურებად მიიჩნევდნენ იმ დიდ წარმატებებს, რომელსაც მან საგარეო ურთიერთობის სფეროში მიაღწია. საერთოდ ყოველგვარი რევოლუციისადმი და ყველა რევოლუციონერისადმი ფანატიკური შიშით შეპყრობილ ბურჟუა-ფილისტერისა და ობივატელის თვალში ის ფაქტი, რომ კრომველმა გააქტიურა ინგლისის კოლონიური პოლიტიკა, ხელი შეუწყო ინგლისის კოლონიური იმპერიის შექმნასა და განმტკიცებას, გაზარდა ინგლისის საერთაშორისო ავტორიტეტი, მუდამ იყო და დღესაც რჩება კრომველის რეაბილიტაციის ერთადერთ არგუმენტად.

პირველი, ვინც კრომველის რეაბილიტაცია სცადა, ვინც „პროტექტორი ეშაფოტიდან ჩამოხსნა“, როგორც ვიცით იყო გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი-იდეალისტი და ისტორიკოსი ტომას კარლაილი, რომელმაც 1845 წელს გამოსცა კრომველის სიტყვები და წერილები, ანალიზი გაუკეთა მათ და ნათელყო, რომ ჩვენს წინაშეა არა პატივმოყვარე და პირფერი კარიერისტი, არამედ ისტორიის ჭეშმარიტი გმირი. ამ შემთხვევაში ისტორიოგრაფიაში „გმირების კულტის“ სკოლის ერთ-ერთი მამამთავარი შორს წავიდა. კრომველი დახატა როგორც ღმერთის მოვლენილი, სწორედ ისეთი გმირი, რომელიც იმჯერად ინგლისს ჭირდებოდა. კარლაილი იმდენად შორს წავიდა, რომ რევოლუცია მხოლოდ კრომველის სახელს მიაწერა („კრომველიანა“).

კარლაილის ენა მისტიკურობით ხასიათდება, ხშირად იგი კრომველის შეფასებისას ჯანსაღ, არგუმენტირებულ მოსაზრებათა ნაცვლად იყენებს პოეტურ თავისუფლებას, ხშირად კრომველი სიტყვებისა და წერილების ტექსტის თანამიმდევრობას არღვევს პირადი ემოციებითა და ანტიპათია-სიმპათიებით აღსავსე, ზოგჯერ მენტორული რეპლიკებით, შეძახილებებით, კითხვებით, დარიგებებით, დასკვნებით. მიუხედავად ყოველივე ამისა, კარლაილი კრომველიანაში უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია.

უფრო გვიან კრომველის პიროვნების პოზიტიურად შეფასების ცდებს ვხედავთ ჯონ ფორსტერის, სანფორდის, პიკტონის, ფრედერიკ ჰარისონისა და სხვათა ნაწარმოებებში. ინგლისის გარეთ ასეთ ცდას პირველად ადგილი აქვს დიდი ფრანგი ისტორიკოსის ფრანსუა გიზოს შემოქმედებაში. მაგრამ ძველი ტრადიციები მასთან მაინც მოჭარბებულად იჩენენ თავს. მიზეზი ამისა ისაა, რომ გიზო ზედმეტად მუქ ფერებში ხატავს რევოლუციის აღმავალ პერიოდს, რესპუბლიკას, პროტექტორიატს, გმობს რესპუბლიკურ „მკაცრ პოლიტიკურ ტირანიას". მათ შორის „უმაგალითო უკანონობას" — მეფის სიკვდილით დასჯას. გიზოსათვის კრომველი არის „მთავარი დამნაშავე ჩარლზ I-ის დასჯისა და რესპუბლიკის გამოცხადებისა", მან განიცადა საოცარი მეტამორფოზი, „გაქრა რევოლუციონერი — მოამზადა დიქტატორი". ასეთ ვითარებაში კრომველის შეფასებისას გიზო ვერ დარჩებოდა თანამიმდევრულად ობიექტური, მასთან ბევრი რამაა შემორჩენილი ძველ, კარლაილამდელ შეფასებიდან.

ძველი ტრადიციების საფუძველზეა დაწერილი ვილმენის „კრომველის ისტორია", ხოლო მერლ დ'ობინიე თავის მონოგრაფიაში „პროტექტორი" კარლაილის გზას მიჰყვება.

გერმანიაში კრომველს პირველად ლეოპოლდ ფონ რანკემ მიაქცია ყურადღება (თავის „ინგლისის ისტორიაში"). რანკე ცდილობს ობიექტურად, პირველწყაროზე დაყრდნობით წარმოგვიდგინოს კრომველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სურათი, პირველ რიგში, მისი როლი საერთო-ევროპულ პოლიტიკაში.

კრომველის ცხოვრების მეცნიერული შესწავლის საქმეში ბურჟუაზიულ-ლიბერალურ ისტორიკოსთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიდ ინგლისელ ისტორიკოსს სამუელ გარდინერს. კრომველი მისი „ინგლისის რევოლუციის ისტორიის" მრავალტომეულის მთავარი პერსონაჟია, ამასთანავე მან კრომველს მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი „კრომველის ადგილი ისტორიაში" (ლექციების კურსი — 1897). გარდინერი კრომველის პიროვნების შეფასებას ბურჟუაზიულ-ლიბერალურ პოზიციებიდან ახდენს, მისთვის კრომველი „პურიტანული რევოლუციის" ლიდერია, მისი დამსახურება იმაშია, რომ მან სამხედრო ძალაზე დაყრდნობით შეაჩერა რევოლუციის უკიდურესობანი, წაიყვანა იგი ზომიერ-ლიბერალური რეფორმების გზით. გარდინერმა ხაზი გაუსვა „დიდი ტალანტის" — კრომველის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის ალღოს და შემოქმედებით უნარს, რომ კრომველს აბსტრაქტული, ფილოსოფიური გეგმა კი არ ჰქონდა, არამედ იგი პრაქტიკულად ცდილობდა ამ გეგმის განხორციელებას იქ, სადაც მას ბედმა ცხოვრება არგუნა. „მისი რკინის ნებისყოფის ძალა ყოველთვის მიმართული იყო უახლოესი მიზნების მისაღწევად. კრომველმა იცოდა,

რომ უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ინგლისს თავიდან მოვაშოროთ ჩარლზი და ეპისკოპოსები... მართალია, მისი მიზნები არ ხასიათდებოდა მსოფლმხედველობითი მასშტაბებით, მაგრამ მასზე უკეთ არავინ იცოდა მათი მიღწევისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა. არავის არ ჰქონდა ყოველგვარ რუტინისაგან თავისუფალი, უფრო პრაქტიკული გონება, არავინ არ იყო დაჯილდოებული შემსრულებელთა შერჩევის ესოდენ დიდი უნარით", — წერდა გარდინერი. „მისი ზნეობრივი ხასიათის ერთ-ერთი დიდი თვისება იყო ღარიბთა და ჩაგრულთა მიმართ სამართლიანობისადმი უანგარო ერთგულება" — დაასკვნის გარდინერი.

გარდინერის ტრადიციები გააგრძელა და გაალრმავა მისმა მოწაფემ ჩარლზ ფერსმა. მან კრომველი წარმოგვიდგინა, როგორც პიროვნება, რომელმაც აღიარა დემოკრატიზმის ძირითადი პრინციპები, რომელიც იცავდა წესრიგს („ბურჟუაზიულ წესრიგს" — გ. კ.), ებრძოდა ანარქიზმს (ანუ რევოლუციის შემდგომ გაღრმავებას — გ. კ.) და რესტავრაციის საფრთხეს.

XX საუკუნემ, ურთულეს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წინააღმდეგობების საუკუნემ, კრომველის პიროვნების შეფასებაში აზრთა სხვადასხვაობა ჰეშმარიტებასთან ზოგჯერ პოზიტიურ, უფრო ხშირად კი ნეგატიურ მიმართებაში კიდევ უფრო გამოკვეთა. დადებით სიახლეთა შორის აღსანიშნავია კრომველის პიროვნების გააზრება XVII საუკუნის ინგლისის ეკონომიკურ ცხოვრებასთან კავშირში. მაგრამ ამ შემთხვევაშიც აზრთა სხვადასხვაობა კვლავ იჩენდა თავს. კრომველის ცნობილმა ბიოგრაფმა მ. ეშლიმ უპირატესად იგი დახატა, როგორც კონსერვატორი დიქტატორი. შედარებით საინტერესო კონცეფცია განავითარა ჯ. ბუჰაიმ. კრომველი მისი ინტერპრეტაციით წარმოგვიდგება როგორც დიდი ადამიანი, კეთილსინდისიერი. კანონის ერთგული, დადებითი მოღვაწე, რომელსაც ასულდგმულებდა ახალი სამყაროს (პოლიტიკურ და რელიგიურ-მორალურ თვალსაზრისით) შექმნის იდეა. მაგრამ გარემოებათა გამო იგი იძულებული ხდებოდა ემოქმედა თავისი ბუნებისა და სურვილების საპირისპიროდ.

30-იან წლებში ევროპაში ფაშიზმის აღორძინების პირობებში ზოგმა მასში ფაშიზმის და ფაშისტურ დიქტატორთა (მუსოლინი, ჰიტლერი) წინამორბედიც კი დაინახა. კრომველს ხატავენ, როგორც ეროვნულ დიქტატორს, რომლისთვისაც უცხოა პარტიული ან კლასობრივი შეზღუდულობა, რომელიც ცხოვრობს და იღწვის ერის ინტერესებისათვის, რომლის ისტორიულ-ეთოქეტებით ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ნაციონალიზმი და ა. შ. ამ შეხედულებას ავითარებდა, მაგალითად, ჰაინრიხ ბაუერი, გერმან ონკენი და სხვ. ონკენი ხედავდა

მსგავსებას „კათოლიკების წინააღმდეგ პროტესტანტული ქვეყნების კავშირის“ შექმნის კრომველის სურვილსა და ბოლშევიზმის წინააღმდეგ იდეოლოგიური ომის ჰიტლერულ გეგმას შორის. ფრანგი ჯაკ ბელვილი კრომველის „რკინის გვერდიანებს“ ჰიტლერის მოიერიშე რაზმებს ადარებდა. რაღაც ფორმალური მსგავსება მართლაც არსებობდა. კრომველის არმია სამხედროსთან ერთად პოლიტიკურ ძალასაც წარმოადგენდა, ეს იყო შეიარაღებული, გაწვრთნილი, სამხედრო დისციპლინას დამორჩილებული ინდეპენდენტური პარტია. განსხვავება არსებითია. კრომველის არმია სოციალური პროგრესისათვის იბრძოდა, ჰიტლერის მოიერიშენი — რეაქციასა და სოციალურ რეგრესს ემსახურებოდნენ.

ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში ადგილი აქვს თეოლოგიური პოზიციებიდან კრომველის ინტერპრირების არაერთ ცდას (მაგალითად, პული და სხვ.). ამ შემთხვევაში კრომველი წარმოჩენილია, როგორც რელიგიური გმირი, ღვთის ადამიანი, რომელსაც წარმართავს „განგების ძალა“, რომლის მიზანია აღასრულოს მოუწესრიგებელ ქვეყანაში წესრიგის დამყარების მიზნით „ნება ღვთისა“. რაც შეეხება კრომველის მრღვაწეობისათვის ესოდენ დამახასიათებელ წინააღმდეგობებს, იგი წარმოდგენილია, როგორც გარდუვალი დაპირისპირება რელიგიურ იდეალებსა და ამქვეყნიურ რეალურ პოლიტიკურ ღონისძიებათა განხორციელების აუცილებლობას შორის.

ტროველ-როპერისათვის კრომველი არის წარმომადგენელი უკმაყოფილო, ნაწყენი და უხეში „პროვინციული ჯენტრისა“, რომელიც „დამანგრეველი რევოლუციის“ სათავეში აღმოჩნდა. ძალის კულტის თანამედროვე თეორიის მესვეურთათვის კრომველი არის კლასიკური ნიმუში სუპერმენისა. კონსტიტუციალისტები მასში ხედავდნენ პარლამენტარიზმის დიდ ქომაგს, თეოლოგები რელიგიურ გენიას, ღმერთის ჯარისკაცს, ნეოფაშისტები ნაციონალური დიქტატურის მკაფიო მაგალითს და სხვ. მემარჯვენე ისტორიოგრაფია ყოველნაირად ივიწყებს კრომველის მოღვაწეობის იმ პერიოდს, როცა იგი ჰეშმარიტი რევოლუციური შემართებით დემოკრატიულ მასებთან კავშირში ანგრევდა ფეოდალიზმს და აბსოლუტიზმს. მათ აინტერესებთ კრომველი ერთმმართველი, როცა მან ბურჟუაზიული საზოგადოების დაცვა იკისრა და წერტილი დაუსვა რევოლუციის შემდგომ გაღრმავებას, პირველ ყოვლისა, მისი ყოფილი მოკავშირის, ინგლისელი ხალხის რევოლუციური ენთუზიაზმის უმკაცრეს პირობებში ჩახშობის გზით.

ამრიგად, უხეშად რომ ვთქვათ, კრომველის პორტრეტს ვისაც როგორ სურს ისე ხატავს — პარტიულ, პოლიტიკურ, რელიგიურ, ნაციონალისტურ თუ სხვა ხასიათის სუბიექტივისტურ მოსაზრებათა შესაბამისად.

• •

კრომველის პიროვნების დამაჯერებელი, მეცნიერულად სრულყოფილი წარმოჩენა მხოლოდ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის კლასობრივ ასპექტში გააზრების საფუძველზეა შესაძლებელი. ამ შემთხვევაში, ცხადია, გადამჭრელი სიტყვა მარქსისტულ ისტორიოგრაფიას, პირველ რიგში მის ავანგარდს — საბჭოთა ისტორიოგრაფიას ეკუთვნის.

ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შ. ა. ბარგის სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი — „კრომველი და მისი დრო" («Кромвель и его Время», М., 1960); ყურადღებას იპყრობს ტ. ა. პაელოვას გამოკვლევა — „ოლივერ კრომველი, ადამიანი და პოლიტიკოსი" («Новая и новейшая история,» 1971, № 1, № 2), მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე ნაშრომის შექმნა ინგლისშიც მოსინჯეს, ამ მხრივ საინტერესოა ჰილის „ოლივერ კრომველი" (ლონდონი, 1958.) და სხვ.

კლასობრივი ანალიზის საფუძველზე კრომველის პიროვნების გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფ. ენგელსისეულ ცნობილ დებულებას, რომლის თანახმად კრომველი ერთი ადამიანის სახით ათავსებდა რობესპიერსა და ნაპოლეონს. ეს ფორმულირება, პირველ ყოვლისა, საშუალებას გვაძლევს ავხსნათ კრომველის წინააღმდეგობრივი ურთულესი ბუნება, მისი შეხედულებების, ვნებათა ღელვისა და ქცევათა ხშირი ცვლა.

კრომველი თავისი კლასის (ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის) ტიპური წარმომადგენელია. მისი მოღვაწეობა განუყრელადაა დაკავშირებული ამ კლასის ინტერესებთან, მისწრაფებებთან. კრომველის პიროვნება განუყრელია ბურჟუაზიული რევოლუციისაგან. რევოლუციის პროცესი, რევოლუციის ამოცანები კარნახობდა კრომველს, იგი განაპირობებდა მის მოქმედებას. კრომველი რევოლუციამ შექმნა, მაგრამ იგი მეტად აქტუალური, ძლიერი შემოქმედი იყო. იგი თავის მხრივ გავლენას ახდენდა მის შემოქმედ გარემოზე — რევოლუციაზე. ზოგ შემთხვევაში იგი, გარკვეული გაგებით, ამ რევოლუციის შემოქმედთაც კი გვევლინება.

კრომველს მუდამ ახასიათებდა საკუთარი კლასის, პარტიისა და რევოლუციისადმი პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა. ამით იყო პირობადებული ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის სამსახურში, მათ საქმეთა აღსრულებაში გამოჩენილი „დიდი ხასიათი" და მისი ხშირი ცვლილება, რაც მოწინააღმდეგე ბანაკმა „დიდი უხასიათობათ" მონათლა.

კრომველი რევოლუციის პირველ ეტაპზე რობესპიერის როლში

მოგვეელინა. მან შესძლო რევოლუციური ძალების, პირველ ყოვლისა, მასების მობილიზება და რევოლუცია საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა. ხალხის ხელით, პლებეური მეთოდებით უზრუნველყო ბურჟუაზიის გამარჯვება, მაგრამ სულ მალე იგი დაუპირისპირდა ამ ძალას, როცა ხალხმა საკუთარი „მე“ გამოავლინა და საკუთარი მოთხოვნები წამოაყენა. სახალხო მოძრაობის დიდი აღმავლობა აშინებს არა მარტო პრესბიტერელებს, არამედ ინდეპენდენტებსაც. ისინი ყველაფერს მიმართავენ იმისათვის, რომ ბოლო მოუღონ ამ საფრთხეს, აღადგინონ „ბურჟუაზიული წესრიგი“, უზრუნველყონ საკუთრების ხელშეუხებლობა და უსაფრთხოება. კრომველმა და ბურჟუაზიის გაბედულმა, რევოლუციურმა ნაწილმა სულ მალე გაწირა თავისი მოკავშირე — რევოლუციური ხალხი. კრომველი დარწმუნდა, რომ მოკავშირე კლასებს გამარჯვების შენარჩუნებისათვის სჭირდებოდა ძლიერი ხელისუფლება. თავდაპირველად კრომველი მონარქიის აღდგენაზეც კი ფიქრობს და პირველი სამოქალაქო ომის დამთავრებისთანავე, ერთი შეხედვით კურიოზულ ღონისძიებას მიმართავს — მეფესთან მოლაპარაკებას იწყებს. „სამეფო ხელისუფლების აღდგენის გარეშე, — ამბობდა კრომველი, — არავის არ შეუძლია დამშვიდებით იცხოვროს და ისარგებლოს თავისი საკუთრებით“. ამან მემარცხენე ძალების, პირველ რიგში, არმიის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. კრომველმა, როგორც რეალურმა პოლიტიკოსმა, დროზე შეწყვიტა მეფესთან სახიფათო თამაში. მას ყველაზე უფრო აშინებდა უკმაყოფილება არმიისა, რომელიც წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ძალას და ხელისუფლების აუცილებელ საყრდენს.

წესრიგის აღმდგენის როლი კრომველმა მეფის სიკვდილით დასჯის შემდეგ თვითონვე იკისრა. ამიერიდან იგი ნაპოლეონის როლში მოგვეელინა, ვითარცა სამხედრო დიქტატორი. მან დაამუხრუჭა რევოლუცია, მოახდინა მისი კონსერვაცია, წერტილი დაუსვა რევოლუციას და მისგან შეინარჩუნა მხოლოდ ის, რაც გამარჯვებულ „მოკავშირე კლასებს“ აწყობდა.

რას ნიშნავდა კრომველის ეს მეტამორფოზი. რით უნდა ავხსნათ ის, რომ „მეფის მკვლელი“, დესპოტიზმისა და ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლი კრომველი, თვით მოგვეელინა იმავე როლში, რატომ შეცვალა რობესპიერი ნაპოლეონმა? პარლამენტის ტრიბუნიდან იგი სასტიკად გმობდა ფუფუნებას, კარის მფარველობას, ხმალამოწვდილი იგი თავის ჯარისკაცებს მოუწოდებდა შეემუსრათ ტირანი და ანტიქრისტე, იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის ვინც მეფეს, როგორც ხალხისა და სახელმწიფოს მოღალატეს, სიკვდილი მიუსაჯა, ვინც თავგამოდებით იცავდა დემოკრატიას და სახალხო სუვერენიტეტს, ხოლო შემდეგ პროტექტორის პოსტზე თვით მოგვეელინა

„უგვირგვინო მეფის“ როლში. პირადი, აბსოლუტურად შეუზღუდველი ხელისუფლება (რომლის მსგავსს ვერც ერთი მონარქი ვერ ინატრებდა) მან ჭეშმარიტად მეფური დიდებით შემოსა და სულ მალე მას შემკვიდრეობითი ხასიათიც კი მისცა. მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ხალხის უფლებებს, დემოკრატიას, ჭეშმარიტ რესპუბლიკელებს, განსაკუთრებით მემარცხენე-დემოკრატ-ლეველერებს და უკიდურეს მემარცხენეებს, პრიმიტიულ კომუნისტებს — დიგერებს. დევნილთა შორის აღმოჩნდნენ მისი თანამებრძოლები ჰენრი ვენი, რობერტ ოვერტონი, ჯონ ლილბერნი და სხვ. იყო დრო როცა კრომველი თავგამოდებით იცავდა ლილბერნს, მის ციხიდან განთავისუფლებას ითხოვდა. სამოქალაქო ომების დამთავრების შემდეგ კი სასტიკად დევნის მას. 1647 წლის გაზაფხულზე საკუთარი ხელით ჩაახშო ლეველერთა გამოსვლა უერში, 1649 წელს პირადად ხელმძღვანელობდა ლეველერთა მაისის ამბოხების დახვრეტას და სხვ. ასევე დაუნდობლად დევნიდა იგი უმდაბლესი ფენების იდეოლოგებს — დიგერებს. ამიტომ რესპუბლიკელებს, ლეველერებს, დიგერებს და სხვ. სრული უფლება ჰქონდათ კრომველისათვის ეწოდებინათ „პირფერი ტირანი“, „ბოროტმზრახველი უზურპატორი“, პიროვნება, რომელიც რევოლუციას, რევოლუციურ ფრაზეოლოგიას იყენებდა პირადი მიზნებისათვის, კარიერისათვის, გამდიდრებისათვის, ხელისუფლებისათვის და სხვ.

მაგრამ ფაქტიურად კრომველი აკეთებდა იმას, რასაც მას კარნახობდა ბურჟუაზიულ-რევოლუციონერის ალღო. ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნა მისი სუბიექტური მისწრაფების ნაყოფი როდი იყო, ამ შემთხვევაში ეს ნაკარნახევი იყო ობიექტური პირობებით — გამარჯვებული ბურჟუაზიის საჭიროებისათვის. იგი დაეყრდნო ხალხს, დემოკრატიას, მერე კი დაუპირისპირდა და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა მას. ესეც ნაკარნახევი იყო ობიექტური პირობებით — გამარჯვებული ბურჟუაზიის საჭიროებისათვის. კრომველი, როგორც ბურჟუაზიული რევოლუციონერი თვლიდა, რომ რევოლუციამ თავის კულმინაციას და საბოლოო მიზანს მიაღწია, რესპუბლიკა გამოაცხადა, მეფე სიკვდილით დაისაჯა, ლორდთა პალატა გაუქმდა. ყოველივე ეს მოკავშირე კლასებს და მის ლიდერს — კრომველს რევოლუციის უკიდურეს საზღვრად მიაჩნდათ. ხალხის მოთხოვნები კი ცილდება ბურჟუაზიულ რევოლუციის ფარგლებს. ამდენად, მათი შეჩერება, ალაგმვა ბურჟუაზიის უპირველეს კლასობრივ ამოცანად იქცა.

რევოლუციის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტა ურთულესი საქმეა. ბურჟუაზიული რევოლუციის მიერ ისტორიულ სარბიელზე წარმოქმნილ ამ ამოცანათა აღმსრულებელ დიდ პიროვნებათა საქმიანობა მუდამ წინააღმდეგობრივია. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა კრომველი — სოფლის სკუაირი, რომელიც მსოფლიო ისტორიის ერთ-

ერთ ურთულეს სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ და რელიგიურ კატაკლიზმის სათავეში აღმოჩნდა, მას დაეკისრა უდიდესი ისტორიული პასუხისმგებლობა. კრომველმა აღასრულა თავისი მოვალეობა. მან თავისი კლასის ისტორიული გამარჯვების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა. ამ კლასობრივმა მისიამ განსაზღვრა კიდეც კრომველის პოლიტიკური რეალიზმი, მისი პოლიტიკური პრაგმატიზმი. ამიტომ დაეყრდნო ხალხს, რომელსაც შემდეგ უღალატა, ამიტომ ეძებდა კომპრომისს მეფესთან, რომელსაც შემდეგ თავი მოჰკვეთა, ამიტომ იცავდა ლილბერნს, რომელსაც შემდეგ სასტიკად დევნიდა და ა. შ. პოლიტიკის ამ ცვლილებებში არაფერია სუბიექტური, ყველაფერ ამას კარნახობს ობიექტური პირობები — აუცილებლობა ბურჟუაზიული ახალი საზოგადოების გამარჯვებისა.

შეცდომები და წინააღმდეგობები კრომველის მოღვაწეობაში გამორიცხული არაა, მაგრამ ობიექტურად კრომველი პროგრესული პიროვნებაა. მან დააჩქარა კაპიტალიზმის გამარჯვება ფეოდალიზმზე, ანუ ხელი შეუწყო სოციალურ პროგრესს.

კრომველი 1642-44 წლების სამხედრო კამპანიამ დაარწმუნა, რომ მეფის წინააღმდეგ ომი სრულიად ახლებურად უნდა წარიმართოს. პირველ ყოვლისა, მან საჭიროდ ჩათვალა არმიის არსებითი რეორგანიზაცია პრინციპით — რევოლუციურ ომს რევოლუციური არმია უნდა აწარმოებდეს. კრომველი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო იმ ბურჟუაზიულ რევოლუციონერთა შორის, რომელთაც აუცილებლად აღიარეს მეფეზე საბოლოო და გადამწყვეტი გამარჯვება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სავსებით სამართლიანად ფიქრობდნენ ისინი, რომ პარლამენტის მიერ მოპოვებულ წარმატებათა შენარჩუნება და საერთოდ, რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია. ომის გახანგრძლივება პარლამენტისაგან ხალხის ფართო მასების განდგომის საფრთხეს ქმნიდა, კრომველმა მიაღწია ამ შეხედულებათა აღიარებას.

ისმის კითხვა, თუ რატომ დაუჭირა მხარი მეფისადმი ლოიალურად განწყობილმა პრესბიტერულმა პარლამენტმა ინდიპენდენტ კრომველს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილია თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პრესბიტერული პარლამენტის პოლიტიკა წინააღმდეგობრივი იყო. პრესბიტერელებს სურდათ მეფესთან შერიგება მეფისთვის მიუღებელ პირობებში, აბსოლუტური მონარქის ნაცვლად იგი უნდა ყოფილიყო პარლამენტის მორჩილი მეფე, მაგრამ ეს იარაღის გარეშე არ ხერხდებოდა. მეფე იარაღით ხელში იბრძოდა აბსოლუტური უფლებებისათვის. პარლამენტისათვის აუცილებელი გახდა მისი დამარ-

ცხება. მონტეგიუს სიტყვებით რომ ვთქვათ „ომის გაგრძელება — აი, რას მოითხოვდა პირველ ყოვლისა მომენტი“. არსებული მეთოდით ბრძოლას ნაყოფი არ მოჰქონდა. საჭირო იყო გადამწყვეტი დარტყმა, ამას კი, როგორც ჩანდა, მხოლოდ კრომველის წინადადებების განხორციელება უზრუნველყოფდა. მეფის დამარცხებისთანავე პრესბიტერულმა პარლამენტმა ახალი არმიისადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეცვალა. დაუყოვნებლივ დაიწყო მოლაპარაკება ძლეულ მეფესთან, ხოლო არმიას დაშლა დაუპირეს. ამის შედეგი იყო კონფლიქტის გამწვავება პარლამენტსა და არმიას შორის, პრესბიტერელებსა და ინდეპენდენტებს შორის.

კრომველმა სამხედრო რეფორმების განხორციელება მანჩესტერზე შეტევით დაიწყო. კონფლიქტი მთავარსარდალსა და მის მოადგილეს შორის ოფიციალურად ნიუბერის ბრძოლის შემდეგ მოხდა, 1644 წლის 10 ნოემბერს დონინგტონ-კასლთან გამართულ სამხედრო თათბირზე. აშკარა იყო, რომ მთავარსარდალს არ სურდა განეგრძო ბრძოლა, დადევნებოდა მეფეს და საბოლოოდ გაენადგურებინა იგი. კრომველი კატეგორიულად გმობდა ასეთ პოზიციას. იგი მოითხოვდა აქტიურ შეტევას. „ჩვენ რომ მეფე ოთხმოცდაცხრამეტჯერ დავამარცხოთ, იგი მაინც მეფედ დარჩება, ისევე როგორც მთელი მისი შთამომავლობა, — ამბობდა მანჩესტერი, — მაგრამ საკმარისია მისი ერთი გამარჯვებაც და ჩვენ ყველას ჩამოგვახრჩობენ, ხოლო ჩვენს შთამომავლობას მონად აქცევენ“. „მილორდო, — უპასუხა მას კრომველმა, — მაშინ რა საჭირო იყო იარაღის ხელში აღება? რა საჭირო იყო საერთოდ ბრძოლა? თუ ეს ასეა, დაუყოვნებლივ უნდა დავდოთ ზავი, რაგინდ დამამცირებელიც არ უნდა იყოს მისი პირობები“.

პარლამენტის გენერლებმა უარყვეს მეფესთან ახალი ბრძოლის დაწყების წინადადება, 15 ნოემბერს დატოვეს ნიუბერი და უკან დაიხიეს ქ. რედინგისაკენ. მეფე 23 ნოემბერს დიდი ზარ-ზეიმით ოქსფორდში დაბრუნდა. ასე ჩაიყარა წყალში მარსტონ-მურთან მოპოვებული დიდ წარმატება. შემოდგომის კამპანია ფაქტიურად დამთავრდა პარლამენტის წარუმატებლობით. კრომველმა 23 ნოემბერს მანჩესტერს უკვე პარლამენტში ოფიციალურად უჩივლა. „მის ბრწყინვალებას არ სურს ომის გამარჯვებამდე მიყვანა, იგი უმჯობესად მიიჩნევს მეფესთან ზავს, თანაც ისეთს, რომლისთვისაც გამარჯვება სასურველი არ იქნებოდა“, — აცხადებდა კრომველი. მან მანჩესტერის მოქმედებას ფაქტიურად არაპირდაპირ ღალატის კვალიფიკაცია მისცა. აღსანიშნავია, რომ მანჩესტერის პასუხისმგებლობას ითხოვდა პრესბიტერული გენერალი უოლერიც. უნდა ვიფიქროთ, რომ მას ამით საკუთარი, არანაკლებ მტკივნეული შეცდომების მიჩქმალვა სურდა.

25 ნოემბერს კრომველმა თავისი ბრალდება ოფიციალურად გაიმეორა უკვე პარლამენტის სხდომაზე. პოლიტიკური ატმოსფერო დაიძაბა. კრომველს მომხრეები აღმოუჩნდნენ. თავის მხრივ მანჩესტერიც ცდილობს კრომველის დისკრიმინაციას. კრომველი მან გამოაცხადა მეამბოხედ, რომელსაც სურს ტახტისა და არისტოკრატიის მოსპობა, იგი წინააღმდეგია კონვენანტისა, პრესბიტერული სინოდისა, სურს არმიაში ყავდეს მხოლოდ ინდეპენდენტები, მათ შორის სექტანტები, მზადაა ინგლისს იარაღით თავს მოახვიოს ინდეპენდენტური ეკლესია (მანჩესტერის თქმით, მან უშუალოდ მოისმინა კრომველის შემდეგი სიტყვები: „ბრძოლის ველზე მეფე თუ შემხვდა, მას ისევე დავახლი დამბაჩას, როგორც ვინმე სხვას“). მანჩესტერს მხარს უჭერდნენ ლორდები და შოტლანდიელები, რომლებმაც კრომველში პრესბიტერიანიზმის ჩარლზე უფრო დიდი მტერი დაინახეს. მანჩესტერს მხარს უჭერდნენ აგრეთვე თემთა პალატის პრესბიტერული წევრები და პრესბიტერული გენერალიტეტი. ესექსმა და მანჩესტერმა ლორდებთან შეთანხმებით ლონდონელ ცნობილ იურისტებს რჩევა თხოვეს იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება კრომველის, როგორც „ამბოხების მოთავის“ პასუხისგებაში მიცემა. იურისტებმა (მათ შორის იყო ბალსტროდ უაიტლოკი) ხელი ააღებინეს მათ ამ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ განზრახვაზე. კრომველის სამართალში მიცემას მხარს უჭერდნენ შოტლანდიელი კომისრებიც.

1644-45 წლებში ახალი სიძნელეები წარმოიშვა. საზავო მოლაპარაკება მეფესთან (1644 წ. ნოემბერი, 1645 წ. იანვარი) აქსბრიჯში — ჩაიშალა. მეფე არ თმობდა არც ეკლესიას, არც არმიას და არც დელიქვენტებს. „არის სამი რამ, რომელსაც მე ვერ დავთმობ, — ამბობდა იგი, — ეკლესია, გვირგვინი და ჩემი მეგობრები“. ომი მძიმე ტვირთად აწვა ხალხს, მისი წარუმატებლობა და გაჭიანურება დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. საჭირო იყო სასწრაფოდ გადამჭრელი ზომების მიღება.

ასეთ ვითარებაში კრომველმა ტაქტიკა შეცვალა. ერთ პიროვნებაზე შეტევის ნაცვლად მან მიზნად დაისახა არმიის პრესბიტერულ ხელმძღვანელობისაგან განთავისუფლება. ეს გადაწყვეტილება სწორი იყო. როგორც ვიცით, პარლამენტის არმიის წარუმატებლობის ერთერთი მთავარი, პოლიტიკური ხასიათის მიზეზი, ომის წარმოების პრესბიტერული მეთოდი იყო. კრომველმა იერიში პირველ ყოვლისა მიიტანა პრესბიტერულ გენერალიტეტზე, რომელიც უშუალოდ ახორციელებდა ომის წარმოების პრესბიტერულ პოლიტიკას. კრომველმა მიზნის მისაღწევად მეტად მოხერხებული საშუალება გამონახა. 1644 წლის 9 დეკემბერს პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში კრომველი არმიის წარუმატებლობას ხსნის შემდეგი მიზეზით: პარლამენტის გაელე-

ნიანმა წევრებმა დაიკავეს წამყვანი პოსტები. ისინი განზრახ აჭიანურებენ ომს, რადგანაც ეშინიათ, რომ ომის დამთავრების შემთხვევაში დაკარგავენ ამ პოსტებს და ხელისუფლებას. ყოველივე ეს კრომველმა წარმოაჩინია არა როგორც საკუთარი, არამედ როგორც ფართო საზოგადოებრივი აზრის (მტრისა და მოყვარის) მიერ გამოთქმული საყვედური. ამ ბრალდებათა გაქარწყლების მიზნით კრომველმა საჭიროდ სცნო სახელმწიფო და სამხედრო პოსტებზე პარლამენტის წევრთა განწესების აკრძალვა. „დადგა ჟამი ან ხმაბაღლა ალაპარაკებისა ან საერთოდ დადუმებისა. ჩვენს წინაშეა ამოცანა — გადავარჩინოთ ერი, რომელსაც ელის სრული დაძაბუნება, ან უფრო სწორედ—სიკვდილი... ომის გაჭიანურებას შესაძლოა მოჰყვეს ის, რომ ქვეყანა შეგვიძულებს ჩვენ და თვით პარლამენტის სახელსაც კი. თუ ომი უფრო ენერგიულად არ ვაწარმოეთ, მას ხალხი მეტს ვეღარ აიტანს და იძულებულს გაგხდით დასდოთ სამარცხვინო ზავი“,—ეუბნებოდა კრომველი პარლამენტს. კრომველმა შესძლო პარლამენტის კონსერვატორულ ძალებზე მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვება. კრომველს ამ ბრძოლის დროს გვერდში ედგა ჰენრი ვენი. პარლამენტმა ყურად იღო კრომველის წინადადება. კომონერმა ცუჰ-ტეტმა, რომელზედაც კრომველის სიტყვამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, პარლამენტს წარუდგინა შესაბამისი კანონპროექტი — „აქტი თვითგადადგომის შესახებ“, რომელიც 19 დეკემბერს თემთა პალატამ მიიღო მცირედი უყომანის შემდეგ. ახალი კანონი ორივე პალატის წევრებს მომავალში უკრძალავდა რაიმე თანამდებობის დაკავებას, ამჯერად კი მათ ათავისუფლებდა როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო თანამდებობიდან. მათი გადადგომა უნდა განხორციელებულიყო 40 დღის განმავლობაში.

ამრიგად ესექსმა, მანჩესტერმა, უოლერმა, უორვიკმა (ფლოტის სარდალი) და პრესბიტერულად განწყობილმა სხვა გენერლებმა მექანიკურად დათმეს რწმუნებანი. ეს კრომველისა და ინდეპენდენტთა მნიშვნელოვანი წარმატება იყო. დამთავრდა სამოქალაქო ომის პრესბიტერული პერიოდი, რომლის არსი კარგადაა გამოხატული გენერალ უილიამ უოლერის მიერ ცნობილი როიალისტის, გენერალ რალფ ჰოპტონისადმი ერთ-ერთი ბრძოლის წინ გაგზავნილ წერილში: „ჩემი კეთილი განწყობა თქვენს მიმართ, — სწერს უოლერი, — იმდენად მყარი და უცვლელია, რომ თვით ფრონტის ხაზიც კი ვერ წაშლის თქვენდამი ჩემს მეგობრობას... მაღალმა ღმერთმა უწყის თუ რაოდენ გულისტკივილით დავთანხმდი მე ამ სამსახურს და რა სიძულვილით ვუყურებ მე მოწინააღმდეგის გარეშე ომს“. აღსანიშნავია ისიც, რომ ესექსის მოადგილედ დანიშნულმა ლორდმა ბედფორდმა საერთოდ უღალატა პარლამენტს და მეფესთან გაიქცა.

სამოქალაქო ომის ისტორიაში დაიწყო ინდეპენდენტური პერიო-

დ. პირველი მნიშვნელოვანი ღონისძიება აღნიშნული ეტაპისა, რომელმაც არსებითად შეცვალა ომის და თვით რევოლუციის მსვლელობა, იყო რეგულარული, ცენტრალიზებული „ახალი მოდელის" (New Model), ანუ „ახალი ნიმუშის" არმიის შექმნა. შესაბამისი დეკრეტი მიღებულ იქნა 1645 წლის 11 იანვარს. ლორდები მას ცივად შეხვდნენ, თითქოსდა წინასწარ იგრძნეს ის, რომ ეს არმია იქნებოდა დემოკრატიული და ანტიპრესბიტერული. მაგრამ 15 თებერვალს მათ კანონი მაინც დაამტკიცეს იმ პირობით, რომ ახალი არმიის ოფიცერთა შემადგენლობა 20 დღის ვადაში აღიარებდა პრესბიტერელობას, ცნობდა კოვენანტს. ახალი არმიის შექმნის, ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიების ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო ინდეპენდენტთა ლიდერი ოლივერ კრომველი. მართალია მას ტექსტის რედაქტირებაში უშუალოდ მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ახალი არმია ძირითადად მის მიერ წამოყენებულ პრინციპებზე იქნა აგებული. იგი მხოლოდ ზოგიერთ დებულებას არ იზიარებდა, მათ შორის, პირველ ყოვლისა, პუნქტს, რომელიც ოფიცრების მიერ კოვენანტის ცნობას მოითხოვდა. ამ დებულებით უკმაყოფილო იყო აგრეთვე ჯონ ლილბერნი, რომელმაც პროტესტის ნიშნად არმიის რიგებიც კი დატოვა.

დეკრეტმა, პირველ ყოვლისა, განსაზღვრა ნაციონალური მასშტაბის რეგულარული, ცენტრალიზებული და უნიფიცირებულ პარლამენტზე დაქვემდებარებული „ახალი ნიმუშის" არმიის შემდეგი შემადგენლობა: 6 000 კავალერისტი (10 პოლკი), თითოეულში 600 მებრძოლი, 1 000 დრაგუნი (10 ესკადრონი), 14 400 ქვეითი (12 პოლკი, თითოეულში 1200 მებრძოლი, თითოეულ პოლკში 10 ასეული). თითოეული კავალერისტი დღეში იღებდა 2 შილინგს, ქვეითი — 8 პენსს. საშუალოდ თვეში ახალი ნიმუშის არმიის შენახვა ჯდება 60 000, ხოლო წლიურად — 720 000 გირვანქა სტერლინგი. თავდაპირველად „ახალი ნიმუშის არმიის" პარალელურად ჯერ კიდევ არსებობდნენ სხვა ძველი შენაერთებიც, მაგრამ მხოლოდ 1647 წლამდე. ამიერიდან ისინი „ახალი ნიმუშის არმიას" შეერწყნენ.

არმიის შესანახად გამოყოფილ იქნა მყარი, მუდმივი ბიუჯეტი, რომელსაც საფუძვლად დაედო ყოველთვიური, რეგულარული ნაციონალური მასშტაბის ახალი გადასახადი, რომელიც თავდაპირველად დააკისრეს სამოქალაქო ომით ნაკლებად დაზარალებულ საგრაფოებს. ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ადრე პარლამენტის არმიის შესანახი მუდმივი თანხა არ იყო. როგორც ვიცით, იყენებდნენ ექსტრაორდინალურ, დროებით ღონისძიებებს, ან უკიდურეს შემთხვევაში არმიის შენახვას ავალებდნენ ცალკეულ ასოციაციებს ადგილობრივი რესურსების საფუძველზე. ამიტომ, როგორც წესი, არმიას დროზე ხელფასს ვერ აძლევდნენ, რაც ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ პარლამენ-

ტის ჯარისკაცები ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას არანაკლებ ვიდრე კავალერები, დეზერტირობდნენ და აწყობდნენ ბუნტს. „ამქვეყნად მათი ადგილი სახრჩობელაზეა, იმქვეყნად კი — ჯოჯოხეთში“, — ამბობდა მათ შესახებ უოლერი. ეს კი იწვევდა ხალხში პარლამენტის ავტორიტეტის შელახვას, ასუსტებდა პარლამენტისადმი ხალხის მხარდაჭერას. დროულმა და კარგმა ანაზღაურებამ გამორიცხა ძარცვა, დეზერტირობა, ბუნტი. 1645 წელს კორნუოლის მოსახლეობა გაოცებულია იმით, რომ მათ ტერიტორიაზე შემოჭრილი პარლამენტის არმია არავის ძარცვავს, არავის აწიოკებს.

„ახალი ნიმუშის არმია“ დაუმორჩილეს უმკაცრეს და ზოგჯერ უხეშ დისციპლინას. შემოიღეს გაროზგვა, მწკრივში გატარება, სიკვდილით დასჯა. ოფიცერს ნება მიეცა ფიზიკურად შეხებოდა ჯარისკაცს. ახალი არმიის წესდების თანახმად აიკრძალა ლაშქრობისას ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა, პროდუქტის და ფულის გამოძალვა, მათი საქონლის ან ფრინველის დაკვლა და სხვ. დარღვევის შემთხვევაში დაწესდა სიკვდილით დასჯა. აიკრძალა სამხედრო ბანაკის თვითნებურად დატოვება. ბანაკიდან გასვლა 1 მილზე უფრო შორს ისჯებოდა სიკვდილით. სიკვდილი ელოდა გუშაგს, რომელიც დატოვებდა პოსტს, მორიგეობის დროს დათვრებოდა ან დაიძინებდა. სასტიკად ისჯებოდა გლეხის მინდვრების ცხენით გადათელვა ან მისთვის რაიმე ზიანის მიყენება, სიკვდილით ისჯებოდა საბრძოლო დროშის მიტოვება ან სიმხდალის გამოჩენა, იარაღის (შუბები, მუშკეტები და სხვ.) მიტოვება. სამხედრო დანაშაულთა განსახილველად დაწესდა სამხედრო ტრიბუნალები. სამხედრო პირნი სამოქალაქო, საერთო სასამართლოებს არ ექვემდებარებოდნენ. ტრიბუნალი დისციპლინის დამრღვევთა მიმართ დიდ სიმკაცრეს იჩენდა. ჯარისკაც მარკოსს ლოთობისათვის, გინებისათვის და უფროსებისადმი უპატივცემულობისთვის გავარვარებული რკინით გაუხვრიტეს ენა, საპატიმროში ჩასვეს და შემდეგ არმიიდან გააძევეს. ერთ-ერთი ჯარისკაცი დედიშობილა ქალაქის ცენტრში სამარცხვინო ბოძზე გააკრეს და ა. შ.

არმია დაუმორჩილეს ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობას. მთავარსარდლად, „არმიის გენერლად“ დაინიშნა ლორდი თომას ფერფაქსი. ამ ზომიერი პრესბიტერელის და გაურკვეველი პოლიტიკური მრწამსის მჭონე პიროვნების კანდიდატურა პრესბიტერელებს აწყობდათ. ფერფაქსის კანდიდატურას კრომველიც უჭერდა მხარს. ფერფაქსი კარგი სარდალი და ნაცადი მეომარი იყო, მას არ ახასიათებდა კომპრომისული განწყობა, როგორც სხვა პრესბიტერელ გენერლებს. პოლიტიკაში ახალგაზრდა გენერალი ნაკლებად ერკვეოდა და მასში აქტიურად არც ერეოდა. მოხდა ის, რასაც, როგორც ჩანს, კრომველი წი-

ნასწარეე ითვალისწინებდა. ფერფაქსი მხოლოდ ნომინალურად იყო არმიის სარდლად, მთელი სადაეები ფაქტიურად ხელთ იგდო კრომველმა და არმია თავისი პოლიტიკის მორჩილ იარაღად აქცია.

მთავარსარდლის მოადგილის და ერთდროულად კავალერიის სარდლის — გენერალ ლეიტენანტის პოსტი ვაკანტური რჩებოდა. ეს ადგილი ცხადია კრომველისათვის იყო გაპირობებული. მის გარეშე არმია ვერ იარსებებდა, ასეთი იყო ინგლისის საზოგადოებრიეი აზრის ღრმა რწმენა. მაგრამ ამ შემთხვევაში ირღვეოდა „აქტი თვითგადადგომის შესახებ". უხერხულობა გაფანტეს ფერფაქსმა და არმიის უმაღლესმა ოფიცრებმა. მათ 1645 წლის 8 ივნისს პარლამენტს წარუდგინეს თხოვნა (რეკომენდაცია) „ახალი ნიმუშის არმიის" კავალერიის სარდლად (მთავარსარდლის მოადგილე) ოლიეერ კრომველის დანიშვნის შესახებ. იგივეს ითხოვდა ლონდონის მოსახლეობაც. 5 ივნისს ქალაქის მუნიციპალურმა საბჭომ და ლორდმა-მერმა სათანადო თხოვნით მიმართეს ლორდთა პალატას, 8 ივნისს — თემთა პალატას. კრომველის კანდიდატურას მხარს უჭერდა მთელი არმია. 10 ივნისს კრომველი დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტად, ანუ ფერფაქსის მოადგილედ და კავალერიის სარდლად. 13 ივნისს იგი არმიაში გამოცხადდა, სადაც მას ჯარისკაცებმა აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყეს. არმიაში მესამე — „გენერალ მაიორის" პოსტი დაიკავა პოპულარულმა ფილიპე სკიპონმა.

„ახალი ნიმუშის არმიას" დაუწესეს უნიფორმა (წითელი მუნდირები და ქურთუკები), გაუმჯობესდა შეიარაღება, გაძლიერდა საარტილერიო პარკი, დაინერგა ტაქტიკური სიახლენი (მაგალითად, გუსტავ-ადოლფის მიერ განხორციელებული სიახლე — ფლანგებიდან დარტყმა და სხვ.). არმიას, რომელიც ადრე ცალკეული საგრაფოების და მათი ასოციაციების ბაზაზე კომპლექტდებოდა, ამიერიდან მიეცა საერთო ეროვნული ხასიათი. მილიციის შენაერთებს, რომლებიც პარლამენტის არმიაში მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ, ჰქონდა კიდევ ერთი არსებითი ნაკლი. იგი ტრადიციისამებრ მოქმედებდა — მხოლოდ თავიანთ საგრაფოებში, სხვაგან მისი გამოყენება თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. მაგალითად, გავიხსენოთ როგორ მიიწევდნენ სახლისაკენ ლონდონელი მილიციელები ნიუბერის პირველი ბრძოლის შემდეგ. ამიერიდან ახალი არმიისათვის ეს ნაკლი გამორიცხული იყო, იგი მოქმედებდა ეროვნული მასშტაბით.

მუდმივი, ცენტრალიზებული, უნიფიცირებული, დისციპლინებული, კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი, მორალურად მტკიცე ახალი არმია, წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მუდმივი არმიები საფრანგეთისა, ესპანეთისა და სხვ. ამასთან ერთად „ახალი ნიმუშის არმია" თვისებრივად სრულიად ახალ

ჰოვლენას წარმოადგენდა, იგი მხოლოდ სამხედრო დანიშნულებას კი არ ასრულებდა, არამედ მოგვევლინა დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალად, რომელმაც როგორც თავისებურმა „პოლიტიკურმა პარტიამ“ რევოლუციის ისტორიაში არსებითი ცვლილებები შეიტანა. იგი წარმოადგენდა შესანიშნავ სამხედრო-საბრძოლო იარაღს და მრისხანე პოლიტიკურ ძალას.

პირველ რიგში ასეთი ვითარება განაპირობა ახალი არმიის სწორმა, ჯანსაღმა სოციალურმა სელექციამ, რომელმაც მას რევოლუციური სული შთაბერა. ამ საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ოლივერ კრომველს. საქმე იმაშია, რომ მან წინასწარ მოამზადა „ახალი ნიმუშის არმიის“ საფუძველი თავისი „რკინისგვერდებიანთა“ სახელით ცნობილი შენაერთის საფუძველზე. ის სიახლენი, რომელიც აქ დაინერგა, შემდგომ გავრცელებულ იქნა „ახალი ნიმუშის“ არმიაზეც. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი არმიის კავალერია თითქმის მთლიანად დაკომპლექტდა კრომველის „რკინისგვერდებიანთა“ ცხენოსანთა შენაერთების ბაზაზე.

კრომველს არმიის რეორგანიზაციის აუცილებლობის იდეა ჯერ კიდევ ეჯჰილთან ბრძოლის შემდეგ დაებადა, როცა აშკარად გამოჩნდა კავალერთა დიდი საბრძოლო უპირატესობა პარლამენტის არმიასთან შედარებით. პირველ ყოვლისა, კრომველმა ეს ვითარება მორალური ფაქტორის საფუძველზე ახსნა. კავალერები, ანუ თავადაზნაურობა და მისი შვილები, მზად იყვნენ თავი გაეწირათ მეფისთვის, ანუ თავისი ტიტულებისათვის, მიწებისათვის, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კეთილდღეობისათვის. დეევიზით — „ღმერთისათვის და მეფისათვის“ მებრძოლი კავალერები, პირველ ყოვლისა, იბრძოდნენ თავიანთი კლასობრივი ინტერესებისათვის, ეს იყო მათი საბრძოლო აღფრთოვანების მთავარი წყარო.

პარლამენტის არმიის სოციალური შემადგენლობა მეტად ჭრელი იყო. იგი შედგებოდა საგრაფოების მილიციისაგან (ლაშქარი) და სამხედრო შენაერთებისაგან. ამ უკანასკნელის დაკომპლექტება ხდებოდა მოხალისეებისა და დაქირავებული ჯარისკაცების ბაზაზე. მოხალისეთა რიცხვი არცთუ ბევრი იყო, ამიტომ პარლამენტი ძალიან ხშირად იყენებდა ძალით გადმობირების მეთოდს. მაგალითად, 1643 წელს პარლამენტმა ასეთი გზით არმიაში გაიწვია 22 000-ზე მეტი კაცი. ასეთ პირობებში ფართო ხასიათი მიიღო ჯარისკაცთა დაქირავებამ. ყოველივე ამის შემდეგ პარლამენტის არმიის მორალური სახე ძალზე ცუდად გამოიყურებოდა. მილიციას, განსაკუთრებით ლონდონისას, ასე თუ ისე შეგნებული ჰქონდა თავისი მოვალეობა და შედარებით კარგად იბრძოდა. მაგრამ მას რამდენიმე არსებითი ნაკლიც ჰქონდა. როგორც აღვნიშნეთ, ისინი იბრძოდნენ მხოლოდ თავიანთ ტერიტორია-

ზე, ძნელდებოდა მათი სხვაგან გამოყენება. „ჩემი ჯარი შედგენილია აღმოსავლეთ ასოციაციაში მის დასაცავად. პარლამენტს არ შეუძლია მასზე უფროსობა ასოციაციის ნებართვის გარეშე", — ამბობდა მანჩესტერი. ლილიციას აკლდა წერთნა, სამხედრო ოსტატობა.

რაც შეეხება სხვა სამხედრო შენაერთებს, არმიის ძირითად ბირთვს, მისი დაკომპლექტება ხდებოდა, როგორც აღვნიშნეთ, იძულებით გადმობირებისა და დაქირავების გზით. ამიტომ აქ თავს იყრიდნენ შემთხვევითი ადამიანები, ავანტიურისტები, ბედის მაძიებელნი, სისხლის სამართლის დამნაშავენი, ლუმპენპროლეტარიატის წარმომადგენლები, ლოთები, სხვადასხვა ჯურის სოციალური ნაძირალები, რომელთა ერთადერთი მიზანი იყო ფული, ძარცვა და გამდიდრება. „თქვენი არმია,—ეუბნებოდა კრომველი ჰემპდენს ეჯჰილის ბრძოლის შემდეგ,— შედგება ძველ და გახრწნილ დაქირაველებულებისაგან, ტრაქტირის მსახურებისა და მათ მსგავსს სხვა ლოთებისაგან, მათი (როიალისტები — გ. კ.) არმია კი ჯენტლმენთა და აზნაურთა უმცროს შვილებისაგან, შეძლებულ ადამიანისაგან. თქვენს სულმდაბალ ადამიანებს განა შეუძლიათ გაუმკლავდნენ პატიოსნებით, სიმამაცით, თავგანწირვით აღსავსე ჯენტლმენებს... თქვენც უნდა იპოვოთ სულით მტკიცე ადამიანები, რომლებიც ჯენტლმენებივით იმოქმედებენ". სანამ ეს არ განხორციელდება გადამწყვეტ გამარჯვებაზე ფიქრიც კი ზედმეტია — ასეთი იყო კრომველის დასკვნა.

„სულით ძლიერი" რევოლუციის მგზნებარე მებრძოლების, რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილი, მამაც ადამიანების რეზერვუარს ქმნიდა ინგლისის რევოლუციური ხალხი. სწორედ მათ ბაზაზე უნდა შექმნილიყო რევოლუციურ პრინციპზე აგებული აჯანყებული ხალხის არმია. პრესბიტერელებისათვის უცხო იყო მსგავსი რამ, კრომველმა და ინდეპენდენტებმა ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ყველაზე უფრო გაბედულმა წარმომადგენლებმა, რომლებიც საბოლოო და სწრაფ გამარჯვებისაკენ მიისწრაფვოდნენ, არმიაში დაქირავებული ჯარისკაცების ნაცვლად უხმეს მოხალისეებს — რევოლუციური ხალხის წარმომადგენლებს: იომენებს, ფრიჰოლდერებსა და კოპიჰოლდერებს, ხელოსნებს, ქარგლებს, შეგირდებს, ქალაქის პრეპროლეტარიატს, ყველას, ვინც აღსავსე იყო რევოლუციური ენთუზიაზმით, ვისაც სძაგდა აბსოლუტიზმი, ფეოდალიზმი და მზად იყო ებრძოლა მის წინააღმდეგ, ვინც მზად იყო დამორჩილებოდა ამ ბრძოლისათვის აუცილებლად საჭირო შეგნებულ სამხედრო დისციპლინას. არმიაში გზა გაუხსნეს ადამიანებს, რომლებიც იბრძოდნენ დიდი მიზნებისათვის და არა ფულისათვის. ახალი არმიის ჯარისკაცები (ყოველ შემთხვევაში დიდი უმრავლესობა) ომში მონაწილეობდნენ შეგნებით,

მათ სწამდათ საკუთარი დიდი მისია, მოვალეობა ქვეყნის ტირანიისაგან განთავისუფლებისა, ეს კი მათ ღირსებას საკუთარ თვალში ამაღლებდა.

აი, ასეთ ხალხს, რევოლუციის საქმის სამართლიანობაში დარწმუნებულ, ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ნაცად მებრძოლებს, მტკიცე პურიტანებს იღებდა კრომველი ჯერ თავის „რკინისგვერდებიანების“ რიგებში, ხოლო შემდეგ „ახალი ნიმუშის“ არმიაში.

რასაკვირველია, არ უნდა ვიფიქროთ ის, რომ ჩვენს წინაშეა თვისებრივად რაღაც აბსოლუტურად იდეალური არმია, რადგან ყველა როდი იყო განმსჭვალული ახალი სულისკვეთებით. არმიას აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩა ძველი ჯარისკაცი. არც ამ არმიისათვის ეყოთ მოხალისეები, ამიტომ ზოგ შემთხვევაში მიმართეს იძულებით გადმობირების მეთოდს. ასეთი წესით არმიაში 8 000 ჯარისკაცი მიიღეს. ლედლოუ მემუარებში გვაუწყებს, რომ „ახალი ნიმუშის“ არმიაში, როიალისტურად განწყობილი ელემენტები, მეფის ძველი ჯარისკაცებიც მოხვდნენ. ამიტომ თავდაპირველად არც „ახალი არმიისათვის“ იყო უცხო ძველი სენი: მაროდერობა და რბევა, დეზერტირობა და ბუნტი. ჯარს საერთოდ დროულად და კარგად უხდიდნენ. გასამრჯელოს ნახევარს ნაღდი ფულით უნაზღაურებდნენ, ნახევარს — სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით (თავისებური აქციები — „სახელმწიფო ვალდებულებანი“). 1647 წელს არმიაში დაიწყო ამ ქაღალდებით გაცხოველებული საბირჟო თამაში (ქაღალდების კურსის მერყეობის გამო). 1647 წელს პარლამენტს არმიის დიდი თანხა ემართა, რაც მიზეზი გახდა სერიოზული მღელვარებისა. მაგრამ ყოველივე ეს გამონაკლისი იყო და არა ტიპური მოვლენა. პრინციპში „ახალი ნიმუშის“ ინდეპენდენტური არმია იყო რევოლუციური ეპოქის ერთი ყველაზე უფრო საინტერესო მოვლენა, რომელიც მაკოლის მოხდენილი თქმით „მოქმედებდა და მოძრაობდა მანქანის სიზუსტით და ამასთან ერთად ჯვაროსანთა თავშეუკავებელი ფანატიზმით. „ჯარისკაცებს სძულთ ფეოდალიზმი, აბსოლუტიზმი და მზად არიან ბოლომდე ებრძოლონ მეფეს და „კავალერებს“.

კრომველს მიაჩნდა, რომ ყველაზე საიმედო ჯარისკაცი იქნება და ყველაზე კარგად იბრძოლებს ის, ვინც ყველაზე უკეთ „ლოცულობს და ქადაგებს“, რადგანაც მისი აზრით „არაფერი არ იძლევა სიმამაცისა და საკუთარი ძალ-ღონის რწმენას ისე დიდად, როგორც ქრისტეს ღმერთად რწმენა“. ამიტომ იყო, რომ იგი ყოველთვის უპირატესობას ანიჭებდა ღრმადმორწმუნე პურიტან-ინდეპენდენტებს, მათთან ერთად უკიდურეს ინდეპენდენტებს უპირატესად აღმოსავლეთ და შუა ინგლისიდან, მემარცხენე სექტანტებს — ანაბაპტისტებს, „მეხუთე მონარჩიის ადამიანებს“ და სხვ. ყველა ანტიფეოდალური ძალის, მათ

შორის უკიდურესი მემარცხენეების გაერთიანება—აი, რა ამოძრავებს კრომველს, როცა არმიაში შეჰყავს სექტანტები და იცავს კიდეც მათ. გენერალ-მაიორ კრაუფორდს, რომელმაც სექტანტობის გამო არმიიდან განდევნა მამაცი ლეიტენანტი-პოლკოვნიკი (პოდპოლკოვნიკი) ლი, კრომველმა განუცხადა: „სერ, როცა სახელმწიფო თავის სამსახურში ადამიანებს ირჩევს, მხედველობაში არ იღებს მათ რწმენას. თუ ისინი მას ერთგულად ემსახურებიან — ეს უკვე საკმარისია".

მემარჯვენეები და ზომიერები, ლონდონელი მსხვილი ვაჭრები. მსხვილი მემამულეები, პრესბიტერული ეკლესია, პარლამენტის პრესბიტერული მესვეურების მეთაურობით, უკვე მაშინ სდებდნენ კრომველს ბრალს იმაში, რომ მან „აუშვა ბრმა ძალა", ხალხი, რომ არმიაში მოუხმო სექტანტებს. პარლამენტის დეპუტატი ედმუნდ უოლერი მთელი მესაკუთრე ინგლისის აზრს გამოხატავდა როცა ამბობდა: „თუ ჩვენ ეს ძალა დროზე არ ავლაგმეთ, მაშინ თავს დაგვაწვება მძიმე ტვირთი, რევოლუციური ხალხის ხელყოფისაგან ჩვენი საკუთრების დაცვა. „ახალი არმია" ფაქტიურად წარმოადგენდა შეიარაღებულ ხალხს, დემოკრატიას. „შეიარაღებული ხალხისადმი" შიში კი მესაკუთრეთათვის, ბურჟუებისათვის ისტორიულად მუდამ დამახასიათებელი იყო.

კრომველი არ ცდებოდა, ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორი, რომელმაც ახალი, „წმინდანთა არმიის" უაღრესად შეგნებული დისციპლინა და უკიდურესი საბრძოლო ენთუზიაზმი განაპირობა, იყო უკიდურესი რელიგიურობა. ამასთანავე ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ რელიგიური ფანატიზმი პოლიტიკური შინაარსისა იყო, იგი ვლინდებოდა „ძველი რეჟიმისადმი" ასევე ფანატიკურ სიძულვილში. კრომველის ჯარისკაცები „ღვთის ადამიანები", „პატიოსანი ადამიანები", „ღმერთის რჩეულნი", „ღვთისმოსაობითა და ღვთისმოშიშობით შეპყრობილი ადამიანები" დარწმუნებულნი არიან, რომ იბრძვიან „სამართლიან საღვთო საქმისათვის". „კრომველის ჯარისკაცები ფანატიკოსები არიან, მათ თავში მხოლოდ ექსტაზი უზით, გამოცხადება და ზეშთაგონება. ისინი გაქცევას სიკვდილს ამჯობინებენ", — წერდა გრაფი უორვიკი. რელიგიური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის შეგნებას სოციალურიც ემატებოდა. „ვინ არიან ინგლისის პერები და ჯენტლმენები, ლორდები, ბარონები, რაინდები? ვილჰელმ დამპყრობლის კაპიტნები, მაიორები და პოლკოვნიკები? დადგა დრო ხალხმა დავიბრუნოთ ყველა უფლება და თავისუფლება. თვით გავხდეთ პოლკოვნიკები, მაიორები და კაპიტნები, ჩვენ მათზე ნაკლები როდი ვიქნებით, ჩვენ უფლება გვაქვს განვაგოთ ინგლისი, როგორც გვსურს", — ასეთი იყო კრომველის არმიის საერთო აზრი.

ფეოდალური ეპოქის არმიაში ოფიცრის შერჩევა მხოლოდ ერთადერთი ნიშნით — გვარიშვილობით ხდებოდა. ოფიცრობა ეს იყო გაბატონებული კლასის — თავადაზნაურობის პოლიტიკური პრივილეგია. არანაკლებ მოქმედებდა პროტექცია, ნეპოტიზმი და სხვა არაჯანსაღი. გაუკუღმართებული შერჩევისათვის დამახასიათებელი საშუალებები. ახლა ვითარება შეიცვალა, ბურჟუაზიული განახლების პირობებში ოფიცერთა შემადგენლობის შერჩევას საფუძვლად დაედო რევოლუციური, ჯანსაღი, ბუნებრივი სელექცია, რომლის მთავარი პრინციპი იყო: „ყველას თავისი ადგილი საზოგადოებაში (ამ შემთხვევაში არმიაში) უნარის, ნიჭის და შესაძლებლობის მიხედვით“. ჯანსაღმა სელექციამ არმიაში გზა გაუხსნა ტალანტებს. „ყველა ჯარისკაცის ჩანთაში მარშლის კვერთხი დევს“ — ეს ნაპოლეონის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპი, უკვე ინგლისის რევოლუციის დროს მოქმედებდა. მაგალითად, ცნობილი ლეველერი ედუარდ სექსბი რიგითი ჯარისკაცი იყო, შემდეგ მიიღო კაპიტნობა, ბოლოს — პოლკოვნიკობა. ჯარისკაცობით დაიწყო სამხედრო კარიერა ასევე ცნობილმა ლეველერმა გენერალმა უილიამ ალენმა.

კრომველის ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „მე მირჩევნია უბრალო, უხეშ ქურთუკში გამოწყობილი კაპიტანი, რომელმაც იცის რისთვის იბრძვის და უყვარს ის, რაც სწამს, იმას, ვისაც თქვენ უწოდებთ ჯენტლმენს, რომელსაც სხვა ღირსება არაფერი გააჩნია“. ამ პრინციპს კრომველი არასოდეს ღალატობდა. ახალი არმიის ოფიცერთა შემადგენლობაში, განსაკუთრებით უმცროს და საშუალო მეთაურთა შორის ბევრი იყო დაბალი წრიდან გამოსული. ხალხის წიაღიდან იყო გამოსული „ახალი არმიის“ რამდენიმე ცნობილი სარდალი. პოლკოვნიკი ტომას პრაიდი ადრე მეეტლე იყო (გაიზარდა როგორც მიგდებული ბავშვი), ცნობილი ლეველერი, პოლკოვნიკი და ფლოტის ვიცე-ადმირალი ტომას რენსბორო კომერციულ ფლოტში შკიპერად მუშაობდა, პოლკოვნიკი ჯონ ჰიუსონი მეწაღე იყო, პოლკოვნიკი, შემდეგ გენერალი „მეხუთე მონარქიის ადამიანების“ ბელადი ტომას ჰარისონი ადვოკატთან მუშაობდა უბრალო მწერლად, პოლკოვნიკი ჯონ ფოქსი მექვაბე იყო, პოლკოვნიკი ჯონ ო'კეი — ცეცხლის ფარეში და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოფიცერთა ახალი შემადგენლობა ასაკით ძალზე ახალგაზრდული იყო. მათი საშუალო ასაკი 23-24 წელს არ აღემატებოდა. მაგალითად, პოლკოვნიკი რობერტ ჰამონდი 24 წლის იყო, რიჩარდ ინგოლდსბი — 23 წლის, თვით მთავარსარდალი ფერფაქსი კი 33 წლისა. მათ შორის 46 წლის კრომველი უხუცესად ჩანდა. არმიის რიგებში ბევრი პურიტანი მქადაგებელი მოღვაწეობდა, რომლებიც ჯარისკაცებს „აწვდიდნენ ღვთის სიტყვას“. ამ როლს ხშირად ასრულებდნენ თვით ოფიცრებიც. პურიტანი მქადაგებელნი წარ-

მოადგენენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქის კონვენტის ლეგენდარული კომისრების პროტოტიპებს.

მანჩესტერი კრომველს ბრალს სდებდა იმაში, რომ მან არმია გაავსო მდაბიოებით, რომ იგი ოფიცრებს ირჩევს არა ნაცად მეომართაგან, არა იმათგან, ვისაც ბევრი მამული აქვს, არამედ უბრალო და ღარიბი ადამიანებისაგან, „ყურადღებას არავინ აქცევს გვარიშვილობას, საკმარისია იყო ღვთისმოსავი და პატიოსანი“. კრომველი, რომელიც ასე გაბედულად ეყრდნობოდა დემოკრატიას, თავის თავს მუდამ ჯენტლმენად სთვლიდა. იგი ჯენტლმენების სახით მუდამ ხედავდა საუკეთესო სამხედრო ძალას და სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ყველა მათგანი როდი ემსახურებოდა რევოლუციის საქმეს. ახალ არმიაში პოლკოვნიკებისა და გენერლების უმრავლესობა მაინც ახალ თავადაზნაურობას ეკუთვნოდა. 37 გენერალსა და პოლკოვნიკს შორის 9 პერების გვარეულობას, ოცზე მეტი კი ჯენტლმენთა სხვადასხვა ფენას მიეკუთვნებოდა. მათ შორის იყო თვითონ მთავარსარდალი, ბარონი ტომას ფერფაქსი, ადმირალი გრაფი ედუარდ მონტეგიუ, გენერალი რიჩარდ ფორტესკიუ, პოლკოვნიკი ტომას შეფილდი, გრაფი ოლჯერონ სიდნეი, ჯილბერტ პიკერინგი და სხვ. რაც შეეხება კრომველის განცხადებას „ინგლისი ვერასოდეს ვერ იცხოვრებს კარგად, ვიდრე ჩვენ ბოლოს არ მოვუღებთ ლორდებს“, პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა გაიგეს ისე, თითქოს კრომველს საერთოდ სურს ჯენტლმენობის მოსპობა, ნამდვილად კი იგი გულისხმობდა ბრძოლას ფეოდალური, როიალისტური თავადაზნაურობის, კონსერვატორულად და კონტრრევოლუციურად განწყობილ ლორდების (ლორდთა პალატის წევრების) წინააღმდეგ.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა, რომელიც „ახალი ნიმუშის არმიას“ ახასიათებდა. აქ გამორიცხული იყო ფეოდალური ეპოქის არმიებისათვის დამახასიათებელი სოციალური ანტაგონიზმი ოფიცრებსა (ფეოდალები) და ჯარისკაცებს (გლეხობა) შორის. ახალ არმიაში ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა საერთო საქმისათვის, ერთი მიზნისათვის — ფეოდალური აბსოლუტიზმის განადგურებისათვის დაიწყეს ბრძოლა; დატოვეს ოჯახი, კერა, ცოლ-შვილი, საქმიანობა. არმიაში წინააღმდეგობა (სოციალური და პოლიტიკურ-რელიგიური ანტაგონიზმის ახალი, ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ფორმით) დაიწყო უფრო გვიან, საერთო მტრის განადგურების შემდეგ.

კრომველი და ინდეპენდენტები, რომლებიც რჩებოდნენ ბურჟუაზიულ რევოლუციონერებად, გარკვეული კლასობრივი მოსაზრებით უჭერდნენ მხარს დემოკრატიას, სექტანტებს, ამავე მოსაზრებით ლაპარაკობდნენ ისინი რევოლუციური დემოკრატიის ენით. კრომველის არმიაში არავინ ზღუდავდა პოლიტიკურ კამათს, ბიბლიის კითხვას, ლოცვას, ფსალმუნების მღერას. ამ უმწიფარი მეთოდებით გამოხატავდა კლასობ-

რიგად უმწიფარი ხალხი თავის ინტერესებს. კრომველს და ინდეპენდენტებს კი ამით საშუალება ეძლეოდათ უფრო ადვილად დაემორჩილებინათ ეს ძალა, გამოეყენებინათ იგი თავიანთი მიზნებისათვის, ანუ თავის კლასის მიზნებისათვის. კრომველი და მისი მიმდევრები თვითონ არც ერთ სექტას არ ეკუთვნოდნენ, მაგრამ გამოდიოდნენ მათ დამცველების როლში. „ზოგი ცდილობს ჩემს ჯარისკაცებს ანაბაპტისტობაში დასდოს ბრალი... მაგრამ ისინი უბრალოდ პატიოსანი და ღვთისმოსავი ხალხია, სწამთ ღმერთი და თავის საქმეს იცავენ სინდისის კარნახით",—ამბობდა იგი. ხალხის დახმარებით წარმატების მოპოვების შემდეგ კი კრომველი სასტიკად ებრძვის რელიგიურ-პოლიტიკურ რადიკალიზმს, მემარცხენეობას, ანუ ბურჟუაზიული გაგებით „ანარქიას".

„ახალი ნიმუშის არმია" იქცა თავისებურ პოლიტიკურ პარტიად. თავდაპირველად ინდეპენდენტების, ანუ ბურჟუაზიის და ახალი თავადაზნაურობის საშუალო ფენების და შეძლებული გლეხობის „პარტიად", რომელთანაც ერთად მეფის და პრესბიტერული პარლამენტის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მოქმედებდა რადიკალური წვრილი ბურჟუაზია და საერთოდ რევოლუციური დემოკრატია, ხალხის ფართო ფენების სახით. ახალი არმია, პოლიტიკური და რელიგიური რადიკალიზმის ეს თავისებური პარტია, განასახიერებდა რევოლუციური ხალხის როლს. მას მხარს უჭერდა ასეულ ათასობით გლეხი და ქალაქის პლებეური ელემენტი, ანუ ამ მხარდაჭერით სარგებლობდნენ ინდეპენდენტებიც.

ახალი არმიის სახით ხალხი არა მარტო შეიარაღდა, არამედ შეიძინა პოლიტიკურად დიდი ორგანიზაციული ძალა, ხალხთან ერთად იგივე მიიღეს ინდეპენდენტებმაც. პარლამენტში, როგორც ვიცით, ჰარბობდნენ პრესბიტერელ-კონსტიტუციონალისტები. მის გვერდით ინდეპენდენტური არმია მოგვევლინა როგორც ახალი ძალა. ერთი სიტყვით პარლამენტში პრესბიტერელები ბატონობდნენ, არმიაში — ინდეპენდენტები. სულ მალე კი, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, არმიაზე დაყრდნობით ინდეპენდენტები პარლამენტშიც გაბატონდნენ.

ღრმა რელიგიურობით განმსჭვალულ არმიას ჰქონდა აგრეთვე დიდი პრაქტიკულ-პოლიტიკური და სოციალური რადიკალური შესაძლებლობანი. „ეს არმია განმსჭვალული იყო ახალი, რელიგიური და პოლიტიკური რადიკალიზმის შესაძლებლობით", — აღნიშნავდა სავინი. „რელიგიური საკითხი, კერძოდ, საკითხი რჯულშეწყნარების შესახებ, მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლიტიკურ საკითხთან", — აღნიშნავდა გარდინერი. ინდეპენდენტები და არმია თანდათან რესპუბლიკურ პოზიციაზე დადგნენ. რესპუბლიკა მათ აღიარეს როგორც მმართველობის ერთადერთი კანონიერი ფორმა. ამ განწყობის დანერგვაში დიდი როლი შეასრულეს მემარცხენე სექტანტებმა, რომლებიც მეფეს უწოდებდნენ ტირანს და მზად იყვნენ ფიზიკურადაც კი გასწორებოდნენ მას. მსგავ-

სი განწყობა ძველი არმიისათვის, როგორც ვიცით, უცხო იყო. ინდეპენდენტთა მარჯვენა ფრთის, მათ შორის კრომველის რესპუბლიკელობა მთლად გულწრფელი განწყობის შედეგი როდი იყო. იგი ამ შემთხვევაში ანგარიშს უწევდა მასებს, ანუ ძალას, რომლის მხარდაჭერით ახორციელებდა პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებას.

რელიგიის სრული თავისუფლება, რელიგიურ საქმეებში სახელმწიფოს სრული ჩაურევლობა, ეკლესიის ცენტრალიზაციის სრული უარყოფა, თითოეულისათვის მინიჭება უფლებისა იწამოს და იქადაგოს ისე, როგორც სურს, ანუ სრული დემოკრატია და თავისუფლება რელიგიის სფეროში, თვითმართული რელიგიური სახალხო თემების შექმნა, რასაც ინდეპენდენტები იზიარებდნენ, უშუალოდ იყო დაკავშირებული დემოკრატიულ რადიკალიზმთან, სრულ პოლიტიკურ თავისუფლებასთან და თანასწორობასთან, სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებასთან და სხვ. ყოველივე ამან ინდეპენდენტები და მისი მემარცხენე მოკავშირეები მიიყვანა რესპუბლიკის, როგორც ამ იდეალების ყველაზე უკეთ განხორციელების საშუალების აღიარებამდე.

ინდეპენდენტური არმიის აღმოცენება, მისი პოლიტიკურ-პარტიულ ძალად ფორმირება ინგლისის რევოლუციის ისტორიაში უნდა მივიჩნიოთ შემობრუნების მომენტად. არმია, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა, პოლიტიკური პარტია, თანდათან ჩამოყალიბდა და 1647 წლისათვის უკვე აქტიურ ძალად იქცა.

არმიაზე დაყრდნობით ინდეპენდენტებმა შესძლეს პრესბიტერელების იზოლირება. პარლამენტსა და არმიას შორის დაიწყო პოლიტიკური ხასიათის განხეთქილება. 1647 წლისათვის პარლამენტის მხარეზე აღმოჩნდა სულ 147 ოფიცერი და რამდენიმე ასეული ჯარისკაცი, ანუ არმია, რომელიც შეიქმნა როგორც პარლამენტის დამცველი ძალა, ამიერიდან მას აღარ ემორჩილება. პარალელურად თავი იჩინა განხეთქილებამ თვით არმიის შიგნით. ინდეპენდენტებს დაუპირისპირდნენ უფროსი მემარცხენეები, წვრილბურჟუაზიული რადიკალები ლეველერებს სახით. მალე თავი იჩინა რევოლუციის ისტორიაში უკიდურეს მემარცხენე მიმდინარეობამ — დიგერულმა მოძრაობამ, რომელიც ინგლისის უღარიბესი ნაწილის ინტერესებს გამოხატავდა. რევოლუციის აღნიშნულ ეტაპზე (1645-1647) ინდეპენდენტები და ხალხი ჯერჯერობით ერთიანი ფრონტით მოქმედებენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ „თვითგადადგომის“ აქტის მიღების შემდეგ ინდეპენდენტებს გზა არმიასთან ერთად სახელმწიფო აპარატშიც გაეხსნათ. თავდაპირველად ინდეპენდენტურ-დემოკრატიული ელემენტი დამკვიდრდა ადგილებზე მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტად, პარლამენტის მიერ შექმნილ სხვადასხვა ცენტრალურ თუ პერიფერიულ რევოლუციურ კომიტეტებში, რომელმაც თანდათან ხელთ იგდო მეფის

ბიუროკრატიული აპარატის ყველა ფუნქცია, ამ კომიტეტებში მეფის მოხელეების განდევნის შემდეგ შეღწევას იწყებენ ინდეპენდენტები, შემარცხენე ელემენტები დემოკრატიის წრიდან. ამ მხრივ საინტერესოა კუნძულ უაიტის მაგალითი. ამ კუნძულის მცხოვრები ჯენტლმენი შეშინებულია იმით, რომ ამ კუნძულზე შექმნილ კომიტეტში, რომელიც ხელმძღვანელობს მილიციას, სასამართლოს და სხვ. შედიან აფთიაქარი მეინარდი, ხაბაზი მეტიუზი, მეწვრილმანე რინგვუდი, ფერმერები უეიკელი და ლეგი, ღარიბთა წარმომადგენელი ბექტერი.

ადგილობრივი კომიტეტები ექვემდებარებოდნენ პარლამენტის კომიტეტებს, მათ შორის ჩვენთვის უკვე ცნობილ „ორთავე სამეფოს კომიტეტს“, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა „ფულადი სახსრების გამოყოფის კომიტეტს“, „ვალების დაფარვის კომიტეტს“, კომიტეტს, რომელიც სჭიდა იმ მიწათმფლობელებს და სხვა პირებს, რომლებსაც სამოქალაქო ომის დროს კავშირი ჰქონდათ მეფესთან.

ყურადსაღებია კიდევ ერთი ღონისძიება, რომელიც რევოლუციაში დემოკრატიულ-რადიკალური ძალების აქტიურობის ზრდას ადასტურებს. პარლამენტი იძულებული იყო ანგარიში გაეწია მათთვის და 1644 წლის მარტში დაეწყო კენტერბერიის არქიეპისკოპოსის ლოდის პროცესი. სტრაფორდის მსგავსად, ლოდს სახელმწიფო ღალატში დასდეს ბრალი და სიკვდილი მიუსაჯეს. 1645 წლის 10 იანვარს განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი.

III. პირველი სამოქალაქო ომის მიმდინარეობა 1643—1646 წწ.

პარლამენტის წარმატება

სამხედრო და სხვა პრობლემებთან დაკავშირებით პარლამენტში „ომის მომხრეთა“ და „ზავის მსურველთა“ შორის წარმოშობილი უთანხმოება მეფისთვის ცნობილი გახდა. მეფე იმედოვნებდა, რომ არმიის რეორგანიზაცია დაგვიანდება, გაძნელდება. მან ისარგებლა ამ ვითარებით და ახალი შეტევის მომზადებას შეუდგა. არსებობდა ორი გეგმა: პირველი — ჩრდილოეთში გალაშქრება და აქ ამბოხებულ მონტროზთან შეერთება, მეორე — შეჭრა აღმოსავლეთ ინგლისში, პარლამენტის ყველაზე უფრო საიმედო ამ პლაცდარმის მოშლა და აქ წარმატების მოპოვების შემდეგ ლონდონზე გალაშქრება.

მეფეს იმედები აღუსო მონტროზის წარმატებებმა. „დიდმა მარკიზმა“ (ასე ეძახდნენ მონტროზს როიალისტები) შესძლო ჩრდილოეთის მთიანი ნახევარად ალპური კლანების აჯანყება არგაილისა და მისი გაბატონებული კემპბელების დიდი კლანის წინააღმდეგ. მონტროზს მიემხრნენ მთის კლანების ბელადები: მაკდონალდები, რობერტსონები, სტიუარტები—არგაილისა და კემპბელების დაუძინებელი მტრები. მონტროზმა ბრძოლები 1644 წლის შემოდგომიდან დაიწყო და 1645 წლის გაზაფხულისათვის მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ინვერლოკთან მან

არგაილს მწარე დამარცხება აგემა. „ზაფხულის დამლევამდე მე საშუალება მექნება ჩემი მამაცი ჯარებით მოვიდე თქვენი უდიდებულესობის დასახმარებლად“, — სწერდა მონტროზი ჩარლზ I-ს. იგი წინადადებას აძლევდა მეფეს ჩრდილოეთისაკენ წამოსულიყო მასთან შესაერთებლად. ვერავითარი ძალა პარლამენტისა ჩვენ ვეღარ გაგეიძლებსო, აიმედებდა იგი მეფეს. რუპერტი თანახმა იყო ჩრდილოეთში წასვლისა და მონტროზთან შეერთებისა. ლორდი დიგბი მეორე ვარიანტს უჭერდა მხარს.

მეფის უფროსი ვაჟი უელსის პრინცი ჩარლზი, მისი გამზრდელები და მრჩევლები, ცნობილი როიალისტები: ედუარდ ჰაიდი, ჯონ კოლპეპერი, არტურ კაპელი და როიალისტთა საიმედო სარდალი რალფ ჰოპტონი ცდილობენ დასავლეთ და სამხრეთ დასავლეთ საგრაფოებში შექმნან ასოციაცია აღმოსავლეთ საგრაფოების მსგავსად. ამ მიზნით ისინი მეფის დავალებით ბრისტოლში გაემგზავრნენ. ამ ღონისძიების გატარება შეუძლებელი აღმოჩნდა. როიალისტ გენერლის გორინგის ჯარების მიერ აწიოკებული და გაძარცული მოსახლეობა საყოველთაო უკმაყოფილებას გამოხატავდა. „კლობმენების (ხელკეტოსნების)“ სახელით ცნობილმა გლეხთა მოძრაობამ მეფის მომხრე საგრაფოებშიც იჩინა თავი. ჰერიფორდშირში რამდენიმე ათასი გლეხი აჯანყდა, მათ ქალაქ ჰერიფორდს ალყაც კი შემოარტყეს. მიუხედავად ამისა, მეფე ოპტიმისტურადაა განწყობილი, იგი დარწმუნებულია, რომ პარლამენტს დააგეიანდება არმიის რეორგანიზაცია, იგი ითვალისწინებდა იმასაც, რომ მონტროზის ამბოხების გამო შოტლანდიელთა არმია პარლამენტს ვეღარ დაეხმარება. ამასობაში პრინცი რუპერტი ახერხებს ჯარის შეგროვებას (იხ. სევერნის ხეობაში), მეფე ღებულობს გადაწყვეტილებას შეუერთდეს რუპერტს და დაიძრას ჩრდილოეთისაკენ.

მაგრამ ეს გეგმა მალე შეიცვალა. „ორთავე სამეფოს კომიტეტის“ ბრძანებით ფერფაქსმა ალყა შემოარტყა ოქსფორდს. იმედოვნებდნენ, რომ მეფე არ დატოვებდა თავის ცენტრს და არ დაიძვროდა ჩრდილოეთისაკენ. ასეც მოხდა. მეფემ უბრძანა რუპერტსა და გორინგს მას ოქსფორდთან შეერთებოდნენ. სერ ჯონ ბერკლი ზურგში დარჩა — სომერსეტშირში და ალყა შემოარტყა ტაუნტონს, რომლის დაცვაში თავი ისახელა შემდგომში ცნობილმა ინდეპენდენტმა პოლკოვნიკმა და პარლამენტის ფლოტის ადმირალმა რობერტ ბლეკმა. მეფე უკან, ლონდონისაკენ გაბრუნდა, 31 მაისს აიღო ლესტერი (ლესტერშირის საგრაფოს ცენტრი), შემდეგ ჯარები აღმოსავლეთისაკენ დაძრა და ნორტჰემპტონის საგრაფოში შეიჭრა. „აღმოსავლეთის ასოციაცია“ საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. „მე არასოდეს არ მქონია ესოდენ კარგი მდგომარეობა“, — ამბობდა მეფე. როგორც ყოველთვის, ოპტიმისტურად იყო განწყობილი მამაცი, მაგრამ თავქარიანი პრინცი რუპერტი.

(„ორთავე სამეფოს კომიტეტის“ ბრძანებით ფერფაქსმა ალყა მოხსნა ოქსფორდს და ფორსირებული მარშით ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებით გაემართა მეფისათვის ლონდონისაკენ გზის გადასაჭრელად. 11 ივნისს იგი მეფის პირისპირ იდგა. „ახალი ნიმუშის არმია“ პირველი საბრძოლო ნათლობისათვის ემზადებოდა. 13 ივნისს ბანაკში გამოცხადდა პარლამენტის მიერ ფერფაქსის მოადგილედ და კავალერიის სარდლად დანიშნული ოლივერ კრომველი. იგი ჯარისკაცებმა დიდი აღტაცებითა და ოვაციებით მიიღეს. 14 ივნისს, შაბათს, დაახლოებით დილის 9 საათზე, სოფელ ნეზბისთან (ნორტჰემპტონის საგრაფო) დაიწყო სამოქალაქო ომის ისტორიაში ყველაზე უფრო დიდი და გადამწყვეტი — ნეზბის ბრძოლა. მეფის განკარგულებაში იყო 7 500 მებრძოლი (მათ შორის 4 000 ცხენოსანი), ფერფაქსსა და კრომველს თოფქვეშ ჰყავდათ 14 000 მებრძოლი (მათ შორის 6 500 ცხენოსანი). მოწინააღმდეგენი კლავე კლასიკური სქემით განლაგდნენ. მეფის მარჯვენა ფრთა დაიკავა პრინც რუპერტისა და პრინც მორისის კავალერიამ, მარცხენა ფრთა — ბარონ მარმადიუკ ლანგდეილის კავალერიამ. ცენტრში განლაგდა მეფის ქვეითი ჯარი — ბარონ ჯეკობ ესტლის მეთაურობით. არიერგარდში რეზერვთან ერთად იმყოფებოდა მეფე. რუპერტის პირისპირ, პარლამენტის არმიის მარცხენა ფრთაზე იდგა კრომველის მოადგილის, გენერალ ჰენრი აირტონის კავალერია, ცენტრში განლაგდა პარლამენტის ქვეითი ჯარი თვით ფერფაქსისა და მამაცი გენერლის ფილიპე სკიპონის მეთაურობით. ოლივერ კრომველს თავისი კავალერიით ეკავა მარჯვენა ფრთა, ანუ იდგა ლანგდეილის პირისპირ. მარცხენა ფრთაზე აირტონს ზურგს უმაგრებდა დრაგუნთა შენაერთი ჯონ ო'კეის მეთაურობით. „ახალი ნიმუშის არმიის“ სარეზერვო ძალებს სარდლობდნენ პრაიდი, რენსბორო და ჰამონდი.

რუპერტმა, რომელმაც შეტევით დაიწყო ბრძოლა, უკუაგდო აირტონი და მის დევნაში ბრძოლის ველს საკმაოდ შორს მოწყდა (განმეორდა მის მიერ ეჯჰილთან და ნაწილობრივ მარტსონ-მურთან დაშვებული შეცდომა). ამასთან იგი ჩვეულებისამებრ აღალის ძარცვას შეუდგა. ცენტრში პარლამენტის ქვეით შენაერთებს გაუჭირდათ. მეფის ჯარმა აქ საგრძნობი წარმატება მოიპოვა. მდგომარეობა კვლავ კრომველმა იხსნა, განმეორდა იგივე, რაც მარსტონ-მურთან მოხდა. კრომველმა გადათელა ლანგდეილის ძირითადი ძალები და მასთან ერთად მისი რეზერვი, რამდენიმე შენაერთს დაავალა მისი დევნა, თვითონ კი მეფის არმიის ცენტრს დაესხა ფლანგიდან და ზურგიდან. მტერი ძლეულ იქნა. უკან დაბრუნებულმა რუპერტმა საქმეს ვერ უშველა. სამსაათიან ბრძოლაში მეფის არმია სავსებით განადგურდა. დაიღუპა და დაიჭრა „ახალი არმიის“ ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი (უაიტლოკის ცნობით და-

იღუპა მეფის არმიის შვიდასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი). ჰაიდის (ცლარენდონის) ცნობით მათ შორის იყო 150 გვარიშვილობით ცნობილი აზნაური. 5000 ტყვედ ჩაეარდა. მხოლოდ 2000 ჯარისკაცმა უშველა თავს გაქცევით (უაიტლოკის ცნობით ტყვეთა შორის იყო 6 პოლკოვნიკი, 8 ლეიტენანტ-პოლკოვნიკი (პოდპოლკოვნიკი), 18 მაიორი, 8 ლეიტენანტი, 200 უმცროსი ოფიცერი). პარლამენტის არმიამ ხელთ იგდო 12 ქვემეხი, 8000 მუშკეტი, დიდი რაოდენობით ტყვია-წამალი, ამუნიცია, ასზე მეტი დროშა, მათ შორის თვით მეფის შტანდარტი, 3000 ცხენი, უზარმაზარი, 200 დატვირთული ოთხთვალისაგან შემდგარი აღალი. აღალთან ერთად პარლამენტის არმიას ხელთ ჩაუვარდნენ კავალერთა მხევალი ქალები, რომლებსაც ისინი ყოველთვის თან დაატარებდნენ ხოლმე სასმელებთან და სუნამოებთან ერთად. დატყვევებულ ქალებს ძალზე უხეშად მოექცნენ, ასამდე ირლანდიელ მხევალ ქალს თავპირი დაუმტვრიეს, ინგლისელებს სახეები დაუმახინჯეს. მემარჯვენე ისტორიკოსები ამ ფაქტს აზვიადებენ და იყენებენ, როგორც პარლამენტის არმიის ბარბაროსობისა და ველურობის მამხილებელ საბუთს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში თავი იჩინა კრომველის ჯარისკაცების — ამ უკიდურესი პურიტანების მორალურმა სიმკაცრემ.

პარლამენტის არმიამ მეფის ერთ-ერთ ეტლთან ერთად ხელთ იგდო მეფის კანცელარია, მასთან ერთად მისი „საიდუმლო კაბინეტი", ანუ საიდუმლო კორესპონდენციები და სხვა დოკუმენტები. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ცნობილ „საფრანგეთის კაბინეტს"—მიწერ-მოწერას დედოფალთან, მონარქებთან და სხვ. ამ დოკუმენტებმა წარმოაჩინეს მეფის ნამდვილი სახე, მისი შეთქმულება უცხო ქვეყნებთან საკუთარი ხალხისა და პარლამენტის წინააღმდეგ. გამომჟღავნდა მისი მოღალატური კავშირი ირლანდიელ კათოლიკეებთან. ცნობილი გახდა ის, თუ როგორ ეძებდა იგი დაქირავებულ ჯარისკაცებს ჰოლანდიაში, დანიაში, ლოთარინგიაში, გამომჟღავნდა მისი ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული კავშირი პაპისტებთან, პაპთან, ევროპის მონარქებთან და სხვ. პარლამენტმა ეს დოკუმენტები დაუყოვნებლივ დაბეჭდა და საქვეყნოდ გაავრცელა, რითაც მეფის ავტორიტეტს უდიდესი ზიანი მიაყენა.

„ახალი ნიმუშის არმიამ" ნეზბის ბრძოლაში გამოავლინა თავისი დიდი საბრძოლო შესაძლებლობა და რეეოლუციური საქმისადმი ერთგულება. ჯარისკაცები და ოფიცრები იბრძოდნენ თავგანწირვით, დიდი შემართებით. დაიჭრნენ სკიპონი და აირტონი, ხელჩართულ ბრძოლაში უშუალოდ მონაწილეობდა თვით მთავარსარდალი — ფერფაქსი. მსხვერპლი დიდი იყო, უამრავი დახოცილებით მოფენილი ბრძოლის ველის მხილველი ომის ერთ-ერთი უცნობი მონაწილე თავის მოგონებებში გულისტკივილით წერს: „სამწუხაროა, რომ ერთი და იმავე მთავ-

რობის ქვეშევრდომებმა ასე უმოწყალოდ გაჟლიტეს ერთმანეთი. მაგრამ ეს ყოველივე მიხარია კიდეც. რადგან დახოცილნი არიან ისინი, ვინც დაგმო ღმერთი და ძე ღვთისა".

მარტსონ-მურთან მეფემ ჩრდილოეთ ინგლისი დაკარგა, ნეზბისთან ბრძოლაში კი ქვეყნის ცენტრალური ნაწილი. მას ერთადერთი იმედიღა დარჩა ღარიბი, ნაკლებად დასახლებული, ეკონომიკურად და სულიერად ჩამორჩენილი, აწიოკებული და გაძარცული დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის სახით. საიმედო ძალად ორჩებოდა „დიდი მარკიზი" — მონტროზი. მან 15 აგვისტოს კილზიტთან მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია და დროებით მთელი შოტლანდია დაიმორჩილა. შოტლანდიის ჯარმა დატოვა ინგლისი და არგაილისა და კოვენანტელების გადასარჩენად გაემართა. ასე რომ, მეფის ძალების წინააღმდეგ ბრძოლა „ახალი ნიმუშის" არმიას მარტო უხდება, შოტლანდიელების დახმარების გარეშე.

ნეზბისთან განადგურების შემდეგ მეფე ჯერ ლესტერში გაიქცა, შემდეგ უელსში, აქედან ჩრდილოეთ იორკშირისაკენ გაემართა. პარლამენტის არმიის წინაშე მოქმედების ორი ვარიანტი იყო. დადეენებოდნენ მეფეს და ტყვედ ჩაეგდოთ იგი ან დაელაშქრათ დასავლეთ ღა სამხრეთ-დასავლეთი მეფის მომხრე საგრაფოები: გლოსტერშირი, სომერსეტშირი, დევონშირი, დორსეტშირი, უილტშირი და სხვ. პარლამენტი მეორე ვარიანტზე შეჩერდა. მოხეტიალე მეფეს ფაქტიურად ჯარი არ ჰყავდა, მაშინ, როდესაც აღნიშნულ საგრაფოებში ჯერ კიდევ მოქმედებდნენ როიალისტთა შეიარაღებული ძალები, მათ ხელთ იყო მრავალი ციხე-სიმაგრე. ერთი წლის განმავლობაში — 1645 წლის ივლისიდან 1646 წლის ივლისამდე, ფერფაქსმა და კრომველმა დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საგრაფოები როიალისტებისგან გაანთავისუფლეს. ერთი წლის განმავლობაში კრომველს დანებდა როიალისტთა დაახლოებით 50 ციხე-სიმაგრე. ბრძოლების უმრავლესობა მცირე მასშტაბისა იყო. ერთადერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ბრძოლა გაიმართა 1645 წლის 10 ივლისს სომერსეტშირის საგრაფოს ტერიტორიაზე. ლონგ-სეტონის მთიან ხეობაში განადგურებულ იქნა მეფის ცნობილი გენერლის, თავზეხელაღებული ავანტიურისტის გრაფ ჯორჯ გორინგის არმია, მეფის 2 000 ჯარისკაცი დაიღუპა.

ციხე-სიმაგრეებისა და როიალისტების მიერ გამაგრებული ქალაქების აღებისას, პარლამენტის არმია წარმატებით იყენებდა არტილერიას. ნეზბის ბრძოლიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 18 ივნისს დაეცა ქალაქი ლესტერი, 15 აგვისტოს აღებულ იქნა ციხე-სიმაგრე შერბორნი (დორსეტშირში), 28 აგვისტოს დაიწყო ბრისტოლის ალყა. ქალაქს თვით პრინცი რუპერტი იცავდა. 14 სექტემბერს ქალაქმა წინააღმდეგობა შეწ-

ყვიტა. პარლამენტმა ქალაქთან ერთად ხელთ იგდო მეფის სამხედრო მარაგი. ამ მარცხისათვის მეფემ სასტიკად შერისხა ერთგული დისწული— პრინცი რუპერტი, მას ჩამოართვა ყველა თანამდებობა და საზღვარგარეთ გასამგზავრებელი პასპორტიც კი გამოუგზავნა. თუმცა მალე ბიძა-დისწული კვლავ შერიგდნენ. დავა და აშკარა ბრძოლა დაიწყო აგრეთვე პრინც რუპერტსა და ლორდ დიგბის შორის, უელსის პრინცსა, მის მრჩეველებსა და გენერალ გორინგს შორის. კრომველმა ალყა შემოარტყა და 23 სექტემბერს აიღო მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე — დივაიზისი (უილტშირი), მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი დასაველეთ საგრაფოებიდან ლონდონისაკენ მიმავალ გზაზე. 5 ოქტომბერს აღებულ იქნა უინჩესტერის ციხე-სიმაგრე, 1645 წლის 14 ოქტომბერს დაეცა ციხე-სიმაგრე ბეზინგ-ჰაუზი (ჰემპშირში), მისი მფლობელი, მეფის ერთგული დამცველი მარკიზ უინჩესტერი ტყვედ წამოიყვანეს (ამ ციხე-დარბაზის აღება, მაგრამ უშედეგოდ, კრომველმა 1643 წელსაც სცადა). მარკიზი ამბობდა — „ჩემს ციხე-დარბაზს შთამომავლობისათვის შემორჩება სახელი „ერთგულების სახლისა“. გამარჯვებულებმა ციხე-დარბაზს, გაძარცვის შემდეგ, ცეცხლი წაუკიდეს. კრომველის ჯარისკაცებმა ხელთ იგდეს საგვარეულო ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი. ციხე-დარბაზის ბეღლებში შენახული ხორბალი ადგილობრივ მოსახლეობას მიჰყიდეს, სასახლიდან გამოზიდეს და გაყიდეს ავეჯი, კარ-ფანჯარა, საკეტები, ნაჭერ-ნაჭერ დაჭრეს და გაყიდეს ციხე-დარბაზის ლითონის სახურავი.

მეფე ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ მცირე რაზმით დაბანაკდა ჩრდილოეთის ქალაქ ჩესტერში, რომელიც პარლამენტის ჯარების ალყის ქვეშ იმყოფებოდა. პარლამენტის ჯარების სარდალმა პოლკოვნიკმა მაიკლ ჯონსმა ხელი არ შეუშალა მეფის ქალაქში შესვლას, როგორც ჩანს, იგი მასში საშიშ ძალას აღარ ხედავდა. მეფეს სურდა ჩესტერის გადარჩენა და მონტროზთან შეერთება. მისი ორივე ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. შოტლანდიაში ეითარება მკვეთრად შეიცვალა. მისმა ერთგულმა მონტროზმა კილზიტთან მოპოვებული წარმატება ვერ შეინარჩუნა. იგი 1645 წლის 13 სექტემბერს ფილიპოგოსთან სასტიკად დაამარცხა გენერალმა დევიდ ლესლიმ, რომელმაც ინგლისიდან მის წინააღმდეგ სასწრაფოდ გადმოისროლა შოტლანდიელ კოვენანტერთა არმია. მონტროზის პოლიტიკური ავანტიურა დამთავრდა. მან მთებში გაქცევით უშველა თავს. შოტლანდიელი კოვენანტების და არგაილის ხელისუფლება აღსდგა.

მეფეს ახალი უბედურება ეწია. 1645 წლის 24 სექტემბერს მისი კავალერია რაუტონ-ჰილთან დამარცხდა. ჩარლზმა დატოვა ჩესტერი, ერთხანს თავს აფარებდა ჯერ კიდევ შემორჩენილ მის ერთგულ ფეო-

დალთა ციხე-დარბაზებში, დაბოლოს, ნოემბრის დასაწყისში თავი შეაფარა ოქსფორდს, მის უკანასკნელ საყრდენ პუნქტს.

მეფე იმედს არ კარგავს, პოლიტიკური ინტრიგების ახალ ქსელს აბამს. იგი დიდ იმედებს ამყარებს ინდეპენდენტებსა და პრესბიტერელებს შორის პარლამენტში წინააღმდეგობის გამწვავებაზე. „მთავარია,— ეუბნებოდა იგი ლორდ დიგბის, — მეამბოხეებმა მე მეფედ მცნონ. მე შესაძლებლობა მექნება მოვიმხრო ან პრესბიტერელები ან ინდეპენდენტები, გადავკიდო ისინი ერთმანეთს, და ერთნი მოვსპო მეორის საშუალებით". ამის შედეგი იყო ერთი შეხედვით კურიოზული ფაქტი, მეფის კონტაქტები ინდეპენდენტებთან, კერძოდ, ჰენრი ვენთან და თვით ოლივერ კრომველთან. მეფემ მათ შესთავაზა თანამშრომლობა „ტირანიის (პრესბიტერელების) აღმოფხვრისა და ურთიერთთავისუფლების უზრუნველყოფის საქმეში". ცხადია, ინდეპენდენტებმა მეფის ნამდვილი მიზნები ადვილად ამოიცნეს. ამასთანავე მეფე კვლავ არწმუნებს როიალისტებს, იგივე დიგბის, რომ არასოდეს არ უღალატებს თავის ეკლესიას (ეპისკოპალურს), მეგობრებს (ფეოდალთა კლასს) და გვირგვინს (აბსოლუტიზმს). მეფე პარლამენტს სთხოვს ზავს და ბევრ დათმობებს პირდება. ამავე დროს იგი დედოფალს წინადადებას აძლევს დააჩქაროს ჯარების დაქირავება კონტინენტზე. 1644 წლის ნოემბერს, პარიზში ჩასული ინგლისის დედოფალი აქტიურად მოქმედებს, ძაგრამ რაიმე დიდ წარმატებას ვერ აღწევს. ესპანეთსა და გერმანიის იმპერიის წინააღმდეგ ომში ჩაბმული საფრანგეთის ფაქტიური მბრძანებელი კარდინალი ჯულიო მაზარინი, აქტიური დახმარებისათვის განწყობილი არაა. ამასთან ერთად ინგლისის საშინაო არეულობა მას ხელსაც აძლევს და უფრო თავისუფლად მოქმედებს ევროპის პოლიტიკურ სარბიელზე. იგი თანახმაა ფულადი დახმარება აღმოუჩინოს ირლანდიელ კონფედერატებს (ინგლისის მეფის მოკავშირეებს), მაგრამ ინგლისის შინაურ საქმეებში აქტიურ ჩარევაზე თავს იკავებს.

დედოფალმა კავშირი დაამყარა პარიზში მყოფ ინგლისელ და ირლანდიელ კათოლიკეებთან. დედოფლისა და მათი დავალებით ინგლისელი არისტოკრატი სერ კენელმა დიგბი რომში ელჩად გააგზავნეს და პაპს დახმარება სთხოვეს. დიგბი არწმუნებდა პაპს, ინგლისი რომის ეკლესიას დაუბრუნდებაო. მას მოთხოვეს ინგლისის მეფის ოფიციალური რწმუნება, რომელიც მას არ გააჩნდა. მისიამ სათანადო ნაყოფი ვერ გამოიღო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 20 000 კრონს, რომელიც მას პაპის ხაზინიდან გამოუყვეს.

დედოფალი ცდილობს გადმოიბიროს ავანტიურისტი კონდოტიერი ლოთარინგიის ჰერცოგი კარლი, იგი ჯარისკაცების დაქირავებას ფიქრობს აგრეთვე ჰოლანდიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში, ეძებს ფლოტს,

რომლითაც შესაძლებელი იქნება დაქირავებული ჯარების ინგლისში გადასხმა და სხვ.

მეფის დანაშაულებრივი კავშირი ირლანდიელ კათოლიკეებთან კიდევ უფრო განმტკიცდა. მეფის დავალებით გრაფი გლემორგენი (მარკიზ უინჩესტერის შვილი) საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებს ირლანდიაში პაპის ნუნციასთან და ირლანდიელ კათოლიკე მეამბოხეებთან. ირლანდიელები მეფეს 10 000-იანი არმიის გამოგზავნას დაპირდნენ, საფასურად მიიღეს დიდი დათმობები. პარლამენტისათვის ცნობილი გახდა ამ სამარცხვინო გარიგების შინაარსი, რომელიც დაუყოვნებლივ გამოქვეყნდა. მეფემ ავტორიტეტის შენარჩუნების მიზნით, ყველაფერი გლემორგენს გადააბრალა, თითქოსდა მან თვითნებობა გამოიჩინა, გადააჭარბა თავის უფლებებს. იგი პასუხისგებაშიც კი მისცეს.

ამაოდ ცდილობდა მეფე თავის ნამდვილი მიზნების შენილბვას, რადგან პარლამენტისათვის ყველაფერი ცნობილი იყო, ისიც კი რომ მეფე ცდილობდა პარლამენტის არმიის ოფიცერთა მოსყიდვას.

ამასობაში საომარ ასპარეზზე მეფე მარცხზე-მარცხს განიცდიდა. 1646 წლის 13 აპრილს პარლამენტის ჯარებს დანებდა როიალისტთა მნიშვნელოვანი საყრდენი პუნქტი, სამხრეთ ინგლისში დევონშირის საგრაფოს ცენტრი, მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე ქ. ექზესტერი. 1646 წლის დასაწყისში უელსის პრინცმა ჩარლზმა და მისმა მრჩევლებმა, როიალისტთა უკანასკნელი იმედი, მამაცი გენერალი რალფ ჰოპტონი (გენერალი გორინგი საფრანგეთში გაიქცა) მთავარსარდლად დანიშნეს და დევონშირის (მასთან ერთად კორნუოლის) დაცვა დაავალეს. 14 აპრილს ტორინგტონთან (დევონშირი) ჰოპტონი დამარცხდა და ფერფაქსს დანებდა. პრინცი და მისი მრჩევლები ტოვებენ ინგლისს, კორნუოლის გავლით ისინი გადადიან სილის კუნძულებზე, იქიდან კი ევროპის კონტინენტზე. ფერფაქსი ექზესტერისკენ დაიძრა. 9 აპრილს გუბერნატორმა ბარონმა ჯონ ბერკლიმ ქალაქი დაცალა. პარლამენტის არმიამ ხელთ იგდო დიდი სამხედრო ნადავლი.

მეფე დედოფლის წერილს ღებულობს. დედოფალი და მისი ფავორიტი ჯერმინი აიმედებენ მეფეს, რომ ახლო მომავალში საფრანგეთის ჯარები გადმოსხდებიან კენტში ან სესექსში. დაიმედებულ მეფეს სურს ოქსფორდში გამაგრება. აქ მან მოუხმო სევერნის რაიონში განლაგებულ უკანასკნელ სამხედრო შენაერთს, რომელსაც ბარონი ჯეკობ ესტლი მეთაურობდა. ოქსფორდისკენ მიმავალი 3 000-იანი რაზმი ჰოპტონისა და ბერკლის მარცხიდან დაახლოებით ერთი კვირის თავზე სტოუნთან დაძლეულ იქნა. ყველა იმედი ამოიწურა. 27 აპრილს, ღამით, მსახურის ტანისამოსში გადაცმულმა მეფემ, პირადი კაპელანის დოქტორ ჰედსონის და ერთგული ოფიცრის ეშბერნჰემის თანხლებით დატოვა ოქსფორდი. მეფეს სამი გზა ჰქონდა — შოტლანდია, ლონდონი და სა-

ზღვარგარეთი. მან პირველი ირჩია. იგი გამოცხადდა შოტლანდიელთა ბანაკში—ნიუარკში. ეს პუნქტი 5 მაისს შოტლანდიელებმა პარლამენტს დაუტოვეს. თვითონ კი საპატიო ტყვესთან თუ სტუმართან ერთად ქ. ნიუკასლში დაბინავდნენ.

1646 წლის 24 ივნისს პარლამენტის ჯარებმა აიღეს ქ. ოქსფორდი. 1646 წლის აგვისტოში დაეცა როიალისტთა უკანასკნელი ციხე-სიმაგრე რეგლანი.

პრესბიტერულმა პარლამენტმა ინგლისის, ირლანდიის და შოტლანდიის სახელით ნიუკასლში მყოფ მეფეს წარუდგინეს 1646 წლის 14 ივლისს საზავო პირობები—ე. წ. „ნიუკასლის წინადადებები". პარლამენტის ძირითადი მოთხოვნები იყო: მეფის მიერ პრესბიტერიული ეკლესიისა და ინგლის-შოტლანდიის ლიგისა და კოვენანტის ცნობა, ეპისკოპალური ეკლესიისა და ურთულესი საეკლესიო იერარქიის (არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, მათი მდივნები და კომისრები, დეკანები, სუბდეკანები, ტაძრებისა და დიდი ეკლესიების წინამძღვრები, არქიდიაკონები, კანონიკები, რეგენტები, ხაზინადარები, მდივნები, ნოტების გადამწერნი, ამ უკანასკნელთა თანაშემწეები და სხვა მრავალი) გაუქმება. მომავალში ინგლისის რელიგიის შინაარსისა და ფორმების დადგენა, მათში ცვლილებების შეტანა უნდა დაქვემდებარებოდა ორივე პარლამენტის კომპეტენციას, ღვთისმეტყველთა კრების მიერ ამ საკითხის წინასწარი განხილვის საფუძველზე. რელიგიური პრობლემების გადაჭრისას აუცილებელია ინგლისისა და შოტლანდიის პარლამენტის და ეკლესიის თანხმობა და ერთობლიობა; პარლამენტმა მოითხოვა: იეზუიტების, კათოლიკე მღვდლების და საერთოდ ყველა პაპისტის სქმიანობის საბოლოოდ აკრძალვა, მათ წინააღმდეგ მიმართული კანონების, აქტებისა და ბილების მტკიცედ აღსრულება, მათი შვილების პროტესტანტული აღზრდა, პაპისტების დაჯარიმების კანონის დაცვა, კათოლიკური წირვის აკრძალვა ყველგან, მათ შორის სამეფო კარზე, კავშირის გაწყვეტა ირლანდიელ კათოლიკეებთან და სხვ. ძილიციაზე, არმიაზე და ფლოტზე მბრძანებლობის უფლების ოცი წლით პარლამენტზე გადაცემა (ამ ვადის შემდეგ შეიარაღებული ძალების დაქვემდებარების საკითხი კვლავ პარლამენტმა უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს), მეფის მიერ სამოქალაქო ომის პერიოდში მინიჭებული პერობის გაუქმება, 71 ყველაზე უფრო თვალსაჩინო როიალისტის მიმართ ამნისტირების უფლების აღკვეცა და სხვ.

„ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ პასუხის დაყოვნებისათვის, სანამ აშკარა არ გახდება რომელიმე პარტიის უპირატესობა", — სწერდა მეფე დედოფალს. ე. ი. მეფეს კვლავ მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში არსებული განხეთქილების იმედი აქვს. მან დაახლოებით 6 თვეს დააყოვნა პასუხი. 1646 წლის 1 აგვისტოს გაგზავნილ პირველ პასუხში მეფე

ითხოვს მოსაფიქრებელ დროს, თანაც დასძენს, რომ იგი არასოდეს არ დაიმცირებს თავს და არ დათანხმდება მიიღოს პირობები, რომლებიც მოასწავებენ მისი „სამართლიანი ხელისუფლების“ დამსხვრევას. იგი წინადადებას იძლევა შეწყვიტონ ომი, დასხდნენ და მოიფიქრონ ურთიერთობის მოგვარების ორმხრივ მისაღები პირობები. მეფის უპირველესი მიზანია: აღდგეს მეფის უფლებებში და შემდეგ თავისი პოზიციების განმტკიცება განახორციელოს პრესბიტერებსა და ინდეპენდენტთა წინააღმდეგობათა გამოყენებით. მეორე პასუხში (20.XII. 1646) იგი პირდაპირ მოითხოვს ლონდონში დაბრუნებას და პარლამენტისა და შოტლანდიელი კომისრების მხრივ გარანტიას, რომ მას მოექცევიან პატივისცემით და არ შელახავენ მის უფლებებს, უზრუნველყოფენ მის თავისუფლებას და უსაფრთხოებას. მხოლოდ ასეთ პირობებში მიაჩნია მას შესაძლებლად საზავო პირობების განხილვა. დაბოლოს, 1647 წლის 12 მაისს, მეფემ მესამე პასუხში თავისი კონტრმოთხოვნები წამოაყენა: პრესბიტერული სისტემა იარსებებს სამი წლით. შემდგომი ბედი ეკლესიისა უნდა გადაწყვიტოს ორივე პალატის მიერ მოწვეულმა ღვთისმეტყველთა კრებამ. კრების შემადგენლობის 1/3-ს (20 კაცი) შეარჩევს მეფე თავისი სურვილით. მეფეს, მის ოჯახს და სამეფო კარს შეუძლია ღვთისმსახურება აღასრულოს ძველი წესით. მეფე ითხოვს კოვენანტთან მისი დაბოკიდებულების საკითხი განხილულ იქნას მისი ლონდონში დაბრუნების შემდეგ. 1647 წლის 17 ნოემბერს ლორდების სახელზე გაგზავნილ წერილში მეფე უარს აცხადებს ეპისკოპალური ეკლესიის გაუქმებაზე, იგი თანახმაა ეპისკოპოსთა უფლებების საგრძნობ შეკვეცაზე. ამასთან ერთად იგი ქვეყნის სამხედრო ძალების ხელმძღვანელობას მეფის აუცილებელ უფლებად სთვლის, ამჯერად კი თანახმაა ეს უფლება პარლამენტს დარჩეს მხოლოდ დროებით...

ასეთ ვითარებაში პარლამენტმა მიიღო სწორი გადაწყვეტილება, მეფე საკუთარი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა. შოტლანდიელებმა მას მეფე 400 000 გირვანქა სტერლინგად „დაუთმეს“. ფორმალურად ეს თანხა გაიცა როგორც იმ სამხედრო ხარჯების ანაზღაურება, რომელიც შოტლანდიელებმა პარლამენტის მხარეზე ომში გაიღეს. პარლამენტსა და შოტლანდიელებს შორის დიდი ვაჭრობა გაიმართა. თავიდან შოტლანდიელები 700 000 გირვანქა სტერლინგსაც კი ითხოვდნენ.

1647 წლის 1-ელ სექტემბერს შოტლანდიელებმა მეფე პარლამენტის კომისრებს ჩააბარეს. „გამყიდეს და მიყიდეს“, — ამბობდა ჩარლზი. იგი მრათავსეს ნორტჰემპტონშირის საგრაფოში, ნეზბისთან ახლოს ციხე-დარბაზ ჰოლომბი-ჰაუზში. იგი აქ ფორმალურად მეფურ პატივისცემაში, ფაქტიურად კი მკაცრი კონტროლის ქვეშ ჰყავდათ. ნიუკასლიდან ჰოლომბი-ჰაუზამდე მეფეს მიაცილებდნენ თავადაზნაურთა ესკორტები ზარბაზნების სროლით, ზარების რეკვით. როიალიზმი კვლავ

ცოცხლობდა. თვით მთავარსარდალი ფერფაქსიც კი ხელზე მთხვევით შეხედა მას. მის ეტლს გარს ეხვეია მდაბიო ხალხი. ეს საზეიმო ვითარება ოდნავადაც არ ნიშნავდა მეფისადმი გულწრფელი სიყვარულის დადასტურებას. ეს იყო გამოხატულება ათასწლოვანი ტრადიციისა და იმ სიხარულისა, რომელიც ომის დამთავრებამ გამოიწვია. მეფეს კი ყველაფერი უკუღმა ესმის, მას მიაჩნია, რომ ხალხი მასთანაა, მისი ერთგულია. რომ მას შეუძლია ხალხს მოექცეს როგორც სურს. ასეთ ვითარებაში რევანშის განწყობა მეფეში ძლიერდება.

ომის საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში რამდენიმე ჯგუფი გამოიკვეთა. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებები წამოაყენა ავსტრალიელმა ისტორიკოსმა ქალმა (ლა ტრობის უნივერსიტეტი, ვიქტორია) ლოტ მალიგანმა („საკუთრება და პარლამენტის პოლიტიკა ინგლისში სამოქალაქო ომის დროს", ჟურნ. „Historical studies", Melbourne, 1975, vol. 16, № 64). იგი ამტკიცებს, რომ პარლამენტის წევრთა ხანგრძლივ პოლიტიკურ მოქმედებას სამოქალაქო ომის წლებში, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებდა საკუთრება. ამასთან დაკავშირებით ავტორმა პარლამენტში 4 ჯგუფი დაადგინა: 1. „ომის პარტია", რომელიც მოითხოვდა საომარი ოპერაციების ეფექტურად წარმართვისათვის ძლიერი არმიის შექმნას, მაღალი გადასახადების, მმართველობის ცენტრალიზირების, მეფისა და როიალისტების ჭონების სეკვესტრის გზით, შოტლანდიელების პარლამენტის მხარეზე გადმობირებას, ჩარლზ I-ის სამხედრო დამარცხებას და მასთან მოლაპარაკებას ძალის პოზიციებიდან; 2. „ზავის პარტია" — იგი აერთიანებდა ომის პასიურად წარმოების და მეფესთან მოლაპარაკების რაც შეიძლება მალე დაწყებას, მომხრეებს, რომლებიც გამოდიოდნენ გადასახადების ზრდისა და კონფისკაციების წინააღმდეგ. 3. „ცენტრი", რომელიც პიმის ირგვლივ ერთიანდებოდა. მას ეკავა კომპრომისული პოზიცია პირველი ორი პარტიის მოთხოვნათა მიმართ. დაბოლოს, მალიგანი ასახელებს კიდევ ერთ ჯგუფს — „ადმინისტრატორებს". მისი წევრები აქტიურად მოქმედებდნენ პარლამენტის კომიტეტებში, ხელს უწყობდნენ შექმნილიყო ადმინისტრაციული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა პარლამენტის გამარჯვებას.

ეს ჯგუფები გამოირჩეოდნენ პოლიტიკური სტაბილურობით, რასაც განაპირობებდა მრავალი ფაქტორი, მათ შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პარლამენტის წევრთა წარმომავლობას, მათი საკუთრების მოცულობას, ხასიათს, ადგილმდებარეობას. ავტორი არ ცდება, როცა ამტკიცებს, რომ საკუთრების აღნიშნულ ფაქტორებსა და პარლამენტის წევრთა პოლიტიკურ საქმიანობას შორის გარკვეული კავშირი არსებობს. ავტორის აზრით, „ზავის პარტიას" ყველაზე მდიდრები შეადგენდნენ, მათი საკუთრება კონცენტრირებული იყო იმ რაიონებში, რომ-

ლებსაც კონტროლს უწევდა პარლამენტი, ნაწილობრივ ლონდონში. „ცენტრიც“ მდიდრებით და „ზომიერად მდიდრებით“ იყო წარმოდგენილი (ფლობდნენ ქონებას 500-დან 1000 გირვანქა სტერლინგამდე). მაცი ქონებაც პარლამენტის კონტროლის ქვეშ მყოფ რაიონებში იმყოფებოდა. აღსანიშნავია, რომ „ზავის პარტიაში“ არ იყო არც ერთი იმ რაიონიდან, რომელსაც როიალისტები უწევდნენ კონტროლს. „ომის პარტიის“ წევრების და „ადმინისტრატორების“ საკუთრების 60-70 პროცენტი იყო როიალისტთა და „მერყეევთა“ (პარლამენტსა და მეფეს შორის) ტერიტორიაზე. ეს ვითარება განაპირობებდა ამ ორი დაჯგუფების პოლიტიკურ რადიკალიზმს. მალიგანის მიხედვით, „ომის პარტიის“ წევრთა შორის იყო „შედარებით ღარიბ“ (ფლობდნენ 150-200 გირვანქა სტერლინგის ღირებულების საკუთრებას) ადამიანთა დიდი პროცენტი. საერთოდ კი, „ომის პარტიის“ წევრები და „ადმინისტრატორები“ „ზავის პარტიისა“ და „ცენტრის“ წევრებთან შედარებით უფრო ნაკლებ ქონებას ფლობდნენ — უფრო ღარიბნი იყვნენ. „ომის პარტიისა“ და „ადმინისტრატორების“ ქონებრივი მდგომარეობა დაახლოებით თანაბარი იყო, მაგრამ „ადმინისტრატორთა“ უმრავლესობა პროვინციულ ქალაქებიდან იყვნენ და ფლობდნენ საქალაქო საკუთრებას. რადიკალთა უმრავლესობა როიალისტთა კონტროლის ქვეშ მყოფ ან საომარ ასპარეზად ქცეულ რაიონებიდან იყვნენ, ზომიერებისა კი — პირიქით.

„ზავის პარტიის“ წარმომადგენლებს, მსხვილ მესაკუთრეებს, იმის გამო, რომ მათი ქონება განლაგებული იყო პარლამენტის კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, არ შეეძლოთ აშკარად დაეჭირათ მხარი მეფისთვის. ამით აიხსნება მათი უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება გადაჯახადების გაზრდის, კონფისკაციების და სხვა ხასიათის რადიკალური ღონისძიებების მიმართ.

„სამხედრო პარტიის“ რადიკალიზმი ნაკარნახევი იყო, — აღნიშნავს მალიგანი, — ნაწილობრივ იმითაც, რომ მათ და მათი ნათესავების საკუთრებას ელოდა განადგურება მებრძოლ მხარეთა ზრიე ან როიალისტური კონფისკაცია“.

როგორც ლ. მალიგანი მიუთითებს, უკვე თანამედროვეებიც კი ხედავდნენ იმას, რომ პოლიტიკური კრედო იყო ნაყოფი ქონებრივი მდგომარეობისა. თანამედროვეები „ჯანსაღ კონსერვატიზმს“ უკავშირებდნენ სიმდიდრეს, რადიკალიზმს კი — „სიღარიბეს“.

IV. განხეთქილება გამარჯვებულთა ბანაკში. პარლამენტის ანტიდემოკრატიული ღონისძიებანი. მასების რევოლუციური აქტიურობის ზრდა

სტოუნთან დამარცხებულმა როიალისტმა, გენერალმა ბარონმა ჯეკობ ესტლიმ გამარჯვებულებს განუცხადა: „ამჯერად თქვენ თქვენი საქმე დაამთავრეთ და შეგიძლიათ გასართობად თეატრში წაბრძანდეთ, თუკი ერთმანეთს არ დაერევით“. გენერლის სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. გამარჯვებულთა ბანაკში მწვავე განხეთქილება დაიწყო.

პირველ ყოვლისა ერთმანეთს დაუპირისპირდა მოკავშირე კლასები (ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა) და ხალხთა ფართო ფენები. ერთიანი ანტიფეოდალური, ანტიაბსოლუტისტური სახალხო ფრონტი ირღვეოდა. როგორც ვიცით ამ სხვადასხვა ინტერესების მქონე სოციალურ კლასებსა და ფენებს აკავშირებდათ ერთი მიზანი— ბრძოლა ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, ყველა მათგანი საკუთარ მისწრაფებებს ამ საერთო მიზანს უმორჩილებდა. ამჯერად თავი იჩინეს საკუთარმა პოლიტიკურად, ეკონომიკურად და, რაც მთავარია, სოციალურად საპირისპირო ინტერესებმა.

მოკავშირე კლასების და ხალხის ფართო ფენების კლასობრივი დაპირისპირების პარალელურად წარიმართა შიდაკლასობრივი ბრძოლა თვით მოკავშირე კლასებს შიგნით. ამ შემთხვევაში იგი ატარებდა უპირატესად პოლიტიკურ და ნაწილობრივ ეკონომიკურ ხასიათს.

რომმა გააჩანაგა ინგლისის ეკონომიკა, წარმოება და ვაჭრობა მოიშალა, აუწერელი ზარალი განიცადა სოფლის მეურნეობამ. ორივე მებრძოლი ბანაკი უპირატესად სოფლის ძარცვის ხარჯზე აწარმოებდა ომს. მოქმედებდა ჯარის სადგომად ჩაყენების, ანუ ადგილობრივ მოსახლეობის ხარჯზე არმიის შენახვის წესი. გლეხობის ძარცვა-რბევაში მეფის ჯარს არც პარლამენტის ჯარი ჩამორჩებოდა. ამ მხრივ თვით კრომველის „ახალი მოდელის“ არმიაც არ იყო უცოდველი. პარლამენტი ძარცვა-აწიოკების შეჩერების მიზნით მიმართავდა უმკაცრეს ზომებს. სოფლის მეურნეობას აჩანაგებდა აგრეთვე მუშახელის ნაკლებობა. სამხედრო სამსახურისათვის ვარგის გლეხზე ორივე მხარე ნადირობდა. ფეოდალები მიერეკებოდნენ მათ მიწაზე მსხდომ გლეხებს. ბევრი ეკონომიკურად მნიშვნელოვანი რაიონი, განსაკუთრებით სადაც საომარი ოპერაციები მიმდინარეობდა, გაპარტახდა. სასტიკად ნადგურდებოდა აგრეთვე ის რაიონები, სადაც დაბანაკებულნი იყვნენ როიალისტები ან შოტლანდიელები. მაგალითად ჩრდილოეთის ორი საგრაფო ნორტუმბერლენდი და დარემი შოტლანდიელებს ყოველდღიურად აძლევდნენ 30 000 გირვანქა პურს, 6 ათას გირვანქა ყველს, ხორცს და

ლუდს. იწვოდა სოფლები, ნადგურდებოდა ნათესები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი და სხვ. შეფერხდა ქალაქების მომარაგება სურსათითა და ნედლეულით (მატყლით და სხვ.), განსაკუთრებით დაზარალდნენ დიდი ქალაქები, მათ შორის პირველყოვლისა ლონდონი (მეფემ 1643 წ. აკრძალა მისი კონტროლის ქვეშ მყოფ რაიონებიდან ლონდონისათვის მატყლის მიწოდება), მოიშალა ეკონომიკური კავშირები ქვეყნის საგრაფოებს შორის, პროდუქტები, სურსათი, პირველ ყოვლისა პური, საშინლად გაძვირდა. ნედლეულის კრიზისს მოჰყვა წარმოების კრიზისი, წარმოება შეფერხდა ან მთლიანად შეწყდა. მრავალი მანუფაქტურა დაიხურა, დაიწყო მასობრივი უმუშევრობა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ წვრილი ხელოსნები, დაქირავებული მუშები, ქარგლები, შეგირდები და სხვ. წარმოების კრიზისთან ერთად მოიშალა ვაჭრობა, ბევრმა ხელოსანმა და კომერსანტმა საერთოდ დატოვა ინგლისი. ნიდერლანდთან და ევროპის სხვა ქვეყნებთან ვაჭრობა შეწყდა. მდგომარეობას ართულებდა ზღვებზე მეფის მომხრე ფლოტის პირატული თარეში.

ქალაქისა და სოფლის ღარიბი მოსახლეობის უკმაყოფილება ზრდის პრესბიტერული პარლამენტის ანტისახალხო პოლიტიკას. როგორც ვიცით, ხელისუფლებამ ომის მთელი სიმძიმე ხალხს, დემოკრატიულ მასას დააკისრა. პირველ ყოვლისა საგრძნობლად გაზარდა პირდაპირი თუ არაპირდაპირი გადასახადები. შემოიღეს ყოველთვიური გადასახადი არმიის შესანახად, პიმის წინადადებით 1643 წლის ივლისში მიღებულ იქნა სააქციზო ახალი გადასახადი, რომელმაც, როგორც აღვნიშნეთ, მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია. ჯერ იგი გათვალისწინებული იყო ფუფუნების საგნებზე, 1644 წლიდან კი იგი გაავრცელეს ფართო მოხმარების საგნებზე, ხორცზე, მარილზე, ლუდზე, ქსოვილებზე, სათბობზე, ბოცვერებზე და მტრედებზეც კი. 1647 წელს აქციზმი წლიურად ხელისუფლებას აძლევდა 330 000 გირვანქა სტერლინგს, ცხადია მოსახლეობის ფართო მასების ხარჯზე. ახალი გადასახადები მდიდართა მზარდ შემოსავალს არ შეხებია.

1643 წლის 27 მარტს პარლამენტმა მიიღო კანონი პარლამენტის მოწინააღმდეგე როიალისტების და კათოლიკეების (დელიქვენტების) ქონებაზე სეკვესტრის გამოცხადების შესახებ. სეკვესტრთან ერთად როიალისტების მიმართ განახორციელეს ჯარიმების სისტემა (ე. წ. კომპოზიციები). ეს ღონისძიება ახალი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის გამდიდრების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. ამას გარდა, 1645 წლის ზაფხულიდან დაიწყო (მაშინ გაიყიდა ეპისკოპოსთა მიწები) ეპისკოპოსების, როიალისტების და საერთოდ ყველა მოღალატის ანუ დელიქვენტების კონფისკაციაქმნილი მიწების გაყიდვა. მიწები იყიდებოდა მსხვილ ნაკვეთებად, ღირებულების ერთდროულად გადახდით. 1646

წლის 17 ნოემბრის კანონით ეპისკოპოსთა მიწების ფასი განისაზღვრა ამ მიწების ათი წლის შემოსავალის ოდენობით. ასეთი ფულის გადახდა მხოლოდ მდიდარს შეეძლო. საეპისკოპოსო მიწები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გაიყიდა 1647-50 წლებში. ასეთ პირობებში მოგებული აღმოჩნდა მხოლოდ ბურჟუაზია, ახალი თავადაზნაურობა და მდიდარი გლეხობის მცირე ნაწილი. მათივე ხელში გადადიოდა დელიქვენტთა კონფისკებული მოძრავი ქონების უდიდესი ნაწილი. დემოკრატიული, ღარიბი ინგლისისათვის პატარა პარცელებად, შეღავათიან ფასებში ან ნისიად მიყიდვა, მიწების პრესბიტერულ პარლამენტს არც უფიქრია. აღსანიშნავია, რომ სეკვესტრებიდან და კომპოზიციებიდან მიღებული შემოსავალი ხშირად ხმარდებოდა იმ სესხის უზრუნველყოფას, რომელსაც პარლამენტი იღებდა მდიდარი ვაჭრებისაგან და ბანკირებისაგან, მათვე ეძლეოდათ საშუალება შეეძინათ მეფის, ეპისკოპოსის, ფეოდალთა კონფისკაციაქმნილი მიწები. ძლიერდება სოციალური პოლარიზაცია, „ახალი მდიდრების" ზრდასთან პარალელურად იზრდება ღარიბ-ღატაკთა რიცხვი. ერთ-ერთი პამფლეტ-ს ცნობით, 40-იანი წლების დამლევს ღატაკ-მათხოვართა რიცხვმა 500 000 ეადააჭარბა. 1647 წლის დეკემბერში პარლამენტმა გამოსცა დეკრეტი ღარიბთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ეკონომიური მიზეზებით გამოწვეული სიძნელეების დაძლევას რეპრესიებით ცდილობენ. მაწანწალებსა და მათხოვრებს სდევნიან, სჯიან და იძულებით მიერეკებიან სამუშაოდ. ქალაქის ქუჩებში და სოფლებში შიმშილისაგან დახოცილთა გვამების ხილვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ინგლისი მოიფინა მათხოვრებითა და მაწანწალებით.

უკმაყოფილებას ზრდიდა პრესბიტერული პარლამენტის ანტიდემოკრატიული აგრარული პოლიტიკა. 1646 წლის 24 თებერვალს მიღებულმა დეკრეტმა „მეურვეობის საქმეთა პალატის" (Court of wards and liveries) გაუქმების შესახებ ბოლო მოუღო „სარაინდო მფლობელობას", მიწის მფლობელობის ამ შუასაუკუნეობრივ ლენურ სისტემას. „სარაინდო მფლობელობის" ანუ ყველა მიწა, რომელიც მეფისგან ვასალურ დამოკიდებულებაში იყო, ლენდლორდების საკუთრებად იქცა. გაუქმდა ყველა გადასახადი, რომელსაც უხდიდნენ მეფეს, როგორც ამ მიწების სიუზერენს. თავადაზნაურული ფეოდალური საკუთრება მიწაზე შეიცვალა ბურჟუაზიულ ანუ პირდაპირ თავისუფალ, შეუზღუდველ სრულ საკუთრებად — სოკეჯად (free and common soccage), რომელსაც აღარ ეკისრებოდა რაიმე ფეოდალური გადასახადი მეფისადმი, გაუქმდა ყველა ფაინი, კომპოზიცია, ანუ გადასახადი განსხვისების დროს და სხვ. გაუქმდა მიწის მფლობელობა in capite — ანუ უშუალოდ მეფისგან ან სხვა პირებისაგან. ამიერიდან მიწა თავისუფალი იყო მეურვეობისაგან, შეიძლებოდა მისი მემკვიდრეობად მი-

ღება ან გადაცემა ყოველგვარი გადასახადის გარეშე. მფლობელს ამიერიდან თავისუფლად შეეძლო მისი განსხვისება, გაყიდვა და სხვ. ფეოდალური მანორი მსხვილ კაპიტალისტურ მამულად იქცა.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია (მაკოლიდან დაწყებული გარდინერის თანამედროვე მიმდევრებით დამთავრებული) „სარაინდო მფლობელობის“ გაუქმების შესახებ თითქმის არაფერს ამბობს ან აუბრალოებს მის მნიშვნელობას, მეორეხარისხოვან მოვლენად სახავს. მათთვის რევოლუციის აგრარული პოლიტიკა და კანონმდებლობა იყო ნაკლებად საინტერესო, უბრალო „გაუქმება“ „არქაული“, უსიცოცხლო ფეოდალური ინსტიტუტებისა. გარდინერი ძალიან ბევრს ლაპარაკობს საფრანგეთის დიდი რევოლუციის 1789 წლის 2-4 აგვისტოს შესახებ (დამფუძნებელი კრების ისტორიული სხდომების დღე, როცა გადაწყდა ფეოდალიზმის ლიკვიდაცია), მას რევოლუციის ცენტრალურ დღედაც კი მიიჩნევს, მაგრამ სიტყვაძუნწი ხდება, როცა ინგლისის რევოლუციის — 24 თებერვლის აქტს ეხება, აუბრალოებს მას. ამ პრობლემის გააზრებისას გამორიცხავს ბრძოლის ყოველგვარ სოციალურ მოტივებს. ბევრი „სარაინდო მფლობელობის“ გაუქმებას გადაჭარბებით აფასებს, მისი სახით ხედავენ შუასაუკუნეობრიობასთან კავშირის ყოველგვარ გაწყვეტას. მაგალითად, მაქსიმე კოვალევსკის აზრით აღნიშნული აქტით გაუქმდა „ფეოდალიზმი და ბატონყმობა“. „სარაინდო მფლობელობის“. გაუქმებას უდიდესი ისტორიული, პროგრესული, სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ აქტმა დიდად შეუწყო ხელი და დააჩქარა კაპიტალისტურ ურთიერთობათა შემდგომი განვითარება, სრულყოფა და საბოლოო გამარჯვება. თავადაზნაურობამ მიწაზე ბურჟუაზიული საკუთრების უფლება მოიპოვა, მათთვის გლეხობის ექსპლუატაცია და მათი მიწების ექსპროპრიაცია გაცილებით უფრო ადვილი გახდა, ამ საქმეში მათ ხელს ვეღარავინ უშლის, ხელისშემშლელი ფაქტორი ტიუდორთა და სტიუარტთა ჩარევის სახით მოიხსნა. „შემოღობვებს“ აღარავინ ზღუდავს. გამარჯვებული მოკავშირე კლასები პარლამენტის საშუალებით „შემოღობვას“ ოფიციალურ, „კანონიერ“ ხასიათს აძლევენ. პარლამენტმა უარყო „შემოღობვათა“ რეგლამენტირების სტიუარტთასეული პოლიტიკა, გააუქმა მათ მიერ დაწესებული ჯარიმები დ სასჯელები შემომღობველთა მიმართ. „შემოღობვა“ მასობრივ ხასიათს ღებულობს. სათემო მიწებთან ერთად ლენდლორდები გლეხობას საკუთარი მიწებიდანაც ერეკებიან. გლეხობის უკმაყოფილება იზრდება. ამიერიდან ლენდლორდები მიწებს თავისუფლად ურიგებენ მსხვილ ფერმერებს კაპიტალისტური იჯარის საწყისებზე. წვრილი და საშუალო მოიჯარე გლეხების მდგომარეობა უარესდება საიჯარო გადასახადის ზრდის გამო. ხშირად მიწის ახალი

მესაკუთრე მემკვიდრეობით მიღებული გლეხების ექსპლუატაციის ნორმებს საგრძნობლად ზრდის.

დადებითთან ერთად „სარაინდო მფლობელობის“ გაუქმებას ჰქონდა ისტორიულად უარყოფითი მნიშვნელობაც, რაც პირველ ყოვლისა მის ანტიდემოკრატიულ, ანტიგლეხურ ხასიათში გამოიხატებოდა. დეკრეტმა აგრარული პრობლემა მხოლოდ ბურჟაზიისა და გაბურჟუებული თავადაზნაურობის (ახალი თავადაზნაურობის) სასარგებლოდ გადაჰყრა. გლეხური მოსახლეობის უმრავლესობის, კოპიჰოლდერების ფეოდალურ ხუნდებში მოქცეული მიწა — კოპიჰოლდი ხელუხლებლად დატოვეს, მის განთავისუფლებაზე არავის უფიქრია. მოკავშირე კლასების ხელში მიწების მონოპოლიზაციამ ხელი შეუწყო ლენდლორდიზმის სისტემის გამარჯვებას. გლეხთა მიწების „დაყმევება“ ძალაში დარჩა. კოპიჰოლდის მფლობელები მანორის ლორდებს ძველებურად უხდიდნენ გადასახადებს და ასრულებდნენ ვალდებულებებს. მიწაზე საკუთრების განმტკიცების შედეგად კოპიჰოლდერის ლენდლორდისადმი მორჩილება კიდევ უფრო განმტკიცდა, მისი ექსპლუატაციის საშუალებები და ნორმები გაიზარდა, კოპიჰოლდერის მიწიდან გაძევება და მისი ფერმებისათვის იჯარით გადაცემა გაადვილდა. საბოლოო შედეგი კი, როგორც ვიცით, კატასტროფული იყო. XVIII საუკუნეში კაპიტალისტმა მსხვილმა მემამულე-ლენდლორდებმა გლეხობა, როგორც კლასი, მოსპეს და სოფლის კაპიტალისტური მეურნეობის დაჩქარებულ მუშად აქციეს. კ. მარქსი „სარაინდო მფლობელობის“ გაუქმებას თვლიდა „ძალმომრეობის ბერკეტად“, რომელმაც დააჩქარა აგრარული რევოლუცია.

ამრიგად, ბურჟაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ მეფეზე ინგლისის ხალხის გამარჯვების ნაყოფი თვითონ დაისაკუთრა. კ. მარქსის თქმით: მამულზე, რომელზეც მათ მხოლოდ ფეოდალური უფლება ჰქონდათ, თანამედროვე კერძო საკუთრების უფლება მიითვისეს[1], ანუ ვიმეორებთ, შუა საუკუნეობრივი ლენური, ფეოდალური საკუთრება გარდაიქმნა ერთპიროვნულ ბურჟუაზიულ საკუთრებად, გლეხები კი ძალით განდევნეს „მიწებიდან, რომლებზედაც ამ გლეხებს საკუთრების ისეთივე ფეოდალური უფლება ჰქონდათ, როგორიც თვით ფეოდალებს“[2].

ამრიგად, მიწაზე ფეოდალური უფლებების გაუქმება მხოლოდ ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის სასარგებლოდ გადაწყდა. საფრანგეთის დიდ რევოლუციაში კი მიწაზე ფეოდალური საკუთრება საერთოდ მოისპო, ფეოდალური ხუნდებისაგან გლეხობაც განთავისუფლდა, მანვე თავისი პარცელა პირდაპირ-ბურჟუაზიულ საკუთრებაში

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 908.

[2] ი ქ ვ ე. გვ. 902.

დაიმკვიდრა. მეფის, ფეოდალების და ეკლესიის სეკულარიზებული და ნაციონალიზირებული მიწები საფრანგეთში ბურჟუაზიასთან ერთად გლეხობამაც შეისყიდა, ინგლისში კი მსგავსი რამ არ მომხდარა, ამ ქონებას დაეპატრონა ბურჟუაზია, ახალი თავადაზნაურობა და გლეხობის შეძლებული, მხოლოდ უმცირესი ნაწილი. ინგლისის ძველი ფეოდალური მიწათმფლობელი არისტოკრატიის ნაცვლად მოვიდა თვისობრივად ახალი კაპიტალისტური მიწათმფლობელი არისტოკრატია.

აღსანიშნავია, რომ ამ მიწებს ბურჟუაზიასთან და ახალ თავადაზნაურობასთან ერთად იაფ ფასებში ყიდულობდნენ პარლამენტის წევრები, დიდმოხელეები, არმიის ზედაფენები. მექრთამეობამ პრესბიტერულ პარლამენტში ფართო გავრცელება პოვა. „სუფევს საყოველთაო უსამართლობა და ჩაგვრა, ყოველდღიურად სჩადიან საძრახ და სამარცხვინო საქმეებს, რაც სარგებლობს ფარული და აშკარა მხარდაჭერით. ყოველგვარი დამსახურების გარეშე ბევრი დუქნიდან და კანტორიდან ამოათრიეს და ერის უმაღლეს საბჭოებში და კომიტეტებში საპატიო ადგილები მისცეს. ისინი აქ განაგრძობენ თავის ჩვეულ ჩარჩობას, ამჯერად ყიდიან საზოგადოებრივ კეთილდღეობას“, — წერდა ჯონ მილტონი.

„სარაინდო მფლობელობის“ გაუქმებისა და მისი სოკეჯად (პირდაპირ საკუთრებად) გარდაქმნის საკითხი პარლამენტმა ჯერ კიდევ 1604 და 1610 წელს წამოაყენა. მაშინ ჯეიმზ I-ის ხანგრძლივი მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.

სამოქალაქო ომის დროს ბრძოლა გრძელდებოდა უკვე იარაღით ხელში. 1643 წლის 14 აპრილს წამოაყენეს წინადადება, რათა ფეოდალური მეურვეობისაგან გაენთავისუფლებინათ ომში დაღუპულ პარლამენტის მომხრეთა მამულები. პრესბიტერელები, რომელთაც მეფესთან შერიგება სურდათ, აჭიანურებდნენ კანონის მიღებას, მიწაზე ფეოდალურ უფლებათა გაუქმება ხომ მეფის პრეროგატივს უდიდეს დარტყმას მიაყენებდა. მარტსონ-მურის, განსაკუთრებით კი ნეზბის ბრძოლის შემდეგ, როცა მეფესთან დაზავების შესაძლებლობა გამოირიცხა, კანონის მიღება დაჩქარდა და იგი, 1646 წლის 24 თებერვალს ოფიციალურად გაფორმდა. ლორდთა პალატამ თანხმობა განაცხადა. მეფემ ორი წლით გააჭიანურა მისი დამტკიცება და დათანხმდა მხოლოდ 1647 წელს კუნძულ უაიტზე ყოფნისას. მეფეს პარლამენტმა აღუთქვა ყოველწლიური კომპენსაცია 100 000 გირვანქა სტერლინგის ოდენობით. „აზნაურები განთავისუფლდნენ მეურვეობის კურიის ჩაგვრისაგან, უბრალო ხალხს კი მიწა არ მისცეს, დატოვეს ისინი ლორდების, ლენდლორდების, ფრიჰოლდერების, იურისტების, სასულიერო წოდების უღელქვეშ“, — ამბობდა ჯერარდ უინსტენლი.

დემოკრატიული მასის უკმაყოფილებას იწვევდა აგრეთვე პარლამენტის არათანმიმდევრობა მონოპოლიების გაუქმების საკითხში. როგორც ვიცით, 1641 წელს პარლამენტმა კი გააუქმა ჩარლზ I-ის მიერ უკანონოდ შემოღებული მონოპოლიები, მაგრამ ყველა როდი. ზღვის იქითა ქვეყნებთან მოვაჭრე მსხვილი მონოპოლიური კომპანიები კვლავ მოქმედებდნენ.

საყოველთაო მწვავე უკმაყოფილებას იწვევდა დესპოტიზმი პრესბიტერული ეკლესიისა, რომელმაც, როგორც ვიცით, უკვე 1643 წლიდან (კონვენანტის მიღების შემდეგ) დაიკავა ოფიციალური ანგლიკანური ეკლესიის ადგილი. 1644 წლის 23 დეკემბერს პარლამენტის დეკრეტით პრესბიტერული ეკლესია გამოცხადდა როგორც ყველასათვის სავალდებულო. დაიბეჭდა მთელი ინგლისისათვის სავალდებულო პრესბიტერული ლოცვანი, 1645 წელს პარლამენტმა დაადგინა, რომ ინგლისში წირვა-ლოცვა, ქადაგება და სათანადო საეკლესიო ლიტერატურის დაბეჭდვა შეიძლება მხოლოდ მთავრობის ნებართვით, ყოველგვარი გადახვევა ოფიციალური რელიგიისაგან ისჯებოდა (ციხე, ჯარიმა, პასტორებისათვის მღვდელმსახურების აკრძალვა, სიკვდილით დასჯაც კი და სხვ.). პარლამენტის 1643 წლის 14 იენისის გადაწყვეტილების შედეგად ამოქმედდა უმკაცრესი ცენზურა. სასულიეროსთან ერთად იგი კონტროლს უწევდა პოლიტიკურ და საერო ხასიათის ყველა ლიტერატურას. ხელისუფლებისათვის არასასურველი ყოველგვარი თავისუფალი აზრი ძალით იხშობოდა. უნიფიცირებული და მკაცრად ცენტრალიზებული ახალი, პრესბიტერული ეკლესია გამარჯვებულმა მსხვილმა ბურჟუაზიამ და მსხვილმა ახალმა თავადაზნაურობამ თავისი კლასობრივი პლუტოკრატიული ბატონობის იარაღად აქცია. შეიქმნა პრესბიტერული „რჩეულთა“ (მდიდართა — გ. კ.) ეკლესია, რომელსაც მართავენ „უხუცესები“ (უფროსები ანუ მდიდარი ინგლისის ელიტის წარმომადგენლები — გ. კ.).

პრესბიტერული ეკლესიის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა 1643 წელს პარლამენტის ბრძანებით მოწვეული უესტმინსტერის კრება, ანუ სინოდი, რომელიც წარმოდგენილი იყო ყველა ცნობილი პრესბიტერელი ღვთისმეტყველით. აქვე იყვნენ თემთა და ლორდთა პალატის თითქმის ყველა თვალსაჩინო პრესბიტერული წევრები. მთელი ერის გაერთიანება ერთიანი დოგმატური მოძღვრებით, საეკლესიო წეს-ჩვეულებებით და ცენტრალიზებული საეკლესიო-ორგანიზაციით — ასეთი იყო პრესბიტერელთა მთავარი ამოცანა.

ძალიან ხშირად პრესბიტერული ეკლესია ერეოდა სამოქალაქო საქმეებში, სდევნიდა მემარცხენეებს, ზოგჯერ მბრძანებლობდა და კონტროლს უწევდა სახელმწიფო ორგანოებს. როგორც წესი, ასრულებდა პოლიტიკური პოლიციის ფუნქციას, სასტიკად სდევნიდა პარლამენტი-

სა და პრესბიტერული ეკლესიის ყველა მოწინააღმდეგესა და კრიტიკოსს. ჯონ მილტონმა პრესბიტერულ სამღვდელოებას უწოდა „დაქირავებული მგლები, რომელთა ღმერთს წარმოადგენს სტომაქი“, მისივე თქმით, „ეპისკოპოსები და პრესბიტერები ჩვენთვის ერთიდაიგივეა“.

ინდეპენდენტებისა და დემოკრატიული მასის უკმაყოფილებას იწვევდა აგრეთვე პრესბიტერული ეკლესიის ეკონომიკური პოლიტიკა. ხალხისათვის ესოდენ აუტანელი საეკლესიო გადასახადი—მეათედი არ გაუქმდა. ეს ბურჟუაზიის არც იმ ნაწილს სურდა, რომელმაც კონფისკაციაქმნილი საეპისკოპოსო მიწები შეიძინა (ამ მიწებიდან მეათედი დიდ შემოსავალს იძლეოდა). აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა განთავისუფლებული სამრევლო თუ საეკლესიო ბენეფიციუმი მხოლოდ პრესბიტერული ეკლესიის წარმომადგენელს უნდა მიეღო. პრესბიტერული ეკლესიის ზედაფენების ხელში აღმოჩნდა აგრეთვე კონფისკაციაქმნილი საეპისკოპო მამულები და ქონება, რომელიც ალფრედ შტერნის თქმით „ნადავლის გაყოფისას ესოდენ უხვად ერგო მათ“. დემოკრატიული ინგლისი, ცხადია, უკმაყოფილო იყო ასეთი ვითარებით. პრესბიტერელები დევნიან ინდეპენდენტებს, თავს ესხმიან ჯონ მილტონს. განსაკუთრებით საფრთხეს ხედავენ სექტანტთა სახით. „სატანა ბნელეთის მოციქულიდან სინათლის ანგელოზად იქცა. ინდეპენდენტები კვლავ მოგვახვევენ თავს... თავისუფალ აზროვნებას ანუ ულმერთობას“, — განაცხადა ერთ-ერთმა პრესბიტერელმა ორატორმა. ჯონ მილტონი აქტიურად ებრძვის პრესბიტერელთა დესპოტიზმს. საყოველთაო აღიარება პოვა მისმა შესანიშნავმა პამფლეტმა „არეოპაგეტიკა“, სადაც მილტონი ილაშქრებს ცენზურის წინააღმდეგ, იცავს სიტყვისა და აზრის თავისუფლებას როგორც თავისუფლებისა და პროგრესის საწინდარს.

ჩვენ ანგლიკანური ეკლესიის უღელი იმისათვის როდი გადავაგდეთ, რომ ახალი პრესბიტერული უღელი დაგვედგა — ასეთი იყო დემოკრატიული ინგლისის საერთო აზრი. პრესბიტერული ეკლესიის წინააღმდეგ დემოკრატიული ინგლისის ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ ინდეპენდენტები და სხვადასხვა რელიგიური სექტები. ფორმით რელიგიური ეს ბრძოლა ფაქტიურად იყო პოლიტიკური ბძოლა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. სრული რელიგიური თავისუფლებისათვის ბრძოლა — პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლას მოასწავებდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ემიგრაციიდან (ამერიკიდან, ევროპიდან) დაბრუნებული მემარცხენე პურიტანები. საოცრად მომრავლდნენ სხვადასხვა სექტები, დამოუკიდებელი რელიგიური თემები — კონგრეგაციები. მარტო ლონდონში ძალზე მოკლე დროში ჩამოყალიბდა 80 კონგრეგაცია, სადაც ერთ-ერთი ეპისკოპოსის თქმით, გაერ-

თიანდნენ: „ხარაზები, მკერავები, ქეჩის მთელავები და ბრბოს სხვა წარმომადგენლები“. კონგრეგაციები გამრავლდნენ სოფლებშიც. ბაპტისტებს ლონდონში 7 თემი ჰქონდათ, სოფლად — 47. კონგრეგაციები ინგლისის სინამდვილეში, როგორც ქალაქად ასევე სოფლად, ასრულებდნენ რევოლუციური კლუბების როლს.

რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მსვლელობის პროცესში საგრძნობლად გაიზარდა ხალხის პოლიტიკური აქტიურობა, ინტერესი პოლიტიკური მოვლენებისადმი. გაფართოვდა პოლიტიკური თვითშეგნება, გაძლიერდა ბრძოლა პოლიტიკური უუფლებობის წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, დემოკრატიულ მასას სურს იყოს პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილე. იბეჭდება და მასობრივად ვრცელდება პოლიტიკური პამფლეტები, ბროშურები, პროკლამაციები და სხვ. დაიწყეს „დღიურების“—პარლამენტის სხდომის ანგარიშების გამოქვეყნება. ფართოდ გავრცელდა ე. წ. „ახალი ამბების წიგნები“. ეს იყო თავისებური პოლიტიკური ჟურნალი, სადაც მიმდინარე პოლიტიკური ამბების აღწერასთან ერთად ხდებოდა მათი კრიტიკული ანალიზი. მასობრივად იბეჭდებოდა მწვავე საპირბოროტო მიმომხილველი ყოველდღიური ფურცლები და სხვ. პრესბიტერული პარლამენტი ყოველნაირად ცდილობს მასები აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლას ჩამოაშოროს. ამით აიხსნება ის, რომ მან ძალაში დატოვა ძველი საარჩევნო ორმოცშილინგიანი ჭონებრივი ცენზი, რომელიც არჩევნებში გზას უკეტავდა გლეხობის უმრავლესობას (კოპიჰოლდერები, კოტერები, სოფლის მუშები), წვრილ ბურჟუაზიას და ქალაქის პლებეურ მასას.

•

ამრიგად, ვითარება დაიძაბა. მოსალოდნელი იყო ახალი სამოქალაქო ომი უკვე გამარჯვებულ ბურჟუაზიასა და ხალხის ფართო მასებს შორის. 1645-1646 წლები მოუსავლიანი იყო. სიძვირემ კვლავ იმატა, რამაც ვითარება კიდევ უფრო დაძაბა.

1647 წლიდან რევოლუციის ისტორიაში იწყება ახალი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპი (1647-49), როცა მასების რევოლუციური აქტიურობა საგრძნობლად გაიზარდა და ინიციატივაც მათ მხარეზე გადავიდა. რევოლუციის პირველ ეტაპზე (1640-47) დემოკრატიული მასა, ხალხი კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ებრძოდა არა თავიანთ მტრებს, არამედ თავიანთი მტრების მტრებს“. ხალხის რევოლუციურმა აქტიურობამ განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, პარლამენტის წარმატებები. ნაყოფი კი, როგორც ვნახეთ, მხოლოდ მსხვილმა ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ დაისაკუთრა. ხალხის არც ერთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. პარლამენტისადმი

წარდგენილ სახალხო პეტიციაში — „ყველაზე უფრო ჩაგრულ და ტანჯულ ინგლისელთა საყოველთაო საჩივარი“ — ნათქვამია: „ჩვენ გვჯეროდა თქვენი გულწრფელობისა და აგირჩიეთ კიდეც ვითარცა ჩვენი რწმუნებულები და დამცველები. ჩვენ განდეთ თქვენ მშვიდობა, ჩვენი ქონება. თქვენ კი გაგვძარცვეთ და გაგვაღატაკეთ. ჩვენ განდეთ თქვენ ჩვენი თავისუფლება, თქვენ კი დაგვიმონეთ და ყმად გვაქციეთ. ჩვენ განდეთ ჩვენი სიცოცხლე, თქვენ კი ყოველნაირად გვაწამებთ და გვკლავთ“.

პარლამენტისაგან მოტყუებული დემოკრატიული ინგლისი თვით შეეცადა თავისი ბედის საკუთარი ხელით გამოჭედვას, თავისი უფლებებისათვის ბრძოლას. ამიერიდან იგი „თავის მტერს“—ბურჟუაზიას და ახალ თავადაზნაურობას დაუპირისპირდა.

ბურჟუაზიულ, ამ შემთხვევაში ინგლისის რევოლუციებში ხალხის მასების მონაწილეობა, მათი ბრძოლის პრობლემა ერთ-ერთი უმთავრესია. სამწუხაროდ იგი სათანადოდ დამუშავებული და შესწავლილი არაა. ბურჟუაზიული რევოლუცია ღრმა შინაგანი წინააღმდეგობით ხასიათდება. იგი თავისი მიზნებით და პრაქტიკული შედეგებით არსებითად ბურჟუაზიულია. ამასთან ერთად, ეს რევოლუცია სახალხოცაა. რადგან რევოლუციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ხალხი. ამ ძალას ბურჟუაზიისგან განსხვავებული სუბიექტური მისწრაფებები აქვს და იბრძვის კიდეც მის განსახორციელებლად. ვ. ი. ლენინის ცნობილი განსაზღვრით, ბურჟუაზიულ რევოლუციებში მშრომელი მასები, პირველ ყოვლისა, ასრულებენ უარყოფით ანუ დამანგრეველ სამუშაოს, ანგრევენ ფეოდალიზმს, მონარქიას, ცხოვრების შეუსაბამობრივ ნორმებს. ახალი საზოგადოების ორგანიზების დადებით ანუ შემოქმედებით სამუშაოს ასრულებს მოსახლეობის მჭონებელი, ბურჟუაზიული უმცირესი ნაწილი[1]. ვ. ი. ლენინი ბურჟუაზიის მიერ განხორციელებულ „დადებითი ანუ შემოქმედებით სამუშაოს“ ქვეშ გულისხმობს ბურჟუაზიის მიერ თავისი კლასობრივი, ეგოისტური, დემოკრატიული მასების საპირისპირო, ანტისახალხო მიზნების განხორციელებას. პრესბიტერული პარლამენტის საქმიანობა ამის უტყუარი დადასტურებაა. მიუხედავად ასეთი პოლიტიკისა, პარლამენტი მაინც ახერხებდა მშრომელი მასების გამოყენებას ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ. ამის საწინდარი იყო მშრომელთა უდიდესი სიძულვილი ამ უკანასკნელის მიმართ.

ყოველ ბურჟუაზიულ რევოლუციაში მოქმედებს ერთი აუცილებლობა — ხალხი ბოლოს და ბოლოს უპირისპირდება ბურჟუაზიას, იწყება კლასობრივი ბრძოლის ახალი ეტაპი. ეს ბრძოლა, როგორც წე-

---

[1] Ленин В. И. Полн. собр. соч., т. 36, с. 168—171.

სი, ხალხის მარცხით მთავრდება. ვ. ი. ლენინის თქმით: ბურჟუაზია ასრულებს თავის ამოცანას „მუშებისა და ღარიბი გლეხობის წინააღმდეგობისდა მიუხედავად". ამასთანავე ე. წ. ბურჟუაზიულ რევოლუციებში (ამ კატეგორიას მიეკუთვნება ინგლისის რევოლუცია) მშრომელთა ფიასკო თითქმის აბსოლუტურია, დემოკრატიული მასა მცირედ წარმატებასაც კი ვერ აღწევს. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციებში (საუკეთესო მაგალითია საფრანგეთის დიდი რევოლუცია) კი მშრომელთა მარცხი შედარებითია. გაბატონებული კლასები იძულებულნი არიან დემოკრატიული ძალების წინაშე გარკვეულ დათმობაზე წავიდნენ, პოლიტიკურ სფეროში მაინც. დემოკრატიის აბსოლუტურ თუ შედარებით მარცხს განაპირობებს მებრძოლი ძალების თანაფარდობა. პირველ შემთხვევაში დემოკრატიის მებრძოლი ბანაკი სუსტია, მეორე შემთხვევაში — მეტ-ნაკლებად ძლიერი.

ინგლისის რევოლუცია ვერ განვითარდა როგორც ტიპური ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. 1647 წელს რევოლუციის განვითარებაში დაიწყო მსგავსი ეტაპი. კულმინაციას წარმოადგენდა 1649 წელი, როცა მასების რევოლუციურმა აქტიურობამ განაპირობა მეფის სიკვდილით დასჯა. ამაზე შორს რევოლუცია აღარ წასულა — იგი განვითარდა როგორც ბურჟუაზიული, კონსერვატორული რევოლუცია. როგორც ვიცით, ამის უპირველესი მიზეზი იყო დემოკრატიული მასის, პირველ რიგში გლეხობის სისუსტე, მათი დაქსაქსულობა. გლეხობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (მდიდარი იომენრი) ბურჟუაზიის ბანაკში იყო. ბურჟუაზიას ჰყავდა ძლიერი მოკავშირე ახალი თავადაზნაურობის სახით. ქალაქის პლებსი იდეურად და პოლიტიკურად მოუმწიფებელ ძალას წარმოადგენდა. გლეხობის, პირველ ყოვლისა, მუშათა კლასის (ქალაქის პლებსის—გ. კ.) სისუსტემ განაპირობა მასების მარცხი და ბურჟუაზიის მოკავშირე კლასების ტრიუმფი. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ევროპის ყველა რევოლუცია ამაოდ თავდებოდა სწორედ იმიტომ, რომ სოფელი ვერ ახერხებდა თავისი მტრების ალაგმვას. მუშები ქალაქად ამხობდნენ მეფეებს (ინგლისსა და საფრანგეთში მეფეები სიკვდილით დასაჯეს ჯერ კიდევ რამდენიმე ასეული წლის წინათ) და, მაინც, რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ ძველი წესწყობილება იმარჯვებდა. ეს იმიტომ, რომ მაშინ ქალაქებშიც კი არ იყო მსხვილი წარმოება, რომელიც გააერთიანებდა ფაბრიკა-ქარხნებში მილიონობით მუშას და ისეთ ძლიერ ლაშქრად დარაზმავდა მათ, რომელიც გლეხთა დაუხმარებლადაც შეძლებდა მოეგერიებინა როგორც კაპიტალისტების, ისე კულაკების შემოტევა.

სტიუარტთა აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის დროს მოკავშირე კლასებს და ხალხს ერთი მიზანი ამოძ-

რაებდათ: „სტიუარტთა ტირანიის დამხობა“, „თავისუფლება“, „ჰეშმარიტი კანონები“, „ჰეშმარიტი რწმენა“ და სხვ.

გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ ამ ლოზუნგებში საკუთარი კლასობრივი გაგება ჩააქსოვეს. სტიუარტთა ტირანია „ფულის ტომრის პარტიის“ ბატონობით შეიცვალა. „თავისუფლების“ ქვეშ იგულისხმება: თავისუფალი კონკურენცია, ხელისუფლების ჩაურეველობა მუშისა და მეწარმის, გლეხისა და მემამულის ურთიერთობაში, ბურჟუაზიული ექსპლუატაციის სრული თავისუფლება, ჯერ სათემო, ხოლო შემდეგ სხვა მიწების მიტაცების — შემოღობვათა შეუზღუდველი უფლება, ცენზის გაზრდის თავისუფლება, საკუთარი კლასის გადასახადებისაგან განთავისუფლება და სხვ. „ჰეშმარიტ კანონებად“ აღიარეს ის, რომელიც იცავს ბურჟუაზიულ საკუთრებას, ბურჟუაზიის პრივილეგიებს და სხვ. „ჰეშმარიტი ეკლესიის“ სახით წარმოადგინეს პრესბიტერული „რჩეულთა“ (მდიდართა) ეკლესია და სხვ.

დემოკრატიამ ეს ლოზუნგები დიამეტრალურად საწინააღმდეგოდ გაიგო, როგორც კოპიჰოლდის განთავისუფლება, „შემოღობვების“ შეჩერება, მიტაცებული სათემო თუ სხვა მიწების ხალხისათვის დაბრუნება, მუშათა ინტერესების დაცვა, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, მდიდრების პროგრესული გადასახადით დაბეგრა, მონოპოლიებისა და პრივილეგიების მოსპობა, ქონების მცირეთა ხელში დაგროვებისა და უმრავლესობის გაღატაკების აკრძალვა, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კეთილდღეობის თანაბარი განაწილება (ანუ კეთილდღეობა ყველასათვის), სრული რჯულშეწყნარება, რწმენის თავისუფლება, დემოკრატიული ეკლესია და სხვ.

ამ პრინციპული დაპირისპირებით მიმდინარეობდა დემოკრატიის ბრძოლა როგორც ქალაქად, ასევე სოფლად, ქალაქებში იმართებოდა დემონსტრაციები, მანიფესტაციები. ყველაფერთან ერთად გმობდნენ პარლამენტის გაუთავებელ მოლაპარაკებას მეფესთან. ნათელი გახდა, რომ რევოლუციის შემდგომი გაღრმავებისადმი შიში ყველა კონსერვატორულ ელემენტს მეფის ირგვლივ აერთიანებს. ინგლისის მშრომელები პარლამენტის პრესბიტერთა უმრავლესობას მიიჩნევდნენ, როგორც კონტრრევოლუციას, როგორც რევოლუციისადმი ღალატს. მაგრამ პოლიტიკურ მოთხოვნებს მაინც ეკონომიკური მოთხოვნები სჭარბობდა. ჯერ კიდევ 1642 წელს „უმუშევრობით უკიდურესობამდე მისული“ ლონდონის პორტის 15 000 მუშა აფრთხილებს პარლამენტს, რომ იძულებული გახდებიან მიმართონ ისეთ „უკიდურესობას, რომელსაც სახელსაც კი ვერ გამოუნახავს“. ესექსისა და სეფოლკის მრთველები და მჭსოველები მიუთითებენ საყოველთაო სიღატაკეზე, ითხოვენ პურს. ხალხის მდგომარეობა უკიდურესობამდეა მისული. ვეცადოთ „არ გავაღვიძოთ მთვლემარე ლომი“, — აფ-

რთხილებდა პარლამენტს პრესბიტერელთა ლიდერი დენზილ ჰოლისი.

40 — 50-იანი წლები აღინიშნა ინგლისის გლეხობის მოძრაობის ახალი აღმავლობით. 1648 წლის ბოლოს და 1649 წლის დასაწყისში საგლეხო მოძრაობაში ახალი ეტაპი დაიწყო. გლეხური პრიმიტიული აგრარული კომუნიზმის წარმომადგენლებმა — დიგერებმა წამოაყენეს საზოგადოებრივი საკუთრების იდეა, რომელიც მიმართული იყო მიწაზე კერძო საკუთრებისა და ქონებრივი უთანასწორობის წინააღმდეგ, 40-იან წლებში გლეხები კვლავ ებრძვიან „შემოღობვებს“, მოითხოვენ კოპიჰოლდის განთავისუფლებას, სათემო თუ სხვა მიტაცებული მიწების დაბრუნებას, არღვევენ საზღვრებს, ზღუდეებს, თხრილებს, მოითხოვენ ტყის უფლებების დაცვას, გამოდიან ჭაობების ამოშრობის წინააღმდეგ, ანადგურებენ ფეოდალთა ნათესებს და სხვ. „საჭიროა ვისარგებლოთ ხელსაყრელი მომენტით (რევოლუციით — გ. კ.), ასეთი შესაძლებლობა კვლავ აღარ იქნება“, — ასეთი იყო გლეხობის აზრი. „სასწრაფოდ მიიღეთ გადამჭრელი ზომები, თორემ დაიწყება საყოველთაო ომი ლენდლორდების წინააღმდეგ“, — აფრთხილებდნენ მემამულეები პარლამენტს.

40-იანი წლების დასაწყისში მოძრაობა დაიწყო აღმოსავლეთ საგრაფოებში. 1641-43 წლებში მან მოიცვა აღმოსავლეთ ინგლისის თითქმის ყველა საგრაფო: ლინკოლნშირი, კემბრიჯშირი, ჰენტინგდონშირი, ნორფოლკი, ნოტინჰემშირი და სხვ. 1643 წლიდან გლეხთა გამოსვლები გავრცელდა სამხრეთ-დასავლეთ ინგლისშიც, განსაკუთრებით დორსეტშირში, სომერსეტშირში, უილტშირში და სხვ. მოძრაობა გაღრმავდა და 1643 წლის მაისში აპოხებაში გადაიზარდა. შეიარაღებული გლეხები ანგრევდნენ ღობეებს, თავს ესხმოდნენ ფეოდალთა მამულებს და სხვ. მთავრობამ საგანგებო ზომებს მიმართა. აჯანყების ჩახშობა დაევალა რეგულარულ ჯარს, აჯანყების 28 მოთავე დააპატიმრეს.

გლეხთა გამოსვლები მარტო აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ინგლისით როდი შემოიფარგლა. იგი გავრცელდა თითქმის მთელს ინგლისში. განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო გლეხობის ბრძოლამ ტყეებისათვის და ტყის უფლებების (სერვიტუტების) დასაცავად. როგორც ვიცით, მეფეები (მათთან ერთად დიდი ფეოდალები) ითვისებდნენ ტყეებს, ამრგვალებდნენ თავის სამფლობელოებს საერთო სათემო სარგებლობის ტყეებით, ყიდდნენ მას. ყველაზე უფრო ფართოდ ეს მოძრაობა გავრცელდა ცენტრალურ ინგლისში. მან განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო გლოსტერშირში, ე. წ. დინის ტყეში. ეს ტყე მეფემ გადასცა კერძო პირს ჯონ უინტერს, რომელმაც შემოღობა იგი. გლეხობა ანგრევდა ზღუდეებს, იყენებდა ტყეს, აძოვებდა იქ საქონელს. ბრძოლა გამწვავდა, პარლამენტი ამაოდ ცდილობდა ტყის მესაკუთრეთა უფლების დაცვას.

1643-45 წლებში სამოქალაქო ომმა ერთგვარად შეანელა გლეხთა გამოსვლები. 1645 წელს სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში იწყება ახალი მოძრაობა, რომელიც კლობმენების, ანუ ხელკეტოსანთა მოძრაობის სახელითაა ცნობილი. მოძრაობის (რომელიც 1645 წელს აშკარა ბრძოლაში გადაიზარდა) ცენტრს, ისევე როგორც 1643 წელს, წარმოადგენდა სამი საგრაფო: დორსეტშირი, სომერსეტშირი და უილტშირი. მოძრაობა მათ მეზობელ სამხრეთ-დასავლეთ, დასავლეთ და ნაწილობრივ სამხრეთ საგრაფოებშიც გავრცელდა. მათ შორის: შროპშირში, ჰერიფორდშირში, ვუსტერში, გლოსტერშირში, დევონშირში, ჰემპშირში და სერექსში.

კლობმენების მოძრაობამ მეტად თავისებური ხასიათი მიიღო.

კეტებით, აგრეთვე სანადირო თოფებით, ძველი მუშკეტებით, შუბებით,ალებარდებით, თოხებით, მარგილებით, ცელებით შეიარაღებული საკმაოდ ორგანიზებული ათასობით მესაკუთრე გლეხი (მათ შორის ეხედავთ ღარიბ, ბოგანო გლეხებს, ხელოსნებს, სასულიერო პირებს, სკუაირებს, ჯენტლმენებს, სამხედროებს) თავს აცხადებს მესამე, „ნეიტრალურ“ ძალად, „მესამე პარტიად“ და ებრძვის როგორც მეფეს, ასევე პარლამენტს. რაიმე გარკვეული პოლიტიკური პროგრამა კლობმენებს არ გააჩნიათ, ისინი აცხადებდნენ, რომ იცავენ თავიანთ საკუთრებას, ქონებას და სიცოცხლეს ორიეე ბანაკის ხელყოფისაგან, რომ მათ სურთ ზავი და სიმშვიდე.

ხშირ შემთხვევაში კლობმენთა ბრძოლა მეფის სასარგებლოდ და პარლამენტის საწინააღმდეგოდ წარიმართებოდა, ცხადია ამ შემთხვევაში ისინი რეაქციულ ძალად გვევლინებოდნენ. ორივე მებრძოლი ბანაკი ცდილობდა კლობმენთა თავის მხარეზე გადმობირებას. ფერფაქსმა კლობმენებთან მოლაპარაკება არჩია. კრომველმა კი იარაღის ძალა ამჯობინა და 1645 წლის მოძრაობა შემუსრა.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ცდილობს კლობმენთა მოძრაობა გამოიყენოს როგორც დადასტურება იმისა, რომ რევოლუციის მიმართ ინგლისის გლეხობა იჩენდა სრულ ინდიფერენტიზმს, რომ რევოლუციაში სოციალური მოტივები ნაკლებად ჟღერდნენ და სხვ. კლობმენთა სახით ჩვენ საქმე გვაქვს გლეხობის კლასობრივი თვითშეგნების უმწიფრობასთან, ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს იყო უპირატესად მესაკუთრე გლეხების მოძრაობა, თანაც ისეთ რაიონებში, სადაც წარმოების კაპიტალისტური წესი სუსტად იყო წარმოდგენილი.

როგორც აღვნიშნეთ, პრესბიტერული პარლამენტისათვის მიზანი მიღწეული იყო. რევოლუცია დამთავრდა, ჩააბარეთ იარაღი. მთავარია სიმშვიდე", — ასე მიმართავდა პრესბიტერული ანუ „ფულის ტომრის პარტია" ინგლისის ხალხს, ანუ ცდილობდა მის განიარაღებას, ნეიტრალიზებას, „მრავალთაეიანი ურჩხულისათვის ალაკაპის (საცხვიროს) დადებას", — როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე.

დემოკრატიისა და პლუტოკრატიის ბრძოლის შედეგები დიდად იყო დამოკიდებული ინდეპენდენტთა მემარცხენე-ახალთავადაზნაურულ ოპოზიციური პარტიის პოზიციებზე, რომელიც რევოლუციის აღნიშნულ ეტაპზე დემოკრატიის ინტერესების დამცველადაც გვეელინებოდა. არანაკლები, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არმიის პოზიციას. ინდეპენდენტური არმია გაცილებით უფრო მეშახტესეულ იყო განწყობილი, ვიდრე თვით პარტია ინდეპენდენტებისა. განსაკუთრებით ეს ითქმის ჯარისკაცებისა და უნტერ-ოფიცრების მხარეზე. არმია რევოლუციური დემოკრატიის საყრდენად იქცა. არმიას უნდა გადაეწყვიტა ის, თუ ვინ გაიმარჯვებდა, პრესბიტერელების პლუტოკრატიული ოლიგარქია თუ დემოკრატია.

როგორც ვიცით, პარლამენტში და საერთოდ სახელმწიფოში, პრესბიტერული პარტიის სრული ბატონობა სუფევდა. მათ ხელში იყო სამხედრო, ადმინისტრაციული, დიპლომატიური და ფინანსური ცხოვრების ყველა სფერო. მათ მორჩილებდა ყველა საპარლამენტო კომიტეტი, მათ შორის, პირველ ყოვლისა, ყოვლისშემძლე „ორთაეე სამეფოს კომიტეტი", „უშიშროების კომიტეტი", „სეკვესტრების კომიტეტი", „დელიკვენტების დაჯარიმების (კომპოზიციების) კომიტეტი", „ასიგნების კომიტეტი" და სხვა მრავალი (სხვადასხვა პერიოდში აქ მოქმედებდა 20—40 მუდმივი კომიტეტი და დროებით მოქმედი კომისია). პრესბიტერების ხელთ იყო აგრეთვე პერიფერიული ორგანოები, პირველ რიგში, ადგილობრივი კომიტეტები (რევოლუციური კომიტეტები), პერიფერიული ყველა თანამდებობა, შერიფები, მოსამართლეები, მილიციის მეთაურები და სხვ. პრესბიტერების ხელთ იყო, სასამართლები, ბოლოს კი მათივე კონტროლს დაექვემდებარა ინგლისის ეკლესია.

მაგრამ რევოლუციის შემდგომი გაღრმავებისა და მასების აქტიურობის ზრდის პირობებში, პარლამენტში, რევოლუციურ ორგანოებში და არმიაში იზრდება ინდეპენდენტთა გავლენა, ამასთან ერთად პოლიტიკურ ცხოვრებაში იზრდება ინდეპენდენტთა მემარცხენე ფრთის — ლეველერთა ხვედრითი წონა.

სამოქალაქო ომის პროცესში თემთა პალატის დაახლოებით 200-მდე

წევრმა დატოვა პარლამენტი და მეფის ბანაკში (ოქსფორდის პარლაკენტში) გადაბარგდა, ზოგი გარდაიცვალა, ზოგი საერთოდ ჩამოშორდა პოლიტიკურ ცხოვრებას, ან სხვა რაიმე მიზეზით გამოაკლდა კომონორების რიგებს. სამოქალაქო ომის პერიოდში ჩატარებული დამატებითი არჩევნების შედეგად პარლამენტს შეემატა 275 ახალი წევრი (ბრენტონისა და პენინგტონის უახლესი ცნობებით). ახლად არჩეულ დეპუტატთა დიდი ნაწილი ინდეპენდენტთა ბანაკს ეკუთვნოდა. არჩეულთა შორის იყო ბევრი „ახალი მოდელის" არმიის წარმომადგენელი, მათ შორის კრომველის სიძე, ცნობილი ინდეპენდენტი. პარტიის იდეოლოგი, ყველა უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტის ავტორი, რესპუბლიკისა და პროტექტორატის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე გენერალი ჰენრი აირტონი (1611—1651), გენერალი ედმუნდ ლედლოუ (1617 — 1692), რომელმაც დაგვიტოვა მეტად საინტერესო მემუარები, პოლკოვნიკი, 1645 წლიდან პარლამენტის ფლოტის ადმირალი რობერტ ბლეკი (1599 — 1657), პოლკოვნიკი, შემდგომში გენერალი და ირლანდიის ლორდი-ნაცვალი ჩარლზ ფლიტვუდი (გარდაიცვალა 1692), სამხედრო მოღვაწე და პოლიტიკური მწერალი ოლჯერნონ სიდნეი (1622—1683), პოლკოვნიკი, შემდგომში გენერალი ტომას ჰარისონი (1606 — 1660) და სხვ. მიუხედავად გარკვეული წარმატებისა პარლამენტში ინდეპენდენტებმა უმრავლესობა მაინც ვერ მოიპოვეს. ამას ხელს უშლიდა არსებული საარჩევნო სისტემა (საარჩევნო ოლქების არასწორი განაწილება, მაღალი საარჩევნო ცენზი და სხვ.). ინდეპენდენტები მყარ უპირატესობას ინარჩუნებდნენ არმიაში.

ლორდთა პალატამ პოლიტიკური მნიშვნელობა არსებითად დაკარგა. ბევრი მათგანი მეფესთან გაიქცა ჯერ იორკში, შემდეგ კი ოქსფორდში. 1640 წელს ხანგრძლივი პარლამენტის მოწვევისას ლორდთა პალატაში 150 წევრი იყო. ამჯერად სახეზე იყო 30 პერი. გაუქმების წინ (1649 წლის ზაფხული) ლორდთა პალატაში სახეზე ათიოდე წევრი რჩებოდა.

რევოლუციის აღნიშნულ ეტაპზე ინდეპენდენტური პარტიის ლიდერთა (ოლივერ კრომველის, ჰენრი ვენის (უმცროსის), არტურ ჰეზლრიგის, ჰენრი აირტონის, ჰენრი მარტენის, ბალსტროდ უაიტლოკის, ჯონ სელდენის, ლილბერნის (შემდგომ ლეველერთა ბელადის), ოლივერ სენტ-ჯონის და სხვათა, ავტორიტეტი ხალხში და არმიაში იზრდებოდა.

1647 წლიდან ბრძოლამ ინდეპენდენტებსა და პრესბიტერებს შორის მწვავე. შეურიგებელი ხასიათი მიიღო. ბრძოლა ინდეპენდენტებსა და პრესბიტერებს შორის, ეს იყო ბრძოლა ერთი კლასის ორ ჯგუფს, ორ ფენას შორის, ბრძოლა ხელისუფლებისათვის, რევოლუციის ხელ-

მძღვანელობისათვის, ჰეგემონობისათვის. ინდეპენდენტებს წარმატებისათვის აუცილებლად ესაჭიროებოდათ ხალხის ფართო ფენების და არმიის მხარდაჭერა, ამით აიხსნება ის, რომ ინდეპენდენტების, არსებითად ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ინტერესების დამცველ პარტიის პროგრამაში მართალია ბუნდოვნად, მაგრამ მაინც იყო ლაპარაკი პრობლემებზე, რომელიც დემოკრატიულ-პლებეურ ინგლისს აწუხებდა. მათ შორის: მეათედის გაუქმებაზე, კოპიჰოლდის ფეოდალური ხუნდებისაგან განთავისუფლებაზე, „შემოღობვის“ რეგლამენტაციაზე და სხვ. მაგრამ ინდეპენდენტებმა წარმატების მოპოვებისთანავე ყოველივე ეს დაივიწყეს.

ინდეპენდენტებს, წინააღმდეგ პრესბიტერელებისა, 1647 წელს რევოლუცია დამთავრებულად არ მიაჩნდათ. ცხადია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი რევოლუციას თვისობრივად ახალ მოთხოვნებს უყენებდნენ, რომ მათი სოციალური და პოლიტიკური იდეალი პრესბიტერელებისაგან არსებითად განსხვავდება. ინდეპენდენტების მიზანი იყო საიმედოდ განემტკიცებინათ ყველა ის მონაპოვარი, რომელიც მოკავშირე კლასებს რევოლუციამ მოუტანა.

მოპოვებული წარმატებები: ფეოდალთა ეკონომიკური ძლიერების შემუსვრა, ქონების ახალი გადანაწილება მოკავშირე კლასების სასარგებლოდ, პარლამენტის უფლებების ზრდა მეფის პრეროგატივის მინიმუმამდე დაყვანის პირობებში, ვაჭრობისა და მეწარმეობის თავისუფლება, საგადასახადო თავისუფლება, ანგლიკანური ეკლესიისა და კათოლიციზმის შემუსვრა და სხვა ერთნაირად აწყობთ როგორც პრესბიტერელებს, ასევე ინდეპენდენტებს. განსხვავება იყო იმაში, რომ პრესბიტერელებს სურდათ ამ სიკეთით ესარგებლა მხოლოდ მოკავშირე კლასების მცირედ ნაწილს: ფინანსურ და სავაჭრო-სამრეწველო ზედაფენებს, მდიდარ ლენდლორდებს, სიტის ჯიბესქელ მესვეურებს. ინდეპენდენტები ბურჟუაზიის და ახალი თავადაზნაურობის ფართო ფენებისათვის იღვწოდნენ. ინდეპენდენტური პარტია სოციალურად და რელიგიურად მეტად ჰრელ კონგლომერატს წარმოადგენდა. იგი აერთიანებდა საშუალო და წვრილ ბურჟუაზიას, საშუალო და მცირემამულიან ახალ თავადაზნაურობას — ჯენტრს, ბობოლა და საშუალო გლეხობას, ბურჟუაზიულ ინტელიგენციას, სხვადასხვა პურიტანულ სექტებს.

ზოგჯერ ინდეპენდენტებს ლიტერატურაში დემოკრატ-რესპუბლიკელთა სახელით იხსენიებენ. ასეთი ინტერპრირება არაა ზუსტი. რევოლუციის განვითარების აღნიშნულ ეტაპზე ინდეპენდენტები სამეფო ხელისუფლების გაუქმებას არ ითხოვდნენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მონარქიზმის წინააღმდეგ ზოგიერთ ინდივიდუალურ გალაშქრე-

ბას*. ინდეპენდენტები პრესბიტერელებთან შედარებით მეფის უფლებრივ შეზღუდვის სფეროში გაცილებით უფრო დიდ სიმკაცრეს იჩენდნენ, მის არსებით შეზღუდვას ითვალისწინებდნენ. შეზღუდული მონარქია უნდა ყოფილიყო მოკავშირე კლასების პოლიტიკური ბატონობის მტკიცე გარანტია, რასაც, მათი აზრით, საფრთხეს უქმნიდა პრესბიტერელების ზედმეტი ლოიალობა მეფისადმი, ინდეპენდენტები მეფის ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ ისეთი პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც უპასუხებდა არა მხოლოდ მსხვილი ბურჟუაზიისა და მსხვილი ლენდლორდების ვიწრო წრის ინტერესებს, არამედ მთლიანად მთელი ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ინტერესებს. ინდეპენდენტები რესპუბლიკელები გახდნენ უფრო გვიან, როცა დღის წესრიგიდან მოიხსნა მეფესთან ყოველნაირი შერიგების საშუალება.

ინდეპენდენტები ხელისუფლებისათვის იბრძოდნენ, მაგრამ ეს არ იყო უბრალოდ „სავაჭრებისათვის ბრძოლა". ინდეპენდენტებს ჰქონდათ საკუთარი რელიგიურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა. პრესბიტერელების კრიტიკა და ინდეპენდენტთა პროგრამა ფართოდაა წარმოჩენილი ჯონ მილტონის პამფლეტებში (1645 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „უთანხმოება გრაფ მანჩესტერსა და ოლივერ კრომველს შორის"). ინდეპენდენტებს ხელისუფლებისათვის ბრძოლაში დიდ დახმარებას უწევდა ლეველერთა ბელადის ჯონ ლილბერნის (მაშინ ინდეპენდენტის) ბროშურები და პამფლეტები. პოლიტიკურ, რელიგიურ ბრალდებებთან ერთად ინდეპენდენტები თავს ესხმოდნენ პრესბიტერელთა მორალურ მხარეს, მათ ეგოიზმს, კარიერიზმს, მომხვეჭელობას, გამყიდველობას, გარყვნას... ბრძოლას თავდაპირველად უპირატესად პრინციპული ხასიათი ჰქონდა. მაგრამ გვიან, როცა ინდეპენდენტები ხელისუფლებას დაეპატრონენ, ბევრ მათგანში რევოლუციურ რომანტიკასა და პრინციპულობას უხეშმა პრაგმატიზმმა სძლია (ყოველგვარ ნორმებს გადააჭარბა, მაგალითად, ინდეპენდენტთა ერთ-ერთი ბელადის არტურ ჰეზლრიგის მომხვეჭელობამ).

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია პრესბიტერელებისა და ინდეპენდენტების 40-იანი წლების ბრძოლის უმთავრეს მომენტად რელიგიურ სფეროს მიიჩნევს. ერთი შეხედვით ეს ასეცაა. მაგრამ ფაქტიურად რე-

---

* 1643 წლის ზაფხულში ხანგრძლივი პარლამენტის სხდომაზე ჰენრი მარტენმა დაიცვა სასულიერო პირის სოლტმარშის მონარქომახური ბროშურა, სადაც იყო ფრაზა „დაე დაიღუპოს ერთი ოჯახი, ვიდრე მთლიანად სამეფო". მარტენმა განაცხადა, რომ ამ „ერთის" ქვეშ იგულისხმება მეფის ოჯახი. ამ განცხადებისათვის იგი დროებით ტოუერში ჩასვეს და პარლამენტიდან დაითხოვეს. 1647 წელს იგივე მარტენი პარლამენტის სხდომაზე ითხოვს დაუყოვნებლივ გაუგზავნონ მეფეს ორი კაპელანი, რათა იგი სიკვდილს უფრო მომზადებული შეხვდეს. ამ განცხადების მიმართ 1643 წლის მსგავს რეაქციას პარლამენტის მხრივ ადგილი აღარ ჰქონია.

ლიგიური საკითხი ბრძოლის მხოლოდ ფორმას, მხოლოდ გარსამოსს წარმოადგენდა. ბრძოლის შინაარსი უფრო ღრმა იყო, იგი მოიცავდა როგორც აღვნიშნეთ, სოციალურ პრობლემებს, პოლიტიკას, ეკონომიკას, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ურთულეს პერიპეტიებს. ინდეპენდენტებმა, როგორც ვიცით, პრესბიტერულ უნიფიცირებულ ეკლესიას დაუპირისპირეს რელიგიური თავისუფლებისა და რჯულშეწყნარების (გამორიცხული იყო კათოლიციზმი) დამოუკიდებელი ეკლესიის, სექტების თავისუფლების პრინციპი. ინდეპენდენტები წინააღმდეგნი არიან ერთიანი, სახელმწიფოზე დამოკიდებული ეკლესიისა, ერთიანი ლოცვანისა, ერთიანი წირვა-ლოცვისა, ერთიანი რელიგიური წეს-ჩვეულებებისა. რელიგიური თავისუფლება პოლიტიკურ თავისუფლებას გულისხმობდა, რასაც, როგორც ვიცით, პრესბიტერელები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ. სინდისის თავისუფლებასთან ერთად ინდეპენდენტები იბრძოდნენ აგრეთვე ბურჟუაზიული თავისუფლების ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპებისათვის, როგორიც იყო აზრის, სიტყვის, ბეჭდვის, პეტიციისა და კრებების თავისუფლება. ინდეპენდენტები იბრძოდნენ კონკურენციის სრული თავისუფლებისათვის, იცავდნენ მეწარმეობისა და ვაჭრობის სრულ შეუვალობას. ისინი ებრძოდნენ პრესბიტერელთა საგადასახადო პოლიტიკას, რომელიც მხოლოდ მესაკუთრე ინგლისის ზედაფენების ინტერესებით იყო ნაკარნახევი, მათ სურდათ გადასახადების სიმძიმე მეტნაკლებად გაენაწილებინა საზოგადოების ყველა ფენას. ინდეპენდენტებს სურდათ მოესპოთ ყოველგვარი კორპორაციული პრივილეგია, ბოლომდე მიეყვანათ მონოპოლიებისა და სამრეწველო-ფინანსური, ჯერ კიდევ ყველა დარჩენილი უპირატესობის ანულირება. ინდეპენდენტები ებრძოდნენ ჯერ კიდევ შემორჩენილ ფეოდალურ გადმონაშთებს, რომლებიც საშუალო თუ წვრილ სკუპირსა და ჯენტრს ხელს უშლიდა ახლებურად წარემართა მეურნეობა და მიეღო მაქსიმალური მოგება.

ინდეპენდენტები არასოდეს არ ყოფილან საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლების მომხრენი. მათ მიაჩნდათ, რომ ქვეყანა უნდა მართოს მხოლოდ „მუდმივი ინტერესის მქონე", ანუ მესაკუთრე მოქალაქემ. ამდენად ისინი ქონებრივი ცენზის წინააღმდეგ არ გამოდიოდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ არსებული საარჩევნო წესის პირობებში ქვეყნის მმართველობას ღაპატრონება ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის მხოლოდ ნაწილი: მსხვილი საქმოსნები, მსხვილი ვაჭრები, მსხვილი ფინანსისტები, სიტის ჯიბესქელი მესვეურები, შეიქმნება საფრთხე ოლიგარქიისა, პლუტოკრატიისა. ინდეპენდენტებს სურდათ არსებული საარჩევნო სისტემის გარდაქმნა, მხოლოდ ერთი მოსაზრებით: ხელისუფლებას ზიარებოდა ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ფართო ფენა, პირველ ყოვლისა საშუალო შეძლების ბურჟუაზია და

ახალი თავადაზნაურობა, შეძლებული ბობოლა გლეხები, წვრილი ბურჟუაზია და წვრილი ჯენტრი. ცხადია, მოსახლეობის დაბალი ფენების ხმის უფლებით აღჭურვა ინდეპენდენტების გეგმაში არ შედიოდა, როგორც ვიცით ინგლისში საარჩევნო ოლქების განაწილების არქაული წესი ძალაში რჩებოდა. მსხვილი ლენდლორდებისა და ფინანსურ-სავაჭრო ტუზების გავლენის ქვეშ მყოფი, ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული პატარა ქალაქები და ადგილები („დამპალი დაბები") არჩევნებს ზედაფენების ვიწრო წრის ინტერესების შესაბამისად წარმართავდნენ. ინდეპენდენტები მოითხოვდნენ საარჩევნო ოლქები გადანაწილებულიყო ქვეყნად მიმდინარე ეკონომიკური ძვრების, ახალი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრების შესაბამისად, კლასობრივ ძალთა ახალი თანაფარდობის გათვალისწინებით.

ამრიგად, ინდეპენდენტებისათვის უპირველესი ამოცანა იყო რევოლუციის შედეგად მოპოვებული წარმატებისათვის, მისი საბოლოოდ შენარჩუნების მიზნით, პრესბიტერელებთან შედარებით უფრო მტკიცე კონსტიტუციური საფუძვლის შექმნა. ამაში უნდა ვეძიოთ ინდეპენდენტთა ოპოზიციის არსი. მისნი რევოლუციის დიალექტიკაში რაიმე ახალ თვისობრივ ნახტომებს არ ითვალისწინებდნენ. 1647 წლისათვის. მათთვის არსებითად გამარჯვებული ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის წარმომადგენლებისათვის, ისევე როგორც პრესბიტერელებისათვის, რევოლუცია ძირითადად დამთავრებული იყო. მიუხედავად ამისა, მათ გამოსვლას პრესბიტერელების წინააღმდეგ, მათი პოლიტიკის კრიტიკას მაინც ჰქონდა რევოლუციური მნიშვნელობა, რასაც პირველ ყოვლისა, იმ ეტაპზე ინდეპენდენტებში დარწმუნებული ხალხის პოლიტიკური აქტიურობა განაპირობებდა. ხელისუფლებისათვის ბრძოლაში წარმატების მოპოვების მიზნით ინდეპენდენტებმა ხალხი და რადიკალურად განწყობილი არმია მრავალი დაპირებით აღავსეს, მრავალი დემოკრატიულ-რადიკალური საბრძოლო ლოზუნგი ბრძოლის მასალად გამოიყენეს. ხალხს მოსწონდა ინდეპენდენტთა პროგრამა და მხარს უჭერდა მათ.

მაგრამ ინდეპენდენტთა ზედაფენების ანუ „აბრეშუმის ინდეპენდენტების" კლასობრივმა შეზღუდულობამ და ეგოიზმმა სულ მალე იჩინა თავი. დაპირებები დაპირებებად დარჩა, ხალხის მოთხოვნების რეალურად დაკმაყოფილებას არავინ ფიქრობდა. ინდეპენდენტთა პარტიაში განხეთქილება მოხდა, რაც რევოლუციაში კლასობრივ ძალთა თანაფარდობის განვითარების ლოგიკური შედეგი იყო. საჭირო იყო ახალი პარტია და იგი შეიქმნა კიდეც, პირველ ყოვლისა, მემარცხენე და უკიდურეს მემარცხენე ინდეპენდენტების ბაზაზე. ჯონ ლილბერნის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური წვრილბურჟუაზიული რადიკალების პარტია ლეველერებისა, ანუ გამთანაბრებ-

ლებისა (მესაკუთრე ინგლისმა მათ უწოდა მათთვის ყველაზე ოდიოზური სახელი). მართლაც, ლეველერთა პროგრამა გამოირჩეოდა უკიდურესი რადიკალიზმით. პირველ ყოვლისა, პოლიტიკური ეგალიტარიზმის — გადათანაბრების სფეროში. ხალხთა ფართო ფენებთან ერთად ლეველერული მოძრაობის უმნიშვნელოვანეს დასაყრდენად იქცა რადიკალურად განწყობილი „ახალი მოდელის არმიაც", განსაკუთრებით მისი რიგითი შემადგენლობა და უნტეროფიცრობა.

• •

პრესბიტერელების პარტია ხელისუფლების შენარჩუნების და რევოლუციური მასების ალაგმვის უზრუნველსაყოფად ორ კონკრეტულ ამოცანას ისახავდა: მეფესთან შერიგებას, მონარქიის აღდგენას და ახალი მოდელის არმიის დათხოვას.

პრესბიტერული პარლამენტის ლიდერები უორვიკი, მანჩესტერი, სტეპლტონი, გლინი, ჰოლსი და სხვები განაგრძობდნენ ერთგულქვეშევრდომულ მოლაპარაკებას ჰოლმბი-ჰაუზში (ნორტჰემპტონშირი) მეფური განცხრომითა და დიდებულებით მცხოვრებ ჩარლზ I-თან. გამარჯვებულთა ბანაკში მზარდი მწვავე დაპირისპირება მეფის იმედებს აღავსებს. „ჩემი ხელისუფლების გარეშე მშვიდობა და წესრიგი ვერ აღდგება". „მე ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ეაიძულებ პრესბიტერელებს ან ინდეპენდენტებს ერთმანეთის განადგურების იმედით მე შემომიერთდნენ. ამის შემდეგ მე კვლავ მეფე ვიქნები", — ეუბნებოდა ჩარლზი გრაფ ჯორჯ დიგბის. მეფე აჭიანურებს მოლაპარაკებას, არ თანხმდება პრესბიტერელთა მიერ შემოთავაზებულ მეტად ზომიერ წინადადებებს.

ღსანიშნავია, რომ, თავის მხრივ, მეფესთან მოლაპარაკებას აწარმოებს ინდეპენდენტთა ბელადი — ოლივერ კრომველი. პირველ ყოველისა, მისი მიზანია არ დაუშვას პრესბიტერელების პრიორიტეტი მეფესთან ურთიერთობაში. მეორე მხრივ, მას, როგორც მესაკუთრული ინგლისის წარმომადგენელს, ეშინია აბობოქრებული სახალხო სტიქიის. მეფის, ანუ მტკიცე ხელისუფლების სახით ხედავს იგი პიროვნებისა და საკუთრების უსაფრთხოების გარანტიას. უფრო გვიან მან ტაქტი შეცვალა. როცა მეფის გადარჩენა შეუძლებელი გახდა, როცა ინდეპენდენტებს მასებისა და არმიის მხრივ მხარდაჭერის დაკარგვის საფრთხე შეექმნა, კრომველი მეფის შეურიგებელ მტრების ბანაკში აღმოჩნდა და „მეფის მკვლელის" როლში მოგვევლინა. ხალხის დახმარებით მოიპოვა მან ხელისუფლება, რომელიც იმავე ხალხის „დასამშვიდებლადვე" წარმართა, ანუ თვითონ იკისრა ის ფუნქცია, რომელსაც ამჯერად ჩარლზ I აკისრებდა.

არმიის პოლიტიკური როლი იზრდება. ტ. ა. პაველოვას სამართლიანი განმარტებით არმია გადაიქცა დაბალი ფენების ინტერესების გამომხატველ მებრძოლ ორგანიზებულ ძალად, თავისებურ პოლიტიკურ პარტიად, რომელიც გადაჭრით ითხოვდა რევოლუციის შემდგომ გაღრმავებას. უაიტლოკი თავის მემუარებში შენიშნავს, რომ აღნიშნულ ეტაპზე პოლიტიკური ცხოვრების წინა პლანზე აღმოჩნდა კრომველის არმია, რომელსაც მოსახლეობა მისთვის საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტად უშუალოდ პარლამენტის გვერდის ავლით მიმართავს. არმიისადმი ლონდონელი რადიკალების ერთ-ერთ მიმართვაში ნათქვამია: „თქვენ ჩვენი მეგობრები ხართ; გლეხებო, არმიის რიგითნო, თქვენს ხელთაა შესაძლებლობა მოსპოთ თქვენი და ჩვენი სრული მონობა და სხვაზე მორჩილება“. ცნობილი პრესბიტერელი მოღვაწე კლემენტ უოკერი მიუთითებდა, რომ არმიას ყველაზე უფრო აქტიურად მხარს უჭერს ყველაზე ღარიბი ხალხი. ცნობილი პრესბიტერელი მქადაგებელი ბაქსტერი ამბობდა: „ჯარისკაცები სახალხოს გარდა ყველა, მათ შორის სამეფო ხელისუფლებას უპირისპირდებიან... ისინი მეფეს თელიან ტირანად და მტრად. ჯარისკაცებს მტკიცედ სჯერათ, რომ თუ მათ აქვთ უფლება ებრძოლონ მას, ასევე უფლება აქვთ იგი მოკლან კიდეც“.

[რევოლუციის აღნიშნულ ეტაპზე არმია ინდეპენდენტების, ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის რადიკალური ნაწილის ხელთ იყო და მის საყრდენს წარმოადგენდა.] მაგრამ არმიაშიც მიმდინარეობდა ის პოლარიზაცია, რომელსაც ინდეპენდენტების პარტია განიცდიდა. არმიის უმრავლესობა, ჯარისკაცთა მასა და უნტეროფიცრობა უკიდურესი რადიკალიზმით იმსჭვალებოდა და ლეველერთა თითქმის აბსოლუტური გავლენის ქვეშ მოექცა. რაც შეეხება ოფიცერთა შემადგენლობას, მისი მცირე ნაწილი რადიკალურად იყო განწყობილი და ლეველერებს ემხრობოდა. უმრავლესობა, ე. წ. „გრანდები“, ოლივერ კრომველის მეთაურობით ეკუთვნოდნენ ზომიერ ანუ როგორც მათ ჯარისკაცები უწოდებდნენ „აბრეშუმის ინდეპენდენტებს“.

[პარლამენტმა მტკიცედ გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა საკუთარი არმია, რომელმაც მას მეფეზე გამარჯვება მოუტანა. ამით პარლამენტს სურდა მოესპო ინდეპენდენტთა და ლეველერთა დასაყრდენი, პოლიტიკურად საშიში ძალა, რომლის პოლიტიკური, რელიგიური შეხედულებანი და ეკონომიკური მოთხოვნები ძილს უფრთხობდა პრესბიტერულ მესვეურებს.] არმიის დაშლის დემაგოგიური მოტივი სწრაფად გამოიხახა, ამ შემთხვევაში პარლამენტი აცხადებდა, რომ იგი იღვწის საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის, სურს გაათავისუფლოს იგი არმიის შესანახ მძიმე გადასახადებისაგან (არმიის შესანახად დაწესებულმა ყოველთვიურმა გადასახადმა 1647 წელს მი-

აღწია 641 ათას გირვანქა სტერლინგს). პარლამენტში მართლაც მოდიოდა უამრავი პეტიცია, სადაც მოსახლეობა აძ გადასახადის გაუქმებას ითხოვდა. ინგლისის ფინანსურ და მიწათმფლობელ მაგნატებს ძილს უფრთხობდა ის, რომ „სიცოცხლე, თავისუფლება, ქონება ლორდებისა და თემებისა ამიერიდან არმიის ნებასურვილზეა დამოკიდებული".

1647 წლის 19 თებერვალს პარლამენტმა, სადაც უმრავლესობას პრესბიტერელები წარმოადგენდნენ, მიიღო გადაწყვეტილება დაახლოებით 40 000-ანი არმიის დათხოვის შესახებ. თოფქვეშ რჩებოდა მხოლოდ 6 500 კავალერისტი და 10 ათასი ქვეითი—საშინაო და საგარნიზონო სამსახურისათვის. იქმნებოდა საგანგებო შენაერთი (12 000 კაცი) ირლანდიაში გასაგზავნად. არმიაში რჩებოდა გენერლის წოდების მქონე მხოლოდ ერთი ოფიცერი (მთავარსარდალი ტომას ფერფაქსი, რომელსაც პრესბიტერელები თავისიანად თვლიდნენ), არმიიდან სხვა გენერლებთან ერთად კრომველიც უნდა წასულიყო. ოფიცერთა შემადგენლობას სავალდებულოდ გაუხადეს პრესბიტერული ეკლესიის აღიარება. თემთა პალატის წევრებს ეკრძალებოდათ რაიმე სამხედრო პოსტის დაკავება და სხვ.

პარლამენტის ამ გადაწყვეტილებას არმიის რიგებში დიდი მღელვარება მოჰყვა. პოლიტიკურ მოტივებთან ერთად მათ უკმაყოფილებას ზრდიდა მატერიალური, ჯარისკაცული მოსაზრებები: პირველ ყოვლისა, ისინი მოითხოვდნენ ხელფასს, რომელიც მათ კარგა ხანია აღარ ეძლეოდათ (კავალერიას ერგებოდა 43 კვირის, ქვეითებს 18 კვირის ხელფასი). სულ პარლამენტს არმიისა ემართა იმდროისათვის უდიდესი თანხა — 331 000 გირვანქა სტერლინგი. ადვილი წარმოსადგენია ის, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ხელფასს, ჯარისკაცის ფარაჯაში (წითელ მუნდირში) გამოწყობილი გლეხებისათვის, ხელოსნებისათვის, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფართო ფენისათვის, რომელთაც სახლებში გაპარტახებული მეურნეობა და მშიერი ცოლ-შვილი ელოდა. ჯარისკაცები მოითხოვდნენ დაღუპულ ჯარისკაცთა ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენას, მოითხოვდნენ პარლამენტის მხარეზე მეფის წინააღმდეგ მებრძოლ ჯარისკაცთათვის რელიგიურ-პოლიტიკურ სრულ ოფიციალურ ამნისტიას (საჭირო იყო მეფის დაბრუნების შემდეგ შესაძლო რეპრესიებისაგან თავის დაზღვევა) და სხვ. პარლამენტმა ჯარისკაცებს ხელფასის ნაცვლად დაურიგა საგარანტიო ქაღალდები ახლო მომავალში მათი განაღდების პირობით.

1647 წლის აპრილსა და მაისში კავალერიის 8 პოლკმა შექმნა ჯარისკაცთა რევოლუციური ორგანიზაცია — ჯარისკაცთა აგიტატორების (აგენტების) საბჭო, მაისში მათ ქვეითი პოლკებიც შეუერთდნენ. აგიტატორთა ასარჩევად ყოველი ესკადრონი და ასეული ირჩევდა ორ-

ორ კაცს. ყოველი პოლკი ირჩევდა ორ აგიტატორს, რომელთაგანაც 16 მაისს შეიქმნა ჯარისკაცთა აგიტატორების საარმიო საბჭო. საბჭოს შექმნაში დიდი როლი ითამაშეს ლეველერულად განწყობილმა ოფიცრებმა: მათ შორის, პირველ ყოვლისა, თვით ჯონ ლილბერნმა, პოლკოვნიკმა (ყოფილმა ჯარისკაცმა) ედუარდ სექსბიმ, უილიამ ალენმა, პოლკოვნიკმა ტომას რენსბოროუმ, უილიამ ეფერარდმა (შემდეგში ცნობილი დიგერი), ჯონ ლილბერნის ძმამ — პოლკოვნიკმა რობერტ ლილბერნმა, კაპიტანმა უილიამ ტომპსონმა და სხვ. ჯარისკაცთა მხარეზე იყო გენერალი ტომას ჰარისონი. სექსბი, ალენი და ეფერარდი აგიტატორებადაც აირჩიეს. ჩვენ „ფეხზე ვიდექით დღისით და ღამით“, — ამბობდა ლილბერნი. „ჯარისკაცები ლილბერნს ისე აცილებენ, როგორც კანონის მუხლებს“, — წერდა ბაქსტერი.

„ჯარისკაცთა აგიტატორების საბჭო“, ანუ რევოლუციური კომიტეტი ფაქტიურად წარმოადგენდა ორგანიზებულ პოლიტიკურ-რელიგიურ კორპორაციას — პარტიას, რომელიც მოქმედებდა არა მარტო არმიის, არამედ მთელი დემოკრატიული „თავისუფლადშობილი ინგლისის ხალხის“ სახელით, იბრძოდა არა მხოლოდ ჯარისკაცთა უფლებებისათვის, არამედ საერთო-სახალხო ინტერესებისათვის. „თვით უკიდურესად უბრალო ადამიანმაც კი უნდა ისარგებლოს თავისი ჭეშმარიტი თავისუფლებით და საკუთრებით“, — ასეთი იყო საბჭოს დევიზი. აგიტატორებმა კავშირი დაამყარეს თითქმის ყველა საგრაფოსთან, მეფის, როიალისტების, კათოლიციზმისა და რაც მთავარია პრესბიტერული პარლამენტის ყველა მოწინააღმდეგესთან. საბჭო მოქმედებდა სექსბის მიერ შემუშავებული ოპერატიული ინსტრუქციით. იბეჭდებოდა (არმიას საკუთარი საბეჭდი დაზგა ჰქონდა) და ხალხში ვრცელდებოდა უამრავი პამფლეტი, ბროშურა, ფურცელი თუ პროკლამაცია. საბჭოს კონტაქტები ჰქონდა ლონდონის მოსახლეობასთან, დასავლეთში (უელსში) და ჩრდილოეთში (იორკშირში) დაბანაკებულ პარლამენტის ჯარებთან, ნიშნავდა და ათავისუფლებდა არმიაში თანამდებობის პირებს, აპატიმრებდა და სასამართლეში აძლევდა მოღალატე ოფიცრებს. აგიტატორები ყველა საკითხს წყვეტდნენ ჯარისკაცებთან ერთად. ჯარისკაცები კრებაზე მოდიოდნენ მარცხენა მკლავზე წითელი ხელსახვევით (წითელი ფერი — თავისუფლების საკუთარი სისხლით დაცვის სიმბოლო). ჯარისკაცთა საბჭოების შექმნით არმიაში ფაქტიურად ორხელისუფლებიანობა დამკვიდრდა. ამასთანავე, უპირატესობა „აგიტატორების“ ხელში გადადიოდა. „დე დავიხოცოთ ადამიანურად, ვიდრე ვიცხოვროთ მონურად და ჩამოგვახრჩონ ძაღლურად“, — ასეთი იყო საბჭოს დევიზი.

ჯარისკაცთა საბჭოს შექმნა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი ადასტურებდა რევოლუციის შემდგომ გაღრმავებას, განხეთქილებას

ინდეპენდენტთა შორის, ხალხის დაბალი ფენების აქტიურობას და მათ მისწრაფებას, რევოლუციისათვის მიეცათ დემოკრატიული შინაარსი.

21 მარტს პარლამენტმა არმიაში თავისი კომისრები წარგზავნა არმიის დაშლის სისრულეში მოსაყვანად. არმიამ უპირატესად თავისი ჯარისკაცულ-ეკონომიკური ხასიათის კონტრწინადადებები წამოაყენა: ჯარს უნდა მიეღო დაგვიანებული ხელფასი მთლიანად, ირლანდიაში წასვლას იძულებითი ხასიათი არ უნდა მისცემოდა, ჯარისკაცთა ათასობით დაუძლურებული ოჯახების მიმართ უნდა განხორციელებულიყო სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები. პოლიტიკური ხასიათის იყო ერთადერთი მოთხოვნა: ჯარისკაცებს უნდა მიეღოთ სრული ოფიციალური გარანტია (ამნისტია) იმისა, რომ მათ პარლამენტის მხარეზე ომის დროს ჩადენილი ქმედობისათვის არავინ დასჯიდა. კონფლიქტი არმიასა და პარლამენტს შორის დაიწყო.

30 მარტს პარლამენტმა განიხილა ჯარისკაცთა ეს მოთხოვნები („არმიის პეტიცია"), რომელიც პარლამენტმა შეაფასა „როგორც მეამბოხური". ლედლოუს ცნობით ჰოლისმა დასვა ჯარისკაცთათვის პეტიციების წარდგენის უფლების აღკვეცის საკითხი. პრესბიტერული პარლამენტის მესვეურებმა ურჩი ჯარისკაცები გააფრთხილეს, რომ მათ ჩათვლიან „მეამბოხეებად" და მოექცევიან „როგორც სახელმწიფოს მტრებს და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებს".

27 აპრილს არმიამ შეიმუშავა ახალი პროტესტი—პეტიცია (რომელშიც პოლიტიკური მოტივები წინა პლანზეა წამოწეული). ამიერიდან არმიამ, გარდინერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რელიგიისა და თავისუფლების დამცველის როლი" იკისრა და პარლამენტის გადაწყვეტილება წარმოაჩინა, როგორც თავდასხმა რევოლუციურ მონაპოვრებზე, როგორც ახალი რელიგიურ-პოლიტიკური ტირანიის დამკვიდრების საწინდარი. არმია აცხადებდა, რომ არ დაყრის იარაღს, არ დაიშლება, „სანამ არ იქნება დაცული და უზრუნველყოფილი მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლება". „ჯარისკაცებად რომ ვიქეცით, მოქალაქეობა როდი დაგვიკარგავს. განა შეიძლება, რომ სამშობლოს თავისუფლების დამცველები თვით აღმოვჩნდეთ მონობაში", — ამბობდნენ ჯარისკაცები. ამავე პეტიციაში პრესბიტერული პარლამენტი დახასიათებულია როგორც ახალი ტირანიის ბუდე. აქ ლაპარაკია იმ „ზოგიერთი ადამიანის" შესახებ, რომლებიც დიდხანს განახლების მსახურებად იყვნენ (იგულისხმება პრესბიტერული პარლამენტის ბრძოლა მეფისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ რევოლუციის საწყის ეტაპზე), მერე ხელისუფლების სიტკბო იგემეს, ცდილობენ ბატონებად დარჩნენ და ტირანებად გადაგვარდნენ.

არმიამ წინააღმდეგობა გაუწია არლანდიაში გაწვევას: განზრახული 12 000 კაცის ნაცვლად სურვილი მხოლოდ 2 000 კაცმა გამოთქვა. მათი მეთაურები პრესბიტერიანობის მიმდევარი ოფიცრები უნდა ყოფილიყვნენ, მათ შორის ფილიპე სკიპონი და ედუარდ მესეი.

16 მაისის შემდეგ, როცა ჯარისკაცთა საბჭო მთელი არმიის მასშტაბით ამოქმედდა, ბრძოლამ უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო. 16 მაისს შემუშავდა ახალი განცხადება. 25—28 მაისს პარლამენტმა კიდევ განიხილა არმიის საკითხი და დაადგინა არმიის დათხოვა 1 ივნისიდან. არმიის გათიშვის მიზნით ყოველ პოლკს იარაღის ჩაბარების, ცალკე დღე და ადგილი გამოუყვეს, დანიშნეს საპარლამენტო რწმუნებულები. ოქსფორდში განლაგებული არმიის საარტილერიო პარკს დაუყოვნებლივ უნდა დაპატრონებოდა პარლამენტი, ყველაფერთან ერთად დადგინდა მეფის ლონდონში გადმოყვანა.

12 მაისს მეფესა და პარლამენტს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკება ფაქტიურად დამთავრდა. გარიგება შედგა, მას საფუძვლად დაედო ნიუკასლის წინადადებები. 20 მაისს პარლამენტმა მეფეს წინადადება მისცა საცხოვრებლად გადმოსულიყო ლონდონთან ახლოს—ოტლანდში.

ასეთ ვითარებაში ინდეპენდენტურმა ოფიცრობამ, კერძოდ, მათმა ლიდერმა ოლივერ კრომველმა, რომელიც ადრე არმიის დათხოვნის საკითხში ორჭოფობდა და მზად იყო პარლამენტისათვის დაეჭირა მხარი, პოზიცია იცვალა. პრესბიტერელებისა და მეფის კავშირი ინდეპენდენტთათვის პოლიტიკურ ფიასკოს მოასწავებდა. ერთადერთ იმედად არმია რჩებოდა. „არმიაში განხეთქილება ჩვენთვის სიკვდილს უდრისო", — ამბობდა კრომველი. იგი და მასთან ერთად ინდეპენდენტური ოფიცრობა — გრანდები ჯარისკაცულ მოძრაობას მიემხრო, მათი უპირველესი მიზანი იყო არმია თავის კონტროლისათვის დაემორჩილებინათ და თავის მიზნებისათვის გამოეყენებინათ. არმიის მხარეზე აღმოჩნდა მხედართმთავარი ფერფაქსიც.

მაისის ბოლო რიცხვებში ლონდონში, კრომველის ბინაში გადაწყდა მეფის დატყვევება და მისი არმიისათვის გადაცემა. ეს საქმე კრომველმა წერილობით დაავალა სერჟანტ ჯონ ჯოისს, ყოფილ მკერავის შეგირდს. 2 ივნისს ჯოისი 500 დრაგუნის თანხლებით ეახლა „მის უდიდებულესობას" ჩარლზ I-ს ჰოლომბი-ჰაუზში. მეორე დღეს დამბაჩით ხელში სერჟანტი მეფის საძინებელ ოთახში შეეიდა და ჩარლზ I-ს სთხოვა თან გამომყევიო. „—სად არის თქვენი რწმუნებანი",— ჰკითხა მას მონარქმა. „—აი ჩემი რწმუნებანი", — მიუთითა ჯოისმა დამბაჩაზე და სასახლის მისადგომებთან განლაგებულ დრაგუნებზე. მეფის დამცველი პირადი რაზმის ჯარისკაცები ჯოისს შეუერთდნენ; მეფის დაცვის უფროსი პრესბიტერელი პოლკოვნიკი რიჩარდ გრეივსი გაიქცა. აღსანიშნავია, რომ ამ დღეს სასახლეში იმ-

ყოფებოდა პარლამენტის დელეგაცია, რომელიც მეფესთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. ჯოისმა მეფე არმიის მთავარ ბანაკში მოიყვანა. იგი მოათავსეს ნიუმარკეტში (კემბრიჯშირი). ამასთანავე, პოლკოვნიკმა რენსბორომ ხელთ იგდო და არმიის კონტროლს დაუმორჩილა ოქსფორდში განლაგებული საარტილერიო პარკი მთელი მარაგით. მეფის დატყვევება პარლამენტმა კრომველს დააბრალა. მას დაპატიმრება ელოდა. კრომველმა დატოვა ლონდონი და 3 ივნისს არმიაში მივიდა.

29 მაისს არმიის 60 პოლკის აგიტატორებმა ედმუნდსბერში (სეფოლკის საგრაფო) მიიღეს გადაწყვეტილება არ დამორჩილებოდნენ პარლამენტის გადაწყვეტილებას. ლეველერები, მათ შორის ჯონ ლილბერნი და რიჩარდ ოვერტონი, ამ დღეებში განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ. 4—5 ივნისს ფერფაქსისა და კრომველის თანხმობით გაიმართა არმიის შეკრება კენტფორდ-ჰაუზში (ნიუმარკეტის ახლოს). ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა აქ მიიღეს საზეიმო ფიცი, არ დაშლილიყვნენ, სანამ ინგლისში უზრუნველყოფილი არ იქნება თავისუფლება და უფლებები ყველასათვის, მათ შორის ჯარისკაცებისათვის, სანამ არ აღმოიფხვრება მათი უსამართლოდ შელახვისა და დარღვევის საფრთხე, მსგავსი იმისა, რომელიც დღეს არსებობს.

როცა არმიისა და პარლამენტის კონფლიქტის დროს კრომველის პოზიციებს განიხილავენ, ბურჟუაზიული ისტორიკოსები ცდილობენ იგი წარმოაჩინონ, როგორც მკაფიო მაგალითი, რომელიც ადასტურებს კრომველის — ამ „დიდი ოპორტუნისტის“ ორჭოფულ ხასიათს, მერყეობას, ორმხრივ თამაშს, პირფერობას, მომლოდინეობას, საბოლოოდ კი —მის აპოლიტიკურობას.

ამ ისტორიკოსთა აზრით, კრომველს ყოველთვის და ამ შემთხვევაშიც არ გააჩნდა რაიმე გარკვეული პროგრამა, რომ იგი ყოველთვის მიჰყვებოდა მოვლენათა მსვლელობას, მხარს უჭერდა იმას, ვინც მოცემულ მომენტში ძლიერი იყო და სხვ. ყველაფერი ეს პასუხობდა კრომველის პატივმოყვარულ-კარიერისტულ მისწრაფებებს.

ნამდვილად კი ვითარება სულ სხვაგვარად უნდა წარმოვიდგინოთ. აქამდე ჩვენ კრომველს ვიცნობდით როგორც დიდ მხედართმთავარს, ამიერიდან ჩვენს წინაშეა დიდი პოლიტიკოსი, რომელიც პოლიტიკურად ურთულეს ლაბირინთში ოსტატურად პოულობდა იმ გზას, რომელიც მიზნის მისაღწევად საუკეთესო იყო მისთვის და, რაც მთავარია, ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობისათვის, ანუ იმ კლასისათვის, რომლის ინტერესებსაც იგი გამოხატავდა როგორც ისტორიული პიროვნება.

როგორც აღვნიშნეთ, მან კარგად იცოდა ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც ხელისუფლებისათვის ბრძოლაში არმიას ენიჭებოდა, მაგრამ მას და ინდეპენდენტურ ოფიცრობას, როგორც მესაკუთრე ინ-

გლისის წარმომადგენლებს, ეშინოდათ ხალხის დაბალი ფენის წარმომადგენელთა, ჯარისკაცთა აქტიურობისა. ამიტომ უპერდნენ ისინი თავდაპირველად მხარს პარლამენტის გადაწყვეტილებას არმიის დათხოვის შესახებ, მაგრამ, პრესბიტერელების მიერ ძეფის გადმობირების შემდეგ კრომველმა და ინდეპენდენტებმა პოზიცია შეცვალეს. ამას სხვა გარემოებებმაც შეუწყვეს ხელი, მათ შორის: პარლამენტის სამხედრო სამზადისმა, მილიციის რეორგანიზაციამ და მისი რიგებიდან ინდეპენდენტების განდევნამ, პრესბიტერელების, მეფისა და შოტლანდიელთა დაახლოების საფრთხემ და სხვ.

ინდეპენდენტთა მიზანი უცვლელი იყო. მათ სურდათ ჯარისკაცთა მოძრაობა მოექციათ მესაკუთრე ინგლისისათვის სასურველ საზღვრებში. ცხადია, ახლო მომავალში ამ განზრახვას მოჰყვებოდა კონფლიქტი აგიტატორებთან, რომლებსაც რევოლუციის ამოცანები სულ სხვაგვარად ესმოდათ. მაგრამ ამჯერად აგიტატორებთან კონფლიქტი გამორიცხული იყო, პრესბიტერული პარლამენტი ჯერჯერობით მრისხანე ძალას წარმოადგენდა.

კრომველმა მეტად ოსტატური სვლა გააკეთა (4—5 ივნისის), არმიის თავყრილობაზე დასვა საკითხი შექმნილიყო სრულიად არმიის საბჭო (General Council of the Army), მასში უნდა შესულიყო არმიის უმაღლესი ოფიცრობა, აგიტატორები და ორ-ორი ოფიცერი ყოველი პოლკიდან. ჯარისკაცები უმაღლეს ოფიცრობასთან თანამშრომლობას სასურველად მიიჩნევდნენ (ამჯერად ისინი მათ თავის მომხრეებად სთვლიდნენ). ეს ილუზია სულ მალე გაქრა. ამიერიდან კრომველმა აგიტატორები ოფიცერთა კონტროლს დაუმორჩილა, აგიტატორები დამოუკიდებელ ძალას აღარ წარმოადგენდნენ. ლეველერები და თვით ლილბერნი ამ ღონისძიებას მიესალმნენ, მაგრამ სულ მალე ყველაფერი ნათელი გახდა. „პირფერობითა და ცბიერებით თქვენ პატიოსან და მამაც აგიტატორებს წაართვით ძალა და ხელისუფლება“ (ასე შეაფასა შექმნილი ვითარება ერთ-ერთმა პამფლეტმა). ჯარისკაცები არმიაში, დემოკრატები — საერთოდ ინგლისში საკმაოდ კარგად ერკვეოდნენ ინდეპენდენტთა და პრესბიტერელთა ბრძოლის არსში. მათ ესმოდათ, რომ ესაა (ერთ-ერთი თანამედროვის ენით რომ ვთქვათ) ბრძოლა „ორ ბატონს შორის ხელისუფლებისათვის“, ბრძოლა იმისათვის, „თუ რომლის მონა იქნება მომავალში ღარიბობა“. შემთხვევითი არაა, რომ იმთავითვე ხალხმა ინდეპენდენტებისაგან გამოყო ზედაფენა — „აბრეშუმის ინდეპენდენტები“, ჯარისკაცებმა — ოფიცერ ინდეპენდენტთა ზედაფენა — „გრანდები“ და მემარცხენეები — „ლეველერები“. ჯერჯერობით ინდეპენდენტები და ლეველერები, „გრანდები“ და ჯარისკაცები ერთად მოქმედებენ.

მათი ერთობლივი მოქმედების ნაყოფს წარმოადგენს ორი საინტე-

რესო დოკუმენტი: „საზეიმო ვალდებულებანი“ (მიღებულ იქნა 5. IV კენტფორდ-ჰაუზში) და „არმიის დეკლარაცია“ (მიღებულ იქნა 14. VI ტრიპლი-ჰაუზში). პირველ დოკუმენტში არმია კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ დაიშლება მხოლოდ მაშინ, როცა ყველა მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდება, როცა ინგლისის ხალხის ყველა თავისუფლად შობილი წევრი ძალმომრეობისაგან და უკანონობისაგან დაზღვეული იქნება. უფრო ყურადსაღებია მეორე დოკუმენტი, რომელიც კონკრეტულ მოთხოვნებს აყენებს და წარმოადგენს გარკვეულ კონსტიტუციურ სქემას, რომელსაც ძირითადად ინდეპენდენტური ბეჭედი აზის (შეადგინა აირტონმა).

დოკუმენტის პირველი ნაწილი დეკლარაციულია. არმია აქ ლაპარაკობს ხალხის სახელით. ხაზს უსვამს იმას, რომ არმია არ წარმოადგენს დაქირავებულთა ინსტიტუტს, აქ გაერთიანებულია თავისუფლებისათვის და უფლებებისათვის მებრძოლი მოქალაქეები, რომელთა გამოყენება ბრმა იარაღად შეუძლებელია. ჩვენ შეგნებულად აღვმართეთ იარაღი სახალხო თავისუფლების დასაცავად, ვებრძვით ყოველგვარ ძალმომრეობას, თვითნებურ ჩაგვრას, ვიბრძვით პარლამენტისა და ხალხის ინტერესთა ერთიანობისათვის, — აცხადებდა არმია. შემდეგ წამოყენებულია კონკრეტული მოთხოვნები: პარლამენტის გაწმენდა უღირსი წევრებისაგან, უკანონოდ მომქმედ ბოროტგანმზრახველებისაგან ანუ იმათგან, ვინც არმიის დათხოვას მოითხოვს, ვინც პარლამენტს ტირანიისაკენ უბიძგებს (ანუ პრესბიტერელები — „შალის წინდოსნები“, ეს პრესბიტერელების კიდევ ერთი ზედმეტი სახელი იყო). არმიას სურდა გაეფანტა გაბატონებული შეხედულება, რომ 1640 წელს არჩეულ ამ პარლამენტს, შეუძლია იმოქმედოს უსასრულობამდე, ამიტომ დეკლარაცია ითვალისწინებს არსებული პარლამენტის დათხოვას და სამი წლით ახლის მოწვევას. ამასთანავე, დეკლარაცია სამეფო ხელისუფლებას უკრძალავს პარლამენტის დათხოვას თვითნებურად, ხანგრძლივად. დათხოვამდე არსებულმა პარლამენტმა უნდა განახორციელოს საარჩევნო რეფორმა, რადგანაც არსებული საარჩევნო სისტემა ტირანულია და ხალხს ვასალის მდგომარეობაში აყენებს. პირველ ყოვლისა, უნდა გადახალისდეს საარჩევნო ოლქების შექმნის არსებული წესი, უნდა გაუქმდეს დამპალი და უმნიშვნელო დაბები, რადგან მათი არსებობა საშუალებას აძლევს ადგილობრივ გავლენიან პირებს აირჩიონ თავიანთი ხალხი და პარლამენტი გადააქციონ კერძო ინტერესების დამცველ ორგანოდ. ახალი საარჩევნო ოლქების შექმნისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „სამეფოს საერთო პირვარაში პროპორციული მონაწილეობა გადახდილი გადასახადის მოცულობის საფუძველზე“ (აქ ბუნდოვანი ფორმით ჩამოყალიბებულია ჭონებრიეი საარჩევნო ცენზის პრინციპი). დეკლარაციის თანახმად

ინგლისის მოქალაქეები უნდა ისჯებოდნენ მხოლოდ კანონით და არა პარლამენტის ნება-სურვილით. სახელმწიფოს საქმიანობაზე უნდა დაწესდეს საზოგადოებრიე კონტროლი, უნდა დამკვიდრდეს სრული რელიგიური თავისუფლება, პეტიციების წარდგენისა და სიტყვის თავისუფლება, შემოღებულ უნდა იქნას ფინანსური ანგარიშგების წესი, უნდა განხორციელდეს სრული პოლიტიკური ამნისტია, უნდა გადაისინჯოს კომიტეტების და მილიციის უფროსთა რწმუნებანი (აქაც პრესბიტერელებმა მოიკალათეს). დეკლარაცია მოითხოვდა განსაკუთრებით დამნაშავე პირების (პრესბიტერელების წრიდან) სამართალში მიცემას.

პარლამენტი ჯიუტობდა, არმიის დათხოვნაზე უარს არ ამბობდა. დაძაბულობის განმუხტვას იგი ცდილობდა მხოლოდ ზოგიერთი დათმობით: მაისში პარლამენტი არმიას დაპირდა ორი თვის ხელფასის გადახდას და ვალის მთლიანად დაფარვის საშუალების გამონახვას, ჯარისკაცთათვის არმიაში სამსახურის სამუშაო სტაჟად ჩათვლას (შეგირდებს ჯარში დაკარგული წლები ქარგლობის მისაღებ სავალდებულო წლებში ეთვლებოდათ). 5 ივნისს უარი თქვეს 30 მარტის გადაწყვეტილებაზე, როცა, როგორც ვიცით, პეტიციების წარდგენა „ამბოხებად“ იქნა მონათლული, გაუქმდა გადასახადი (აქციზი) ხორცზე და მარილზე (მოსახლეობა მას განსაკუთრებით განიცდიდა), აღდგა ზოგიერთი სადღესასწაულო უქმე დღე. 10 ივნისს პარლამენტის წევრებმა პირობა დადეს, რომ ამიერიდან უარს იტყვიან საბარგებლო, მომგებიან დავალებებზე, „საჩუქრებზე“, ორდენებზე, რომლებიც მათ ბრალდებულთა ქონებას აკუთვნებდნენ. რაც მთავარია „შალის წინდოსნებმა“ იკისრეს კანონიერი თუ უკანონო გზით მითვისებული თანხის ხაზინაში დაბრუნება, პარლამენტმა დაუშვა დანაშაულში ეჭვმიტანილი პარლამენტის წევრთა დასჯა სათანადო საბუთების არსებობის შემთხვევაში და სხვ. მაგრამ ყველაფერი ეს ცოდვების მხოლოდ მოჩვენებითი მონანიება იყო. პარლამენტი ფარ-ხმალს არ ყრიდა, დიდი შეტევისათვის ემზადებოდა. პარლამენტთან ერთად აქტიურობდა „უშიშროების საბჭო“. ცდილობდნენ მეფე რიჩმონდში გადმოეყვანათ, მოითხოვდნენ არმიის ლონდონიდან დაშორიშორებას ორმოცი კილომეტრით მაინც. ლონდონის მისადგომებთან აგებდნენ სიმაგრეებს. პარლამენტმა მილიციიდან დაითხოვა ინდეპენდენტები (მათ შორის ცნობილი ინდეპენდენტი ოლდერმენი პენინგტონი) და იგი დაუმორჩილა ლონდონის ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ 31 კაცისაგან შემდგარ კომიტეტს. დაიწყეს ახალი სამხედრო შენაერთების დაკომპლექტება. პარლამენტს დიდი იმედი აქვს უელსში და იორკშირში განლაგებული პოლკებისა, რომლებსაც პრესბიტერელი ოფიცრები სარდლობდნენ. მაგალითად, იორკშირში სარდალმა, გენერალმა საიდენჰემ პოინტცმა სასტიკი რეჟიმი დაამყარა,

აკრძალა ჯარისკაცთა კრებები, სიკვდილით დაემუქრა „მეამბოხეებს“. ჯარისკაცები აუჯანყდნენ რეაქციულ გენერალს. იგი დაატყვევეს და ფერფაქსს მიჰგვარეს მთავარბანაკში. ჩრდილოეთის არმია შეუერთდა სამხრეთის რევოლუციურ არმიას. პარლამენტი ითვალისწინებდა აგრეთვე უცხო ძალების დახმარებას. შოტლანდიელთა ახალი კომისარი ჯონ მეტლენდ ლოდერდეილი დიდ იმედებს იძლეოდა. პარლამენტმა შეარჩია კიდეც შოტლანდიის დამხმარე არმიის სარდალი. ეს იყო ტახტის მემკვიდრე, უელსის პრინცი. 11 ივნისს პარლამენტმა არმიას წინადადება მისცა გადმოეცათ მეფე პარლამენტის კომისრებისათვის და ლონდონს გასცლოდნენ.

23 ივნისს კრომველის ინიციატივით შემუშავდა კიდევ ერთი საპროტესტო დოკუმენტი — „არმიის ახალი რემონსტრაცია“, რომელიც ულტიმატუმის ხასიათს ატარებდა. იგი მოითხოვდა არმიის საწინააღმდეგო საქმიანობის შეწყვეტას, ჯარისკაცთათვის ხელფასის გადახდას და სხვ. წინააღმდეგ შემთხვევაში არმია იძულებული იქნება „მიიღოს საგანგებო ზომები“. ცოტა ადრე კი (17 ივლისი) პარლამენტს წინადადება მიეცა დაეთხოვა პარლამენტის თერთმეტი განსაკუთრებით აქტიური პრესბიტერელი დეპუტატი, მათ შორის ფილიპე სტეპლტონი, დენზილ ჰოლისი, ჯონ მეინარდი, გენერალი ედუარდ მესეი, გენერალი უილიამ უოლერი და სხვ. არმია პარლამენტზე უშუალო კონტროლის დამყარების მიზნით მოითხოვდა მთავარბანაკის ლონდონთან დაახლოებას, წინადადებას იძლეოდა დაუყოვნებლივ ელაგმათ ლონდონში მოქმედი კონტრრევოლუციური ძალები, ჩაეშალათ პარლამენტის ცდა დაყრდნობოდა უცხო ძალებს, მოითხოვდა პარლამენტის მიერ მილიციიდან დემოკრატიული ძალების დათხოვის აღკვეთას და სხვ.

არმიას ძალას მატებდა ინგლისის ხალხის საყოველთაო მხარდაჭერა, ლონდონის, ნორფოლკის, სუფოლკის, ბეკინჰემშირის, ჰერტფორდშირის და ინგლისის სხვა რაიონების მოსახლეობის ფართო ფენები მხარს უჭერდნენ „თავისუფლების ბოლო ბასტიონის“ — არმიის ყველა მოთხოვნას. ხალხი არმიის სახით თავის დამცველს ხედავს. შეიკრა კანონზომიერი წრე: ხალხი — არმია, არმია — ხალხი. არმიის მოძრაობა ფართო სახალხო მოძრაობას შეერწყა. პარლამენტში წარგზავნილ უამრავ პეტიციაში ინგლისის ხალხი ბრალს დებს პარლამენტს, რომელიც არმიას ითხოვს იმიტომ, რომ იგი არ იქცეს „ჩაგრულ და გაღატაკებულ ინგლისის დამცველად“, რომ მან ხელი არ შეუშალოს „ბატონების ბატონობას“.

ერთ-ერთ პამფლეტში, რომელიც არმიას მოუწოდებდა არ დაშლილიყო, ნათქვამია, რომ ასეთ შემთხვევაში შთამომავლობა იტყვის: „ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ საშუალება ჩვენთვის თავისუფლება და

ბედნიერება მოეტანათ. ჩვენდა საუბედუროდ მათ გამოიჩინეს დაუდევრობა, ხელიდან გაუშვეს შესაძლებლობა და გაგვაუბედურეს...“

ინგლისის გლეხობა დაიწუნებულია, რომ არმია მზადაა დაეხმაროს მათ მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ასეც იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „კლობშენების“ გამოსვლებს, როცა არმია ამ თავისებური მოძრაობის წინააღმდეგ მოქმედებდა.

სახალხო მხარდაჭერამ არმიის წარმატება უზრუნველყო პრესბიტერული პარლამენტის წინააღმდეგ ბრძოლაში. აგიტატორები, მათ შორის ალენი, სექსბი, მაიორი ტულიდა, მოითხოვდნენ ლონდონზე დაუყოვნებლივ გალაშქრებას. კრომველი და აირტონი თაყს იკავებდნენ, ცდილობდნენ კონფლიქტი კვლავ მოლაპარაკების გზით გადაეჭრათ. „ის, რასაც მშვიდობიანი გზით მოვიპოვებთ, ორგზის სჯობია იმას, რაც მოპოვებულია ძალით“, — ამბობდა კრომველი. კრომველს არ სურდა ხელისუფლების ქვემოდან მიღება, იგი პირველ ყოვლისა ცდილობდა მეფესთან შეთანხმების მიღწევას და მხოლოდ ამის შემდეგ თვლიდა შესაძლებლად არმიის შესვლას ლონდონში.

26 ივნისს არმია იმყოფებოდა უკსბრიჯში, ლონდონიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით ერთი დღის სავალზე. არმიის მიერ შერისხულმა თერთმეტმა დეპუტატმა და მათმა თანამზრახველებმა „ნებაყოფლობით“ დათმეს რწმუნებანი და პარლამენტს გაეცალნენ. მაგრამ პრესბიტერელებისა და ლონდონის სიტის მაგნატების ძიერ იმავე დღეს პროვოცირებულმა გამოსვლებმა ვითარება შეცვალეს. გამოსვლებში მონაწილეობდნენ პრესბიტერულად განწყობილი ლონდონელები, პირველ ყოვლისა „ოქროს ახალგაზრდობა“ — მდიდარ ვაჭართა შვილები, ახალგაზრდა ვაჭრები, ქალაქში მცხოვრები მდიდარ აზნაურთა შვილები, ლონდონის სიტის სავაჭრო კანტორების მოხელეები, წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი, მათ შორის: პრესბიტერულად განწყობილი ვაჭრებისა და პრივილეგირებულ ხელოსან ამქართა შეგირდები. მეზღვაურთა და ლონდონის პროლეტარიატის კლასობრივად შეუგნებელი ნაწილი, არმიის წინააღმდეგ მიმართული ცილისმწამებლური პამფლეტები. არმიის საწინააღმდეგო მიტინგებზე გამოსული ორატორები იწუნებდნენ, რომ ქვეყნად შექმნილი სიძნელეები — ეკონომიკური კრიზისი, ფასების ზრდა, უმუშევრობა და სხვა. არის შედეგი არმიის დაუმორჩილებლობისა, ინდეპენდენტების პოლიტიკისა და სხვ. არმიის წინააღმდეგ განეწყო პროვოკაციული აგიტაციის გავლენის ქვეშ მყოფი ლონდონის ლუმპენპროლეტარიატი. გამოსვლების შედეგად ასამდე ინდეპენდენტი დეპუტატი იძულებული გახდა პარლამენტიდან გაქცეულიყო, მათ თავი არმიას შეაფარეს. არმია მათ შეხვდა მწკრივში განლაგებული თანაგრძნობის შეძახილებით. პარლამენტიდან გაიქცა აგრეთვე ორივე სპიკერი: ლენტოლი (თემთა პალატა) და

მანჩესტერი (ლორდთა პალატა). პრესბიტერელ გენერლებს მესეისა და პოინტცს დაევალათ ქალაქის დაცვა. 11 დეპუტატი უკან დააბრუნეს, დაამტკიცეს მილიციის ახალი სტატუტი, მეფე ქალაქში მოიწვიეს, აირჩიეს თემთა პალატის ახალი, პრესბიტერული სპიკერი.

4 აგვისტოს ლეველერმა პოლკოვნიკმა რენსბოროთ კრომველის ბრძანებით დაიკავა გამაგრებული ფორტი საუტვარკი, 6 აგვისტოს არმია თოფგაუსროლად იკავებს ლონდონს. პრესბიტერული პარლამენტის სამარცხვინო კაპიტულაციასთან დაკავშირებით რევოლუციის თანამედროვე ფილოსოფოსი ტომას ჰობსი წერდა: „მე გამიკვირდებოდა ისინი (პრესბიტერელები) სხვაგვარად რომ მოქცეულიყვნენ, რადგან მდიდრების უმრავლესობას, რომლებმაც ამ მდგომარეობას ვაჭრობისა და წარმოების გონივრულად წარმართვით მიაღწიეს, მე ვთვლი ისეთ ადამიანებად, რომლებიც მხოლოდ ყოველდღიური მოგებით ცხოვრობენ. ისინი ყველაფერზე, რაც მათ ცხვირწინ არ ძევს, თვალს ხუჭავენ და თრთიან მათი საკუთრების გაძარცვის საფრთხის ხსენებაზეც კი". მაგრამ არმიის წარმატების უპირატესი საწინდარი იყო ის, რომ ლონდონის მშრომელი მოსახლეობის უმრავლესობა არმიის მხარეზე იყო, მაგალითად, საუტვარკის გარეუბნის მაუდის წარმოებაში მუშები მოუთმენლად მოელოდნენ „თავიანთ ძმებს" — ჯარისკაცებს, როგორც პრესბიტერული ტირანიისაგან მხსნელებს.

არმია ლონდონელებმა დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს. ჯარისკაცებმა მწყობრი ნაბიჯებით, მუხის შტოებით (მშვიდობიანი გამარჯვების სიმბოლო) ხელში, მოსახლეობის შეძახილების ქვეშ ჩაიარეს ლონდონის ქუჩებში. მათ თან მოიყვანეს და უესტმინსტერში დააბრუნეს დაფნის გვირგვინით შემოსილი პარლამენტიდან დათხოვილი 100 ინდეპენდენტი დეპუტატი. ფერფაქსი ქალაქის კომენდანტად დაინიშნა, მას გამოუყვეს სასახლე. ოფიცრებისათვის მუნიციპალიტეტმა დიდი მეჯლისი გამართა. პარლამენტის რამდენიმე პრესბიტერელმა ლიდერმა შეძლო გაქცევა: ჰოლისი, სტეპლტონი და რამდენიმე სხვა პარიზში აღმოჩნდნენ, პოინტსი და მესეი—ნიდერლანდებში. გაუქმდა პარლამენტის მიერ მიღებული არმიის საწინააღმდეგო ყველა დადგენილება, მათი ავტორები დასაჯეს. პრესბიტერული ქალაქის საბჭო დაითხოვეს, ლორდი-მერი და რამდენიმე ოლდერმენი სამართალში მისცეს, მილიციაში ინდეპენდენტები კვლავ დააბრუნეს, სამართალში მისცეს 26 აგვისტოს გამოსვლის მესვეურები, ქალაქში ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი თანამდებობა ინდეპენდენტებმა დაიკავეს და სხვ.

ინდეპენდენტები რევოლუციის გაღრმავებაზე არ ფიქრობდნენ. მათ არანაკლებ ეშინოდათ მასების რევოლუციური აქტიურობის ზრდისა, ამიტომ კრომველის, აირტონის და სხვათა უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა „წესრიგის აღდგენა", ღარიბი ინგლისის და

მათი ინტერესების გამომხატველი ყველა მემარცხენე ძალის, პირველ რიგში, ლეველერების დაოკება. მეფესთან მოლაპარაკება გრძელდება, მასში აქტიურად მონაწილეობს კრომველი. ჰენრი მარტენის წინადადება, შეეწყვიტათ მოლაპარაკება მეფესთან, ხმების უმრავლესობით პარლამენტმა უარყო. ინდეპენდენტებმა შეიმუშავეს კონსტიტუციის ახალი პროექტი — „წინადადების პუნქტები“, რომელიც ითვალისწინებდა საარჩევნო ქონებრივ ცენზს და კონსტიტუციურ მონარქიას. ლეველერებმა კონსტიტუციის უკიდურესად დემოკრატიული პროექტი— ე. წ. „სახალხო შეთანხმება“ შეიმუშავეს და საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლების პრინციპზე აგებული რესპუბლიკა მოითხოვეს. ურთიერთობა ინდეპენდენტებს და ლეველერებს შორის დაიძაბა, დაიწყო მათ შორის ბრძოლა, რაც რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ეტაპის (1647—49) უპირველესი, განმსაზღვრელი მომენტი იყო.

VI. ბრძოლა ლეველერებსა და ინდეპენდენტებს შორის

ლეველერების დემოკრატიულმა მოძრაობამ რამდენიმე ეტაპი განვლო: პირველი ლეველერული ჯგუფები, რომლებიც ინდეპენდენტური პარტიის მემარცხენე ფრთას ქმნიდნენ, გამოჩნდნენ 1645—46 წლებში. 1647 წელს ლეველერები უკვე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ. ლეველერული მოძრაობა თანდათან მთელს ინგლისში ვრცელდება. 1648 წლის იანვრიდან 1649 წლის ივნისამდე ლეველერული მოძრაობის მეორე ეტაპია, 1649 წლის მეორე ნახევრიდან იწყება მესამე ეტაპი, რომელიც XVII საუკუნის 50-იანი წლებით მთავრდება. დემოკრატიულ ინგლისთან ერთად ლეველერთა საყრდენს წარმოადგენდა არმია, უფრო ზუსტად ჯარისკაცთა ფართო მასა. ოფიცრები, ანუ „გრანდები“, როგორც აღვნიშნეთ, ინდეპენდენტები იყვნენ.

საბჭოთა ისტორიკოსმა გ. რ. ლევინმა მის მიერვე დადგენილ ამ სამ ეტაპს შემდეგი დახასიათება მისცა: პირველ ეტაპზე დემოკრატიულმა მოძრაობამ შეიმუშავა თავისი ძირითადი, საპროგრამო მოთხოვნილება, რაც ძირითადად პოლიტიკური ცხოვრების სფეროს ეხება, ხოლო რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, მათ მეორეხარისხოვანი, უმნიშვნელო როლი ენიჭებათ. მეორე ეტაპზე მშრომელი მასების რევოლუციური აქტიურობის ზრდის შედეგად სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებს შედარებით მეტი ყურადღება ექცევა. თუმცა მთავარ ამოცანად კვლავ პოლიტიკური რეფორმები რჩება. ღარიბი ინგლისის სოციალური მოთხოვნები, პირველ ყოვლისა, ქონებრი-

ვი გათანაბრების საკითხი, ლეველერთა ყურადღების გარეშე რჩება. ლეველერები უმნიშვნელო დაინტერესებას იჩენენ რევოლუციის ძირითადი—აგრარული პრობლემის მიმართაც. ყოველივე ამან განაპირობა, პირველ ყოვლისა, ლეველერთა პარტიის წარუმატებლობა მათი საქმიანობის მეორე და მესამე ეტაპზე.

რაც შეეხება ლეველერული მოძრაობის მესამე ეტაპს, მას ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია საერთოდ ვერ ხედავს. ლეველერთა მოძრაობის ბურჟუაზიულ მკვლევართა ძველი (ტ. პიზი) და ახალი (ე. ფრანკი, გ. ბრეილსფორდი და სხვ.) თაობის წარმომადგენლები გამორიცხავენ ლეველერული მოძრაობის მესამე ეტაპის არსებობას, მიაჩნიათ, რომ 1649 წელს ადგილი აქვს „ლეველერული პარტიის სიკვდილს“ (ფრანკი) ან მოძრაობას წარმოაჩენენ როგორც „უმნიშვნელო მოვლენას“ (ბრეილსფორდი). გ. რ. ლევინმა პირველწყაროებზე დაყრდნობით სრულიად საპირისპირო სურათი წარმოგვიდგინა. მესამე ეტაპზე ლეველერებმა კვლავ შეძლეს დემოკრატიული სამოქალაქო თუ სამხედრო მასების აქტიურობის უზრუნველყოფა ლეველერთა მოთხოვნებისათვის ბრძოლაში (სამხედრო ამბოხება ოქსფორდში, დერბიშირელ მაღაროელთა ამბოხება და სხვ.). ლეველერები დემოკრატიული რესპუბლიკისათვის იბრძოდნენ, 1649 წელს შინდეპუნტუნტების მიერ შექმნილი რესპუბლიკა კი არსებითად წარმოადგენდა ბურჟუაზიულ-ახალთავადაზნაურულ კონსერვატორულ სახელმწიფოს. ლეველერები ებრძოდნენ ამ რესპუბლიკას, როგორც თავისთავად პროგრესულ მოვლენას, ამასთან, მიზნად დაისახეს მისი გარდაქმნა დემოკრატიულ პრინციპებზე, რაც ჩამოყალიბებული იყო ლეველერულ ცნობილ პოლიტიკურ-კონსტიტუციურ დოკუმენტში — „სახალხო შეთანხმებაში“. ამასთან ერთად ლეველერთა სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამაში, რომელიც არსებითად ძველ საჭეს ინარჩუნებდა, შეტანილ იქნა ზოგიერთი ახალი, შედარებით უფრო რადიკალური მოთხოვნა. 1649 წლის ბოლოს ლეველერთა მოძრაობა დაცემის გზაზეა, იწყება გაბნეულება თვით ლეველერულ პარტიაში. იგი კარგავს საერთო ინგლისური ორგანიზაციის მნიშვნელობას და XVII საუკუნის 50-იან წლებში საბოლოოდ იშლება.

რას წარმოადგენდა ლეველერული მოძრაობა, როგორი იყო მისი პრინციპები, კლასობრივი არსი, როგორი იყო მისი სულიერი ბაზისი, რა როლი ითამაშა მან რევოლუციის ისტორიაში? ამ საკითხებზე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია შესაფერის პასუხს ვერ იძლევა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორ უკიდურესობასთან: მოვლენის გაყალბებასთან და მის იდეალიზაციასთან. ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ლეველერულ მოძრაობას უარეს შემთხვევაში წარმოაჩენს როგორც ყოველგვარ ისტორიულ საფუძველს მოკლებულ შემთხვე-

ვით მოძრაობას, გაუგებრობას, უკეთეს შემთხვევაში, როგორც ცალკეულ პირთა შემონაქმედს, პირველ ყოვლისა ლილბერნს, რომელსაც ხშირად წარმოადგენენ როგორც „სახედარივით ჯიუტ დოქტრინერს“, „ჩვეულებრივ მყვირალა დემაგოგს“ და სხვ. ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა მეორე ნაწილი ლეველერებს წარმოაჩენენ როგორც თანამედროვე ბურჟუაზიული დემოკრატიის უშუალო წინამორბედებს. რევიზიონისტულ ისტორიკოსთა ერთი ნაწილისათვის ლეველერული მოძრაობა არის თანამედროვე სოციალ-დემოკრატების უშუალო პირველსახე. მაგალითად, ინგლისის ლეიბორისტი ისტორიკოსები ლეველერულ მოძრაობას ახასიათებენ როგორც „XVII საუკუნის სოციალიზმს“.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ინგლისელმა ფილოსოფოსმა დ. იუმმა სცადა ლეველერული მოძრაობის ისტორიიდან ამოძირკვა. მან თავის „ინგლისის ისტორიაში“ (VII ტ.) ლეველერული მოძრაობა წარმოადგინა როგორც „შესაზარი მიუწვდომლობა“, რომელიც ითხოვს პოლიტიკურ და სოციალურ თანასწორობას (იუმი არ ანსხვავებს ლეველერებსა და „ჰეშმარიტ ლეველერებს“), რომელშიც ხედავს „რელიგიურ ექსტაზსა და უაზრობას“. იუმის აზრით, ლეველერული „ქიმერა“ საფუძველს უთხრის ხელისუფლებას, წესრიგს, დამორჩილებას.

გიზო ძალზე მოკლედ ლაპარაკობს გამთანაბრებლების („ნიველიატორების“) შესახებ და მათ მოძრაობას თვლის ისტორიულ კურიოზად, გიზო ლილბერნის მთელ საქმიანობას, უპირატესად, პირადი მოტივებით ხსნის. დაახლოებით ასეთივე პოზიციაზე დგას უილიამ გოდვინიც. XIX საუკუნის ინგლისური ტრადიციული ისტორიოგრაფია (ტორული და ვიგური, ანუ კონსერვატორული და ლიბერალური) „ლილბერნის პარტიას“ მიიჩნევდა ხელისუფლების და საკუთრების მხოლოდ დამანგრეველ ძალად, ერთმანეთში ურევდა პოლიტიკურ გამთანაბრებლებს — „ლეველერებს“ და სოციალურ გამთანაბრებლებს— „ჰეშმარიტ ლეველერებს“, ანუ დიგერებს. იგივე მეორდება XX საუკუნეშიც.

ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას ლეველერული მოძრაობის შეფასებაში ტონი მისცეს სამუილ გარდინერმა და ჩარლზ ფერსმა. მათ ლეველერული მოძრაობა დახატეს, როგორც რელიგიური მოძრაობა, როგორც ერთ-ერთი პურიტანული ჯგუფი, სექტა. გარდინერმა თავის „რესპუბლიკისა და პროტექტორატის ისტორიის“ პირველ ტომში ლილბერნი დახატა როგორც „უკიდურესი რევოლუციური ფანატიკოსი“, ხოლო ლეველერთა პროგრამა — „სახალხო შეთანხმება“ წარმოაჩინა როგორც „ფუჭი ოცნება“. ფერსისათვის ლეველერული მოძრაობა არის შემონაქმედი აგიტატორთა მცირე ჯგუფისა. გარდინერისა და ფერსისათვის ლეველერული იდეები არის ნააზრევი რამდენიმე

რეალურ სინამდვილესთან ყოველგვარ კავშირს მოწყვეტილი ფანატიკოსისა.

კლასთა ბრძოლის მარქსისტული მოძღვრების წინააღმდეგ მებრძოლ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიისათვის გარდინერ-ფერსის კონცეფცია ყოველმხრივ მისაღებია. იგი გამორიცხავს ამ მოძრაობის და იდეების კლასობრივ ბუნებას, წარმოაჩენს მას როგორც ყოველგვარ სოციალურ საფუძველს მოკლებულ განუხორციელებელ მოელენას, რომელიც არ მოაწვებოდა რევოლუციის რაიმე გაღრმავებას და სხვ. ახალი დროის ისტორიკოსთა შორის, ერთ-ერთი პირველი, ვინც ლეველერული მოძრაობის ცალკე, მონოგრაფიულად („ლეველერული მოძრაობა", ვაშინგტონი, 1916) შესწავლა სცადა, იყო ამერიკელი ტ. პიზი. მან ეს მოძრაობა დახატა როგორც უტოპიური, რომელსაც მის თანამედროვე ინგლისის საზოგადოებაში არავითარი დასაყრდენი არ ჰქონდა. ამერიკელი ისტორიკოსები ჯ. რობერტსონი („ლეველერული დემოკრატიის რელიგიური საფუძვლები", ნიუ-იორკი, 1951) და ვ. ჰალერი („თავისუფლება და რეფორმაცია პურიტანულ რევოლუციაში", ნიუ-იორკი, 1955) იმეორებენ გარდინერ-ფერსის შეხედულებას და ლეველერულ მოძრაობას წარმოაჩენენ როგორც რელიგიურს.

ისტორიკოსთა ერთი ჯგუფი ლეველერებში ხედავს თანამედროვე ამერიკისა და ინგლისის ბურჟუაზიული დემოკრატიის ფუძემდებლებს, რევიზიონისტი ისტორიკოსები უფრო შორს მიდიან და ლეველერებს— ამ ტიპურ წვრილბურჟუაზიულ პოლიტიკურ გამთანაბრებლებს სოციალისტურად მიიჩნევენ. ეს აზრი თავდაპირველად განავითარა რევიზიონისტმა ე. ბერნშტაინმა. ინგლისელი ისტორიკოსი მ. ჯიბი ნაშრომში „ჯონ ლილბერნი, ლეველერი, ქრისტიან-დემოკრატი" (ლონდონი, 1947) ლეველერულ მოძრაობაში მთავარ ფაქტორად რელიგიას მიიჩნევს, საერთოდ, მოვლენას წარმოაჩენს როგორც „ქრისტიანულ-დემოკრატიულ" მოძრაობას. ჯიბი ცდილობს ლეველერებში დაინახოს პირველსახე ანგლოსაქსური „ლიბერალური დემოკრატიისა". ავტორი ეწევა „ლიბერალური დემოკრატიის" (ბურჟუაზიული დემოკრატიის— გ. კ.) იდეალიზაციას, ჩქმალავს მის კლასობრივ ექსპლუატატორულ ბუნებას.

უფრო შორს მიდის ამერიკელი ისტორიკოსი იოზეფ ფრანკი, რომელიც თავის ნაშრომში „ლეველერები, ისტორია XVII საუკუნის სამი სოციალ-დემოკრატიისა (ჯ. ლილბერნი, რ. ოვერტონი, უ. უოლვინი)" (ჰარვარდის უნივერსიტეტის გამოცემა, 1955) ლეველერებს წარმოგვიდგენს, როგორც „XVII საუკუნის სოციალისტებს" (სოციალ-დემოკრატებს).

დაახლოებით ასეთივე პოზიციაზე დგას ინგლისელი პროგრესული ისტორიკოსი ჰ. ბრეილსფორდი, რომელიც მონოგრაფიაში „ლეველე-

რები და ინგლისის რევოლუცია“ (ლონდონი, 1961) ლეველერებს მიიჩნევს თანამედროვე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და მემარჯვენე სოციალისტური პარტიების წინამორბედად. ამასთანავე ლეველერულ მოძრაობას არ შეეძლო დაყრდნობოდა მასების მხარდაჭერას, რადგან ინგლისის რევოლუციაში, მისი აზრით, მასა ნეიტრალური იყო, მას მისი გაუნათლებლობის გამო არც შეეძლო გაეგო ლეველერთა პოლიტიკური პროგრამის არსი. ბრეილსფორდის ნაშრომში ბევრი რამ საინტერესოა. პირველ ყოვლისა, ყურადსაღებია წიგნში მოყვანილი უამრავი ფაქტიური მასალა, ავტორი ცდილობს დაადგინოს მოძრაობის სოციალური ბაზა. მას მიაჩნია, რომ ლეველერები ეყრდნობოდნენ ხელოსნებს და კოპიჰოლდერებს. იგი ვერ ამჩნევს ქალაქის იმაოთ შუალედურ ფენებს, როგორებიცაა წვრილი ვაჭრები, წვრილი სახელოსნოს მეპატრონეები, იომენთა წარმომადგენლები, წვრილი ფრიჰოლდერები და წვრილი ლიზჰოლდერები.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია, რომელიც უარყოფს ლეველერული მოძრაობის კლასობრივ ბუნებას. საერთოდ გამორიცხავს ამ მოძრაობის რაიმე სოციალურ საყრდენს, ან იძლევა ბუნდოვან, ყალბ განმარტებას. მაგალითად, ფრანგი ისტორიკოსი ჟერარ ველტერი, წიგნში „ინგლისის რევოლუცია 1641 — 1660“ (პარიზი, 1963) ირწმუნება, რომ ლეველერული მოძრაობა ჯარისკაცური იყო, რომ ლეველერები მხოლოდ ჯარისკაცებს ეყრდნობოდნენ.

საბჭოთა ისტორიოგრაფიამ (ი. ლ. პოპოვ-ლენსკი, ს. ი. არხანგელსკი, გ. თ. სემენოვი, გ. რ. ლევონი, ი. ა. ლევიცკი, ი. მ. საპრიკონი, ვ. მ. ლავროვსკი, მ. ა. ბარგი, ტ. ა. პაველოვა, ნ. ს. პროზოროვა და სხვ.) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ლეველერული მოძრაობის შესწავლის საქმეში. პირველ ყოვლისა, დადგინდა ლეველერთა მოძრაობის კლასობრივი არსი, მისი ხასიათი, მისი პოლიტიკური პროგრამა, ბრძოლის ფორმები, წარუმატებლობის მიზეზები და სხვ.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ბევრი წარმომადგენელი ცდილობს ლეველერებსა და ინდეპენდენტებს შორის სრული იდენტურობა დაინახოს. ეს ისტორიული ჰეშმარიტების ისეთივე გაყალბებაა, როგორსაც წარმოადგენს ლეველერებში „XVII საუკუნის სოციალისტების“ ან „ქრისტიან დემოკრატების“ დანახვა. ინდეპენდენტებსა და ლეველერებს შორის იგივეობის დადგენით ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას სურს გამორიცხოს ინგლისის რევოლუციაში კლასობრივი ბრძოლის შემდგომი გამწვავების, რევოლუციის გაღრმავების ფაქტი, სურს ინდეპენდენტებსა და ლეველერებს შორის წინააღმდეგობა დახატოს როგორც ბრძოლა პიროვნებებს შორის, უკიდურეს შემთხვევაში, მსგავს პოლიტიკურ ჯგუფებს შორის.

„ლეველერები" (ინგლისური სიტყვიდან—to level — „გამთანაბრებლები")* წარმოადგენენ წვრილბურჟუაზიულ რადიკალურ-დემოკრატიულ პოლიტიკურ დაჯგუფებას—პარტიას, რომელიც გამოხატავდა ქალაქისა და ნაწილობრივ სოფლის წვრილბურჟუაზიული ფართო ფენების ინტერესებს. პრესბიტერელებისა და ინდეპენდენტებისაგან განსხვავებით ლეველერული მოძრაობა ატარებდა პოლიტიკურ, და არა რელიგიურ ხასიათს. ამასთანავე, სახელწოდებას „ლეველერი", ანუ „გამთანაბრებელი" თავდაპირველად ჰქონდა სოციალური აზრი. გარკვეულ მომენტამდე (დაახლოებით 1649 წლამდე) ლეველერები ინგლისის ხალხის „დაბალი" ფენების მხარდაჭერითაც სარგებლობდნენ, მაგრამ როცა თავი იჩინა ლეველერთა წვრილბურჟუაზიულმა კლასობრივმა შეზღუდულობამ, როცა ლეველერულმა პროგრამამ, განსაკუთრებით აგრარულ სფეროში, ვერ უზრუნველყო უღარიბესი, ექსპლუატირებული ინგლისის ინტერესების რამდენადმე მაინც დაცვა, ლეველერებს დაუპირისპირდნენ ე. წ. „ჭეშმარიტი ლეველერები," ანუ „დიგერები", რომელთა მიზანსწრაფვა გაცილებით უფრო რადიკალური იყო და პასუხობდა უღარიბესი ინგლისის მისწრაფებებს. მე ვიცავ ინგლისის „საშუალო შეძლებისა და ღარიბ ადამიანებს" — ამბობდა ჯონ ლილბერნი და დასძენდა, რომ მისთვის ყველაზე ახლობელნი მაინც „საშუალო შეძლებისა და მდგომარეობის ადამიანები (წვრილბურჟუაზია — გ. კ.) არიან.

ლეველერები არ იყვნენ სოციალური „გამთანაბრებლები" ანუ ქონებრივი თანასწორობის მომხრენი. ისინი „პოლიტიკურ გამთანაბრებლებს" წარმოადგენდნენ და მოითხოვდნენ ინგლისის მოქალაქეთა უფლებრივ სრულ გათანაბრებას, პოლიტიკურ-რელიგიურ „თანასწორ და სამართლიან მმართველობას", რასაც საფუძვლად უნდა დასდებოდა საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლება და ყველას თანასწორობა კანონის წინაშე. ლეველერებს მიაჩნდათ, რომ თანასწორობის საფუძველს ქმნის პოლიტიკური თანასწორობა, რომელიც ყველას უნდა მიენიჭოს, რასაც გარდუვალად მოჰყვება საერთო კეთილდღეობის ზრდა. ლეველერები ძალაში ტოვებდნენ კერძო საკუთრებას, როგორც საზოგადოების ქვაკუთხედს. საკუთრების არსებობის პირობებში კი, როგორც ცნობილია, თანასწორობა ღებულობს კანონის წინაშე ფორმალური თანასწორობის ხასიათს.

მშრომელი, ექსპლუატირებული ინგლისი („დიგერების" სახით) სტიქიურად მიხვდა, რომ ლეველერულ თანასწორობას ფორმალური ხასიათი ჰქონდა და შეიმუშავა ნამდვილი, ჭეშმარიტი თანასწორობის

---

* ასე უწოდეს წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა პრესბიტერელებმა და ინდეპენდენტებმა.

თაკისი საკუთარი გეგმა, რომელიც კერძო საკუთრებას უპირისპირებდა საზოგადოებრივ საკუთრებას, რომლის მიხედვით მიწა ეკუთვნოდა ყველას და არავის. შემთხვევითი როდია, რომ დიგერები „ჰეშმარიტი ლეველერების“ სახელით არიან ცნობილნი, რაც გულისხმობდა იმას, რომ ისინი იბრძვიან ნამდვილი, ჰეშმარიტი და არა ცრუ, არაჰეშმარიტი გათანაბრებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, ლეველერები წვრილბურჟუაზიულ ეგალიტარიზმის საფუძველზე იდგნენ. ისინი არ უარყოფდნენ კერძო საკუთრებას, არ მოითხოვდნენ რაიმე რადიკალურ გადანაწილებას ქოხებრივ სფეროში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ მსხვილი ლენდლორდებისა და მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლისას ისინი მსხვილ საკუთრებას უპირისპირებდნენ წვრილ საკუთრებას, იცავდნენ მას. როგორც ცნობილია, წვრილბურჟუაზიული ეგალიტარიზმი, წვრილ მესაკუთრეთა თანასწორი საზოგადოების შექმნა უტოპიაა, რადგან, როგორც წესი, წვრილი საკუთრება სტიქიურად სწრაფად გადაიზრდება მსხვილ საკუთრებაში. თვით ლილბერნი, იმის გამო, რომ მის პარტიას „გამთანაბრებლებს“ უწოდებდნენ, უკმაყოფილებას გამოთქვამდა. მას გაუგებრობად მიაჩნდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ლეველერებს თითქოსდა სურთ გაათანაბრონ „ცალკეულ ადამიანთა ქონება და გააუქმონ საკუთრების უფლება“.

ერთი სიტყვით, ლეველერები ბურჟუაზიული რევოლუციონერები იყვნენ, ისინი იცავდნენ საკუთრებას, აშენებდნენ ბურჟუაზიულ წყობილებას. ლეველერულ „პოლიტიკურ გათანაბრებას“ არაფერი აქვს საერთო სოციალიზმთან, რომელიც ითვალისწინებს კერძო საკუთრების გაუქმების საფუძველზე აგებულ სოციალურ („ჰეშმარიტ“) თანასწორობას. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა განმარტებით თანასწორობა ფუჭი ფრაზაა, თუკი იგი არ გულისხმობს კერძო საკუთრების გაუქმების საფუძველზე ქონებრივი უთანასწორობის მოსპობას, საბოლოო ანგარიშში კლასების მოსპობას.

მიუხედავად ამისა, ლეველერებმა რევოლუციაში დადებითი როლი ითამაშეს. მათ წამოაყენეს კონსტიტუციის უკიდურესად დემოკრატიული პროგრამა (დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საყოველთაო საარჩევნო სისტემის პრინციპისათვის ბრძოლას). ხელი შეუწყვეს მონარქიის დამხობას, რესპუბლიკის ჩამოყალიბებას, გააღრმავეს რევოლუცია და მიიყვანეს იგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ეტაპამდე, მათ გვიჩვენეს დემოკრატიული უფლებებისათვის თანამიმდევრული, უანგარო ბრძოლის კარგი მაგალითი. ლეველერთა პროგრამის განხორციელების შემთხვევაში საქმე გვექნებოდა ფეოდალური გადმონაშთების რადიკალურ მსხვრევასთან და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებასთან.

ლეველერთა მოძრაობის სოციალური ბაზისის საკითხი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ჯერჯერობით დავის ობიექტია. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული. პირველ ყოვლისა, თავისი სოციალური შემადგენლობით ლეველერები უაღრესად ჭრელ კონგლომერატს წარმოადგენდნენ. უდავოა ის, რომ ისინი ძირითადად განასახიერებდნენ ინგლისის ყველაზე უფრო რევოლუციური ბურჟუაზიის, პირველ ყოვლისა, წვრილი ბურჟუაზიის შეხედულებებსა და ინტერესებს. არც ისაა სადავო, რომ მოღვაწეობის პირველ ეტაპზე (1649 წლამდე) მათ შეძლეს თავის გარშემო დაერაზმათ პრესბიტერელებისა და ინდეპენდენტების პოლიტიკით უკმაყოფილო სხვადასხვა ურთიერთსაპირისპირო ინტერესების მქონე მოსახლეობის ფართო ფენები და ქალაქის პლებეური ელემენტები, ღარიბი იომენები, წვრილი ფერმერები, წვრილი ლიზჰოლდერები, სოფლის პროლეტარიატი კოტეჯერების, ბოგანო გლეხების, სოფლის დაქირავებული მუშებისა და სხვათა სახით.

ისიც უდავოა, რომ პარტიის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სახეს ძირითადად განაპირობებდა და განსაზღვრავდა ინგლისის წვრილ მესაკუთრეთა მისწრაფებები და ინტერესები. ლეველერული პროგრამა არსებითად ასახავდა ახლად ჩამოყალიბებულ ბურჟუაზიული საზოგადოების ინტერესებს, ამის საუკეთესო დადასტურებაა ის, რომ ლეველერები მტკიცედ იცავდნენ საკუთრების ხელშეუხებლობის წმიდათაწმიდა უფლებას. პრესბიტერელებისა და ინდეპენდენტებისაგან განსხვავებით მათი საზრუნავი იყო საკუთრება საერთოდ, მათ შორის წვრილი, და არა მხოლოდ მსხვილი და საშუალო საკუთრება. ლეველერები მოითხოვდნენ, რომ მსხვილ და საშუალო მესაკუთრეებთან ერთად პოლიტიკური უფლებები ჰქონოდათ წვრილ მესაკუთრეებსაც, ანუ ინგლისის ყველა მესაკუთრეს. ამ გარანტიათა საწინდარს იხედავდნენ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში, რომელიც აღმოცენდებოდა საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლების საფუძველზე. მ. ა. ბარგის დამაჯერებელი განსაზღვრით, ლეველერებს სურდათ რევოლუციის მიერ მოპოვებული „დემოკრატიზმის მინიმუმი“ გაეღრმავებინათ და გაეფართოებინათ ინდეპენდენტთა ჩანაფიქრზე გაცილებით უფრო მეტად. ლეველერები პარლამენტის ბანაკში ყველაზე უფრო დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდნენ.

20—40-იან წლებში საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დომინირებდა შეხედულება, რომლის თანახმად ლეველერები ძირითადად ასახავდნენ ინგლისის გლეხობის ინტერესს, იყვნენ სოფელში კაპიტალიზმის დემოკრატიული გზით განვითარების მომხრენი. ამ შეხედულების პირველ წყაროს წარმოადგენდა ი. კ. პოპოვ-ლენსკი, რომელიც ლეველე-

რულ მოძრაობას უკავშირებდა აგრარულ ცვლილებათა პრობლემას, აზვიადებდა ლეველერულ მოძრაობაში აგრარული საკითხის მნიშვნელობას და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ქალაქის დემოკრატიულ და პლებეურ ფენებს და მათი ინტერესების მნიშვნელობას. პოპოვ-ლენსკის შეხედულებას იზიარებდა თითქმის ყველა ისტორიკოსი, მათ შორის ს. ი. არხანგელსკი, ვ. თ. სემენოვი და სხვ.

50-იან წლებში ეს შეხედულება რამდენადმე გადასინჯა ი. მ. საპრიკინმა. იგი ლეველერული მოძრაობის სოციალურ საყრდენად მიიჩნევდა გლეხობისა და ფერმერების შეძლებულ ნაწილს. იგი ამ შემთხვევაში სამართლიანად თვლიდა, რომ სოფლის ღარიბი და უღარიბესი ფენები ლეველერთა სოციალურ-ეკონომიკური პროგრამით ვერ დაკმაყოფილდნენ, რაც კონკრეტულად დაადასტურა დიგერების მოძრაობამ და ლეველერებისაგან არსებითად განსხვავებულმა მისმა პროგრამამ. იგივე შეხედულება, გარკვეული შესწორებით, გაიზიარა ს. ი. არხანგელსკიმ, რომელსაც ლეველერთა სოციალურ საყრდენად შეძლებულებთან ერთად საშუალო გლეხობაც მიაჩნდა.

გ. რ. ლევინმა და მასთან ერთად ა. ი. ლევიცკიმ, ვ. მ. ლავროვსკიმ, მ. ა. ბარგმა, ტ. ა. პავლოვამ, ნ. ს. პროზოროვამ და სხვებმა ლეველერთა სოციალური ბაზა უფრო სრულყოფილად გაიაზრეს. მათ ლეველერული მოძრაობის ძირითად ბაზად წარმოაჩინეს ქალაქის წვრილმესაკუთრული სხვადასხვა ფენა, დაადასტურეს ისიც, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ლეველერები სარგებლობდნენ ქალაქის „დაბალი" ფენების, ე. წ. ქალაქის პლებსის მხარდაჭერითაც. აღნიშნული ავტორები ადასტურებენ, რომ ლეველერებმა ვერ შეძლეს მოეწახათ კონტაქტი ინგლისის გლეხობასთან, პირველ ყოვლისა, გლეხობის ღარიბ და უღარიბეს ფართო ფენებთან, რაც მათი წარუმატებლობისა და მარცხის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო, რომ ლეველერთა მოძრაობის ძირითად საყრდენს ქალაქის დემოკრატიული მასა წარმოადგენდა, საკმაოდ დასაბუთებული მოსაზრებაა. სავსებით მართალია გ. რ. ლევინი, რომელიც მიუთითებს, რომ „დემოკრატიული დაჯგუფების საქმიანობის ცენტრი იყო ქალაქებში, სადაც ლეველერები ეძებდნენ დასაყრდენს, პირველ ყოვლისა, წვრილ ბურჟუაზიას შორის. მართალია, ისინი არ უგულებელყოფდნენ დაბალი ფენების მხარდაჭერას, რომელსაც იზიდავდა ლეველერთა პროგრამის ისეთი მომენტები, როგორიც იყო სიღატაკის მოსპობა, ხელფასზე მცხოვრებთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ. მაგრამ შეზღუდული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა, რომელსაც ლეველერებს წვრილი ბურჟუაზია კარნახობდა, ქალაქის დაბალ ფენებს საბოლოოდ ვერ მოიზიდავდა. მართალია ისიც, რომ ლეველერული მოძრაობა ქალაქებში, კერძოდ ლონდონში, სამიკიტნოებში ჩაისახა, მხედ-

ველობაში გვაქვს ჯონ ლილბერნის პოლიტიკური მწვავე დისპუტი ცნობილ პრესბიტერელ ღვთისმეტყველთან, ხანგრძლივ პარლამენტში პრესბიტერელთა ერთ-ერთ ლიდერთან, ჰაბუკობაში ლილბერნის კუმირთან უილიამ პრინთან, რომელიც ლონდონის სამიკიტნოში — „ქარის წისქვილში“ მიმდინარეობდა. დისპუტს ესწრებოდა ლეველერთა კიდევ ერთი მომავალი ბელადი — უილიამ უოლვინი. 1647 წელს, როცა ლეველერული პარტია ჩამოყალიბდა, მის საყრდენ ცენტრს წარმოადგენდა ლონდონი, სადაც მაშინ დაახლოებით 10 000 ლეველერს ითვლიდნენ. მართალია ის, რომ ლეველერთა ბელადები, მათ შორის ჯონ ლილბერნი, უილიამ უოლვინი, რიჩარდ ოვერტონი, ჯონ უაილდმანი და ბევრი სხვა, ქალაქებმა აღზარდა; მართალია ისიც, რომ ლეველერები ყველგან ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ისინი არიან ქალაქის დემოკრატიული მოსახლეობის ინტერესების დამცველნი. ჰაბუკი ლილბერნი, ყოფილი შეგირდი, 1639 წელს ციხეში მყოფ თავის თანამზრახველებად და მეგობრებად ასახელებდა შეგირდებსა და ქარგლებს. პეტიციები, რომელიც მრავალგზის დევნილი და რეპრესირებული ლილბერნის დასაცავად იწერებოდა, როგორც წესი, ეკუთვნოდა ლონდონისა და სხვა ქალაქების შეგირდებს, ქარგლებს, სახელოსნო და საეკრო კანტორების მოსამსახურეებს, წვრილ ვაჭრებს, წვრილ ხელოსნებს და სხვ. ლილბერნი ერთ-ერთ პამფლეტში ზრუნვის ობიექტად ასახელებს: „წვრილ ვაჭრებს, მეზღვაურებს, მემაუდეებს, მაუდის ხალიჩებს, მქსოველებს და მრთველებს“. ლეველერები არ იყიწყებენ არც ქალაქის ღარიბობას, პირველ ყოვლისა, ქალაქის მუშებს.

1653 წელს, ლეველერული მოძრაობის ბოლო ეტაპზე, ლილბერნი მესაკუთრე ინგლისს ერთხელ კიდევ არწმუნებდა, რომ მის მიზანს არ შეადგენდა დაეცვა „ინგლისის ყველაზე დაბალი ადამიანები“, რომ მის ყურადღების ობიექტს წარმოადგენს ის, ვინც დაიარება „დაკერებული წაღებით, ტყავისა და შალის წინსაფრებით, — ინგლისის ყველაზე უფრო შრომისმოყვარე და მონდომებული ადამიანები“. აშკარაა, წერს ლევინი, „რომ ქალაქებში ლეველერების ძირითად ბაზას ქალაქის დაბალი ფენები არ წარმოადგენდნენ, მიუხედავად ამისა, თავისი მბარდაჭერით, თავიანთი გამოსვლებით, ისინი „ბოძს უდგამდნენ საშუალო ფენებს“ — ხელოსნებს, წვრილ ვაჭრებს და სხვ.“.

ლეველერულ პამფლეტებში და საპროგრამო დოკუმენტებში აგრარული პრობლემა 1647 წლამდე თითქმის არ დასმულა. იმავე წლის ზაფხულიდან ლეველერებმა ინგლისის მოსახლეობის უმრავლესობის— გლეხობის მიმართ ერთგვარი დაინტერესება გამოიჩინეს. ეს განპირობა გლეხთა მოძრაობის აღმავლობამ და არმიის პოლიტიკური როლის ზრდამ. არმია, უფრო ზუსტად, მისი რიგითი შემადგენლობა, როგორც ვიცით. ლეველერული მოძრაობის საყრდენს წარმოადგენდა.

არმია კი თავისი შემადგენლობით უპირატესად გლეხური იყო. ლეველერთა აგრარული პოლიტიკა არსებითად იყო ინდეპენდენტური აგრარული პროგრამის უფრო რადიკალური ვარიანტი.

ლეველერთა შორის აგრარულ პრობლემას პირველად რიჩარდ ოვერტონი შეეხო პამფლეტში — „მოწოდება". იგი აქ თავს ესხმის ფეოდალურ გადმონაშთებს, მოითხოვს „მეათედის" გაუქმებას და გლეხობისათვის შემოღობილი მიწების დაბრუნებას. 1647 წლის შემოდგომაზე არმიის მიერ შედგენილ ლეველერულ დოკუმენტში („არმიის საქმე") არის მოთხოვნა: საეკლესიო და სამონასტრო სეკულარიზებული მიწები გაიყიდოს არმიის ვალის დასაფარავად; აქვე მეორდება აგრარული ხასიათის მოთხოვნა — გლეხობისათვის შემოღობილი მიწების დაბრუნების შესახებ. ლილბერნი აგრარულ საკითხს მოღვაწეობის პირველ და მეორე ეტაპზე საერთოდ არ შეხებია. 50-იან წლებში, ლეველერული მოძრაობის უკუსვლის დროს, ლილბერნმა და მისმა მიმდევრებმა მოგვიანებით, მაგრამ მაინც ყურად იღეს აგრარული პრობლემა. 1650 და 1653 წელს ლილბერნი შემოღობვების წინააღმდეგ ილაშქრებს. 1652 წლის ლეველერულ პეტიციაში არის აგრარული მოთხოვნები: კოპიჰოლდის და მაიაორატის გაუქმება, მიწების გაყიდვის სისტემის მოწესრიგება, ღარიბ-ღატაკთათვის დასამუშავებლად უშენი (ვერანი) ადგილების გამოყოფა და სხვ. 1653 წელს პამფლეტში „პატიოსანი ადამიანის დაცვა" ლილბერნი აგრარულ პრობლემასაც შეეხო: იგი მოითხოვდა შეწყვეტილიყო „ღარიბ მხვნელების" გაღატაკება, მოითხოვდა ყველა ღარიბისათვის და მიწიდან აყრილისათვის. აგრეთვე ყარისკაცთათვის ნაკვეთის გამოყოფას. აგრარულ საკითხში ლეველერთა ერთგვარი გააქტიურება დემოკრატიული მოძრაობის დაღმაფლობისა და კრომველის სამხედრო დიქტატურის პირობებში აშკარად დაგვიანებული იყო.

როგორც ვხედავთ, ლეველერების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა ძირითადად ასახავდა ქალაქის „საშუალო ფენების" ანუ წვრილი ბურჟუაზიის მოთხოვნებს. აგრარული პრობლემა მათ პოლიტიკაში მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა და ნაკლები ყურადღებით სარგებლობდა. როგორც ჩანს, ლეველერებს იმედი ჰქონდათ, რომ გლეხებს მხოლოდ ფართო პოლიტიკური პროგრამის საფუძველზე მიიმხრობდნენ. ეს, რასაკვირველია, შეცდომა იყო. ლეველერთა ზომიერი აგრარული პოლიტიკისათვის შეიძლება მხარი დაეჭირა გლეხობის მხოლოდ საშუალო და შეძლებულ ფენებს, პირველ ყოვლისა, კოპიჰოლდერებს, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ კოპიჰოლდის გაუქმებით და მის ფრიჰოლდად გადაქცევით. გ. რ. ლევინი უარყოფს იმ ისტორიკოსთა მოსაზრებას, რომლებიც ლეველერთა

საყრდენად მიიჩნევენ გლეხობის ზედაფენებს და სამართლიანად დასძენს, რომ გლეხობის ზედაფენები — მდიდარი იომენი-ფრიჰოლდერები (რომლებიც მონაწილეობენ არჩევნებში, შემოღობვებში) და მდიდარი ფერმერები ინდეპენდენტთა ბანაკში იყვნენ. მისივე აზრით, ლეველერული ზომიერი აგრარული პროგრამა ხელსაყრელი იყო იომენ-კოპიჰოლდერებისათვის, რომელთაც სურდათ კოპიჰოლდის სრული თავისუფლება და საარჩევნო ხმის უფლება ფრიჰოლდერებთან თანაბრად. ლეველერების პროგრამა დააინტერესებდათ აგრეთვე წვრილ ფერმერებს, წვრილ ფრიჰოლდერებსა და ლიზჰოლდერებს.

ლეველერებმა წვრილბურჟუაზიული კლასობრივი შეზღუდულობის გამო ვერ შეძლეს გლეხობის ფართო ფენების მიმხრობა. ლეველერებმა, რომლებიც კერძო საკუთრების მარადიულობას და ხელშეუხებლობას იცავდნენ, ვერ წამოაყენეს აგრარულ გარდაქმნათა ფართო პროგრამა, ისინი არ ითვალისწინებდნენ აგრარული პრობლემების რადიკალურად გადაჭრას, უპირველეს ყოვლისა, ლორდების მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას, ღარიბ და უღარიბეს გლეხების მიწით უზრუნველყოფას, ფეოდალიზმის ყველა ნაშთის მოსპობას და სხვ. შემოღობვათა წინააღმდეგ გალაშქრება და კოპიჰოლდის განთავისუფლებისათვის ბრძოლაც გაუბედავად წარმოებდა, სასხვათაშორისოდ. ასეთ ვითარებაში ინგლისის ღარიბი და უღარიბესი გლეხობის ფართო ფენა კოტერების, სოფლის ბოგანოების, მოჯამაგირეების, სოფლის მუშების, ღარიბი და უღარიბესი მოიჯარეების და სხვათა სახით გაემიჯნა ლეველერულ მოძრაობას. შემთხვევითი როდია ის ვითარება, რომ დიგერების მოძრაობას წინ უძღოდა ე. წ. „სოფლის ლეველერების" მოძრაობა. ღარიბი და უღარიბესი გლეხობა ბრძოლის საკუთარ, ლეველერებისაგან განსხვავებულ გზას ეძებდა. ლეველერებმა თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის შეზღუდულობის გამო ვერ შეძლეს თავის სასარგებლოდ ფართო სახალხო მოძრაობის გაჩაღება. ამიტომ, მათი ეს, თავის დროისათვის ყველაზე უფრო დემოკრატიული პოლიტიკური პროგრამაც კი, გარდუვალი მარცხის წინაშე აღმოჩნდა.

ლეველერულ მოძრაობაში გარდა ქალაქის წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის, ქალაქის პლებეების და გლეხობისა, მონაწილეობდნენ აგრეთვე წვრილი ჯენტრის წარმომადგენლებიც. ლეველერთა მოძრაობის ბელადთა დიდი ნაწილი ამ უკანასკნელთა რიგებიდან იყვნენ.

* *

ლეველერული მოძრაობა, პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია მისი ლიდერის—ჯონ ლილბერნის სახელთან. გამოჩენილი რევოლუციონერი, რევოლუციის დიდი ტრიბუნი, ბრწყინვალე პუბლიცისტი,

წვრილბურჟუაზიული რადიკალური დემოკრატი, ინგლისის უბრალო ხალხში ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული პიროვნება ჯონ ლილბერნი (1618 — 1657)* დაიბადა ჩრდილოეთ ინგლისში, დერამის საგრაფოში, საშუალო შეძლების სკუაირის ოჯახში. ლილბერნის საკმაოდ ძველი გვარი ადრევე ეზიარა წარმოების კაპიტალისტურ წესს, კერძოდ, ვაჭრობას და ახალი თავადაზნაურობის რიგებში აღმოჩნდა. ოქსენდისა და ნიუკასლის სკოლებში სწავლის შემდეგ 12 წლის ლილბერნი მამამ ლონდონში ჩამოიყვანა და შეგირდად განაწესა ლონდონელ დიდვაჭრის ტომას პიუსონის კანტორაში. ლილბერნი შესანიშნავად დაეუფლა კომერციას. პიუსონი მას ანდობს დიდ საქმეებს, გზავნის საზღვარგარეთ — ჰოლანდიაში და სხვ. ლილბერნი ბევრს კითხულობს, განსაკუთრებით რეფორმისტულ-პურიტანულ ლიტერატურას. მან ახლო ურთიერთობა დაამყარა პურიტან ღვთისმეტყველებთან, მათ შორის ჯონ ბასტვიკთან, უილიამ პრინთან, ჰენრი ბერტონთან და სხვებთან. სულ მალე ლილბერნი პურიტანული მოძრაობის აქტიური მონაწილე გახდა და „ვარსკვლავიანი პალატის“ ჯაშუშთა მეთვალყურეობის ქვეშ აღმოჩნდა. 1637 წელს პურიტანული ლიტერატურის დასაბეჭდად და შემდეგ ინგლისში შემოსაზიდად იგი ჰოლანდიაში მიემგზავრება. სამეფოს ჯაშუშებმა იყნოსეს ლილბერნის განზრახვა. სამშობლოში დაბრუნებული ლილბერნი გასცა მეგობარმა, ვინმე ედმონდ ჩილინგტონმა. „ვარსკვლავიანმა პალატამ“ ლილბერნს მიუსაჯა 500 გირვანქა სტერლინგი ჯარიმა, საჯარო გამათრახება, სამარცხვინო ბოძზე გაკვრა და მკაცრი რეჟიმის პატიმრობა.

1638 წლის 18 აპრილს განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. წელამდე გაშიშვლებული ლილბერნი მათრახის ცემით სამარცხვინო ბოძზე გააკრეს, შემდეგ ბორკილები დაადეს და ფლიტის ციხის განმარტოებულ საკანში მოათავსეს. წამება და პატიმრობა ლილბერნმა ვაჟკაცურად გადაიტანა. „ვფიცავ, შემიძლია ვიცხოვრო ყოველგვარ პირობებში: შიმშილში, ტანისამოსის გარეშე, გაჭირვებაში, დევნაში, ციხეში, საფრთხის ქვეშ, გადასახლებაში, გაძევებაში.. უნაყოფო ქვის კლდეზე, სადაც ვერ იშოვი ვერც პურს, ვერც წყალს, რამეთუ მე მწამს...“ — ამბობდა იგი. ციხეში, მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, ლილბერნი აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა. წერს პოლიტიკურ პამფლეტებს, სადაც კიცხავს ეპისკოპალურ ეკლესიას, აბსოლუტიზმს, აყალიბებს თავის პოლიტიკურ უკიდურეს დემოკრატიულ კრედოს. ციხიდან იგი უკავშირდება თავის ლონდონელ თანამზრახველებს, პირველ ყოვლისა, სავაჭრო-სახელოსნო კორპორაციების შეგირდებს, რომ-

---

* ჯონ ლილბერნის დაბადების თარიღი ზუსტად არაა დადგენილი, ასახელებენ 1614, 1616 წლებსაც.

ლებმაც ლილბერნის დასაცავად მოაწყვეს გამოსვლები. ხოლო 1641 წელს რევოლუციურმა ხანგრძლივმა პარლამენტმა კრომველის ინიციატივით ლილბერნი ციხიდან გაანთავისუფლა.

ლილბერნმა 1642 წელს ცოლად შეირთო ელისაბედ დიუელი, რომელიც ძისი მძიმე ცხოვრების ერთგული თანამგზავრი და ფანატიკურად ერთგული პოლიტიკური თანამოზიარე გახდა. ლილბერნმა მატერიალური მდგომარეობაც განიმტკიცა, ლონდონში მან გახსნა ლუდის დიდი დარბაზი, რომელიც კარგ მოგებას იძლეოდა. სამოქალაქო ომის დაწყებისთანავე ლილბერნი პარლამენტის ერთგულ დამცველთა შორის აღმოჩნდა. იგი იმთავითვე ინდეპენდენტებს მიემხრო, აქტიური მონაწილეობა მიიღო და დაიჭრა ეჯჰილის ბრძოლაში, ბრენტფორდთან (1642 წ. ნოემბერი) იგი როიალისტებმა ტყვედ იგდეს. 12 თვე ლილბერნი საპატიმროში იჯდა. მას, როგორც „სახელმწიფოს მოღალატეს", ელოდა სიკვდილით დასჯა. ტყვეობაში ლილბერნი ვაჟკაცურად იქცეოდა. თვით მტრებიც კი აღფრთოვანებულნი იყვნენ მისი ქცევით. „მას სურს თავის საქმის დასაცავად წამებული გახდეს", — აღნიშნავს ლორდი კლარენდონი. პარლამენტმა ლილბერნი რამდენიმე როიალისტში გაცვალა და ტყვეობიდან იხსნა (1643). კრომველის რეკომენდაციით ლილბერნი მანჩესტერის არმიაშია და პოდპოლკოვნიკის ჩინით დრაგუნთა პოლკს სარდლობს, იგი აქტიურად მონაწილეობს მარტსონ-მუროს ცნობილ ბრძოლაში. 1645 წელს, როცა პრესბიტერულმა პარლამენტმა ოფიცრობაზე სავალდებულო გაუხადა „კოვენანტის" აღიარება, სინდიპენდენტების, ანუ პიროვნების თავისუფლების დამცველმა ლილბერნმა პროტესტის ნიშნად დატოვა არმია. 1645 წლიდან იგი პრესბიტერული პარლამენტის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლთა შორისაა. ლილბერნს სასტიკად სძულდნენ. 1645 წლის 19 ივლისს მას აპატიმრებენ, 14 ოქტომბერს კი იგი გარედაა და კვლავ პოლიტიკური ბრძოლის ცენტრშია, ლილბერნის პოპულარობა ხალხში და არმიაში არაჩვეულებრივად იზრდება. მის პოლიტიკურ პამფლეტებს ჭარისკაცები გულდასმით კითხულობენ, ზეპირად სწავლობენ 1646 წლის 11 ივნისს პარლამენტმა ლორდების ინიციატივით „თავისუფლადშობილი ჯონი" კვლავ დააპატიმრა. ამჯერად იგი სასტიკად დასაჯეს — დააკისრეს ჯარიმა 4 000 გირვანქა სტერლინგი და 7 წლით ჩასვეს ტოუერში. აღსანიშნავია, რომ ლილბერნის წინააღმდეგ სასტიკად იბრძოდნენ მისი ყოფილი მასწავლებლები და კერპები: ბასტვიკი და პრინი. 1648 წლის 2 აგვისტოს ლილბერნი გაათავისუფლეს. აღნიშნულ პერიოდში ლეველერულ პარტიას და ლეველერულ მოძრაობას ლილბერნი ციხიდან ხელმძღვანელობს.

ლილბერნთან ერთად ლეველერული პარტიის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის რიჩარდ ოვერტონს (გარდაიცვალა დაახლოებით

1663 წ.), რომელიც პარლამენტის საწინააღმდეგო მძაფრი პოლიტიკური პამფლეტების ავტორობისათვის ისევ ლორდების ინიციატივით 1646 წლის 11 აგვისტოს დააპატიმრეს და ჩასვეს ნიუგეტის ციხეში, სადაც იმყოფებოდა 1647 წლის სექტემბრამდე.

ლეველერულ მოძრაობაში მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა კომერსანტი უილიამ უოლვინი. მან გაიარა რთული პოლიტიკური ევოლუცია პრესბიტერელიდან ლეველერამდე. იყო ბრწყინვალე პუბლიცისტი, ავტორი რამდენიმე მნიშვნელოვანი პამფლეტისა და ლეველერული პეტიციისა. სხვა ლეველერებთან შედარებით იგი საკმაოდ ხანდაზმული იყო (დაახლოებით ორმოცდაათ წლამდე), ჰყავდა 20 შვილი, ფლობდა საკმაოდ სოლიდურ ქონებას.

ლეველერულ მოძრაობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა ჯონ უაილდმანი (1621—1693), განათლებული პიროვნება, შესანიშნავი ორატორი და პუბლიცისტი, რომელიც განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა ჯარისკაცთა შორის. ესწრებოდა ჯარისკაცთა კრებებს, მიტინგებს, უშუალოდ კონტაქტში იყო მათთან. დემოკრატობამ მას ხელი არ შეუშალა პროტექტორიატის დროს მიწების მსხვილი სპეკულიანტი გამხდარიყო. მისი მამულები 20 საგრაფოში იყო გაფანტული. გამოჩენილ ლეველერთა შორის იყვნენ თომას პრინსი, მაქსიმილიან პეტი და სხვ.

მრავალი გამოჩენილი ლეველერი უშუალოდ არმიაში მსახურობდა, მათ შორის იყვნენ ჩვენთვის უკვე ცნობილი პოლკოვნიკი (შემდეგ ფლოტის ვიცე-ადმირალი) ყოფილი შკიპერი ტომას რენსბორო, პოლკოვნიკი ედუარდ სექსბი (პარლამენტის არმიის ყოფილი რიგითი), უილიამ ალენი (აგიტატორი), ჯარისკაცი რობერტ ლოკიერი (გარდაიცვალა 1649 წელს), კაპიტანი უილიამ ტომპსონი (გარდაიცვალა 1649 წელს), ტომას შეფერდი (აგიტატორი) და სხვ.

*

ლეველერების პოლიტიკურ პროგრამას საფუძვლად ედო უკიდურესად დემოკრატიულად ინტერპრირებული „სახალხო სუვერენიტეტის“ თეორია, რომლის თანახმად უზენაესი ხელისუფლება ეკუთვნის ინგლისის სუვერენულ ხალხს. ამასთან, ყველა ინგლისელი „თავის ბუნებით თანასწორია“, „არავის არ აქვს რაიმე უპირატესობა ან ხელისუფლება სხვის მიმართ“, „ქვეყნის მართვა შეუძლია მხოლოდ თავისუფალი და თანასწორი ხალხის თავისუფალი თანხმობით“.

ხალხი თავის სუვერენიტეტს უშუალოდ ახორციელებს მის მიერ არჩეული პარლამენტის საშუალებით, რომელიც გამოხატავს ხალხის ინტერესს, პასუხისმგებელია მის წინაშე და ემორჩილება მის კონტროლს. ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა პარლამენტის უპირვე-

ლესი და უმთავრესი მოვალეობაა. ერთადერთი ძალა, რომელიც ზღუდავს პარლამენტს, ესაა ხალხი, რომელმაც „სახალხო შეთანხმების“ საფუძველზე ხელისუფლება გადასცა პარლამენტს. ხალხი უფლებამოსილია დაამხოს ის პარლამენტი, რომელიც არ ასრულებს აღნიშნულ მოთხოვნებს, არღვევს „შეთანხმებას“, ახდენს ხელისუფლების უზურპაციას — ასეთი იყო ლეველერთათვის პრესბიტერული პარლამენტი, მისი დათხოვნა ლეველერელებს გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდათ.

ლეველერები რესპუბლიკელები იყვნენ, მეფის ხელისუფლებასთან ერთად ისინი მოითხოვდნენ ლორდთა პალატის გაუქმებასაც. უზენაესი ხელისუფლება უნდა გადასცემოდა საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლების საფუძველზე (ხმის უფლება ეძლეოდა 21 წლის ასაკს მიღწეულ ყველა ინგლისელ მამაკაცს) ინგლისელი ხალხის მიერ არჩეულ და მისსავე ნდობით აღჭურვილ ერთპალატიან (თემთა) პარლამენტს. მეფე და ლორდები ხალხის მიერ არჩეულნი არ არიან და არც მათი ნდობით სარგებლობენ, მათი ხელისუფლება ტირანულია (წარმოშობილია ძალადობის საფუძველზე ნორმანდიული დაპყრობის შედეგად). აქედან გამომდინარე მეფისა და ლორდების ხელისუფლება უკანონოა, ეწინააღმდეგება „სახალხო სუვერენიტეტის“ პრინციპს და იგი უნდა მოისპოს.

ამრიგად, ხალხის მიერ არჩეული, ამომრჩევლების ანუ იგივე ხალხის წინაშე პასუხისმგებელი და ხალხის კონტროლს დამორჩილებული პარლამენტი, ლეველერების აზრით, უზრუნველყოფს კანონისა და სამართლიანობის გამარჯვებას. „მთელი ხელისუფლება დასაბამიდან თავისი არსით ხალხიდან მომდინარეობს და, მაშასადამე, ეკუთვნის მხოლოდ მას. ხალხის თავისუფალი არჩევანი და თანხმობა მისი წარმომადგენლებით გამოხატული — არის ყოველგვარი სამართლიანი მმართველობის საფუძველი“, — ასეთი იყო ლეველერთა ღრმა რწმენა.

ყველა ადამიანი თანასწორი და თავისუფალი დაიბადა. ყველა მათგანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების ერთნაირი უფლება. აქედან გამომდინარე, ლეველერები კატეგორიულად მოითხოვდნენ კანონის წინაშე ყველას თანასწორობას, ყოველგვარი პრივილეგიების, წოდებების და ფეოდალური ტიტულების გაუქმებას. ლეველერები იცავდნენ კონკურენციის აბსოლუტურ თავისუფლებას, მოითხოვდნენ მონოპოლიებისა და სავაჭრო-სამრეწველო პრივილეგიების საბოლოოდ მოსპობას. როგორც ვიცით, რევოლუციამ ყველა მონოპოლია და პრივილეგია როდი გააუქმა. მაგალითად, ამ უფლებებით კვლავ სარგებლობდა „ვაჭარ-ავანტიურისტთა“ ძველი კომპანია, რომელიც პრესბიტერულ პარლამენტს ფულით ამარაგებდა. პრივილეგირებულ მდგომარეობას ინარჩუნებდა ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანი-

აც. პარლამენტი მისგან იღებდა სესხს, იყენებდა მის ხომალდებს, არტილერიას და საბრძოლო მასალას. სეკვესტრის პირველსავე გატარებისას (1642) კომპანია როიალისტებისაგან გაწმინდეს. ამან კიდევ უფრო დააახლოვა მსხვილბურჟუაზიული პარლამენტი და კომპანია — კარგად ორგანიზებული კაპიტალისტური საწარმო.

ლეველერები ქადაგებდნენ სინდისის სრულ თავისუფლებას, რაც უშუალოდ დაკავშირებული იყო მათ მიერ საზოგადოების ერთ-ერთ ქვაკუთხედად აღიარებულ პიროვნების თავისუფლების იდეასთან და მისგან გამომდინარეობდა. სინდისის თავისუფლებასთან ერთად ლეველერები იცავდნენ პიროვნების თავისუფლებასთან დაკავშირებულ სიტყვის, პეტიციის, წერის და კრების თავისუფლებას, პიროვნებისა და საკუთრების ხელშეუხებლობას.

მონოპოლიების გაუქმებასთან ერთად ლეველერები მოითხოვდნენ საგადასახადო სისტემის რეგულირებას, გადასახადების განაწილებას შემოსავლის საფუძველზე, ბრძოლას პაუპერიზმის წინააღმდეგ და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, ლეველერული თანასწორობა გულისხმობდა მხოლოდ პოლიტიკურ თანასწორობას — კანონის წინაშე ფორმალური თანასწორობის ცნობილ ბურჟუაზიულ პრინციპს. ლეველერები იცავდნენ ქონებრივ-ეკონომიკურ უთანასწორობას, ღარიბისა და მდიდრის, მაძღრისა და მშიერის არსებობას, დამქირავებლისა და დაქირავებულის, ექსპლუატატორის და ექსპლუატირებულის არსებობას ანუ ფაქტიურ უთანასწორობას.

* *

ლეველერებსა და ინდეპენდენტებს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა არმიის ლონდონში შესვლის დღეებში. კრომველს პარლამენტზე ნაკლებ როდი ეშინოდა „ბრბოს ანარქიისა“ და ზედმეტად გააქტიურებული საკუთარი ჯარისკაცებისა. პრესბიტერული პარლამენტი გრძნობდა კრომველის ასეთ განწყობას და მარცხს მაინცდამაინც მტკივნეულად როდი განიცდიდა. 11 დეპუტატის დათხოვა გაჰიანურდა, ერთ თვეს აჰიანურებენ ადრე არმიის წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებათა გაუქმებას.

კრომველის მეფესთან მოლაპარაკება მიმდინარეობს. ხმა დაირხა, რომ მეფე მას ჰპირდება მთავარსარდლობას, ესექსის გრაფის ტიტულს და სამეფოს უმაღლეს — „წინდისსაკიდის ორდენს“. კრომველის მეუღლე და ქალიშვილები მეფის სტუმართა შორის უნახავთ. არმია აღშფოთებული იყო გენერლის მოქმედებით, მის საქციელს ღალატად მიიჩნევდა. მეფე ჯიუტობს, დარწმუნებულია, რომ სახალხო მოძრაობის აზვირთებული ტალღით შეშინებული პარლამენტი და ინდეპენ-

დენტები იძულებულნი გახდებიან მის წინაშე მუხლი მოიდრიკონ. „ჩემს გარეშე თქვენ ვერაფერს გახდებით, ჩემი მხარდაჭერის გარეშე თქვენ დაღუპავ გელით", — ამბობდა მეფე. „მეფის გარეშე არავის ძალუძს მშვიდად იცხოვროს და საკუთრებით ისარგებლოს",— ამბობდა კრომველი. ლილბერნმა და ლეველერებმა სასტიკად დაგმეს გრანდების პოლიტიკა. ლილბერნი კრომველს ღალატში სდებდა ბრალს. პოლკოვნიკმა რენსბორომ ერთ-ერთი კამათის დროს კრომველს მოურიდებლად შესძახა: „ერთ-ერთი ჩვენთაგანი უნდა დაიღუპოს". შეშინებული კრომველი იძულებული იყო დროდადრო ბინა ეცვალა. ლილბერნის წინადადებით ჯარისკაცებმა ჩაატარეს აგიტატორების გადარჩევა. ყველა აქტიური ჯარისკაცი-ლეველერი, მათ შორის სექსბი, შეფერდი, ალენი, ლოკიერი და სხვა ხელახლა აირჩიეს.

გრანდებსა და ჯარისკაცებს შორის წინააღმდეგობას ამწვავებდა წმინდა მატერიალური ფაქტორებიც. ომმა ჯარისკაცები გააღატაკა, მოწყვიტა ოჯახს, მეურნეობას, ოფიცერთათვის კი ომი გამდიდრების წყაროდ იქცა, ისინი ღებულობდნენ მიწის ნაკვეთებს, ინაწილებდნენ დელიკვენტთა ქონებას. გარდა ამისა, ისინი ჯარისკაცებისაგან ჩალის ფასად ყიდულობდნენ მათთვის პარლამენტის მიერ ხელფასის ნაცვლად გაცემულ ქაღალდებს — „ვალდებულებებს" (debenturs), გირვანქა სტერლინგში აძლევდნენ 3—4 შილინგს. მუქთად ნაშოვნი „ვალდებულებით" ოფიცრები იძენდნენ დიდძალ მიწებს.

* *

კრომველმა ინდეპენდენტების მიერ მოპოვებული წარმატების იურიდიული დაკანონება გადაწყვიტა. მისი წინადადებით ჰენრი აირტონმა შეიმუშავა ინდეპენდენტური კონსტიტუცია — „არმიის მიერ წამოყენებულ წინადადებათა პუნქტები" (The Heads of the Proposals offered by the Army). კონსტიტუციის პროექტის განსახილველად შეიქმნა კომისია 12 ოფიცრისა და 12 აგიტატორის შემადგენლობით. 1-ელ აგვისტოს პირველი ინდეპენდენტური კონსტიტუცია არმიის სახელით გამოქვეყნდა და წარედგინა ჩარლზ I-ს. ლონდონში არმიის შესელის შემდეგ მეფემ აღიარა „წინადადებები," როგორც მისი ტახტზე დაბრუნების ძირითადი პირობა.

„წინადადებათა პუნქტების" ერთი ნაწილი ითვალისწინებს მნიშვნელოვან კონსტიტუციურ გარდაქმნებს, მეორე—ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებს, მესამე—მიმდინარე ამბებით ნაკარნახევ კონკრეტულ ღონისძიებებს. ინდეპენდენტური კონსტიტუციის თანახმად ინგლისი კვლავ რჩება მონარქიად, რომელიც შეზღუდულია უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოთი — ორპალატიანი პარლამენტით. როგორც ვხედავთ, ინდეპენდენტებმა მეფესთან ერთად ძალაში დატოვეს ლორდთა

პალატაც. „წინადადებათა პროექტი“ ითვალისწინებდა ხელისუფლების კიდევ ერთი უმაღლესი ორგანოს — „სახელმწიფო საბჭოს“ შექმნას, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სამეფო ხელისუფლების ახალ შეზღუდვასთან, რადგანაც აღმასრულებელი ხელისუფლების მრავალი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია „სახელმწიფო საბჭოს“ ხელთ უნდა ყოფილიყო. იგი ასრულებდა „საიდუმლო საბჭოს“ ფუნქციას, ევალებოდა საზღვაო და სახმელეთო მილიციის ხელმძღვანელობა, სამეფოში მშვიდობის და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფა, უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობა, ომის გამოცხადება და ზავის დადება (პარლამენტის შეთანხმებით). სახელმწიფო საბჭოს წევრებს ნიშნავდა პარლამენტის „უნარიან და პატიოსან“ პირთაგან არა უმეტეს შვიდი წლის ვადით. მეფე კარგავდა მილიციის მართვის უფლებას ათი წლით, რაც შეეხება სამხედრო ძალებს (არმიას და ფლოტს), იგი სამუდამოდ რჩება პარლამენტის განკარგულებაში. 10 წლის განმავლობაში ყველა ხელმძღვანელ პოსტზე დანიშვნა ექვემდებარება პარლამენტს (ორივე პალატა), 10 წლის შემდეგ პარლამენტმა ყოველ პოსტზე უნდა წამოაყენოს 3 კანდიდატი, აქედან ერთ-ერთს დაამტკიცებს მეფე.

კონსტიტუციის პროექტი მოითხოვდა არსებული პარლამენტის დათხოვას. ამიერიდან პარლამენტის მოწვევა უნდა ხდებოდეს ყოველ ორ წელიწადში, განსაზღვრულ დღეს. პარლამენტის სხდომათა ხანგრძლივობა განისაზღვრა მინიმუმ 120, მაქსიმუმ 240 დღით. 120 დღის ფარგლებში პარლამენტის დათხოვა ან მისი საქმიანობის ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ თვით პარლამენტის თანხმობით. შემდეგ კი ეს უფლებები მეფეზე გადადის. სახელმწიფო საბჭოს რეკომენდაციით მეფეს შეუძლია ორწლიანი პარლამენტის სესიებს შორის შესვენებათა დროს მოიწვიოს პარლამენტი, იმ პირობით, თუკი მას შეკრებენ ახალი პარლამენტის მოწვევამდე 70 დღით ადრე, ამასთანავე, იგი უნდა დაითხოვონ ახალი პარლამენტის მოწვევამდე 60 დღით ადრე. ამრიგად, მეფეს დარჩა პარლამენტის მოწვევის და დათხოვის უფლება. ინდეპენდენტები შემოიფარგლნენ ღონისძიებით, რომელიც მოწვევის გარანტიას უზრუნველყოფდა.

პარლამენტები ნიშნავენ (შესვენების ან დათხოვის წინ ან მათზე ადრე) კომიტეტებს, რომლებიც საქმეებს წარმართავენ პარლამენტთა შორის პერიოდში. მეფეს რჩებოდა მხოლოდ დროებითი ვეტოს უფლება. ბილი, რომელსაც დაამტკიცებდა ერთმანეთის მომდევნო ორი პარლამენტი, კანონის ხასიათს ღებულობდა მეფის თანხმობის გარეშეც.

ინდეპენდენტური საარჩევნო სისტემა ითვალისწინებდა იმ სიახლეებს, რომელთა შესახებ ჩვენ ლაპარაკი უკვე გვქონდა. პირველ ყოვლისა, გათვალისწინებული იყო ძველი საარჩევნო ოლქების („დამპა-

ლი დაბების") გაუქმება, რომლებსაც ქმნიდა მეფე და რომლებიც აღარ შეესაბამებოდნენ ქვეყნად ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებს. ახალ საარჩევნო ოლქებს უნდა უზრუნველეყოთ პარლამენტში პროპორციულად თანასწორი წარმომადგენლობა (მესაკუთრეებისა) მთელი სამეფოს მასშტაბით. ხაზგასმული იყო მსხვილი ქალაქებისათვის და განვითარებულ სასოფლო-სამეურნეო რაიონებისათვის წარმომადგენლობის გაზრდა, რაც უზრუნველყოფდა პარლამენტში ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ბატონობას. ინდეპენდენტებმა დააწესეს ქონებრივი ცენზი, რომელიც „პროპორციული იყო იმ გადასახადებისა, რომელიც მათ შეჰქონდათ სახელმწიფო ფულად გადასახადთა და სხვა სახის ასაკრეფთა საერთო ჯამში". ამით მათ ხმის უფლება წაართვეს არა მარტო პლებეურ და ღატაკ, არამედ წვრილბურჟუაზიულ ინგლისსაც. ეს პროექტი აკმაყოფილებდა ბურჟუაზიას, ჯენტრის, იომენთა მდიდარ ნაწილს და არ აკმაყოფილებდა ღარიბ და საშუალო კოპიჰოლდერებს, ფრიჰოლდერებს, ლიზჰოლდერებს, ხელოსნებს, წვრილ ვაჭრებს, ქარგლებს, შეგირდებს, კოტერებს, მუშებს და სხვ. ინდეპენდენტთა საარჩევნო სისტემა ნათლად ადასტურებს მათი კონსტიტუციის ანტიდემოკრატიულ, ანტისახალხო ხასიათს.

როცა არჩევნების „თავისუფლების" შესახებ ლაპარაკობდნენ, ინდეპენდენტები გულისხმობდნენ თავისუფლებას მესაკუთრე ინგლისისათვის, საარჩევნო თანასწორობის ქვეშ კი ცალკეულ საგრაფოებიდან და საერთოდ სამეფოდან წარმომადგენლობით თანასწორობასა და პროპორციულობას, პირველ ყოვლისა, ახალი ბურჟუაზიული სამეურნეო ცენტრებისათვის პრიორიტეტის მინიჭების პირობებში.

კონსტიტუციის ინდეპენდენტურ პროექტში ჩამოყალიბებულია ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი პრინციპი: პიროვნება — ბურჟუა. ინდეპენდენტთა მიერ შემოთავაზებული სინდისის, სიტყვის, აზრის, კამათის, პეტიციის თავისუფლების, პიროვნების ხელშეუხებლობის პრინციპები მხოლოდ ამ ასპექტში უნდა წარმოვიდგინოთ. მიუხედავად ბურჟუაზიულ-კლასობრივი შეზღუდულობისა, ამ პრინციპების აღიარებით ინდეპენდენტებმა ინგლისის კონსტიტუციურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი პროგრესული სიახლე დანერგეს. პრესბიტერული პარლამენტი აშკარად მიისწრაფოდა პოლიტიკური და რელიგიური ტოტალიტარიზმისაკენ, უარყოფდა სინიდისის, აზრისა და სიტყვის თავისუფლებას, ანუ იმ პრინციპებს, რასაც ადრე თვითონ იცავდა და ხალხსაც მისი დაცვისაკენ მოუწოდებდა. გარდინერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აზრისა და სიტყვის თავისუფლების გარეშე პარლამენტის ხელისუფლება ისევე დესპოტურად გამოიყურება, როგორც ხელისუფლება ჩარლზისა". გარდინერი სავსებით მართალია,

როცა მიუთითებს, რომ სიტყვისა და აზრის თავისუფლების აღკვეთა, ტოტალურ პრინციპებზე დამკვიდრებული მმართველობა, „სხვა არაფერია თუ არა გონების ძალაუფლების ძალის მეუფეობით შეცვლა“.

დემოკრატიული ინგლისის სიმპათიის მოპოვების მიზნით ინდეპენდენტებმა კონსტიტუციის პროექტში შეიტანეს რამდენიმე მოთხოვნა. მათ შორის აქტის ძალით ეპისკოპატის გაუქმება, ეპისკოპოსების და სხვა სასულიერო პირების ხელისუფლების და ყველა იურისდიქციის გაუქმება, საეპისკოპო მიწების გაყიდვა, „პაპისტ მწვალებლების“, იეზუიტების და სხვათა წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება, კოვენანტის იძულებითი წესით აღიარების და უარის შემთხვევაში გათვალისწინებული სასჯელის გაუქმება, ოფიციალური სავალდებულო ლოცვანით სარგებლობის პრესბიტერული გადაწყვეტილების გაუქმება და სხვა. ამიერიდან ინგლისის მოქალაქეებს ძალით ვერ მოახვევენ ვერც ანგლიკანიზმსა და ვერც პრესბიტერობას. ინდეპენდენტებმა აღიარეს აზრის თავისუფლება, მოითხოვეს სასამართლოს რეფორმები მათი გამარტივებისა და გაიაფების მიზნით, მოითხოვეს სამოქალაქო ომის მონაწილეთათვის პოლიტიკური ამნისტია, პარლამენტის გარეშე მინიჭებული ყველა პრივილეგიის გაუქმება, ძალადაკარგულად გამოაცხადეს მეფის ყველა აქტი, დეკლარაცია თუ მოქმედება, რომელიც მიმართული იყო პარლამენტის ან მისი სახელით მოქმედ პირთა წინააღმდეგ, ინდეპენდენტებმა დასვეს საერთოდ მთელი კანონმდებლობის გადაბინძვის საკითხი.

„წინადადებებში“ აშკარად იგრძნობოდა დათმობები დელიკვენტებისა და როიალისტების მიმართ. მართალია, როიალისტებს ხუთი წლით ეკრძალებოდათ რაიმე თანამდებობის დაკავება, მაგრამ მათ ზოგი შეღავათი მაინც მიეცათ. მაგალითად, ის როიალისტები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ომში და მეფისადმი იხდიდნენ მხოლოდ სამსახურებრივ მოვალეობას, თავისუფლდებოდნენ კომპოზიციებისაგან (სპეციალური ჯარიმები, რომელიც როიალისტებზე ვრცელდებოდა). მრავალი შეღავათი ვრცელდებოდა იმათზე, ვინც ნებაყოფლობით გადმოვიდოდა პარლამენტის მხარეზე.

ინდეპენდენტებმა გაითვალისწინეს აგრეთვე მეფის უფლებების შეზღუდვა ადგილობრივი ხელისუფლების მიმართაც. მაგალითად, ამიერიდან შერიფებისა და მომრიგებელი მოსამართლეების დანიშვნა მეფეს შეუძლია მხოლოდ იმ კანდიდატებისაგან, რომელსაც საგრაფოებში ნაფიცი მსაჯულები შეარჩევენ და სხვ.

„ძირითადი წინადადებები“, განსაკუთრებით კი აირტონის მიერ შედგენილი დამატებითი პუნქტები, ითვალისწინებდნენ მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც ისევ და ისევ დემოკრატიული ინგლისის, პირველ ყოვლისა, არმიის გულის მოგებას ემსახურებოდა. მაგალი-

თად, გათვალისწინებული იყო ყველა — ძველი თუ ახალი მონოპოლიის, ვაჭრობისა და მეწარმეობის თავისუფლების ყველა შეზღუდვის გაუქმება, მიწის გადასახადის თანაბარი განაწილება მთელი ინგლისის მასშტაბით, არმიისათვის ვალის რაც შეიძლება სწრაფად გადახდის საშუალებათა გამონახვა, სახელმწიფო გადასახადების შემსუბუქება და მათი აკრეფის გაუმჯობესება, ზოგიერთ საგრაფოში უკანონო გადასახადების გაუქმება და სხვ.

ინდეპენდენტები შეეცადნენ გადაესინჯათ საგადასახადო სისტემა დემოკრატიული ინგლისისათვის რაიმე შეღავათის მიცემის ნიშნით. ამ მიზნით გათვალისწინებულ იქნა გადასახადების, აქციზების გაუქმება პირველი მოხმარების იმ საგნებზე, რომლებსაც დემოკრატიული ინგლისი ხმარობდა. ამასთანავე, ინდეპენდენტებმა თითქმის არაფერი იღონეს სავალო ციხეებში გამომწყვდეულთათვის, მათ კრედიტორებისადმი ვალდებულება იხევ ეკისრებოდათ.

აგრარულ საკითხში ინდეპენდენტები ანტიდემოკრატიულ პოზიციაზე დარჩნენ. „წინადადებათა პუნქტების" IX განყოფილებაში მათ აღიარეს „სარაინდო მფლობელობის" გაუქმება, ანუ აგრარული პრობლემის ცალმხრივი, მხოლოდ მემამულეთათვის სასარგებლო გადაწყვეტა. ინდეპენდენტებმა მეტად გაუბედავად წამოაყენეს წინადადება შეეცვალათ (და არა გაეუქმებინათ) მეათედი ეკლესიის შესანახი სხვა გადასახადით, მოითხოვეს „ტყის კანონების" ბოროტად გამოყენების შეწყვეტა. ეს იყო და ეს. აგრარულ საკითხში ინდეპენდენტთა დაინტერესება ამით ამოიწურა.

ინდეპენდენტებმა წამოაყენეს წინადადება (დამატებით პუნქტებში) პეტიციის უფლებათა დამკვიდრების შესახებ. ეს ღონისძიება პასუხობდა დემოკრატიის, არმიისა და ლეველერების მოთხოვნებს. საინტერესოა აგრეთვე აკრეფილი თანხების ხარჯვის თაობაზე ხალხის წინაშე სახელმწიფოს ანგარიშგების მოთხოვნა.

მესაკუთრული ინგლისის ინტერესებიდან გამომდინარე „წინადადებათა პუნქტები" მოითხოვდნენ ირლანდიაში ომის გაგრძელებას. ამ შემთხვევაში ინდეპენდენტები, ისევე როგორც პრესბიტერელები ითვალისწინებდნენ მსხვილი ბურჟუაზიული მიწათმფლობელობის გაზრდას ირლანდიის მიწების ხარჯზე, გათვალისწინებული იყო აგრეთვე ირლანდიის ხარჯზე სამოქალაქო ომში გაწეული ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფარვა. გამორიცხული არ იყო ისიც, რომ მათ სურდათ ირლანდიაში გადაესროლათ არმიის, განსაკუთრებით რეველუციური ნაწილი. ამრიგად, „წინადადებათა პუნქტების" სახით ჩვენს წინაშეა კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებდა ბურჟუაზიულ-თავადაზნაურულ მონარქიას, ინდეპენდენტური ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის მიერ რეველუციური მონაპოვარის დაცვას,

ერთი მხრივ, ფეოდალურ-აბსოლუტური რეაქციისაგან, და, მეორე მხრივ, ინგლისის ხალხის ფართო ფენების „წრესგადაცილებულ“ აქტიურობისაგან.

ინგლისის რევოლუციურ მასებს, არმიის რევოლუციურ ნაწილსა და ლეველერებს კონსტიტუციის ინდეპენდენტური ჩანაფიქრი ოდნავადაც არ აკმაყოფილებდათ. ისინი აკრიტიკებდნენ მას და თავის მხრივ ქმნიდნენ კონსტიტუციის საკუთარ პროექტს, რომლის ძირითადი პუნქტები აისახა ლეველერულ პამფლეტებში, ლეველერთა გამოსვლებში, მათ მიერ შედგენილ საერთო დოკუმენტებში, სახალხო პეტიციებში, არმიის პეტიციებში, წინადადებებში, მის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებში და სხვ.

დემოკრატიული კონსტიტუციისათვის ბრძოლაა ხელმძღვანელობდნენ ლეველერები. 1647 წლის 28 სექტემბერს პარლამენტმა მიიღო საგანგებო გადაწყვეტილება ლეველერების აგიტაციის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ლეველერთა საქმიანობა ახალი ძალით გაიშალა, მათი ავტორიტეტი ხალხსა და არმიაში ძალზე დიდი იყო.

მრავალთა შორის, ერთ-ერთი პირველი და საინტერესო დოკუმენტი, სადაც ლეველერებმა თავიანთი პოლიტიკური მოთხოვნები ჩამოაყალიბეს, 1647 წლის 15 მარტს თემთა პალატაში წარდგენილი პეტიცია იყო, რომელიც ოფიციალურად პირველად ადასტურებდა ლეველერთა ცნობილ პრინციპს „სახალხო სუვერენიტეტის შესახებ“. პეტიციონერები უშუალოდ მიმართავენ უზენაეს ხელისუფალს — კანონიერ თემთა პალატას, როგორც ხალხის მიერ არჩეულ ორგანოს და არა მეფესა და ლორდებს, რომელთაც მსგავსი რწმუნება არ გააჩნიათ. პეტიცია პარლამენტს (მხოლოდ თემთა პალატას) სთხოვს იხსნას ინგლისი ძალმომრეობისაგან და ჩაგვრისაგან, პირველ ყოვლისა, ლორდთა პალატისაგან.

პეტიციონერები მოითხოვენ ყველა მონოპოლიის, პრივილეგიისა და პატენტის გაუქმებას, მეათედების მოსპობას, ღარიბთა და ღატაკთათვის დახმარების უზრუნველყოფას, მევალეების ციხიდან განთავისუფლებას, სიძვირის წინააღმდეგ ბრძოლას, პოლიტიკურ და რელიგიურ (სინდისის) სრულ თავისუფლებას, აზრის თავისუფლებას, იაფ სასამართლოს, სასამართლო წარმოებას ინგლისურ ენაზე.

პეტიციაში, მართალია, რესპუბლიკის შესახებ ჯერჯერობით არაფერი თქმულა, მაგრამ პეტიციონერები, რომლებიც ფაქტიურად გამორიცხავენ მეფისა და ლორდების ხელისუფლებას, არაპირდაპირ გულისხმობენ ერთპალატიან, დემოკრატიულ, ფართო საარჩევნო სისტე-

მაზე აგებულ რესპუბლიკას. ლეველერთა პოლიტიკური პროგრამის ეს უპირველესი მოთხოვნა სულ მალე პირდაპირ იქნა წამოყენებული.

რამდენიმე დელეგატი, რომელთაც პეტიცია მოიტანეს, პარლამენტმა დააპატიმრა. პეტიციის ტექსტი პარლამენტისავე განკარგულებით ჯალათის ხელით დაწვეს.

ყურადსაღებია კიდევ ერთი ლეველერული პეტიცია — „მრავალი ათასი მოქალაქის რემონსტრაცია", რომელიც პარლამენტს წარედგინა 1646 წლის 7 ივლისს. აქ კვლავ ხაზგასმულია თემთა პალატის, როგორც უზენაესი ორგანოს შესახებ და უკვე პირდაპირ დასმულია საკითხი მეფისა და ლორდების ხელისუფლების ლიკვიდაციის შესახებ. პეტიცია ითვალისწინებს პარლამენტის პასუხისმგებლობას ამომრჩევლების — ინგლისელი ხალხის წინაშე. პეტიცია მოითხოვს პარლამენტის ყოველწლიურად არჩევას, სინდისის სრულ თავისუფლებას, მოქალაქეთა „ბუნებითი" განუსხვისებელი და აბსოლუტური უფლებების კონსტიტუციურ გარანტიას და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლეველერულ დოკუმენტს „არმიის საქმეს" („არმიის საქმე. მართებულად დასაბუთებული" — The Case of the Army truly Stated), რომელიც არმიის აგიტატორებმა შეიმუშავეს სამოქალაქო ლეველერებთან ერთად, არმიის საბჭოსაგან დამოუკიდებლად და იგი დაუპირისპირეს კონსტიტუციის „გრანდებისეულ" (ოფიცრებისეულ) პროექტს — „წინადადებათა პუნქტებს". დოკუმენტის შედგენაში დიდი როლი მიუძღვის ჯონ ლილბერნს, რომელიც ტოუერის ციხიდან ხელმძღვანელობს ავტორთა ჯგუფს. „არმიის საქმის" ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, როგორც ჩანს, იყო ჯონ უაილდმანი. მასთან ერთად დოკუმენტს ხელს აწერს ახლად არჩეული ხუთი აგიტატორი, ანუ აგენტი.

„არმიის საქმეში" ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა დიდი პროექტი არმიის ყველაზე უფრო რევოლუციურ ნაწილთან ერთად გამოხატავდა მთელი დემოკრატიული ინგლისის მისწრაფებებს. დოკუმენტი ოფიციალურად გამოქვეყნდა 1647 წლის 15 ოქტომბერს.

პირველ ყოვლისა, „არმიის საქმე" აღიარებდა სახალხო სუვერენიტეტის პრინციპს და ხელისუფლებას მთლიანად, განუყოფლად მიაკუთვნებდა ხალხს. სახელმწიფოში ხელისუფლების და ძირითადი კანონების პირველწყაროდ აღიარებულ იქნა ხალხი და არა მეფე. ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად გამოცხადდა ხალხის მიერ კანონიერი გზით არჩეული მათივე წარმომადგენელთა ორგანო — ერთპალატიანი (თემთა პალატა) პარლამენტი. პარლამენტი პასუხისმგებელია ამომრჩევლების, ანუ ხალხის წინაშე, იგი ვერ შეცვლის ხალხის შემონაქმედს — „ძირითად კანონს". „არმიის საქმე" მოითხოვდა ერ-

თიან წერილობით კონსტიტუციის შექმნას. პარლამენტის უპირველეს და ერთადერთ ამოცანად ცხადდებოდა „ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფა". „არმიის საქმე" მოითხოვდა არსებული პარლამენტის დათხოვას 9—10 თვის შემდეგ. ახალი პარლამენტი უნდა არჩეულიყო მუდმივი, შეუცვლელი კანონის საფუძველზე, დანიშნულ დღეს, ორ წელიწადში ერთხელ, საგრაფოების მიხედვით. ხმის უფლება ენიჭება ყველა 21 წელს მიღწეულ მამაკაცს (არც მანამდე და არც მომდევნო ეპოქაში (XIX საუკუნემდე) ქალთათვის პოლიტიკური უფლების მინიჭება გათვალისწინებული არ ყოფილა, კონსტიტუციის უკიდურეს დემოკრატიულ პროექტებშიც კი) გარდა დელიქვენტებისა. ასეთი გზით არჩეული პარლამენტი საქმიანობს რწმუნებათა გასვლამდე. რწმუნებათა პერიოდში პარლამენტის დათხოვის უფლება არავის არა აქვს. მისი დათხოვა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წევრთა თანხმობით. „არმიის საქმე" ითვალისწინებს გადასახადების სამართლიან განაწილებას ხალხსა და მდიდრებს შორის, სიტის ბანკირებისათვის გადასახადთა მნიშვნელოვანი წილის დაკისრებას („გადასახადები უნდა დაეკისროს იმათ, ვინც ფლობს საკმარის საკუთრებას და ომის დროს არ დაზარალებულა"). დოკუმენტი ითვალისწინებს ყველა მონოპოლიის გაუქმებას, ლუდზე, ტანისამოსზე და სხვა საქონელზე აქციზის გაუქმებას... აქციზები შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ უცხოური წარმოშობის საქონელზე... კანონს უნდა დაემორჩილოს ყველა, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე (პოლიტიკური თანასწორობა) და სხვ.

აგრარულ საკითხში „არმიის საქმე" მეტ დაინტერესებას იჩენს. მოითხოვს შემოღობილი მიწების გლეხობისათვის დაბრუნებას დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის ხელშია ამჟამად ეს მიწები. დოკუმენტი ითვალისწინებს მეათედის გაუქმებას, სასამართლოების გაიაფებას და გამარტივებას.

ყველაზე უფრო მკაფიოდ ლეველერული პროგრამა, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური თანასწორობის პრინციპი ჩამოყალიბებულია არმიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში; „სახალხო შეთანხმება" („სახალხო შეთანხმება სწრაფი და მყარი მშვიდობის დასამყარებლად" — The Agreement of the People for a firm and present Peace). დოკუმენტი 1647 წლის 28 ოქტომბერს წარედგინა არმიის საბჭოს განსახილველად*.

* „სახალხო შეთანხმების" ტექსტმა მოვლენათა მსვლელობის შესაბამისად ცვლილებები განიცადა. ლეველერებმა შეიმუშავეს და წარადგინეს მისი ოთხი ვარიანტი. პირველი 1647 წ. 28. X, მეორე — 1648 წ. II. XII, მესამე — 1649 წ. 15. I, ხოლო მეოთხე — 1649 წ. I. V. ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის ჯ. პ. გუჩის მიხედვით არსებობს „სახალხო შეთანხმების" 6 ვარიანტი. ყველა მომდევნო ვარიანტი ასახავს ინდეპენდენტების წინაშე ლეველერების კომპრომისს — ლეველერები სულ უფრო და უფრო კვეცავენ მოთხოვნების რადიკალიზმს.

„სახალხო შეთანხმებას“ უდიდესი მნიშვნელობა მიეცა. იგი გადაიქცა ლეველერული მოძრაობის საბრძოლო პროგრამად როგორც არმიაში, ასევე მთელს ინგლისში და მოიპოვა ლეველერული კონსტიტუციის უფლება. ამიერიდან ინდეპენდენტებისა და ლეველერების ბრძოლა ძირითადად მიმდინარეობს „სახალხო შეთანხმების“ ირგვლივ.

„სახალხო შეთანხმება“ ანუ „აგრიმენტა“ უნდა მიეღო ინგლისის მთელ ხალხს, საყოველთაო სახალხო რეფერენდუმისა და ყოველი ინგლისელის მიერ პროექტზე ხელის მოწერის გზით.

პროექტის შესავალ ნაწილში ლაპარაკია ხალხის უფლებებისა და თავისუფლების, სახალხო სუვერენიტეტის, როგორც „ბუნებითი უფლებების“ და იმ საფრთხის შესახებ, რომელიც მას შეექმნა. ავტორები „შეთანხმების“ მთავარ ამოცანად სახავენ ხალხის „საერო უფლებების და თავისუფლების“ უზრუნველყოფას.

შეთანხმების პირველი პუნქტი ითვალისწინებს პარლამენტში საგრაფოების მიხედვით წარმომადგენელთა თანასწორობის უზრუნველყოფას დეპუტატების მოსახლეობის რიცხობრივობის საფუძველზე არჩევის გზით. ინდეპენდენტები, როგორც ვიცით, მხოლოდ საარჩევნო ოლქების პროპორციულ განაწილებაზე ლაპარაკობენ, ანუ ითვალისწინებენ საგრაფოებსა და საქალაქო საარჩევნო ოლქებში 300 თუ 400 დეპუტატის თანასწორად განაწილებას. ხმის უფლება კი განისაზღვრებოდა ქონებრივი ცენზის საფუძველზე (კონსტიტუციით ინდეპენდენტურ პროექტს ლეველერებმა „40-შილინგიანი კონსტიტუცია“ უწოდეს). ლეველერებმა კი არჩევნებს საფუძვლად დაუდეს მოსახლეობის რიცხვი ანუ წამოაყენეს საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპი.

მოკავშირე კლასები საარჩევნო უფლებების გაფართოებისას კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ წარმომადგენლობის განაწილების მოთხოვნით. ლეველერები უფრო შორს მიდიან, მათ წამოაყენეს საყოველთაო საარჩევნო უფლების იდეა, რომელიც საზოგადოების დაბალ ფენებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მაგრამ ამ შემთხვევაში ლეველერები წააწყდნენ მესაკუთრე ინგლისის და არმიის ზედაფენების სასტიკ წინააღმდეგობას. მაღალი ქონებრივი ცენზის მომხრეთა წარმატება გარდუვალი იყო. „ხელისუფლება მესაკუთრეებს“, — ასეთი იყო ეპოქის დევიზი. რაც შეეხება საზოგადოების დაბალ ფენებს— დემოკრატიულ ინგლისს, რომელიც მოკავშირე კლასებმა ჩააბეს რევოლუციაში და მისი რევოლუციური ენთუზიაზმი ძველი რეჟიმის დამანგრეველ მთავარ ძალად გამოიყენეს, მისთვის პოლიტიკური უფლებების მინიჭება ჩათვალეს როგორც უდიდესი საშიშროება. ინდეპენდენტები მოქმედებდნენ კრომველის პრინციპით — მთავრობამ უნ-

და იზრუნოს ხალხისათვის, აკეთოს მათი საქმე, მაგრამ ხალხის დაუხმარებლად, ხალხის გარეშე.

საყოველთაო საარჩევნო უფლება მოკავშირე კლასებმა სამუდამოდ დაასამარეს. რაც შეეხება პროპორციულ წარმომადგენლობის პრინციპს, იგი ძალაში დარჩა. თუმცა მის ბოლომდე განხორციელებას დიდი დრო დასჭირდა. „დამპალი დაბები“ XVIII საუკუნეშიც არსებობდნენ. ამ საუკუნეში უდიდესი სამრეწველო ქალაქები — ბირმინჰემი, შეფილდი, ლიდსი და მანჩესტერი პარლამენტში წარმოდგენილნი არ იყვნენ. „დამპალი დაბების“ საბოლოოდ გაუქმება განხორციელდა 1832 წლის საპარლამენტო რეფორმის შემდეგ. სავსებით სწორად მოიქცა ჯ. კენონი (ბრისტოლის უნივერსიტეტი), რომელმაც ნაშრომში „საპარლამენტო რეფორმა 1640—1832 წწ“. (კემბრიჯი, 1973), ინგლისის საპარლამენტო რეფორმის ისტორია რევოლუციის ეპოქიდან დაიწყო.

დავუბრუნდეთ ისევ „სახალხო შეთანხმებას“. დოკუმენტში საშინაო სიტყვა „რესპუბლიკა“ ნახმარი არაა. ამასთან, აბსოლუტურად იგნორირებულია მეფისა და ლორდთა პალატის ფუნქციები, უზენაესი ხელისუფლება მინიჭებული აქვს ერთპალატიან, ხალხის მიერ არჩეულს, მის წინაშე პასუხისმგებელ და მის კონტროლს დაქვემდებარებულ პარლამენტს, ანუ ფაქტიურად ნაგულისხმებია რესპუბლიკური მმართველობა. „შეთანხმებაში“ ხაზგასმულია, რომ პარლამენტის, ანუ სახალხო წარმომადგენლობის რწმუნებანი ხალხისაგან მომდინარეობს, რომ პარლამენტი დამოუკიდებელია „რომელიმე პიროვნებისაგან და პიროვნებებისაგან“ (ამ შემთხვევაში ნაგულისხმებია, პირველ ყოვლისა, მეფე და ლორდები).

პარლამენტი ლეველერთა პროექტის მიხედვით უფლებამოსილია დანიშნოს და გადააყენოს ყველა რანგის თანამდებობის პირი, მოხელე, მოსამართლე, გამოაცხადოს ომი, დადოს ზავი, გააფორმოს ხელშეკრულება უცხო ქვეყნებთან და სხვ. პარლამენტის კომპეტენციაში არ შედის ის უფლებები, რომლებიც ამომრჩევლებმა თავისთვის დაიტოვეს, პირველ ყოვლისა, საქმე ეხება რელიგიურ თავისუფლებას. ლეველერებმა ხალხს სრული რელიგიური თავისუფლება, შეუვალობა მიანიჭეს. პარლამენტს ჩამოერთვა რელიგიურ სფეროში კანონმდებლობის უფლება, გამოირიცხა პარლამენტის მიერ ოფიციალური, ყველასათვის სავალდებულო რელიგიის შემოღების შესაძლებლობა. პარლამენტს აო შეეძლო აგრეთვე სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა იძულებით გაწვევა. „შეთანხმება“ აცხადებდა სრულ პოლიტიკურ ამნისტიას. „შეთანხმება“ ადასტურებდა კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპს. არსებული თუ მომავალში მიღებული კანონები ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს განურჩევლად ქონებისა, წო-

დებისა, წარმომაელობისა, მდგომარეობისა. ამასთანავე ყველასათვის სავალდებულო კანონი ყველასათვის უნდა ყოფილიყო სასარგებლო.

„შეთანხმებაში“ კიდევ ერთხელაა ხაზგასმული ის უხერხულობა, რომელსაც ქმნის ცალკეული პირის თანამდებობაზე ხანგრძლივად ყოფნა. აქედან გამომდინარე „შეთანხმება“ მოითხოვს არსებული პარლამენტის დათხოვნას (1648 წლის სექტემბრის ბოლო დღეს). ამიერიდან ხალხმა პარლამენტი უნდა აირჩიოს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ.

„არმიის საქმისათვის“ და „სახალხო შეთანხმებისათვის“ ბრძოლამ საყოველთაო სახალხო ხასიათი მიიღო. მათ გარშემო დაირაზმა მთელი რევოლუციური ინგლისი არმიასა და არმიის გარეთ. პარლამენტი და გრანდები მკაცრად დაუპირისპირდნენ კონსტიტუციის ლეველერულ პროექტს. ხალხი და არმია „შეთანხმების“ დაუყოვნებლივ განხორციელებას ითხოვდნენ, პარლამენტმა კი იგი მეამბოხურად გამოაცხადა და აკრძალა. ჯარისკაცები იმუქრებოდნენ — არმიისა და ხალხის წარმომადგენელთა ბაზაზე ახალ პარლამენტს მოვიწვევთო. ლეველერებმა ზოგიერთი გაუბედავი პრეტენზია ეკონომიკურ სფეროშიც წამოაყენეს. ამან მესაკუთრული ინგლისის ანტილეველერული განწყობა კიდევ უფრო განამტკიცა. პირველ ყოვლისა, მოკავშირე კლასებს აღაშფოთებდა შემოღობვის პროცესის შეჩერების (როგორც ვიცით ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა შემოღობვებით იყო დაინტერესებული), შემოღობილი მიწების დაბრუნებისა და კოპიჰოლდის გაუქმების ლეველერული მოთხოვნა. ამასთანავე, ლეველერები თაღლითობად თვლიდნენ საეკლესიო და დელიქვენტების მიწების მსხვილ განსხვისებას. ზოგიერთი ლეველერი და ჯარისკაცი გაუბედავად, მაგრამ მაინც ლაპარაკობდა საკუთრების შეზღუდვის შესახებ. მაგალითად, 1647 წელს იყო შემთხვევა, როცა წამოაყენეს წინადადება მსხვილ მემამულეთათვის წლიური შემოსავალი განესაზღვრათ 2 000 გირვანქა სტერლინგით და სხვ. მსხვილი საკუთრების შეზღუდვის შესახებაა ლაპარაკი ლეველერ ჯონ კუკის პამფლეტში „ღარიბი ადამიანის ხვედრი“; საკუთრების შეზღუდვის შესახებ ლაპარაკობდა უილიამ უოლვინი, რენსბორო, პეტი და სხვ. ლეველერების ეს გაუბედავი ხელყოფა საკუთრებაზე მესაკუთრე ინგლისს საშუალებას აძლევდა განგაში აეტეხა და ლეველერები საკუთრების მოწინააღმდეგეებად გამოეცხადებინა. სინამდვილეში კი ლეველერები მხოლოდ პოლიტიკური გამთანაბრებლები იყვნენ და კერძო საკუთრების წინააღმდეგ არ გამოდიოდნენ. ლეველერებმა პარლამენტისაგან მოითხოვეს ანგარიშგება სახელმწიფო თანხების ხარჯვაზე, პრესბიტერული პარლამენტი კი ამ შემთხვევაში სინდისის წინაშე მართალი არ იყო. ეს ვითარებაც აძლიერებდა მესაკუთრეთა ანტილეველერულ განწყობას.

კონსტიტუციის ლეველერული პროექტის წინააღმდეგ ოლივერ კრომველმაც გაილაშქრა. 20 ოქტომბერს პარლამენტში მან ლეველერების წინააღმდეგ თითქმის სამ საათს ილაპარაკა. იგი იცავდა მონარქიას, გმობდა დემოკრატიას. ამასთან ერთად, იგი კვლავ განაგრძობდა მეფესთან მოლაპარაკებას. დამოკიდებულება ლეველერებსა და ინდეპენდენტებს შორის დაიძაბა.

•

მალე კრომველმა პოზიცია შეიცვალა და ლეველერებთან კომპრომისი აირჩია. კრომველის ამ პოლიტიკურ მეტამორფოზს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია სათანადოდ ვერ ხსნის. მემარჯვენე როიალისტური ისტორიკოსები ამაში ხედავენ კრომველის უპრინციპობასა და პოლიტიკური ავანტიურიზმის კიდევ ერთ დადასტურებას. ისტორიკოსთა მეორე ნაწილი შემთხვევით გარემოებებს იმოწმებს. მაგალითად, ამტკიცებენ, რომ კრომველის მონარქიისაგან განდგომა და რესპუბლიკელებთან დაახლოება განაპირობა კრომველისა და აირტონის მიერ ხელში ჩაგდებულმა დედოფლისადმი მეფის საიდუმლო წერილმა, სადაც მონარქი აბსოლუტიზმის აღდგენაში ღრმადაა დარწმუნებული. იგი იმედს ამყარებს შოტლანდიელებზე. არმიის ხელმძღვანელებს, რომლებთანაც მოლაპარაკებას აწარმოებს, მონარქი თვლის უგუნურებად, „საჭირო მომენტში მე მეცოდინება როგორ მოვეცლო ბოლო ამ ვაჟბატონებს. მე მათ აბრეშუმის შარვლის ნაცვლად ქერელის ჰალსტუკით (სახრჩობელა — გ. კ.) დავაჯილდოვებ“, — წერს ჩარლზი.

რასაკვირველია ამ წერილს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. მან დააჩქარა კრომველის მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება. საერთოდ კი კრომველის პოლიტიკურ მეტამორფოზს უფრო ღრმა საფუძველი ჰქონდა. მესაკუთრე ინგლისის ინტერესების დამცველს, მოქნილ და გამჭრიახ პოლიტიკოსს—კრომველს მოწინააღმდეგეებზე ნაკლებ როდი ეშინოდა „ბრბოს თავაწყვეტისა“. მაგრამ მას ისიც კარგად ესმოდა, რომ ამ „ბრბოს“ გარეშე შეუძლებელია რევოლუციის საბოლოო გამარჯვება, ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის ლიკვიდაცია, კათოლიციზმის აღმოფხვრა, საკუთრების ბურჟუაზიული უფლების გამარჯვება. მდგომარეობა კი მძიმე იყო. პრესბიტერელები აშკარად კონტრრევოლუციურ გზას დაადგნენ. მეფე რევანშისათვის ემზადება, როიალისტები მოძლიერდნენ, შეიქმნა გარედან ჩარევის საფრთხე. ამ ფონზე უნდა გავიზიაროთ ოპორტუნისტ კრომველის ლეველერებთან დაახლოების დიალექტიკა. არმიაზე და ხალხზე დაყრდნობის გარეშე რევოლუციის ხსნა შეუძლებელია, ეს კარგად ესმოდა კრომველს. მისთვის ნათელი იყო, რომ აღნიშნულ ეტაპზე ლეველერები ხალხში

და არმიაში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ერთ-ერთი თანამედროვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მთელი არმია ლილბერნს წარმოადგენდა“. გარდა ამისა, კრომველს ამოძრავებდა კიდევ ერთი ღრმად ჩაფიქრებული ქვეტექსტი — ლეველერებთან დაახლოებით იგი იმედოვნებდა, რომ მიაღწევდა ჯარისკაცებზე ლეველერთა გავლენის ნეიტრალიზაციას და არმიის გრანდების კონტროლისადმი დამორჩილებას. ეს ჩანაფიქრი, როგორც ვნახავთ, განხორციელდა.

არმიაში კი კრომველის ავტორიტეტი საგრძნობლად შეირყა. სამოქალაქო და სამხედრო ლეველერები მას და გრანდებს ღალატში სდებდნენ ბრალს.

29 ოქტომბერს გამოქვეყნებულ პამფლეტში უაილდმანი ჯარისკაცებს გრანდების და მეფის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისაკენ მოუწოდებდა, ხოლო კრომველსა და აირტონს ხალხის მოღალატეებად აცხადებდა. ასეთ ვითარებაში დათანხმდა კრომველი არმიასთან და ლეველერებთან მოლაპარაკებას, რომელიც გაიმართა ლონდონის გარეუბან პეტნის ერთ-ერთ ეკლესიაში მოწვეულ არმიის საბჭოს კონფერენციაზე („პეტნის კონფერენცია“). კონფერენციაზე ინდეპენდენტთა ინტერესებს იცავდნენ კრომველი, აირტონი, პოლკოვნიკი ნათანიელ რიჩი და სხვ. ლეველერებს წარმოადგენდნენ პოლკოვნიკი ედუარდ სექსბი, პოლკოვნიკი ტომას რენსბორო (ახლად დანიშნული იყო ფლოტის ვიცე-ადმირალად), აგიტატორი უილიამ ალენი, ჯარისკაცი რობერტ ლოკიერი, კაპიტანი ოდლი, პოდპოლკოვნიკი უილიამ გოფი და სხვები. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა ორი გამოჩენილი ლონდონელი სამოქალაქო ლეველერი ჯონ უაილდმანი, მაქსიმილიან პეტი და უცნობი ლეველერი, კლარკის ჩანაწერებით „კაცი ბედფორდშირიდან“.

არმიის საბჭოს მდივნის უილიამ კლარკის ჩანაწერების წყალობით ისტორიას შემორჩა შესანიშნავი პირველი წყარო — ამ კონფერენციის თითქმის სტენოგრაფიული ანგარიში (The Clarke Papers, ტ. I). კონფერენციაზე განსახილველად გამოიტანეს ინდეპენდენტური „წინადადებათა პუნქტები“ და ლეველერული „არმიის საქმე“ და „სახალხო შეთანხმება“. ამ დოკუმენტების ფონზე გაიშალა მწვავე პოლიტიკური პოლემიკა ლეველერებსა და ინდეპენდენტებს შორის. ძირითადი დავა მიმდინარეობდა ორი პრობლემის—საარჩევნო სისტემის და მონარქიის ბედის ირგვლივ. პოლემიკამ ნათელყო პრინციპული განსხვავება ინდეპენდენტთა და ლეველერთა შორის.

კრომველი მიზნად ისახავდა, პირველ ყოვლისა, არ დაეშვა არმიის დაშლა, აღედგინა არმიის ერთიანობა, გრანდების ანუ ოფიცერთა ავტორიტეტი. ამასთან ერთად, მას სურდა ლეველერთა იზოლირება და მათი დემოკრატიული პროგრამის ანულირება. მის გეგმებში მონარქიის ხსნაც შედიოდა. ლეველერები კონფერენციაზე მებრძოლი გან-

წყობით მოვიდნენ, ისინი ითვალისწინებდნენ არმიისა და ხალხის მხარდაჭერას და წარმატების დიდი იმედი ჰქონდათ.

მთავარსარდალი ტომას ფერფაქსი ავადმყოფობის გამო კონფერენციას არ ესწრებოდა. მთავარსარდლის მოადგილის უფლებით არმიის საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობდა კრომველი. კონფერენცია დაიწყო 1647 წლის 28 ოქტომბერს და დამთავრდა იმავე წლის 11 ნოემბერს. კრომველი კონფერენციაზე კომპრომისულად იყო განწყობილი, იგი ლავირებისა და „თავისუფალი ხელების“ პოლიტიკას მიმართავს, მზადაა იმისათვის, რომ საჭირო შემთხვევაში ტაქტიკა შეცვალოს. შეურიგებელი და მკაცრი პოზიცია ეჭირა ჰენრი აირტონს, ზომიერი ინდეპენდენტების აღიარებულ თეორეტიკოსს. იგი მკვეთრად უპირისპირდება „სახალხო სუვერენიტეტის“, „სახალხო ხელისუფლების“, „ბუნებითი უფლებების“, საყოველთაო საარჩევნო უფლების ლეველერულ მოთხოვნებს. ყველა ამას იგი უპირისპირებს პრინციპს — „სამოქალაქო საზოგადოება“, რომელიც წარმოუდგენია როგორც მესაკუთრე მიწათმფლობელთა და ვაჭარ-მრეწველთა ერთობლიობა. მისი შეუკეველი რწმენით ლეველერთა პროგრამა საფრთხეს უქმნის „სამოქალაქო საზოგადოების“ საფუძველს — „საკუთრების ხელშეუხებლობას“ სახელმწიფოში, „მუდმივი ინტერესების მქონე“ კლასის, ანუ მესაკუთრეთა ინტერესებს და სხვ. აირტონი მთელი არსებით იცავდა ინგლისის „ტრადიციულ კონსტიტუციას“.

28 ოქტომბერს, კონფერენციის მუშაობის პირველ დღეს ლეველერებმა სასტიკად დაგმეს ინდეპენდენტთა მეფესთან შერიგების პოლიტიკა, ზედმეტი ლოიალობა პრესბიტერული პარლამენტისადმი. სექსბის თქმით, ამ შემთხვევაში ინდეპენდენტებმა მხარი შეუდგეს ამ „დამპალი ფიცრებისაგან“ აშენებულ სახლს. სექსბისავე განცხადებით, შეუძლებელია მეფესთან საერთო ენის გამონახვა. „მისი გულის მოგებისათვის არის ერთი გზა, ყველას გამოვჭრათ ყელი“. „თქვენდამი ნდობა და თქვენი რეპუტაცია საგრძნობლად შერყეულია“, — აღნიშნავდა სექსბი და მოუწოდებდა კრომველსა და აირტონს უარეყოთ ძველი პოზიციები, გაერთიანებულიყვნენ ლეველერებთან „ქვეყნის მდგომარეობის შემსუბუქებისათვის და ჩვენი ამხანაგების — ჯარისკაცების სულიერად დამშვიდებისათვის“. პირველ სხდომაზე ლეველერები მოითხოვდნენ მეფისა და ლორდების ხელისუფლების გაუქმებას და „სახალხო შეთანხმების“ გამოცხადებას ინგლისის კონსტიტუციის საფუძვლად.

აირტონმა (კატეგორიულად) და კრომველმა (შედარებით ზომიერ ფარგლებში) უარყვეს ლეველერთა პროექტები. აირტონი ლეველერებს, ამ შემთხვევაში აგიტატორებს, ბრალს სდებდა სეპარატიზმში. მათ შეაქვთ განხეთქილება არმიაში, მოქმედებენ, როგორც ცალკე

„პარტია, ან როგორც არმიის გენერალურ საბჭოსგან დამოუკიდებელი ორგანო... გამორიცხავენ სხვებთან შეთანხმების დათმობების გზით". აირტონისავე ღრმა რწმენით შეუძლებელია სახელმწიფოში ერთხელ მიღებულ ვალდებულებათა და დადგენილ პრინციპთა ხშირი შეცვლა, რაც საფუძველს ურყევს წესრიგს, სახელმწიფოს სტაბილურობას, კონსტიტუციას. ასეთი პრინციპებით შეიარაღებული ადამიანები „არავითარი კანონის წინაშე არ აღიარებენ თავს ვალდებულად თუკი ჩათვლიან, რომ მათი აზრით ეს კანონები მთლად კარგი არაა..." — ამბობდა აირტონი.

კონფერენციის თავმჯდომარეს — კრომველს, პირველ ყოვლისა, ვნებათა ღელვის დაოკება და მოწინააღმდეგეთა შერიგება სურდა. ამით აიხსნება მისი გამოსვლების შედარებით ზომიერი ფორმა. პირველ ყოვლისა, იგი აირტონთან და სხვებთან ერთად თავს იმართლებს ბრალდებებისაგან და მიუთითებს, რომ იგი მეფესთან ურთიერთობაში მოქმედებდა არმიის საბჭოს დავალებით. კრომველი და აირტონი კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ მათი მიზანი არასოდეს არ ყოფილა ჩარლზ I-ის აბსოლუტიზმის აღდგენა. კრომველი ირწმუნებოდა, რომ იგი არ იცავს რაიმე საკანონმდებლო ხელისუფლებას პარლამენტის გარეთ, რომ იგი და მისი მომხრეები სრულიადაც არ არიან შეკავშირებულნი რაღაც „საგანგებო წინაპირობებით", რომ მათთან მოლაპარაკება შეიძლება და სხვ.

კრომველი აირტონისგან განსხვავებით კატეგორიულად არ უარყოფდა ერთხელ მიღებულ ვალდებულებათა გადასინჯვის შესაძლებლობას, მაგრამ აცხადებდა, რომ „სახალხო შეთანხმებას" პირველად ხედავს, არ იცნობს მას და ამდენად მისი არსებითად განხილვის საშუალებას მოკლებულია (კრომველი დროის მოგებას ცდილობს). მას მიაჩნია, რომ განსახილველი დოკუმენტები ითვალისწინებენ ინგლისის „სახელმწიფოს თვით არსის შეცვლას". ამდენად, „გონივრული აწონ-დაწონისა და განსჯის" საფუძველზე აუცილებლად საჭიროა გავარკვიოთ ამ განახლების განხორციელების საშუალება და რაც მთავარია გავითვალისწინოთ „როგორ იქნება ამ ცვლილებების შედეგი". კრომველის ღრმა რწმენით მივიღებთ სავალალო შედეგებს: სრულ არეულობას — ანარქიას, რევოლუციის ძონაპოვართა დაღუპვას, სახელმწიფოს დაშლას და სხვ. კრომველის მიხედვით განახლების ლეველერული პროექტი „გამოიღებს მხოლოდ ერთ ნაყოფს — ერის დაღუპვას". კრომველის მიხედვით ინგლისი დაემსგავსება შვეიცარიას, სადაც კანტონებს შეუძლიათ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ერთმანეთის წინააღმდეგ ხელი აღმართონ. მას გატარებული ჰქონდა დაახლოებით ასეთი აზრი: მას არ სჯერა ის, რომ ღმერთმა მიიღო გადაწყვეტილება მეფისა და ლორდების განწირვის შესახებ, მაგრამ იგი სრულებითაც

არაა მზად დაიცვას სამეფო ხელისუფლება და ლორდთა პალატა, თუკი მათგან ხალხს რაიმე საფრთხე ელის. კრომველი იცავს კონსტიტუციის ინდეპენდენტთა პროექტს, თუმცა არ გამორიცხავს გარკვეულ კომპრომისს ლეველერულ პროექტთან.

ლეველერები (სქესბი, რენსბორო, უაილდმანი, პეტი, „კაცი ბედფორდშირიდან", ოდლი) კატეგორიულად აღიარებდნენ, რომ მცდარი და უსამართლო ვალდებულებანი უნდა შეიცვალოს. უაილდმანის თქმით, ასეთი „ვალდებულება, თუნდაც ფიცის ქვეშ მიღებული, ადამიანებს ვერ შეაკავშირებს". მისი აზრით, ადამიანი სრულებითაც არაა მოვალე დაემორჩილოს ასეთ ვალდებულებას, შეასრულოს იგი და „იტანჯოს მისი სიმძიმის ქვეშ". ლეველერები კატეგორიულად მოითხოვენ მეფისა და ლორდების ხელისუფლების გაუქმებას. „რაც შემეხება მე, — ამბობდა რენსბორო, — შეიძლება ითქვას, რომ ვარ მეფის წინააღმდეგი. მე ვარ წინააღმდეგი მისი და ყველა სხვა ხელისუფლებისა, რომელიც ხალხს დაუპირისპირდება და ავნებს". „კაცს ბედფორდშირიდან" მიაჩნია, რომ „მეფის დაბრუნება უფრო დიდ ზიანს მოიტანს, ვიდრე მთავრობის შეცვლა... „უაილდმანის მიხედვით მეფის უფლებებში აღდგუნა შექმნის ისეთ პირობებს, როცა იგი „შეძლებს ხალხის დაღუპვას".

ლაირტონი კამათის დაწყებისთანავე მკაცრად მიუთითებდა, რომ „არასოდეს არ დაუშვერს მხარს იმათ, ვინც ისწრაფვის პარლამენტისა და მეფის დაღუპვისაკენ". ამ პოზიციაზე იგი მტკიცედ იდგა. კამათი გამწვავდა, შეთანხმებისა და საერთო აზრის მიღების შესაძლებლობა არ ჩანდა. ლეველერები არმიის მოთხოვნას — გადაისინჯოს ძველი ვალდებულებანი, — სავსებით სამართლიანად მიიჩნევდნენ. დრო არ ითმენს, დაუყოვნებლივ მივიღოთ „სახალხო შეთანხმება" — ასეთი იყო ლეველერთა ერთსულოვანი აზრი. კაპიტანი ოდლი აფრთხილებდა კონფერენციის მონაწილეებს: „სანამ თქვენ ერთმანეთს დაარწმუნებთ, მოვა მეფე და განაცხადებს თუ ჩვენთაგანი პირველი ვინ უნდა ჩამოკიდონ".

დღის ბოლოს პოდპოლკოვნიკმა გოფმა ჩვეულებრივ პურიტანულ პირფერობას მიმართა და მოუწოდა კონფერენციის მონაწილეებს, მოვალი სხდომის წინ ჩაეტარებინათ საერთო ლოცვა, ღმერთისაგან გარკვეული რჩევისა და სანქციის მისაღებად. გოფის განცხადებით აქამდე ყველაფერი ღმერთის რჩევით ხორციელდებოდა. ღმერთმა „დაგმო ხორციელის ზედმეტი აღზევება, დაამხო მეფისა და მისი პარტიის ძლიერება, ანუ შეარყია სამეფოს უდიდესი საფუძველი, დაამხო სიტის პარტია (პრესბიტერელები)". ღმერთთან „კონსულტაცია" გადაწყდა მეორე დღეს, დილით კონფერენციის სხდომის დაწყებამდე. კრომველი დაეთანხმა ამ წინადადებას (ისევ დროის მოგების მიზნით).

ამასთანავე მან ლეველერთა იზოლირების თვალსაზრისით პირველსავე წარმატებას მიაღწია. მისი წინადადებით დადგინდა სადავო საკითხების გადაწყვეტა გადაუცემოდა 12 ოფიცრისაგან და 6 აგიტატორისაგან შემდგარ კომისიას. ამრიგად, „სახალხო შეთანხმების" განხორციელება მიენდო არა ხალხსა და არმიას, არამედ კომისიას, სადაც ოფიცრები ანუ გრანდები წარმოადგენდნენ უმრავლესობას.

როგორც ჩანს, ღმერთთან „კონსულტაციამ" სათანადო ნაყოფი ვერ გამოიღო. 29 ოქტომბერს წინააღმდეგობამ და დავამ ახალი ძალით იჩინა თავი. განსაკუთრებული დავის ობიექტი გახდა ლეველერული საარჩევნო ახალი სისტემა. ლეველერებმა განმარტეს, რომ „შეთანხმებაში" ჩაწერილი პუნქტი — თემთა პალატაში ადგილები უნდა განაწილდეს „მოსახლეობის რიცხვის მიხედვით" (იგულისხმება საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლება). პეტი ამბობდა: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ინგლისში თანასწორი ხმის უფლებით სარგებლობს ყველა მოქალაქე, რომელსაც სამოქალაქო უფლებები არ დაუკარგავს". პოლკოვნიკ რენსბოროს განმარტებით: მთავრობის ხელისუფლების ქვეშ მცხოვრებმა ყველა ადამიანმა, პირველ ყოლისა, უნდა გამოთქვას თავისი მზადყოფნა, დაემორჩილოს ამ მთავრობას. აქედან გამომდინარე, თვით უღარიბეს ინგლისელსაც აქვს უფლება არ დაემორჩილოს მთავრობას, რომლის შექმნაშიც მას უშუალოდ მონაწილეობა არ მიუღია. ყოველი ინგლისელი უნდა დაემორჩილოს ინგლისის კანონებს, სამაროლის წყაროს კი თვითონ ხალხი წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ხმის გარეშე ვისიმე დატოვება. ღვთის და ბუნებითი სამართლის საფუძველზე ინგლისში დაბადებულ ვერც ერთ ადამიანს ვერ წავართმევთ უფლებას აირჩიოს ის პირები, რომლებსაც კანონი ადგენს. უაილდმანის თქმით: ინგლისის ხალხი მონობაში იმყოფებოდა, ქვეყნად არსებული კანონები შედგენილი იყო დამპყრობლების მიერ (იგულისხმება 1066 წელს ინგლისის დაპყრობა ნორმანდიელების მიერ), ამჟამად მიმდინარეობს ბრძოლა თავისუფლებისათვის. ამის მისაღწევად კი საჭიროა, რომ როგორც ინგლისის გავლენიან პირს, ასევე განურჩევლად ყველას უნდა ჰქონდეს უფლება აირჩიოს წარმომადგენლები. უდავო ჭეშმარიტებად უნდა იქნეს აღიარებული ის, რომ ყველა მთავრობა იქმნება ხალხის თავისუფალი შეთანხმების გზით. აქედან გამომდინარე, არავინ არაა ვალდებული დაემორჩილოს მთავრობას, მიიჩნიოს იგი კანონიერად თუ ამ მთავრობისადმი თანხმობა პირადად არა აქვს მიცემული, უშუალო მონაწილეობა არ მიუღია მის არჩევაში. კაპიტანი ოდლი ამბობდა: ყოველ თავისუფალ ადამიანს აქვს ხმის უფლება თანახმად კანონისა — „რაც ყველას ეხება, ყველამვე უნდა განიხილოს (quod omnibus spectat, ab omnibus tractari debet)".

აირტონმა საყოველთაო ხმის უფლების შემოღებაში, პირველ ყოვლისა, დაინახა უდიდესი საფრთხე საკუთრებისათვის. მისი აზრით, ინგლისის მმართველობაში და კანონების შედგენაში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ ისეთ პირს, რომელსაც ინგლისში გააჩნია მუდმივი ინტერესი, სწორედ ასეთ პირთა ერთობლიობა ქმნის ინგლისის საზოგადოებას, მხოლოდ მათ აქვთ უფლება აირჩიონ წარმომადგენლები. ესენი არიან ადამიანები, რომელთაც ეკუთვნით მიწა და რომელთა ხელთაა ინგლისის ვაჭრობა და წარმოება. ამრიგად, ხმის უფლება მესაკუთრე ინგლისს უნდა ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ძირი გამოეთხრება საკუთრების უფლებას — ინგლისის კონსტიტუციის უძველეს და უმთავრეს საფუძველს. აირტონი მზადაა გაავრცელოს ხმის უფლების მქონეთა წრე მხოლოდ მესაკუთრეთა შორის. ქონებრივი ცენზის ზღვარად იგი მიიჩნევს წლიურ შემოსავალს— 40 შილინგის მოცულობით. მას ისევე უნდა შეეძლოს აირჩიოს, როგორც ინგლისელმა, რომელსაც აქვს შემოსავალი წელიწადში 10 000 გირვანქა სტერლინგი და მეტი. აირტონისა და სხვათა აზრით, ლეველერული საარჩევნო სისტემა გამოიწვევდა საყოველთაო ანარქიას და ინგლისის საზოგადოების დაშლას. პოლკოვნიკმა ნათანიელ რიჩმა კიდევ უფრო დააზუსტა აირტონის მოსაზრება. მან განაცხადა, რომ ჩვენს ქვეყანაში ერთზე ხუთია, რომელსაც მუდმივი ინტერესი (ანუ საკუთრება) არ გააჩნია. ზოგს ჰყავს 10 მსახური, ზოგს — 20, ზოგს — მეტი და ნაკლები. თუ მსახური და ბატონი არჩევნებში ერთნაირი უფლებით ისარგებლებენ, საკუთრებას მოკლებულნი აირჩევენ თავისსავე მსგავსებს, ისინი პარლამენტში უმრავლესობას მოიპოვებენ და კანონიერ საფუძველზე, კანონმდებლობით შეძლებენ საკუთრების გაუქმებას და ქონებრივი თანასწორობის შემოღებას. ამრიგად, რიჩის მიხედვით 4/5 მოსახლეობისა წაართმევს მოსახლეობის 1/5-ს ქონებას არა აჯანყებითა და იარაღით, არამედ მშვიდობიანი, კანონიერი გზით. ინდეპენდენტთა საერთო აზრით: კონსტიტუციის უპირველესი ამოცანაა უზრუნველყოს თავისუფლების, პიროვნებისა და საკუთრების ხელშეუხებლობა, მათ შორის, პირველ ყოვლისა, საკუთრებისა, რომელიც გონიერი საზოგადოების ქვაკუთხედია. ინდეპენდენტები საზოგადოებრივი წესრიგისა და სტაბილურობის ერთადერთ გარანტიას ცენზიან საარჩევნო სისტემაში ხედავდნენ. გამარჯვებული ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა ამით დემოკრატიულ ინგლისს გზას უხშობდნენ პოლიტიკური ხელისუფლებისაკენ, გარდაუვალ ბარიერს უქმნიდნენ მას. ბურჟუაზიამ კანონიერად ჩათვალა მის მიერ ფეოდალური საკუთრების გაძარცვა და მითვისება, ხოლო ბურჟუაზიულ საკუთრებაზე თუნდაც ოდნავი ხელყოფა საზოგადოებრივ ტრაგედიად გამოაცხადა. ინგლისის ხალხის ფართო ფენები, რომელთა

რევოლუციურმა აქტიურობამ განაპირობა ბურჟუაზიის გამარჯვება და რომლებსაც ბურჟუაზია ბევრ რამეს პირდებოდა, არსებითად ხელმოცარულად დატოვეს.

არც წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს — ლეველერებს აღმოაჩნდათ გამბედაობა ბოლომდე ებრძოლათ და ხალხისათვის კანონის წინაშე ფორმალური თანასწორობა მაინც მიეცათ. საკუთრების ხელშეუხებლობის ბურჟუაზიული პრინციპისადმი ერთგულებამ თითქმის გააქარწყლა ლეველერთა შეუპოვრობა.

ლეველერები საკუთრების უფლებას მხოლოდ პოლემიკური აჟიოტაჟის დროს ეხებოდნენ, მის საწინააღმდეგოდ მხოლოდ პათეტიკური ფრაზების წარმოთქმით კმაყოფილდებოდნენ. „ჩემი გული სიხარულით აღივსება, თუკი ღმერთი ინებებს მეფის, ლორდებისა და საკუთრების გაუქმებას, — ამბობდა პეტი და გულისტკივილით ადასტურებდა იმას, თუ „რაოდენ ძნელია შეთანხმების მიღწევა მდიდარსა და ღარიბს შორის". „რატომაა, რომ ერთნი ფლობენ საკუთრებას და მეორენი არა",—მიმართავდა რენსბორო აირტონს, ამასთანავე, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ შეუძლებელია „მოიპოვო თავისუფლება საკუთრების მოსპობის გარეშე". სექსბი და რენსბორო ლაპარაკობდნენ მოტყუებული ჯარისკაცების სახელით, რომელთაც შეპირდნენ თავისუფლებას, ფაქტიურად კი მდიდართა, მიწის მფლობელთა მონებად აქციეს.

ამ საქმით ლეველერები საკუთრების დაცვის საქმეში ინდეპენდენტებზე ნაკლებ დაინტერესებას როდი იჩენდნენ. ლეველერები ყოველნაირად ცდილობდნენ მოეხსნათ საკუთრების მოწინააღმდეგეთა სახელი. „საკუთრება არსებობს ღმერთის კანონით, — აცხადებდა იგივე რენსბორო. პეტი მიუთითებდა, რომ საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლება საკუთრებას საფრთხეს ოდნავადაც არ უქმნის. პირიქით, „იგი საკუთრების შენარჩუნების ერთადერთი საშუალებაა. ყოველი ადამიანი ბუნებრივად თავისუფალია და თუ ადამიანები მიეიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სჭირდებათ წარმომადგენლები, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მოსახლეობის დიდი რაოდენობა საშუალებას არ იძლევა ყველამ პირადად მისცეს ხმა. იმათ, ვისაც აირჩევენ, უნდა შეეძლოთ საკუთრების დაცვა".

საკუთრებისადმი ქედის მოხრით აიხსნება, პირველ ყოვლისა, ლეველერთა მიერ ინდეპენდენტებისადმი დიდი დათმობა. ლეველერებმა თითქმის წინააღმდეგობის გარეშე მიიღეს კრომველის წინადადება, ხმის უფლება არ მიეცათ მსახურთათვის და იმ ღარიბთათვის, რომლებიც დახმარებას ღებულობდნენ იმ საბაბით, რომ ხვის სუბსიდიაზე ან ჯამაგირზე მცხოვრებთ არ შეიძლება ჰქონდეთ დამოუკიდებელი პოლიტიკური „მე", ხმის უფლება აღეკვეცათ ქარგლებს,

შეგირდებს, შინამოსამსახურეებს და ღარიბებს, რომლებიც ქველმოქმედებით დახმარებაზე ცხოვრობდნენ (ანუ მშრომელი ინგლისის უდიდეს ნაწილს).

29 ოქტომბერს, სხდომის ბოლოს კვლავ წამოიჭრა მეფისა და ლორდების საკითხი. ინდეპენდენტები თავის პოზიციას არ ცვლიდნენ. თქვენ გსურთ მართოთ ინგლისი „ტირანის საშუალებით, რომელიც ჩაგრავდა ღვთის ხალხს", — ამბობდნენ ლეველერები. „ეს რესტავრაციაა", — ასე შეაფასა უაილდმანმა გრანდების პოზიცია.

კრომველის წინადადებით, სხდომის ბოლოს კამათის გაგრძელება საჭიროდ აღარ ჩათვალეს და საკითხის გადაწყვეტა მიანდეს კონფერენციის მიერ არჩეულ 18 კაცისაგან შემდგარ კომისიას („შემათანხმებელი კომისია"). ამ, ფაქტიურად ოფიცერთა კომისიას ევალებოდა „სახალხო შეთანხმების" კომპრომისული განხილვა დეკლარაციებთან და „წინადადებების პუნქტებთან" შედარებით და შეთანხმებით. კომიტეტმა 30 ოქტომბერს მიიღო 6 პუნქტისაგან შემდგარი დადგენილება, რომელიც ფაქტიურად იმეორებდა „წინადადების პუნქტებს" ოდნავი სახეშეცვლით. მეფე და ლორდები რჩებოდნენ, პარლამენტი უნდა მოეწვიათ ორი წლით, მისი დათხოვა ან საგანგებოდ მოწვევა საკუთარი თანხმობის გარეშე არ შეიძლებოდა, სესიიდან სესიამდე სახელმწიფოს მართავს სახელმწიფო საბჭო და სხვ. საარჩევნო საკითხში მიღებულ იქნა კომპრომისული გადაწყვეტილება, ამომრჩეველთა წრის განსაზღვრის უფლება ენიჭებოდა პარლამენტს, ხმის უფლება ენიჭება ყველა თავისუფლად შობილ ინგლისელს ან ინგლისის მოქალაქეობამიღებულ უცხოელს, რომლებიც იბრძოდნენ პარლამენტის მხარეზე (გათვალისწინებული იყო არმიის ინტერესი), როიალისტები და საერთოდ ყველა, ვინც სამოქალაქო ომის დროს პარლამენტს უპირისპირდებოდა, ხმის უფლების გარეშე დარჩა. პარლამენტში მოღვაწეობის უფლება აეკრძალათ (ორივე პალატის თანხმობის გარეშე) 1642 წლიდან დანიშნულ პერებს, დადგენილებაში ლაპარაკი იყო მხოლოდ პროპორციული წარმომადგენლობის შესახებ. სიტყვა არ იყო თქმული საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლების შესახებ და არც ქონებრივი ცენზი არ იყო ნახსენები.

1-ელ ნოემბერს არმიის საბჭოს სხდომა გაგრძელდა. კვლავ მწვავედ იდგა ინგლისის სახელმწიფო მმართველობის მომავლის საკითხი. ლეველერები კატეგორიულად მოითხოვენ სამეფო ხელისუფლების გაუქმებას, ანტიმონარქისტული შეურიგებელი განწყობა მთელს ინგლისში იგრძნობა. ხალხი დარწმუნებულია მონარქის ღალატში, ყველა გრძნობს ახალი სამოქალაქო ომის საფრთხეს. კაპიტან ალენის აზრით, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო მეფესა და ლორდებს ჩამოერთვათ "Veto"-ს უფლება. კაპიტანი კარტერი აცხადებს, რომ იგი ამიე-

რიდან მეფისათვის აღარ ილოცებს. კომისარი კაულინგი ინგლისის ხალხს მოუწოდებს იარაღით ხელში დაიცვას თავისი უფლებები, იხსნას თავი მონობისაგან; სექსბის თქმით: „ჩვენ გვსურს ვიხსნათ ბაბილონი (მონარქია), ბაბილონს კი ეს თავად არ უნდა, ჩვენ გვსურს ვიხსნათ ღმერთის მიერ დაღუპვისათვის განწირული ხელისუფლება“, გვსურს „გაბანვით, ძალად გავათეთროთ არაბი“. უაილდმანი მეფისა და ლორდებისათვის უზურპირებული ხელისუფლების ჩამორთმევასთან ერთად, მოითხოვს მათ დასჯას. მეფე და ლორდები მას „ტირანიის ერთი ხის ორ შტოდ მიაჩნია“. მომავალი ისტორიკოსები, — ამბობდა იგი, — „ჩვენს სახელს შეარცხვენენ, თუკი ჩვენ ესოდენ დიდი სისხლის ღვრის შემდეგ ვერ მივაღწევთ გრანდების მიერ შემოთავაზებულ კონსტიტუციაზე უკეთეს რამეს“. კაპიტან ბიშოპისათვის მეფე „სისხლიანი ტირანია“. ლეველერები ირწმუნებოდნენ, რომ ცენზიანი კონსტიტუცია მიგვიყვანს ოლიგარქიამდე, ახალ ტირანიამდე, რომელიც ძველზე გაცილებით უარესი იქნება. კრომველი, აირტონი, პოლკოვნიკი ტიჩბორო და სხვა გრანდები კვლავ გაბოდიან მეფისა და ლორდების დამცველთა როლში. ამასთან ერთად, ვითარების განმუხტვის მიზნით, მოითხოვენ ამ საკითხის გადაწყვეტა მიენდოს პარლამენტს, როგორც ერთადერთ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია შეცვალოს ძველი და მიიღოს ახალი კანონი.

2—8 ნოემბერს არმიის საბჭოს სხდომა გრძელდება. ამ სხდომათა მიმდინარეობა კლარკს არ ჩაუწერია და მის შესახებ ძალზე ცოტა ვიცით. ცნობილია, რომ არმიის საბჭოს პარალელურად საქმიანობს „შეთანხმებელი კომისია“. 2 ნოემბერს კომისიამ მიიღო დადგენილება პარლამენტის რწმუნებათა თაობაზე. დადგენილების თანახმად ახალი კანონების მიღება და ძველის უარყოფა შეუძლია მხოლოდ თემთა პალატას, გაიზარდა კომონერთა უფლებები (ხელშეუხებლობა, პირადი პასუხისმგებლობა, სამართალში მიცემა და სხვ.), თემთა პალატას მიენიჭა უზენაესი სასამართლოს უფლებები ყველა თანამდებობის პირის, მოსამართლის, კომონერის და სხვათა მიმართ. ეს უფლება არ ვრცელდება პერებზე. მათ ასამართლებს პერების სასამართლო. მეფეს ჩამოერთვა პარლამენტის მიერ მსჯავრდადებულის რაიმე შეწყალების უფლება. პარლამენტს უფლება არ ჰქონდა ჩარეულიყო რწმენის საქმეში, მოეთხოვა არმიაში იძულებული სამსახური, ცხადდებოდა სრული ამნისტია და სხვ.

ლეველერები კვლავ ცდილობენ განიმტკიცონ პოზიციები ხალხისა და არმიის მხარდაჭერით. ხალხმრავალ მიტინგებზე უაილდმანი და სხვა ლეველერები ქადაგებენ არმიისა და ხალხის ერთიანობას, გაერთიანებული ძალით მეფის — „დიდი დელიქვენტის“ გადაყენებას და სამართალში მიცემას. ვითარება დაიძაბა. 5 ნოემბერს არმიის საბჭოს

სხდომაზე, რომელსაც კრომველი არ ესწრებოდა, რენსბოროს წინადადებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მოეწყოთ სრულიად არმიის კრება. ლეველერებს სურდათ „სახალხო შეთანხმების“ ბედის გადაწყვეტა არმიისათვის მიენდოთ.

კრომველი და ინდეპენდენტები ორმხრივი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. აშკარად იგრძნობოდა როიალისტური საფრთხე, ლეველერებისადმი ხალხთა მასების მხარდაჭერა იზრდებოდა. 8 ნოემბრის სხდომაზე კრომველის კომპრომისული ტონი მკვეთრად შეიცვალა. იგი თავს ესხმის ლეველერებს, აგიტატორებს ბრალს დებს სახელმწიფოს ღალატში, არმიის გახრწნაში, „სახალხო შეთანხმებას“ იგი სრული ანარქიის მომასწავებლად მიიჩნევს, იცავს ჭონებრივ ცენზს და სხვ.

ოპოზიციის დეზორგანიზაციის მიზნით კრომველმა ბრძანა არმიის საერთო ყრილობამდე აგიტატორებისა და ოფიცრების დაუყოვნებლივ დაბრუნება თავიანთ ნაწილებში დისციპლინის აღსადგენად და ჯარისკაცთა „დასამშვიდებლად“. ამრიგად, 8 ნოემბერს (ზოგიერთი ცნობით 11 ნოემბერს) კრომველმა ფაქტიურად დაშალა არმიის საბჭო. საბჭოდან განდევნა რევოლუციური ელემენტი — ჯარისკაც-აგიტატორების (აგენტების) სახით. მასში მხოლოდ გრანდები — ოფიცრები დარჩნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოს სხდომების შეწყვეტასთან ერთად შეიქმნა ოფიცერთა კომისია მეფესთან მოსალაპარაკებლად.

საბჭოს მუშაობის შეწყვეტის შემდეგ აგიტატორებმა (აგენტებმა) სცადეს „არმიის საქმე“ და „სახალხო შეთანხმება“ უშუალოდ პარლამენტისათვის წარედგინათ. პარლამენტმა წყრომით აღნიშნა, რომ ორივე დოკუმენტი შეიცავს დამანგრეველ იდეალებს, ძირს უთხრის პარლამენტის პრივილეგიებს და სამეფოს ძირითად კონსტიტუციას. აგიტატორთა პეტიცია პარლამენტმა ტომას ფერფაქსს გადაუგზავნა და უბრძანა აღმოეჩინათ მისი ავტორები.

*

11 ნოემბერს ჩარლზ I-მა ფარულად დატოვა ჰემპტონ-კორტის სასახლე და კუნძულ უაიტზე გაიქცა. აშკარა იყო, რომ იგი ახალ ომს იწყებდა პარლამენტის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში კრომველი ყოველნაირად ცდილობდა არ დაეშვა რევოლუციური ბანაკისა და არმიის შემდგომი რღვევა.

ლეველერები მეფის გაქცევაში გრანდებს სდებდნენ ბრალს. მათი აგიტაცია არმიაში გრძელდება. ურთიერთობა გრანდებსა და ჯარისკაცებს შორის იძაბება. ჯარისკაცთა ძალების დაქსაქსვის მიზნით გრანდებმა გადაწყვიტეს ჯარისკაცთა ყრილობები მოეწვიათ ცალ-ცალკე, პოლკების მიხედვით. ასეთ პირობებში უფრო გაადვილდებო-

და პოლკებისაგან განსაკუთრებული ვალდებულების მიღება, რომელიც ითვალისწინებდა სარდლობისადმი უყოყმანო მორჩილებას. ჯარისკაცთა გულის მოგების მიზნით ინდეპენდენტებმა საჭიროდ ჩათვალეს სასწრაფოდ განეხორციელებინათ ზოგიერთი პოლიტიკური რეფორმა, მათ შორის: ხანგრძლივი პარლამენტის დათხოვა რაც შეიძლება მოკლე ხანში, საარჩევნო უფლების გაფართოება, დეპუტატთა პროპორციულობის დაცვა, ჯარისკაცებისათვის დაგვიანებული ჯამაგირის გადახდა, მათი ოჯახების პირობების გაუმჯობესება და სხვ.

15 ნოემბერს ჰერტფორდის საგრაფოში დაბა უერში დაინიშნა ჯარისკაცთა პირველი შეკრება. თავდაპირველად შეარჩიეს სარდლობის ერთგული შვიდი პოლკი. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, შეკრებაზე თვითნებურად, მთავარსარდლის — ფერფაქსის მოწვევის გარეშე მოვიდა კიდევ ორი ლეველერულად განწყობილი პოლკი (პოლკოვნიკ ტომას ჰარისონისა და ჯონ ლილბერნის ძმის რობერტ ლილბერნისა). მათ წინასწარ განდევნეს ყველა ოფიცერი. თვით ეს ფაქტი უკვე სამხედრო დისციპლინის დარღვევასა და ღალატს ნიშნავდა. ჯარისკაცებს ქუდებზე მიმაგრებული ჰქონდათ „სახალხო შეთანხმების“ ტექსტი, მკერდზე — ლოზუნგები „თავისუფლება ხალხს, უფლებები არმიას“. ამ შეკრებას ესწრებოდნენ ცნობილი ლეველერები: პოლკოვნიკი ტომას რენსბორო, პოლკოვნიკი უილიამ ეირსი, მაიორი ტომას სკოტი და სხვ. კრომველმა და ფერფაქსმა აშკარა საფრთხე იგრძნეს, მათთან მათი ერთგული ოფიცრები არავის უშვებდნენ. გზა გადაუღობეს პოლკოვნიკ რენსბოროსაც, რომელიც მთავარსარდლისაკენ გაემართა მისთვის „სახალხო შეთანხმების“ ტექსტის გადასაცემად.

მთავარსარდალმა და მისმა მოადგილემ ჩამოუარეს პოლკებს, მოითხოვეს მორჩილება, დისციპლინის დაცვა და სათანადო ვალდებულებების მიღება. ყველა, მათ შორის ჰარისონის პოლკიც, მორჩილი აღმოჩნდა. შფოთობდა მხოლოდ ლილბერნის პოლკი, რომელსაც ბალსტროდ უაიტლოკი მემუარებში მოიხსენიებს, როგორც „არმიაში ყველაზე უფრო მეამბოხე“ შენაერთს.

კრომველმა მათ უბრძანა მოეხსნათ „სახალხო შეთანხმების“ ტექსტი და დამორჩილებოდნენ წესრიგს. ჯარისკაცები უარზე იყვნენ. მაშინ ცხენზე ამხედრებული კრომველი დაშნით ხელში პირადად შეიჭრა ჯარისკაცთა რიგებში, იგი საკუთარი ხელით გლეჯდა „შეთანხმების ტექსტს“. ჯარისკაცებმა სარდლობის ერთგულ შენაერთთა წინააღმდეგობა შეწყვიტეს. 14 ლეველერი ადგილზევე დააპატიმრეს. სამ მათგანს სიკვდილი მიუსაჯეს. კენჭის ყრით ერთ-ერთი მათგანი, ჯარისკაცი რიჩარდ არნოლდი ჯარისკაცთა თვალწინ დახვრიტეს, არმიაში დაიწყო ლეველერთა წმენდა, ბევრი დაიპირეს მათ შორის

კაპიტანი ბრეი, მაიორი უაიტი), ბევრი არმიიდან დაითხოვეს. ერთი კაპრალი სიკვდილით დასაჯეს, 6 ჯარისკაცი გაროზგეს. სამოქალაქო პირებს აუკრძალეს არმიის საქმეებში ჩარევა.

19 ნოემბერს პარლამენტმა კრომველსა და ფერფაქსს ერთხმად გამოუცხადა მადლობა. წინააღმდეგი წავიდა მხოლოდ მემარცხენე ინდეპენდენტი, რესპუბლიკელი გენერალი ტომას ჰარისონი. პალატის წევრები, ლეველერები მაიორი სკოტი და პოლკოვნიკი რენსბორო სხდომას არ ესწრებოდნენ. მათ წინააღმდეგ კრომველი არ ილაშქრებდა. შექმნილ ვითარებაში იგი ლეველერებთან დაახლოების ყველა საშუალებას იყენებდა, მაგალითად, ინდეპენდენტებმა მხარი დაუჭირეს რენსბოროს ფლოტის ვიცე ადმირალად დანიშვნას.

25 ნოემბერს ფერფაქსმა მოიწვია არმიის ახალი საბჭო, ჯარისკაცთა წარმომადგენლების გარეშე. ეს იყო მხოლოდ ოფიცერთა საბჭო, რომელიც მთელი არმიის სახელით მოქმედებდა. იგი აღარ წარმოადგენდა რეეოლუციურ ორგანოს. ამიერიდან საბჭო იხილავდა მხოლოდ უშუალოდ სამხედრო საქმეებს, მოწოდებული იყო დაეცვა დისციპლინა.

დანარჩენი არმიის დათვალიერება-შეკრება ჩატარდა უინძორთან ახლოს კინგსტონში, ნორმალურ ვითარებაში. არმიაში დისციპლინის აღდგენის, გრანდებისა და ჯარისკაცების დამეგობრების ნიშნად უინძორში 22 დეკემბერს ჩატარდა სპეციალური წირვა-ლოცვა, რასაც მოჰყვა დიდი ბანკეტი, ხოლო 15 იანვარს არმიას ებრძანა განლაგებულიყო ინგლისის ქალაქებსა და საგრაფოებში საგარნიზონო სამსახურისათვის.

VII. მეორე სამოქალაქო ომი, მეფის სიკვდილით დასჯა

1. მეორე სამოქალაქო ომი (1648 წლის მაის-ივნისი)

1647 წლის დამლევისათვის ინგლისში ვითარება მკვეთრად დაიძაბა. პოლიტიკურ გართულებებს დაერთო ეკონომიკური სიძნელეები. 1646—1651 წლებში ინგლისში ეკონომიკა მძაფრ დეპრესიას განიცდის. თავი იჩინა პერმანენტულმა მოუსავლიანობამ. განსაკუთრებით მძიმე იყო 1648 წელი. ამაეე პერიოდში აღინიშნა მრეწველობისა და ვაჭრობის დიდი შეფერხება. მკვეთრად გაიზარდა ფასები სურსათზე. საგრძნობლად გაძვირდა ხორბალი, ქერი, შვრია, ხორცი, ცხიმეული და სხვ. ფასების უკმაყოფილება იზრდება, ხშირია მღელვარება, გამოსვლები. ხალხი მოითხოვს პირველი მოხმარების საგნებზე ფასების დაკლებას, საგადასახადო სისტემის გადასინჯვას, აქციზების გაუქმებას და სხვ. აღსანიშნავია, რომ 1647 წლის ზაფხულში ფერფაქსი წი-

ნადადებას აძლევს სამხედრო ხელისუფალთ ადგილებზე აღკვეთონ მღელვარებანი, ხელი შეუწყონ გადასახადებისა და აქციზების აკრეფას.

(კვლავ თავდასხმის ობიექტია პარლამენტი.) მრავალრიცხოვანი პამფლეტები ამხილებენ პარლამენტის წევრთა შორის გამეფებულ კორუფციას, მომხვეჭელობას, სახელმწიფო თანხების მითვისებას. ბოროტმოქმედებებს სეკვესტრებისა და დელიქვენტების ქონების გადანაწილების სფეროში. ერთ-ერთი პამფლეტი წინადადებას იძლევა ჩამოართვას პარლამენტის წევრებს მითვისებული რამდენიმე მილიონი, სახელმწიფოს ვალის დასაფარავად. ხალხის მოთხოვნათა სფერო ფართოვდება. ნორფოლკის მოსახლეობა მოითხოვს დელიქვენტებისათვის რაიმე თანამდებობის დაკავების აღკვეთას, მეათედების გაუქმებას, სასულიერო პირთათვის ხელფასის დანიშვნას (წლიურად 100 გირვანქა სტერლინგის ფარგლებში), სკოლებისა და უნივერსიტეტების წმენდას, სასამართლოების გამარტივებას და გაიაფებას, ფეოდალური ფიცის გაუქმებას, მიწის პირდაპირ, სრულ საკუთრებაში შეძენის უფლებას, გადასახადების გაუქმებას, არმიისათვის ხელფასის გადახდას დელიქვენტთა ხარჯზე და სხვ.

პარლამენტში პრესბიტერელები კვლავ დაჟინებით ცდილობენ მეფესთან შერიგებას ახალ, ადრე გაუთვალისწინებელ დათმობათა პირობებშიც კი. პრესბიტერთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც არ სურს რევოლუციის შემდგომი გაღრმავება, აშკარად კონტრრევოლუციურ პოზიციას იკავებს, რაც მთავარია მეფის დახმარებით სურს პრესბიტერულ პარლამენტს თავის გამოხსნა „არმიის და მისი ლიდერების ტყვეობიდან". ამას ხელს უწყობდა პარლამენტის ინდეპენდენტური ნაწილის მერყეობა და არათანმიმდევრული პოლიტიკა. სამეფო ხელისუფლებისადმი ქედის მოხრით იყო ნაკარნახევი თემთა პალატის მიერ 1647 წლის 6 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილებით, საკანონმდებლო ვეტოს მეფისეული უფლების ერთხელ კიდევ დადასტურება.

ჯერ კიდევ გრძელდებოდა წინააღმდეგობა ლეველერებსა და ინდეპენდენტებს შორის. უერის მარცხის შემდეგ ლეველერებს ფარხმალი არ დაუყრიათ. არმიის საქმეებში სამოქალაქო პირების ჩარევის აკრძალვის შემდეგ, მათ ძირითადად აქცენტი ხალხის ფართო მასებზე გადაიტანეს. 1647 წლის ნოემბრის დამლევს, ლილბერნი ავადმყოფობის გამო დროებით გამოუშვეს ციხიდან. მან უაილდმანთან ერთად ფართო საქმიანობა წამოიწყო. მათ შეადგინეს პეტიციის ახალი ტექსტი, რომელიც პოლიტიკურთან ერთად ბევრ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნასაც შეიცავდა (გადასახადების შემცირება, ღარიბთათვის დახმარება, ხელფასის გაზრდა მუშებისათვის და

სხვ). პეტიცია 13 000 ეგზემპლარად დაიბეჭდა. ლეველერებმა ახალი პეტიციისათვის ბრძოლას საერთო ინგლისური ხასიათი მისცეს. 17 იანვარს ლონდონში დიდი მიტინგი მოეწყო, სატყვებით გამოვიდნენ ლილბერნი, უაილდმანი. 19 იანვარს პარლამენტის ბრძანებით ლილბერნი და უაილდმანი დააპატიმრეს/ლილბერნი ტოუერში დააპრუნეს, უაილდმანი ფლიტის ციხეში გამოკეტეს/ციხეში ლილბერნი ახალ პამფლეტებს წერს („გამოწვევა ტირანებს“, „მათრახი არსებულ ლორდთა პალატისათვის“), სადაც დაგმობილია მეფის, ლორდების და პრესბიტერელების პოლიტიკა. გრძელდება თავდასხმა კრომველზეც,/ ამასთან, თავს იჩენს შემარიგებლური ტონიც, რაც აღნიშნულ ეტაპზე საერთო მტრის წინააღმდეგ რევოლუციური ძალების კონსოლიდაციის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი.

ასეთ ვითარებაში ჩარლზ I და კავალერები როიალისტურ-კონტრრევოლუციური გადატრიალების დიდი იმედებით აღივსნენ. პირველ ყოვლისა, მეფე მიზნად ისახავს გამოიყენოს წინააღმდეგობა პარლამენტს შიგნით./ოგი დარწმუნებულია, რომ პრესბიტერელები მთელი არსებით მის ბანაკში უნდა აღმოჩნდნენ, სხვა გზა მათ არა აქვთ — ასეთი იყო მეფის ღრმა რწმენა. მას იმედებით აღავსებს, ერთი მხრივ, წინააღმდეგობა პრესბიტერელებსა და ინდეპენდენტებს შორის, მეორე მხრივ, ინდეპენდენტებსა და ლეველერებს შორის/ოგი დიდი იმედის თვალით შეჰყურებს აგრეთვე კონფლიქტს პარლამენტსა და არმიას შორის, აგრეთვე წინააღმდეგობას არმიის შიგნით — გრანდებსა და ჯარისკაცებს შორის.

როიალისტები ცდილობენ თავის სასარგებლოდ გამოიყენონ ეკონომიკური სიძნელეებით გამოწვეული სახალხო უკმაყოფილება/ ომით, გადასახადებით, შიმშილითა და ავადმყოფობით განაწამები, კლასობრივ თვითშეგნებას მოკლებული ინგლისის/ფართო ფენების გარკვეული ნაწილი ადვილად ეგებოდა როიალისტური და კლერიკალური დემაგოგიური აგიტაციის ანკესზე./ მიუხედავად მკაცრი ცენზურისა, ინგლისელთა შორის ფართოდ ვრცელდებოდა როიალისტური ლიტერატურა. ასეთი ვითარება იყო არა მარტო ეკონომიკურად ჩამორჩენილ საგრაფოებში და პერიფერიულ პატრიარქალურ ქალაქებში, არამედ თვით ლონდონშიც კი. აღსანიშნავია, რომ მერყეევი ელემენტები არმიაშიც აღმოჩნდნენ, ოფიცერთა და ჯარისკაცთა გარკვეული ნაწილი როიალისტურად განეწყო. შიმშილს, მძიმე გადასახადებს, როიალისტურ-კლერიკალურ აგიტაციას ემატებოდა ეპოქისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი საგანგებო ფაქტორი, მაგალითად, პურიტანული წრესგადასული ფარისეველობა, პურიტანული რიგორიზმი. პროფ. ა. სავინს აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოყვანილი აქვს რამდენიმე საინტერესო ფაქტი. პირველი სამოქალაქო ომის დროს პარლამენტმა

აკრძალა ყოველგვარი თეატრალური სანახაობა (1648 წლის 1-ელ იანვრამდე). იანვარში რამდენიმე თეატრმა განაახლა მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ აკრძალვის ვადა გასული იყო, პარლამენტმა სასტიკად დასაჯა როგორც მსახიობები, ასევე მაყურებლები. თეატრის მოწყობილობები მოსპეს, მაყურებლები დააჯარიმეს, მსახიობები გაამათრახეს. ამ ფაქტს როიალისტური მანიფესტაცია მოჰყვა. პრესბიტერული პარლამენტის ბრძანებით აიკრძალა ინგლისის ხალხში პოპულარული საშობაო დღესასწაული, რასაც აგრეთვე მოჰყვა უკმაყოფილება, და როიალისტურ მანიფესტაციაში გადაიზარდა. ქ. კენტერბერში გამოსვლები მოეწყო, დუქნები დაკეტეს, ქალაქის პრესბიტერელ მერს თავი გაუტეხეს, გაისმოდა შეძახილები: „ძირს პარლამენტი, გაუმარჯოს მეფეს“. გამოსვლები ჩაახშეს ჯარის დახმარებით. მსგავსი გამოსვლები გაიმართა ქ. იპსიჩში. 27 მარტს მეფის კურთხევის დღეს ინგლისის მრავალ ქალაქში მოეწყო ილუმინაცია, სვამდნენ მეფის სადღეგრძელოს.

9 აპრილს ლონდონის როიალისტური გამოსვლების საბაბი გახდა ერთი შეხედვით შემთხვევითი ფაქტი. ეს იყო კვირა დღეს, ბავშვები ჩვეულებრივ ქუჩებში სათამაშოდ გამოეფინენ. პოლიციამ კვირა დღეს გართობების პურიტანული შეზღუდვის საბაბით ბავშვებს თამაში აუკრძალა და სახლებში შესვლა უბრძანა. ბავშვებს გამოექომაგნენ მოზრდილები, უკმაყოფილოთა რიცხვმა იმატა, გამოსვლებმა საშიში, როიალისტური ხასიათი მიიღო. დაიღვარა სისხლი, საქმეში ჩააბეს შეიარაღებული ძალები.

როიალისტებისადმი სახალხო მხარდაჭერა არ წარმოადგენდა ბუნებრივი სელექციის შედეგს და, როგორც წესი, შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს (1648 წლის ივნისი, კენტისა და ესექსის საზღვართან, ლონდონთან ახლოს მდინარე ტემზაზე) ტყვედ ჩავარდნილმა იომენებმა განაცხადეს, რომ მათ პარლამენტის წინააღმდეგ იარაღი ძალით ააღებინეს როიალისტმა ოფიცრებმა და აზნაურებმა, რომლებიც ქონებისა და სახლ-კარის დარბევით გვემუქრებოდნენო, იომენებთან ერთად როიალისტურ გამოსვლებში ქალაქის წარმომადგენლებსაც ვხედავთ. ლონდონის სიტის მესვეურთა პრესბიტერული უმრავლესობის განწყობილება ადვილად გასაგებია. ისინი არმიის, ინდეპენდენტებისა და ლეველერების სახით ხედავდნენ მოწინააღმდეგეს, მეფეს კი თავის და პრესბიტერული პარლამენტის კაცად მიიჩნევდნენ. რაც შეეხება როიალისტურ გამოსვლებში ქალაქის წვრილბურჟუაზიული და პლებეური ელემენტის მონაწილეობას, ყველა ხელსაყრელ მომენტში როიალიზმის ეს შემთხვევითი თანამგზავრები მასობრივად ტოვებდნენ ბრძოლის ველს და პარლამენტის მხარეზე გადადიოდნენ. მაგალითად, იმავე ტემზაზე გამართული

ბრძოლის დროს ბრძოლის ველი მასობრივად დატოვეს ლონდონელთა რაზმმა, იომენებმა და სხვ. მათ შორის იყო დაახლოებით 800-მდე ესექსელი გლეხი. აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც წესი, სამოქალაქო ომის მიმდინარეობის დროს, პარლამენტის არმიები სარგებლობდნენ ადგილობრივი სოფლის და ქალაქის მოსახლეობის საერთო მხარდაჭერით.

ერთადერთი რეალური საფრთხე, რომელიც მეფის მოწინააღმდეგეებს შეექმნათ, იყო კენტის სანაპიროებთან განლაგებული ფლოტის გადასვლა მეფის ბანაკში. მეზღვაურებს დიდი ხნის განმავლობაში ხელფასს არ აძლევდნენ. უკმაყოფილო მეზღვაურებში როიალისტთა აგიტაციამ სათანადო ნაყოფი გამოიღო. აჯანყების საბაბი გახდა ფლოტის სარდლის ბატენის გადაყენება. აჯანყებულებს ხელმძღვანელიც მოეძებნა — ჯერ ვიღაც თვითმარქვია, რომელმაც თავი უელსის პრინცად გამოაცხადა, მაგრამ მალე ჰოლანდიიდან მოვიდა და ფლოტს სათავეში ჩაუდგა ნამდვილი უელსის პრინცი. მას გვერდში ედგა პრინცი რუპერტი. პრესბიტერულმა პარლამენტმა ისარგებლა მომენტით, შექმნილ ვითარებაში ბრალი დასდო ფლოტის ვიცე-ადმირალ ლეველერ რენსბოროს და მის ადგილზე დანიშნა პრესბიტერელი პერი გრაფი რობერტ უოროკი. უელსის პრინცის ხელში ძლიერი ძალა იყო. როიალისტთა მხარეზე გადასული ფლოტის საერთო წყალწყვა 3690 ტონას უდრიდა. აქ იყო თავის დროისათვის უდიდესი ხომალდები: „კონსტენტ რეფორმეიშნ“, „კონვერტივი“, „მერცხალი“ და „ანტილოპა“.

უელსის პრინცი ინგლისის ხალხს დემაგოგიური დეკლარაციით შეპირდა გადასახადების, მათ შორის აქციზების გაუქმებას, ქვეშევრდომთა საკუთრების ხელშეუხებლობას და დაცვას, მოსახლეობაში ჯარის სადგომად ჩაყენების წესის გაუქმებას. პრინცმა ითავა აგრეთვე არმიის დაშლა და დათხოვა, რომლის შენახვა თურმე მძიმედ აწვევს ხალხს და მისი გაჭირვების ერთ-ერთ არსებით მიზეზს წარმოადგენს.

როგორც აღვნიშნეთ, როიალისტური განწყობა არმიასაც მოედო, პირველ ყოვლისა, უმაღლეს ოფიცრებს. ზოგიერთი არ მალავდა თავის განწყობას. ფერფაქსის პოლკში მაიორი უატი ჯარისკაცთა შორის როიალისტურ აგიტაციას ეწეოდა, აქაც აღმოჩნდნენ მეფის მომხრეები. მაგალითად, ფერფაქსის პოლკში როიალისტურად განწყობილი ოთხასამდე ჯარისკაცი აღმოჩნდა. ისინი ცდილობდნენ პოლკის განლაგების რაიონში (დუნსტებლი) მცხოვრებ გლეხთა გადმობირებას, პირდებოდნენ იარაღს და სხვ. ბრძოლა ძირითადად დარჩა რევოლუციის ერთგულ ძალად. ამჯერადაც ეგი მოგვეელინა როიალისტური კონტრრევოლუციის განადგურების უპირველეს ფაქტორად, რევოლუციის ერთადერთ მხსნელად.

ჯერ კიდევ ა. საინი აღნიშნავდა, რომ მეორე სამოქალაქო ომი ფაქტიურად წარმოადგენდა როიალისტთა ამბოხებას. საბჭოთა ისტორიოგრაფიამ (ბარგი, ლავროვსკი) უფრო ზუსტი განმარტება შემოგვთავაზა. მან მეორე სამოქალაქო ომი წარმოაჩინა ვითარცა კონტრრევოლუციური როიალისტური ამბოხება, რომელიც ეყრდნობა გარეშე ძალებს. ინგლისის როიალისტებს რეგულარული ჯარი არ ჰყავდათ, ისინი ეყრდნობოდნენ სახელდახელოდ შეიარაღებულ ინსურგენტებს, ძალით გადმობირებულ შემთხვევით პირებს და სხვ. როიალისტებს არ გააჩნდათ საკმარისი ფული, იარაღი, ტყვია-წამალი, სურსათი, ამუნიცია. როიალისტური ძალები მოქმედებდნენ გათიშულად და სსვ. ამიტომ ბუნებრივია, ძირითად იმედს მეფე და როიალისტები უცხო ძალებზე ამყარებდნენ. 30-წლიანი ომის დამთავრება ჩარლზ I-ს კონტინენტური ევროპის მონარქების დახმარების რეალურ იმედს აძლევდა. მეფე ელოდა დახმარებას საფრანგეთისაგან (მაზარინისაგან), ჰოლანდიისაგან (ორანელი პრინცი მისი სიძე იყო), მაგრამ ყველაზე რეალურ მოკავშირედ შოტლანდია ჩანდა.

სულ მალე, წერდა ჩარლზ I, „ორი ხალხი ერთმანეთს ომს დაუწყებს". იგი გულისხმობდა შოტლანდიელთა თავდასხმას ინგლისზე. 1637 წელს შოტლანდიელებმა ინგლისის მიმართ რევოლუციური მისია აღასრულეს. ხელი შეუწყვეს ჩარლზ I-ის ტირანიის დამხობას. ახლა ყველაფერი შეიცვალა, შოტლანდიელები ასრულებენ კონტრრევოლუციურ მისიას, სურთ აღადგინონ ჩარლზ I-ის აბსოლუტიზმი პრესბიტერული ეკლესიის ბატონობის პირობებში. კოვენანტის გაუქმებისა და პრესბიტერულ პარლამენტზე არმიისა და ინდეპენდენტების გაელენის გაძლიერების პირობებში, შოტლანდიელებმა ინგლისში მოპოვებული ყველა გაბატონებული პოზიცია დათმეს. ყველაფერთან ერთად გაუქმდა „ორთავე სამეფოს კომიტეტი". მისი ადგილი დაიკავა ინდეპენდენტურმა „უშიშროების კომიტეტმა" („დერბი ჰაუზის კომიტეტი"). შოტლანდიელები ყოველნაირად ცდილობდნენ ინგლისში დაკარგული პოზიციების აღდგენას. ამ შემთხვევაში მეფესა და შოტლანდიელებს საერთო შეხების წერტილი აღმოაჩნდათ.

მეფესა და შოტლანდიელებს შორის მიმდინარეობდა ღრმად საიდუმლო მოლაპარაკება, რომელიც ჰემპტონ-კორტში დაიწყო და უაიტზე გაგრძელდა. შოტლანდიას წარმოადგენდნენ ჯერ კიდევ ინგლისში მყოფი შოტლანდიელი კომისრები. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჰერცოგი ჯონ მეტლენდ ლოდერდეილი (შემდგომში ჩარლზ II-ის მინისტრი), გრაფი ჯონ კემპბელ ლოუდონი, ჰერცოგი უაილიამ ჰამილტონ ლანარკი და სხვ. 1647 წლის დეკემბერში შოტლანდიელები, ლოდერდეილის მეთაურობით მეფეს კუნძულ უაილტზე ეწვივნენ მოლაპარაკების გასაგრძელებლად. თავის დროს პარლამენტმა მეფე

შოტლანდიელებისაგან ფულით იყიდა, ამჯერად მეფე, რომელსაც ფული არ გააჩნია, ცდილობს შოტლანდიელები მოისყიდოს სარფიანი დაპირებებით: იგი მათთვის ითვალისწინებდა თანამდებობებს მომავალ სამეფო მთავრობაში, მამულებს და სხვა პრივილეგიებს. რაც მთავარია, მეფე თანახმა იყო ინგლისში სამი წლის ვადით აღედგინა შოტლანდიური ყაიდის პრესბიტერული ეკლესია, შემდეგ კი მისი ბედი ერთობლივად, ურთიერთშეთანხმების გზით უნდა გადაეწყვიტათ. მეფე ვალდებულებას იღებდა აღმოეფხვრა ერესის ბუდე ყოველგვარი სექტების ლიკვიდაციის გზით. ამრიგად, მეფე ყიდდა არა მარტო რევოლუციურ, არამედ ეროვნულ ინტერესებსაც. შოტლანდიელთა იარაღით აღდგენილი აბსოლუტიზმი შოტლანდიასავე დაუმორჩილებდა ინგლისის ხალხს. კრომველმა შესანიშნავად გაიაზრა ამ გარიგების არსი: ეს იყო „ყველა ღალატთა შორის უდიდესი ღალატი, — ამბობდა იგი, — ადრე (პირველი სამოქალაქო ომი — გ. კ.) ბრძოლა მიმდინარეობდა იმის გასარკვევად თუ ინგლისელთაგან ვინ იბატონებს. ამჯერად ბრძოლა წარმოებს სხვა ერისადმი ჩვენს დასამორჩილებლად". კრომველს მეორე სამოქალაქო ომი უფრო უსამართლოდ მიაჩნდა, ვიდრე პირველი.

შოტლანდიელებთან ერთად მეფე დიდ იმედებს ამყარებდა ირლანდიელ მონარქისტებზე, კერძოდ, მარკიზ ორმონდზე, რომელმაც პარლამენტისთვის დუბლინის ჩაბარების შემდეგ, მეფეს მიაშურა და საკუთარი დაშნა შესთავაზა.

ყოველ დილით, სასეირნოდ გამოსული მეფე ზღვას გასცქეროდა. აქედან ელოდა იგი კიდევ ერთ დამხმარე ძალას — ჰოლანდიის ფლოტს ვან ტრომპის სარდლობით. მაგრამ პარლამენტის ფლოტმა ვიცე ადმირალ რენსბოროს სარდლობით კუნძულის ყველა მისადგომი საიმედოდ გადაკეტა. გამიზნული იყო საფრანგეთში გაქცევაც: ეს გადაწყვეტილება მეფეს მიაღებინეს მისმა უახლოესმა მრჩევლებმა ჯონ ეშბერნჰემმა და ჯონ ბელკლიმ, რომლებიც საფრანგეთში გადახვეწილ დედოფალს ჰენრიეტა-მარიის ეახლნენ და დაბრუნდნენ საფრანგეთის დახმარებაში დარწმუნებულნი. მრჩეველე მონაწილეობდა მეფის ჰემპტონ-კორტიდან გაქცევაში და ამჯერად მასთან ერთად იმყოფებოდნენ კუნძულ უაიტზე. საფრანგეთში გაქცევის შესაძლებლობაც გამოირიცხა. მეფემ მოსინჯა აგრეთვე არმიის ლიდერებთან უშუალო მოლაპარაკებაც. ფერფაქსმა უარი განაცხადა. კრომველმა მეფის მოციქულს ბერკლის განუცხადა, რომ სრულებითაც არ სურს მეფის დაღუპვა.

კუნძულის კომენდანტი პოლკოვნიკი რობერტ ჰამონდი, მეფის პირადი კაპელანის ძმისწული, როიალიზმისადმი გარკვეულ ლოიალობას იჩენდა. სწორედ ამის იმედით იქნა არჩეული გაქცევის ადგილად

კუნძული უაიტი. მაგრამ ჰამონდმა, რომელიც ამასთანავე კრომველის ნათესავი იყო, არ უღალატა სამსახურებრივ მოვალეობას, მეფე დიდი მოწიწებით მიიღო, როგორც საპატიო ტყვე და მკაცრი იზოლაცია შეუქმნა. განუხორციელებელი დარჩა კუნძულიდან მეფის გატაცების როიალისტთა რამდენიმე ცდა. ერთადერთი, რაც როიალისტებმა მოახერხეს, იყო პოლკოვნიკ ბამფილდის მიერ უმცროსი მეფისწულის იორკის ჰერცოგის გატაცება. მეორე სამოქალაქო ომი, უფრო ზუსტად როიალისტთა ამბოხება, 1648 წელს მიმდინარეობდა მეფის უშუალო მონაწილეობის გარეშე, იგი გამოკეტილი იყო კუნძულ უაიტზე.

დეკემბრის დამლევს მეფეს კუნძულზე ეახლა პარლამენტის დელეგაცია „ოთხი ბილის“ სახელით ცნობილი ახალი წინადადებებით (იგი შეიმუშავა ლორდთა პალატის მიერ გამოყოფილმა კომისიამ 1647 წლის 25 ოქტომბერს). მეფეს 20 წლის ვადით უნდა ჩამორთმეოდა არმიის ხელმძღვანელის უფლება, ხოლო შემდეგ კი მას არმიაზე ხელმძღვანელობა უნდა განეხორციელებინა პარლამენტთან შეთანხმებით. მეფეს უნდა უარეყო მის მიერ შემუშავებული პარლამენტის საწინააღმდეგო ყველა განცხადება. პარლამენტს უფლება ჰქონდა გარდა ლონდონისა სხდომები გაემართა სასურველ ქალაქში (როგორც ჩანს ეს პუნქტი ინდეპენდენტების მიერ იყო ნაკარნახევი. დემოკრატიული ინგლისი და არმია ნაკლებად ენდობოდნენ პრესბიტერულ ლონდონს). 27 დეკემბერს ჩარლზ I-მა უარყო პარლამენტის წინადადებანი. მეორე დღეს მან ხელი მოაწერა ფარულ შეთანხმებას შოტლანდიასთან — ე. წ. „ვალდებულებებს“ (Engogement). ხელშეკრულებას მკაცრად საიდუმლო ხასიათი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ინდეპენდენტებმა, არმიამ და ხალხმა აშკარად იგრძნო შოტლანდიელთა ჩრდილოეთიდან შემოჭრის საფრთხე. მეფის ვერაგული ზრახვები ნათელი გახდა, როცა კრომველსა და აირტონს ხელთ ჩაუვარდათ მეფის კერძო წერილი, სადაც შოტლანდიელთა დახმარებაზე იყო ლაპარაკი.

მალე ინგლისისათვის ცნობილი გახდა შოტლანდიაში ფართო მასშტაბის სამხედრო სამზადისის ფაქტი. შოტლანდიელმა როიალისტებმა ჰერცოგ ჯეიმზ ჰამილტონის მეთაურობით დასძლიეს ზომიერი პრესბიტერული ჯგუფის (მარკიზ არჩიბალდ კემპბელ არგაილის ხელმძღვანელობით) ოპოზიცია და ინტერვენციისათვის მზადებას შეუდგნენ. შოტლანდიელებს განზრახული ჰქონდათ შეექმნათ 45 000 არმია (30 000 ქვეითი, 10 000 კავალერისტი, 5 000 დრაგუნი). ედინბურგში თავს იყრიდნენ აგრეთვე ინგლისელი როიალისტები, რომლებიც შოტლანდიის არმიის შემადგენლობაში ეწერებოდნენ. მართალია შოტლანდიელებმა გაწვევის გეგმა მხოლოდ სანახევროდ შეასრულეს მაგრამ ინგლისში შემოჭრილი მათი არმია თითქმის ორჯერ აღემატებოდა მის წინააღმდეგ წარგზავნილ ინგლისელთა არმიას.

ჩარლზ I-ის მიერ „ოთხი ბილის“ უარყოფამ თემთა პალატაში მწვავე კამათი გამოიწვია. მიუხედავად მეფის პასუხის მკვახე, გამომწვევი ტონისა, პრესბიტერელთა დიდი ნაწილი მეფესთან მოლაპარაკების გაგრძელებას კვლავ შესაძლებლად მიიჩნევდა. ინდეპენდენტებმა კი არსებითად შეცვალეს მეფესთან ურთიერთობის პოლიტიკა. კრომველმა და აირტონმა ამიერიდან მეფესთან ყოველგვარი კონტაქტი უაზრობად მიიჩნიეს. ისინი საბოლოოდ დარწმუნდნენ იმაში, რომ ჩარლზ I-ის ნდობა და მასთან საერთო ენის გამონახვა შეუძლებელია. ასევე ფიქრობდა ინდეპენდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა. ინდეპენდენტებს არ შეეძლოთ ანგარიში არ გაეწიათ იმ უკიდურესი ანტიმონარქისტული განწყობისათვის, რომელიც სუფევდა ხალხსა და არმიაში, ყურად არ ეღოთ ლეველერთა გავლენის დიდი ზრდა. ყოველივე ამას ინდეპენდენტებს კარნახობდა რევოლუციის გადარჩენის აუცილებლობის რეალური შეგნება. „ქვეყანაში უნდა დავამყაროთ იმეთი წესწყობილება, რომელიც გამორიცხავს მეფესთან ურთიერთობას“, — განაცხადა კრომველმა.

იყო თუ არა კრომველის ეს ახალი მეტამორფოზი კიდევ ერთი დადასტურება მისი პოლიტიკური უპრინციპობისა, ავანტიურიზმისა. სომ არ უნდა დავინახოთ კრომველის სახით, მსგავსად ჩარლზ ფერსისა, „სასაცილო კომივოიაჟორი და პურიტანული დონ-კიხოტი“? არავითარ შემთხვევაში!

ამჯერადაც ჩვენს წინაშეა კრომველისეული „პოლიტიკური რეალიზმის“ ახალი გამოვლენა. კრომველი მუდამ მოქმედებდა პრინციპით: „საზოგადოებისათვის საჭიროა გაკეთდეს არა ის, რაც მას მოსწონს, არამედ ის, რაც მისთვის სასარგებლოა“. ამ ეტაპზე მას „სასარგებლოდ“ მიაჩნდა ლეველერებთან, ხალხთან, არმიასთან კავშირი, რადგან ნათლად აქვს გააზრებული ის, რომ ამ კავშირის გარეშე შეუძლებელია რევოლუციის ხსნა. ამ კავშირის მიღწევის უპირველეს საწინდარს კი მეფესთან კავშირის გაწყვეტა წარმოადგენდა. „დადგა ჟამი პარლამენტის მიერ სამეფოს გადარჩენისა და მისი ერთპიროვნული მმართველობისა“, — ასეთი იყო კრომველის ამჟამინდელი აზრი.

ხანგრძლივი და მწვავე კამათის შემდეგ, 1648 წლის 17 იანვარს პარლამენტის ორივე პალატამ 141 ხმით (92 წინააღმდეგი) დაამტკიცა ვოტუმი „მატყუარა მეფესთან“ ყოველგვარი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. ამ კანონის დარღვევა ისჯებოდა როგორც სახელმწიფოს ღალატი. პარლამენტის ამ გადაწყვეტილებამ ინგლისის ხალხში და არმიაში ფართო აღიარება პოვა.

1648 წლის 29 აპრილს უინძორში გაიმართა არმიის ოფიცერთა შეკრება. აქ მიღებულ იქნა ისტორიული გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებდა: „ჩარლზ სტიუარტმა, სისხლში გასვრილმა ადამიან-

მა, პასუხი უნდა აგოს მის მიერ დაღვრილი სისხლისათვის, ღმერთისა და ამ უბედური ქვეყნის ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულისათვის". ამით დადასტურდა ინდეპენდენტებისა და ლეველერების, გრანდებისა და ჯარისკაცების შერიგებისა და შეკავშირების (ცხადია დროებით) მნიშვნელოვანი ფაქტი. ჯონ ლილბერნმა წერილობით დაადასტურა ამ შეთანხმების სიკეთე.

ერთიანობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საერთო მტერზე მოპოვებული სწრაფი და დამაჯერებელი გამარჯვებისათვის, მონარქიის ბედის საბოლოო გადაწყვეტისათვის. ამიერიდან კრომველი მეფის შეურიგებელი მოწინააღმდეგეა, მისი განადგურებისათვის იგი საყრდენს ეძებს ხალხის ფართო მასაში, მჭიდრო კავშირში რევოლუციურ არმიასთან, ლეველერებთან. ტ. ა. პაელოვას თქმით, იგი „ლეველერების ენითაც კი ალაპარაკდა". თავის რწმენაში, რომ ხელისუფლება ღმერთისაგან მოდის, მას შეაქვს შესწორება და აღიარებს, რომ „ესა თუ ის სახე ხელისუფლებისა, არის ადამიანის ხელის შემონაქმედი", რომ „ადამიანებსავე აქვთ უფლება განსაზღვრონ მისი მოქმედების საზღვრები", რომ „ხელისუფლებას როდი აქვს უფლება აკეთოს ის, რაც მოესურვება", რომ „მორჩილება ყოველთვის როდია სავალდებულო" და სხვ. კრომველმა აღნიშნულ ეტაპზე აღიარა ლეველერული პრინციპი „ადამიანთა კეთილდღეობა — უმაღლესი მიზანი". იგი აღიარებს, რომ ხალხის ინტერესების დაცვისა და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარეშე რევოლუციას ელის ფიასკო.

პარლამენტის სკიპერს პრესტონს კრომველი შთააგონებს ხალხისადმი სიყვარულს: „დაივიწყეთ სიძულვილი ღვთის ხალხისადმი, ღმერთის თვალის ჩინისადმი. თვით მეფესაც კი დაამხობს იგი მისი გულისათვის". კრომველისათვის ამიერიდან არმია არის „ის კანონიერი ხელისუფლება, რომელსაც ღმერთმა მოუწოდა დაპირისპირებოდა მეფეს ჩვენი მოთხოვნების დასაცავად".

დამაჯერებლად განსაზღვრა ლეველერთა და ინდეპენდენტთა კავშირის არსი მ. ა. ბარგმა. იგი თვლის, რომ კავშირი იყო კრომველისეული „პოლიტიკური რეალიზმით" გაპირობებული დროებითი ტაქტიკური ნაბიჯი, იმის ღრმა რწმენა, რომ ამ კავშირის გარეშე, ანუ ხალხის ქვედა ფენების მხარდაჭერის გარეშე, ახალ სამოქალაქო ომში გრანდები მეიმე მარცხის წინაშე აღმოჩნდებოდნენ. ლეველერების მხრივ კი ეს კავშირი მოასწავებდა დამოუკიდებლობის დაკარგვას, თავიანთ პრინციპული პოზიციებიდან დახევას. ამის საუკეთესო დადასტურებაა „სახალხო შეთანხმების" II, III და IV ვარიანტები და ლეველერთა მთელი მოღვაწეობა 1648 წლიდან მოძრაობის ლიკვიდაციამდე.

მეფის გაქცევა არ მოხერხდა. რევოლუციური ძალების გაერთიანება კონტრრევოლუციას კარგს არაფერს უქადდა. როიალისტურმა შეთქმულებამ აქტიური მოქმედების დაჩქარება სცნო საჭიროდ. როიალისტური გამოსვლები თითქმის ერთდროულად რამდენიმე რაიონში დაიწყო. მეფის შტანდარტი პირველად სამხრეთ უელსში აღმართეს 1648 წლის თებერვალში. პემბროკის ციხე-სიმაგრის კომენდანტმა, პოლკოვნიკმა ჯონ პოიერმა, ქალაქში არ შემოუშვა ფერფაქსის მიერ მის შესაცვლელად გამოგზავნილი პარლამენტის არმიის პოლკოვნიკი ქრისტეფორ ფლემინგი. პოიერს შეუერთდა აგრეთვე პოლკოვნიკ ლოგჰანსის რაზმი. აჯანყებულებმა ციხე-სიმაგრეზე მეფის დროშები გამოკიდეს, ჩაახშეს პემბროკის მოსახლეობის წინააღმდეგობა. სძლიეს ფლემინგის რაზმს, თვით პოლკოვნიკი მოკლეს. პარლამენტმა პოიერის წინააღმდეგ გაგზავნა ქვეითი და საზღვაო შენაერთები პოლკოვნიკ ტომას ჰორტონის სარდლობით.

1648 წლის მაისში აჯანყდა კენტი. როიალისტებმა ხელთ იგდეს ქალაქები: სენდვიჩი, კენტერბერი, დუვრი, როჩესტერი. კენტთან ერთად როიალისტური გამოსვლები დაიწყო ესექსშიც. კენტისა და ესექსის როიალისტებს გეგმაში ჰქონდათ ერთობლივი გალაშქრება ლონდონზე. მეამბოხეებმა ხელთ იგდეს დიდძალი შეიარაღება და სამხედრო მარაგი. კენტის მეამბოხეთა ბელადებმა ტომას პეიტონმა და ედუარდ ტენსტოლ ჰეილსმა სცადეს კავშირის დამყარება ლონდონელ როიალისტებთან, რომლებმაც 9-10 აპრილს დედაქალაქში საკმაოდ სერიოზული გამოსვლები მოაწყეს. ინსურგენტები დიდ იმედებს ამყარებდნენ ლონდონის მუნიციპალიტეტზე, რომელიც როიალისტურად იყო განწყობილი და ამას არც ფარავდა. მაგალითად, 23 მაისს მუნიციპალიტეტმა პარლამენტში სპეციალური მიმართვა გაგზავნა, სადაც მეფისა და ლორდების ხელისუფლების შენარჩუნებისა და დაცკის მოთხოვნა იყო ფიქსირებული. მუნიციპალიტეტის ამ მოთხოვნას დაუყოვნებლივ დაუჭირეს მხარი ლორდებმა.

ყველაზე დიდი საფრთხე რევოლუციურ ინგლისს ემუქრებოდა ჩრდილოეთიდან — შოტლანდიელთა სახით. შოტლანდიის გენერალური ასამბლეის უმრავლესობამ ცნო 28 დეკემბრის შეთანხმება და მხარი დაუჭირა ჰამილტონს. მისი მითითებით შოტლანდიამ პარლამენტს მიმართა ულტიმატური ხასიათის წერილით; შოტლანდიელები მოითხოვდნენ სექტანტების, პირველ ყოვლისა, ინდეპენდენტების აღკვეცას, კოვენანტის საყოველთაო აღიარებას, მეფის უფლებებში აღდგენას, პარლამენტიდან გაძევებული კომონერების დაბრუნებას, არმიის დაშლას. უნდა დარჩენილიყო არმიის მხოლოდ მცირე ნაწილი საგარნიზონო სამსახურისათვის იმ პირობით, რომ ოფიცერთა შე-

მადგენლობა დაკომპლექტებული იქნებოდა მხოლოდ კოვენანტის ერთგული პრესბიტერული ოფიცრობით.

თემთა პალატა მზად იყო დაეწყო მოლაპარაკება მეფესთან შოტლანდიელების მონაწილეობით. ამავე დროს ინდეპენდენტების, ლეველერების და არმიის მოთხოვნის საფუძველზე პარლამენტმა გასცა განკარგულება ჩრდილოეთ საზღვრების გამაგრების შესახებ. 2 მაისს ლონდონში მოვიდა წერილი, რომლითაც ცნობილი გახდა შოტლანდიელების რამდენიმე რაზმის მიერ ინგლისის საზღვრების გადმოლახვა და ქალაქების — ბერვიკისა და კარლაილის დაკავება. 8 ივლისს ინგლისში შეიჭრა შოტლანდიელთა დაახლოებით 25-ათასიანი არმია, რომელსაც სათავეში ედგა ჰერცოგი ჰამილტონი. მის რიგებში იყო 3 000 ინგლისელი როიალისტი ლანგდეილის ხელმძღვანელობით და დაახლოებით ამდენივე ირლანდიელი როიალისტი ირლანდიელი გენერალ ჯორჯ მონროს სარდლობით. შოტლანდიელების რიგებში მრავალი ინგლისელი ოფიცერი იყო. ინგლისის არმიის ჩრდილოეთში განლაგებული შენაერთები გენერალ ჯონ ლამბერტის მეთაურობით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა.

დასავლეთში — უელსში როიალისტური ამბოხების ჩასახშობად ოლივერ კრომველი გაიგზავნა. მის განკარგულებაში იყო ქვეითთა სამი და კავალერიის ორი პოლკი. კრომველმა ხელთ იგდო ორი ციხე-სიმაგრე და 24 მაისს ალყა შემოარტყა მეამბოხეთა მთავარ ციტადელს — პემბროკს. ალყა 6 კვირას გაგრძელდა. პოლკოვნიკმა ტომას ჰორტონმა 31 მაისს აიღო ციხე-სიმაგრე ტენბი, შემდეგ კი კრომველის დასახმარებლად გაემართა. 4 ივლისს კრომველმა მიიღო მძიმე, საალყო არტილერია. 11 ივლისს პემბროკი დაეცა. გამარჯვებულებმა ჯარისკაცებს იარაღი აჰყარეს და სახლებში გაუშვეს. ოფიცრებს ებრძანათ ქვეყნის დატოვება, პოლკოვნიკი პოიერი და მეამბოხეთა სხვა თავკაცები დააპატიმრეს. მოგვიანებით, 9 თვის შემდეგ პოიერი სიკვდილით დაისაჯა, როგორც მოღალატე. პემბროკის აღების შემდეგ კრომველი ფორსირებული მარშით შოტლანდიისკენ გაემართა.

სამხრეთ აღმოსავლეთში, კერძოდ, კენტში ვითარება უფრო რთული იყო. როიალისტთა ლიდერები, მათ შორის უკვე პირველ სამოქალაქო ომში ცნობილი გრაფი ჯორჯ გორინგი, გრაფი ნორიჩი და გრაფი ჰერნი ჰოლანდი (სამივე დედოფლისა და უელსის პრინცის კანდიდატურა იყო) ცდილობდნენ შეერთებოდნენ ესექსელ როიალისტებს და გაერთიანებული ძალებით თავს დასხმოდნენ ლონდონს. მათთვის დახმარების გაწევა შეეძლო უელსის პრინცის განკარგულებაში ბუოფ აჯანყებულ ფლოტს. კენტისა და ესექსის ინსურგენტების წინააღმდეგ მოქმედებდნენ ფერფაქსი და აირტონი, მათ განკარგულებაში იყო 7

პოლკი. 1-ელ ივნისს ფერფაქსმა აიღო ქ. მედსტონი, შემდეგ როჩესტერი. 6 ივნისს პოლკოვნიკმა რიჩმა აიღო დუვრი. 8 ივლისს აირტონმა დაიკავა ქ. კენტერბერი. გორინგს სურდა ესექსში გაჭრა და აჯანყებულ როიალისტებთან ერთად ლონდონზე გალაშქრება. ამის საშუალება მას არ მისცა პოლკოვნიკმა ედუარდ უოლმ, რომელიც მას ფეხდაფეხ მისდევდა. როიალისტებმა მაინც შეძლეს ესექსში შეჭრა. მათ 12 ივლისს ხელთ იგდეს ციხე-სიმაგრე კოლჩესტერი, რომელიც საგულდაგულოდ გაამაგრეს. ფერფაქსმა კოლჩესტერს ალყა შემოარტყა და აიღო იგი ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ. ინსურგენტები მკაცრად დაისაჯნენ. საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით აღგილზევე სიკვდილით დასაჯეს როიალისტთა ლიდერები სერ ჯორჯ ლისლი და სერ ჩარლზ ლუკასი.

რჩებოდა ომის მესამე — ყველაზე უფრო საშიში კერა ჩრდილოეთ ინგლისში. ლანკაშირში შემოჭრილი მხედართმთავრულ ნიჭს მოკლებული ჰერცოგი ჰამილტონი სათანადო ინიციატივას ვერ იჩენდა. იორკშირში განლაგებულ გენერალ ჯორჯ ლამბერტს მცირე ძალებით სათანადო წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, „ახალი არმიის“ ძირითადი ძალები დასავლეთში და სამხრეთ აღმოსავლეთში იყო დაბანდებული. შოტლანდიელებს ჰქონდათ წარმატების მოპოვების ყველა საშუალება, მაგრამ იგი ვერ გამოიყენეს. ჰამილტონმა აქტიური შეტევა წამოიწყო სწორედ მაშინ, როცა ოლივერ კრომველს ხელ-ფეხი გაეხსნა. მან ფანტასტიკურად მოკლე დროში (33 დღე) გადაიყვანა ჯარები უელსიდან იორკშირში. მიუხედავად იმისა. რომ კრომველისა და ლამბერტის არმია გაერთიანდა, რიცხობრივი შეფარდება მაინც დიდი იყო. ჰამილტონის 24 000-იან არმიას კრომველმა დაუპირისპირა სულ 8 500 კაცი. მაგრამ სასეზე იყო კრომველის არმიის მორალური უპირატესობა და თვით კრომველის დიდი მხედართმთავრული ნიჭი. კრომველმა არმიის რთული და გონივრული მანევრირებით შეძლო მოწინააღმდეგის ძალების ნაწილ-ნაწილ ძლევა. მან ფლანგიდან შემოვლის ჩინებული ოპერაცია განახორციელა და 17-19 აგვისტოს პრესტონთან ბრძოლაში შოტლანდიელებს სასტიკი დამარცხება აგემა, სამხრეთისაკენ უკან დახეული მტერი უორინგტონთან და უიგანთან საბოლოოდ შემუსრა. შოტლანდიელებმა მოკლულთა სახით 10 000 კაცი დაკარგეს, 4 000 ტყვედ ჩავარდა. შოტლანდიელთა დევნა გააგრძელა გენერალმა ლამბერტმა, რომელმაც ტყვედ იგდო ჯერ ჰამილტონი, შემდეგ—ლანგდეილი

კამპანიამ დაადასტურა კრომველის სამხედრო ტაქტიკისა და სტრატეგიის სრული უპირატესობა. ღრმად მორწმუნე კრომველი ამ საოცარმა კამპანიამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, „რომ ღმერთმა გაამართლა ის საქმე, რომელსაც მას გული კარნახობდა“.

კრომველმა ტყვედ ჩავარდნილი რიგითი ჯარისკაცები სახლებში გაუშვა, დაჭრავებულნი და მოხალისენი კი რევოლუციური სისასტიკით დაჰაჯა, ნაწილი შორეულ ვირჯინიაში და კუნძულ ბარბადოსზე გადაასახლეს, ნაწილი მონებადაც კი გაყიდეს ხმელთაშუა ზღვის ბაზარზე.

შოტლანდიელი და ინგლისელი როიალისტების არმიის განადგურების შემდეგ კრომველმა გადალახა შოტლანდიის საზღვარი. იგი დაედევნა შოტლანდიისკენ უკან დახეულ გენერალ მონროს. ჰამილტონის პარტიამ ძალაუფლება დაკარგა. არგაილს მხარი დაუჭირეს ჯონ ლოუდონმა, გენერლებმა ალექსანდრე ლიევნმა და დევიდ ლესლიმ. ჰამილტონის მომხრე სახელმწიფო საბჭოს წევრებმა და გენერალმა მონრომ ედინბურგი დატოვეს. ძალაუფლება ხელთ იგდო არგაილმა და მისი მომხრეებისაგან არჩეულმა სახელმწიფო საბჭომ. 1648 წლის ოქტომბრის დასაწყისში კრომველმა დაიკავა ედინბურგი. არგაილი მას ეგებებოდა როგორც გამანთავისუფლებელს.

შოტლანდია კრომველის ფეხთ იყო. მაგრამ იგი აქ დიდხანს არ გაჩერებულა. ედინბურგში მან დატოვა გარნიზონი (კავალერიის ორი პოლკი და დრაგუნთა ორი ესკადრონი გენერალ ლამბერტის მეთაურობით), თვითონ კი 7 ოქტომბერს სასწრაფოდ ინგლისში დაბრუნდა. გზად მიმავალმა მან ალყა შემოარტყა ქ. პონტეფრაკტს, როიალისტთა უკანასკნელ საყრდენს. ადრე ამ ქალაქს ალყა შემოარტყა და მისი აღება სცადა პოლკოვნიკმა რენსბორომ. როიალისტთა ერთ-ერთი გამოხტომის დროს რენსბორო უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა. კრომველმა ვერ შესძლო ქალაქის აღება. იგი დაეცა მოგვიანებით, 1649 წლის მარტში. თუმცა ამ ფაქტს არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. შოტლანდიელთა განადგურებისა და კოლჩესტერის დაცემის შემდეგ მეორე სამოქალაქო ომის, ანუ როიალისტთა ამბოხების ბედი გადაწყვეტილი იყო. კრომველი ლონდონისაკენ მიიჩქაროდა, სადაც მას უხმობდა გართულებული პოლიტიკური სიტუაცია.

* *

პარლამენტის მემარჯვენე პრესბიტერულმა ძალებმა ისარგებლეს კრომველისა და არმიის შორს, ჩრდილოეთში ყოფნით, კვლავ წამოიწყეს კონტრრევოლუციური საქმიანობა და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს. პირველ ყოვლისა, პარლამენტში დაბრუნდა ადრე განდევნილი 11 წევრი დენზილ ჰოლისისა და სხვათა მეთაურობით. ამასთან ერთად, პარლამენტმა მიიღო უსასტიკესი კანონი — „ორდონანსი მკრეხელობისა და მწვალებლობის წინააღმდეგ“, რომელიც ბოლოს უღებდა რწმენის თავისუფლებას და აღადგენდა ეკლესიის

ერთსახეობას. ორდონანსის თანახმად სიკვდილი ელოდა ყველას, ვინც გადაუხვევდა ბიბლიის დოგმებს; ვინც დაეპვდებოდა ქრისტეს ღვთაებრიობაში, წმინდა სამებაში, ბიბლიის ღვთაებრივ წარმომაელობაში. პატიმრობა ემუქრებოდა მათ, ვინც უარყოფდა პრესბიტერელობას, ნათლობას, სალხინებელის არსებობას და სხვ. 20 მაისს პარლამენტმა მიიღო დეკლარაცია, სადაც სასტიკად დაგმო ხალხის თავშეყრა, მანიფესტაცია, მიტინგები, როგორც სამეფოსა და პარლამენტის საწინააღმდეგო აქციები.

24 აგვისტოს პარლამენტმა გააუქმა 17 იანვრის გადაწყვეტილება მეფესთან ყოველგვარი კონტაქტის აკრძალვის შესახებ და ჩარლზ I-თან მოლაპარაკება განაახლა. უაიტზე გააგზავნა დელეგაცია 15 კაცის შემადგენლობით (10 კომონერი, 5 ლორდი), რომელსაც მეთაურობდა პრესბიტერული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დენზილ ჰოლისი. დელეგატთა შორის იყვნენ გრაფები: ნორტუმბერლენდი პემბროკი, ვიკონტი სეი-ენდ-სილი, ჯონ სელდენი და სხვ. დელეგაციაში იყო აგრეთვე ინდეპენდენტთა ერთ-ერთი ლიდერი ჰენრი ვენი. იგი ეკუთვნოდა ინდეპენდენტთა იმ მცირე ჯგუფს, რომელიც ჯერ კიდევ არ კარგავდა მეფესთან საერთო ენის გამონახვის იმედს. მოლაპარაკება მიმდინარეობდა კუნძულ უაიტის პატარა ქალაქ ნიუპორტში. წარმატების იმედით ჯერ კიდევ აღსავსე მეფე ჯიუტობს, პარლამენტის უკიდურესად ზომიერ და შერბილებულ მოთხოვნებს არ იზიარებს. პარლამენტმა ყველაფერთან ერთად კიდევ ერთი კონტრრევოლუციური ღონისძიება გაატარა — დასვა საკითხი კრომველის, „როგორც სახელმწიფო მოღალატის პასუხისმგებლობის“ შესახებ.

უაიტზე მეფესთან მოლაპარაკების განახლებამ დემოკრატიული ინგლისის და არმიის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. უამრავ სახალხო პეტიციაში დაგმობილია პარლამენტის ოპორტუნიზმი. საბოლოოდ უარყოფილია მონარქიზმი, ხაზგასმულია დემოკრატიულ გარდაქმნათა დაჩქარების აუცილებლობა და სხვ. 1648 წლის 2 აგვისტოს, პარლამენტის ბრძანებით ჯონ ლილბერნი ციხიდან გაანთავისუფლეს მეტად მზაკვრული მოსაზრებით. პრესბიტერები იმედოვნებდნენ, რომ ლილბერნი დაუყოვნებლივ დაუპირისპირდებოდა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს — ინდეპენდენტებსა და მათ ლიდერ კრომველს. „ფულის ტომრის პარტიის“ მესვეურთა ვარაუდი არ გამართლდა. ლილბერნმა აქტიურად დაუჭირა მხარი შოტლანდიელების წინააღმდეგ სალაშქროდ მყოფ კრომველს. კეთილგანწყობა ლილბერნმა კრომველისადმი გაგზავნილ პირად წერილშიც დაადასტურა.

ლილბერნის ციხიდან გამოსვლა ლეველერული მოძრაობის ახალი აღმავლობის საწინდარი გახდა. 1648 წლის 11 სექტემბერს ლეველერებმა პარლამენტში წარადგინეს „ლონდონის, უესტმინსტერის, სა-

უთვარკის და შემოგარენის ათასობით კეთილგანწყობილი მოქალაქე, უმორჩილესი პეტიცია“ — ლეველერული მოძრაობის ისტორიაში ერთ-ერთი საინტერესო დოკუმენტი. პეტიციამ ერთხელ კიდევ ნათელყო ლეველერული მოძრაობის წმინდა პოლიტიკური ხასიათი, რომ წინააღმდეგობას ინდეპენდენტებსა და ლეველერებს შორის არ ჰქონდა არსებითი ხასიათი. ორივე მიმდინარეობისათვის საზოგადოების ქვაკუთხედად რჩებოდა „საკუთრების წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელი უფლება“, მათ სხვადასხვაგვარად ესმოდათ მხოლოდ ბურჟუაზიული დემოკრატიზმის არსი. პეტიციაში მეორდება ლეველერთა თითქმის ყველა ადრინდელი პოლიტიკური მოთხოვნა. ლეველერული დოკუმენტებიდან განსხვავებით აქ დასახულია რამდენიმე სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ღონისძიება: მონოპოლიების, გადასახადების (აქციზი) გაუქმება, სათემო მიწებისა და ჭაობების აქამდე ჩატარებულ ყველა შემოღობვათა გაუქმება (ამიერიდან შემოღობვა შეიძლება განხორციელდეს, ძირითადად ღარიბთა ინტერესებიდან გამომდინარე). სავალო ციხეებიდან პატიმრების განთავისუფლება, კერძო საკუთრების გაუქმება, ქონებრივი გათანაბრება და ქონების საზოგადოებრივ კუთვნილებად გადაქცევა კატეგორიულად იკრძალება. ამაზე მეტყველებს პეტიციის ბოლო პუნქტი. აგვისტოს ბოლოს გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი ლეველერული დოკუმენტი — „სიხლიანი პროექტი“, რომლის ავტორი იყო ოულვინი.

რევოლუციის აღნიშნულ ეტაპზე საყოველთაო სახალხო აღიარება პოვა ლეველერთა მოთხოვნამ მეფის სამართალში მიცემის შესახებ-- სამართალში მიცეთ „ძირითადი დამნაშავე -- მეფე“, — ასეთი იყო ხალხისა და არმიის ერთსულოვანი გადაწყვეტილება. ინდეპენდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის კრომველი და აირტონი, მხარს უჭერდნენ ამ წინადადებას. ასეთ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში, კრომველის გადაწყვეტილება, — არმია ლონდონთან ახლოს ჰყოლოდა, საესებით გამართლებული იყო. არმიას, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალას, კვლავ გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა.

1648 წლის 18 ნოემბერს სენტ-ოლბანსში განლაგებულმა სამხედრო საბჭომ განიხილა აირტონის მიერ შემუშავებული ახალი დოკუმენტი — „არმიის „რემონსტრაცია“. მეფე, როგორც სახელმწიფოს მოღალატე, როგორც ყველა უბედურების მიზეზი, უნდა დაისაჯოს. ასეთი იყო რემონსტრაციის ძირითადი მოთხოვნა. რემონსტრაცია მოითხოვდა არსებული პარლამენტის დაუყოვნებლივ დათხოვას და არჩევას ახლისას, რომელიც უმაღლესი ხელისუფლებით იქნებოდა აღჭურვილი. ლეველერთა გულის მოგების მიზნით „რემონსტრაცია“ წინადადებას იძლეოდა შემუშავებულიყო ახალი ვარიანტი (ინდეპენ-

დენტურად შეკეთებული) „სახალხო შეთანხმებისა“. რომელიც საფუძვლად დაედებოდა ინგლისის ახალ კონსტიტუციას. 20 ნოემბერს „რემონსტრაცია“ განიხილა პარლამენტმა. პრესბიტერელთა რეაქცია უკიდურესად უარყოფითი იყო. პარლამენტმა აღიარა, რომ იგი განაგრძობს მეფესთან მოლაპარაკებას. პარლამენტი უფრო შორს მიდის, საომარი ოპერაციების დამთავრების საბაბით ცდილობს არმიის დაშლას.

22 ნოემბერს პარლამენტმა გადაწყვიტა არმიის დათხოვნა. თოფქვეშ რჩებოდა რამდენიმე შენაერთი ქალაქებში საგარნიზონო სამსახურისათვის. აღშფოთებულმა არმიამ 30 ნოემბერს შეიმუშავა დეკლარაცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ ამჟამინდელი პარლამენტი წარმოადგენს მოღალატეთა ბუდეს, რომ საჭიროა მისი გაწმენდა, რომ ამ მიზნით იგი შედის ლონდონში. 2 დეკემბერს ქვეითთა ოთხი და კავალერიის 6 პოლკი ლონდონში შევიდა. არმიის შტაბი, სარდლობა და სამხედრო საბჭო მეფის სასახლეში — უაილტჰოლში დაბინავდა. „არმია ლონდონშია, ახლა გამოჩნდება ვინაა მეფის მომხრე და ვინაა ხალხის მხარეზე“, — ამბობდა ჰენრი ვენი. ერთი დღით ადრე, 1-ელ დეკემბერს გაძლიერებული დაცვის თანხლებით მეფე უაიტის კუნძულიდან გადმოიყვანეს ჰემპშირში, მიყრუებულ, პირქუშ ჰერსტის ციხე-დარბაზში. მეფე კვლავ არმიის ტყვეობაში აღმოჩნდა.

პარლამენტის მემარჯვენე-პრესბიტერული წრეები უკანასკნელად ცდილობენ იხსნან მონარქის პრესბიტერული პარლამენტი და პრესბიტერული ეკლესია. 2 დეკემბერს პარლამენტში დაიწყო მეფესთან მოლაპარაკების შედეგების განხილვა. ჰენრი ვენი, რომელიც საბოლოოდ დარწმუნდა მეფესთან მოლაპარაკების ამაოებაში, კატეგორიულად მოითხოვს მეფესთან ურთიერთობის შეწყვეტას და მის დასჯას: „საჭიროა აღვადგინო ძველი გადაწყვეტილება, რომელიც მეფესთან მოლაპარაკებას კრძალავდა, შემდეგ უნდა შევქმნათ მთავრობა მეფის გარეშე და მკაცრად დავსაჯოთ ყველა, ვინც არღვევს მშვიდობას და მყუდროებას“. პრესბიტერელთა ლიდერი უილიამ პრინი მოითხოვდა მეფესთან მოლაპარაკებას და მისი პასუხების დადებითად შეფასებას. მისი აზრით „მხოლოდ მეფესთან შერიგება იხსნის პარლამენტსა და სამეფოს არმიას ტყვეობისაგან.“ 5 დეკემბერს პარლამენტმა 129 ხმით (83 წინააღმდეგი) დაადგინა, რომ მეფესთან მოლაპარაკება დამაკმაყოფილებლად წარიმართა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ განხორციელდეს მეფისა და პარლამენტის თანამშრომლობა. იმავე დღეს (საღამოს), უაიტჰოლში შეკრებილმა ოფიცრობამ პარლამენტის საქმიანობა შეაფასა როგორც საერთოდ საქმისა და ერისადმი ღალატი. არსებობდა ხელისუფლების შენარჩუნების ორი გზა: ინდეპენდენტების მთავრობის შექმნა და პარლამენტის დათხოვა, ან პარლამენტის შენარ-

ჩუხება, მისგან მოწინააღმდეგეთა განდევნის პირობით. გრანდებმა მეორე გზა ირჩიეს. ფერფაქსისა და აირტონის რწმუნებით პოლკოვნიკმა ტომას პრაიდმა 6—7 დეკემბერს განახორციელა პარლამენტიდან (თემთა პალატიდან) პრესბიტერელების გაძევება, ანუ სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც ისტორიაში ცნობილია „პარლამენტის პრაიდისეული წმენდის“ სახელით.

6 დეკემბერს, დილით, პარლამენტის რეზიდენციას გარს შემოარტყეს პრაიდის ქვეითთა და რიჩის ცხენოსანთა პოლკები. მილიციელთაგან შემდგარი დაცვა წინასწარ მოხსნეს, სასახლის სადარბაზო კიბეები ჯარისკაცებმა დაიკავეს. მთავარ შესასვლელთან მდგომ პრაიდს ხელთ ჰქონდა წინასწარ შედგენილი სია პარლამენტის იმ წევრებისა, რომელთა დაშვება პარლამენტის შენობაში არ შეიძლებოდა. პრაიდი განსაკუთრებით საეჭვო პირებს აპატიმრებდა, დანარჩენებს შენობაში შესვლას უკრძალავდა. პარლამენტის შენობაში შედიოდნენ მხოლოდ ინდეპენდენტები და მათი თანამოაზრენი. პრაიდი კომონერებსა და ლორდებს სახეზე, ცხადია, ყველას არ იცნობდა. იგი კითხულობდა გვარებს, ვინაობის დადგენაში მას ეხმარებოდა ლორდი გრაფი ოფ გრუბი და პარლამენტის ერთ-ერთი კარისკაცი. „წმენდა“ მეორე დღესაც გაგრძელდა. გენერალი ლედლოუ, რომელმაც მემუარებში დეტალურად აღწერა „პრაიდისეული წმენდის“ მომზადება და მიმდინარეობა აღნიშნავს, რომ კრომველი პალატაში მხოლოდ დღის ბოლოს მოვიდა. მან ყოველმხრივ მოიწონა აირტონის გადაწყვეტა. „მე ამის შესახებ არა ვიცოდი რა, მაგრამ რადგან საქმე გაკეთებულია, მე მას სავსებით ვეთანხმები“, — თქვა კრომველმა. მეორე დღეს „წმენდა“ მისი თანდასწრებით მიმდინარეობდა. „პრაიდისეული წმენდის“ შემდეგ დაპატიმრებულ იქნა თემთა პალატის 47 წევრი, 96 გაირიცხა, ბევრმა რეპრესიის შიშით ნებაყოფლობით შეწყვიტა პარლამენტის სხდომებზე გამოცხადება. 1648 წლის დეკემბრის დამდეგს თემთა პალატის სხდომებს 300 კომონერი ესწრებოდა. ამიერიდან სხდომებზე დამსწრეთა რიცხვი 100 კაცს არ აღემატებოდა. დარჩენილი ნაწილი ინდეპენდენტთა მორჩილ იარაღს წარმოადგენდა. „გაწმენდილი“ პარლამენტი ცნობილია „ნაბოლარა (კუდი) პარლამენტის“ (The Rump Parliament) სახელით.

„ნაბოლარა პარლამენტის“ საქმიანობა მუდამ იპყრობდა ისტორიკოსთა ყურადღებას. მას სპეციალური გამოცემები მიუძღვნეს ამერიკელმა ისტორიკოსმა ჯ. ჰეკსტერმა, ინგლისელებმა ე. ჰერლიმ და დ. ანდერდაუნმა. 1974 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტმა გამოსცა ბლერ უორდენის ახალი მონოგრაფია „ხანგრძლივი პარლამენტის ნაბოლარა“.

2. მეფის სიკვდილით დასჯა

„ნაბოლარა პარლამენტმა“ გააუქმა იელისის გადაწყვეტილება პარლამენტის რიგებში 11 ადრე განდევნილი პრესბიტერელი ლიდერის დაბრუნების შესახებ, აღადგინა 1648 წლის იანვრის დადგენილება მეფესთან ყოველგვარი მოლაპარაკების აღკვეცის თაობაზე. 11 დეკემბერს თემთა პალატის გაძევებულმა და დაპატიმრებულმა კომონერებმა შეადგინეს პროტესტაცია არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების უხეში ძალმომრეობის წინააღმდეგ. პარლამენტის 15 დეკემბრის დეკლარაციაში პროტესტაცია შეფასდა როგორც „ცრუ, აღმაშფოთებელი, მეამბოხური“ დოკუმენტი. პროტესტაციის ავტორები და გამავრცელებლები უფლებააყრილებად გამოაცხადეს, მათ აეკრძალათ რაიმე თანამდებობის დაკავება, პირველ ყოვლისა, პარლამენტში მოღვაწეობა.

გადასაწყვეტი იყო უპირველესი მნიშვნელობის პოლიტიკური პრობლემა — მეფის სამართალში მიცემა. ინდეპენდენტთა შორის ჯერ კიდევ იყვნენ მეფესთან მოლაპარაკების გაგრძელების მომხრენი. აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის კრომველი და აირტონი, მეფის დასჯას უჭერდა მხარს. ამასვე ითხოვდნენ მემარცხენე ინდეპენდენტები, რესპუბლიკელების — ჰენრი მარტენისა და ედმუნდ ლედლოუს მეთაურობით. კრომველი პირადად ჩაუდგა სათავეში მეფის გასამართლების ორგანიზაციას. თ. ა. პავლოვას მართებული თქმით, ამ დღეებში კრომველი მოქმედებდა როგორც რევოლუციური ბანაკის ჭეშმარიტი ლიდერი, „იგი იყო მონარქიასთან უკომპრომისო ბრძოლის ინიციატორი. კრომველი ნამდვილად ხალხის სახელით მოქმედებდა, როცა მოსამართლეებს არწმუნებდა მეფის სიკვდილით დასჯის ისტორიულ აუცილებლობაში. მეფისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანისას მას ამოძრავებდა სწორი კლასობრივი ალღო. იგი წარმოგვიდგება როგორც რევოლუციის ჭეშმარიტი რობესპიერი. უშუალოდ მან აიძულა თავისი ბევრი თანამებრძოლი ხელი მოეწერათ მეფის სიკვდილით დასჯის (ეკზეკუციის) ბრძანებაზე. მეფის სიკვდილით დასჯა საყოველთაო სახალხო მოთხოვნად იქცა. პარლამენტისა და სამხედრო საბჭოს სახელზე მოდიოდა უამრავი პეტიცია ნორფოლკიდან, დევონშირიდან, ჩრდილოეთ უელსიდან, ჰულიდან და ინგლისის სხვა საგრაფოებიდან. მეფის — „დიდი დელიქვენტის“ პასუხისგებაში მიცემა იყო ერთსულოვანი მოთხოვნა არმიისა, რომელიც რევოლუციის აღნიშნულ ეტაპზე გადამწყვეტ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. ამასვე მოითხოვდნენ ლეველერები, რომელთა ავტორიტეტი დემოკრატიულ ინგლისში ამჯერად უდიდესი იყო.

როგორც ვიცით, არმიამ მეფეს სასიკვდილო განაჩენი ჯერ კიდევ

მეორე სამოქალაქო ომის წინ გამოუტანა უინძორში. იგივე გამეორდა „არმიის რემონსტრაციაში“.! 23 დეკემბერს თემთა პალატამ მეფე დამნაშავედ აღიარა და შექმნა სპეციალური მოსამზადებელი კომისია, რომელსაც უნდა მოეგვარებინა მეფის გასამართლების იურიდიული მხარე. იმავე დღეს კრომველის ბრძანებით მეფე ჰერსტის ციხე-დარბაზიდან გადმოიყვანეს უინძორის ციხე-დარბაზში ლონდონთან ახლოს. ოპერაცია განახორციელა კრომველის ერთ-ერთმა უახლოესმა თანამებრძოლმა პოლკოვნიკმა ტომას ჰარისონმა. მეფის საიმედო დაცვა აუცილებელი გახდა, როიალისტები ყოველნაირად ცდილობდნენ მეფის გატაცებას. პრინცმა რუპერტმა მოამზადა ჰერსტის ციხე-დარბაზიდან მეფის ზღვით გაქცევის გეგმა. პრინცმა დააგვიანა, მეფე ჰერსტში აღარ იყო. მეორე გეგმა ითვალისწინებდა მეფის გატაცებას ჰერსტიდან უინძორში მოგზაურობის დროს. გადაწყდა მეფის გაქცევა ლორდ ნიუბერგის მამულიდან — ბეგშოტიდან, სადაც მეფეს შესვენება მოუწყეს. ლორდს მეფისათვის გზაში დაღლილი ცხენის ნაცვლად უნდა შეეთავაზებინა საკუთარი მალემსრბოლი ბედაური. მასზე ამხედრებული მეფე მდევართათვის მიუწვდომელი იქნებოდა. ჰარისონმა სიამოვნებით მიიღო ლორდის რაში, მაგრამ მეფე ერთ-ერთი ჯარისკაცის ცხენზე შესვა. მ. ა. ბარგს, რომელმაც მეფის სიკვდილით დასჯას საინტერესო სტატია მიუძღვნა, მოყვანილი აქვს მეფისა და ჰარისონის უურადსაღები დიალოგი: „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ მონაწილეობთ შეთქმულებაში, რომლის მიზანია ჩემი მოკვლა“. — თქვა მონარქმა. ჰარისონმა დააწყნარა მეფე, „მე პირადად სასტიკად მძაულს მსგავსი მდაბალი და ფარული მოქმედება“, და დაუმატა, რომ ის რაც მას ელის „განხორციელდება მთელი მსოფლიოს თვალწინ“. უინძორში მეფის დაცვა დაევალა პოლკოვნიკ ტომლისონს, რომელმაც ამ მხრივ აქ საგანგებო პირობები შექმნა.

1649 წლის 1-ელ იანვარს პარლამენტმა ჰენრი მარტენის პირით მოისმინა და დაამტკიცა მოსამზადებელი კომისიის გადაწყვეტილება. მეფე დამნაშავედ სცნეს და მისი საქმის განხილვა მიანდეს პარლამენტის მიერ შექმნილ სპეციალურ სასამართლო პალატას (ტრიბუნალს), რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევდა ორი უმაღლესი მოსამართლე. მეფეს ბრალი დასდეს სახელმწიფოს და პარლამენტისადმი ღალატში, სამოქალაქო ომის გაჩაღებაში და ყველა იმ უბედურებაში, რაც ამ ომმა მოუტანა ინგლისის ხალხს და სახელმწიფოს. დოკუმენტი მართალია კიცხავდა და გმობდა აბსოლუტიზმს, აბსოლუტურ მონარქს, მაკრამ საერთოდ მონარქიას კვლავ ძალაში ტოვებდა, ჩარლზ I-ს სამართალში აძლევდნენ მონარქის უფლებების ბოროტად გამოყენებისათვის. 2 იანვარს თემთა პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცა ლორდთა პალატას, ასე მოითხოვ-

და ინგლისის კონსტიტუცია. „პრაიდის წმენდის“ შემდეგ ლორდები, თითო-ოროლას გამოკლებით, პარლამენტში საერთოდ აღარ ცხადდებოდნენ. ამჯერად კი საგანგებო ვითარების გამო ლორდთა პალატის სხდომას დაესწრო 16 პერი. მათ მანჩესტერის თავმჯდომარეობით უარყვეს პარლამენტის წინადადება. ლორდთა განწყობა უკიდურესად ერთგულქვეშევრდომული იყო. მანჩესტერი, რომელიც, როგორც ვიცით, პირველ სამოქალაქო ომში პარლამენტის არმიის ერთ-ერთი ლიდერი იყო, ამჯერად ამბობდა: „მხოლოდ მეფეს აქვს უფლება პარლამენტის მოწვევისა და დათხოვისა. ამდენად უაზრობაა მას ბრალი დავდოთ პარლამენტის ღალატში, რადგანაც იგი მასზე მაღლა დგას, როგორც ქვეყნის უმაღლესი იურიდიული ხელისუფლება“. ლორდი ნორსემბერლენდი ამტკიცებდა, რომ უმრავლესობის აზრით ომი წამოიწყო პარლამენტმა და არა მეფემ, ამდენად, შეუძლებელია მას ბრალი დავდოთ სახელმწიფოს ღალატში. ლორდებმა ორი კვირის შესვენება გამოაცხადეს და დაუყოვნებლივ დატოვეს ლონდონი.

„პრაიდის წმენდის“ შემდეგ ინგლისის ფაქტიურ ხელისუფალსა და მმართველს წარმოადგენდა არმიის, უფრო ზუსტად, ოფიცერთა საბჭო, პარლამენტი კი მისი ყურმოჭრილი მონა იყო. არმიის საბჭოს ფორმალურად სათავეში ედგა მთავარსარდალი ტომას ფერფაქსი. მეორე კაცად კი საბჭოში, ისევე როგორც არმიაში, ითვლებოდა ოლივერ კრომველი. ფერფაქსი, როგორც ვიცით, პოლიტიკაში ნაკლებად აქტიურობდა, მუდამ გვერდზე იდგა და ფაქტიური პირველობა არმიაში და საბჭოში დაუთმო კრომველს — „მეფის მთავარ მკვლელს“. კრომველისათვის ორი აზრი არ არსებობდა, მეფე უნდა დასჯილიყო, მაგრამ ეს უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ საჯაროდ — კანონიერი გზით. მხოლოდ „კანონის დაცვით“. კრომველი, რომელსაც, როგორც ვიცით, მუდამ აწუხებდა „ბრბოს ანარქიის“ კოშმარი, კანონსა და ხელისუფლებისადმი პატივისცემას თვლიდა ამის თავიდან აცილების ძირითად გარანტიად. კრომველს მიაჩნდა, რომ კანონის არარსებობას ჯობია არსებობდეს თუნდაც ცუდი კანონი, მთავრობის არარსებობას — თუნდაც ცუდი მთავრობა. კრომველის განცხადებით იგი მზადაა დაემორჩილოს თვით კურდღელს, ოღონდაც მას მთავრობა ერქვას.

ასეთ ვითარებაში მომზადდა თემთა პალატის 1649 წლის 4 იანვრის ისტორიული გადაწყვეტილება. ამიერიდან ინგლისში უზენაესი და საერთოდ ყოველგვარი ხელისუფლების ერთადერთ წყაროდ და მატარებლად, ღმერთის შემდეგ, გამოცხადდა ხალხი და მის მიერ არჩეული მისი სახელით მოქმედი პარლამენტი. პარლამენტის, როგორც სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფალის გადაწყვეტილება წარმოადგენს სავალდებულო კანონს და არ საჭიროებს მეფის ან პერების დას-

ტურს. პარლამენტის აღნიშნული დადგენილება ინგლისის კონსტიტუციაში გადატრიალებას მოასწავებდა. ოფიციალურად გამოცხადების გარეშე ფაქტიურად სახეზე გვაქვს რესპუბლიკა ერთპალატიანი პარლამენტით.

„მეფის საქმემ“ ქვეყნად დიდი დაძაბულობა შექმნა. როიალისტები და ამჯერად მათი მოკავშირე პრესბიტერელები ყოველნაირად ცდილობენ ჩაშალონ პროცესი. აქტიურობს უცხო ძალაც. საფრანგეთის წარმომადგენელმა ლონდონში საფრანგეთის მეფის სახელით ჩარლზის დასაცავად ოფიციალური განაცხადი გააკეთა, მეფის დამცველთა როლში გამოდიან შოტლანდიელი კომისრებიც. პრინც რუპერტის 14 ხომალდისაგან შემდგარი ფლოტი ინგლისის სანაპიროებთან დაცურავდა. უელსის პრინცმა პარლამენტს მისი ხელმოწერილი გერბიანი ქაღალდი გამოუგზავნა. იგი სთხოვდა პარლამენტს ჩაეწერა მეფის გადარჩენისათვის საჭირო ყველა პირობა. პარიზიდან დედოფალი ჰენრიეტა-მარი სთხოვს პარლამენტსა და პირადად ფერფაქსს არ დაუშვან მეფის დასჯა. ამასვე ითხოვდა ჰოლანდიის მთავრობა (ლონდონში მან ორი სპეციალური ელჩიც კი გაგზავნა). ლონდონში მღელვარებაა, წესრიგის გარანტიას იძლევა ქალაქში დაბანაკებული რამდენიმე პოლკი. პრესბიტერული ეკლესიის მსახურებმა გამოსცეს დეკლარაცია მეფის დასაცავად, იგივე მოიმოქმედეს უესტმინსტერის საეკლესიო კრების ღვთისმეტყველებმა. პატიმრობაში მყოფმა პრესბიტერელთა ლიდერებმა უილიამ პრინმა და კლემენტ უოკერმა მოახერხეს დაეწერათ პამფლეტები არმიის წინააღმდეგ, რომელსაც მეფის ტრაგედიის მიზეზად სთვლიდნენ. მეფის მომხრეები არმიაშიც გამოჩნდნენ.

პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით ბევრი ცნობილი იურისტი ლონდონიდან გარბის. მათ შორის ინდეპენდენტებიც არიან. ლონდონი დატოვა ჯონ სელდენმა, ულდრინგსტონმა. სასამართლოში მონაწილეობაზე უარი თქვეს ცნობილმა მოსამართლეებმა: ჰენრი როლმა, ოლიეერ სენტ ჯონსმა, ჯონ უილდმა და სხვ. მეფის გასამართლებაში მონაწილეობას თავი აარიდეს გამოჩენილმა ინდეპენდენტებმა: ჰენრი ვენმა და ბალსტროდ უაილტლოკმა. ცნობილი პოლიტიკური მწერალი ოლჯერნონ სიდნეი ამბობდა, რომ „მეფის გასამართლების უფლება არც ერთ სასამართლოს არა აქვს, ეს სასამართლო კი საერთოდ სასამართლო არაა“. მის პასუხად კრომველმა თქვა: „ჩვენ მაინც მოვკვეთთ მას თავს გვირგვინთან ერთად“. აღსანიშნავია, რომ ლონდონი დატოვა და „პირადი საქმეების“ გამო ჩრდილოეთში გაემგზავრა თვით ჯონ ლილბერნი. მ. ა. ბარგის აზრით მეფისა და ლორდების დაუძინებელი მტრის, რესპუბლიკელი ლილბერნის ეს საქციელი გამოწვეულია იმით, რომ მან საბოლოოდ დაკარგა რწმენა ინდეპენდენ-

ტების დემოკრატიზმში, რომ მან მეფის სიკვდილით დასჯაში დაინახა ოფიცერთა ზედაფენების შეუზღუდველი დიქტატურის დამყარების საფრთხე. რაც შეეხება ჰენრი ვენის პოზიციას, იგი ვერ შეურიგდა „პრაიდის წმენდას“, ანუ ამ უკანონო, ძალმომრეობით აქტს. „ვენს არ სურდა მეფისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანით სამხედრო დიქტატურის დამყარება“, — წერს ბარგი. საინტერესოა აგრეთვე მთავარსარდალ ლორდ ფერფაქსის პოზიცია. იგი მოსამართლეთა სიაში პირველი ეწერა, სასამართლო სხდომებზე არ გამოჩენილა და მას განაჩენზეც არ მოუწერია ხელი. სასამართლოს ერთ-ერთ სხდომაზე, როცა თავმჯდომარემ სასამართლოს წევრთა სია ამოიკითხა და ფერფაქსის გამოუცხადებლობა დაადასტურა, ქანდარიდან გაისმა მადამ ფერფაქსის შეძახილი: „იგი არც ისეთი სულელია, რომ აქ იმყოფებოდეს“ (არსებული ტრადიციის თანახმად ინგლისის მაღალი წრის წარმომადგენელი მანდილოსნები ნიღაბაფარებულნი ესწრებოდნენ ხოლმე მნიშვნელოვან სასამართლოებს, პოლიტიკურ თუ სხვა ხასიათის სხდომებს).

4 იანვრის გადაწყვეტილების შემდეგ პარლამენტმა თავი უფლებამოსილად ცნო დაემტკიცებინა სასამართლო შემადგენლობა. 8 იანვარს მიღებულ იქნა შესაბამისი ორდონანსი უმაღლესი სასამართლოს (ტრიბუნალის), ანუ „მართლმსაჯულების უმაღლესი პალატის“ შექმნის შესახებ. უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში შევიდნენ პარლამენტის წევრები, არმიის ლიდერები, ცნობილი იურისტები, ლონდონისა და სხვა ქალაქების მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეები (მერები) და წევრები (ოლდმერები), მრავალი საგრაფოს ჯენტრის წარმომადგენლები და სხვ. ტრიბუნალის წევრთა შორის იყვნენ: მთავარსარდალი ლორდი ტომას ფერფაქსი, ოლივერ კრომველი, ჰენრი აირტონი, ედმუნდ ლედლოუ, ჰენრი მარტენი, ტომას ჰარისონი, რობერტ ლილბერნი (ჯონ ლილბერნის ძმა), ჩარლზ ფლიტვუდი, ჯონ ლამბერტი, ნათანიელ რიჩი, ტომას პრაიდი, ფილიპ სკიპონი, არტურ ჰეზლრიგი და სხვ. ლორდთა პალატის 2 იანვრის სხდომის შემდეგ პარლამენტმა სასამართლო სიაში შეტანილი რამდენიმე პერი ამოიღო. სასამართლოსათვის ავტორიტეტის ამაღლების მიზნით მაინც ხაზგასმით აღინიშნა მასში ტიტულოსან არისტოკრატთა, „წარჩინებულ მოსამართლეთა“ მონაწილეობა, თუმცა ტიტულოსან მოსამართლეთა შორის ძირძველ არისტოკრატიას არც ერთი არ მიეკუთვნებოდა. ფერფაქსის ბარონის ტიტული შოტლანდიური, ხოლო ლორდი მუსონის ტიტული ირლანდიური წარმოშობისა იყო. შედარებით კარგად ქღერდა ინგლისელი პერების — ლორდ გრეისა და ლორდ ლესლის უფროსი შვილების ვიკონტ გრეისა და ვიკონტ ლესლის სახელები. „წარჩინებულ მოსამართლეთა“ შორის ეხედავთ 11 ბარონეტს. ეს ტიტული

კი, როგორც ვიცით, სტიუარტების მიერ იყო დაწესებული და იყიდებოდა. მიუხედავად ყოველგვარი სამკაულისა, 135 წევრისაგან შემდგარი სასამართლო თავისი კლასობრივი არსით წარმოადგენდა ბურჟუაზიულ და ახალ თავადაზნაურულ ორგანოს. სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩიეს გამოჩენილი იურისტი, ცნობილი ანტიმონარქისტი, ჩეშირის უმაღლესი მოსამართლე ჯონ ბრედშოუ (1602 — 1659), მის მოადგილეებად — ცნობილი იურისტი უილიამ სეი ენდ-სილი და ჯონ ლესლი, მათ გვერდში ედგნენ ცნობილი იურისტები ჯონ ელსი, ჯონ კუკი, ენტონი სტილი და ჰოლანდიელი ემიგრანტი, სწავლული იურისტი დოქტორი ისაკ დორისლაუსი. „მართლმსაჯულების უმაღლესი პალატის“ პირველი (წინასწარი) საორგანიზაციო სხდომა გაიმართა 8 იანვარს უესტმინსტერის სასახლეში. სასამართლოს რამდენიმე წევრი სამსახურებრივ მივლინებაში იმყოფებოდა; ბევრი განზრახ არიდებდა თავს და სხდომებზე დასწრებას გაურბოდა (ფერფაქსი, სკიპონი, ფლიტვუდი, ჰეზლრიგი და სხვ.), სასამართლოს 47 წევრი საერთოდ არ დასწრებია სხდომებს. ყოველივე ეს წინასწარ იქნა გათვალისწინებული და დადგინდა, რომ სასამართლო უფლებამოსილია იმუშაოს 20 წევრის დასწრების პირობებში. როგორც წესი, სხდომაზე დამსწრეთა რიცხვი 60-ზე ნაკლები არასოდეს ყოფილა. სასამართლოსათვის გამოყვეს უდიდესი დარბაზი — უესტმინსტერ ჰოლი, სადაც ადრე სტრაფორდის პროცესი ჩატარდა.

19 იანვარს დიდი ბადრაგის თანხლებით მეფე ლონდონში მიიყვანეს და სასამართლოსთან ახლოს, მისთვის გამოყოფილ შენობაში მოათავსეს. შენობას იცავდა 200 ფეხოსანი და კავალერიის შენაერთი. ჯარი იდგა სასამართლოს შენობის წინ, თვით შენობაში, უკელა მისადგომთან. არსებობდა როიალისტთა გამოსვლების აშკარა საფრთხე. სიფრთხილისათვის ბრედშოუმ ქუდს ლიფლინის ფირფიტები გამოაკრა. სასამართლო პროცესი დაიწყო 20 იანვარს შუადღის 2 საათზე. პირველ სხდომას დაესწრო სასამართლოს 68 წევრი, სასამართლოს თავმჯდომარის საგარძელი ამაღლებულ ადგილზე იდგა. ბრედშოუს წინ ედგა მახვილი და სკიპტრა — უმაღლესი ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების სიმბოლო. ბრედშოუს გვერდით ისხდნენ მისი მოადგილეები. მოსამართლეთათვის განკუთვნილ სავარძლებზე განლაგდნენ კრომველი, აირტონი, პრაიდი, რ. ლილბერნი, მარტენი და სხვ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პირები, მათთან ერთად ლედლოუ და ჰარისონი, სასამართლოს სხდომებს სისტემატურად ესწრებოდნენ. სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა ლონდონის მოსახლეობის დიდი პოლიტიკური აქტივობის პირობებში. ქუჩებში გამოფენილი ლონდონელები გაიძახოდნენ რევოლუციურ ლოზუნგს: „მართლმსაჯულება!.. მართლმსაჯულება!..“ იგივე შეძახილები გაის-

მოდა სასამართლოს სხდომათა დარბაზში, რომელიც სავსე იყო დამსწრე მოქალაქეებით და ჯარისკაცებით.

სხდომის დასაწყისში ბრედშოუმ გამოაქვეყნა პარლამენტის დადგენილება სასამართლოსათვის რწმუნებათა მინიჭების შესახებ. შემდეგ თავმჯდომარის ბრძანებით 32 ჯარისკაცისა და ოფიცრის თანხლებით დარბაზში შემოჰყავთ შავებში ჩაცმული ბრალდებული, მეფე ინგლისისა — ჩარლზ I სტიუარტი. მან დაიკავა მისთვის განკუთვნილი სავარძელი მოსამართლეთა წინ, ხალხისაკენ ზურგშექცევით. ასე დაიწყო ისტორიული „დიდი პროცესი მთელს ერსა და ერთ ადამიანს შორის". ბრალმდებელმა — ჯონ კუკმა პარლამენტისა და მთელი ხალხის სახელით ჩარლზ სტიუარტს ბრალი დასდო სახელმწიფო ღალატში და ინგლისის პარლამენტის სახელით მოითხოვა საბრალდებო დასკვნის წაკითხვა.

სასამართლოზე წაკითხულ საბრალდებო დასკვნაში დაწვრილებით იყო წარმოჩენილი მეფის დანაშაული ერის, პარლამენტისა და სახელმწიფოს წინაშე. აღნიშნული იყო, რომ მეფემ, რომელსაც ხალხმა მიანდო თავისი მართვა, აღჭურვილი იყო შეზღუდული ხელისუფლებით, მას ქვეყანა უნდა ემართა ქვეყნის კანონების შესაბამისად, ხალხის საკეთილდღეოდ. სასამართლოს დაცვით, მაგრამ მეფემ დაიწყო ყოველივე ეს და მიზნად დაისახა დაესაკუთრებინა შეუზღუდველი და ტირანული ხელისუფლება, ემართა ქვეყანა თვითნებურად, მოესპო ხალხის უფლებები და პრივილეგიები. ამ მიზნების განხორციელებისათვის მან ვერაგული ომი გამოუცხადა თავისივე ხალხს და მის წარმომადგენელს — პარლამენტს. ჩარლზ I-ს ბრალი ედებოდა უცხოეთის ინტერვენციის მომზადებაში. ბრალდების თანახმად მეფე მოქმედებდა ეგოისტური მოსაზრებებით. საკუთარი და სამეფო ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე, ამას შესწირა მან ხალხის თავისუფლება და უფლებები. „ჩარლზმა პასუხი უნდა აგოს ყველა ღალატისათვის, მკვლელობისათვის, ძალადობისათვის, ხანძრისათვის, ზარალისათვის — რაც მიაყენეს ამ ომში ერს". ინგლისის ხალხის სახელით ჩარლზი პასუხისგებაშია მიცემული, „როგორც ტირანი, მოღალატე და მკვლელი, როგორც ინგლისის სახელმწიფოს საჯარო და დაუძინებელი მტერი".

ჩარლზის გამოსვლები ქედმაღლური იყო და უპირატესად ცინიზმით იყო აღსავსე. აღსანიშნავია ისიც, რომ მეფე ბუნებით ბლუ, ამჯერად ლაპარაკობდა თავისუფლად და საკმაოდ ხატოვნად, იგი ქუდსაც კი არ იხდიდა, კითხვებზე არ პასუხობდა, ბრალდებას არ უსმენდა. მისი უპირველესი არგუმენტი იყო ის, რომ ხალხის სახელით მოქმედი ხელისუფლება, მათ შორის სასამართლო, უკანონოა, მას არ აქვს უფლება გაასამართლოს მონარქი, რომლის ხელისუფლება ღვთაებრივი წარმოშობისაა და რომელიც კანონზე მაღლა დგას. აქე-

დან გამოძდინარე, ჩარლზი კატეგორიულად უარყოფდა სასამართლოს რწმუნებათა კანონიერებას და უარს ამბობდა პასუხი გაეცა წამოყენებულ კონკრეტულ ბრალდებებზე. რადგან მეფე სასამართლოს კომპეტენციას უარყოფდა, დაცვაზეც უარი თქვა და თვითონვე იკისრა დამცველის როლი. „თქვენ უნდა უპასუხოთ იმ ხალხის სახელით, რომელმაც მეფედ აგირჩიათ", — ასეთი იყო ბრედშოუს კატეგორიული მოთხოვნა. „ინგლისი არასოდეს ყოფილა არჩევითი მონარქია, იგი თითქმის ათასი წლის განმავლობაში იყო და რჩებოდა მემკვიდრეობით მონარქად. მე აქ წარმოვადგენ პიროვნებას, რომელიც არ აღიარებს ამ სასამართლოს კანონიერებას... მე ვერ ვხედავ აქ ლორდთა პალატას, რომელიც თემებთან ერთად ქმნის პარლამენტს... წარმოიდგინეთ მე კანონიერი, ღვთის სიტყვაზე დაყრდნობილი ნაწერი ან... სამეფოს კონსტიტუცია და მე მზად ვიქნები გიპასუხოთ..." — ასეთი იყო პასუხი მეფისა, რომელსაც ღრმად სწამდა და სხვასაც არწმუნებდა, რომ ქვეყნად არსებული არც ერთი სასამართლო არაა უფლებამოსილი გაასამართლოს მხოლოდ ღმერთის წინაშე პასუხისმგებელ პიროვნება.

სხდომის პირველ დღეს ორთაბრძოლა ბრედშოუსა და მეფეს შორის დამთავრდა ბრალდებულის დარბაზიდან გაყვანით. მეფის დარბაზიდან გაყვანის დროს დარბაზი ახმაურდა, გაისმოდა შეძახილები მეფის დასჯის მოთხოვნით.

სასამართლოს სხდომა განახლდა 22 იანვარს, ორშაბათს. ბრედშოუმ გააფრთხილა ჩარლზი, სახელმწიფო ღალატში ბრალდების დროს ბრალდებულის დუმილი ნიშნავს დანაშაულის აღიარებას, რომ ბრალდებული ვალდებულია ზუსტი პასუხი გასცეს სასამართლოს. კითხვაზე: „ცნობს თავს დამნაშავედ თუ არა?", მეფე ყოველნაირად ცდილობდა ამ პირდაპირი პასუხისაგან თავის არიდებას. იგი კვლავ დაჟინებით უარყოფდა სასამართლოს კანონიერებას, ამბობდა, რომ ირღვეოდა არა მარტო მისი, არამედ ინგლისელი ხალხის უფლებები და თავისუფლება და მოითხოვდა მისთვის დაესახელებინათ თუნდაც ერთი პრეცედენტი იმისა, რომ მეფეები პასუხისმგებელნი არიან პარლამენტის წინაშე. მ. ა. ბარგი სამართლიანად შენიშნავს — „თემთა პალატა მართლაც არასოდეს არ ყოფილა მეფის გამსამართლებელ სასამართლო პალატის როლში... ძველი სამართალი მეფის მხარეზე იყო!" ბრედშოუ დიდი სიძნელის წინაშე აღმოჩნდა. მეფის პოზიცია სასამართლოს პროცესუალური თვალსაზრისით ჩაშლით ემუქრებოდა. ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო ბრალდების მოწმეთა დაკითხვა, ბრალმდებელის (ჯონ კუკი) სიტყვის წარმოთქმა და სხვ. მ. ა. ბარგის დამაჯერებელი განმარტებით: მოსამართლეთა მდგომარეობას ართულებდა აგრეთვე ის, რომ ისინი იცავდნენ ძველი სამეფო უფლების

ხელშეუხებლობას (მონარქია ოფიციალურად არ იყო გაუქმებული), ამასთანავე, სურდათ ამავე უფლების დახმარებით პასუხისგებაში მიეცათ მეფე, რომლის ძალა სწორედ ამ უფლებაში იყო. მოსამართლეთა რევოლუციური ნაბიჯი — კანონიერი მონარქის გასამართლება და მოსამართლეთა სოციალური კონსერვატიზმი დიდ ურთიერთწინააღმდეგობაში აღმოჩნდნენ.

ბრედშოუს პოზიციები თვით მეფემ განამტკიცა, რომელიც დაჟინებით იმეორებდა: „ვიცავ არა საკუთარ თავს, არამედ ჩემი ქვეშევრდომების უფლებებსა და თავისუფლებას". ბრედშოუს შესანიშნავმა პასუხმა შეარყია მეფის პოზიცია: „თუ რა დიდი მეგობარი ხართ თქვენ ხალხის თავისუფლებისა და უფლებებისა, დე განსაჯოს მთელმა ინგლისმა და მთელმა მსოფლიომ... მოქმედების ადამიანურობას საქმენი ადასტურებენ, თქვენ კი მთელს ქვეყანაში თქვენი საქმიანობის სისხლიანი ნიშანსვეტები აღმართეთ".

24 იანვარს, ოთხშაბათს სასამართლოს მორიგ სხდომაზე ბრალმდებელმა ჯონ კუკმა განაცხადა, რომ მეფისადმი წაყენებული ბრალდებათა ჰეშმარიტება „კრისტალივით ნათელია" და მოითხოვა მოწმეების დაკითხვა. „მე ეგრძნობ, რომ ვიმყოფები ძალმომრეობის წინაშე", — განაცხადა მეფემ და ბოლომდე დაიკავა „მეფის შეუზღუდველი ხელისუფლებისათვის წამებულის" პოზიცია. მოწმეთა დაკითხვას მოუნდა სასამართლოს მომდევნო ორი სხდომა. დაკითხულმა 33 მოწმემ დაადასტურა მეფის ღალატი პარლამენტისა და ხალხისადმი. 27 იანვარს სხდომა მიეძღვნა განაჩენის გამოცხადებას. ჩარლზს მისცეს საბოლოო სიტყვა. მეფემ სასამართლოს მიმართა თხოვნით, განაჩენის გამოტანამდე მას მისცემოდა საშუალება ელაპარაკა პარლამენტში— თემთა და ლორდთა პალატების ერთობლივ სხდომაზე. ამჯერადაც იგი ხაზს უსვამდა იმას, რომ იგი სასამართლოს უკანონოდ სთვლის. მეფის თხოვნა არ დააკმაყოფილეს.

განაჩენი ასეთი იყო: „ჩარლზ სტიუარტს, ვითარცა ტირანს, მოღალატეს, მკვლელსა და საჯარო მტერს, მიესაჯოს სიკვდილი სხეულიდან თავის მოკვეთით". განაჩენს ხელი მოაწერა სასამართლოს 59 წევრმა. ფერფაქსის ხელწერა არ იყო, ბრედშოუ პირველი აწერდა ხელს, კრომველი — მესამე. განაჩენს ხელი მოაწერეს აირტონმა, მარტენმა. ლუდლოუმ, ჰეტჩინსონმა, ჰარისონმა და სხვა ცნობილმა ინდეპენდენტებმა. „ჩვენ განვახორციელეთ დიდი სამართლიანი საქმე", განაცხადა ბრედშოუმ.

სასიკვდილო განაჩენს სასამართლოს ბევრი წევრი როდი ეთანხმებოდა. მერყეთა დაჯერების საქმეში და საერთოდ სასიკვდილო განაჩენის მომზადებაში კრომველის როლი დიდი იყო.

მართლსაჯულება აღასრულეს 1649 წლის 30 იანვარს. უაიტჰო-

ლის სასახლის ეზოში, ე. წ. „საბანკეტო დარბაზის“ წინ. მოედანი, ახლო-მახლო ქუჩები, სახლის სახურავები, აივნები, ფანჯრები ხალხით იყო სავსე. წესრიგს იცავდა არმია, ძირითადად კავალერია. მეფეს სიკვდილის წინ თავი გაცილებით უფრო ღირსეულად ეჭირა, ვიღრე სასამართლოს დღეებში. ნიღბოსანმა ჯალათმა მეფეს თავი ერთი დარტყმით მოკვეთა. ჯალათის თანაშემწემ მეფის მოკვეთილი თავი, შეძახილით — „შეხედეთ მოღალატის თავს“, — ხალხს დაანახა. მეფის ბალზამირებული გვამი დაკრძალეს უინძორის სასახლის წმინდა გიორგის სამლოცველოში. გადმოცემის თანახმად კრომველი დაესწრო მეფის სხეულის კუბოში ჩასვენებას. მას უთქვამს: „რა ჯანსაღი სხეულის პატრონი ყოფილა. მას დიდხანს შეეძლო ეცხოვრა“. არის კიდევ ერთი უფრო ნაკლებად სარწმუნო გადმოცემა, რომლის თანახმად გადაცმული კრომველი ღამით. ფარულად შესულა სამლოკველოში, დაუხედავს მიცვალებულისათვის და უთქვამს: „ეს იყო მკაცრი აუცილებლობა“.

ასე აღსრულდა ისტორიაში მანამდე გაუგონარი რამ — ხალხის გამარჯვება მეფეზე. კლარენდონის ტრადიციაზე აღზრდილი ბურჟუაზიული მემარჯვენე ისტორიოგრაფია მეფის სიკვდილით დასჯას უკანონოდ მიიჩნევს და ჩარლზ I-ს წამებულად წარმოგვიჩენს. ამავე აზრისა იყო ლეოპოლდ ფონ რანკე. ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი ლორდი მორლეი ამტკიცებს, რომ სასამართლოს არ ჰქონდა მეფის დასჯის არც იურიდიული და არც მორალური უფლება. მეფის დასჯა უკანონო იყო, — ასეთია ფრენსის ჩარლზ მონტეგიუს დასკვნა. „ჩარლზ I — მეფე წამებული“, — ასეთია თანამედროვე მემარჯვენე ისტორიოგრაფიის აზრი. ამას ამტკიცებდნენ, მაგალითად, სტრეტფორდი, ეშლი და მრავალი სხვა. ბრიტანეთის ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: „ეკზეკუცია (მეფის სიკვდილით დასჯა — გ. კ.) — ეს იყო კრომველის მიერ ჩადენილ შეცდომათა შორის ყველაზე დიდი. მეფე წამებული გაცილებით უფრო საშიში აღმოჩნდა, ვიდრე მეფე ცოცხალი“.

ბურჟუაზიულ-ლიბერალური ისტორიოგრაფია ჯერ კიდევ იზიარებს იმ მოსაზრებებს, რომელსაც XIX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი, პირველ ყოვლისა, კარლაილისა და გარდინერის სახით. მათი შეხედულება შედარებით უფრო რეალისტურ საფუძველს ეყრდნობა. კარლაილისათვის მეფის პროცესი „ისტორიის ყველაზე უფრო გაბედული საქმეა“. მას მიაჩნია, რომ მოსამართლენი მართალნი იყვნენ ღვთისა და სინდისის წინაშე. მეფის დასჯა იყო დასჯა პირფერობისა, ინგლისის ხალხში საუკუნეების განმავლობაში დანერგილი მონური სულისა. მეფის დასჯას, კარლაილის აზრით, ჰქონდა აგრეთვე უდიდესი ზნეობრივი მნიშვნელობა. ჩარლზი დაისაჯა იმისათვის, რომ მეფის

ადგილზე იჯდა არა მეფე, არამედ ცრუ-მეფე. ჩარლზის მაგალითი უდიდესი გაკვეთილი უნდა ყოფილიყო ყველა მონარქისათვის და საერთოდ მმართველისათვის. სამუელ გარდინერისათვის მეფის პროცესი წარმოადგენს „პოლიტიკურ აუცილებლობას“: საჭირო იყო თავისუფლების მისაღწევ გზიდან ჩამოეშორებინათ დიდი ხელისშემშლელი ფაქტორი აბსოლუტისტისა და ფლიდი ჩარლზის სახით. ჩინსიე თქვით, მეფის სიკვდილით დასჯა იყო ინგლისის კონსტიტუციური ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი. ამიერიდან აბსოლუტისტურ ტენდენციებს ბოლო მოეღო. როცა ჩარლზის შვილებმა გაბედეს და მოინდომეს აბსოლუტიზმის პოზიციაზე ბოლომდე დადგომა, ამას მოჰყვა არა მარტო მონარქის დამხობა, არამედ დინასტიის შეცვლა. „ეშაფოტმა უაიტჰოლში გააკეთა ის, რის გაკეთებაც ვერ შეძლო პიმისა და ელიოტის მშვერმეტყველებამ და ხანგრძლივი პარლამენტის სტატუტებმა“.

ძალიან ხშირად მეფის სიკვდილით დასჯის ერთადერთ მიზეზად მიიჩნევენ სუბიექტურ ფაქტორს, ხელისუფლებას მოწყურებულ ბოროტ გენიას კრომველის სახით./ კრომველმა რომ მეფის სიკვდილით დასჯის საქმეში დიდი როლი შეასრულა, ამას არავინ უარყოფს. ისიც ცნობილია, რომ ადრე იგი მონარქისტი იყო, მეფესთან შერიგებას ცდილობდა. კრომველის საქმიანობას განსაზღვრავდა ერთი მიზანი — ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა/ ამაშია, მ. ა. ბარგის თქვით, „მისი, როგორც ბურჟუაზიული რევოლუციონერის ისტორიული დამსახურება“. ფეოდალური მონარქიის დამხობა ხომ რევოლუციის უდიდესი გამარჯვება იყო. კრომველი „მეფის მკვლელი“ გახდა მაშინ, როცა დარწმუნდა, რომ რევოლუციური ინგლისი, მასები ამას თვითონვე გააკეთებდნენ მის და მისი პარტიის გარეშე. ამ შეხვედრაში კრომველმა გადაწყვიტა თვითონ, საკუთარი ხელით განეხორციელებინა დარტყმა, არ მიეცა ამის საშუალება აჯანყებული ხალხისათვის, თვითონ ყოფილიყო მოვლენათა მსვლელობის სათავეში და არა ხალხი. აღსანიშნავია, რომ ამაში ლეველერებიც კი დარწმუნდნენ. მათ სწამდათ, რომ კრომველი „მეფის მკვლელი“ გახდა აუცილებელი საჭიროების გამო.

„მეფის მკვლელების“ უმრავლესობა დარწმუნებული იყო თავისი მოქმედების სამართლიანობაში. ირლანდიაში ლაშქრობის წინ კრომველს უთქვამს: „ჩვენ ღმერთმა მოგვცა უფლება გვეგემა პირველი ხილი იმ გამარჯვებისა, რომელიც მოპოვებულ იქნა სახელმწიფოს დამღუპველი არეულობის წამომწყების (მეფის—ვ. კ.) სამართლიანი და სამაგალითო დასჯის წყალობით“. „მეფის მკვლელთა“ უმრავლესობა 1660 წლის რეპრესიებს ვაჟკაცურად შეხვდა. „ჩვენ ჩვენი საქმე მალულად და ზურგს უკან როდი გავაკეთეთ... ღმერთი ჩვენთან

იყო, ჩვენ აღვასრულეთ ნება ღვთისა“, — განაცხადა ჰარისონმა. იგი რესტავრირებულ სტიუარტთა სასამართლოს ეშაფოტზე ამაყად მდგომი ამბობდა: „მე შემეძლო გაქცევა, მაგრამ დავრჩი. მე მსჯიან იმიტომ, რომ ვიყავი იარაღი ღვთისა. ათი ათასი სიცოცხლე რომ მქონდეს, მე უკლებლივ ყველას კვლავ ჩემ საქმეს შევწირავდი“. „მეფის მკვლელთა“ შორის აღმოჩნდნენ ისეთნიც, რომელნიც რესტავრაციის დროს თავის გადარჩენის მიზნით თავს იმართლებდნენ, ირწმუნებოდნენ, რომ უხეში ძალის, პირველ ყოვლისა, კრომველისა და არმიის წინაშე შიშმა აიძულა ისინი აღესრულებინათ ის, რაც მათთვის უცხო საქმე იყო.

მეფის სიკვდილით დასჯა იყო რევოლუციის კულმინაცია, მისი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ეტაპი. დემოკრატიული ძალების, ხალხის დაბალი ფენების და არმიის დიდი გამარჯვება, დამჯერებელი დადასტურებაა იმისა, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის ყველა დიდი წარმატება უშუალოდ დაკავშირებულია მასების რევოლუციურ აქტივობასთან, ხალხის გადამწყვეტ მოქმედებასთან. ჯერ იყო და ინგლისელმა ხალხმა კრომველის სახით განდევნა ხანგრძლივი პარლამენტი[1], ხოლო ამჯერად კი ინგლისის ბურჟუაზიამ... ანგარიში გაუსწორა შეუზღუდველ მონარქიას მეტად დემოკრატიული წესით[2].

ხალხმა და ლეველერებმა აიძულეს ინდეპენდენტები დაესაჯათ მეფე და დაემხოთ მონარქია. საბოლოო ანგარიშში, ეს იყო ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის გამარჯვება, რომელიც მიღწეულ იქნა ხალხის ფართო ფენების მხარდაჭერით. ამ შემთხვევაში ხალხმა დაამარცხა თავისი მტრის მტერი, ხოლო ბურჟუაზიამ მტრის ხელით მტერს სძლია. ასეთია ბურჟუაზიული რევოლუციის ლოგიკა.

---

[1] Маркс К., Энгельс Ф. Соч., изд. 2, т. 6, с. 11.

[2] Ленин В. И. Полн. собр. соч., т. 23, с. 430.

მეორე თავი

რესპუბლიკა და პროტექტორატი (1649—1660)

I. ინდეპენდენტური ბურჟუაზიულ-ახალთავადაზნაურული კონსერვატორული რესპუბლიკა (1649—1653)

1. რესპუბლიკის გამოცხადება

1649 წლის 4 იანვარს საპარლამენტო გადაწყვეტილებისა და მეფის სიკვდილით დასჯის შემდეგ ინგლისი ფაქტიურად უკვე ერთპალატიანი პარლამენტური რესპუბლიკა იყო. ფორმალურად კი იგი ისევ მონარქიად რჩებოდა — რესპუბლიკა იურიდიულად გამოცხადებული არ იყო. ამდენად, როიალისტებს რჩებოდათ სრული უფლება თავმოკვეთილი მეფის უფროსი ვაჟი, უელსის პრინცი (მომავალი ჩარლზ II) მეფედ გამოეცხადებინათ. ამ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით პარლამენტმა მეფის სიკვდილით დასჯისთანავე გამოსცა აქტი, რომელიც სასტიკად სჯიდა ყველას, ვინც სტიუარტთა ტახტის მემკვიდრეობაზე პრეტენზიას განაცხადებდა, რასაკვირველია ეს მონარქიის გაუქმებას ჯერ კიდევ არ ნიშნავდა. მაგალითად, ლონდონის ლორდმა-მერმა (ქალაქის თავმა) როიალისტურად განწყობილმა აბრაჰამ რეინარდსონმა უარი თქვა ამ ბილის გამოქვეყნებაზე.

ბოლოს და ბოლოს ინდეპენდენტები დარწმუნდნენ რესპუბლიკის ოფიციალურად გამოცხადების აუცილებლობაში. 1649 წლის 17 მარტს პარლამენტმა მიიღო ისტორიული საკანონმდებლო აქტი სამეფო ხელისუფლების გაუქმების შესახებ. „გამოცდილებამ გვიჩვენა,—ნათქვამი იყო დადგენილებაში,—რომ ამ ქვეყანაში მეფის წოდება ან შესაფერისი რწმენების რომელიმე ერთი პირისთვის მინიჭება თავისუფლებისათვის, საზოგადოებრივი უშიშროებისათვის და ინგლისელი ერის საზოგადოებრივი ინტერესებისათვის უსარგებლოა, დამამძიმებელი და საშიშია, ამიტომ საჭიროა მისი გაუქმება". 19 მარტის აქტით გაუქმდა ლორდთა პალატა. მემკვიდრეობითი პრობა და მასთან დაკავშირებული ყველა პრივილეგია. 1649 წლის 19 მაისს კი პარლამენტმა სპეციალური აქტით ფაქტიურად არსებული რესპუბლიკა უკვე ოფიციალურადაც გამოაცხადა, დეკლარაცია მონარქიის რესპუბლიკით (Commi-

onwall) შეცვლის შესახებ პარლამენტმა მიიღო 1649 წლის 21 მარტს, სადაც ისტორიულ ფაქტებზე (რომის რესპუბლიკა, შვეიცარია, ვენეცია, შეერთებული პროვინციების რესპუბლიკა — ჰოლანდია და სხვ.) დაყრდნობით წარმოჩენილია რესპუბლიკური სისტემის უპირატესობა. „ინგლისის, ყველა მის ტერიტორიაზე და სამფლობელოში ამჟამად ან მომავალში მცხოვრები ხალხი ამ აქტით აფუძნებს, აყალიბებს და ამკვიდრებს თავისუფალ რესპუბლიკას და თავისუფალ სახელმწიფოს (a Commonweall and Treestate) მეფისა და ლორდების გარეშე“. თავისუფალი რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოა „ხალხის წარმომადგენლები პარლამენტში“, და ის პირები, რომლებსაც პარლამენტი დანიშნავს და მისცემს რწმუნებას, „ხალხის საკეთილდღეოდ იყვნენ თანამდებობის პირებად და მინისტრებად პარლამენტის მეთაურობით“.

„ინდეპენდენტებმა, მათ მიერ ადრევე შემუშავებული კონსტიტუციის პროექტის („წინადადებათა პუნქტები“) საფუძველზე 1649 წლის 13 თებერვალს შექმნეს ახალი სახელმწიფო ორგანო — „სახელმწიფო საბჭო“ (Council of State), რომელიც წარმოადგენდა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელ, მის დამხმარე აღმასრულებელ ორგანოს. საბჭოს ფუნქციებს, შემადგენლობას და რწმუნებას განსაზღვრავდა პარლამენტი. რწმუნებების ვადა იყო ერთი წელი.

საბჭოს შემადგენლობაში შევიდა 41 კაცი (აქედან 31 პარლამენტის წევრი იყო). მათ შორის იყვნენ არისტოკრატები, ლორდთა პალატის ყოფილი წევრები, ბაზილ დენბი. ედმუნდ მოლგრევი, ფილიპე პემბროკი, უილიამ სოლსბერი და გრეი უორკი. საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ოფიცრების — „გრადების“ დიდი ჯგუფი. მათ შორის იყვნენ: ოლივერ კრომველი, ტომას ფერფაქსი, ფილიპე სკიპონი, ჯონ ჰეტჩინსონი, ედმუნდ ლედლოუ, ედუარდ პოფემი და სხვა გამოჩენილი იურისტები: ჯონ ბრედშოუ, ჰენრი როლი („მაღალი სავარძლის სასამართლოს თავმჯდომარე“), ოლივერ სენტ-ჯონი („საერთო საჩივართა სასამართლოს“ თავმჯდომარე), ცნობილი ინდეპენდენტები: ჰენრი ვენი (უმცროსი), ბალსტროდ უაიტლოკი, არტურ ჰეზლრიგი და სხვ. საბჭოს მუდმივი თავმჯდომარის ნომენკლატურა პარლამენტის მიერ გათვალისწინებული არ ყოფილა (ეშინოდათ რომელიმე ერთი პირის გაძლიერებისა), მაგრამ ფაქტიურად ეს თანამდებობა და ლორდ-თავმჯდომარის ტიტული მიითვისა ბრედშოუმ.

საბჭოს რწმუნებანი ძალზე მრავალფეროვანი და ფართო იყო. იგი მოიცავდა საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ეკონომიკას. პირველ ყოვლისა, მას ევალებოდა არ დაეშვა მეფის ხელისუფლების აღდგენა, ბოლომდე მიეყვანა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა, საბჭოს აღსრულებაში უნდა მოეყვანა პარლამენტის დადგენილება, უნდა

განეგო სახმელეთო და საზღვაო სამხედრო ძალები, მილიცია, უზრუნველეყო მათი მომარაგება, დაენიშნა ოფიცერთა შემადგენლობა. საბჭოს სრულ მორჩილებაში უნდა მოეყვანა ირლანდია და სხვა ტერიტორიები. საბჭოს კომპეტენციაში შედიოდა ვაჭრობისა და წარმოების ხელმძღვანელობა, ინგლისის კოლონიურ სამფლობელოთა, ყველა საზღვარგარეთული პლანტაციის, ფაქტორიის მოვლა-პატრონობა. საბჭო ხელმძღვანელობდა ინგლისის საგარეო პოლიტიკას და დიპლომატიურ სამსახურს. საბჭოს წევრებს ევალებოდათ საჭირო შემთხვევაში შეესრულებინათ პოლიტიკურ მრჩეველთა მოვალეობა. საბჭოს წევრები აღჭურვილნი იყვნენ უფლებით, გამოეძიებინათ სახელმწიფოსათვის საშიში საქმეები, სამართალში მიეცათ პარლამენტის, სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებათა დამრღვევნი, საბჭოს დიდი უფლებები მიენიჭა საგადასახადო პოლიტიკის სფეროში და სხვ.

წესისამებრ „სახელმწიფო საბჭოს“ პარლამენტის გითითებით უნდა ემოქმედა, როგორც მასზე დამორჩილებულ ორგანოს. საბჭოს ბეჭედზე ამოტვიფრული იყო სიტყვები: „ინგლისის პარლამენტის მიერ დანიშნული სახელმწიფო საბჭოს ბეჭედი“. მაგრამ ფაქტიური ვითარება სულ სხვა იყო. საბჭოს უფლებამოსილება გასცდა პარლამენტის მიერ გათვალისწინებულ ფარგლებს და პარლამენტსაც კი დაუპირისპირდა. ხშირ შემთხვევაში პარლამენტი იძულებული იყო სახელმწიფო საბჭოს ნება-სურვილს დამორჩილებოდა. ამას ხელს უწყობდა ის, რომ საბჭოს წევრთა უმრავლესობა იყო წევრი პარლამენტისა.

ძველი სახელმწიფო მანქანა გამარჯვებულ ბურჟუაზიას არსებითად არ დაუმსხვრევია. განხორციელდა ამ მანქანის მოდერნიზება, გადაკეთება ახალი მეპატრონის გემოზე, მისი კლასობრივი მიზნების შესაბამისად. ბურჟუაზიულმა რესპუბლიკამ ძალაში დატოვა სასამართლოს არსებული სისტემა, დაკმაყოფილდა მხოლოდ მოსამართლეთა შემადგენლობის შეცვლით და მეფის სახელის ხმარების გაუქმებით. მაგალითად, „მეფის სავარძლის სასამართლოს“ ამიერიდან ეწოდა „მაღალი სავარძლის სასამართლო“, ერთგვარი სიახლე დაეტყო ადრე ლორდთა პალატისადმი დამორჩილებულ სასამართლოებს, რომლებიც, როგორც წესი, განიხილავდნენ პოლიტიკურ საქმეებს. 1649 წლის 3 თებერვალს პრედშოუს თავმჯდომარეობით შექმნილი საგანგებო სასამართლო „უმაღლესი სასამართლო ტრიბუნალი“ დაემორჩილა უშუალოდ პარლამენტს, საბოლოოდ — „სახელმწიფო საბჭოს“.

დაწესდა რესპუბლიკის გერბი — ჯვარი და არფა. რესპუბლიკის დიდი სახელმწიფო ბეჭდის ერთ მხარეზე ამოტვიფრული იყო ინგლისისა და ირლანდიის გერბები, მეორე მხარეზე—თემთა პალატის სხდომის გამოსახულება და წარწერა: „ღვთის წყალობით აღდგენილი თა-

ვისუფლების პირველ წელს". ბეჭდის მცველად დანიშნეს ბალსტროდ უაიტლოკი. მოიჭრა ახალი ფული, ახალი მონეტის ერთ მხარეზე ამოტეიფრული იყო რესპუბლიკის გერბი და წარწერა: „ინგლისის რესპუბლიკა" (The Commonweall of England). მეორე მხარეზე — ინგლისისა და ირლანდიის გერბები და წარწერა: „ღმერთი ჩვენთანაა". სამეფო გერბები და ჰერალდიკური სხვა ნიშნები გაუქმდა. სამეფო განძეული, სასახლეები (მეფე ფლობდა ინგლისში საუკეთესო ექვს სასახლეს) და სამეფო ოჯახის სხვა ქონება ერის საკუთრებად გამოაცხადეს. ჩარლზ I-ის სახელგანთქმული კოლექცია (იგი ფლობდა კორეჯოს, ტიციანის, ვან დეიკისა და სხვათა შედევრებს) რესპუბლიკის მთავრობამ გაყიდა. კოლექციის დიდი ნაწილი ძალზე იაფად ხელთ იგდეს ევროპის მონარქებმა და მათმა ოჯახებმა. სამწუხაროდ პურიტანიზმით ეკზალტირებული ინდეპენდენტები კულტურისა და ხელოვნების ძეგლებს არ უფრთხილდებოდნენ. მაგალითად, ძალიან ხშირად გამოჰქონდათ გადაწყვეტილება ძველი დიდებული ტაძრების დანგრევის შესახებ, მათი აშენებისათვის გამოყენებული ძვირფასი მასალის (ხე-ტყე, ქვები, ლითონი) გაყიდვის მიზნით.

* *

ინგლისის ისტორიაში პირველი და უკანასკნელი რესპუბლიკის გამოცხადება დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური სიძნელეების პირობებში განხორციელდა. ომის განახლებამ იმედაც მძიმე ეკონომიკური პირობები კიდევ უფრო დაამძიმა. ვაჭრობა-წარმოება კიდევ უფრო შეიშალა. ამას მოჰყვა მრავალი ათასი ხელოსნისა და წვრილი ვაჭრის გაკოტრება. მოუსავლიანობამ, შიმშილმა, სიძვირემ. უმუშევრობამ ქალაქისა და სოფლის მშრომელი მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. უცხო ქვეყნებთან კონტაქტი უკიდურესად გაძნელდა. გადასახადების შემცირებას, მიუხედავად დაპირებებისა, არავინ ცდილობდა. ომის ხარჯების ზრდის პირობებში საგადასახადო ტვირთი კიდევ უფრო დამძიმდა. 1649 წლის შემოდგომაზე საფრანგეთმა აკრძალა ინგლისის შალის და აბრეშუმის ქსოვილების შემოტანა, რამაც ინგლისის მაუდის წარმოებას დიდი ზიანი მიაყენა. ასეთ პირობებში ქალაქისა და სოფლის მშრომელი მოსახლეობის ფართო მასების მდგომარეობა მკვეთრად უარესდება. უაიტლოკის მემუარებში აღნიშნულია, რომ მარტო კემბერლენდის საგრაფოში (1649 წ. გაზაფხულს) „30 000 გაღატაკებული ოჯახია, რომელსაც არ გააჩნია არც სათესლე და საკვები მარცვალი, და არც ფული მათ შესაძენად". ფასებმა საშუალოდ 40—50%-ით მოიმატა, ხელფასმა კი—მაქსიმუმ 30%-ით. პურის ფასებმა საგრძნობლად იმატა. 1640 წელს კვარტე-

რი ხორბალი ღირდა 45 შილინგი, 1648 წლის ბოლოს — 68. სათბობი საერთოდ გაქრა, 1647-48 წლის ზამთარი კი საშინლად ყინვიანი იყო. „ყველაფერი გაძვირდა, გარდა დღიური მუშის ხელფასისა“, — ნათქვამი იყო ერთ-ერთ სახალხო პეტიციაში. 40-ათასიანი არმიის შენახვა ინგლისის ქალაქისა და სოფლის მშრომელებს აწვა კისერზე*. არმიას ძველი ვალი ვერ გადაუხადეს. ხელფასის გარეშე რჩებოდა ფლოტიც. მიუხედავად სამოქალაქო ომის დამთავრებისა, პარლამენტი პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადთა შემცირებას არ ცდილობდა. ერთ-ერთ პამფლეტში ნათქვამი იყო: „საშუალო შეძლების ადამიანები გაღატაკდნენ, ღატაკები კი დაღუპვის პირას იმყოფებიან“. მასობრივი ხასიათი მიიღო შიმშილით სიკვდილმა. ათასობით შამაკაცი, ქალი და ბავშვი დაიხოცა. ღარიბი, მშრომელი ინგლისის საერთო მდგომარეობას ასახავდა ხელოსანთა ერთ-ერთი პეტიცია პარლამენტის სახელზე, სადაც ნათქვამი იყო: „პარლამენტის წევრებო, გაჭირვებამ კანონი არ იცის,... შიმშილს არაფრად ჭირდება მახვილი და ზარბაზანი... ყური მიუგდეთ ჩვენს კარებს, გაიგონებთ ბავშვების ყვირილს — პური, პური! ისმინეთ ჩვენი ვედრება, შეიცოდეთ დამონებული და დაჩაგრული ხალხი“.

არსებობდა და მოქმედებდა კიდევ ერთი სიძნელე როიალისტური ბანაკის სახით. პირველ სამოქალაქო ომში მოქმედ „კავალერებს“ ამჯერად შეუერთდა ბევრი ადრე მერყეევი აზნაური. როიალისტთა რიგებს შეემატა პრესბიტერული პარტიის მრავალი წარმომადგენელი. ალფრედ შტერნის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დამარცხებამ პრესბიტერელები და კავალერები მოკავშირეებად აქცია“. როიალისტური ძალები განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდნენ ჩრდილოეთ და დასავლეთ ინგლისში. ზოგიერთ საგრაფოში შეიარაღებულ შეტაკებებსაც კი ჰქონდა ადგილი. მიუხედავად მკაცრი აკრძალვისა, ბევრგან შემორჩა მეფის გერბები და ნიშნები.

როიალიზმის მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენდნენ ირლანდიისა და შოტლანდიის რეაქციული ფეოდალები. შოტლანდიელ თავადაზნაურთა უმრავლესობა, მათ შორის არგაილიც კი, განუდგა რესპუბლიკურ ინგლისს, უელსის პრინცი ჩარლზ II-ის სახელით შოტლანდიის მეფედ გამოაცხადეს, ჰააგაში (უელსის პრინცი აქ იმყოფებოდა) დელეგაცია გაგზავნეს და მეფეს შოტლანდიაში ჩამობრძანება თხოვეს. ორმონდი ჩარლზ II-ს ირლანდიაში იწვევდა და არწმუნებდა ახალ მონარქს, რომ მოსახლეობა მას დაუჭერს მხარს. ევროპის თითქმის ყველა მონარქისტულმა სახელმწიფომ, მათთან ერთად ჰოლან-

* ჯეიმზ I არმიის შესანახად წელიწადში ხარჯავდა ნახევარ მილიონ გირვანქა სტერლინგს, ჩარლზ I საშუალოდ—700—800 ათასს, ხოლო რესპუბლიკის გამოცხადებისას არმიაზე იხარჯებოდა 2 მილიონი.

დიამ (შეერთებული პროვინციების რესპუბლიკამ), არ ცნეს ინგლისის რესპუბლიკა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტეს. რუსეთის მეფემ ინგლისის ელჩი რუსეთიდან განდევნა, საფრანგეთის ელჩმა დატოვა ინგლისი, ჰააგაში როიალისტებმა მოკლეს პარლამენტის წარმომადგენელი დოქტორი დორისლაუსი. ასეთივე ბედი ეწია ინგლისის წარმომადგენელს მადრიდში. საფრანგეთის მცირეწლოვანი მეფის ლუი XVI-ის სახელით გამოქვეყნდა საპროტესტო დეკლარაცია, რომელიც გმობდა „პარლამენტის აჯანყებული ჯარისკაცების მიერ საკუთარი ქვეყნის მეფის წინააღმდეგ მოწყობილ საშინელ სასამართლო პროცესს“. ამ „გაუგონარ ბოროტმოქმედებაში“ საფრანგეთის მონარქია ბრალს სდებდა „გარეწართა მცირე ჯგუფს“, „გაცოფებულ ვილანებს“ და მოუწოდებდა ევროპის მონარქებს გაერთიანებულიყვნენ მათ წინააღმდეგ, ჩაეხშოთ აჯანყების „ინგლისური კერა“, ეხსნათ ევროპა „ინგლისური სენისაგან“. სათანადო სიმპტომები იყო კიდეც XVII საუკუნის საერთო ევროპული კრიზისის სახით, ფრანგული ფრონდა კი (1648—59) ინგლისის რევოლუციის იმიტაციას წარმოადგენდა. შემთხვევითი როდი იყო ფრონდასა და ლეველერებს შორის დამყარებული კავშირი. საფრანგეთის მთავრობამ 30-წლიანი ომი დაამთავრა შედარებით ნაკლებად ხელსაყრელი ზავით, რომელიც განაპირობა საფრანგეთის სურვილმა, რაც შეიძლება მალე ჰქონოდა შესაძლებლობა ინგლისის წინააღმდეგ მოქმედებისა. ინგლისელი „ერეტიკოსების“, „მეამბოხეებისა“ და „მეფის მკვლელების“ საწინააღმდეგო განწყობა სუფევს კათოლიკურ-მონარქისტულ ესპანეთში.

როიალისტურმა განწყობამ თავი იჩინა ინგლისის ჩრდილოეთ ამერიკულ ახალშენებში. ამ მხრივ გამოირჩეოდა ვირჯინია, მერილენდი და მასაჩუზეტსი. როიალიზმისადმი ერთგულებით გამოირჩეოდნენ უპირატესად არისტოკრატული წარმომავლობის მსხვილი პლანტატორები. რესპუბლიკა არ ცნეს ანტილიის კუნძულებმა. ბარბადოსზე ჩარლზ II-მ 1650 წელს გუბერნატორად დანიშნა პარლამენტიდან გაქცეული ლორდი უილოუბი. პარლამენტმა კოლონიის როიალისტების წინააღმდეგ სასტიკი ღონისძიება გაატარა. ყველა, ვინც არ ცნობდა რესპუბლიკას, ცხადდებოდა სახელმწიფოს მოღალატედ, მკირე ანტილიის კუნძულების, კერძოდ, ბარბადოსის წინააღმდეგ გაეგზავნა ესკადრა ჯორჯ ეისკიუს სარდლობით. პარლამენტმა ენერგიული ჩარევით შეძლო კოლონიებში როიალისტური მოძრაობის ნეიტრალიზება.

მიუხედავად მკაცრი ცენზურისა, რომელიც ინდეპენდენტებმა დააწესეს, როიალისტებმა მაინც შეძლეს რესპუბლიკის საწინააღმდეგო ლიტერატურის გავრცელება. სტიუარტთა დამცველთა შორის განსაკუთრებით პოპულარული იყო კონტრრევოლუციური პამფლეტი

„წმინდანთა თანა შერაცხვა მეფისა“ („ეიკონ ბაზილიკე“). იგი წარმოდგენილი იყო როგორც ტყვე მეფის პირადი ჩანაწერები, ფაქტიურად კი საქმე გვქონდა ლიტერატურულ სიყალბესთან. პამფლეტის ავტორი იყო ანგლიკანური ეკლესიის მღვდელი ჯონ გოდენი (მადლიერმა სტიუარტებმა იგი რესტავრაციის პერიოდში ეპისკოპოსად აკურთხეს). პამფლეტში მეფე წარმოდგენილია როგორც კეთილშობილებისა და პატიოსნების სიმბოლო, ხალხისათვის და რწმენისათვის წამებული. წიგნი ერთი წლის განმავლობაში 50-ჯერ გამოიცა და მონარქისტთა თაყვანისცემის ბიბლიად იქცა როგორც ინგლისში, ასევე მის გარეთ. ამ პამფლეტის წინააღმდეგ და რესპუბლიკის დასაცავად პარლამენტის დავალებით წერილობით გამოვიდა ჯონ მილტონი.

ინდეპენდენტური რესპუბლიკის ხალხთა ფართო მასების უკმაყოფილება იზრდებოდა. ამ ფაქტს თვით ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიაც კი ადასტურებს. მაგალითად, გრინის მიხედვით სახალხო უკმაყოფილება „გაცილებით უფრო სერიოზული იყო, ვიდრე როიალისტთა ყველა ინტრიგა“, ამასვე იმეორებს ალფრედ შტერნი, რომელსაც მიაჩნია, რომ პრესბიტერელებისა და როიალისტების მტრულ გამოხტომებთან შედარებით სახალხო მოძრაობა უფრო დიდ საფრთხეს შეიცავდა.

ინგლისის რევოლუცია, მიუხედავად მისი კონსერვატორული ხასიათისა, აღმავალი ხაზით განვითარდა და 1649 წელს მიაღწია განვითარების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ საფეხურს. ყოველივე ეს განაპირობა ინგლისის ხალხის დიდმა რევოლუციურმა შემართებამ და შეუპოვარმა ბრძოლამ. 1641 წელს სამოქალაქო ომის გაჩაღება პრესბიტერელებმა მხოლოდ ხალხის რევოლუციური აქტიურობის პირობებში იკისრეს. მაგრამ მათ ვერ შეძლეს მოპოვებული გამარჯვების განმტკიცება და შენარჩუნება. ხალხმა ისინი ჩამოაშორა მოვლენათა მსვლელობის წინამძღოლობას. პრესბიტერელების ადგილი ბურჟუაზიული რევოლუციონერების უფრო რადიკალურმა წარმომადგენლებმა — ინდეპენდენტებმა დაიკავეს. მათ უფრო გაბედული ნაბიჯი გადადგეს, მეფეს თავი მოკვეთეს და რესპუბლიკა გამოაცხადეს, მაგრამ, როგორც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია ერთხმად აღიარებს (ბარგი, ლავროვსკი, ლევიცკი, პავლოვა და სხვ.), ინდეპენდენტთა ეს უკიდურესი რადიკალიზმი მთლად ნებაყოფლობითი როდი იყო. ამ შემთხვევაში ისინი მოქმედებდნენ პოლიტიკურ-პროგმატულ მოსაზრებებით: შეინარჩუნონ ხალხის ნდობა, მისი ხელმძღვანელის როლი, არ დაკარგონ მისი მართვის სადავეები, წარმართონ ხალხის რევოლუციური ენერგია საკუთარი კლასობრივი ინტერესების სასარგებლოდ.

მ. ა. ბარგი სავსებით მართალია, როცა მიუთითებს, რომ ინდეპენდენტებისათვის მეფის მოკვლა და რესპუბლიკის გამოცხადება იყო უკიდურესი ზღვარი, რომლის იქით ისინი რევოლუციის გაღრმავებას კატეგორიულად გამორიცხავდნენ. ხალხის დახმარებით ხელისუფლების სათავეში მოსული ინდეპენდენტები სულ მალე „წესრიგისა და კანონიერების დამცველთა“ ოლქში, ანუ „რევოლუციის ჟანდარმის“ როლში მოგვევლინენ. მათი ლიდერი კრომველი საბოლოოდ უარს აცხადებს „რევოლუციის რობესპიერის“ როლზე და ამიერიდან გვევლინება, როგორც „რევოლუციის ნაპოლეონი“. კრომველისთვის ამიერიდან რევოლუცია დამთავრებულია, მისი მიზანია: შეაჩეროს რევოლუციის შემდგომი დემოკრატიული განვითარება, რევოლუციისაგან შეინარჩუნოს ის, რაც ბურჟუაზიისათვის და ახალი თავადაზნაურობისთვისაა სასარგებლო, დაამყაროს „ბურჟუაზიული წესრიგი“, ანუ თავის კლასისათვის უზრუნველყოს ხალხის ფართო ფენების მაქსიმალური ექსპლუატაციის შესაძლებლობა. ტ. ა. პავლოვა მიუთითებს, რომ მეფის დასჯა, ლორდთა პალატის გაუქმება და რესპუბლიკის გამოცხადება წარმოადგენდა ბურჟუაზიული რევოლუციის უმაღლეს პოლიტიკურ მიღწევას. იგივე წარმოადგენდა რევოლუციის ბელადის— კრომველის რევოლუციურობის უკიდურეს მწვერვალს, უფრო შორს წასვლა მას არ შეეძლო. ყოველი ახალი ნაბიჯი გარდუვალად მოასწავებდა მისი კლასის ინტერესების შელახვას. კრომველს მიაჩნდა, რომ მან ხალხის სასარგებლოდ მათივე მოთხოვნით ისედაც ბევრი დათმო. ამიერიდან იწყება „რევოლუციის კონსერვაცია და დამუხრუჭება“, ხალხის რევოლუციური შემართების და რევოლუციის შემდგომი გაღრმავების შეჩერება. ასეთ მიზანს უსახავდნენ ინდეპენდენტები და მისი ლიდერი — კრომველი ინგლისის რესპუბლიკას. ყოველივე ამის უპირველესი მიზეზი იყო, ვ. ი. ლენინის ცნობილი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ბურჟუაზიის „პატივისცემა წმიდათაწმიდა კერძო საკუთრებისადმი“.

მონტეგიუ წერდა, რომ ინდეპენდენტური რესპუბლიკა მხოლოდ ფორმით იყო დემოკრატიული, ნამდვილად კი იგი წარმოადგენდა ნახევრად რელიგიურ, ნახევრად სამხედრო ოლიგარქიას. ჩვენთვის იდეოლოგიურად უცხო პოზიციაზე მდგომი ისტორიკოსის ეს განცხადება, ოდნავადაც არაა გადაჭარბებული. მონტეგიუს ავიწყდება მხოლოდ ერთი—ამ რესპუბლიკის კლასობრივი არსი. ეს იყო ოლიგარქია, უფრო ზუსტად, დიქტატურა გამარჯვებული ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობისა. კონკრეტულად ამ დიქტატურას ახორციელებდნენ ინდეპენდენტთა ლიდერები, პირველ ყოვლისა, უმაღლესი ოფიცრები— „გრანდები“. „ნაბოლარა პარლამენტი“ მათი მონა-მორჩილი იყო. ასამდე შემორჩენილი კომონერიდან სხდომებს ხშირად ნახევარიც არ

ესწრებოდა. აღმასრულებელი ორგანო — „სახელმწიფო საბჭო“ „გრანდების“ ხელთ იყო. „გრანდებსავე“ ეჭირათ ყველა უმაღლესი ადმინისტრაციული თუ სასამართლო პოსტი.

„გრანდებმა“ მკაცრად შეუტიეს მოწინააღმდეგეებს როგორც „მარჯვნიდან“, ასევე „მარცხნიდან“. უსასტიკესი რეპრესიები განიცადეს როიალისტებმა.

6 მარტს „უმაღლესმა სასამართლო ტრიბუნალმა“ სამართალში მისცა ჰერცოგი ჯეიმზ ჰამილტონი, ლორდი ჰენრი რიჩ ჰოლანდი, ლორდი არტურ კაპელი, ლორდი ჯორჯ ნორიჩ გორინგი, გრაფი ნორიჩი, გენერალი ჯონ ოუენი და სხვ. ჰამილტონს, ჰოლანდს და კაპელს თავი მოკვეთეს. ნორიჩს, გორინგსა და ოუენს პატიმრობა აკმარეს. პატიმრობა მიესაჯათ აგრეთვე მარკიზ ჯონ პოლიტ უინჩესტერს და იორკის ეპისკოპოსს მეტიუ რენს. აპრილში „მაღალი სავარძლის სასამართლომ“ სიკვდილი მიუსაჯა ხუთ ცნობილ მონარქისტს, მათ შორის პოლკოვნიკ ჯონ პოიერს, პოლკოვნიკ რაის პოუელს და სხვ. (მათგან კენჭის ყრით სიკვდილით დაისაჯა მხოლოდ პოიერი). ცნობილ მონარქისტთა დიდი ნაწილი ინგლისიდან განდევნეს, უკან დაბრუნებისას მათ ელოდათ სიკვდილით დასჯა. დასჯილ და დევნილ როიალისტთა ქონება და მამულები სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა.

ყველაზე უფრო მკაცრი რეპრესიები განიცადეს: რევოლუციური ხალხმა, არმიამ, მათი ინტერესების დამცველებმა ლეველერებმა და „ჰეშმარიტმა ლეველერებმა“, ანუ დიგერებმა. მათ მიმართ ინდეპენდენტებმა აბსოლუტურად შეურიგებელი პოზიცია დაიკავეს.

2. ლეველერული ოპოზიცია ინდეპენდენტური რესპუბლიკის მიმართ.

ხალხის სახელით გამოცხადებული რესპუბლიკა ფაქტიურად ანტისახალხო პოლიტიკას ახორციელებდა — არც ერთი დანაპირები არ შეუსრულეს. ახალი ხელისუფლების სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ღონისძიებანი აშკარად კლასობრივ ხასიათს ატარებდა და მიმართული იყო ბურჟუაზიული ახალი თავადაზნაურობის ბატონობის უზრუნველსაყოფად. ლეველერებს სრული უფლება ჰქონდათ ხმამაღლა ელაპარაკათ ხალხის „დიდი მოტყუების“ შესახებ. ინდეპენდენტებმა ინგლისის მშრომელთა ფართო მასას, რომელმაც ისინი ხელისუფლების სათავეში მოიყვანა, ფაქტიურად არც ერთი დაპირება არ შეუსრულეს.

დაპირება ხალხის მძიმე ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შესახებ დავიწყებას მიეცა. საგადასახადო ტვირთი კვლავ მძიმე იყო, აქციზები ძალაში დარჩა. სავაჭრო-სამრეწველო ხანგრძლივი კრიზისის შედეგად გამოწვეული უმუშევრობა — ეს დიდი სოციალური სე-

ნი. 1647-49 წლებში მასების რევოლუციური გამოსვლების ერთ-ერთი არსებითი ფაქტორი იყო საჭირო იყო ამ მოვლენის მიზეზის აღმოფხვრა. ნაცვლად ამისა, პარლამენტმა უმკაცრესი ბრძოლა გამოუცხადა მხოლოდ შედეგს, ფაქტიურად გაიმეორა ღარიბთა და უმუშევართა წინააღმდეგ მიმართული ტიუდორთა ცნობილი უმკაცრესი „სისხლიანი კანონები". პარლამენტმა 1647 წელს და განმეორებით 1649 წელს მიიღო ორდონანსი ღარიბთათვის დახმარების აღმოჩენისა და მათი სამუშაოთი უზრუნველყოფის შესახებ. „დახმარების" ერთადერთ რეალურ საშუალებად კვლავ მიიჩნიეს „სამუშაო და გამასწორებელი სახლების" შექმნა, სადაც იძულებით განაწესეს უმუშევრები და ღარიბები, ის, ვინც ამ სახლებს და იძულებით შრომას თავს აარიდებდა, მკაცრად ისჯებოდა როგორც მაწანწალა და მათხოვარი. ასეთ ვითარებაში უმუშევრობის ლიკვიდაციის, საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზებისა და ღარიბთათვის დახმარების დიდი სოციალური პრობლემა გადაუჭრელი დარჩა.

ხალხი მოითხოვდა კანონების უნიფიცირებას (დემოკრატიული აზრით), ძვირადღირებული, მოძველებული, საქმის გადაწყვეტის უკიდურესად გაჭიანურებით დაავადებული სასამართლო სისტემის რეფორმას; ეს საკითხიც მოუგვარებელი დარჩა. პარლამენტი დაკმაყოფილდა მხოლოდ ლორდ მაუნსონის თავმჯდომარეობით სპეციალური კომიტეტის (1649 წ. აგვისტო) შექმნით, რომელსაც სასამართლოს რეფორმა დაევალა. კომიტეტის მუშაობა რამდენიმე წელს გაგრძელდა ფაქტიურად უშედეგოდ. ახალ გაბატონებულ კლასს არ სურდა შეეცვალა ძველი კოდექსი და სასამართლო სტრუქტურა, რომელსაც მისი წინამორბედი გაბატონებული კლასი ფეოდალებისა, ოსტატურად იყენებდა თავისი კლასობრივი ბატონობის და მასების მორჩილების უზრუნველსაყოფად. მათ სურდათ ამ სისტემის მოდერნიზაცია, მისი მომარჯვება ახალ ვითარებაში. ამასთან დაკავშირებით ფ. ენგელსი წერდა, რომ ინგლისში მოხდა ძველი ფეოდალური სამართლის ფორმების უმეტესი ნაწილის შენარჩუნება და მათთვის ბურჟუაზიული შინაარსის მიცემა, თვით ფეოდალური სახელებისათვის პირდაპირ ბურჟუაზიული აზრის მიკუთვნება.

ინდეპენდენტებმა დაიწყეს აგრეთვე ის დაპირებები, რაც ეხებოდა აგრარულ სფეროს; ფაქტიურად მათ დაადასტურეს ხანგრძლივი პარლამენტის მიერ სარაინდო მფლობელობის გაუქმების შესახებ 1646 წლის 24 თებერვლის აქტით აგრარული პრობლემის ცალმხრივი გადაწყვეტა. კოპიჰოლდი არ გაუქმდა, შემოღობვის პროცესი არ შეწყდა, შემოღობილი მიწები გლეხობისათვის არ დაუბრუნებიათ. კვლავ ძალაში დარჩა ფეოდალური გადასახადები, ლორდების სასამართლო უფლებები, მეათედები.

კოპიჰოლდერთა მდგომარეობა ამჯერად უფრო ძნელი აღმოჩნდა. პირველ ყოვლისა, ისინი ვეღარ უძლებენ მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობათა კონკურენციას, ღატაკდებიან და სოფლის კაპიტალისტს მემამულის, ბობოლა გლეხისა თუ მსხვილ ფერმერის კონკურენციის მსხვერპლნი ხდებიან. ისინი წვრილ გლეხს სწრაფად ანადგურებენ არა მარტო ეკონომიკური უპირატესობით, არამედ იმითაც, რომ გლეხს თავისი მიწის მიმართ არავითარი იურიდიული უფლება არ აქვს. მიწაზე კერძო საკუთრების ბურჟუაზიული უფლება, როგორც ვიცით, მხოლოდ მემამულეებს მიენიჭათ.

ახალი კაპიტალისტ-მესაკუთრეების შემოტევა გაცილებით უფრო მტკივნეული იყო. ვიდრე ტრადიციულ, უცვლელ რენტაზე დაფუძნებული ფეოდალური ექსპლუატაცია. ამიერიდან შემოღობვათა ადრინდელ მსხვერპლს სათემო მიწებისა, ტყეებისა და ჭაობების გარდა კოპიჰოლდიც ემატება. უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ კოტეჯერები და წვრილი მოიჯარეები. გაუმჯობესდა მხოლოდ გლეხობის შეძლებული ნაწილის, იომენების მდგომარეობა.

როგორც ვიცით, რეფორმაციამდელ ინგლისში ფულადი რენტის რამდენიმე სახე არსებობდა. პირველ ყოვლისა, ფართოდ იყო გავრცელებული ტრადიციული, ოდითგანვე არსებული თითქმის უცვლელი ძველი რენტა, რომელსაც ახალი საბაზრო კონიუნქტურა არ ცვლიდა. არსებობდა აგრეთვე ე. წ. „ახალი", „გაუმჯობესებული რენტა", ანუ „ძველი რენტა", რომელიც გაძვირდა XVI საუკუნეში „ფასების რევოლუციის" შედეგად გაზრდილი საბაზრო ფასების შესაბამისად. მიწის ახალი ბურჟუაზიული მესაკუთრენი და მოიჯარენი მათი მიწებით მოსარგებლე კოპიჰოლდერებს, მოიჯარეებსა და მიწით მოსარგებლე სხვა პირებს შესაბამისად უზრდიდნენ რენტას, ეს კი წვრილი გლეხის მდგომარეობას საგრძნობლად აუარესებდა. ძველი კოპიჰოლდერი, მიწის მფლობელი ამიერიდან გადაიქცა უფლებააყრილ მოიჯარედ. ფეოდალიზმის დროს მას მიწაზე უფრო მეტი უფლება ჰქონდა, ვიდრე ახლა. მემამულე, რომელმაც ამიერიდან მიწა შეუზღუდველ საკუთრებაში დაიმკვიდრა, გლეხს როგორც უნდა ისე ექცეოდა. „ახალი ლენდლორდები", ჯენტრი და სასაქონლო მეურნეობაში ჩაბმული ახალი თავადაზნაურობის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც უმჯობესად თვლიდნენ საკუთარი მეურნეობის წარმოებას, საერთოდ აღარ ანახლებდნენ ხელშეკრულებას ადრე მათი მიწებით მოსარგებლე გლეხებთან (კოპიჰოლდერი, ლიზჰოლდერი და სხვ.). ახალი ხელისუფლება ყოველნაირად მფარველობდა მემამულეთა მისწრაფებებს, ცხადია გლეხობის ფართო ფენების ინტერესთა შელახვის პირობებში. ინდეპენდენტები ამიერიდან სოლიდარობას უცხადებდნენ ძველ მოწინააღმდეგეებს, მსხვილ მესაკუთრეებს, ლენდ-ლორდებს და მათთან

ერთად ლონდონის სიტის მაგნატებს. საბჭოთა ისტორიკოსის კ. ნ. ტატარინოვას მართებული შენიშვნით, ამ გარიგების უპირველესი მიზანი იყო მესაკუთრე ინგლისის კლასობრივი საყოველთაო კონსილიდაცია ხალხის ფართო ფენების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ინდეპენდენტურმა რესპუბლიკამ კიდევ ერთი ანტისახალხო ნაბიჯი გადადგა. დავიწყებას მიეცა დაპირება შემოღობვათა შეჩერებისა და შემოღობილი მიწების ხალხისათვის დაბრუნების შესახებ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ სტიუარტები შემოღობვათა რეგლამენტაციის პოლიტიკით (რომელიც, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, რისკითა და სამხედრო ინტერესებით იყო ნაკარნახევი) გლეხობისათვის უფრო სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ, ვიდრე გამარჯვებული ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა. კაპიტალისტურ საქმიანობაში ჩაბმული ახალი თავადაზნაურობა სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული, რაც შეიძლება მეტი მიწა შემოეღობა. ამასვე ითვალისწინებდა ბურჟუაზია, რომელიც თავისუფალ კაპიტალს სოფლის მეურნეობაში აბანდებდა. სწორედ ინდეპენდენტური რესპუბლიკით იწყება გლეხობის მასობრივი ექსპროპრიაციის ხანგრძლივი პროცესი, „პარლამენტის მიერ გლეხობის მიწების „კანონიერი“ მითვისება, რაც XVIII საუკუნეში გლეხობის, როგორც კლასის ლიკვიდაციით დამთავრდა. ძველი ფეოდალი და აბსოლუტიზმი გლეხის მიწიდან აყრას გარკვეული მოსაზრებით ერიდებოდა, ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ კი ამ პროცესს, მიწების ბურჟუაზიულ საკუთრებაში დამკვიდრებისა და ხელისუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, მასობრივი ხასიათი მისცა, მათ მოიპოვეს შემოღობვის სრული თავისუფლება. „მოკავშირე კლასები“ იყვნენ ძირითადი დამნაშავენი „სისხლიანი ექსპროპრიაციის“ ტრაგიკულ პროცესში.

მესაკუთრე ინგლისის სასარგებლოდ გადაწყდა აგრეთვე რევოლუციის მიერ ანგლიკანური ეკლესიის, მისი მსახურების (ეპისკოპოსების, დეკანების, კაპიტულების და სხვ.), დელიქვენტების და ბოლოს, სამეფო მამულებსა და სხვა ქონებაზე სეკვესტრის დადების, და, რაც მთავარია, მათი ნაციონალიზაციისა და გაყიდვის ღონისძიება. ეპისკოპოსთა მიწების გაყიდვის შესახებ პირველი აქტი გამოქვეყნდა 1646 წელს; დეკანების, კაპიტულებისა და სხვა მღვდელმსახურთა მიწებისა— 1649 წლის 30 აპრილს და 1650 წლის 16 ოქტომბერს; „აქტი მეფის, დედოფლის და მემკვიდრე პრინცის ადრე კუთვნილი სამფლობელოების, მანორების და მიწების გაყიდვის შესახებ“ გამოქვეყნდა მეფის სიკვდილით დასჯის შემდეგ, 1649 წლის 16 ივლისს. დელიქვენტების მამულებმა უპირატესად სეკვესტრირება განიცადეს, მათი გაყიდვა კი ხდებოდა საგანგებო აქტების მიხედვით, სადაც აღინიშნებოდა კონკრეტულად იმ დელიქვენტების გვარები, რომელთა მამულები უნ-

და გაყიდულიყო. დანარჩენი მიწები სახელმწიფოს ხელში რჩებოდა, მათ ან იჯარით იძლეოდნენ, ან დელიქვენტები ახერხებდნენ მათ გამოსყიდვას სათანადო ჯარიმის — კომპოზიციის გადახდის გზით. ჩარლზ I-ის ერთ-ერთმა ერთგულმა თანამებრძოლმა გრაფმა სოუთჰემპტონმა ჯარიმის სახით გადაიხადა 6466 გირვანქა სტერლინგი (მთელი შემოსავლის 1/10), საბოლოოდ ყველა მამული შეინარჩუნა და ჩვეულებრივი განცხრომით ცხოვრობდა. ხშირად დელიქვენტები შემცვლელ პირების დახმარებით თავის მამულებს თვითონვე ყიდულობდნენ.

ეკლესიის, მეფისა და დელიქვენტების მიწა-მამულისა და ქონების შეძენა მხოლოდ მესაკუთრე, მდიდარ ინგლისელს შეეძლო. სოფლის მშრომელი მოსახლეობის მასა ამ შესაძლებლობას მოკლებული აღმოჩნდა. ასეთი ვითარება სუფევდა პრესბიტერელების მმართველობისას, ასევე იყო ინდეპენდენტების დროს. მიწა იყიდებოდა მხვილ ნაკრებად, ფასის გადახდის განვადების გარეშე. მიწის საერთო ღირებულება უდრიდა ათმაგ წლიურ შემოსავალს. ერთდროულად საჭირო იყო საერთო ღირებულების ნახევრის გადახდა და სხვ. ასეთ პირობებში მიწა, როგორც წესი, მხოლოდ მდიდართა ხელში გადადიოდა. ს. რ. არხანგელსკის გამოთვლით, მიწის 38% შეიძინა ლონდონის მსხვილმა ბურჟუაზიამ, 20% — გრანდებმა, 17% — აზნაურობამ. მოიჯარეებსა და მიწის წვრილ მფლობელებს ერგოთ მიწის მხოლოდ 6%. აღნიშნული ღონისძიებით ხელი მოითბეს სპეკულანტებმა, საქმოსნებმა, ოფიცერთა ზედაფენებმა, პარლამენტის წევრებმა, დიდმოხელეებმა. კრომველმა ხელთ იგდო მამულები, რომელთა შემოსავალი 2500 გირვანქა სტერლინგს უდრიდა, მეორედ მას ერგო მამულები, რომლის შემოსავალი 4,5 ათას გირვანქა სტერლინგს აღემატებოდა. სკიპონის მიერ შეძენილი მამული 1000 გირვანქა სტერლინგს იძლეოდა, ფეირფაქსისა — 5 ათასს, ესექსისა — 10 ათასს და ა. შ. მიწების და მაღაროების სპეკულაციით ზღაპრულად გამდიდრდა ცნობილი ინდეპენდენტი არტურ ჰეზლრიგი. 1652 წელს ჯონ ლილბერნმა ამხილა მისი მაქინაციები, რისთვისაც სასტიკად დაისაჯა.

საეკლესიო, სამეფო და დელიქვენტების მიწების ყიდვა-გაყიდვა ინგლისის „ახალი მდიდრების“ — „ნუვორიშების“ წარმოშობის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. მათ შორის ინდეპენდენტებთან ერთად თვით ლეველერების წარმომადგენლებსაც ვხედავთ. საკმარისია დავასახელოთ ცნობილი ლეველერი, პეტნის კონფერენციის მონაწილე უაილდმანი, რომელმაც რესპუბლიკისა და პროტექტორატის დროს დიდძალი მამულები შეიძინა, სპეკულანტებთან დაკავშირებული ცნობილი ინდეპენდენტი ჰენრი ნევილი, დელიქვენტების მიწების სეკვესტრის კომიტეტის წევრი. ნუვორიშების რიგებში აღმოჩნდა ცნობილი ლეველერი მაქსიმილიან პეტი. პარლამენტის არმიის რიგითმა,

შემდგომში კაპიტანმა ბეინზმა დიდი სიმდიდრე შეიძინა. მათ შორის სამეფო ტყეები ლანკაშირში და თვით დედოფლის—პენრიეტა-მარია. ერთ-ერთი დომენიც კი პოლომბში. უილიამ პეტი (ცნობილი ეკონომისტი და მედიკი) კრომველს ახლდა ირლანდიაში როგორც არმიის ექიმი. იგი ირლანდიის მიწების სპეკულაციით გამდიდრდა, შეიძინა უზარმაზარი მამული (50 000 აკრი) და მსხვილი ლენდლორდი-ბურჟუა გახდა. ნუვორიშების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ისინი სოკოსავით გამრავლდნენ. ასეთი ვითარება ცხადია დემოკრატიის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. „ხარბმა ოფიცრებმა თავისი თავი ძმებზე მაღლა დააყენეს",—აღნიშნავდა დიგერების ბელადი ჯერარდ უინსტენლი. „მოკლე ხანში მათ თვით შეიძინეს უმსხვილესი მამულები—ესაა ფაქტი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს". — წერდა ჯონ ლილბერნი 1649 წელს. ასეთი ვითარების წინააღმდეგ თვით როიალისტებმაც კი აღიმაღლეს ხმა (ცხადია დემაგოგიური მოსაზრებით). ერთ-ერთ როიალისტურ პამფლეტში ვკითხულობთ: ხალხი გაღატაკდა, ხოლო მეორე მხრივ, დაგროვდა „ძარცვითა და უკანონო გზით მოპოვებული აურაცხელი სიმდიდრე".

ინდეპენდენტები ხალხს აღუთქვამდნენ ყოველგვარი სამრეწველო-სავაჭრო მონოპოლიების, პრივილეგიებისა და პატენტების გაუქმებას. მათ ამ შემთხვევაშიც პრესბიტერელების ტრადიცია გააგრძელეს, უველა მონოპოლია ან პრივილეგია როდი აღკვეცეს. მაგალითად, ასეთი უფლებები შეუნარჩუნეს ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიას და მასთან ერთად გაერთიანებულ ე. წ. „ასადის ვაჭრების ასოციაციას" („კერტენის ასოციაცია"). პარლამენტის 1650 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო: „ოსტ-ინდოეთთან ვაჭრობა უნდა აწარმოოს ერთმა კომპანიამ ერთი ძირითადი კაპიტალით".

ინდეპენდენტები ხალხს პირდებოდნენ სინდისის სრულ თავისუფლებას და მეათედის გაუქმებას. ეს დაპირებაც განუხორციელებელი დარჩა. ხელისუფლების სათავეში მოსულმა ინდეპენდენტებმა რელიგიური ერთსახეობის დამკვიდრება დაისახეს მიზნად. სწორედ ამას ისახავდა მიზნად 1650 წლის 9 აგვისტოს მიღებული „დეკლარაცია ათეიზმის წინააღმდეგ" (იგი წარმოადგენდა 1648 წლის 2 მაისის „მკრეხელობისა და მწვალებლობის წინააღმდეგ" მიღებული ორდონანსის უშუალო გაგრძელებას). აღნიშნული დეკრეტი ათეისტურ ღვთისგმობად აცხადებდა ინდეპენდენტების მიერ დადგენილი რელიგიური ნორმებისაგან ყოველგვარ გადახვევას. ასეთ შემთხვევაში ცალკეული პირების, რელიგიური კონგრეგაციებისა და სექტების მიმართ გათვალისწინებული იყო უმკაცრესი სასჯელი, ჯარიმა, ციხე, სამშობლოდან განდევნა და სხვ. მეათედი, ფეოდალური ეპოქის ეს მძიმე საეკლესიო გადასახადი, ფაქტიურად ძალაში დატოვეს.

ინდეპენდენტები ხალხს სიტყვისა და აზრის სრულ თავისუფლებას პირდებოდნენ. ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე მათ ამ დაპირებასაც წერტილი დაუსვეს. 1649 წლის 20 სექტემბრის აქტით პარლამენტმა უმკაცრესი ცენზურა დააწესა. სასტიკად აიკრძალა ხელისუფლების საწინააღმდეგო რაიმე წიგნის, ბროშურის, ტრაქტატის, გაზეთის, ფურცლის, გამოსახულების დაბეჭდვა. ავტორს ელოდა ჯარიმა და ციხე. ავტორთან ერთად ისჯებოდა ტიპოგრაფი, გადამწერი, გამავრცელებელი, გამყიდველი... რაიმეს დაბეჭდვის უფლებას იძლეოდნენ ოფიციალური ორგანოები. გამომცემლობის მეპატრონეს უნდა შეეტანა გირაო 300 გირვანქა სტერლინგის ოდენობით და უნდა ყოლოდა ორი თავდები. კანონის დარღვევის შემთხვევაში ტირაჟი იპყრობოდა, ტიპოგრაფიას ანგრევდნენ და გამოცემას კრძალავდნენ. ინდეპენდენტთა ცენზურა გაცილებით უფრო მკაცრი იყო ვიდრე ცენზურა, რომელიც დააწესა „ვარსკვლავიანმა პალატამ“ ტიუდორთა დროს. 1641 წელს, აღნიშნული პალატის გაუქმებასთან ერთად ცენზურაც გაუქმდა, რასაც მოჰყვა პოლიტიკური ლიტერატურის არნახული გავრცელება (ეს ლიტერატურა ისტორიას შემორჩა, იგი დაცულია ტომსონის ცნობილ კოლექციაში). 30-წლიანი ომის პერიოდში გამოჩნდა პირველი ინგლისური გაზეთი, რომელმაც სამოქალაქო ომების დროს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა მოიპოვა. პოლიტიკურ-იდეოლოგიური ბრძოლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა (პარლამენტის სპეციალური დადგენილებით) პარლამენტის სხდომებისა და საქმიანობის დაწვრილებითი ანგარიშების გამოქვეყნებას. დემოკრატიის პოლიტიკური აქტივობით შეშინებულმა პრესბიტერელებმა 1643 წელს შეზღუდეს სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება. 1647 წელს გამოქვეყნდა ახალი, უფრო მკაცრი კანონი. მაშინ ინდეპენდენტები სასტიკად ებრძოდნენ პრესბიტერელთა ამ პოლიტიკას. ჯონ მილტონმა, გამოაქვეყნა ცნობილი პოლიტიკური ტრაქტატი „არეოპაგეტიკა, ანუ სიტყვა თქმული ბეჭდვის თავისუფლების დასაცავად“. ხელისუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ინდეპენდენტები უფრო მკაცრნი აღმოჩნდნენ, ვიდრე თავის დროს ტიუდორები და პრესბიტერელები. 1649 წლის კანონით ინდეპენდენტებმა მხოლოდ რამდენიმე ქალაქს (იორკი, კემბრიჯი, ოქსფორდი, ლონდონი) მისცეს უფლება ტიპოგრაფიის გამართვისა. 1650 წელს ინდეპენდენტებმა გამოსცეს თავისი პირველი ოფიციოზი, გაზეთი "Mercurius Politicus", რომელსაც სათავეში ჩაუდგა ნიჭიერი, მაგრამ უპრინციპო პოლიტიკური მოღვაწე და ჟურნალისტი მარჩმონტ ნიდჰემი.

უკიდურესი პურიტანული ფარისევლობით განმსჭვალულმა ინდეპენდენტებმა, რომელთა ზნეობრივი კოდექსის ერთადერთ საზომს ბიბლია წარმოადგენდა, დაამკვიდრეს ყოფაქცევის ახალი ნორმები, რაც

ხშირად ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ ტრადიციებს და იწვევდა ჩვეულ სიამოვნებასმოკლებულ ინგლისელთა უკმაყოფილებას. აიკრძალა ძველი დღესასწაულები, ტრადიციული გართობა, დახურეს სანახაობითი დაწესებულებები, მათ შორის თეატრები, მსახიობები კი უსაქმურთა და მანკიერალთა კატეგორიას მიაკუთვნეს. სასტიკად ისჯებოდა სისხლის აღრევა, ცოლ-ქმრული ღალატი, სიმრუშე, ლოთობა, ქორწილგაეშე ცხოვრება, უცენზურო სიტყვების ხმარება და სხვ.

ინდეპენდენტები ხალხს პოლიტიკურ თავისუფლებას და დემოკრატიულ მმართველობას პირდებოდნენ, ხელისუფლების ხელში ჩაგდებისთანავე კი ყველაფერი ეს დავიწყებას მიეცა. მასების უმკაცრესი პოლიტიკური იზოლაცია — ამიერიდან ასეთი იყო ინდეპენდენტთა საქმიანობის უპირველესი დევიზი. როგორც ვიცით, პეტნის კონფერენციაზე ინდეპენდენტები დათანხმდნენ გარკვეული შესწორებით ეცნოთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კონსტიტუციის პროექტი — „სახალხო შეთანხმება". გამოიყო სპეციალური კომისია, რომელსაც კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტის შემუშავება დაევალა. იგი მზად იყო („სახალხო შეთანხმების" მეორე ვარიანტი) და განსახილველად გადასცეს კიდეც პარლამენტს. ინდეპენდენტებმა „სახალხო შეთანხმება" სრულიად დაივიწყეს. მათი მიზანი იყო — შეექმნათ მესაკუთრეთა მკაცრად ცენტრალიზებული კონსერვატორული რესპუბლიკა.

საჭიროა შლიერი სახელმწიფო, რომელიც დაიცავს „საკუთრებას და თავისუფლებას" როგორც მეფისგან, ასევე ხალხისაგან, აცხადებდა ჰენრი ნევილი ერთ-ერთ პეტიციაში. „ჩვენ უნდა განვამტკიცოთ საკუთრებაზე დაყრდნობილი სახელმწიფოს საფუძვლები, თორემ დავიღუპებით", ამბობდა კაპიტანი ბეინზი—რევოლუციის დროს მიწების სპეკულაციით გამდიდრებული ყოფილი ჯარისკაცი. ბურჟუაზიის თეორეტიკოსი ჰარინგტონი ინდეპენდენტებს ურჩევდა „შეექმნათ ისეთი სახელმწიფო, რომელიც აშენდება საკუთრებაში მომხდარ ცვლილებების საფუძველზე", ანუ ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის სახელმწიფო. სწორედ ამ ამოცანებს ემსახურებოდა 1649 წლის 17 ივლისს მიღებული (ანტისახალხო, ანტიდემოკრატიული, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — ტერორისტული) საპარლამენტო აქტი, რომლის თანახმად სახელმწიფოს მოღალატედ ცხადდებოდა ყველა სამოქალაქო თუ სამხედრო პირი, ვინც არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ რაიმეს მოიმოქმედებდა, ან იტყოდა, დაწერდა ან დაბეჭდავდა. სახელმწიფო ღალატი კი როგორც ვიცით უპირატესად ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას და ქონების კონფისკაციას. სახელმწიფო ღალატად აჯანყებასთან, აჯანყებისაკენ წაქეზებასთან ერთად ცხადდებოდა უბრალო განცხადება იმისა, რომ „თემთა პალატა არ წარმოადგენს ხალხის უზენაეს ხელისუფლებას", ასევე ისჯებოდა

„სახელმწიფოს საბჭოსა“ და თანამდებობის პირთა, „წესრიგის დამცველთა“ აუგად მოხსენიება.

ინდეპენდენტური პოლიტიკური ტერორი ფართოდ გაიშალა. მძვინვარებდა ცენზურა, ახშობდნენ პატიციების უფლებას. სდევნიდნენ და სასტიკად სჯიდნენ მანიფესტაციებს, კრებებს, მიტინგებს, სასტიკ რეპრესიას განიცდიდნენ რელიგიური სექტები, სდევნიან თავისუფალ აზრს, სიტყვას.

•

ლეველერებმა ინდეპენდენტურ ბურჟუაზიულ-კონსერვატორულ ანტისახალხო რესპუბლიკას მოტყუებული ხალხის სახელით მძაფრი ბრძოლა გამოუცხადეს. მათი საბრძოლო ლოზუნგი იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც საფუძვლად უნდა დადებოდა — „სახალხო შეთანხმება“. ლეველერებმა მოღვაწეობის ამ ეტაპზე კვლავ პოვეს ხალხისა და ჯარისკაცთა მასის ენერგიული მხარდაჭერა.

ბრძოლა ლეველერებსა და ინდეპენდენტებს შორის დაიწყო 1649 წლის იანვრიდან, როცა ლეველერები საბოლოოდ დარწმუნდნენ იმაში, რომ ინდეპენდენტებმა მთელი სახელმწიფო აპარატი თავიანთი პარტიის იარაღად აქციეს. განხეთქილება დააჩქარა აგრეთვე „ნაბოლარა პარლამენტის“ მიერ „სახალხო შეთანხმების“ (ინდეპენდენტების მიერ შეცვლილი ვარიანტის) განხილვის დაკონსერვებამ, უფრო ზუსტად, ეარყოფამ (ოფიცერთა მიერ ფალსიფიცირებული ტექსტი „სახალხო შეთანხმებისა“ პარლამენტს განსახილველად გადაეცა 20 იანვარს). ინდეპენდენტებმა ძველი პარლამენტი არ დაითხოვეს, ახალი არჩევნები არ ჩაატარეს. 1649 წლის 5 იანვარს ინდეპენდენტებმა თემთა პალატაში დასვეს საკითხი ლეველერთა სკანდალური და უნებართვო პამფლეტებისა და მათი საქმიანობის აღკვეცის თაობაზე. 15 იანვარს ლეველერებმა „სახალხო შეთანხმების“ ახალი, მესამე ვარიანტი შეიმუშავეს და მისი მიღება მოითხოვეს. 19 იანვარს ლეველერებმა მოითხოვეს ბეჭდვის სრული თავისუფლება და საცენზურო შეზღუდვათა აკრძალვა.

ინდეპენდენტებმა ლეველერებისა და „გონებას მოკლებულ, მოყაყანე ხალხის“ კავშირის რეალური საფრთხე იგრძნეს, და თავის მხრივ, ახალი მოკავშირის ძებნა დაიწყეს პრესბიტერელებისა და სიტის მაგნატების სახით. ამ ახალი კომბინაციის ინიციატორი იყო ოლივერ კრომველი.

1-ელ თებერვალს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელიც პარლამენტიდან პრაიდის „წმენდის“ შედეგად განდევნილ კომონერებს აძლევდა უკან დაბრუნების უფლებას იმ პირობით, რომ ისინი ცნობ-

დნენ ინდეპენდენტთა ხელისუფლებას. ამიერიდან კრომველისა და ინდეპენდენტების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში სიტის მესვეურთა ინტერესებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. 2 თებერვალს ოფიცერთა საბჭომ პარლამენტს წინადადებით მიმართა — სიკვდილით დასჯა (ჩამოხრჩობით) დაეკანონებინა იმათთვის, ვინც არმიაში არეულობას შეიტანდა. 2 თებერვალს ლეველერმა ჯარისკაცებმა მოითხოვეს აგიტატორთა ინსტიტუტის და სრულიად არმიის საბჭოს (თანასწორუფლებამოსილ ჯარისკაცთა და ოფიცერთა) აღდგენა, რაც გრანდებმა კატეგორიულად უარყვეს. 22 თებერვალს პოლკოვნიკ ჯონ პიუსონის წინადადებით ოფიცერთა საბჭომ ჯარისკაცებს სასტიკად აუკრძალა მიტინგები. პეტიციის წარდგენა მათ შეეძლოთ მხოლოდ ოფიცრებისა და გენერლების ხელით. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ჯარისკაცებს ელოდათ სამხედრო-საველე სასამართლო. ოფიცერთა საბჭომ მოითხოვა პასუხისგებაში მიეცათ ყველა სამოქალაქო პირი (სამხედრო დამნაშავის დონეზე), რომელიც არმიას დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებდა.

1649 წლის 26 თებერვალს პარლამენტს წარედგინა ჯონ ლილბერნის მამხილებელი პამფლეტი „ინგლისის ახალი ბორკილები, ანუ ხალხის ნაწილის სერიოზული შეშფოთება რესპუბლიკის ბედით". როგორც სათაურიდან ჩანს, ლილბერნმა ინდეპენდენტური რესპუბლიკა წარმოაჩინა როგორც „ახალი ბორკილები", და მოტყუებულ ხალხს მოუწოდა დაემხეროა იგი. ლილბერნმა ნიღაბი ახადა ინდეპენდენტურ რესპუბლიკას, წარმოაჩინა ეს რესპუბლიკის ანტიდემოკრატიული ხასიათი. ხალხი მოტყუებულია, — ამბობდა იგი, — „სადაა ის კეთილდღეობა, ის თავისუფლება, რომლის შესახებ ესოდენ ბევრს გაიძახოდნენ და რაც ესოდენ ძვირი დაგვიჯდა?" ხალხი არარაობადაა ქცეული. ამასთან ერთად, მას ეპირფერებიან და ამტკიცებენ, რომ იგი ყოველგვარი სამართლიანი ხელისუფლების ერთადერთი წყაროა. ლილბერნი ადასტურებს ხალხის გაჭირვებისა და უუფლებობის შემდგომ ზრდას. იგი მიუთითებს, რომ რეალური საფრთხის წინაშეა სახალხო წარმომადგენლობითი ორგანო — პარლამენტი. მას უპირისპირდება და მასზე მაღლა დგას „სახელმწიფო საბჭო", რომელიც რესპუბლიკას მიაჭანებს ტირანიისაკენ, პირადი დიქტატურისაკენ ან ოლიგარქიისაკენ. ლილბერნი მოუწოდებს ხალხს და ჯარისკაცთა მასას აღმოფხვრან ეს საფრთხე, არ მისცენ საშუალება „დიდ ინტრიგანებს", „გაელენიან პირებს" (კრომველი, აირტონი და სხვ.) დაღუპონ რესპუბლიკა, დაიმონონ ხალხი და სხვ. ლილბერნი განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებს ჯარისკაცთა მასაზე, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას ჭეშმარიტი თავისუფლება.

ლილბერნმა პამფლეტში წამოაყენა კონკრეტული პოლიტიკური და

სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნები. უპირველეს ამოცანად იგი „სახალხო შეთანხმებისათვის“ ბრძოლას თვლიდა (1649 წლის 15 დეკემბერს მან კიდევ ერთხელ გამოაქვეყნა შეთანხმების თავდაპირველი ინდეპენდენტურ „შესწორებებისგან“ თავისუფალი ტექსტი). ამასთან ერთად იგი მოითხოვდა მონოპოლიების და პატენტების გაუქმებას, ვაჭრობა-წარმოების სრულ თავისუფლებას, გადასახადების შემცირებას. აქციზების, ბაჟების, მეათედების გაუქმებას, ბიუროკრატიული აპარატის შემცირებას (ეს საშუალებას მისცემს სახელმწიფოს შეამსუბუქოს საგადასახადო ტვირთი), სასამართლოს გაიაფებას და გამარტივებას. ბეჭდვის სრულ თავისუფლებას, ღარიბთათვის დახმარებას, სახელმწიფო საბჭოს შეცვლას მოკლევადიანი კომიტეტებით და სხვ.

პამფლეტმა ინგლისელ ხალხში და ჯარისკაცთა მასაში დიდი გამოხმაურება პოვა. დაძაბულობა მატულობს. ჯარისკაცები, მიუხედავად რეპრესიებისა, აქტიურობენ. 8 ჯარისკაცი, რომელთაც 1-ელ მარტს ფერფაქსს პეტიცია წარუდგინეს, სასტიკად დაისაჯნენ. ხუთი მათგანი ჯარისკაცთა მწკრივების წინაშე ცხენზე უკუღმა მჯდომი გაატარეს, თავზე გადაამტვრიეს მახვილი და არმიიდან დაითხოვეს. მაგრამ რეპრესიამ დევნილი ჯარისკაცები როდი შეაშინა, მათი სახელით გამოქვეყნდა პამფლეტი — „მელიებზე ნადირობა ხუთი მეძებრით“. პამფლეტი მიმართული იყო მელიების (კრომველის, ფერფაქსის, აირტონის და სხვათა) წინააღმდეგ. „ადრე ჩვენ გვმართავდა მეფე, ლორდები და თემები. ამჟამად — გენერალი (კრომველი — გ. კ.), საველე სასამართლო და თემთა პალატა... მოხდა მხოლოდ სახელწოდებათა შეცვლა. ამჟამად ჩვენ გვყავს ახალი მეფე, ახალი ლორდები, მონარქია უფრო აბსოლუტური გახდა, ვიდრე ადრე იყო“, — აღნიშნავდა პამფლეტი. „პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ყველა, ვინც ტირანიისაკენ მიისწრაფოდა, ყოველთვის ხალხს პირს ამოუქოლავდა, რათა მას მისი თავისუფლების მიტაცებისას არ ეყვირა“, — აღნიშნავდნენ ლეველერები და ხალხს მოუწოდებდნენ: „აღსდექით, როგორც ერთი, თავისუფლებისათვის საბრძოლველად, იმათ წინააღმდეგ, ვინც მოგატყუათ და მუდამჟამს ცდილობს თქვენს დამონებას... თუ თქვენ ამჟამად არსებულ შესაძლებლობას არ გამოიყენებთ, მაშინ იცოდეთ, რომ ჰედაეთ უღელს, რომლის ქვეშაც მოექცევა თქვენი და თქვენი შთამომაელების სიცოცხლე, უფლებები და ქონება“.

კრომველზე თავდასხმა გრძელდებოდა და სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა. კრომველი და ინდეპენდენტები აღაშფოთა ლილბერნის მორიგმა, კიდევ უფრო მძაფრად დაწერილმა პამფლეტმა — „ინგლისის ახალი ბორკილების მხილების მეორე ნაწილი“. აქ არსებული ხელისუფლების კრიტიკასთან ერთად, აღნიშნული იყო ისიც, რომ გრანდებმა არმია და ხელისუფლება გამოიყენეს სა-

კუთარი ეგოისტური მიზნებისათვის. პირველ ყოვლისა, გამდიდრებისათვის, რაც მათ შეძლეს ეკლესიის და როიალისტთა მიწებისა და ქონების უკანონოდ მითვისებით. ლეველერები ლონდონითა და არმიით როდი შემოიფარგლნენ, ისინი ფართო აგიტაციას ეწევიან მთელს ინგლისში. ერთ-ერთ გაზეთში (ფურცელში) ვკითხულობთ, რომ მამაცმა ლეველერმა (ლილბერნი) მთელ რიგ საგრაფოებში, მათ შორის ბერკშირში, ჰემპშირში, ჰერტფორდშირში წარგზავნა „ბუზღუნა წმინდანთა დიდი რაოდენობა“, ისინი გამოდიოდნენ ბაზრებზე, მოედნებზე და ხალხის შესაკრებ სხვა ადგილებზე, ავრცელებდნენ ლეველერულ ლიტერატურას და ხალხს ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდნენ.

27 მარტს გრანდებმა პარლამენტს მიაღებინეს გადაწყვეტილება ლილბერნის და მისი უახლოესი თანამებრძოლების („ინგლისის ახალი ბორკილების მეორე ნაწილის“ თანაავტორების — უილიამ უოლვინის, ტომას პრინსის და რიჩარდ ოვერტონის, როგორც სახელმწიფოს მოღალატეების) სამართალში მიცემის შესახებ. 28 მარტს ისინი დააპატიმრეს და ტოუერის ციხეში მოათავსეს. კრომველი მათ სასტიკად დასჯას მოითხოვდა. იგი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ბრედშოუს მაგიდაზე ხელს ურტყამდა და ეუბნებოდა, „სერ, თქვენ მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი გაქვთ, ბოლომდე შემუსროთ ეს ადამიანები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თვითონ შეგვმუსრავენ“. ამიერიდან კრომველი რევოლუციური მასებისადმი და მათი ლიდერების — ლეველერებისადმი შეურიგებელ პოზიციაზე დგება. ტ. ა. პავლოვას თქმით, კრომველმა, რომელიც ვეღარ ურიგდება რევოლუციის გაღრმავებისაკენ ლეველერების მისწრაფებას, საბოლოოდ დაივიწყა „ყველა ადრინდელი დაპირება, ლეველერული ფრაზეოლოგია, რომელსაც ცოტა ხნით ადრე იყენებდა. ამიერიდან იგი მათ ეპყრობა როგორც მტრებს“.

ლეველერთა დაპატიმრებამ ინგლისის ხალხისა და ჯარისკაცთა მასის კანონიერი აღშფოთება გამოიწვია. 29 მარტს პარლამენტში წარდგენილ იქნა საპროტესტო პეტიცია, რომელსაც 30 000 კაცი აწერდა ხელს. 2 აპრილს ახალ პეტიციას ხელს აწერდა დაახლოებით 80 000 კაცი. 16 აპრილს ლონდონის, უესტმინსტერის, საუთვარკის და ლონდონის საგარეუბნო სოფლის ათი ათასი მოქალაქის სახელით დაიწერა ახალი პეტიცია. 18 აპრილს პარლამენტთან პეტიციონერთა ახალშა დიდმა ჯგუფმა მოიყარა თავი. პეტიციები გამოგზავნეს ესექსის. კემბრიჯშირის და ლინკონშირის მოსახლეობამ. 23, 24, 25 აპრილს პარლამენტში პროტესტით წარსდგნენ ლონდონელი ქალები. მათ პარლამენტის შესასვლელთან თოფის კონდახების ცემით დახვდნენ დრაგუნები. „წადით შინ და თეთრეული გარეცხეთ“, — ეუბნებოდა მათ

ერთ-ერთი კომონერი. კრომველს, რომელიც პარლამენტის კარიბ-ჭესთან გამოჩნდა, ქალები ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ. ხალხის მხარდაჭერით დაიმედებულმა ტოუერის პატიმრებმა 14 აპრილს გამოაქვეყნეს ციხეში დაწერილი პროტესტი — მანიფესტი. აქ ერთხელ კიდევ ჩამოყალიბებულია „სახალხო შეთანხმების“ საფუძველზე ინგლისის რესპუბლიკის დემოკრატიზაციის გეგმა. წერილბურჟუაზიული დემოკრატები — ლეველერები ერთხელ კიდევ ამშვიდებენ მესაკუთრე ინგლისს, ირწმუნებიან, რომ ისინი საკუთრებას არ ებრძვიან, რომ მათ არ სურთ ქონების გათანაბრება, რომ მათი მიზანია მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლების და თანასწორობის დამყარება. ლეველერები უარყოფენ ინდეპენდენტების მიერ მათთვის წაყენებულ ცილისმწამებლურ ბრალდებებს. ინდეპენდენტები ლეველერებს ადანაშაულებდნენ როიალიზმში, ანარქიზმში, ბიბლიის შეურაცხყოფაში, მწვალებლობაში, ათეიზმში. ამტკიცებდნენ, რომ ლეველერებს სურთ საკუთრების მოსპობა, ქონების საზიარობა და სხვ. „ისინი საკუთრებას ეშმაკისეულ შემონაქმედად ითვლიან“,—ვკითხულობთ ლეველერების წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ პამფლეტში.

მალე ლეველერებსა და ინდეპენდენტებს შორის ბრძოლამ სისხლისმღვრელი ხასიათი მიიღო. აპრილში და მაისში დემოკრატიულმა მოძრაობამ კულმინაციას მიაღწია — აჯანყდნენ არმიის ლეველერულად განწყობილი შენაერთები.

ამიერიდან მესაკუთრე ინგლისის ინტერესების დამცველი კრომველი ამზადებდა ირლანდიის შემუსვრას. გადაწყდა კუნძულზე ჯარის გადასროლა — პირველ ყოვლისა, ცხადია, ლეველერთა გავლენის ქვეშ მყოფი შენაერთებისა. პირველობა წილად ხვდათ ლონდონში განლაგებულ ნაწილებს. ოფიცერთა საბჭომ გადაწყვიტა მათი დედაქალაქიდან გაყვანა, ამით სურდათ გამოერიცხათ დიდი საფრთხე — ხალხისა და რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცების თანამშრომლობა. ამ შემთხვევაში ინდეპენდენტები პრესბიტერელთა საქმის უშუალო გამგრძელებელნი აღმოჩნდნენ. ტყუილად როდი წერდა ლილბერნი ერთ-ერთ პამფლეტში; „კრომველმა, აირტონმა, ჰეზლრიგმა და სხვებმა დაიკავეს ჰოლანდის, გორინგის, კაპელის ადგილი“. პოლკოვნიკ ედუარდ უოლის დრაგუნთა პოლკი არ დაემორჩილა გრანდების ბრძანებას და 23 აპრილს გამოსვლები მოაწყო. გრანდებმა, პირადად ფერფაქსმა და კრომველმა ბუნტი ადვილად ჩაახშეს. გამოსვლები სათანადოდ ორგანიზებული არ იყო და მას ლოკალური ხასიათი ჰქონდა. 15 ყველაზე უფრო აქტიური ჯარისკაცი სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცეს, თერთმეტი მათგანი დამნაშავედ ცნეს. ხუთ ჯარისკაცს სიკვდილი მიესაჯა, დანარჩენს მკაცრი და სამარცხვინო ეკზეკუცია მოუწყვეს და არმიიდან განდევნეს.

კენჭისყრით ხუთ სიკვდილმისჯილთაგან დახვრიტეს ერთი წლის ჯარისკაცი რობერტ ლოკიერი. 1642 წელს 16 წლის ჭაბუკი ლოკიერი პარლამენტის არმიაში შევიდა და შვიდი წლის განმავლობაში მამაცურად იბრძოდა. იგი თავიდანვე ლეველერულად განეწყო და აქტიური პოლიტიკური საქმიანობით გამოირჩეოდა. ლოკიერის სიკვდილით დასჯამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ლილბერნმა ეს აქტი შეაფასა, როგორც „მკვლელობა“ და „ღალატი“. „თავისუფლებისათვის წამებული“ ლოკიერის დაკრძალვა, რომელსაც რამდენიმე ათასი მოქალაქე და ჯარისკაცი ესწრებოდა, მთავრობის საწინააღმდეგო მძლავრ მანიფესტაციად გადაიქცა.

ჯარისკაცთა მღელვარებამ მაისში უფრო მწვავე ხასიათი მიიღო, არმიასთან ერთად ბობოქრობს მოსახლეობაც. ლონდონის, ესექსის, სეფოლკის მოსახლეობამ პარლამენტში წარადგინა პეტიცია, სადაც მოითხოვდნენ დემოკრატიულ გარდაქმნებს, სინდისის თავისუფლებას, მეათედის გაუქმებას და სხვ. მოძრაობის გაღრმავებას ხელი შეუწყო (1649 წლის 1-ელ მაისს) „სახალხო შეთანხმების“ ახალი, მეოთხე უკანასკნელი ვარიანტის გამოქვეყნებამ. აქ ლეველერულ ტრადიციულ მოთხოვნებთან ერთად გათვალისწინებულია ზოგიერთი სიახლე. ლეკელერები მოითხოვდნენ არსებული პარლამენტის დაუყოვნებლივ დათხოვას და დემოკრატიული არჩევნების პირობებში (ხმის უფლება ენიჭება ყველა 21 წლის მამაკაცს, გარდა მსახურების, დაქირაებულებისა და როიალისტებისა) ახალი ოთხასი წევრისგან შემდგარი ერთპალატიანი პარლამენტის არჩევას ერთი წლის ვადით, დათხოვილი პარლამენტის წევრების ახალ პარლამენტში არჩევის აკრძალვით. ამასთან ერთად, ერთი და იგივე პიროვნების პარლამენტის წევრად ორჯერ არჩევა არ შეიძლებოდა. სამხედრო და რელიგიის სფეროში პარლამენტის უფლებათა შეზღუდვა ძალაში რჩებოდა. სასულიერო პირების არჩევის უფლება ენიჭებოდა სამრევლოებს. ადგილობრივი სამოქალაქო ხელისუფლების არჩევაც (ერთი წლით) მოსახლეობის უფლებად ცხადდებოდა. კატეგორიულად იკრძალებოდა საეკლესიო-სამრევლო მონოპოლიები, პატენტები და სხვა პრივილეგიები. აქ კიდევ ერთხელ აისახა წვრილი ბურჟუაზიის სურვილი თავი დაეზღვია მსხვილი ვაჭრებისა და მრეწველობის კონკურენციისაგან. პროექტი კვლავ მოითხოვდა საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას, აქციზისა და მეათედის გაუქმებას. პროექტში ხაზგასმული იყო ის, რომ სახალხო წარმომადგენლობამ არ უნდა დაუშვას ქონების გათანაბრება, საკუთრებაზე ხელყოფა და „ნივთთა განსაზოგადოება“

არმიისა და ხალხის უკმაყოფილება საშიშ ხასიათს ღებულობდა. აშკარად ჩანდა, რომ მათ არ სურდათ საპარლამენტო თავისუფლების ნაცვლად ოლიგარქიისა და დიქტატურის ტყვეობაში აღმოჩენილიყვ-

ნენ. პარლამენტი საუბარია ჯარისკაცთა პეტიციებით, რომლებიც ითხოვენ „სახალხო შეთანხმების“ დაუყოვნებლივ განხორციელებას, ხელფასს, თავისუფლებას. ძალზე გახშირდა ჯარისკაცების მიერ საძულველი ოფიცრების შენაერთებიდან გაძევება.

ჯარისკაცთა მაისის მღელვარებანი თავდაპირველად დაიწყო იმ პოლკებში, რომლებიც ირლანდიაში უნდა გაეგზავნათ. მაისის დასაწყისში ირლანდიაში გზად მიმავალმა ადრიან სკრუპის პოლკმა უილტშირის პატარა ქალაქ სოლსბერში ბანაკი დაიდო და ირლანდიაში წასვლაზე უარი განაცხადა, სანამ პარლამენტი არ დააკმაყოფილებდა ლეველერების და ჯარისკაცების ყველა მოთხოვნას. მათ შეუერთდა აირტონის პოლკი თითქმის მთლიანად, ჯონ რეინოლდსის პოლკის დიდი ნაწილი (პოლკის ერთი ნაწილი დაბანაკებული იყო გლოსტერშირის საგრაფოში ქ. ბრისტოლში, მეორე ნაწილი — ოქსფორდშირში) და გლოსტერშირში ვანლაგებული ტომას გორტონის პოლკი. მღელვარება დაიწყო ბეკინჰემშირში დაბანაკებული ფილიპე სკიპონისა და ტომას ჰარისონის პოლკებში. ბეკინჰემშირი ჯარისკაცთა მაისის აჯანყების ძირითად ცენტრად იქცა. ნიშანდობლივია ის, რომ სწორედ იქ იგრძნობოდა ლეველერებისა და დიგერების დიდი გავლენა.

11 მაისს სოლსბერთან ახლოს შეიკრიბნენ სკრუპისა და აირტონის პოლკების აჯანყებული ჯარისკაცები ოფიცრების გარეშე. მათ მიიღეს ე. წ. „ერთსულოვანი დეკლარაცია“, სადაც აცხადებდნენ, რომ იბრძოლებენ ყოველი ახალი ტირანიის წინააღმდეგ. 6 მაისს აჯანყდა ოქსფორდში დაბანაკებული რეინოლდსის პოლკის ნაწილი, მას შეუერთდნენ იქვე დაბანაკებული რიჩარდ ინგოლდსბის, ედუარდ უოლის და კაპიტან სმიტის ესკადრონის ჯარისკაცები. ბენდბერთან (ოქსფორდთან ახლოს მოხდა ბეკინჰემშირელი, ოქსფორდშირელი და სხვა აჯანყებულთა შეკრება. ოქსფორდშირის აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ცნობილი ლეველერი კაპიტანი უილიამ ტომპსონი. იგი მსახურობდა უოლის პოლკში სადაც მსახურობდა ჯარისკაცი ლოკიერი) მაისის აჯანყების ერთ-ერთი მოთავე იყო აგრეთვე მისი ძმა სკრუპის პოლკის მედროშე კორნეტი ტომპსონი.

6 მაისს აჯანყებულებმა მიიღეს უილიამ ტომპსონის ხელით დაწერილი მანიფესტი: „ინგლისის აღმართული დროშა, ანუ დეკლარაცია უილიამ ტომპსონისა და ამ ერის ჩაგრული შვილებისა, რომლებიც შეიკრიბნენ მისი ხელმძღვანელობით ოქსფორდშირში, რათა იბრძოლონ ახალი პარლამენტისათვის „სახალხო შეთანხმების“ საფუძველზე“. ამასთან ერთად მანიფესტი მოითხოვდა ჯარისკაცების — არნოლდის და ლოკიერის სიკვდილში დამნაშავეთა დასჯას, ლილბერნის და მისი თანამებრძოლების განთავისუფლებას და სხვ. ყველაფერთან ერთად დეკლარაცია ოფიციალურად აცხადებდა შეიარაღებულ აჯანყებას.

იარაღს დავყრით მაშინვე, როცა „სახალხო შეთანხმება“ ძალაში შევა, ასეთი იყო აჯანყებულთა პირობა.

9 მაისს ლონდონში, ჰაიდ-პარკში კრომველმა მოაწყო არმიის დათვალიერება. ჯარისკაცები ლეველერული მოთხოვნებით მოვიდნენ, მათ ქუდებს ამშვენებდა ლეველერული მომწვანო-მონაცრისფრო (ზღვის ტალღის ფერი) ბაფთა. კრომველმა კვლავ მოიმარჯვა „პოლიტიკური რეალიზმი“, ჯარისკაცებს დაპირდა ხელფასის დაუყოვნებლივ გადახდას (დავალიანება ამ დროს უდრიდა 314 000 გირვანქა სტერლინგს. ჯარისკაცი თვეობით ვერ იღებდა ხელფასს, რომელიც გენერლის ხელფასთან შედარებით 30-ჯერ ნაკლები იყო), „სახალხო შეთანხმების“ მიღებას, არსებული პარლამენტის დათხოვას და სხვ. როგორც ჩანს, კრომველისა და ოფიცერთა საბჭოს ინიციატივით პარლამენტმა იმავე დღეს მიიღო გადაწყვეტილება მეფისა და მისი ოჯახის ქონების ხარჯზე ჯარისკაცთათვის დავალიანების დაუყოვნებლივ დაფარვის შესახებ. კრომველი კვლავ იმარჯვებს, არმია ერთხელ კიდევ ერწმუნა მის სიტყვას. ამჯერად ფერფაქსისა და კრომველის ხელთ აღმოჩნდა ერთგულ ჯარისკაცთა საკმაოდ მნიშვნელოვანი მასა. 10 მაისს მთავარსარდალი და მისი მოადგილე 4 000-იანი არმიით ტოვებენ ლონდონს და ფორსირებული მარშით აჯანყებულთა წინააღმდეგ მიიჩქარიან. გზაში მათ შეუერთდნენ აჯანყებულ პოლკებიდან დეენილი ოფიცრები. მათ შორის პოლკოვნიკი სკრუპი 80 ოფიცრის თანხლებით. გზაში კრომველი კვლავ მოძღვრავდა ჯარისკაცებს, არწმუნებდა მათ, რომ ახალი მეამბოხეები ლეველერების სახით თავისუფლებისათვის და რესპუბლიკისათვის ისეთივე საშიშნი არიან, როგორც მონარქისტები და პრესბიტერელები.

14 მაისს ბედფორდთან ფერფაქსმა და კრომველმა აჯანყებულები გაანადგურეს. 15 მაისს დილით გაიმართა სამხედრო-საველე სასამართლოს სხდომა. აჯანყების მოთავეებს კორნეტ ტომპსონს, კორნეტ ჰენრი დინს, კაპრალებს ჯონ ჩერჩსა და პერკინსს სიკვდილი მიესაჯათ. სიკვდილს ყველა მათგანი გმირულად შეხვდა, გარდა დინისა, რომელმაც „აღიარა“ დანაშაული და პატიება დაიმსახურა. რაც შეეხება კაპიტან უილიამ ტომპსონს, მისი ბედი ისტორიაში გარკვეული არაა. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ მან შეძლო 2 ესკადრონით ქ. ნორჰემპტონისაკენ გაჭრა და ქალაქისათვის ბრძოლაში დაიღუპა. სხვა ცნობებით იგი ტყვედ ჩავარდა და სიკვდილი მიესაჯა, მაგრამ ფერფაქსმა იგი შეიწყალა და არმიიდან დაითხოვა.

საბოლოოდ ჩაახშვეს აგრეთვე ჯარისკაცთა გამოსვლები ლანკაშირში, დერბოშირში, სომერსეტშირში, უფრო გვიან ოქსფორდის გარნიზონში. ბურჟუაზიულმა ისტორიკოსმა „რესპუბლიკისა და საკუთრების მხსნელებს“ 1649 წლის 25 მაისს პარლამენტის სახელით ოფიციალუ-

რი მადლობა გამოუცხადა „ერისადმი გაწეული“ დიდი სამსახურისათვის. ოქსფორდის უნივერსიტეტმა კრომველი საპატიო წევრად აირჩია. ინგლისის მსხვილი კაპიტალის მაგნატებმა ლონდონის სიტიდან გენერლებს დიდებული ნადიმი გაუმართეს. ფერფაქსს და კრომველს ძღვნად მიართვეს ოქროსა და ვერცხლის თასები. სიტის მესვეურებმა შეირიგეს კრომველი — „მეფის მკვლელი“, მისი სახით ამიერიდან იწამეს კაპიტალის ერთგული დამცველი.

ტოუერში გამომწყვდეულ ლილბერნს და მის კოლეგებს პარლამენტმა საგანგებო რეჟიმი შეუქმნა. აიკრძალა მათთან გარედან რაიმე კონტაქტი, მათ ერთმანეთის ნახვის საშუალებაც აღარ ჰქონდათ. შეწყდა მათი შენახვა სახელმწიფოს ხარჯზე. ლეველერული გაზეთი „The Moderate“ („ზომიერი“) მიუთითებს, რომ „თვით მეფეც კი არ იყენებდა თავის მოწინააღმდეგეთა მიმართ მსგავს სიმკაცრეს“. საყოველთაო რეპრესიებთან ერთად „გრანდები“, სახელმწიფო საბჭო და პარლამენტი მასების დამშვიდების მიზნით ახორციელებენ ზოგიერთ ღონისძიებას. მაგალითად, პარლამენტმა მიიღო კერძო სახლებში ჯარის სადგომად ჩაყენების (free-quarter) აკრძალვის აქტი. ამასთან, შეიქმნა სპეციალური კომისიები, რომელთაც უნდა განესაზღვრათ პარლამენტის დათხოვისა და ახლის არჩევის პირობები.

მიუხედავად ციხის მკაცრი რეჟიმისა, ლილბერნი და მისი კოლეგები მაინც ამყარებდნენ კონტაქტს გარე სამყაროსთან, აქვეყნებდნენ პამფლეტებს, სახავდნენ და ახორციელებდნენ ოპერატიულ ღონისძიებებს. 1649 წლის მაისის დამლევს მღელვარებაა ჩესტერში განლაგებულ სამხედრო ნაწილებში. ლანკასტერში ადგილობრივმა სამოქალაქო ლეველერებმა აჯანყების მოწყობა სცადეს. ლანკასტერის კომენდანტმა ჯარის დახმარებით ინსურგენტები გაფანტა. ლეველერთა საქმიანობა ფართოდ ვითარდება პორტსმუნტში, დევონშირში გრძელდება ლეველერთა აგიტაცია ჯარისკაცთა შორის. 1649 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე კვლავ მასობრივად გრძელდება დემოკრატიული ფენების მიერ პარლამენტში ლეველერული შინაარსის საპროტესტო პეტიციების წარდგენა. ხალხი ითხოვს პირობების გაუმჯობესებას, უმუშევრობის მოსპობას, ხელფასის მომატებას, გადასახადების გაუქმებას, ღარიბთათვის დახმარებას და სხვ. ზაფხულში ლილბერნი და მისი კოლეგები რამდენიმე პამფლეტს აქვეყნებენ. აქტიურად მოღვაწეობს ლეველერთა გაზეთი — „ზომიერი“. 18 ივლისს ლილბერნი პირადი თხოვნით თავდებით პატიმრობიდან დროებით თავისუფლდება მძიმე ოჯახური პირობების გამო (ყვავილმა იმსხვერპლა ერთი ვაჟი, ორი მძიმე ავადმყოფი იყო), მაგრამ ლილბერნი მარტო საოჯახო საქმეების მოგვარებით როდი დაკმაყოფილდა, იგი კვლავ განაგრძობს აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლას. მას ხშირად ხედავდნენ

ლონდონელ ქარგლებთან და შეგირდებთან. იგი მათ არმიასთან ერთობლივ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. ძალზე მკაცრი იყო ლილბერნის პამფლეტი „სახელმწიფო ღალატში ოლივერ კრომველის და მისი სიძის ჰენრი აირტონისადმი წაყენებული ბრალდება". „მეფე ოლივერის დესპოტიზმს ახალი მეფის, ჩარლზ II-ის დესპოტიზმი გვერჩიოსო", — ამბობდა იგი. აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს (ადრე ასეთი რამ ლილბერნის პამფლეტებში თითქმის არ აღინიშნებოდა). ლილბერნი მოითხოვს მონოპოლიების, პატენტების და სხვა პრივილეგიების გაუქმებას, გადასახადების შემსუბუქებას, აქციზების, მეათედების, ჯარის ჩაყენების უფლების აკრძალვას, წვრილი მწარმოებლებისა და წვრილი ვაჭრების მფარველობას, რომლებიც ეკონომიკური კრიზისის შედეგად მძიმე მდგომარეობაში არიან, ღარიბთათვის დახმარებას და სხვ. იყო კიდევ ერთი სიახლე — ამ პერიოდში ლილბერნი მოითხოვდა საშემოსავლო გადასახადის დაწესებას, რათა „მეტი გადაიხადოს იმან, ვისაც მეტი აქვს". პოლიტიკურ სფეროში მათ ერთი ახალი იდეა წამოაყენეს — „სახალხო შეთანხმების" განსახილველად და მისაღებად მოითხოვეს სრულიად ინგლისის ეროვნული ყრილობის მოწვევა (ადრე ისინი ითხოვდნენ სახალხო რეფერენდუმს ტექსტზე ხელის მოწერით).

გ. რ. ლევინს მიაჩნია, რომ ლეველერთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ დერბიშირელი მაღაროელები, რომლებმაც 1649 წლის აგვისტოში მაღაროების მეპატრონის გრაფ რეტლენდის წინააღმდეგ დიდი გამოსვლები მოაწყეს. მაღაროს მუშების მოთხოვნები ძირითადად ეკონომიკური ხასიათის იყო (ხელფასის მომატება, შრომის პირობების გაუმჯობესება და სხვ.) მაგრამ არც პოლიტიკა იყო დავიწყებული, ისინი მხარს უჭერდნენ „სახალხო შეთანხმებას", მოითხოვდნენ „ბუნებითი უფლებებისა" და „სახალხო შეთანხმების" საფუძველზე აგებულ სახელმწიფოს. მაღაროელები ლეველერთა მხარდაჭერით და თანაგრძნობით სარგებლობდნენ. გაზეთი „ზომიერი" იძულებდა: თუ პარლამენტმა მუშათა მოთხოვნები არ დააკმაყოფილა, მაშინ 12 000 მუშას გვერდში ამოუდგება დერბიშირის ყველა ლეველერი.

ლეველერთა მთავარი გულისყური მაინც არმიისაკენ იყო მიმართული. აგვისტოს დამლევს არმიაში კვლავ თავი იჩინა უკმაყოფილებამ და დაუმორჩილებლობამ. 20 აგვისტოს აირტონის, სკრუპისა და ჰარისონის პოლკების ჯარისკაცებმა გამოაქვეყნეს პეტიცია. როგორც სათაურიდან ჩანდა, იგი დაწერილი იყო: „ეგრეთწოდებული ლეველერების, ანუ ამასწინათ ბედფორდთან ძლეულ თორმეტი რაზმის მიერ განხორციელებულ მართალი საქმის დასაცავად". „ჯარისკაცებმა აღმართეს იარაღი, — ნათქვამი იყო პეტიციაში, — მშობლიური ქვეყნის

თავისუფლებისა და უფლებებისათვის", „არმიის მმართველმა ხროვამ" კი მათ უწოდა „გამთანაბრებლები", „მეამბოხეები". პეტიციონერები მხარს უჭერენ „სახალხო შეთანხმებას" და ლილბერნის პამფლეტებს. ლეველერები „ჩვენი ერთგული მეგობრები არიან", — აცხადებდნენ ისინი. ჯარისკაცები მოითხოვენ აგიტატორთა და სრულიად არმიის საბჭოს აღდგენას, საეკლესიო, სამეფო და დელიქვენტების ქონების გადანაწილებისას დაშვებულ შეცდომათა აღმოფხვრას და სხვ.

29 აგვისტოს ლეველერებმა ჯარისკაცთა, პირველ რიგში, კრომველის ერთგულ კავალერისტთა შორის, გაავრცელეს ახალი პროკლამაცია „ლონდონის სახელოსნო-სავაჭრო მოსამსახურეებისა და შეგირდების პროტესტი". რომელიც არმიას „ცრუ პარლამენტისა" და გრანდების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. პროკლამაცია ამართლებდა ჯარისკაცთა აჯანყებას და მაისის გამოსვლებს, აღნიშნავდა, რომ მაშინ ბრძოლა მიმდინარეობდა „ერთის ინტერესებისათვის, თავისუფლებისათვის", „თავისუფლების ჩამხშობი ფერფაქსის, კრომველის და მათი დამჭაშების წინააღმდეგ". „მივბაძოთ ამხანაგებს, ვიბრძოლოთ ხალხის თავისუფლებისათვის", ასეთი იყო მოწოდება.

1649 წლის 8 სექტემბერს ოქსფორდში განლაგებულ რიჩარდ ინგოლდსბის პოლკში აჯანყებამ იფეთქა (პოლკოვნიკი ამ დროს ლონდონში იყო). ჯარისკაცებმა გადააყენეს და დააპატიმრეს ოფიცრები და წამოაყენეს მოთხოვნები, მათ შორის: არსებული პარლამენტის დათხოვა, ახალი პარლამენტის არჩევა „სახალხო შეთანხმების" საფუძველზე, არმიის საბჭოს და აგიტატორთა საბჭოს აღდგენა, მეათედების გაუქმება, აქციზის გაუქმება, ერთი თვის განმავლობაში ჯარისკაცთა ხელფასის დავალიანების გადახდა და სხვ. ოქსფორდელ ლეველერებს იმედი ჰქონდათ სხვა ქალაქებისა და საგრაფოების მოსახლეობისა და იქ განლაგებულ სამხედრო შენაერთების დახმარებისა. „სახელმწიფო საბჭომ" ამბოხებულებს არ მისცა საშუალება სხვა რაიონებთან კონტაქტის დამყარებისა. დიდი არმიით ოქსფორდის წინააღმდეგ დაიძრა კრომველის ერთგული გენერალი ჯონ ლამბერტი. ოქსფორდის ამბოხება რამდენიმე დღის სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ჩახშობილ იქნა. სამხედრო-საველე სასამართლომ ამბოხების სამ მეთაურს სიკვდილი მიუსაჯა, ორი — ბიქსი და პიგენი ადგილზევე დახვრიტეს, შვიდი ჯარისკაცი შპიცრუტენით დასაჯეს. ოქსფორდის მესაკუთრენი ლამბერტის წარმატებას აღფრთოვანებით შეხვდნენ, გამარჯვებულნი ჯილდოებით აღნიშნეს.

ლეველერები კვლავ ცდილობდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებათ მოსახლეობის ფართო ფენები. მაგრამ მათი პროგრამის წვრილბურჟუაზიული შეზღუდულობა, წმიდათაწმიდა საკუთრე-

ბის ყოველმხრივი დაცვა, განსაკუთრებით აგრარული პრობლემის თითქმის სრული იგნორირება მათ ამის საშუალებას არ აძლევდა. მოსახლეობის ღარიბეს ფენებზე დაყრდნობის ნაცვლად ისინი დაუპირისპირდნენ და მკვეთრად გაემიჯნენ „დიგერებს“, რომელთა სახით დაინახეს საკუთრების მტრები. ამ ვითარებამ ლეველერთა სოციალური ბაზა კიდევ უფრო დაავიწროვა. სექტემბრის დამდეგს ლილბერნი კვლავ ტოუერში დააბრუნეს. დაიწყო ლეველერების მასობრივი დევნა. პარლამენტმა 1649 წლის 28 სექტემბრის დეკლარაციით ისინი როიალისტების ფარულ აგენტებადაც კი გამოაცხადეს. 24-26 ოქტომბერს სასამართლო პროცესზე ლილბერნმა შეძლო თავის დაცვა, პირველ ყოვლისა, მან გააცამტვერა წაყენებული მძიმე ბრალდება — ხაზელმწიფოს ღალატი. აღსანიშნავია, რომ პროცესის მსვლელობის დროს სასამართლოს შენობას იცავდა ჯარი და პოლიციის გაძლიერებული რაზმი. სასამართლომ ლილბერნი გაამართლა, რასაც ინგლისის ხალხი აღტაცებით შეეგება. ლონდონში ლილბერნის პატივსაცემად საზეიმო ფეიერვერკი მოაწყეს. ლილბერნთან ერთად გაანთავისუფლეს ოვერტონი, პრინსი და უოლვინი. ლონდონელმა ბედუქნეებმა, ხელოსნებმა, სავაჭრო კორპორაციის მოსამსახურეებმა, ქარგლებმა და შეგირდებმა თავისი კუმირი — „თავისუფლად შობილი ჯონი“ ლონდონის მუნიციპალიტეტში აირჩიეს. პარლამენტმა მისი არჩევა გააუქმა. მაგრამ ეს იყო ლეველერული მოძრაობის უკანასკნელი წარმატება, გრანდებმა და კრომველმა ტერიტორიითა და რეპრესიებით შეძლეს მისი იზოლირება. ლილბერნმა წარმოაყენა წინადადება ლეველერთათვის, მათ შორის ჯარისკაცთათვის მიეცათ უფლება ამერიკის ახალშენებში გადასახლებისა. ბევრი ლეველერი მოძრაობას განუდგა და ინდეპენდენტებთან თანამშრომლობა აირჩია, ბევრმა კერძო ბიზნესს მიჰყო ხელი, მაგალითად, ჯონ უაილდმანმა მიწით სპეკულაცია დაიწყო და გამდიდრდა, პრინსმა ყველით ვაჭრობა გააჩაღა, უოლვინმა ტილოს წარმოებას მოჰკიდა ხელი, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა საერთოდ დაკარგა კლასობრივ-პოლიტიკური ორიენტაცია: ინდეპენდენტებისადმი პირადმა სიძულვილმა ისინი პრესბიტერულ კონტრრევოლუციურ ბანაკშიც კი მიიყვანა. თანამედროვე ინგლისელი ისტორიკოსის ჰ. ბრეილსფორდის აზრით ლეველერების ნაწილი, მათ შორის თვით ლილბერნი კრომველის წინააღმდეგ როიალისტებთან დაკავშირებასაც კი ფიქრობდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს განწყობა ცალკეულ ლეველერთა შორის მაინც იყო.

შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ როიალისტთა ერთ-ერთი ლიდერი ედუარდ ჰაიდი (ლორდი კლარენდონი) კრომველის წინააღმდეგ ეძებდა მოკავშირეებს როგორც პრესბიტერელებს, ასევე ლეველერებს შორის. ზოგი ცნობილი ლეველერი ინდივიდუალური ტერო-

რის გზას დაადგა. მათ შორის გამოირჩეოდა სამოქალაქო ომების გმირი პოლკოვნიკი ედუარდ სექსბი. ტერორისტი ლეველერები განსაკუთრებით მომრავლდნენ პროტექტორატის დროს. მათ წინააღმდეგ ოსტატურად მოქმედებდა ინგლისის დაზვერვის შეფი (ცნობილი) ჯონ ტერლო.

ამიერიდან, საპნის წვრილმა მეწარმემ ლილბერნმა პოლიტიკას საბოლოოდ მაინც ვერ უღალატა. იგი მწვავედ განიცდიდა აქციზისა და ბაჟების სიმძიმეს. დერამში მან გამოაქვეყნა ახალი პამფლეტი — „საპნის მხარშველთა საჩივარი ვაჭრობაში მიყენებული ზარალის გამო". 1650 წლის დასაწყისში ლილბერნი უაილდმანთან ერთად, რომელიც დროებით კვლავ პოლიტიკით დაინტერესდა, გამოდის ეპუორსის (ლინკოლნშირი) კოპიჰოლდერთა დასაცავად, რომლებიც ებრძოდნენ ადგილობრივ „შემომღობველებს" — ჭაობების ამომშრობთა კომპანიას. ლილბერნის პამფლეტი „ეპუორსის მანორის მფლობელთა საქმე" ერთადერთი და დაგვიანებული დოკუმენტია, სადაც ლილბერნი ეხება აგრარულ პრობლემას, აქტიურად ილაშქრებს „შემოღობვათა" წინააღმდეგ და იცავს კოპიჰოლდერებს. სასამართლომ საქმე „შემომღობველთა" სასარგებლოდ გადაწყვიტა. 1651 წლიდან ლილბერნი აქტიურად იბრძვის ცნობილი ინდეპენდენტის არტურ ჰეზლრიგის წინააღმდეგ, რომელიც ჩრდილოეთში მმართველის პოსტს თავისი პირადი ინტერესებისათვის იყენებდა, კერძოდ მან მიითვისა ჩრდილოეთ საგრაფოებში ქვანახშირის მდიდარი მაღაროები.

ლილბერნი ინდეპენდენტებმა სასტიკად დასაჯეს. 1652 წლის 30 იანვარს მას მიუსაჯეს 7 000 გირვანქა სტერლინგის ჯარიმა და ინგლისიდან გააძევეს. დაბრუნების შემთხვევაში მას ელოდა სიკვდილი როგორც სახელმწიფოს მოღალატეს. ლილბერნი ჰოლანდიაში გაემგზავრა. იგი პოლიტიკურ ორიენტაციას კარგავს, უკავშირდება აქაურ როიალისტებს და „ტირანის" — კრომველის მოკვლის გეგმას ადგენს".

1653 წელს კრომველის მიერ „ნაბოლარა პარლამენტის" გარეკვის შემდეგ, კრომველთან საერთო ენის გამონახვაში დაიმედებული ლილბერნი 14 ივნისს სამშობლოში დაბრუნდა. იგი დაუყოვნებლივ დააპატიმრეს, მას ელოდა სიკვდილით დასჯა, მაგრამ სასამართლომ იგი გაამართლა. როგორც ჩანს, გრანდებსა და კრომველს სახალხო მღელვარებისა ეშინოდათ (შემთხვევითი როდი იყო ის, რომ სასამართლო პროცესის დროს კრომველს საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდა სამი პოლკი). მიუხედავად გამართლებისა, ლილბერნი საპატიმროში დატოვეს (ჯერ ტოუერის ციხეში, შემდეგ კუნძულ ჯერსიზე). კრომველმა ლილბერნს მეუღლე (ელისაბედი) მიუგზავნა და თავისუფლება აღუთქვა იმ პირობით, რომ იგი პოლიტიკას ჩამოშორდებოდა. ლილბერნმა უარყო ეს წინადადება. 1655 წელს ლილბერნი გადაჰყავთ

დუვრის ციხეში. აქ მან დაწერა უკანასკნელი პამფლეტი: „მკვდრეთით აღდგომა ჯონ ლილბერნისა — ამჟამად დუვრის ციხის პატიმრისა". აქვე იგი შეუერთდა კვაკერთა რელიგიურ მემარცხენე-დემოკრატიულ სექტას. 1657 წელს ლილბერნი პატიმრობიდან განთავისუფლდა, სულ მალე — იმავე წლის 29 აგვისტოს იგი გარდაიცვალა. კრომველის გარდაცვალების შემდეგ 1659 წლის გაზაფხულზე ხელისუფლების სათავეში დაბრუნებულმა „ნაბოლარა პარლამენტმა" ლილბერნს სახელმწიფო ღალატის ბრალდება მოუხსნა და მის ქვრივს პენსია დაუნიშნა.

3. დიგერების მოძრაობა

1649 წლის 8 აპრილს ინგლისი უჩვეულო ფაქტის მოწმე გახდა. ამ დღეს, დილით, სერის საგრაფოს სოფელ კობჰემის (ლონდონიდან 30 კმ დაშორებით) ღარიბ-ღატაკთა ჯგუფმა (თოხებით, ბარებით და ნიჩბებით შეიარაღებულმა) წმინდა გიორგის სახელით ცნობილი ბორცვის ერთ-ერთი ვერანი ფერდობის დამუშავება დაიწყო. მათ სათავეში ედგა არმიიდან განდევნილი ყოფილი ჯარისკაცი ლეველერი უილიამ ეველარდი, რომელიც თავს „წინასწარმეტყველს" უწოდებდა. აქვე იყო „დიგერების" მოძრაობის ლიდერი და თეორეტიკოსი ჯერარდ უინსტენლი. დაბარულ მიწაზე მათ დათესეს ტურნეფსი, სტაფილო და ცერცვი. მეორე დღეს უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფი მოვიდა. მათ გადაწვეს დაახლოებით 40 რუდის ფართობის (1 რუდი = 1/4 აკრს) ჯაგნარი. მესამედ სამუშაოზე 30 კაცი გამოცხადდა. ისინი ვერანა ადგილს მთელი დღის განმავლობაში ბარავდნენ. გადაწყვიტეს საერთო ძალებით შეეძინათ 2-3 გუთანი და სათესლე მასალა მეზობელ კინგსტონში. მათ სამუშაოდ მოუხმეს ყველა ღარიბ მცხოვრებს. დაპირდნენ საჭმელს, წყალს, ტანისამოსს. სამუშაოდ მოსულნი ირწმუნებოდნენ, რომ უახლოეს ათ დღეში მათ შეუერთდება 4 ან 5 ათასი კაცი.

ადგილობრივი, მალე კი მთელი ინგლისის მესაკუთრეები აღაშფოთა კობჰემელთა საქციელმა. არაკუთვნილი მიწების უნებართვოდ დამუშავების „გაუგონარმა" ფაქტებმა სხვაგანაც იჩინეს თავი. 1650 წლის მარტში უელინგბორში (ნორტჰემპტონშირის საგრაფო), რამდენიმე ასეული ღარიბი ჩაება მსგავს საქმიანობაში, იგივე განმეორდა კენტში, გლოსტერშირში და სხვა საგრაფოებში. მოძრაობას მასობრივი ხასიათი არ მიუღია. მას თავიდანვე დაქსაქსული, ლოკალური ხასიათი ჰქონდა. სახელმწიფო საბჭოს ისინი თხოვდნენ დაუმუშავებელი ვერანა ადგილების მათთვის დამკვიდრებას. პასუხად საბჭომ ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეებს უბრძანა მათი განდევნა და მოთაეების სამართალში მიცემა.

ინგლისის პირველ კომუნარებს 1607 წლის გლეხთა აჯანყების მაგალითზე შეარქვეს „დიგერები", „მთხრელ-მბარავები" (ინგლისური to dig — მთხრელ-მბარავი). თვითონ დიგერები ამჯობინებდნენ სახელწოდებას—„ჭეშმარიტი ლეველერები" (true levellers), ამით ისინი უპირისპირდებოდნენ ჯონ ლილბერნის ლეველერულ პარტიას, რომელიც მათი გაგებით არაჭეშმარიტი გამთანაბრებლები იყვნენ. ასე შეიქმნა პირველი ინგლისური აგრარული კომუნა-კოოპერატივი, ინგლისელ ღარიბ-ღატაკთა „კომუნისტური კოლონია", ასე დაიწყო ინგლისის რევოლუციის ისტორიაში ყველაზე უფრო რადიკალური გლეხურ-პლებეური მოძრაობა.

ლენდლორდები და მდიდარი იომენები თავიდანვე სასტიკად წინ აღუდგნენ დიგერებს, რომელთა სახით დაინახეს საკუთრების წმიდათაწმიდა უფლებაზე საშიში ხელმყოფელები. დაიწყო მათი მეურნეობის დარბევა, დიგერებს ართმევდნენ სამუშაო იარაღს, უნადგურებდნენ ნათესებს, ანგრევდნენ მათ მიერ საზოგადო სარგებლობად მიჩნეულ მიწებზე სახელდახელოდ აშენებულ ქოხმახებსა და სხვა სათავესებს, ხოცავდნენ მათ საქონელს და სხვ. კობჰემის მანორის-ლორდმა უოლტონმა დიგერები დააპატიმრა და სამრეველოს ეკლესიაში გამოკეტა, მაგრამ დანაშაულის არარსებობის გამო, იძულებული გახდა მალე გაეშვა ისინი. შემდეგ მან დიგერებს ადგილობრივი მდიდარი გლეხები შეუსია, მათ გადაწვეს ვერანა ადგილზე დიგერების მიერ აშენებული საერთო სარგებლობის სახლი, დაამტვრიეს მათი სამუშაო იარაღი, რამდენიმე დროებით დააკავეს კიდეც. მესაკუთრეთა მიერ დიგერთა კომუნების დარბევა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. დიგერებს დაუზოგავად სცემდნენ, მიწებიდან ერეკებოდნენ, აპატიმრებდნენ, ასამართლებდნენ, აჯარიმებდნენ, მათ წინააღმდეგ ავრცელებდნენ ათასგვარ ჭორებს, ბრალს სდებდნენ როიალიზმში, მეფის აგენტობაში, ამტკიცებდნენ, რომ მათ სურთ ერთობა არა მარტო მიწებისა, არამედ ცოლებისაც და სხვ. მესაკუთრეებს მალე გვერდში ხელისუფლებაც ამოუდგა. გრანდებმა და კრომველმა „დიგერების" წინააღმდეგ განახორციელეს სასტიკი რეპრესია, არანაკლებ, ვიდრე ლეველერების წინააღმდეგ. დიგერები ინდეპენდენტთათვის უფრო საშიშნი იყვნენ, ვიდრე ლეველერები. დიგერებისა და ინდეპენდენტების ბრძოლა კლასობრივი ბრძოლის მაგალითია, აქ ღარიბი მდიდარს ებრძვის, უპირისპირდება ბურჟუაზიული საზოგადოების საფუძველს—საკუთრებას, სურს შეცვალოს თვით საზოგადოების სახე, მისი არსი. ლეველერებსა და ინდეპენდენტებს შორის ბრძოლა კი შიდაკლასობრივი ბრძოლის მაგალითია. აქ ბურჟუაზიის ერთი ნაწილი უპირისპირდება ბურჟუაზიის მეორე ნაწილს. ბრძოლა მიმდინარეობს მხოლოდ პოლიტიკის სფეროში, საკუთრება ორივე ჯგუფისათვის ერთ-

ნაირად ძვირფასი და ხელშეუხებელია. დიგერები ანუ „ჭეშმარიტი ლეველერები“ სოციალური გამთანაბრებლები არიან, „ლეველერები“ კი რჩებიან „პოლიტიკურ გამთანაბრებლებად“. ერთ-ერთი დიგერული დოკუმენტის ენით რომ ვთქვათ, ლილბერნს და მის კომპანიას სურს ხალხს მისცეს „მხოლოდ ხმის უფლება, ჩვენ კი ხმის უფლებასთან ერთად მიწასაც მოვითხოვთო“. მ. ა. ბარგი, რომელმაც დიგერების მოძრაობას პირველი მარქსისტული მონოგრაფია უძღვნა (Народные низы в Английской буржуазной революции XVII в. М., 1967) მიუთითებს, რომ დიგერების მოძრაობის ისტორია აღსავსეა დრამატიზმით, 1649 წლის ინდეპენდენტური რესპუბლიკის მთელს სისტემაში განსახიერებული საკუთრებისა და მომხვეჭელობის სამყაროს წინააღმდეგ ერთი მუჭა მამაც მთხრელთა თავგანწირული ბრძოლით. მიუხედავად იმისა, რომ მათი რიცხვი არასოდეს არ აჭარბებდა რამდენიმე ათეულ კაცს, მათ ძლიერნი ამა ქვეყნისანი ძალზე დააშინეს. კრომველი დიგერების მოძრაობას სიტყვით (ოფიციალურად თუ არაოფიციალურად) აგდებით იხსენებდა, საქმით კი მათ წინააღმდეგ ფრონტალურ, დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა. კლასობრივი ალღო კარნახობდა მას დიგერთა მოძრაობაში პოტენციური დიდი საფრთხე დაენახა. დიგერები, რომლებიც მოქმედებდნენ „ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის“ დევიზით და მშვიდობიან ბრძოლას ქადაგებდნენ, რეპრესიებს მხოლოდ პასიური პროტესტით უპირისპირდებოდნენ.

16 აპრილს კობჰემელმა მესაკუთრემ ჰენრი სანდერსმა სახელმწიფო საბჭოს გაუგზავნა საგანგაშო წერილი. იგი ირწმუნებოდა, რომ წმინდა გიორგის ბორცვზე მიმდინარე ამბებს „შეიძლება მოჰყვეს რესპუბლიკისათვის საშიში შედეგები. ვშიშობთ, რომ მათ რაღაც ჩანაფიქრი ამოძრავებთ“, — ამბობდა იგი და მოითხოვდა ამ საშიში უმსგავსობების დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად სამხედრო ნაწილების გამოგზავნას, რათა ასეთი უკანონო შეკრებები, რომელთაც შეუძლიათ სახელმწიფოს უფრო დიდი ზარალი მიაყენოს, სხვაგანაც არ მოხდეს.

ბრედშოუმ დაიბარა ფერფაქსი. გადასცა წერილი და დაუყოვნებლივ რეაგირება დაავალა. 19 აპრილს მთავარსარდალმა კობჰემში კაპიტან გლედმენის მეთაურობით კავალერიის ორი ესკადრონი გაგზავნა. კობჰემელმა ღარიბ-ღატაკებმა („კომუნარებმა“) ჯარისკაცთა გამოჩენისთანავე შეწყვიტეს მუშაობა და მშვიდად დაიშალნენ. კაპიტანმა გლედმენმა აქაური ამბები უმნიშვნელო ინციდენტად ჩათვალა და ფერფაქსს წარუდგინა ირონიით აღსავსე მოხსენებითი ბარათი, „საქმე არ იმსახურებს არც ანგარიშს და არც ყურადღებას“, — წერდა იგი. მანვე ურჩია უინსტენლისა და ევერარდს პირადად ხლებოდნენ ფერ-

ფაქსს და განემარტათ მათთვის რა სურდათ და რას მოითხოვდნენ. მესაკუთრე ინგლისი და მათი ხელისუფლება საქმეს გლედჰემის თვალით როდი ზომავდა. მათი შეშფოთება სერიოზული იყო და არცთუ ისე უსაფუძვლო.

ვინ იყვნენ „ჰეშმარიტი ლეველერები“, ანუ „დიგერები“, რა სურდათ მათ, რატომ გამოიწვია ამ ერთი შეხედვით უწყინარი, ღვთისმოსავი ადამიანების მიერ უკაცრიელი, ვერანა მიწის დამუშავებამ მესაკუთრე ინგლისის შეშფოთება და საკმაოდ დიდი პანიკა?

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია დიგერების მოძრაობას ან სავსებით უგულებელყოფს, ან მოიხსენიებს გაკვრით, სხვათა შორის, როგორც უმნიშვნელო ეპიზოდს (რომელიც მოვლენათა მსვლელობასთან არავითარ კავშირში არ იყო, მასზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა), ან წარმოაჩენს მას როგორც მხოლოდ ნეგატიურ მოვლენას (რომელიც უპირისპირდება ტრადიციებს, საკუთრებას, სახელმწიფოს და წარმოადგენს ანარქისტულ დამანგრეველ ტენდენციების მატარებელ, ანტისაზოგადოებრივ სოციალისტურ, კომუნისტურ უაზრო ქიმერას). ეს ტრადიცია დაამკვიდრეს იუმმა, გოდვინმა, გიზომ, გარდინერმა და სხვ. იუმი ვერ ანსხვავებს „ლეველერებსა“ და „ჰეშმარიტ ლეველერებს“. მიაჩნია, რომ ისინი მოითხოვენ „მიუწვდომელს“, „შესაზარს“. გოდვინი პირველი შეეცადა ლეველერებისა (წვრილბურჟუაზიული რადიკალების) და „ჰეშმარიტი ლეველერების“ გამიჯვნას. იგი „დიგერების“ სახით წარმოგვიდგენს რაღაც სექტას, რომელიც ყურადღებას არ იმსახურებს. გიზო „დიგერებში“ ხედავს მისთვის ესოდენ საძულველ „კომუნისტებს“ და მათ მოძრაობას წარმოაჩენს როგორც მხოლოდ პოლიტიკურ კურიოზს. გარდინერისათვის დიგერები, რომლებიც უპირისპირდებიან საკუთრებას, ტრადიციულ ავტორიტეტსა და წესრიგს, „ჰალუცინაციით დაავადებული“ ადამიანები არიან.

XX საუკუნის დამდეგს ინგლისელმა ისტორიკოსმა ლ. ბერნსმა „ჰეშმარიტ ლეველერთა“ მოძრაობის მონოგრაფიულად შესწავლა სცადა. მან დიგერები წარმოადგინა როგორც ყოველგვარ სოციალურ-კლასობრივ საფუძველს მოკლებული რელიგიურ-მორალისტური რეფორმისტული სექტა. შუა საუკუნეობრივი მისტიციზმისა და სექტანტობის განსახიერებად მიიჩნია ეს მოძრაობა თანამედროვე ინგლისელმა მკვლევარმა უ. შენკმა. მისი თქმით, სოციალური თანასწორობისათვის მებრძოლი დიგერები წინ, მარქსისაკენ კი არ იხედებოდნენ, არამედ უკან — ბიბლიისაკენ და ეკლესიისაკენ.

დაკნინებასთან და უგულებელყოფასთან ერთად ადგილი ჰქონდა

დიგერთა მოძრაობის ჰიპერბოლიზაციას, მისი მნიშვნელობის გაზვიადებას, მოდერნიზებას.. „ჭეშმარიტ ლეველერების“ სახით ცნობილმა ოპორტუნისტმა და რევიზიონისტმა ედუარდ ბერნშტაინმა „პროლეტარიატის იდეოლოგებიც“ კი დაინახა. იგივე გაიმეორა ინგლისელმა მკვლევარმა ჯ. პეტეგორსკიმ. ამასვე იმეორებენ ინგლისელი პროგრესული ისტორიკოსები ჰენრი ჰოლრენშოუ და მარგრიტ ჯეიმზი. პირველისათვის „ჭეშმარიტი ლეველერები“ კოოპერაციული სოციალისტური რესპუბლიკის“ ნაირსახეობას წარმოადგენენ, ჯეიმზი კი უინსტენლის მარქსიზმის ერთ-ერთ წინამორბედადაც კი მიიჩნევს.

საბჭოთა ისტორიოგრაფიამ (ვოლგინი, სტალინი, საპრიკინი, ბარგი და სხვ.) მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიის საფუძველზე ძირითადად შესძლო „ჭეშმარიტ ლეველერთა“ მოძრაობის რაობისა და მისი ისტორიული როლის მეცნიერული განსაზღვრა.

პირველ ყოვლისა, საბჭოთა ისტორიკოსებმა ნათელყვეს ის, რომ „ჭეშმარიტ ლეველერთა“ მოძრაობა არ იყო რეკოლუციის მსვლელობისათვის უცხო, მისგან მოწყვეტილი, უბრალო ეპიზოდი, რამდენიმე ეგზალტირებული სექტანტის სუბიექტური, თანაც ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული წამოწყება, არამედ ყურადსაღები მოვლენა, რომელიც ორგანულად იყო დაკავშირებული რევოლუციასთან, მისგან გამომდინარეობდა, წარმოადგენდა რევოლუციის შინაგანი განვითარების კანონზომიერ, ლოგიკურ შედეგს. მ. ა. ბარგის მართებული განმარტებით, ეს მოძრაობა იყო ინგლისის რევოლუციის განვითარების უმაღლესი საფეხური, რომელიც გამოხატავდა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ინტერესებს.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ დიგერების მოძრაობას არავითარი კანონზომიერება არ გააჩნდა, რომ იგი მოკლებული იყო ყოველგვარ სოციალურ შინაარსს, იყო შედეგი რევოლუციის მსვლელობის დროს შექმნილი სიძნელეებისა (ეკონომიკური გაჭირვება, ომი, მოუსავლიანობა, გადასახადთა გაზრდა და სხვ.). ამ მოძრაობაში ვიწრო ჯგუფებმა (და არა მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა) გამონახა სიძნელეებისაგან თავის დაღწევის მისტიკურ-სქოლასტიკური, აბსტრაქტული, ყოველგვარ ობიექტურ გეგმაზომიერებას და ლოგიკას მოკლებული საშუალება, უბრალოდ გაიმეორა შუა საუკუნეებში გავრცელებული ჰილიასტური ოცნება. დიგერები მათი აზრით უკან იყურებოდნენ და არა წინ.

საბჭოთა ისტორიოგრაფიამ შესძლო ამ დებულებათა გაბათილება. მან ნათელყო, რომ „ჭეშმარიტ-ლეველერთა“ მოძრაობას გააჩნდა მნიშვნელოვანი სოციალური ბაზა, იგი გამოხატავდა „საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის“ ინტერესებს.

ვინ უნდა ვიგულისხმოთ „საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილ-

ში". ერთი რამ უდავოა — „ჰეშმარიტი ლეველერები" არ წარმოადგენდნენ რომელიმე გამოკვეთილი კლასის იდეოლოგებს, ისინი გამოხატავდნენ ინგლისის ხალხის დაბალი ფენების, ამ ჰერლი სოციალური კონგლომერატის ინტერესებს. „ჰეშმარიტ ლეველერების" მოძღვრებას ჰქონდა საერთო დემოკრატიული ხასიათი. პირველ ყოვლისა, დიგერების სოციალურ ბაზას ქმნიდნენ სოფლის ღარიბ-ღატაკი, ბოგანო, უმიწო ან მიწით ნაკლებად უზრუნველყოფილი გლეხები, მეორე საყრდენ ძალას ქმნიდა ქალაქის პლებეური მასა — პრეპროლეტარიატი. შესაძლებელია ამ ბანაკს ქალაქის ლუმპენპროლეტარიატიც მივაკუთვნოთ. „დიგერები" სოციალურ თანასწორობას მიწის ერთობაში, საზიარობაში სედაევნ. ქალაქის პლებეებს, რომლებსაც თანასწორობის რაიმე საკუთარი, გამოკვეთილი გაგება არ გააჩნიათ, მიწის განსაზოგადოება მიაჩნიათ სოციალური ტრაგედიიდან თავის დაღწევის საშუალებად. სოციალურ თანასწორობაზე სოფლისა და ქალაქის პლებეებს ჯერჯერობით თითქმის ერთნაირი წარმოდგენა აქვთ. „დიგერების" სოციალური ბაზა კლასობრივად უმწიფარ ძალას წარმოადგენდა, უმწიფარ კლასებს კი, როგორც ვიცით, უმწიფარი იდეოლოგია ახასიათებთ.

„ჰეშმარიტი ლეველერების" მოძრაობა — ხალხის დაბალი ფენების დამოუკიდებელი მოძრაობის კულმინაცია, ბარგის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „განასახიერებდა ჰეშმარიტად დემოკრატიულ ანტიფეოდალურ გადატრიალებას". ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ მოძრაობაში თანასწორობისათვის ბრძოლა, პირველ ყოვლისა, ნიშნავს ბრძოლას ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა წინააღმდეგ. ინგლისის ანტიფეოდალური რევოლუცია არსებითი თავისებურებებით გამოირჩევა. აქ თანასწორობისათვის ბრძოლა მარტო ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა წინააღმდეგ ბრძოლას არ ნიშნავს. იგი გულისხმობს აგრეთვე ბრძოლას კაპიტალისტურ-მემამულურ ურთიერთობათა წინააღმდეგ. ეს ურთიერთობანი, როგორც ცნობილია, ინგლისში უკვე რევოლუციამდე ჩაისახა. რევოლუციამ დატოვა ლენდლორდიზმი როგორც სისტემა. მაგრამ ახალი ლენდლორდი ხომ მიწას უკვე ფლობდა როგორც ბურჟუა-მესაკუთრე.

როგორც ვიცით, რევოლუციის პერიოდში გლეხობას ფაქტიურად ორ ფრონტზე უხდება ბრძოლა, იგი ებრძვის როგორც ფეოდალურ-ბატონყმურ, ასევე კაპიტალისტურ-მემამულურ ურთიერთობას. ორ ფრონტზე ბრძოლას ითვალისწინებს დიგერთა პროგრამაც — „მიწა ლენდლორდის გარეშე". „ჰეშმარიტი ლეველერები" უპირისპირდებიან როგორც ფეოდალურ ჩაგვრას, ასევე ბურჟუაზიულ ჩაგვრას, ბურჟუაზიულ საკუთრებას. იმ მომენტში, როცა დიგერების მოძრაობა გაიშალა, ინგლისის სინამდვილეში ფეოდალურ-ბატონყმუ-

რი ურთიერთობა ძირითადად ძლეულია. მიწა ბურჟუაზიულ საკუთრებაში ხელთ იგდეს ახალმა თავადაზნაურობამ, ბურჟუაზიამ და შეძლებულმა გლეხობამ. ამჯერად მიწისთვის დიგერები უპირატესად მათ ებრძვიან, ამიერიდან ღარიბ-ღატაკი ინგლისი ბურჟუაზიულ ექსპლუატაციის (რომელმაც ფორმა, ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით სოფლად, ფეოდალური შეინარჩუნა) წინააღმდეგ ილაშქრებს. ამით აიხსნება ის, რომ ინდეპენდენტებისათვის დიგერების მოძრაობა ნიშნავს ბურჟუაზიულ საკუთრებაზე ხელყოფას, ამიტომ ხედავენ ისინი „ჰეშმარიტი ლეველერების“ სახით როიალისტებთან შედარებით არა ნაკლებ საშიშ ძალას.

საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ნათელყო ისიც, რომ „ჰეშმარიტ ლეველერთა“ მოძრაობა არ იყო რევოლუციის მსვლელობის შედეგად შექმნილი სიძნელეებით (ეკონომიკური კრიზისი, შიმშილი, სიძვირე, მძიმე გადასახადები და სხვ.) გამოწვეული რაღაც სტიქიური აფეთქება, სქოლასტიკურ-აბსტრაქტული, გულუბრყვილო-უტოპიური, შუა საუკუნეობრივი, ყოველგვარ კანონზომიერებას, ობიექტურ საფუძველს და რეალურ გეგმას მოკლებული მისტიკურ-რელიგიური ჰილიასტური მისწრაფებანი ღარიბებისა, რომელნიც ამ სიძნელეებისაგან თავის დაღწევას ლამობდნენ.

„ჰეშმარიტ ლეველერებმა“, კერძოდ მათმა ლიდერმა უინსტენლიმ შექმნა ინგლისის საზოგადოების სოციალურ თანასწორობის საფუძველზე რეკონსტრუქციის საკმაოდ საინტერესო თეორია, რომელიც, პირველ ყოვლისა, საკუთრების განსაზოგადოებას ითვალისწინებდა. ეს თეორია უკან, შუა საუკუნეებისაკენ, ჰილიასტურ სექტებისაკენ როდი იყურებოდა და, როგორც ეს აკადემიკოსმა ვ. პ. ვოლგინმა ნათელყო, არც ანაბაპტისტებისა და თომაზ მიუნცერის შეხედულებათა ებრალო განმეორებას წარმოადგენდა, მათგან განსხვავებით, აღნიშნავდა ვოლგინი, უინსტენლიმ, რომელიც წინ იყურებოდა, შექმნა მარქსამდელი სოციალიზმის ერთ-ერთი საინტერესო და ორიგინალური უტოპიური სისტემა და კაცობრიობის კომუნისტური მომავლის დიდ წინასწარმეტყველთა შორის სხვებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

„ჰეშმარიტი ლეველერების“ სოციალურ საყრდენს კლასობრივად უმწიფარი ძალა წარმოადგენდა, უმწიფარ კლასებს კი, როგორც ვიცით, უმწიფარი იდეოლოგია ახასიათებს. პირველ ყოვლისა, ეს მოძრაობა რელიგიური სამოსით იყო შემოსილი. ფ. ენგელსმა გერმანიაში გლეხთა დიდი ომის მაგალითზე დაადასტურა, რომ XVI საუკუნის პლებეური მასების იდეოლოგია თვისობრივად განსხვავდებოდა თანასწორობის რელიგიურ-სექტანტურ ადრინდელ გაგებისაგან, თუმ-

ცა ინარჩუნებდა ძველი, ტრადიციული, რელიგიური აზროვნების ფორმას. შემდგომშიც ადრინდელი ყველა პლებეურ-სოციალისტური მოძღვრება, რომელიც მომავლის მჭონე რეალური საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესებს გამოხატავს, არაა თავისუფალი რელიგიურ, უტოპიურ შეცდომებისაგან. ვითარება არსებითად იცვლება, როცა ამ რეალურმა ჯგუფებმა კლასობრივ სრულყოფას მიაღწიეს, როცა იშვა სამრეწველო პროლეტარიატი და სოციალისტური მოძღვრება პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას შეერწყა. ამიერიდან სოციალიზმმა მიიღო მეცნიერული, სრულყოფილი ხასიათი, XIX საუკუნის II ნახევარში იშვა „მეცნიერული კომუნიზმი" — პროლეტარიატის რევოლუციური თეორია.

XVII საუკუნის „გამთანაბრებლების" სოციალისტებად და კომუნისტებად, მარქსიზმის უშუალო წინამორბედებად გამოცხადება პრობლემის ხელოვნური მოდერნიზების და ვულგარული სოციოლოგიზმის შედეგია. მათი იდეოლოგია არ შეიძლება მაშინ არარსებული პროლეტარიატის იდეოლოგიად ჩაითვალოს.

„ჰეშმარიტი ლეველერები", რომლებიც უპირატესად „შავი გადანაწილების" პოზიციაზე იდგნენ, სოფლის ღარიბ-ღატაკთა და ქალაქის პლებსის (პრეპროლეტარიატის) იდეოლოგებად რჩებიან. მათი იდეოლოგია უხეში, პრიმიტიული, აგრარულ-გლეხური გამთანაბრებლური კომუნიზმის მაგალითია. მაგრამ მათი ისტორიული მნიშვნელობა დიდია, ეს მოძრაობა ისტორიის მომავალს ითვალისწინებს. ლეველერები არ ერიდებოდნენ აქტიურ, თუნდაც შეიარაღებულ ბრძოლას. „დიგერები" გაცილებით უფრო გაუბედავნი იყვნენ, ისინი მტკიცედ იცავდნენ მშვიდობიანი ბრძოლის პრინციპს.

„ჰეშმარიტ ლეველერთა" მოძრაობის უგულებელყოფისას ბურჟუაზიული ისტორიკოსები ხშირად აღნიშნავდნენ, რა საჭიროა ვილაპარაკოთ ისეთი მოვლენების შესახებ, რომლებიც უშედეგოდ რჩება. მაგალითად, რევოლუციის ისტორიაში დემოკრატიული ძალების, ხალხის აქტიურობის, ამ შემთხვევაში „ჰეშმარიტი ლეველერების" მოძრაობას ხომ შედეგი არ მოჰყოლია, იგი უკვალოდ გაქრა და სხვ. ამ შემთხვევაში ისტორიის ზედაპირულ გაგებასთან, მის აშკარა ვულგარიზაციასთან გვაქვს საქმე. დემოკრატიული მოძრაობის მნიშვნელობის შესწავლას ორი ასპექტი აქვს. პირველ ყოვლისა, გასარკვევია რა როლი შეასრულა ამ მოძრაობამ რევოლუციის ისტორიაში. საკითხის მეორე ასპექტია ის, თუ რატომ ვერ მიაღწია ხალხმა (ამ შემთხვევაში ინგლისის რევოლუციის მაგალითზე) რაიმე არსებით წარმატებას, თუნდაც ისეთს, რომელსაც ფრანგმა ხალხმა მიაღწია საფრანგეთის დიდი რევოლუციის მესამე — იაკობინელთა დიქტატურის ეტაპზე.

ისტორიული ჰეშმარიტებაა, რომ ინგლისის რევოლუციაში მოკავ-

შირე კლასებმა წარმატებას — ფეოდალურ-აბსოლუტური სისტემის დანგრევას მხოლოდ ხალხის აქტიურობის წარმატებით მიაღწია. ფეოდალიზმზე ბურჟუაზიული სისტემის გამარჯვება, ეს უდიდესი სოციალური პროგრესი, განხორციელდა ხალხის მეშვეობით, მისი რევოლუციური აქტიურობის პირობებში, განა შეიძლება უგულებელყოფა ამ ფაქტისა, განა შეიძლება რევოლუციის ისტორია გავიაზროთ რევოლუციაში ხალხის როლის წარმოჩენის გარეშე?

სულ სხვა საკითხია, თუ რატომ ვერ წაართვა დემოკრატიულმა მასამ ჰეგემონობა მოკავშირე კლასებს, თუნდაც დროებით. ეს უკვე გარკვეული ისტორიული კონიუნქტურის შედეგია, რომელიც პირობადებულია, პირველ ყოვლისა, ინგლისის რევოლუციის თავისებურებებით (მისი კონსერვატორული ბუნება, რაც შედეგი იყო ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის კავშირისა, დემოკრატიული ბანაკის სისუსტისა და სხვ.). უკიდურესი ბურჟუაზიული რევოლუციონერები— ლეველერები პოლიტიკური დემოკრატიისათვის ბრძოლით შემოიფარგლნენ. ისინი მთავარ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კანონის წინაშე თანასწორობას, ძალაში ტოვებდნენ კერძო საკუთრებას, მისგან გამომდინარე ეკონომიკურ უთანასწორობას ანუ ფაქტიურ უთანასწორობას. ლეველერული თანასწორობა იყო ფორმალური, არაშემარიტი, იგი ძალაში ტოვებდა უმრავლესობაზე უმცირესობის ბატონობას. დიგერებმა წამოაყენეს ახალი, ბურჟუაზიისაგან თვისობრივად განსხვავებული თანასწორობის იდეა, რომელიც ითვალისწინებდა არა პოლიტიკურს, არამედ სოციალურ, ჭეშმარიტ თანასწორობას, რასაც საფუძვლად უნდა დადებოდა კერძო საკუთრების მოსპობა. „ჭეშმარიტი ლეველერები“ ოცნებობდნენ შეექმნათ ახალი, ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან განსხვავებული საზოგადოება. მაშინ მათი მიზანი ნაადრევი იყო და „განუხორციელებელ“, „ფანტასტურ“ ოცნებად რჩებოდა. ამის საშუალებას არ იძლეოდა ისტორიული ეპოქა, ახალი იდეალისათვის მებრძოლი ძალების სისუსტე. ერთი სიტყვით, არ არსებობდა მიზნის მისაღწევად საჭირო მატერიალური პირობები, მაგრამ მომავალში შესაფერ ისტორიულ ეპოქაში ეს ოცნება სინამდვილედ იქცა.

ისტორიზმი ისტორიის მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, შეუძლებელია გავიაზროთ ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის დღევანდელობა, მისი ამჟამინდელი არსი, იმის გარკვევის გარეშე, თუ როგორ აღმოცენდა იგი, რა ძირითადი ეტაპები განვლო მან თავის განვითარების პროცესში. ამ თვალსაზრისით „ჭეშმარიტ ლეველერების ისტორიის“ შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერული კომუნიზმის ისტორიის წარმოჩენისათვის, სოციალური პროგრესის მარქსისტული თეორიის გაგებისათვის.

„შეშმარიტი ლეველერების“ ანუ „დიგერების“ მოძრაობა ლეველერული მოძრაობიდან აღმოცენდა, იგი განვითარდა როგორც ამ მოძრაობის მემარცხენე ფრთა. უკვე 1647 წელს გაისმა პირველად ქონებრივი გათანაბრების, „შავი გადანაწილების“ მოთხოვნები. 1648 წლისათვის ამ მოძრაობამ დამოუკიდებელი იდეოლოგიისა და მოძრაობის ხასიათი მიიღო.

გაუბედავ რეპლიკებს საკუთრებისადმი, როგორც სოციალური უთანასწორობის ძირითად წყაროსადმი, როგორც აღვნიშნეთ, ლეველერებიც გამოთქვამდნენ (უოლვინი, კუკი, რენსბორო და სხვ.). პირველად სოციალური თანასწორობის დამყარების აუცილებლობის იდეა წამოაყენეს „სოფლის ლეველერებმა“ 1648 წლის 5 დეკემბერს გამოქვეყნებულ ცნობილ პამფლეტში — „აისი, რომელიც არიერაჟდა ბეკინჰემშირში“. ბიბლიური შინაარსით განმსჭვალულ ამ ნაწარმოებში საკმაოდ მკაფიოდაა წარმოჩენილი საზოგადოების და სახელმწიფოს კლასობრივი ბუნება, სოციალური უთანასწორობის მიზეზები. თავდაპირველად ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანები თანასწორნი და თავისუფალნი იყვნენ. მიწა და ყოველგვარი სიკეთე ყველას წილხვდომილი იყო. შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა ეგოისტური, ანგარებითი მოსაზრებით შემოიფარგლა მიწის ნაკვეთი და იგი კერძო საკუთრებად გამოაცხადა. აქედან იწყება ადამიანთა სოციალური ტანჯვის ისტორია, ერთის ბატონობა მეორეზე. მიწების საკუთრებაში ძალით მიმტაცებლებმა, ნაძარცვი ქონებისა და პრივილიგების შენარჩუნების მიზნით შექმნეს სახელმწიფო მეფის მეთაურობით. ამჟამად ვითარება ასეთია: „ყველა მიწა, სოფელი, ნადირი, თევზი, ფრინველი და სხვ. შემოღობილია და მას მცირედნი ფლობენ“. „გასათბობად მოჭრილი ხისათვის სჯიან, ფრინველზე ნადირობისათვის ციხეში სვამენ, რადგან ნადირობა ჯენტლმენთა გასართობია მხოლოდ. მიწების შემოღობვის გამო ღარიბს არ შეუძლია იყოლიოს საქონელი, ააშენოს ქოხი, ამისთვის საჭიროა ლორდისაგან ნებართვის ყიდვა. მიწაზე მჯდომი კოპიჰოლდერი მონადაა ქცეული“ და სხვ. პამფლეტი მიმართულია ლენდლორდთა მონოპოლიის წინააღმდეგ. ხალხის უფლებათა აღდგენისათვის საჭიროა გაუქმდეს მეფისა და ლორდების სელისუფლება, ქვეყნად უნდა დამყარდეს პოლიტიკურთან ერთად სოციალური თანასწორობა, ყველამ ერთნაირად უნდა იმუშაოს და ერთნაირად უნდა ისარგებლოს თავისი შრომის ნაყოფით, ყველას უნდა ჰქონდეს იმდენი, რამდენიც საჭიროა მისი არსებობისათვის. სიღარიბის მოსპობა პამფლეტის ავტორთათვის შესაძლებელია, ამისათვის საკმარისია ღარიბ-ღატაკებს დავურიგოთ თავისუფალი მიწები (საეკლესიო, სამეფო,

დელიქვენტების) და არ უნდა ვაქციოთ ისინი ცალკეული ადამიანების გამდიდრების ობიექტად. ამრიგად, ჯერჯერობით პამფლეტის ავტორები სოციალურ თანასწორობის მიღწევას ფიქრობენ ქონების სამართლიანი გადანაწილების და არა გაუქმების გზით. პამფლეტმა ღარიბლატაკ გლეხებში (კოტერები, ბოგანო გლეხობა, მოჯამაგირეები, სოფლის მუშები) ფართო გავრცელება პოვა, რამდენიმე თვის შემდეგ, 30 მარტს გამოქვეყნდა პამფლეტის გაგრძელება — „ბეკინჰემში არიჟრაჟებული ახალი აისი". ამ პამფლეტში ბუნებითი უფლებები გაგებულია, როგორც საკუთრებაზე წილის უფლება. აირტონი თავიდანვე ბუნებითი უფლებების პლებეურ გაგებაში სწორედ ამ საფრთხეს ხედავდა. ინდეპენდენტების მიხედვით საკუთრება ეკუთვნის იმას, ვინც იგი მოიპოვა და დაიმკვიდრა.

„სოფლის ლეველერებსა" და მათ მანიფესტს გარდამავალი საფეხური უჭირავთ ლეველერებსა და „ჭეშმარიტ ლეველერებს" შორის. „ჭეშმარიტი ლეველერების" მოძრაობა დამოუკიდებელ თეორიულ და პრაქტიკული მოძრაობის ხასიათს ღებულობს. დიგერების მოძღვრება ძირითადად წარმოჩენილია მათი ლიდერის ჯერარდ უინსტენლის მრავალრიცხოვან პამფლეტებში, რომელთაგან დღევანდელობამდე 16-მა მოაღწია. აქედან რუსულად თარგმნილია 6 ძირითადი ნაშრომი: „ჭეშმარიტ ლეველერთა დროშა აღმართულია", „ინგლისის ღარიბი და ჩაგრული ხალხის დეკლარაცია", „წერილი ლორდ ფერფაქსს", „წერილი ლორდ გენერალს. 1649 წ. 8 დეკემბერი", „საახალწლო საჩუქარი არმიას და პარლამენტს" და „თავისუფლების კანონი". ამ უკანასკნელის სრული სათაურია „პროგრამის სახით ჩამოყალიბებული თავისუფლების კანონი, ანუ მმართველობის მართებული სისტემის აღდგენა". იგი დაიწერა 1652 წელს დიგერული მოძრაობის ლიკვიდაციის შემდეგ. აქ ყველაზე უფრო სრულყოფილადაა წარმოდგენილი დიგერთა მოძღვრების არსი. უინსტენლი ამ დოკუმენტს რესპუბლიკური მმართველობის პროგრამად სთვლიდა. უინსტენლის „თავისუფლების კანონი" ადრინდელი უტოპიური სოციალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, მსგავსად ტომას მორის „უტოპიისა" და კამპანელას „მზის ქალაქისა". სოციალური თანასწორობისადმი თავისი დამოკიდებულება უინსტენლიმ გამოხატა ერთ-ერთ პირველ პამფლეტში („სამართლიაობის ახალი კანონი", 1649 წ. იანვარი). აქ მან განავითარა საერთო შრომისა და საერთო მოხმარების ცნობილი სოციალისტური პრინციპი — „ერთად მოიყვანეთ და ერთად მიირთვით პური თქვენი არსობისა".

1649 წლის 20 აპრილს კაპიტან გლედმენის წინადადების თანახმად, უინსტენლი და ევერარდი ეახლნენ ფერფაქსს ლონდონში და თავიანთი საქმის სამართლიანობაში მის დარწმუნებას შეეცადნენ. თუ რა

სურდათ დიგერებს, უკვე საყოველთაოდ ცნობილი იყო. 1649 წლის მარტში გამოქვეყნდა მათი „დეკლარაცია"; 20 აპრილსავე ლონდონში გამოქვეყნდა მათი კიდევ ერთი ოფიციალური მანიფესტი — „ჭეშმარიტ ლეველერთა დროშა აღმართულია". ჩვენი მიზანია, — აღნიშნავდენ „ჭეშმარიტი ლეველერები", — ქვეყანა „გავათავისუფლოთ წყეულ ნივთისაგან, რომელსაც ჰქვია საკუთრება. იგი არის მიზეზი ყველა ომისა, სისხლისღვრისა, ქურდობისა და იმ დამმონებელი კანონებისა, რომელიც ხალხს სიღატაკეში ამყოფებს". დიგერთა მანიფესტს დაუყოვნებლივ მოჰყვა მესაკუთრე ინგლისის დიდი გულისწყრომა და შეშფოთება. ლონდონის პრესამ „ჭეშმარიტ ლეველერთა" ჩანაფიქრი მონათლა ნახევრადშეშლილთა ჰალუცინაციად, დიგერებისა და ფერფაქსის შეხვედრა კი — წარმოუდგენელ უცნაურობად. უინსტენლი და ეევერარდი არწმუნებდნენ ფერფაქსს, რომ იმათი არ ფიქრობენ ხელყონ ვისიმე საკუთრება, რომ მათი მიზანია საზოგადოებრივ სარგებლობის ობიექტად გამოიყენონ სათემო და ეკლესიის მიწები, ამასთან ერთად, მათ ხაზი გაუსვეს იმას, რომ მიზნის განხორციელებისათვის გამორიცხავენ ძალას, რომ არასოდეს არ მიმართავენ იარაღს და საერთოდ თავსაც არ დაიცავენ. ამასთანავე ისინი აცხადებენ, რომ მზად არიან სიცოცხლეც კი შეწირონ მართალ საქმეს, რომელიც მათ ზენაარმა, განგებამ შთააგონა.

ჯერარდ უინსტენლი დაიბადა 1609 წელს ლანკაშირში, პატარა ქალაქ უიგენში, ვაჭრის ოჯახში. ბუნებით ნიჭიერ, კითხვის მოყვარულ უინსტენლის განათლება არ მიუღია, ურთულესი, მძიმე ცხოვრება და შრომა იყო მისი მასწავლებელი. 20 წლისა ის ერთ-ერთი სავაჭრო კომპანიის შეგირდია. 7 წლის შემდეგ ამ კომპანიის წევრი გახდა. 40-იან წლებში იგი გაკოტრებულა და სერის საგრაფოში დასახლებულა, სადაც თავს ირჩენდა მოჯამაგირეობით და მწყემსავდა სხვის ჯოგს, იყო წვრილი მოიჯარე. ერთი სიტყვით, მან პირადად განიცადა ღატაკი გლეხის, მიწის მუშის მწარე ხვედრი.

უინსტენლის მოძღვრება უტოპიური სოციალიზმის ადრინდელ, ბურჟუაზიული რევოლუციის პირობებშია აღმოცენებული და რელიგიურ სამოსში გახვეული, საკმაოდ საინტერესო და თანამიმდევრულად ჩამოყალიბებული ვარიანტია. უინსტენლის მიხედვით საკმარისი არაა მხოლოდ სოციალურ-კლასობრივი პრივილეგიების გაუქმება. არამედ საჭიროა თვით სოციალურ-კლასობრივ განსხვავებათა მოსპობა. სოციალურ-კლასობრივი უთანასწორობის აღმოფხვრისათვის საჭიროა მოვსპოთ მიზეზი — „საზიზღარი შემონაქმედი" — საკუთრება.

საკუთრების წარმოშობა უინსტენლიმ ბიბლიის საფუძველზე ახსნა — დაეყრდნო „შეცოდების" ცნობილ ბიბლიურ ლეგენდას; „შეცოდებამდე" მიწა საერთო იყო, გამორიცხული იყო ერთის მეორეზე ბა-

ტონობა („როცა ადამი ხნავდა და ევა თეს̈და, ბატონი არ არსებობდა“). ადამიანის სულში სიხარბისა და ანგარების გაღრმავებამ თავისი ასახვა პოვა კერძო საკუთრების სახით, რომელიც ხარბი ეგოისტების ეიწრო ჯგუფმა შემოიღო ხმლითა და ძალით. „მიწა შექმნილი ვითარცა საერთო საგანძური, ყველასათვის მშველელი როგორც ადამიანისათვის, ასევე მხეცისათვის — შემოღობეს, დამრიგებლებმა და ხელისუფლებმა იგი ნაკვეთებად გაანაწილეს. დანარჩენი ხალხი კი გადააქციეს მსახურებად და მონებად“, — წერდა უინსტენლი.

ჰეშმარიტი საზოგადოების შესაქმნელად საჭიროა კერძო საკუთრების მოსპობა და აღდგენა საზოგადოებრივი საკუთრებისა, როგორც ეს „შეცოდებამდე“ იყო. ეს მოსპობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას. უინსტენლიმ მთავარ ნაშრომში კრომველს შეუთავაზა კიდეც ასეთი საზოგადოების აშენების გეგმა. უტოპისტ უინსტენლის სწამდა, რომ მესაკუთრენი თვითონ დარწმუნდებიან საკუთრების მოსპობის სიკეთეში და ნებაყოფლობით განახორციელებენ ამ აქტს, მისივე რწმენით ამ ღონისძიების გატარება შეუძლიათ გამოჩენილ ადამიანებს, ამ შემთხვევაში კრომველს, ფერფაქსსა და სხვებს. აქ კიდევ ერთხელ ვლინდება დიგერების ღრმა პოლიტიკური გულუბრყვილობა, ინდეპენდენტთა კლასობრივი ბუნების შეუცნობლობა. „ჰეშმარიტ სამართლიანობას ეწოდება საზიარობა-ერთობა“ (Commonity) — ასეთია უინსტენლის ღრმა რწმენა.

ინგლისში ფეოდალური საკუთრების შექმნის ასახსნელად უინსტენლი იყენებს ფეოდალურ-აბსოლუტისტურ სისტემის მოწინააღმ. დეგეთა ბანაკში გავრცელებულ „ნორმანდული უღლის“ თეორიას. თავისუფალ ანგლოსაქსური სამყარო ძალითა და სისხლით დაიპყრო ბარბაროსმა ნორმანდიის ჰერცოგმა ვილჰელმმა, მიწები თავის მებრძოლებს დაურიგა, ხალხი დაიმონა. თავისუფალი მიწა ამიერიდან კოპიჰოლდათ იქცა, გლეხობა იხდის ფაინებს და ჰერიოტებს, თავისუფლება მოისპო, დაიწყო მეფეთა და ფეოდალთა დესპოტიზმის ეპოქა. ლეველერები ნორმანდიელთა დაპყრობაში უფრო პოლიტიკურ ფაქტორს გამოყოფენ: ამიერიდან ხალხმა დაკარგა პოლიტიკური უფლებები. „დიგერები“ კი ნორმანდიელების მიერ ინგლისის დაპყრობას უკავშირებენ ხალხის მიერ მიწის დაკარგვას და მოითხოვენ სამიწო ურთიერთობათა სრულ დემოკრატიზაციას. ამასთან ერთად „დიგერების“ მიხედვით, ის ფაქტი, რომ მაშინ ჯენტრი და ხალხი მიწას ფლობდა თავისუფლად (პირველის ხელში იყო შემოღობილი მიწის ნაკვეთი, ხალხის თავისუფალი მფლობელობის ობიექტი იყო სათემო მიწები, ცარიელი, ვერანა და უშენი მიწები. გლეხის ნაკვეთი იყო ფრიჰოლდი და არა კოპიჰოლდი), არ ნიშნავს იმას, რომ მაშინ ხალხი არ განიცდიდა „შეცოდების შედეგად გაჩენილ საკუთრების მხრივ ჩაგვრას“. ამი-

ტომ უინსტენლისთვის მარტო ნორმანდელების არსებული წეს-წყობილების აღდგენა როდია იდეალი, იგი მეტს მოითხოვს, „შეცოდებამდე“ არსებულ პერიოდისაკენ დაბრუნებას, როცა, საკუთრება საერთოდ არ იყო. უინსტენლი მოითხოვს მიწების განთავისუფლებას მეფის, ლენდლორდების, მანორის ლორდების კაბალისაგან: ექცეოთ იგი საზოგადოებრივ მოთხოვნების ობიექტად, ავკრძალოთ მისი ყიდვა-გაყიდვა (ამ პრინციპის დარღვევისათვის იგი სიკვდილით დასჯას მოითხოვს) მოსახლეობას შორის, როგორც ერთთა გამდიდრებისა და მეორეთა გაღატაკების მიზეზი. თანასწორობა საკუთრების მოსპობის ანუ კლასების მოსპობის საფუძველზე — ასეთია უინსტენლის ეულ გეგმა, რომელიც გასცდა თანასწორობის ბურჟუაზიულ გაგებას, რომელიც მხოლოდ კანონის წინაშე ფორმალური თანასწორობით და კლასობრივი პრივილეგიების ასევე ფორმალური გაუქმებით შემოიფარგლა. თანასწორობის ეს ახალი თეორია თავისი შინაარსით პროლეტარულია. დიგერები მოითხოვენ არა მარტო კლასობრივი პრივილეგიების, არამედ თვით კლასების გაუქმებას. სრულყოფილი სახე ამ მოთხოვნამ მხოლოდ XIX საუკუნეში მიიღო პროლეტარიატის გაღალგანვითარებული, კლასობრივი შეგნებით შეიარაღებულ კლასად ჩამოყალიბების დროს. ამჟამად კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურულ ეტაპზე უინსტენლი რჩება ქალაქის პლებსის, ანუ პრეპროლეტარიატის და ღარიბ-ღატაკი გლეხობის იდეოლოგად. ამიტომაა, რომ უინსტენლის ახასიათებს გულუბრყვილობა, უხეში გამთანაბრებლობა, რელიგიურ-მისტიკური ფორმა და სხვ. მას ჯერ კიდევ ეტყობა გაელენა შუა საუკუნეების „მწვალებელთა“: ჰილიასტებისა, ლოლარდეთისა. ჯონ ბოლისა, უატ ტაილერისა, იოანე ლეიდენელისა, ინგლისში 1549 წელს გლეხთა ამბოხებისა, 1607 წლის გლეხთა აჯანყების პროცესში მოქმედ დიგერებისა და ლეველერებისა: უინსტენლი ჯერ კიდევ იზიარებს შუა საუკუნეების გამთანაბრებელთა მიერ შემუშავებულ „ბორკტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის“ ქრისტიანულ-მისტიკურ პრინციპს და სხვ. ამასთანავე, უინსტენლის მოძღვრებაში უფრო გვიანდელ უტოპიური სოციალიზმისათვის დამახასიათებელი ბევრი სიახლეა, მათ შორის: რაციონალიზებულ-კონკრეტული წარმოდგენები, დასკვნები და წინადადებები ახალი საზოგადოების შესაქმნელად, იდეალური საზოგადოების შექმნა სახელმწიფოს ჩარევით და სხვ. იგი კოშუნისტურ თემებს ქმნის არა სადღაც არნახულ კუნძულზე, არამედ რეალურ ქვეყანაში — ინგლისში.

როგორ წარმოუდგენია კონკრეტულად უინსტენლის იდეალური საზოგადოება, რომელმაც ხალხს უნდა მისცეს ის, რაც რევოლუციისაგან ვერ მიიღო. მის პოლიტიკურ ფორმად იგი მიიჩნევს დემოკრატიულ თავისუფალ რესპუბლიკას, რომლის სოციალურ საფუძველს

ქმნის პრინციპი — მიწა ეკუთვნის ყველას და არავის. საერთო მიწას თავისუფალი და თანასწორი ხალხი ამუშავებს საერთო ძალით, ყოველგვარი დაქირავებული შრომის გარეშე. საერთოა აგრეთვე მოპოვებული პროდუქტიც. ამრიგად, ხალხმა უნდა მოიპოვოს არა მხოლოდ საარჩევნო ხმის უფლება, არამედ რაც მთავარია, უფლება მიწაზე. თავდაპირველად დიგერები შესაძლებლად მიიჩნევდნენ საერთო დამუშავების ობიექტად სათემო და ვერანა მიწების დამუშავებას. ხალხის საერთო სარგებლობაში უნდა გადასულიყო აგრეთვე მეფის, ეკლესიისა და დელიქვენტების მამულები და ქონება. ეს სიმდიდრე უნდა გადანაწილებულიყო დემოკრატიულ საწყისებზე. სულ მალე კი მათი აზრით დიგერთა საქმის სამართლიანობაში დარწმუნებული მემამულეები თვითონვე უარს იტყვიან თავიანთ მიწებზე და ქონებაზე და მათ ხალხს გადასცემენ საერთო სარგებლობაში. „ჰეშმარიტ რესპუბლიკურ თავისუფლებას განსაზღვრავს მიწით თავისუფალი სარგებლობა. ჰეშმარიტი თავისუფლება მხოლოდ იქაა, სადაც ადამიანს უძლევა საკვები და საშუალებები ცხოვრების შესანარჩუნებლად“, ასეთი იყო უინსტენლის ღრმა რწმენა. ახალ საზოგადოებაში შრომა სავალდებულოა ყველასათვის, ადამიანი, რომელიც გაექცევა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, უნდა დაისაჯოს, მას უნდა ჩამოერთვას მოქალაქის ყველა უფლება. აღსანიშნავია ისიც, რომ „ჰეშმარიტი ლეველერები“, მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობის მოთხოვნასთან ერთად, არ უარყოფდნენ საკუთრებას პირად, საოჯახო მოხმარებისა და სარგებლობის ნივთებზე. „ჰეშმარიტი ლეველერები“ საზოგადოებრივ სასოფლო თუ სამრეწველო საწარმოებთან ერთად არ გამორიცხავენ წვრილი საოჯახო წარმოების არსებობას.

საერთო შრომით შექმნილი პროდუქტი, უინსტენლის მოძღვრების მიხედვით, საერთო სარგებლობის ობიექტია. ყიდვა-გაყიდვა როგორც მიწისა, ასევე პროდუქტისა, უინსტენლის სისტემაში გამორიცხულია. კერძო ვაჭრობა აღიარებულია, როგორც უთანასწორობისა და ჩაგვრის ერთი არსებითი წყარო. საერთო შრომით შექმნილი ყველა ნაწარმი (სასოფლო-სამეურნეო თუ ხელოსნური) ოჯახის წევრებს ან საზოგადოებრივ საწარმოს მიაქვთ საზოგადოებრივ საწყობებში, შემდეგ კი საზოგადოებრივ მაღაზიებში ხორციელდება საქონლის ურთიერთგაცვლა საჭიროების შესაბამისად. ამასთანავე დაკმაყოფილება ხდება არა გაცვლანაბრების პრინციპით, არამედ მოთხოვნილების შესაბამისად. ზედმეტი, დარჩენილი პროდუქტი გემებით გააქვთ სხვა ქალაქებში, ქვეყნებში იმ საქონლის შესაძენად, რომელიც ინგლისს აკლია, ან რომელსაც ვერ აწარმოებს. ამრიგად, საგარეო ვაჭრობას უინსტენლი დასაშვებად თვლის, მაგრამ იმ პირობით, რომ მას ექნება არა კერძო, არამედ საზოგადოებრივი ხასიათი და განახორციელებს უშუალოდ

სახელმწიფო. ფული უინსტენლის იდეალურ საზოგადოებაში არ არსებობს, ოქრო და ვერცხლი იხმარება მხოლოდ საოჯახო ნივთების დასამზადებლად.

დემოკრატიულ-თავისუფალ რესპუბლიკას სათავეში უდგას ერთპალატიანი პარლამენტი — „სამართლიანობის უმაღლესი პალატა", რომელიც განაგებს შინაგან ცხოვრებას და უზრუნველყოფს ქვეყნის საგარეო უსაფრთხოებას, ხელმძღვანელობს რესპუბლიკურ შეიარაღებულ ძალებს. ინგლისის ადმინისტრაციულ სტრუქტურას უინსტენლი უცვლელად ტოვებს. იგი მომხრეა ცენტრალიზებული ხელისუფლებისა, მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი უნდა ემსახურებოდეს უმრავლესობას — ხალხის ინტერესებს. ყველა თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ერთი წლით, საყოველთაო არჩევნების საშუალებით, რადგან უინსტენლის აზრით ხელისუფლების სათავეში დიდხანს ყოფნა ადამიანებს აფუჭებს.

ინდეპენდენტურ და ლეველერულ (ამ უკანასკნელის ნაკლებად შეზღუდულ) საარჩევნო უფლებას უინსტენლიმ დაუპირისპირა ფართო საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლების სისტემა. ყველა 21 წელს მიღწეული ინგლისელი სარგებლობს აქტიური საარჩევნო ხმით (შეუძლია აირჩიოს და აირჩიონ). 40 წლიდან ძალაში რჩება მხოლოდ პასიური უფლება (მხოლოდ აირჩევს), პოლიტიკური უფლებებით ვერ ისარგებლებენ მონარქისტები და ანტისაზოგადოებრივი სხვა ელემენტები („უშინაარსო და არამოქალაქეობრივი პიროვნებები") — ლოთები, შფოთის თავები, ხულიგნები, მოლაყბეები, უსაქმურნი და სხვ. (მათ ეძლევათ მხოლოდ პასიური ხმის უფლება). ახალ საზოგადოებაში დანაშაული მაინც დარჩება, მათ წინააღმდეგ ბრძოლას უინსტენლი სახელმწიფოს ერთ-ერთ არსებით ფუნქციად თვლის. დანაშაულთა შორის ყველაზე მძიმედ მიიჩნევს კერძო ვაჭრობას, პირველ ყოვლისა, მიწით ვაჭრობას.

უინსტენლი მოითხოვდა აგრეთვე სწავლების სრულიად ახალი სისტემის დანერგვას, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, იგი ზოგადი და პროფტექნიკური სწავლების მომხრე იყო. მისი აზრით ახალი ადამიანის აღზრდის ბაზას უნდა წარმოადგენდეს „სკოლა და წარმოება", წიგნიერ, ზოგად განათლებასთან ერთად, ახალგაზრდას უნდა შეეძლოთ რაიმე პროფესია, ხელობა.

უინსტენლი მოითხოვდა ყოველგვარი საერო და სასულიერო პრივილეგიების გაუქმებას, მეათედის ანულირებას ყოველგვარი გამოსყიდვებისა და შეცლის გარეშე, შემოღობვების შეჩერებას, შემოღობილი მიწების გლეხობისათვის დაბრუნებას, ლენდლორდიზმის მოსპობას, კოპიჰოლდის გაუქმებას. ფეოდალურ გადასახადთა და ვალდებულებათა ლიკვიდაციას, სამეფო საეკლესიო-სამონასტრო და დელიქვენ-

ტთა მიწებისა და ქონების გადაწყვეტილებაში დაშვებულ უკანონობათა ლიკვიდაციას, ამ მიწებითა და ქონებით, პირველ ყოვლისა, უღარიბესი ინგლისის დაკმაყოფილებას და სხვ. ეს არსებითად ანტიფეოდალური მოთხოვნები ერთადერთი იყო უინსტენლის პროგრამაში, რომლებიც რეალისტურ შინაარსს ატარებდნენ.

უინსტენლი სწერდა მრავალ წერილებს ფერფაქსსა და კრომველს, უგზავნიდა პეტიციებსა და საჩივრებს სახელმწიფო საბჭოს, პარლამენტს; მოითხოვდა „ჭეშმარიტ ლეველერთა“ სამართლიანი მოთხოვნებისადმი მხარდაჭერას, მათ დაკმაყოფილებას, მაგრამ ამაოდ. ინდეპენდენტებმა და მათთან ერთად მესაკუთრე ინგლისმა მათი სახით დაინახეს საკუთრებისა და ტრადიციების მტრები. ინდეპენდენტები იცავენ „ბუნებრივი უთანასწორობის“ პრინციპს, ანუ ქონებრივ განსხვავებას ადამიანთა შორის თვლიან ბუნებით და არა სოციალურ-ისტორიული წარმომავლობის მოვლენად. „გათანაბრება“ ინდეპენდენტებს (ჰარინგტონი, აირტონი, კრომველი და სხვ.) მიაჩნიათ გაძარცვად, რადგან თვლიან, რომ ქონება არის შედეგი შრომისა. შრომისმოყვარეობის გარეშე ქონების დაგროვება არ ხდება, დაგროვება კი გათანაბრებას ვერ იტანს, ჰარინგტონი ინდეპენდენტური ინგლისის აზრს გამოთქვამდა, როცა ამბობდა: „ამიტომ ქონების განსაზოგადოების საფუძველზე სახელმწიფოს აშენება ფუჭ ოცნებას წარმოადგენს“.

ჰარინგტონის მიხედვით ხალხის თავისუფლება, მათი ცხოვრების მოგვარება უნდა ვანდოთ არა თვით ხალხს, არამედ რესპუბლიკას, პარლამენტს, პოლიტიკოსებს. „მეზღვაური უნდა ენდოს გემს და არა ზღვას“, — წერდა იგი. როცა ხალხს მიიყვანს სიღატაკემდე და სასოწარკვეთამდე, მაშინ იგი თვითონ ხდება პოლიტიკოსი, მსგავსად ზოგიერთი ცხოველისა, რომელიც დაავადების შემთხვევაში თვით ხდება საკუთარი თავის ექიმი, თანდაყოლილი ინსტინქტით ეძიებს ისეთ ბალახს, რომელიც მას განკურნავს. ხალხი კი საკუთარი თავის განსაკურნავ წამლის ძებნაში ცხოველებზე დაბლა დგას — აღნიშნავდა ჰარინგტონი.

როგორც კი ხალხს პირიდან ლუკმა-პურს გამოართმევ, მაშინ იგი ლეველერი გახდება და მზადაა დაიწყოს სამოქალაქო ომი, — აღნიშნავდა ჰარინგტონი და დაასკვნიდა: ამიტომ ხელისუფლების მიზანია ზედმეტად არ დაამშიოს ხალხი, ზედმეტად არ გაძარცვოს და შეავიწროვოს იგი. ღარიბთათვის გათანაბრებას ზიანის მეტი არაფრის მოტანა არ შეუძლია. ღარიბი არსებობს მხოლოდ მდიდრის არსებობით, ის აძლევს მას სამუშაოს და სარჩოს. მდიდარი თუ გაქრა, ვიღა უპატრონებს ღარიბს, იმას, ვინც თავის შრომას ყიდის როგორც არსებობის ერთადერთ საშუალებას. ასეთი ადამიანები ხომ ყოველთვის იქნე-

ბიან, მშრომელი და მატერიალური დოვლათის შემქმნელი ყოველთვის საჭიროა.

ყოველივე ზემოდან გამომდინარე, ინდეპენდენტების დასკვნა ასეთია: რადგან ხალხს ქვეყნის მართვისა არაფერი გაეგება, რადგანაც მათი ხელისუფლებაში მოსვლა საფრთხეს შეუქმნის საკუთრებას, ანუ მოგვიტანს ანარქიას, საზოგადოების რღვევას, ამიტომ რესპუბლიკამ იგი ხელისუფლებას უნდა გამოჯნოს, პირველ ყოვლისა, ქონებრივი საარჩევნო ცენზით — ამას ურჩევდა ინდეპენდენტებს პარინგტონი. ხელისუფლება ხელთ უნდა ეპყრათ ბურჟუაზიას, ახალ თავადაზნაურობას, მდიდარ ფერმერებს, მდიდარ გლეხებს, მდიდარ ხელოსნებს, ბურჟუაზიულ-ახალთავადაზნაურულ ინტელიგენციას — ასეთია ამ გამოჩენილი ბურჟუაზიული თეორეტიკოსის დასკვნა. ქვეყანას უნდა მართავდეს ჯენტლმენთა არა ძველი, არამედ ახალი თავადაზნაურობის ელიტა. ჯენტლმენთა გენიამ უნდა უხელმძღვანელოს არმიას, სახელმწიფოს, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არიან დიდი ღვთისმეტყველები, დიდი იურისტები და ყველა პროფესიის დიდი ადამიანები. ასე იყო ყოველთვის, ამბობდა პარინგტონი, ჯენტლმენები იყვნენ მოსე, თეზეოსი, სოლონი, ლიკურგოსი და სხვ. „ელიტას" მიერ ქვეყნის მართვის თეორიას იზიარებდა კრომველი და მისი პარტია.

კრომველიც „ბუნებითი უთანასწორობის" პოზიციაზე იდგა. ცნობილ სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა (1654 წ.) პროტექტორატის პირველი პარლამენტის გახსნის დღეს, იგი თავს ესხმის ლეველერებსა და დიგერებს (მათ შორის არსებით განსხვავებას ვერ ხედავს) და აღნიშნავს, რომ „აზნაურს, ჯენტლმენსა და იომენს შორის არსებული განსხვავება წარმოადგენს ერის ნამდვილ, არსებით ინტერესს, განა ერის ეს ბუნებითი მდგომარეობა არ გადათელეს გააფთრებითა და სიძულვილით ადამიანებმა, რომლებიც ლეველერთა პრინციპებს იზიარებდენ? განა ლეველერთა პრინციპები ყველაფრის გათანაბრებას არ ითვალისწინებს? განა ისინი ამ პრინციპებს არ იყენებენ საკუთრებისა და სოფლის მეურნეობის ინტერესების საზიანოდ? მათი მიზანი იყო მოიჯარე მესაკუთრესთან გაეიგივებინათ. ასეთი თანასწორობა, თუნდაც რომ განხორციელებულიყო, დიდხანს ვერ გასტანდა. ზემოაღნიშნული პრინციპების ადამიანები (ლეველერები — გ. კ.) მიზნის მიღწევის შემდეგ თვით დაიწყებენ ყვირილს საკუთრებისა და სამიწათმოქმედო ინტერესების დაცვის აუცილებლობის შესახებ".

აღსანიშნავია ისიც, რომ კრომველს „ერი", „ხალხი", „საზოგადოება", წარმოდგენილი ჰყავს, როგორც ერთიანობა მესაკუთრეებისა (ასევე ფიქრობდნენ აირტონი, ჰარინგტონი, ინდეპენტთა სხვა თეორეტიკოსები). როცა „ხალხის" შესახებ ლაპარაკობდა, კრომველი ხშირად ხმარობდა გამოთქმას — „კეთილი ხალხი", „ღვთის ხალხი", რომ-

ლის ქვეშ გულისხმობდა მესაკუთრე ინგლისს, ჯენტრს და ბურჟუაზიას. „მდაბიო ხალხს“ სოფლისა და ქალაქის ღარიბ-ღატაკთ იგი „ხალხის“ ცნებიდან ფაქტიურად გამორიცხავდა. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა მისი ერთ-ერთი გამონათქვამი: „თუ სახელმწიფოს სიკვდილი უწერია, დაე მას საბედისწერო დარტყმა მიაყენონ ადამიანებმა და არა არსებებმა, რომლებიც უფრო ცხოველებს გვანან. თუ სახელმწიფოს უწერია ტანჯვა, დაე იტანჯოს მდიდართა, ვიდრე ღარიბთა ხელით“.

უაიტლოკმა დიგერების მოძრაობაში დაინახა რეგრესი—კაცობრიობის უკან, საწყის მდგომარეობისაკენ დაბრუნება. იგი თავის მემუარებში წერდა: „მათი მიზანია დააბრუნონ ღმერთის შემონაქმედი (მიწა. — გ. კ.) მის თავდაპირველ მდგომარეობაში, ანუ აღადგინონ მიწის ნაყოფით საერთო სარგებლობის ძველად არსებული წესი“.

„დიგერების“ წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა ჯონ ლილბერნმა, რომელიც ამ შემთხვევაში ლეველერთა საერთო აზრს გამოხატავდა. ლილბერნი ბურჟუაზიული პოლიტიკოსი იყო, კერძო საკუთრებაზე ხელყოფას იგი ინდეპენდენტებზე ნაკლებად როდი განიცდიდა. 1649 წლის ზაფხულში გამოქვეყნებულ პამფლეტში — „ინგლისის ხალხის ძირითადი იურიდიული თავისუფლებანი“ ლილბერნმა დაგმო კომპენის დიგერული კომუნა, კატეგორიულად უარყო მასთან რაიმე კავშირი, ეს წამოწყება შეაფასა როგორც „მცდარი“. იგივე გაიმეორა მან 1652 წელს. ქონებრივი გათანაბრება მისი ინტერპრეტაციით წარმოადგენს „უგუნურებას“, „სასაცილოსა და სულელურს“. მისი აზრით შეუძლებელია „ოდნავ ჯანსაღად მოაზროვნე იყოს ის, ვინც ამ პრინციპს უჭერს მხარს. ქონებრივი გათანაბრება, — ლილბერნის აზრით,— მოსპობს შრომისმოყვარეობას, დაანგრევს სახელმწიფოს და საზოგადოების ყველა საფუძველს. აღარავინ ჩათელის იზრუნოს იმ შენაძენზე, რომელიც საკუთრებას აღარ წარმოადგენს და თანაბრადაა განაწილებული ვიღაც ზარმაცებსა და უსაქმურთა შორის.

უინსტენლი და მისი მიმდევრები მიმართავენ პარლამენტს, სახელმწიფო საბჭოს, კრომველს, ფერფაქსს, მოითხოვენ მათგან მხარდაჭერას, დახმარებას. ხელისუფალნი, ცხადია, ყურად არ იღებენ მათ თხოვნას, მესაკუთრე ინგლისი — ლენდლორდები, ფერმერები, მდიდარი იომენები სასტიკად დევნიან დიგერებს, ანადგურებენ მათ ნათესებს, ნაგებობებს, ფიზიკურად უსწორდებიან ცალკეულ „კომუნარებს“. 1650-51 წლებში ლეველერულ მოძრაობასთან ერთად ინდეპენდენტურმა რესპუბლიკამ დიგერების მოძრაობასაც ბოლო მოუღო.

უინსტენლი პრაქტიკულ მოღვაწეობას ჩამოშორდა, იგი კმაყოფილდება პუბლიცისტიკით, განაგრძობს პოლიტიკური პამფლეტებისა და ტრაქტატების წერას.

* *

ამრიგად, ლეველერების და „ჰეშმარიტი ლეველერების“ მოძრაობა დამარცხდა. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულის ნაცვლად გაიმარჯვა ინდეპენდენტურმა ბურჟუაზიულ-ახალთავადაზნაურულმა, კონსერვატორულმა რესპუბლიკამ. წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისა და ხალხთა მასების მიერ წამოყენებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მოსაზრებები განუხორციელებელი დარჩა. მასების ცდა, განეხორციელებინათ ახალი რევოლუცია, შეექმნათ სოციალურ თანასწორობაზე აგებული ახალი დემოკრატიული რესპუბლიკა, უშედეგოდ დამთავრდა. პირველ ყოვლისა, ეს განაპირობა მოკავშირე კლასების — ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ინდეპენდენტური პოლიტიკური ბანაკის ერთიანობამ და სიმტკიცემ. „ზედაფენების კრიზისი“ სახეზე არ იყო. პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე გამარჯვებამ როგორც მარჯვნივ (როიალისტები, პრესბიტერიელები), ასევე მარცხნივ (წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ქალაქისა და სოფლის ღარიბ-ღატაკთა პლებეური მასა) კიდევ უფრო განამტკიცა მმართველი ინდეპენდენტური პარტიის პოზიციები: ინდეპენდენტებს, რომელთა ძირითად სოციალურ საყრდენს წარმოადგენდა „საშუალო კლასები“ — „მიდლმენები“ (ჯენტრი, საშუალო ბურჟუაზია, მდიდარი გლეხობა, ფერმერები, საკმაოდ უზრუნველყოფილი სოფლისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, წვრილი ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, წვრილი გლეხობა), ამიერიდან მხარში ამოუდგნენ ინგლისის მდიდარი ვაჭრები, მრეწველები, ფინანსისტები — სიტის მაგნატების სახით და მდიდარი ლენდლორდები. ისინი „შეურიგდნენ“ ინდეპენდენტებს, რადგან მოიხიბლნენ ინდეპენდენტთა წარმატებით დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ლონდონის სიტის სასარგებლოდ წარმართულ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკით. ისინი დააკმაყოფილა ინდეპენდენტთა ცენზიანმა საარჩევნო სისტემამ, ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნამ და სხვ. უმდიდრესი ინგლისი კმაყოფილი იყო მით, რომ ინდეპენდენტები ყოველმხრივ მფარველობდნენ ინგლისის ვაჭრობას და მრეწველობას. მაგალითად, 1650 წლის 1-ელ აგვისტოს ინდეპენდენტების მთავრობამ „ზემოდან“ დანიშნული კომისრების შემადგენლობით შექმნა სპეციალური საბჭო, რომელსაც დაევალა ინგლისის ვაჭრობის და წარმოების ხელმძღვანელობა-მფარველობა. გამოვიყნდა მრავალი აქტი, რომელიც ეკონომიკის საქმეებს აგვარებდა (აქრ ხორბლითა და ფქვილით ვაჭრობის ორგანიზების შესახებ, აქტი საფქრო წარმოების განვითარებისათვის და სხვ.). ინდეპენდენტებმა იღეს საინტერესო აქტი, რომელიც ხელს უწყობდა და მფარველობდა ინგლისის მსხვილი ბურჟუაზიის, კერძოდ, სახელმწიფოსათვის

სესხის მიმცემთა საკრედიტო-სავახშო საქმიანობას. სარფიან საწყისებზე გაცემული სახელმწიფო სესხი მსხვილ ბურჟუაზიას საშუალებას აძლევდა გაეზარდა მოგება და ამით გაეფართოებინა თავისი წარმოება და ვაჭრობა. ინდეპენდენტებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს ქვეყანაში ძვირფასი ლითონის რაოდენობის გასაზრდელად. 1651 წლის აქტით პარლამენტმა დაადასტურა ინგლისში მონეტებისა და ძვირფასი ლითონის (ოქრო, ვერცხლი) ზოდების თავისუფლად შემოზიდვის უფლება. საკუთარი ვაჭრობისა და წარმოების წაქეზების მიზნით ინდეპენდენტები თანამიმდევრულად ახორციელებდნენ მერკანტილისტურ პოლიტიკას, პირველ ყოვლისა, ამ პოლიტიკიდან გამომდინარე სამრეწველო-სავაჭრო პროტექციონიზმის კურსს. მაგალითად, მათ აკრძალეს ინგლისიდან ნედლი მატყლის გატანა ეროვნული მაუდის წარმოების სასარგებლოდ, უცხო ქვეყნებიდან იკრძალებოდა ისეთი საქონლის შემოტანა, რომელსაც შეეძლო მსგავსი საქონლის ინგლისში წარმოებისათვის კონკურენციის გაწევა (მაგალითად: ქუდები, ბაფთები და ფუფუნების სხვა საგნები). ინდეპენდენტებმა მთელ რიგ სავაჭრო კორპორაციებს (ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანია, ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია და სხვ.) ინგლისის დემოკრატიის საწინააღმდეგოდ შეუნარჩუნეს მონოპოლიური უფლებები, პატენტები და სხვა პრივილეგიები, წარმოების იაფი ხელით უზრუნველყოფის მიზნით მათ ფაქტიურად ძალაში დატოვეს და ახალი ძალა შემატეს ტიუდორთა „სისხლიან კანონებს“, რომელიც სასტიკი რეპრესიების გზით უმუშევართა და ღარიბთა მასას მძიმე შრომით დისციპლინას უმორჩილებდა და სხვ. ინგლისის საგარეო თუ კოლონიური პოლიტიკა წარიმართა უმდიდრესი ინგლისის, კერძოდ ლონდონის სიტის მაგნატების სასარგებლოდ. საკმარისია აღვნიშნოთ კრომველის ლაშქრობა ირლანდიაში და შოტლანდიაში, ერთ-ერთი სავაჭრო-სამრეწველო კონკურენტის — ჰოლანდიის წინააღმდეგ მიმართული 1651 წლის 9 ოქტომბრის ისტორიული „სანავიგაციო აქტი“ და ამ ნიადაგზე ამტყდარი ინგლის-ჰოლანდიის ომი და სხვ. ერთი სიტყვით ინგლისის სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის მაგნატებმა ინდეპენდენტები თავის ხალხად ჩათვალეს და „საშუალო ადამიანებთან“ ერთად მძლავრი სოციალური საყრდენი შეუქმნეს. ინდეპენდენტთა მიმართ კმაყოფილებით განიწყვალნენ მდიდარი ლენდლორდები, მანორის ლორდები, მდიდარი „ჯენტრი“ და სხვ.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „საშუალო ადამიანთა“ სოციალური კორპორაციის — მდიდარი მსხვილი იომენისა და საკმაოდ უზრუნველყოფილი საშუალო და ნაწილობრივ წვრილი გლეხობის პოზიციას. ეს ძალა ინდეპენდენტთა ბანაკში აღმოჩნდა. მან რევოლუციით ბევრი რამ მოიგო, ფეოდალურ უღლისაგან განთავისუფლდა, მიწა

საკუთრებაში დაიმკვიდრა, სამეფო, საეკლესიო და დელიქვენტების ქონებიდან საკმაოდ გემრიელი ლუკმა დაისაკუთრა (განსაკუთრებით მდიდარმა იომენებმა), „შემოლობვათა" პროცესშიც ჩაება და გარკვეული სარგებლობა ნახა, „ორმოც შილინგიანთა" ცენზიანმა კონსტიტუციამ იგი პოლიტიკურ ცხოვრებიდან არ გამიჯნა. „საშუალო ინგლისელთა", ინგლისში „უღმივი ინტერესების მქონე" ადამიანთა სოციალური ორგანიზმი ძლიერი იყო. პირველ ყოვლისა, ამას განაპირობებდა სიმრავლე და სიძლიერე საშუალო და წვრილი „ჯენტრისა" და საშუალო ბურჟუაზიისა, მათთან ერთად, სიმრავლე და სიძლიერე მდიდარი იომენისა, პირველ ყოვლისა, ფრიჰოლდერისა. სწორედ ამით უნდა აიხსნას არმიის, ამ შეიარაღებული, ორგანიზებული პოლიტიკური ძალის პოზიცია, რომელსაც სელისუფლებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ლეველერთა გავლენა არმიაში უდავოდ დიდი იყო, ეს მყარი ჭეშმარიტებაა. მაგრამ იმავე არმიას ინდეპენდენტები ეყრდნობოდნენ ლეველერთა წინააღმდეგ ბრძოლაში, სადაც წარმატება მათ მხარეზე იყო. გრანდები თავისი არსებით ინდეპენდენტურნი იყვნენ. მაგრამ არსებობდა ჯარისკაცულ-ინდეპენდენტური ბირთვი, კრომველის საყრდენი ძალა, რომლის სასელექციო წყაროს ქმნიდა ჯარისკაცის ფარაჯაში გადაცმული „საშუალო ინგლისელი" — მდიდარი იომენი, მდიდარი ფერმერი, მდიდარი ხელოსანი, საშუალო ვაჭარი.

თავისებურია პოზიცია წვრილი ბურჟუაზიისა — წვრილი ხელოსნისა, წვრილი ვაჭრისა, წვრილი გლეხისა. მათ ნაკლებად უზრუნველყოფილი დიდი ნაწილი ლეველერთა ბანაკს უნდა მიეკუთვნოთ. მათი მატერიალური პირობებით შედარებით კმაყოფილი ნაწილი კი „საშუალო ინგლისელებისკენ" იხრებოდნენ და ინდეპენდენტებს უჭერდნენ მხარს.

ზემოაღნიშნული ვითარება თვალნათლივ ადასტურებს იმას, რომ დემოკრატიული ბანაკი იყო გათიშული, სუსტი, რაც ასევე ხელს უწყობდა მმართველი ინდეპენდენტური პარტიის წარმატებას. ინდეპენდენტთა გამარჯვებას ხელი შეუწყო განხეთქილებამ ლეველერთა ბანაკში. პლებეური, ღარიბ-ღატაკი ინგლისი თავდაპირველად ლეველერების სახით ხელავდა ქომაგს და მის ბანაკში იმყოფებოდა, მაგრამ ლეველერებმა სულ მალე გამოავლინეს თავიანთი კლასობრივი შეზღუდულობა როგორც წვრილი ბურჟუაზიისა და საკუთრების დამცველებმა. პლებეური, ღარიბ-ღატაკი ინგლისი განუდგა მას და „დიგერების" სახით ბრძოლის საკუთარი გზის ძიებას შეუდგა. ამ განხეთქილებამ არსებითად შეასუსტა რევოლუციური დემოკრატიული ბანაკი, რაც საწინდარი გახდა ინდეპენდენტთა პოზიციების შემდგომი განმტკიცებისა.

ლეველერებს შიგნით მტკიცე ერთიანობა და მიზნის სიცხადე არ

არსებობდა. „ქალაქის ლეველერებს“ უპირისპირდებოდნენ „სოფლის ლეველერები“. „ქალაქის ლეველერთა“ ძირითად ბირთვს ქმნიდნენ წვრილბურჟუაზიული ელემენტები — წვრილი ვაჭრები, წვრილი ხელოსნები, წვრილი მეპატრონეები. ისინი უფრო მსხვილი საკუთრების მიმართ ოპოზიციურად იყვნენ განწყობილნი, საკუთარ წვრილ საკუთრებას კი შეუპოვრად იცავდნენ ყოველგვარი ხელყოფისაგან. ლეველერების მეორე ბირთვი—მომავალი მესაკუთრეები — ჭარგლები და შეგირდები უფრო რადიკალურად იყვნენ განწყობილი. მესამე ბირთვს — ჩასახვის პროცესში მყოფ პროლეტარიატს — მანუფაქტურის და სახელოსნოების დაქირავებულ მუშებს არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული პოლიტიკური მრწამსი, საკუთარი გეგმები. მათ აკმაყოფილებდათ ლეველერთა ზოგიერთი მოთხოვნები (საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, რელიგიური თავისუფლება, სასამართლოების გაიაფება და გამარტივება, ღარიბთათვის დახმარება, ვალებიდან განთავისუფლება და სხვ.) და მხარს უჭერდნენ მათთვის კლასობრივად უცხო მოძრაობას.

„სოფლის ლეველერებშიც“ არ იყო ერთიანობა. ფრიჰოლდერისა და კოპიჰოლდერის ინტერესები იდენტური არ იყო. სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ კოტეჯერი, სოფლის ბოგანო, მოჯამაგირე და სოფლის მუშა. მდიდარი ფერმერის და ღარიბი ფერმერის, მდიდარი ლიზჰოლდერის და ღარიბი ლიზჰოლდერის პოლიტიკური კრედო ერთნაირი არ იყო. ერთი სიტყვით, დემოკრატიულ ბანაკს აკლდა საჭირო შეკავშირება და ძალა, მათ საქმიანობაში მკვეთრად იჩენდა თავს წვრილბურჟუაზიული მერყეობა და გაუბედაობა. იგივე ახასიათებდა არმიას. წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს მუდამ ეშინოდათ პლებეური რადიკალიზმისა, დაუყოვნებლივ უპირისპირდებოდნენ მას, ეს იყო დემოკრატიული ბანაკის წარუმატებლობის კიდევ ერთი არსებითი მიზეზი. ლეველერული მოძრაობის მარცხის უპირველესი მიზეზი იყო მისი გათიშვა მემარცხენე ძალებთან, ხალხის ფართო მასებისაგან — პირველ რიგში, უღარიბეს გლეხობისაგან.

„დიგერების“ მოძრაობა ლეველერულ მოძრაობასთან შედარებით გაცილებით უფრო რადიკალური, მაგრამ ნაკლებად რევოლუციური იყო. ბრძოლის უკიდურესად პასიური მეთოდები წარუმატებლობის მნიშვნელოვან საწინდარს ქმნიდნენ. „დიგერთა“ სწრაფი და ადვილი მარცხი განაპირობა აგრეთვე იმან, რომ მათ არ გააჩნდათ სათანადო ხელმძღვანელობა. პრეპროლეტარიატი, თანამედროვე პროლეტარიატის წინამორბედი, მოძრაობაში ნაკლებად ჩანს. მასში ძირითად ბირთვს ქმნის უღარიბესი და გაღატაკებული გლეხობა, სოციალური ძალა, რომელსაც არ ძალუძს შეასრულოს მოძრაობის ხელმძღვანელის როლი. მათ ძირითად ლოზუნგს — „ვიცხოვროთ საკუთრების გა-

რეშე", — მესაკუთრე ინგლისთან ერთად მხარს არც ღარიბი, უქონელი ინგლისის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭერდა. ამ ისტორიული ეპოქის შვილების უმრავლესობის პოლიტიკურ შეგნებას და ფსიქიკას ვერ წარმოედგინა არსებობა საკუთრების გარეშე. საკუთრება იყო მათი ცხოვრების მიზანი და მისწრაფება, თვით ღარიბ-ღატაკი ინგლისელიც კი ოცნებობდა და იბრძოდა საკუთრებისათვის. შემთხვევითი როდი იყო ის, რომ „დიგერთა" წინააღმდეგ საკუთარი ინიციატივით თვით სოფლის მცხოვრებნი გამოდიოდნენ, „დიგერთა" მოძრაობის ლიკვიდაციაში მათი როლი გაცილებით დიდია, ვიდრე მთავრობისა. მიუხედავად ამისა, „დიგერების" მოძრაობის ისტორიული მნიშვნელობა დიდია — იგი წარმოადგენდა მასებში პროლეტარული შეგნების პირველ გამოვლენას, ამიტომ განეწყვნენ „დიგერების" უწყინარი ჯგუფების მიმართ ასე შეურიგებლად მესაკუთრე ინგლისი და მისი ლიდერი — კრომველი.

ლეველერებისა და დიგერების მოძრაობის განადგურება, კრომველის განცხადებით, განხორციელდა რევოლუციის გადასარჩენად და ხალხის საკეთილდღეოდ.

ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა დიდი ნაწილი (ფრენსის მონტეგიუ, თეოდორ პიზი, უილბერ ებოტი, ჯეიმზ მაკინონი და სხვ.) იზიარებს აღნიშნულს და ამტკიცებს, რომ არმიისა და ლეველერულ-დიგერული მოძრაობის განადგურებით კრომველმა იხსნა რევოლუცია და მისი მონაპოვარი. ფაქტიურად კი ამ მოძრაობის ლიკვიდაციით კრომველმა ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული კონსერვატორული რესპუბლიკა იხსნა იმ საფრთხისაგან, რომელიც მას „ქვემოდან" ემუქრებოდა, ჩააბშო ხალხის ბრძოლა დემოკრატიისათვის და ამით ბოლო მოუღო დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ყოველგვარ შესაძლებლობას. უინსტენლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ინდეპენდენტურმა რესპუბლიკამ თავისუფლება მისცა მხოლოდ „მდიდარს ქალაქში" და „ფრიჰოლდერს სოფლად".

4. ლაშქრობა ირლანდიასა და შოტლანდიაში

ლაშქრობა ირლანდიაში, რომელიც კრომველის ხელმძღვანელობით განხორციელდა, ორი — პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესით იყო ნაკარნახევი. 1649 წლისათვის ირლანდია წარმოადგენდა როიალიზმისა და კონტრრევოლუციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას და რევოლუციურ ინგლისზე ინტერვენციის ორგანიზების პლაცდარმს. ირლანდიაში გაქცეულმა ინგლისელმა „კავალერებმა" ჩარლზ II ინგლისის მეფედ გამოაცხადეს. კონტრრევოლუციური ძალები ელოდნენ დახმარებას კონტინენტიდან, მაგალითად, ჯარებს ლოთარინგიის ჰერცოგის

მეთაურობით, შემდეგ გათვალისწინებული იყო ლაშქრობა ინგლისში. 1649 წელს მეფის ემისარმა ირლანდიაში ჯეიმზ ბატლერმა—გრაფმა ორმონდმა „გაერთიანებული კათოლიკების საყოველთაო ასოციაციასთან“ დადო ხელშეკრულება ირლანდიელთა და ინგლისელ როიალისტთა სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. წლის დასაწყისშივე ირლანდიაში ჰოლანდიიდან მოვიდა სამეფო ფლოტი პრინც რუპერტის სარდლობით. „კავალრებს“ მხარს უჭერდნენ ადგილობრივი ინგლისელი კათოლიკები და ინგლის-შოტლანდიელი კოლონისტი მემამულეები, რომელთა ძირითადი მასა იყო პრესბიტერიული და აშკარად ავლენდა მონარქისტულ სიმპათიებს. ინგლის-შოტლანდიურ კათოლიკურ როიალისტურ-პრესბიტერიული ძალების მოკავშირის როლში აღმოჩნდნენ თვით ინგლისის წინააღმდეგ 1641 წლიდან აჯანყებული ირლანდიელებიც, რომლებიც ბრძოლას ამჯერადაც განაგრძობდნენ. სტრაფორდის სიკვდილით დასჯის შემდეგ, განსაკუთრებით კი სამოქალაქო ომების დროს, ირლანდიის პატრიოტებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ოლსტერი თითქმის მთლიანად გაწმინდა ინგლისელ და შოტლანდიელ კოლონისტებისაგან. ირლანდიაში კონტრრევოლუციური საფრთხის ლიკვიდაცია ინდეპენდენტურ რესპუბლიკისათვის გადაუდებელ ამოცანად იქცა. აღსანიშნავია ისიც, რომ ირლანდიის კათოლიკეებს დახმარებას უწევდა კათოლიკური ევროპა, პაპი, საფრანგეთი, ესპანეთი და სხვ. ისინი აჯანყებულებს ამარაგებდნენ იარაღით, ფულით. ინგლისური როიალისტური ემიგრაცია აჯანყებულ ირლანდიელებზე დიდ იმედებს ამყარებდა. აღსანიშნავია, რომ 1646 წელს პარიზში მოსალაპარაკებლად ჩამოსულ ცნობილ ინგლისელ როიალისტს გრაფ დიგბის თან ახლდნენ ირლანდიელები: ნიკოლას უაიტი, დანიელ ო'ნეილი, კაპიტანი მაიკლ პაუერი. ისინი ითხოვდნენ დახმარებას ცოცხალი ძალით, ფულით, იარაღით და სხვ.

იყო კიდევ ერთი, პოლიტიკური ასპექტის მიზეზი, რომელიც პარლამენტს ირლანდიაში ლაშქრობას კარნახობდა. ამ ასპექტს პირველად ხაზი გაუსვა საბჭოთა ისტორიკოსმა ტ. ა. პავლოვმა. მმართველი წრეები ხელისუფლების მტკიცედ და საბოლოოდ დამკვიდრებისათვის საჭიროდ თვლიდნენ არმიის, ამ უდიდესი პოლიტიკური და ძვირად ღირებული ძალის საბოლოო ნეიტრალიზებას. ჯარისკაცს მხოლოდ „თოფიანი კაცის“ როლი უნდა შეესრულებინა და არა პოლიტიკოსისა — ასეთი იყო მიზანი. ირლანდიაში გადასროლილი არმია თავის „ენერგიას და ენთუზიაზმს დაპყრობით ლაშქრობაში დახარჯავდა“. ასეც მოხდა. ირლანდიაში ლაშქრობის შემდეგ ინგლისის არმია (ისევე როგორც ნაპოლეონის იტალიაში ლაშქრობის შემდეგ საფრანგეთის რევოლუციის არმია) აღარ წარმოადგენს პოლიტიკურ-რევოლუციურ ფენომენს, ამიერიდან იგი პრეტორიანულ, დამპყრობელ, მხო-

ლოდ სამხედრო ძალად იქცა, მისი ბელადი კრომველი სამხედრო დიქტატორის პირველ კანდიდატად.

არმიის სარდლად ოლივერ კრომველი განაწესეს. ამ ფაქტს ფრანსუა გიზომ საინტერესო, დამაჯერებელი ინტერპრეტაცია მისცა. მმართველ წრეებს („ნაბოლარა პარლამენტი", „სახელმწიფო საბჭო"), რომლებიც კრომველის სახით ხედავდნენ დიქტატურის დამყარების საფრთხეს, კრომველის ირლანდიაში გაგზავნით, როგორც ჩანს, სურდათ ამ საფრთხის ფიზიკური ნეიტრალიზება თუ არა, პოლიტიკური მაინც (ამასვე ფიქრობდა დირექტორია, როცა ნაპოლეონს ეგვიპტის არმიის სარდლად ნიშნავდა), მაგრამ მოხდა პირიქით, ირლანდიაში მოპოვებულმა წარმატებებმა კიდევ უფრო დააჩქარებს დიქტატურის დამყარება. გიზოს თქმით, „ირლანდიის დაპყრობით მას (კრომველს — გ. კ.) სურდა დაეპყრო ინგლისი".

მაგრამ ლაშქრობა ძირითადად მაინც ეკონომიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი. ირლანდიის კოლონიზაცია, მისი გაძარცვა, გამდიდრება ირლანდიის კონფისკაციაქვეშ მოქცეული მიწების ხარჯზე — აი უპირველესი მიზანი მესაკუთრე ინგლისისა. ამ შემთხვევაში ინდეპენდენტური რესპუბლიკა აგრძელებს ელისაბედ ტიუდორისა და გრაფ სტრაფორდის ტრადიციას, ამასთან უფრო მკაცრად, უფრო ფართოდ.

1649 წლისათვის „მწვანე კუნძულზე" ინგლისის პოზიციები საგრძნობლად იყო შერყეული. 1643 წლის სექტემბერში „გაერთიანებული კათოლიკეების საყოველთაო ასოციაციის" (ირლანდიის აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრი) მიერ ინგლისისაგან ირლანდიის სრული გამოყოფის გამოცხადების შემდეგ პარლამენტს მხარს უჭერდა მოსახლეობის მცირე ნაწილი. ინგლისს ხელთ იყო მხოლოდ ქალაქი დუბლინი, დერი (ლონდონდერი), დენდალკი და რამდენიმე სხვა უმნიშვნელო პუნქტი. ამჯერად აქ მოქმედი ანტიინგლისური ძალები გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ადრე. აქ შეიქმნა თავისებური კოალიცია აჯანყებულ ირლანდიელების, ინგლისელ-შოტლანდიელ კოლონისტებისა და ინგლისიდან გადმოხვეწილ „კავალერების" შემადგენლობით. თავისთავად ყველა მათგანს საკუთარი ინტერესი ჰქონდა: ირლანდიელები იბრძოდნენ მიწა-მამულისათვის და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ამ თვალსაზრისით ინგლისელი და შოტლანდიელი კოლონისტებიც მათთვის მოწინააღმდეგეებად რჩებოდნენ. ინგლისელი და შოტლანდიელი კოლონისტები, როგორც ვიცით ძირითადად პრესბიტერელები იყვნენ და ინდეპენდენტთა გამარჯვების შემთხვევაში მათ ქონებას, საცოცხლესა და რწმენას საფრთხე ემუქრებოდა, როიალისტები ადრე ორივე ბანაკს უპირისპირდებოდნენ. ამჯერად ისინი საერთო მტერმა — ინდეპენდენტურმა რესპუბლიკამ დააკავში-

რა. კოალიციის აღნიშნულმა სისუსტემ კრომველის წარმატებებში გარკვეული მნიშვნელობა იქონია.

ირლანდიისათვის ლაშქრობა ინდეპენდენტების ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე დაიწყო. მდიდარმა ინგლისელმა მხურვალედ დაუჭირა მხარი მისთვის სარფიან მთავრობის ამ წამოწყებას. 1649 წელს სიტის მაგნატებმა სესხის სახით უზარმაზარი თანხა გაიღეს (აპრილში — 120 000, ივლისში — 150 000 გირვანქა სტერლინგი). ამ სესხისა და სხვა საომარი ხარჯების უზრუნველსაყოფად პარლამენტმა შემოიღო ახალი გადასახადი — 540 000 გირვანქა სტერლინგის ოდენობით (1649 წ. 7 აპრილი). გადასახადი უნდა აკრეფილიყო 6 თვის განმავლობაში. ივნისში დააწესეს ახალი გადასახადი 400 000 გირვანქა სტერლინგი — აქციზების ხარჯზე. ექსპედიციისათვის გაითვალისწინეს აგრეთვე საეკლესიო-სამონასტრო მიწების გაყიდვით მიღებული თანხაც. ექსპედიციის ფინანსური მომზადება ადვილად მოგვარდა. გაძნელდა ირლანდიაში გასაგზავნ სამხედრო კონტინგენტის შერჩევა. ლეველერულად განწყობილი შენაერთები უარზე იდგნენ. ისინი ეყრდნობოდნენ არმიის მიერ (1647 წ.) მიღებულ „საზეიმო ვალდებულებებს“, სადაც აღნიშნული იყო, რომ არ შეიძლება არმიის ინგლისიდან გაყვანა, ვიდრე არ იქნებოდა უზრუნველყოფილი თავისუფლება თვით ინგლისში. ირლანდიაში ჯარის გაგზავნის გადაწყვეტილება, როგორც ვიცით, პარლამენტმა 1647 წლის მარტში მიიღო, მაგრამ მაშინ ეს ვერ განახორციელეს. ლეველერული მოძრაობისა და არმიის მღელვარების ლიკვიდაციის შემდეგ ეს სიძნელეც დაძლეულ იქნა, არმია ირლანდიაში გადაისროლეს.

ირლანდიაში ლაშქრობის ერთ-ერთი აქტიური ინიციატორი იყო თვით ოლივერ კრომველი. იგი ინგლისელებს მოუწოდებდა საბოლოოდ დაპატრონებოდნენ „დაბალი რასით“, „ბარბაროსებით“ დასახლებულ მდიდარ „მწვანე კუნძულს“. რომელიც ახლა როიალიზმის და კათოლიციზმის ბუდედ იქცა. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი შური ეძია ოლსტერში 1641 წელს აჯანყებულ ირლანდიელების მიერ ინგლისელ და შოტლანდიელ მოსახლეობის „ყველაზე უფრო ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტისათვის“. აჯანყებულ ირლანდიის სათავეში იდგა ადგილობრივი არისტოკრატია და კათოლიკური სამღვდელოება, რაც ინგლისის ბურჟუაზიასა და ჯენტრს და მათ ლიდერს კრომველს აძლევდა საბაბს პატარა ხალხის წინააღმდეგ მიმართული აშკარად მძარცველური კოლონიური ომი „როიალისტური საფრთხის“, პაპისტებისა და სისხლისმსმელ „ბარბაროს ირლანდიელების“ წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით ეწარმოებინა. ირლანდიელებს „ბარბაროსებად“ მიიჩნევდა ჯონ მილტონი, იგივეს ამტკიცებდნენ ცნობილი პუბლიცისტები: სპენსერი, რელეი და სხვ. ირლანდიის დაპყრობის უახლესი პრაქტი-

კული მიზნები აშკარად უარყოფითი იყო: ირლანდიის დაპყრობილი მიწებისა და გაძარცული ქონების ხარჯზე გათვალისწინებული იყო გადაესადათ სახელმწიფო ვალი. პირველ ყოვლისა, უნდა უზრუნველეყოთ სიტის მაგნატები, წსხვილი მეუხშეები და სპეკულანტები, ანუ „ავანტიურისტები“ (ასე უწოდებდნენ მაშინ, ვინც სესხზე აწერდა ხელს ირლანდიის კონფისკაციაქმნილი მიწების მიღების გარანტიით). გარდა ამისა, ირლანდიის მიწებით გაჩნდა ახალი, არანაკლებ უარყოფითი დაინტერესება. ირლანდიის მიწები და სიმდიდრე კრომველის არმიის ოფიცრებისა და ჯარისკაცების დასაკმაყოფილებელ ბაზად უნდა ქცეულიყო. არმიას ირლანდიაში უნდა მიეღო მიწა (ის, რაც ინგლისში არ მისცეს).

კრომველმა ერთდროულად ორი თანამდებობა მიიღო: იყო მთავარსარდალი და ირლანდიის ლორდი მმართველი (ლორდი-ლეიტენანტი, სამხედრო, სამოქალაქო და პოლიტიკური აბსოლუტური უფლებებით). ირლანდიაში ლაშქრობა დამსჯელი ექსპედიციის ხასიათს ატარებდა, მისი ფორმალური საბაბი იყო ირლანდიელთა დასჯა 1641 წლის უკანონო ამბოხებისათვის. კრომველის არმია კარგად იყო მომზადებული, საამისოდ პარლამენტმა თანხა არ დაზოგა. გათვალისწინებული იყო ყველაფერი, ყველა სიძნელე თუ შემთხვევითობა (შეიარაღება, ეკიპირება, სურსათი, ტრანსპორტირება, კომუნიკაციები, მომარაგება, ადგილობრივი პირობები, ირლანდიელთა დიდი სამხედრო შემართება და სხვ.).

კრომველის არმიის მორალური თვისებები პასუხობდნენ დასახულ მიზანს. ლაშქრობა მოეწყო ჯარისკაცთა მღელვარების ლიკვიდაციის შემდეგ. ის რევოლუციური და პროგრესული ელემენტი, რომელიც ირლანდიაში წასვლაზე უარს ამბობდა, არმიაში თითქმის აღარ იყო. ჯარისკაცთა დიდ ნაწილს ე. თ. სემენოვის თქმით, „ამოქმედებდა ეგოისტური მისწრაფებანი: ირლანდიის გაძარცვა და გამდიდრების პერსპექტივა“. ექსპედიციის ყველა ჯარისკაცს და ოფიცერს დაპირდნენ მიწის ნაკვეთებს — „საკუთარ პლანტაციებს“ აჯანყებულ ირლანდიელთა ხარჯზე. ირლანდიის მიწით სურდათ გაეფანტათ ჯარისკაცის მიწისთვის ბრძოლის სურვილი ინგლისის ტერიტორიაზე. ინდეპენდენტებმა ამოძირკვეს არმიიდან რევოლუციურ-პოლიტიკური სულისკვეთება და იგი თავის ბრმა იარაღად გაიხადეს. ერთ დროს რევოლუციური არმია ამიერიდან გადაიქცა რეაქციულ კოლონიზატორულ. სხვა ხალხების თავისუფლების ჩამხშობ, უსასტიკეს ძალად.

1649 წლის 13 აგვისტოს 10 ათასი ჯარისკაცით, დიდძალი ტყვია-წამლით, ზარბაზნებით, სურსათით დატვირთულმა 130 ხომალდმა დატოვა ინგლისის სანაპირო. 15 აგვისტოს საექსპედიციო კორპუსი დუბლინთან ახლოს გადმოსხეს. „ჩვენ აქ მოვედით, — განაცხადა

კრომველმა, — რათა მოვითხოვოთ ანგარიში უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლისათვის და შევეცდებით დავსაჯოთ ყველა, ვინც იარაღით ხელში შეეცდება გაამართლოს ეს დანაშაული". ასე დაიწყო ინგლისის ისტორიაში პირველი კოლონიური ომი, რომელიც ითვალისწინებდა ინგლისელთა მხრივ ირლანდიის ხელმეორედ დაპყრობას. ომმა მიიღო მანამდე არნახული უსასტიკესი, შეუბრალებელი ხასიათი. მსგავსი რამ მრავალტანჯულ ირლანდიელთა პატარა ერს არ განუცდია XII საუკუნიდან მოყოლებული, როცა მათ მიწაზე ფეხი შემოდგეს პირველმა დამპყრობლებმა — ინგლისელმა ფეოდალებმა. ირლანდიის მეფისნაცვალმა, გრაფმა ორმონდმა, რომელიც ამჯერად ახალი მეფის ჩარლზ II-ის სახელით მოქმედებდა, ირლანდიაში მოქმედი ყველა ანტიინგლისური ძალა გააერთიანა და კრომველს დაუპირისპირა, მაგრამ ეს ბანაკი ეროვნულად, პოლიტიკურად, სოციალურად და რელიგიურად ძალიან ჭრელი იყო და ამდენად რაიმე სერიოზულ ძალას არ წარმოადგენდა.

ორმონდის დროშის ქვეშ დაირაზმნენ ინგლისელი პროტესტანტი ლენდლორდები (მემამულეები) გრაფ ინჩიკუინის მეთაურობით, ინგლისელ-შოტლანდიელი პრესბიტერელი კოლონისტები ოლსტერიდან — ჯორჯ მენრის მეთაურობით, ინგლისელი კათოლიკეები (ყველაზე ძველი კოლონისტები) ტომას პრესტონის მეთაურობით. ამ ბანაკში იმყოფებოდა კათოლიკური აჯანყებული ირლანდია. დიდი ყოყმანის შემდეგ მათ შეუერთდნენ ირლანდიელი კონფედერატები ოლსტერიდან და მათი ბელადი ოუენ რო ო'ნეილი*, რომელიც ამბოხებულ ირლანდიელთა საერთო ხელმძღვანელი გახდა.

კრომველს ირლანდიაში გადმოსხდომისას ეს თავისთავად სუსტი ბლოკი კიდევ უფრო დასუსტებული დახვდა. 2 აგვისტოს ირლანდიაში მოქმედმა პარლამენტის გენერალმა მაიკლ ჯონსმა დუბლინთან შეძლო ორმონდის ძირითადი ძალების ძლევა და მათი ჩრდილოეთისაკენ უკუგდება. აჯანყებულებს ამიერიდან ორგანიზებული სამხედრო ძალები თითქმის აღარ გააჩნდათ. კრომველს უპირისპირდებოდა აჯანყებული ტერიტორიულად ერთმანეთისაგან გათიშული, ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფები. კათოლიკე ინგლისელები (მათ ხელმძღვანელობდა პაპის ნუნცია იტალიელი ჯოვანი რინუჩინი) წინააღმდეგნი იყვნენ პროტესტანტ და პრესბიტერელ ინგლისელებთან და შოტლანდიელებთან ბლოკისა, ეს უკანასკნელიც თავის მხრივ იგივე უკმაყოფილებას ავლენდა.

---

* ო'ნეილების კლანმა ირლანდიის თავისუფლებისათვის მებრძოლთა მთელი თაობა აღზარდა. მათ შორის იყვნენ გრაფი პოუ ტაირონ ო'ნეილი (უფროსი), ირლანდიის 1593 წლის ამბოხების მეთაური, კრომველის წინააღმდეგ მებრძოლი მამაცი გენერალი პოუ ო'ნეილი და სხვ.

ყოველგვარ რეალურ საფუძველს იყო მოკლებული ირლანდიელთა და ადგილობრივ ინგლისელთა თანამშრომლობა. კრომველი ყოველივე ამას ითვალისწინებდა და „მწვანე კუნძულზე“ გადმოსხდომისთანავე ამ ბლოკის დაშლა დაისახა მიზნად. გარდა ამისა, იგი შეეცადა განხეთქილება შეეტანა თვით ირლანდიელთა ბანაკში — ირლანდიის გლეხისა და ბელადის დაპირისპირების გზით.

ირლანდიაში ჩამოსვლისთანავე კრომველი დაპირდა ადგილობრივ ინგლისელებსა და შოტლანდიელებს, რომ „აღადგენდა მათ ქონებას და თავისუფლებას“, „იხსნიდა მათ ბარბაროს და სისხლისმსმელ ირლანდიელებისაგან“. კრომველი ყოველნაირად ცდილობს წაჰკიდოს ერთმანეთს ორმოდი და ირლანდიელთა მოხუცი ბელადი ო'ნეილი. კრომველი ახორციელებს აგრეთვე ირლანდიელთა ბანაკის გათიშვის მზაკვრულ-დემაგოგიურ გეგმას. 1649 წლის 24 აგვისტოს დეკლარაციით იგი შეწყალებას და ქონების შენარჩუნებას აღუთქვამს იმ ირლანდიელებს, ვინც ინგლისელებს იარაღით ხელში არ შეებრძოლება. ჯარისკაცებს წინადადება ეძლევათ ადგილობრივ ირლანდიელ გლეხობას პროდუქტში ფული გადაუხადონ. კრომველმა მიზანი ბოლომდე ვერ განახორციელა — ირლანდიელი ხალხი არ მოტყუვდა, არ გაითიშა. ყველასთვის ნათელი იყო ინგლისელთა ნამდვილი მიზანი: ირლანდიის მიწების მიტაცება, ადგილობრივი ხალხის გაძარცვა და ფიზიკური მოსპობა. დეკლარაციამ მაინც შეძლო „უბრალო ირლანდიელთა“ ერთ ნაწილში შეექმნა იმის ილუზია, რომ კრომველი მათ არ ერჩის, რომ იგი ებრძვის მხოლოდ მდიდარ მემამულეებს და სხვ.

ომის დაწყებისას კრომველი ფლობდა ორ არსებით უპირატესობას, პირველ ყოვლისა, მატერიალურს, მის ხელთ იყო 17 000-იანი არმია (საექსპედიციო არმიას დაემატა ირლანდიაში მოქმედი გენერალ მაიკლ ჯონსის 7 000-იანი კორპუსი). მეორე მხრივ, მტრის ბანაკი ურთიერთწინააღმდეგობის გამო დასუსტებული იყო. ომის მსვლელობის დაწვრილებით აღწერას ჩვენ არ შევუდგებით, რადგან საბჭოთა ისტორიკოსების — ლავროვსკისა და ბარგის სამართლიანი შენიშვნით, ირლანდიაში კრომველის ლაშქრობას ფაქტიურად სამხედრო ოპერაციად ვერ ჩავთვლით, არსებითად იგი იყო „ამომწყვეტი ომი“ „გადამწყვეტი მიწისათვის“. „დამსჯელი ექსპედიციის“ წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში მასობრივად იჟლიტებოდა ადგილობრივი მოსახლეობა, მათ შორის მოხუცები, ქალები, ბავშვები; იწვოდა და ნადგურდებოდა სოფლები, ქალაქები, გახშირდა ძარცვა, აწიოკება, ცოცხლად დარჩენილ დატყვევებულ ირლანდიელებს მიერეკებოდნენ მონებად გასაყიდათ შორეულ კოლონიებში, უპირატესად ჩრდილოეთ ამერიკაში. „ირლანდია ირლანდიელების გარეშე“ — ასეთი იყო კრომველის

მიზანი. ირლანდიის ხალხი ისტორიაში უმაგალითო წინააღმდეგობას უწევდა მტერს, ფართოდ დაინერგა პარტიზანული ბრძოლა.

10 სექტემბერს კრომველმა პირველ წარმატებას მიაღწია, აიღო დროგედას ციხე-სიმაგრე. კრომველის უპირატესობა დიდი იყო, მას თოფქვეშ ჰყავდა 10 000 ჯარისკაცი, რამდენიმე საარტილერიო ბატარეა, ქალაქს კი იცავდა არტილერიას საერთოდ მოკლებული სამი ათასიანი გარნიზონი. ქალაქში კრომველმა სასტიკი, შეუბრალებელი, მასობრივი ხოცვა-ჟლეტვა მოაწყო. გარნიზონი თითქმის მთლიანად გაჟლიტეს, რამდენიმე ასეული გადარჩენილი ჯარისკაცი კუნძულ ბარბადოსზე გაგზავნეს მონებად (გასაყიდად). პარლამენტის სკიპერის ლენტელისადმი გაგზავნილ წერილში კრომველი გამარჯვებულის სიამაყით აღნიშნავდა ორი ათასამდე კაცის აკუწვის შესახებ — „ჩვენ ხმლით ავჩეხეთ ყველა, მე ვფიქრობ გადარჩა სულ რაღაც 30 კაცი. მათ ჩვენ ბარბადოსში გავგზავნით". კრომველმა არც მშვიდობიანი მოსახლეობა დაინდო, დახოცეს ყველა კათოლიკე მღვდელი (გადარჩა ორად-ორი კაცი). საშინელი ტრაგედია დატრიალდა წმინდა პეტრეს ტაძარში. კრომველის ბრძანებით აქ უმოწყალოდ ამოჟლიტეს თავშეფარებული რამდენიმე ასეული ირლანდიელი. ტაძრის სამრეკლოში თავმოყრილი ასამდე კაცი ცოცხლად დაწვეს, დახვრიტეს ყოველი მეათე ტყვეღდანებებული, დანარჩენები მონებად გასაყიდად განაწესეს. „ეს იყო ღვთის სამართლიანი განაჩენი იმ ბარბაროსების მიმართ, რომლებმაც უდანაშაულო სისხლში გაისვარეს ხელი", — ასე აფასებდა თავის სისასტიკეს კრომველი. იგი ბრედშოუსადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „მე ვფიქრობ, რომ ეს მკაცრი ღონისძიება უფრო დიდი სისხლისღვრისაგან გადაგვარჩენს". ჩანს კრომველს სურდა ეს გაუგონარი სისასტიკე და ყოვლადგაუმართლებელი ტერორი წარმოეჩინა, როგორც მხოლოდ სამხედრო მოსაზრებით გათვალისწინებული ღონისძიება. ფაქტიურად კრომველი ახორციელებდა დიდ ჩანაფიქრს — ირლანდიის ირლანდიელებისაგან გაწმენდას. სავსებით სამართლიანად მიუთითა საბჭოთა ისტორიკოსმა ტ. ა. პავლოვამ: ირლანდიაში მოულოდნელად იჩინა თავი კრომველის ადრე დაფარულმა თვისებამ — სისასტიკემ.

ირლანდიელებმა იარაღი როდი დაყარეს. გმირული წინააღმდეგობა გრძელდება. კრომველის ტერორი ახალი ძალით იჩენს თავს. 1649 წლის ოქტომბერში კრომველმა შეუტია უექსფორდს (დუბლინიდან სამხრეთით), 8 დღის ალყის შემდეგ 11 ოქტომბერს ქალაქი დაეცა. „ჩვენ არ გვინდოდა ამ მდიდარი ქალაქის დანგრევა იმ ვარაუდით, რომ იგი გახდებოდა ინგლისიდან გადმოსახლებული მრავალი კეთილი ოჯახის სამყოფელი... მაგრამ დარწმუნებულმა იმაში, რომ ღმერთმა ამ ხალხს და ამ ქალაქს სამართლიანი განაჩენი გამოუტანა, ჩვენ

მივიჩნიეთ, რომ უხერხულია და უსამართლო, წავართვათ უფლება ჩვენს ჯარისკაცებს ხელთ იგდონ სამხედრო ნადავლი და ამოქლიტონ მოწინააღმდეგენი... ჩვენ ძალზე ბევრი დავინდეთ, დავხოცეთ და წყალში დავახრჩეთ მხოლოდ 1500 ჯარისკაცი და მოქალაქე" (ფაქტიურად დაიღუპა გაცილებით მეტი — გ. კ.) — ვკითხულობთ კრომველის ერთ-ერთი ოფიცრის წერილში. უექსფორდელები ცდილობდნენ ზღვით დაეღწიათ თავი. ნავსადგურში დაიწყო საშინელი პანიკა, ჯარისკაცების მიერ დევნილი და აწიოკებული ხალხი პირთამდე აესებდა ნავებს, ბევრი მათგანი შიგ მსხდომებთან ერთად იძირებოდა. აქაც სასტიკად გაუსწორდნენ კათოლიკურ სამღვდელოებას. იმავე წერილში ვკითხულობთ: „ბევრი მათგანი გამოდიოდა ჯვარცმით ხელში და ჯარისკაცებს სიცოცხლის შენარჩუნებას თხოვდა, მაგრამ ჩვენი ჯარისკაცები მათ ხოცავდნენ მათივე კერპების დახმარებით".- ცოცხლად გადარჩენილებს საპყრობილეებში გზავნიდნენ. ჯარისკაცებს ნება დართეს ქალაქის ძარცვისა.

ორმონდმა და ინგლისელმა როიალისტებმა ხელმძღვანელი როლი თანდათან დაკარგეს. მენსტერის პროვინციის პროტესტანტ ინგლისელთა დიდმა ნაწილმა გაწყვიტა კავშირი ირლანდიელებთან და კრომველის მხარეზე გადავიდა, მათ შორის თვით გრაფი ბროკჰილი და პოლკოვნიკი რიჩარდ ტოუნშენდი (იგი კრომველის აგენტი გახდა). 1650 წელს კრომველს მიემხრო აგრეთვე გრაფი ინჩიკუინი. ამიერიდან საკუთარი ქვეყნის დაცვა თვით ირლანდიელებმა იკისრეს. 1649 წლის დამლევს გარდაიცვალა მათი მოხუცი ბელადი ო'ნეილი, რაც ირლანდიელთათვის დიდი დანაკლისი იყო. ირლანდიელებმა ისარგებლეს ქვეყნის ბუნებრივი პირობებით (უგზოობა, ჭაობები, ტბები, წყალუხვი მდინარეები, მთები), ციხე-სიმაგრეების სიმრავლით და წამოიწყეს პარტიზანული ბრძოლები. ისინი ძირითადად იბრძოდნენ პატარ-პატარა რაზმებით, რომლებსაც სათავეში ედგნენ კლანის ბელადები. ირლანდიელებმა ძალების დაქსაქსვით გამორიცხეს კრომველის წინააღმდეგ საყოველთაო სახალხო ბრძოლის წარმართვის საშუალება. კრომველს ნებაყოფლობით დანებდა სამხრეთის ქალაქი კორკი. მის მაგალითს მიბაძეს სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის სხვა ქალაქებმაც.'1649 წლის დამლევს კრომველის ხელთ აღმოჩნდა ირლანდიის დიდი ნაწილი — აღმოსავლეთი სანაპირო მთლიანად და სამხრეთ სანაპირო ნაწილობრივ..

1649-50 წლებში ზამთარმა, მძიმე კლიმატმა, აუტანელმა ნესტმა კრომველის არმიაში ავადმყოფობის გავრცელებას შეუწყო ხელი (ციებ-ცხელება, დეზინტერია). პარლამენტმა, რომელიც ირლანდიის დაპყრობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, კრომველს ახალი ძალები გამოუგზავნა.. ორმონდი კვლავ ახერხებს ძალების მოკრებას.

ირლანდიელები, რომელთაც დაკარგეს ინგლისელთა რეალური დახმარების იმედი, ამიერიდან ფაქტიურად იბრძვიან მარტო. 1650 წელს კრომველმა ირლანდიელებსა და ინგლისელებს ახალი დეკლარაციით მიმართა, კვლავ პირდებოდა შეწყალებას მათ, ვინც იარაღს ნებაყოფლობით დაყრიდა. ირლანდიელებზე დაპირებებმა ნაკლებ იმოქმედეს, რაც შეეხება ირლანდიელ ინგლისელებს, მათი ახალი მასა კრომველის ბანაკში აღმოჩნდა. 1650 წლის იანვარ-თებერვალში კრომველმა ხელთ იგდო სამხრეთის ქალაქები: ფეტარდი, კეშელი, კელენი, კაგირი და სხვ.

გაჭირდა ქალაქ-ნავსადგურ უოტერფორდის აღება, მისი შტურმი გაგრძელდა 1649 წლის ნოემბრიდან 1650 წლის 10 აგვისტომდე. დიდ ზარალი განიცადა კრომველმა მენსტერის საგრაფოში მდებარე ქალაქი-ციხე-სიმაგრის კლონმელისათვის ბრძოლაში, ციხეს იცავდა ახალგაზრდა ჰიუ ო'ნეილი, ოუენ ო'ნეილის ძმისწული. მცირერიცხოვანმა გარნიზონმა უმაგალითო სიმამაცე და თავგანწირვა გამოიჩინა. სიმაგრის შტურმი დაიწყო 1650 წლის აპრილში და მთელი მაისი გრძელდებოდა. კრომველმა ბრძოლაში დაკარგა 2500 ჯარისკაცი. ეს იყო კრომველის სამხედრო კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო უსიამოვნო მომენტი. სურსათისა და ტყვია-წამლის ამოწურვის შემდეგ ო'ნეილმა შეძლო გარნიზონის გაყვანა და გადარჩენა. ასევე გაძნელდა ამავე საგრაფოში კილვენის აღება.

სიმკაცრე და ტერორი გრძელდება, იგი სულ უფრო დაუნდობელ ხასიათს ღებულობს. 1650 წლის 19 მარტს პატარა სიმაგრის — გაურანის (ლეინსტერი) აღებისას კრომველი გარნიზონს პატიებას შეპირდა, მაგრამ დაპირება დაივიწყა და საშინელი ანგარიშსწორება მოაწყო. მართალია, რიგით ჯარისკაცებს შეუნარჩუნა სიცოცხლე, მაგრამ დახვრიტა ყველა ოფიცერი (გარდა ერთისა) და ჩამოახრჩო ყველა მღვდელი. ტერორთან ერთად კრომველი მიმართავდა სხვა მეთოდებსაც: ხალხს მთლიანად ართმევდნენ სურსათს, წვავდნენ ნათესებს, ძირიანად თხრიდნენ უმწიფარ ხორბალს, ხოცავდნენ საქონელს და სხვ. კრომველს სურდა შიმშილით აეძულებინა ირლანდიელები შეეწყვიტათ ბრძოლა.

1650 წლის 26 მაისს კრომველმა დატოვა ირლანდია. იგი სასწრაფოდ გამოიწვია პარლამენტმა, რადგან შოტლანდიაში შეიქმნა ახალი საფრთხე — ადგილობრივი პრესბიტერელები ჩარლზ II-ის გარშემო დაირაზმნენ. თავისი რწმუნებანი კრომველმა გადასცა ჰენრი აირტონს, რომელიც მალე 1651 წლის 22 ნოემბერს შავმა ჭირმა იმსხვერპლა. ამიერიდან მთავარსარდლისა და ირლანდიის ლორდ-მმართველის ადგილი დაიკავა გენერალმა ჩარლზ ფლიტვუდმა. აირტონმა და ფლიტვუდმა დაასრულეს კრომველის საქმე. „მწვანე კუნძული“ ინგლისის

იყო. 1651 წლის 27 ოქტომბერს ინგლისელებმა ხელთ იგდეს ლამერიკი — მენსტერის მთავარი ქალაქი, ირლანდის წინააღმდეგობის მთავარი ცენტრი. 1652 წლის 12 მაისს დაეცა ირლანდიელთა უკანასკნელი სიმაგრე — გოლუეი. აქა-იქ წინააღმდეგობას განაგრძობდნენ ირლანდიის ცენტრისა და დასავლეთის მიუვალ ადგილებში გახიზნული ირლანდიელი პარტიზანები („ტორები“ — როგორც მათ უწოდებდნენ ინგლისელები. შემდეგ ეს სახელი შერჩათ ინგლისის კონსერვატორებს). მიმდინარეობდა უმკაცრესი, გეგმაზომიერი ბრძოლა მათ მოსაპობად. „ტორების“ მიმართ ინგლისელები დიდ სისასტიკეს იჩენდნენ. ქვეყანა აოხრდა, გაპარტახდა. მოსახლეობის ნახევარზე მეტი გაწყდა ან ირლანდიიდან გაიხიზნა. ა. მორტონის ცნობით,1641 წელს ირლანდიის მოსახლეობა უდრიდა 1,5 მილიონს, 1652 წელს იგი შეადგენდა მხოლოდ 850 000, აქედან 150 000 ინგლისელი იყო. ირლანდიაში მრავალი რაიონი მოსახლეობის გარეშე აღმოჩნდა. საინტერესო ფაქტი მოჰყავს ა. ნ. სავინს: გაპარტახებულ ადგილებში საშინლად მომრავლდნენ მგლები, ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ საგანგებო ღონისძიებას მიმართა, დააწესა მაღალი ჯილდოები მათი დახოცვისათვის. ირლანდიელთა მიწიდან აყრამ და გაძევებამ იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ ამ პროცესის წინააღმდეგ თვით ინგლისელმა კოლონისტ-მემამულეებმა გაილაშქრეს. მათ აწუხებდათ იაფი მუშახელის პირობები. „ირლანდიელები ჩვენ გვჭირდებიან როგორც მუშები, მათ გარეშე უმწეო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით“, — ვკითხულობთ ერთ-ერთ ინგლისელი კოლონისტის პამფლეტში.

ინგლისელებმა ხელი მიჰყვეს ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას, ირლანდიის მიწების კონფისკაციას და მათი საშუალებით სახელმწიფოსა და არმიის დიდი ვალის დაფარვას. მიწები ეძლეოდათ პირველ ყოვლისა „ავანტიურისტებს“, ოფიცრებს, ჯარისკაცებს და ინგლისის ხაზინის სხვა კრედიტორებს, რომლებიც პარლამენტს სესხით ამარაგებდნენ. კოლონიზაცია კრომველმა დაიწყო უკვე 1649 წელს, პირველივე გამარჯვებების შემდეგ. იგი წერდა ლონდონს დაუყოვნებლივ გამოეგზავნათ ინგლისელ კოლონისტთა ახალი ნაკადი, აქ მათ დახვედებოდათ კარგი მიწები, ცარიელი სახლები და სამეურნეო საშუალებები.

1650 წელს მიწების კონფისკაციამ მასობრივი ხასიათი მიიღო. 1652 წლის 12 აგვისტოს ხანგრძლივმა პარლამენტმა დაამტკიცა „აქტი ირლანდიის მოწესრიგების შესახებ“, რომელმაც ირლანდიის მიწების დიდი ნაწილი გამოაცხადა ინგლისის რესპუბლიკის საკუთრებად. აქტის თანახმად პარლამენტის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლნი სიკვდილით ისჯებოდნენ და მიწა-მამულს კარგავდნენ მთლიანად, ნაკლებად აქტიურნი — 2/3 ან 1/3, ნეიტრალური პირები — 1/5 („ნეიტრალობა“ დანაშაულად ჩათვალეს, საჭირო იყო პარლამენტისადმი აქტიური

მხარდაჭერა). ორი დამატებით აქტით (1652 წ. 25. VIII და 1653 წ. 26.IX; ეს უკანასკნელი აქტი მიიღო „ხანგრძლივი პარლამენტის" მემკვიდრემ „მცირე ანუ ბერმონის" პარლამენტმა) მიწების გარკვეული ნაწილი გამოყვეს უშუალოდ გასაყიდად, დანარჩენი განაწესეს ვალის დასაფარავად. ირლანდიაში ლაშქრობისას უზარმაზარი თანხა დაიხარჯა (მარტო პირველ წელს 700 000 გირვანქა სტერლინგი). ინგლისის ხელთ აღმოჩნდა 7 მილიონ აკრზე მეტი სათესი და საძოვარი მიწები, მთელი ნაყოფიერი ირლანდია (ოლსტერი, მენსტერი, ლეინსტერი). იმ ირლანდიელებს, რომლებსაც მიწის ფლობის უფლება დაუტოვეს (მათი რიცხვი აღემატებოდა 50 000), ასახლებდნენ ირლანდიის ყველაზე უფრო მოუსავლიან, მწირ ტერიტორიაზე (კონაუტის და კლერის საგრაფოები — ირლანდიის ჩრდილო-დასავლეთი). ასეთ პირობებში ეყრებოდა საფუძველი ირლანდიაში ინგლისურ ლენდლორდებს.

მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი განკუთვნილი იყო არმიის ვალის დასაფარავად, რაც მაშინ 1,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს აღემატებოდა. ამასთან ერთად, პარლამენტი ჯარისკაცთა და ოფიცერთა ირლანდიაში დასახლებით ფიქრობდა ირლანდიის ანგლოფიკაციის განხორციელებას. ჯარისკაცთა ჯამაგირი დიდი არ იყო (ქვეითი იღებდა კვირაში 1 შილინგს, კავალერისტი 2 შილინგს და 6 პენსს, პარლამენტის წევრი იღებდა 4 გირვანქა სტერლინგს ანუ 20 შილინგს), სახელმწიფოს მათი ემართა საშუალოდ 10-15 გირვანქა სტერლინგი. დიდ თანხას შეადგენდა ოფიცერთა ვალი, პოლკოვნიკებს მთავრობისაგან საშუალოდ ერგებოდათ 1000 — 1500 გირვანქა სტერლინგი. აქედან გამომდინარე ჯარისკაცს ეკუთვნოდა რამდენიმე, ოფიცრებს კი ათასობით აკრი მიწა, მაგრამ ინგლისელ ჯარისკაცთა ერთი ნაწილი, ის, ვისაც მიღებული ნაკვეთის ათვისების საშუალება არ ჰქონდა, არ დარჩა ირლანდიაში, ამჯობინა თავისი მიწების გაყიდვა. დაიწყო მიწების მასობრივი გაყიდვა, სპეკულაცია. ჯარისკაცთა მიწები ხელთ იდგეს „ავანტიურისტებმა" და „გრანდებმა". აღსანიშნავია, რომ ოფიცრები ატყუებდნენ მათ, სახელმწიფოს მიერ ჯარისკაცთათვის გაცემულ მიწის მიღებაზე საგარანტიო ფასიან ქაღალდებს (debentures) ისინი ჩალის ფასად ყიდულობდნენ. ა. ნ. სავინის აზრით, „ნაწილობრივ ამით აიხსნება ის, რომ რესპუბლიკის დასასრულს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს შორის კვლავ იშვა განხეთქილება... რესპუბლიკელი ოფიცრებისადმი ჯარისკაცთა ეს უკმაყოფილება იყო ერთ-ერთი მიზეზი რესტავრაციისა". ინგლისელთა მასობრივი გადასახლება ირლანდიაში ვერ მოხერხდა, წერილი კოლონისტები (პირველ ყოვლისა, ყოფილ ჯარისკაცთა სახით) აქ შედარებით ნაკლებად იყვნენ. ირლანდიაში უფრო განვითარდა მსხვილი მიწათმფლობელობა, გაჩნდა ახალი მიწათმფლობელი

არისტოკრატია, ინგლისელი პროტესტანტული, ბურჟუაზიული ლენდლორდების სახით". უმთავრესად კაპიტალისტებმა და ოფიცრებმა დაისაკუთრეს ეს მიწები და შექმნეს მიწათმფლობელი არისტოკრატია", — წერს სავინი. ირლანდიელებმა დაკარგეს მიწა. ამიერიდან ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და მიწისთვის ბრძოლა ურთიერთს გადაეხლართა. ასე დაიმონა თავად თავისუფლებისათვის მებრძოლმა ინგლისმა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი სხვა ხალხი. ინგლისის რევოლუციური არმია, რომელიც ადრე პროგრესისათვის იბრძოდა, ახლა რეაქციულ ძალად იქცა, გახდა აგრესორი, დამპყრობი, ირლანდიელი ხალხის უდიდესი ტრაგედიის მიზეზი. „ირლანდიის ისტორიის მაგალითი, — სწერს ფ. ენგელსი კ. მარქსს, — თვალნათლივ გვიჩვენებს თუ რა დიდი უბედურებაა ხალხისათვის, როდესაც იგი მეორე ხალხს ჩაგრავს. ინგლისელთა ყველა უგვანობა ირლანდიურ Palé-დან მომდინარეობს (Palé — ირლანდიურად ღობეს ნიშნავს. ასე ეწოდებოდა აღმოსავლეთ ირლანდიაში ინგლისელ დამპყრობელთა მიერ XII საუკუნეში დაარსებულ კოლონიას)... ჩემთვის ერთი რამ ყოველ შემთხვევაში უდავოა, სახელდობრ ის, რომ ინგლისშიც საქმე სულ სხვაგვარად მოეწყობოდა, საჭირო რომ არ იყოს ირლანდიაში სამხედრო ბატონობა და ახალი არისტოკრატიის შექმნა".[1]

სხვა ხალხის მიმართ რევოლუციურმა ინგლისმა დაივიწყა ყველაფერი პროგრესული, რისთვისაც იგი იბრძოდა. ინგლისური ახალი ლენდლორდიზმი ირლანდიაში გადაიქცა რეაქციული პოლიტიკის საყრდენად. როგორც ირლანდიაში, ასევე ინგლისში რეაქციულ ძალად იქცა ირლანდიაში დასახლებული ჯარისკაცობა, რომელიც ადრე რევოლუციურ ძალას წარმოადგენდა. ირლანდიის მიწების ბაზაზე შექმნილ მსხვილ ბურჟუაზიულ მიწათმფლობელურ ოლიგარქიას, ამ ახლად ჩამოყალიბებულ სოციალურ ძალას აღარ სურს რევოლუცია, რესპუბლიკა. იგი მიისწრაფვის ძლიერი ხელისუფლებისაკენ, რომელიც უზრუნველყოფს შეძენილი საკუთრების უსაფრთხოებას. ირლანდიის დაპყრობა, მიწათმფლობელი ოლიგარქიის შექმნა იყო ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორი კრომველის დიქტატურის დამყარებისა, შემდეგ კი სტიუატრთა რესტავრაციისა. ეს ვითარება შესანიშნავადაა გააზრებული მარქსის ცნობილ ნათქვამში: „სინამდვილეში ინგლისის რესპუბლიკა კრომველის დროს ხომ სწორედ ირლანდიის გამო დაიმსხვრა".[2]

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ინგლისის შესახებ, გვ. 564.

[2] იქვე, გვ. 566.

ინგლისის რესპუბლიკას ახალი საზრუნავი გაუჩნდა შოტლანდიის სახით. აქ როიალიზმისა და კონტრრევოლუციის საშიში ბაზა შეიქმნა. როგორც ვიცით, მეორე სამოქალაქო ომის დროს, კრომველმა შოტლანდიელთა დამარცხების შემდეგ ხელისუფლება გადასცა პრესბიტერელ-კოვენანტრებს — ე. წ. „ვიგამორებს“ არგაილის მეთაურობით. ეს ჯგუფი გამოხატავდა სტიუარტებისადმი ოპოზიციურად და პარლამენტისადმი ლოიალურად განწყობილ შოტლანდიელ თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის უმრავლესობის ინტერესებს. მეფის სიკვდილით დასჯამ და ინდეპენდენტთა გამარჯვებამ ვითარება შეცვალა. შოტლანდიაში კვლავ მომძლავრდნენ ინგლისისადმი მტრულად განწყობილი როიალისტები. ხმა აღიმაღლეს პრესბიტერიული ეკლესიის მესვეურებმა. ინდეპენდენტური ინგლისისადმი ოპოზიციურად განწყო არგაილიც. პირველ ყოვლისა, მათ ეშინოდათ შოტლანდიაში „ინგლისური სენის“ გავრცელებისა და რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისა. შოტლანდიელ კოვენანტერებს ძილს უფრთხობდა „ხალხის გამგებლობის“ კოშმარი, შოტლანდიელ პრესბიტერელ სამღვდელოებას „ჯოჯოხეთური გამოგონება“ — სინდისის თავისუფლება.

არსებობდა მეორე, უფრო არსებითი საფრთხე ეროვნული და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვისა. ინგლისში პრესბიტერელების ბატონობის დროს ეს საფრთხე გამორიცხული იყო, მეტიც, როგორც ვიცით, ქვეყანას ინგლისელები და შოტლანდიელები ერთად მართავდნენ. ინდეპენდენტების გაბატონების შემდეგ შოტლანდიელებს ეს უფლებები აღუკვეცეს. 1648 წელს, მარცხის დღეებში, შოტლანდიელებმა აშკარად იგრძნეს ინდეპენდენტთა ძალა. ამიერიდან პოლიტიკური და ეროვნული დამოუკიდებლობის საფრთხე უფრო რეალური გახდა, გამოსავალს არგაილი სტიუარტთა მონარქიის აღდგენაში ხედავდა. სტიუარტები ხომ 1603 წლის უნიით ორივე ქვეყნის მეფეებად ითვლებოდნენ. ამასთან ერთად არგაილი კონსტიტუციურ, შეზღუდულ მონარქიას უჭერდა მხარს, და არა აბსოლუტიზმს. ამასთან ერთად ახალ მეფეს უნდა მიეღო ორთოდოქსალური პურიტანიზმი, შოტლანდიური პრესბიტერიანობის სახით, რომელიც ორივე ქვეყნის რელიგიად უნდა ეღიარებინა. აბსოლუტიზმის მიერ შოტლანდიური პოლიტიკურ-რელიგიური ავტონომიის ხელყოფას მოჰყვა 1637 წელს შოტლანდიელთა ამბოხება და შემდგომ შოტლანდიელების ბრძოლა, პარლამენტთან ერთად, სტიუარტთა დესპოტიზმის წინააღმდეგ. ამჯერად ხელყოფის უფრო რეალური საფრთხე არსებობდა. ა. ნ. სავინი სამართლიანად მიუთითებს, მიმდინარეობდა „ბრძოლა სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობისათვის“.

ცნობა მეფის სიკვდილით დასჯის შესახებ ედინბურგში 1649 წლის 4 თებერვალს მოვიდა. უკვე 5 თებერვალს ჰოლანდიაში მყოფი უელსის პრინცი გამოაცხადეს შოტლანდიისა და ინგლისის მეფედ—ჩარლზ II-ის სახელით. მასთან მოსალაპარაკებლად ჰოლანდიაში სპეციალური მისიაც კი წარიგზავნა. ახალ მეფეს უარი უნდა ეთქვა მამა-პაპათა სარწმუნოებაზე, მიეღო პურიტანიზმი (პრესბიტერელობა), დათანხმებულიყო ემართა ქვეყანა შეზღუდული მონარქის როლში. ჩარლზ II აჭიანურებდა შოტლანდიელებთან მოლაპარაკებას, ამასთან, განაგრძობდა ურთიერთობას ირლანდიელ მემამხედრეებთან, რომელთა წარმატება მას არ ეპვებოდა. ერთგული გრაფი ორმონდი ახალ მეფეს ირლანდიაში უხმობს. მეფე, თავის მხრივ, ირლანდიელ კათოლიკეებს მათი რწმენის დაცვას პირდება. ამავე დროს ჩარლზ II კონტაქტს ამყარებს რომის პაპთან ინოკენტი X-თან და მას კათოლიციზმის აღდგენის საფასურად დახმარებას თხოვს. შოტლანდიაში მეფის უშუალო წაქეზებითა და ხელისშეწყობით როიალისტურ ამბოხებას ამზადებს უკიდურესი მონარქისტი, სტიუარტთა ტახტის ერთგული მარკიზი მონტროზი. იგი აბსოლუტიზმის აღდგენის მიზნით დაქირავებულთა მცირე რაზმით ჩრდილოეთ შოტლანდიაში გადმოჯდა. არგაილის ჯარებმა გაანადგურეს მისი რაზმი. მარკიზი მთებში იმალებოდა, ბოლოს შიმშილმა და სიცივემ აიძულა თავშესაფარი ეთხოვა როიალისტ ნეიდ მაკლეოდთან. ეს უკანასკნელი არგაილის ბანაკში იყო გადაბარგებული, მან გასცა მონტროზი (მიიღო 20 000 შოტლანდიური გირვანქა სტერლინგი), რომელიც 1650 წლის 21 მაისს ედინბურგის ბაზრის მოედანზე ჩამოახრჩეს და გვამი ოთხში ამოიღეს. ჩარლზ II-მ დაუყოვნებლივ უარყო მონტროზთან რაიმე კავშირი. ტახტის მაძიებელი ჩარლზ II რამდენიმე სკამზე იჯდა. ირლანდიაში როიალისტთა მარცხისა და მონტროზის დაღუპვის შემდეგ მეფეს მხოლოდ შოტლანდიური ვარიანტი შერჩა ხელთ. 1650 წლის მარტში (ქ. ბრედში — ჰოლანდია) მოლაპარაკება გაგრძელდა. მეფემ აღიარა შოტლანდიელთა ყველა წინადადება („ბრედის შეთანხმება", 1650 წ. 1 V და 1650 წლის ივნისის დასაწყისში იგი შოტლანდიისაკენ გაემართა. გზაში კუნძულ ჰელჰოლანდზე (ჩრდ. ზღვა) მან კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი თანხმობა („ჰელჰოლანდის შეთანხმება", 1650 წ. 11.VI). შოტლანდიაში ჩამოსულ მეფეს არგაილმა აბსოლუტისტური საქმიანობის ყველა საშუალება მოუსპო. მის თანმხლებ ინგლისელ როიალისტებს შოტლანდია დაატოვებინეს, პოლიტიკური მოღვაწეობა აუკრძალეს შოტლანდიელ მონარქისტებს, მათ შორის ინგლისელების მიერ სიკვდილით დასჯილ ჰერცოგ ჰამილტონის ძმას უილიამ ლანარკს (ძმის დაღუპვის შემდეგ მიიღო ჰამილტონის ჰერცოგის ტიტული), ჰერცოგ ჯონ ლოდერდეილსა და სხვ.

შოტლანდიელებმა ომისათვის მზადება დაიწყეს. მათ თოფქვეშ ჰყავდათ კარგად შეიარაღებული 26 000-იანი არმია (18 000 ქვეითი, 6 ათასი კავალერისტი). მთავარსარდლად დაინიშნა გამოცდილი და ნიჭიერი სარდალი, პირველ სამოქალაქო ომში კრომველის ერთგული თანამებრძოლი გენერალი დევიდ ლესლი ბარონი ნიუარკი.

პარლამენტმა ირლანდიიდან სასწრაფოდ უხმო კრომველს. მას ჩვეულებრივ უნდა დაეკავებინა ფერფაქსის მოადგილის პოსტი. მთავარსარდლობაზე ფერფაქსმა უარი განაცხადა. 1650 წლის 26 მაისს ინგლისის ყველა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის — ლორდ-გენერლის პოსტი დაიკავა ოლივერ კრომველმა. მის მოადგილეებად დაინიშნენ გენერლები ჯონ ლამბერტი და ჩარლზ ფლიტვუდი. მას თოფქვეშ ჰყავდა 16 000 ჯარისკაცი (10 500 ქვეითი, 5 500 კავალერისტი) — გაცილებით უფრო ნაკლები, ვიდრე ლესლის. 22 ივლისს კრომველმა გადალახა შოტლანდიის საზღვარი. ლესლი გაურბოდა გენერალურ ბრძოლას, იგი ცდილობდა კრომველის შეტყუებას ქვეყნის შიგნით და მცირედი ბრძოლებით მისთვის ქანცის გაწყვეტას. ლესლიმ საწადელს მიაღწია. კრომველის არმია დასუსტდა, ჯარისკაცები დაიღალნენ, სურსათი გამოილია, თავი იჩინა ავადმყოფობამ, პატარ-პატარა ბრძოლებს დიდი მატერიალური ზარალი მოჰყვა, 16 ათასი ჯარისკაციდან კრომველს 11 ათასიღა შერჩა. აგვისტოს დამლევს კრომველი გამაგრდა პატარა ნავსადგურ დენბარში. ზღვიდან ელოდა იგი დამხმარე ძალებსა და სურსათს. ლესლიმ დაიკავა ქალაქის გარშემო ყველა სტრატეგიული პუნქტი (მთიანი მისადგომები). სამხრეთით გადაკეტა ინგლისისაკენ უკან დასახევი (ბერვიკისაგან მისასვლელი) ერთადერთი საუღელტეხილო გზა. კრომველი, სამხედრო ენით რომ ვთქვათ, ტომარაში იყო გამომწყვდეული. მდგომარეობა ძალიან გართულდა. ამას თვით კრომველიც აღიარებდა. რაც მთავარია, მტრის ძალა ორჯერ მეტი იყო (22 000). ლესლი შეცდა, მას ეგონა, რომ კრომველი, რომელიც ბერვიკისკენ არ დაიძრა, აპირებდა ჯარების გაყვანას ზღვით (კრომველს ამის საშუალება არ ჰქონდა საკმარისი ფლოტის უქონლობის გამო) და იმის შიშით, რომ კრომველი ხელდან არ გასხლტომოდა, ჯარის მთებიდან ჩამოსვლა ბრძანა. მან დაიკავა ქალაქის ახლოს დაბლობები და დილისათვის შეტევა დაგეგმა. მისი დისლოკაცია არ იყო ხელსაყრელი. არმია განლაგდა (ტრადიციულად შუაში — ქვეითნი, ფლანგებზე — კავალერია) მთასა და მდინარეს შორის. ასეთ ვითარებაში არმიის მანევრირების და საფლანგო ბრძოლების გაშლის შესაძლებლობა გამორიცხული იყო. კრომველმა შესანიშნავად განსაზღვრა შექმნილი სიტუაცია და გამთენიისას თვითონ დაესხა მტერს. ლესლის საბრძოლო წყობა დაირღვა, წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი აღმოჩნდა. ბრძოლა გამანადგურებე-

ლი შედეგით დამთავრდა. ლესლიმ მოკლულის სახით დაკარგა 3 000, ხოლო 10 000 ტყვედ ჩაბარდა. თუ დავუჯერებთ თვით კრომველს, ინგლისელთა დანაკლისი 20 კაცით შემოიფარგლა. შოტლანდიელ ტყვეთა ბედი ტრაგიკული იყო. კრომველის ბრძანებით ისინი ინგლისში გარეკეს. გზაში მათი დიდი ნაწილი შიმშილით და ავადმყოფობით გაწყდა. ცოცხლად დარჩენილები ჩრდილოეთ ამერიკის ახალშენებში გაგზავნეს „თეთრ მონებად“.

ლესლიმ უკან დაიხია და სტერლინგში დაბანაკდა. კრომველმა დაიკავა ედინბურგი და გლაზგო. 1650 წლისათვის მის ხელთ იყო ქვეყნის შოტლანდიის აღმოსავლეთი და დასავლეთი. მთავრობა, მეფე და არგაილი ჩრდილოეთში — პერტში იმყოფებოდა. ჩარლზ II 1651 წლის 1 იანვარს ოფიციალურად აკურთხეს მეფედ. გვირგვინი მას თვით არგაილმა დაადგა. არგაილმა ქვეყნისათვის ესოდენ მძიმე ჟამს საჭიროდ ჩათვალა ალიანსი ზომიერებთან და უკიდურეს როიალისტებთან. ლანარკი და ლოდერდეილი კელავ ფავორში აღმოჩნდნენ.

1651 წლის გაზაფხულზე შოტლანდიელებმა ახალი არმია შექმნეს. ჩარლზ II-მ ბრძოლის ახალი — ინგლისზე ლაშქრობის გეგმა შეიმუშავა. მათ იმედი ჰქონდათ ინგლისელ როიალისტების და პრესბიტერელების მხარდაჭერისა, მით უფრო რომ მათ აქა-იქ გამოსვლებიც კი მოაწყეს (ლანკაშირში, ნორფოლკში, კარდიგანშირში (უელსი) და სხვ.). ამ გეგმის განხორციელებას კრომველმაც შეუწყო ხელი. მან მტრის ზურგში მოქცევის მიზნით ჯარები ჩრდილოეთისკენ გადაისროლა. სამხრეთისაკენ გზა ხსნილი იყო. 1651 წლის აგვისტოს დასაწყისში ჩარლზ II შოტლანდიელთა 20 000-იანი არმიით შეიჭრა ინგლისში, ინგლისის ხალხი მასობრივად ეწერებოდა მილიციაში, როიალიზმს მომხრეები არ აღმოაჩნდა, როიალისტური შეთქმულებანი ლიკვიდირებულ იქნა. კრომველი მეფის არმიას ფეხდაფეხ მისდევდა. 1651 წლის 3 სექტემბერს, დენბარის ბრძოლის წლისთავზე, ვუსტერთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, რომელიც შოტლანდიელთა კატასტროფული განადგურებით დამთავრდა. 3 ათასი ჯარისკაცი დაიღუპა, 9 ათასი ტყვედ დანებდა. კრომველმა ტყვედ იგდო შოტლანდიის თითქმის ყველა გამოჩენილი მხედართმთავარი, მათ შორის თვით გენერალი ლესლი, გენერალი ჯონ მიდლტონი, ინგლისელი გენერალი ედუარდ მესეი (ცნობილი პრესბიტერი), ინგლისელი როიალისტი გრაფი ჯეიმზ სტენლი დერბი, შოტლანდიის როიალისტთა ლიდერები — ჰერცოგი ჰამილტონი (ლანარკი), რომელიც მძიმე ჭრილობებით მალე გარდაიცვალა, ჰერცოგი ლოდერდეილი და სხვ. გლეხურად გადაცმულმა ახალგაზრდა მონარქმა ძლივს დააღწია თავი ტყვეობას და საფრანგეთს შეაფარა თავი.

შოტლანდიის ბედი გადაწყდა. კრომველის მიერ იქ დატოვებულმა

გენერალმა ჯორჯ მონკმა ადვილად მოაგვარა შოტლანდიის დაპყრობის საქმე. 1652 წელს შოტლანდიელებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს. ინდეპენდენტური რესპუბლიკა და მათი ლიდერი კრომველი შოტლანდიის წინააღმდეგ ომში როიალისტური საფრთხის ლიკვიდაციასთან ერთად, ისახავდა (რაც მთავარია) ამ ქვეყნის ეროვნულ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობის ლიკვიდაციას. ჩანაფიქრი გამართლდა, შოტლანდია ინგლისის ფეხქვეშ იყო. შოტლანდიაში დაბანაკდა ინგლისის საოკუპაციო არმია გენერალ მონკის და პოლკოვნიკ რობერტ ლილბერნის სარდლობით. შოტლანდიის პარლამენტი გაუქმდა. 1654 წელს შოტლანდიელებს ინგლისის პარლამენტში გამოუყვეს 30 ადგილი. ედინბურგში ჩამოხსნეს შოტლანდიის სახელმწიფო გერბი, შოტლანდიის სამეფოს გვირგვინი სახრჩობელაზე ჩამოკიდეს, სახელმწიფო არქივი ინგლისში გაზიდეს, გააუქმეს საბაჟოები ინგლისსა და შოტლანდიას შორის, შოტლანდიაში დაამკვიდრეს ინგლისში მოქმედი საგადასახადო სისტემა, დააწესეს ინგლისური სამართალი და სასამართლო სისტემა. შოტლანდიის ინგლისთან შემოერთება საბოლოოდ გაფორმდა პროტექტორატის დროს, ინგლის-შოტლანდიის გაერთიანების შესახებ ლორდ-პროტექტორის 1654 წლის 12 აპრილის ორდონანსით.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა შოტლანდიაში განხორციელებულ მიწის რეფორმას, რაც განხორციელდა პარლამენტის მიერ 1652 წლის 3 თებერვალს მიღებული აქტით „შოტლანდიის მოწესრიგების შესახებ" (The Settlement of Scotland). ინგლისელები შოტლანდიას ირლანდიასთან შედარებით გაცილებით უფრო ლმობიერად მოექცნენ. აქ არ განხორციელებულა მიწების მასობრივი მიტაცება, ადგილობრივი მოსახლეობის აყრა, ადგილობრივი რელიგიის ულმობელი დევნა, ინგლისური ფართო კოლონიზაცია და სხვ. პირველ ყოვლისა, როგორც ჩანს, ინგლისელებს მაინცდამაინც არ ხიბლავდა შოტლანდიის მწირი, მთაგორიანი კლდოვანი მიწები. თავისებური როლი შეასრულა ინგლის-შოტლანდიის ისტორიულმა ხანგრძლივმა ურთიერთობამ. ინგლისელთა მიზანი იყო შოტლანდია გადაექციათ ერთ-ერთ პროვინციად. აქტის თანახმად მიწების სრული კონფისკაცია განიცადა შოტლანდიის არისტოკრატიის იმ ნაწილმა, რომელიც ინგლისის წინააღმდეგ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა. მიწათმფლობელთა დანარჩენმა ნაწილმა მიწები შეინარჩუნა დიდი ჯარიმების გადახდის პირობით. ჩამორთმეული მიწების დიდი ნაწილი გაიყიდა, ნაწილი დაურიგდა კრომველის ოფიცრებს, გენერლებს და იმათ, ვინც მასთან თანამშრომლობდა. მიწების გარკვეული ნაწილი შეისყიდეს ინგლისელებმა, მიწის დიდი ნაწილი თავად შოტლანდიელებს, კერძოდ, მდიდარ ბურჟუაზიას ერგო, პირველ რიგში, ედინბურგელ დიდვაჭ-

რებს. ამიერიდან, მიწაზე ფეოდალურ-კლანური საკუთრება შეიცვალა პირდაპირი, ბურჟუაზიული საკუთრებით.

მიწის რეფორმამ არსებითად შეცვალა შოტლანდიელი გლეხკაცის ბედი. ძველი მიწათმფლობელი არისტოკრატიის ძირითად მასას კლანის ბელადები ქმნიდნენ. მათ მიწებზე კლანის წევრების უფლებით ისხდნენ შოტლანდიელი გლეხები, რომელთა მიწიდან აყრა თითქმის გამორიცხული იყო. ამიერიდან მიწები ახალმა მეპატრონეებმა საკუთრებაში დაიმკვიდრეს. გლეხობა იძულებული იყო მიწით ესარგებლა მოიჯარის უფლებით. დიდი ნაწილი უმიწოდ რჩებოდა ან ქმნიდა წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარებისათვის ესოდენ საჭირო თავისუფალი მუშახელის რეზერვუარს — „ფრინველივით თავისუფალ პროლეტარიატს“.

რეფორმებმა საბოლოოდ შეარყიეს შოტლანდიის კლანურ-ფეოდალური სისტემა და დააჩქარეს შოტლანდიაში წარმოების ახალი — კაპიტალისტური წესის დანერგვა. შოტლანდიაში მიწათმფლობელთა არისტოკრატიის ახალი ფენის შექმნამ კიდევ უფრო გააძლიერა ბანაკი ახალი რეაქციისა, რაც კრომველის დიქტატურის დამყარების კიდევ ერთ-ერთი არსებითი საწინდარი გახდა.

II. ოლივერ კრომველის პროტექტორატი

1. პროტექტორატის დამყარება. ლორდ-პროტექტორის საშინაო პოლიტიკა

1651 წლის 17 სექტემბერს კრომველი ტრიუმფით შედის ლონდონში, რაც დიდი ზარზეიმით აღინიშნა. კრომველს ადრე უკვე ჰქონდა უაიტჰოლის სასახლე, ამჯერად კი მას დამატებით, უკვე როგორც საზაფხულო რეზიდენცია, უბოძეს მეფის მეორე სასახლე — ჰემპტონ-კორტი. მისთვის ადრე გამოყოფილ მამულს, რომელიც 2500 გირვანქა სტერლინგის შემოსავალს იძლეოდა, დაემატა ახალი, რომლის რენტა 4 500 გირვანქა სტერლინგით განისაზღვრებოდა. პარლამენტმა მას ოფიციალურად უწოდა „ყველა დღეს მცხოვრებ და წინა თაობაში ცნობილ ბელადთა შორის ერთი ყველაზე უფრო უგონიერესი და ეკეთესი“. ბურჟუაზიულ ინგლისისათვის იგი იყო პიროვნება, რომელმაც იხსნა მათი საკუთრება როგორც მარჯვნიდან, ასევე მარცხნიდან. საინტერესოა, რომ ამიერიდან პეტიციები უფრო ხშირად იგზავნება მთავარსარდლის და არა პარლამენტის სახელზე. ხალხი მთავარსარდლისაგან მოითხოვს მათი ტანჯვის შემსუბუქებას. ყურადსაღებია ისიც, რომ უცხოეთის ელჩები პარლამენტში გამოცხადებამდე კრომველთან

ცხადდებოდნენ, წინასწარ აინტერესებდათ მისი აზრი. რეაქციულ ძალად ქცეული არმია ამიერიდან ემორჩილება მხოლოდ მთავარსარდალს, გამარჯვებათა ორგანიზატორს — ოლივერ კრომველს. არმია და მისი ლიდერი ამჯერად ინგლისში ერთადერთ რეალურ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. კრომველს უკვე ჰქონდა სამხედრო დიქტატურის გამოცდილება ირლანდიასა და შოტლანდიაში — იცოდა ამ ხელისუფლების გემო.

შოტლანდიიდან დაბრუნებული კრომველი რევოლუციური ინგლისის აღიარებული ბელადია. მისმა მახვილმა იხსნა რევოლუცია და რესპუბლიკა. მაგრამ სულ მალე იმავე მახვილმა მათ ბოლო მოუღო. „ნაბოლარა პარლამენტს“ ავტორიტეტი საბოლოოდ შეერყა. იგი წარმოადგენდა მმართველობის ოლიგარქიულ ორგანოს, რომელიც მ. ა. ბარგის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საბოლოოდ გადაგვარდა გათავხედებულ საქმოსანთა საკრებულოდ, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებას იყენებდა ქონების დასამრგვალებლად“. პარლამენტის წევრები ერთმანეთს დაუსრულებლად ურიგებდნენ კონფისკაციაქმნილ მამულებს, ჯილდოებს, თანამდებობებს, პენსიებს ქვეყნისა და ხალხის წინაშე „დიდი დამსახურებისათვის“ და სხვ. კომონერები ფართოდ ჩაებნენ სპეკულაციაში, საბირჟო თამაშში იღებდნენ ქრთამებს, ფლანგავდნენ სახელმწიფო სახსრებს. დაიწყო სპყოველთაო კორუფცია, პროტექციონიზმი, ნეპოტიზმი, მოსყიდვა და სხვ. საქმოსანი კომონერები ან თვითონ იკავებდნენ ან ახლობლებს ურიგებდნენ ყველა სარფიან თანამდებობას. ასეთ პირობებში კრომველის სახით (ისევე როგორც XVIII საუკუნის საფრანგეთში დირექტორიის გახრწნილი რეჟიმის დროს ნაპოლეონ ბონაპარტის სახით) ხალხი ხედავდა ერთადერთ ძალას, რომელსაც შეეძლო „ნაბოლარა“ პარლამენტისაგან ინგლისის გამოხსნა. ხალხი მისი სახით ხედავდა არა მხოლოდ სტიუართა წინააღმდეგ თავგამოდებულ მებრძოლს, არამედ ადამიანს, რომელიც საჭირო მომენტში მზად იყო დაეძლია კლასობრივი შეზღუდულობა და ხალხისათვის გაეწვდინა ხელი, მისი მოთხოვნებისათვის ეზრუნა. ხალხს ახსოვდა ის, თუ როგორ იცავდა იგი გლეხებს, რომლებსაც ლენდლორდი არმეგდა მიწას, თუ როგორ დააწიხანურა გენერლებსა და პოლკოვნიკების პოსტებზე უბრალო ხალხის შვილები, თუ როგორ ახორციელებდა იგი თავის დროისათვის უდიდესი მასშტაბის რჯულშეწყნარებას, როგორ უპირისპირდებოდა პარლამენტს, როგორ აკრიტიკებდა მას და სხვ. კარგად ახსოვდათ ისიც, რომ კრიტიკულ მომენტში იგი არმიის მხარეზე აღმოჩნდა, გაბედულად შეუერთდა მეფის სიკვდილით დასჯის მომხრეებს და ახვ. ერთი სიტყვით ხალხი მასში ხედავდა მაქსიმილიან რობესპიერს და კ. ნ. ტატარინოვას სიტყვებით რომ ვთქვათ, „მასში ხალხს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა ის,

რომ იგივე კრომველი იქნებოდა აგრეთვე ამ რევოლუციის ნაპოლეონი".

რევოლუციის ბელადის მოვალეობა აიძულებდა კრომველს საქმით თუ არა, სიტყვით მაინც ეზრუნა ხალხის დაკეთილდღეობაზე. იგი ცდილობდა აელაგმა „ნაბოლარა პარლამენტის", ტ. ა. პველოვას გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „მგლური მადა" და მოეგონებინა მისთვის ერის ინტერესების დაცვის საჭიროება. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს კრომველის ცნობილი წერილი პარლამენტის სპიკერის სახელზე: „შეუმსუბუქეთ დაჩაგრულებს მათი უბედურება, ყურადღება გოდება ინგლისის ტანჯული ტყვეებისა (ხალხისა — გ. კ.), შეეცადეთ აღმოფხვრათ ბოროტმოქმედება ყოველ წოდებაში. რესპუბლიკისათვის შეუფერებელია ის, რომ მცირეთა გასამდიდრებლად მრავალი ღატაკდება". კრომველი მოითხოვს პარლამენტისაგან გადაუდებელ რეფორმების განხორციელებას. მაგრამ „ნაბოლარა პარლამენტს" და გაპარჭვებულ მოკავშირე კლასებს ამის გაგონებაც კი არ სურთ. თვით კრომველმა აღიარა: „საკმარისია ვახსენოთ სამართლის რეფორმა (ერთერთი მოთხოვნა დემოკრატიისა — გ. კ.), რომ იმ წუთშივე იურისტები დაიწყებენ მოთქმას, თითქოს ჩვენ გვსურდეს საკუთრების მოსპობა". აღსანიშნავია, რომ საქმით არც კრომველი იყო დემოკრატიული რეფორმების მომხრე. ცნობილია, რომ დენბარეს ბრძოლის წინ კრომველმა ინგლისს აღუთქვა „მეათედის" გაუქმება. მაგრამ მალე ეს დაპირება დავიწყებას მიეცა. როგორც ადრე ვიუწყებოდით, კრომველი, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო საპულიერო მანორი, თვით სარგებლობდა ამ გადასახადის სიკეთით.

ხალხთან ერთად „ნაბოლარა პარლამენტის" მიმართ ოპოზიციურად განეწყო ქალაქისა და სოფლის მესაკუთრე ინგლისის დიდი ნაწილი. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ ამ პარლამენტს აღარ შეეძლო „ტრადიციების, წესრიგისა და საკუთრების უსაფრთხოების" უზრუნველყოფა, რომ იგი ვერ ალაგმავდა ვერც მემარცხენეობას და ვერც როიალისტებს. „ნაბოლარა პარლამენტის" საქმიანობას შეიძლება მოჰყვეს ახალი რევოლუციური აზვირთება, ამიტომ მის ნაცვლად საჭიროა უფრო სტაბილური, ძლიერი ხელისუფლება, ასეთი იყო მათი აზრი. „ნაბოლარა პარლამენტის" წინააღმდეგ ამხედრდა ოფიცერთა ზედაფენაც (გენერალ ლამბერტის მეთაურობით), რომელიც პარლამენტმა ხელისუფლებას და სახელმწიფო კეთილდღეობით სარგებლობის შესაძლებლობას თითქმის მთლიანად ჩამოაშორა. ოფიცრები მოითხოვენ არმიისათვის ბაღის გადახდას, „მეათედების" გაუქმებას, სასამართლოს რეფორმას და სხვ. არმიასა და პარლამენტს შორის დიდ დავას იწვევდა ირლანდიაში ნაძარცვი მიწა-ჭონების გაყოფა. როგორც ვიცით, იგი უნდა განაწილებულიყო 1642 წლის სესხზე ხელისმოწერი-

თა და არმიას შორის. პირველთა შორის ბევრი იყო პარლამენტის წევრი. ოფიცრებსა და „ნაბოლარა პარლამენტს“ შორის დაიწყო მძაფრი ბრძოლა. კრომველი კატეგორიულად მოითხოვდა „ნაბოლარა პარლამენტის“ მიერ თავის რწმუნებაზე უარის თქმას. „პარლამენტი, რომელიც თოთხმეტი წლის წინ იქნა არჩეული, გარდა საკუთარი თავისა უკვე დიდი ხანია აღარავის წარმოადგენს“, — ამბობდა იგი. კრომველის ასეთი პოზიცია ზრდიდა დემოკრატიულ ინგლისში მის ავტორიტეტს. ერთგვარი იმედებით აღივსნენ ლეველერები. კრომველისადმი სიმპათიით განეწყო აგრეთვე უინსტენლი. მისი ყველაზე უფრო ცნობილი ნაწარმოები „თავისუფლების კანონი“ (1652) მიეძღვნა კრომველს, რომელიც, ავტორის აზრით, შეძლებს იხსნას ხალხი „ეგვიპტურ ტყვეობიდან“. „ნაბოლარა პარლამენტის“ წინააღმდეგ ილაშქრებდა მრავალი რელიგიური, მათ შორის „მეხუთე მონარქის ადამიანთა“ სახელით ცნობილი სექტა, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა.

„მეხუთე მონარქიის ადამიანთა“ ანუ „მილენიარების“ მემარცხენე-რადიკალური პურიტანული სექტა სოციალურად ჭრელი იყო. იგი აერთიანებდა ქალაქის დაბალ ფენებს, წვრილბურჟუაზიულ გაღარიბებულ ელემენტებს, მათთან ერთად სექტაში ვხედავთ საშუალო ჯენტრისა და საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, ცნობილი გენერლის ტომას ჰარისონისა და სხვათა სახით. სექტანტები თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევდნენ შუა საუკუნეებში გავრცელებულ ცნობილ მოძღვრებას, რომლის თანახმად კაცობრიობამ თავის ისტორიულ განვითარებაში განვლო ოთხი პერიოდი, ოთხი დიდი მსოფლიო მონარქის შესაბამისად: ასურეთ-ბაბილონისა (ნაფუგოდონოსორისა), მიდიურ-სპარსული (კიროს სპარსელისა), ბერძნული (ალექსანდრე მაკედონელისა) და რომის იმპერიისა. სამი მონარქია თანამიმდევრულად დაინგრა წარმართული ცრურწმენის შედეგად. ამჯერად დადგა ჟამი მეორე მონარქიის—რომის იმპერიის დაცემისა (იგულისხმებოდა ის კრახი, რომელიც განიცადა გერმანიის ერის საღვთო რომის იმპერიამ 30-წლიანი ომის შემდეგ). ამიერიდან გაიმარჯვებს „მეხუთე მონარქია“, ანუ განხორციელდება იესო ქრისტეს „ათასწლოვანი მეუფება“, საშუდამოდ ბოლო მოეღება ჩაგვრას, სოციალურ უთანასწორობას, უსამართლობას, მჩაგვრელი მდიდრები მოისპობიან, მათი ქონება გადანაწილდება ტანჯულთა შორის. ქრისტეს მეორედ მოსვლამდე საჭიროა ხელისუფლება გადაეცეს მის ყველაზე უფრო ერთგულ მიმდევრებს — „წმინდანებს“, რომლებიც ქვეყანას უხელმძღვანელებენ ქრისტეს სახელით, მისივე რწმუნებით.

„მეხუთე მონარქიის ადამიანები“, პირველ ყოვლისა, მოითხოვდნენ სატანისეული „ნაბოლარა პარლამენტის“ დაუყოვნებლივ დათხოვას.

კრომველმა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გამოიყენა აღნიშნული სექტა, შემთხვევითი როდი იყო ის, რომ „ნაბოლარათა“ განდევნის ჟამს მას დიდი დახმარება აღმოუჩინა გენერალმა ჰარისონმა.

უაიტლოკის ცნობით კრომველმა სახელმწიფო გადატრიალების გეგმა უკვე 1651 წელს, შოტლანდიელთა განადგურებისთანავე შეიმუშავა. 1651 წლის 10 დეკემბერს მან პარლამენტის სკიპერის ბინაზე მოიწვია უმაღლესი ოფიცრებისა და პარლამენტის წევრების ვიწრო თათბირი, სადაც დასვა საკითხი ინგლისის ახალი მმართველობის შესახებ. კრომველმა ერის ცხოვრების სტაბილიზებისათვის და მყარი წესრიგის უზრუნველსაყოფად საჭიროდ ჩათვალა მტკიცე, ძლიერი ხელისუფლების დამყარება. მან ამ შემთხვევაში მოსინჯა ინგლისის ბედის მესვეურთა აზრი, აღმოჩნდა, რომ უმრავლესობა მომხრეა ასეთი ხელისუფლებისა. ნაწილი (უაიტლოკი, სერ ტომას უორინგტონი, სენტ-ჯონი სკიპერი ლენტოლი) შეზღუდულ მონარქიას უჭერს მხარს (მეფის კანდიდატად ასახელებენ პარლამენტის ხელთ მყოფ უმცროს პრინცს — გლოსტერის ჰერცოგს), ნაწილი მხარს უჭერს რესპუბლიკურ მმართველობას მონარქისტული მინარევით (ჰარისონი, გენერალი ფლიტვუდი, გენერალი დესბორო, პოლკოვნიკი ვალე). ასეთივე პოზიციაზე დგას კრომველი, მისი აზრით ყველაზე მიზანშეწონილია „სახელმწიფო მმართველობა ზოგიერთი მონარქისტული ნიშნით, თუ იგი განხორციელდება ჩვენი, როგორც ინგლისელებისა და ქრისტიანების ყველა უფლების შენარჩუნების პირობებში“. კრომველი არც რესპუბლიკას უჭერს მხარს და არც შეზღუდულ მონარქიას (მას ტახტზე შესაფერისი კანდიდატი არ ეგულება), არამედ მათ შორის რაღაც საშუალო „რესპუბლიკურ მონარქიას“. როგორც ჩანს, მას გააზრებული ჰქონდა ასეთი მმართველობა იმ სახით, რა სახითაც მან იგი სულ მალე შექმნა — პროტექტორატი ანუ სამხედრო დიქტატურა რესპუბლიკური ფორმით. მას შერჩეული ჰყავდა კიდეც კანდიდატი ამ პოსტზე — გენერალი ოლივერ კრომველი.

1653 წლის 19 აპრილს კრომველმა საკუთარ რეზიდენციაში, უაიტჰოლში მოიწვია ოფიცერთა სხდომა, რომელსაც პარლამენტის რამდენიმე წევრიც ესწრებოდა. კრომველი ამზადებდა სახელმწიფო გადატრიალებას. იგი თანამიმდევრულად ქმნიდა საზოგადოებრივ აზრს პარლამენტის დაშლისა და ახალი ხელისუფლების ორგანიზების აუცილებლობის შესახებ. თათბირის მონაწილე ოფიცრობა კრომველის მეთაურობით მოითხოვდა პარლამენტის დაუყოვნებლივ დათხოვნას და ახალი კონსტიტუციის შემუშავებას, მათ მხარს უჭერდა პარლამენტის გავლენიანი დეპუტატი ცნობილი იურისტი სენტ-ჯონი. სხდომის მონაწილეთა შორის იყვნენ ლორდ-გენერლის წინადადების მოწინააღმდეგეებიც (მათ შორის სერ თომაზ უირინგტონი და უაიტლოკი).

უმრავლესობა მაინც კრომველის მხარეზე იყო. უაიტლოკს მიაჩნია, რომ პარლამენტის დათხოვნა კრომველს სურდა იმისათვის, რომ „უკეთ გაეკაფა გზა და დაეკმაყოფილებინა სახელმწიფოს ხელისუფლების ხელში ჩაგდების თავისი პატივმოყვარული განზრახვა, ისევე როგორც მათ (კრომველმა და მისმა მომხრეებმა — გ. კ.) უკვე ხელთ იგდეს სამხედრო ხელისუფლება". სხდომა გვიან ღამემდე გაგრძელდა და განახლდა დილით, 20 აპრილს. შემუშავებული გეგმის თანახმად პარლამენტი ნებაყოფლობით უნდა გადამდგარიყო, ახალი პარლამენტის მოწვევამდე ხელისუფლება უნდა აღესრულებინა საგანგებო რწმუნებებით აღჭურვილ 40 კაცისგან შემდგარ საბჭოს.

გრძნობდა რა მოახლოებულ საფრთხეს, „ნაბოლარა პარლამენტმა" კრომველის ბინაში მიმდინარე თათბირის პარალელურად შეიმუშავა ახალი პარლამენტის მოწვევის საკუთარი, უხეშად რომ ვთქვათ, თავხედური პირობები. პარლამენტი თავს თვლიდა ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად და არავისთვის არ სურდა ხელისუფლების დათმობა ან განაწილებაც კი. პირველ ყოვლისა, პარლამენტმა დაადასტურა მაღალი ქონებრივი ცენზის არსებობის აუცილებლობა. 1653 წლის 20 აპრილის სხდომაზე, რომელსაც კრომველი არ ესწრებოდა, პარლამენტი შეუდგა ახალი ბილის განხილვას, რომელიც ითვალისწინებდა არსებული პარლამენტის და მისი წევრების უკვდავყოფას. არსებული პარლამენტის წევრების გადარჩენა არ ხდება, ისინი ყველა ახალ პარლამენტში ავტომატურად ინარჩუნებენ თავიანთ რწმუნებას. ამასთან ერთად მხოლოდ მათ უნდა ჰქონოდათ უფლება ყოველი ახალი წევრის არჩევის კანონიერების შემოწმებისა.

პარლამენტის ამ გადაწყვეტილების შესახებ კრომველმა უაიტჰოლში შეიტყო 20 აპრილს, დილითვე, ამბავი პოლკოვნიკმა ინგოლდსბიმ მოუტანა. იგი სასტიკად აღშფოთდა და დაუყოვნებლივ პარლამენტისკენ გაეშურა (ტანისამოსიც არ გამოუცვლია, წავიდა საშინაოდ გამოწყობილი), თან წაიყოლია მუშკეტერთა რაზმი. ჯარისკაცების ნაწილი პარლამენტის შესასვლელთან განალაგა, ნაწილი თან გაიყოლა და კორიდორებში ჩააყენა, თვითონ სხდომათა დარბაზში შევიდა და გენერალ ჰარისონს მიუჯდა გვერდით. კრომველმა მოუსმინა კამათს, როცა ახალი ბილი კენჭის საყრელად წარადგინეს, წამოდგა და ადგილიდანვე წარმოთქვა მამხილებელი სიტყვა, უფრო სწორად მან პარლამენტს ყვირილითა და ხელის ქნევით საბრალდებო სიტყვა წაუკითხა და იქვე განაჩენი გამოუტანა. მუშკეტერთა რაზმმა სხდომის დარბაზი დაიკავა და პარლამენტის წევრები გააძევა, სკიპერი, რომელსაც ადგილის დატოვება არ სურდა, ჰარისონმა სავარძლიდან ჩამოათ-

რია. კრომველმა ერთ-ერთ ჯარისკაცს უბრძანა გადაეგდო „მასხარას ჯოხი“ — სპიკერის კვერთხი. კრომველი პარლამენტის წევრებს ამკობდა ეპითეტებით: „გარყვნილები“, „ლოთები“, „ღმერთის კანონების დამრღვევნი“, „გაფუჭებული და მატყუარა ხალხი“. ახდომათა დარბაზი ლორდმა-გენერალმა უკანასკნელმა დატოვა და გასცა განკარგულება დაეკეტათ კარი. „თქვენ მაიძულეთ ჩამედინა ეს საქმე, რადგან მე დღე და ღამ ვევედრებოდი ღმერთს, მიჯობს მომკლა, ვიდრე დამავალო ეს“, — განაცხადა კრომველმა, ანუ თავისი საქმიანობის პირველსაწყისად კვლავ ღმერთი იხმო. ავტორიტეტდაკარგულ „ნაბოლარა პარლამენტის“ დათხოვნას ინგლისის ხალხი სრული ინდიფერენტიზმით შეხვდა — „მის დასაცავად არც ერთ ძაღლს არ დაუყეფია“, — ამბობდა კრომველი. ერთადერთი, ვინც დათხოვნილ პარლამენტს გამოესარჩლა, ლონდონის სიტის მესვეურები იყვნენ. მაგრამ მათ პროტესტს რაიმე შედეგი არ მოჰყოლია.

ჩვეულებრივ ამტკიცებენ, რომ იმ დღეებში კრომველი ჯიქურ მიილტვოდა ხელისუფლებისკენ, არავის ეკითხებოდა, არაფერს ერიდებოდა, რომ მას მხოლოდ პატივმოყვარეობა ამოძრავებდა და ა. შ. ასეთი შეფასება დამაჯერებლობას მოკლებულია. პირიქით, იმ მომენტში, როცა კრომველი აღმოჩნდა ინგლისის ბედის დამოუკიდებლად გადაწყვეტის ურთულესი ამოცანის წინაშე, იგი იჩენდა სიფრთხილეს, ეთათბირებოდა კოლეგებს, ცდილობდა თავის სასარგებლოდ განეწყო საზოგადოებრივი აზრი. 1653 წლის 22 აპრილს გამოქვეყნდა ლორდ-გენერალ ოლივერ კრომველის დეკლარაცია, რომელმაც ინგლისის ხალხს აუწყა პარლამენტის დათხოვნის მიზეზების შესახებ. კრომველი აღნიშნავდა, რომ ინგლისის ხალხი ესოდენ დიდი გამარჯვებების შემდეგ იმსახურებს მშვიდ და მყარ ცხოვრებას. საჭიროა მას „მიეცეთ საშუალება მოიმკას მისი შრომის, დაღვრილი სისხლის, ფულადი დანახარჯის ყველა ნაყოფი, მოიპოვოს თავისუფლება სამოქალაქო და რელიგიურ სფეროში“. მაგრამ არსებული პარლამენტი ამაზე არ ფიქრობდა, პირიქით, ყოველნაირად ხელს უშლიდა სახალხო საქმეს. ასეთ ვითარებაში „ინგლისის კეთილმა ადამიანებმა“ განახორციელეს კიდეც ამ პარლამენტის დათხოვნა და ახალი პარლამენტის არჩევამდე ხელისუფლება დროებით მიანდეს ადამიანებს, რომლებიც გამოირჩევიან „ღვთისმოსაობითა და უმწიკვლობით“.

ახალი პარლამენტის წევრები კრომველმა პირადად შეარჩია და დანიშნა. მას ადგილობრივმა რელიგიურმა თემებმა, სახელმწიფო საბჭოს თანხმობით წარუდგინეს 140 კანდიდატი (129 ინგლისიდან და უელსიდან, 5 შოტლანდიიდან, 6 ირლანდიიდან,), რომლებიც პარლამენტის წევრებად დაინიშნენ. „ოფიცერთა საბჭოსთან შეთანხმებით მე პირადად დავნიშნე რამდენიმე ღვთისმოსაი, პატიოსნება-

ში და ერთგულებაში შემოწმებული ადამიანი", — ამბობდა კრომველი. პარლამენტის ახალმა წევრებმა მოწვევა პირადად კრომველის ხელით მიიღეს. „მე, ოლივერ კრომველი, ამ რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდალი, ამით გიწვევთ და ვალდებულად გხდით გამოცხადდეთ 4 იელისს უაიტჰოლის სასახლეში", — ნათქვამი იყო მოწვევაში.

პარლამენტში უმრავლესობა კრომველის ახლობელი ოფიცრები და რადიკალურად განწყობილი, არსებითი რეფორმების მომხრენი იყვნენ, განსაკუთრებით „მეხუთე მონარქიის" სექტიდან. რელიგიურმა თემებმა შეარჩიეს ის პირები, რომლებიც რეფორმისტულ მისწრაფებებს ავლენდნენ, აკი თვით პარლამენტის დათხოვნა მისი ანტირეფორმისტული, კონსერვატორული ხასიათით ახსნეს. თვით კრომველი მოითხოვდა ქვეყნად ძირეულ გარდაქმნებს ხალხის მოქალაქეობრივ და რელიგიურ უფლებათა გაზრდის მიზნით.

1665 წლის 4 იელისს დანიშნულ დეპუტატთა (nominees) პარლამენტი შეიკრიბა უაიტჰოლის სასახლეში. სხდომის გახსნას უშუალოდ ესწრებოდა კრომველი, რომელიც ჰარისონთან და გენერალ ლამბერტთან ერთად შეყვანილ იქნა პარლამენტის შემადგენლობაში. დარბაზი სავსე იყო ოფიცრებით. ახალი პარლამენტი ისტორიაში შევიდა „მცირე, ანუ ბერბონის* პარლამენტის" სახელით. „მცირე პარლამენტი" სოციალური და რელიგიური თვალსაზრისით თითქმის ერთგვაროვანი იყო. იგი წარმოდგენილი იყო ძირითადად ინდეპენდენტთა სხვადასხვა ჯგუფებით და „მეხუთე მონარქიის ადამიანებით", ანუ ინგლისის საშუალო და წვრილი ბურჟუაზიით და ახალი თავადაზნაურობით. სოფლისა და ქალაქის მშრომელები, ფეოდალური თავადაზნაურობა, პრესბიტერიული ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა პარლამენტში წარმოდგენილი არ იყო. „მცირე პარლამენტი" უფრო რადიკალურად მოქმედებდა ვიდრე ხანგრძლივი პარლამენტი, ან მისი „ნაბოლარა".

პარლამენტში წარმოდგენილი იყო აქტიურ პოლიტიკოსთა მცირე ჯგუფი, მათ შორის გენერალი ჯორჯ მონკი, ცნობილი ადმირალი რობერტ ბლეკი, პოლკოვნიკი უილიამ ლოკარტი (იგი მალე დაწინაურდა დიპლომატიურ სარბიელზე), კრომველის ვაჟიშვილი ჰენრი კრომველი (ირლანდიის ლორდი-ნაცვალი 1658-59), ანტონი ეშლი კუპერი (რესტავრაციის დროს გრაფი შეფტსბერი — ვიგების ლიდერი) და სხვ. პარლამენტის წევრთა შორის იყვნენ თვით კრომველი და მისი უახლოესი უმაღლესი ოფიცრები: დესბორო, ჰარისონი, ლამბერტი და

---

* პრეზბეტოდ ბერბონი (1596—1679) მცირე პარლამენტის წევრი, ლონდონელი ტყავის მრეწველი და ვაჭარი, გამოირჩეოდა ორატორული ნიჭით, ოპოზიციური და რეფორმატორული აქტივობით.

ტომლისონი. უმრავლესობას ქმნიდნენ რელიგიური თემების მიერ არჩეული პურიტანი მოღვაწეები, რომლებსაც ზედმეტი რელიგიურობის გამო ხალხმა დაცინვით „წმინდანები“ შეარქვა. მათ პოლიტიკური საქმიანობის გამოცდილება ნაკლებად ჰქონდათ, ამიტომ მათ მოქმედებას ხშირად წარმართავდა რელიგიური ფანატიზმი და ილუზია.

„ხანგრძლივი პარლამენტის“ („ნაბოლარას“) გარეკვას, ამ სამხედრო ძალმომრეობას, დემოკრატიული ინგლისი დიდი აღტაცებით შეხვდა. ლეველერების ბელადმა ლილბერნმა, რომელიც, როგორც ვიცით, 1652 წლიდან გაძევებული იყო და ჰოლანდიაში იმყოფებოდა, კრომველს, რომელსაც ადრე სიკვდილით ემუქრებოდა, მიმართა აღფრთოვანებული წერილით. მან „ხანგრძლივი პარლამენტის ნაბოლარების“ გარეკვა ჩათვალა როგორც ინგლისის თავისუფლების ზეიმი, კრომველი კი ამ ზეიმის ორგანიზატორად აღიარა. მაგრამ იგი სულ მალე დარწმუნდა, თუ რას ნიშნავდა დიქტატორ კრომველის „თავისუფლება“. ინგლისში ჩამოსვლისთანავე ლილბერნი, როგორც ვიცით, დააპატიმრეს და გაასამართლეს. 1653 წლის 20 აგვისტოს სასამართლომ იგი გაამართლა. მიუხედავად ამისა, კრომველმა იგი მაინც საპყრობილეში გამოკეტა.

„ხანგრძლივ პარლამენტთან“ ერთად იმავე დღეს დაშალეს „სახელმწიფო საბჭო“. საბჭოს სხდომათა დარბაზში გამოცხადნენ კრომველი, ლამბერტი და ჰარისონი: „ჯენტლმენებო! თუ თქვენ აქ შეიკრიბეთ ვითარცა კერძო პირები, ხელს არავინ შეგიშლით, მაგრამ თუ სახელმწიფო საბჭოს პრეტენზია გაქვთ, მაშინ თქვენთვის აქ ადგილი არაა“, — განაცხადეს ოფიცრებმა. მცირე წინააღმდეგობა მხოლოდ ბრედშოუმ გასწია, საბჭო დუმილით დაიშალა. რამდენიმე დღის შემდეგ შექმნეს ახალი საბჭო სამი ოფიცრისა და სამი სამოქალაქო პირის შემადგენლობით.

პარლამენტში მოწვეულმა „წმინდანებმა“ კრომველის ყველა განცხადება და მოწოდება პირდაპირ გაიგეს და დაუყოვნებლივ შეუდგნენ ფართო რეფორმების განხორციელებას, განსაკუთრებით აქტიურობდნენ „მეხუთე მონარქიის ადამიანები“, რომლებიც გამოხატავდნენ წვრილბურჟუაზიულ-რადიკალური წრეების ინტერესებს. ბრიტანეთის ენციკლოპედიის ენით რომ ვთქვათ, მათ დაისახეს „დამანგრეველი მიზნები“, პირველ ყოვლისა, შეუტიეს არსებულ კანონებს და „მეათედზე“ დაფუძნებულ ეროვნულ ეკლესიას. მათ შექმნეს კომიტეტი, რომელსაც დაევალა ინგლისის კანონმდებლობის რადიკალური გარდაქმნა, ერთიანი კოდექსის შექმნა და სასამართლო წარმოების გამარტივება. პარლამენტმა წამოჭრა საკითხი საეკლესიო რეფორმების (მისი დემოკრატიზაციის მიზნით), საგადასახადო სისტემის გადასინჯვის, ფეოდალური სასამართლოების გაუქმების, სავალო ციხეე-

ბიდან პატიმართა განთავისუფლების, გადასახადების იჯარით გაცემის (შესყიდვის) სისტემის* გაუქმების, არმიის რიცხვის შემცირების, საკანცლერო სასამართლოს გაუქმებისა და „მეათედების“ გაუქმების შესახებ. გააუქმა პატრონატი (მიწათმფლობელის უფლება წარედგინა კანდიდატი საეკლესიო თანამდებობაზე), შემოიღო სამოქალაქო ქორწინება როგორც იურიდიული ძალის მქონე ქორწინების ერთადერთი ფორმა, გაამარტივა და მოაწესრიგა სამოქალაქო მდგომარეობის აქტების გაფორმებისა და რეგისტრირების საქმე, დაბადებისა და სიკვდილის რეგისტრაციის უფლება მიანიჭა მომრიგებელ მოსამართლეს, გამოსცა აქტი, რომელიც სულით ავადმყოფთა მდგომარეობის მოწესრიგებას ითვალისწინებდა. ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით პარლამენტმა გადაწყვიტა ხაზინის საქმიანობის შემოწმება, — მისი შემოსავალის ზუსტი დაანგარიშება, სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა პუნქტის შესაბამისად უმკაცრესი ანგარიშგება.

ამ უდავოდ პროგრესულ ღონისძიებებთან ერთად, „მცირე პარლამენტმა“ 1653 წლის 26 სექტემბერს მიიღო უმკაცრესი კანონი, რომელიც ითვალისწინებდა ირლანდიის მიწების უაჩაღურ მიტაცებას. რაც შეეხება აგრარულ პრობლემას, პარლამენტმა არსებითად დაადასტურა მისი ადრინდელი ცალმხრივი გადაწყვეტა. კოპიჰოლდი ძალაში დარჩა, მოხდა მისი ერთგვარი შემსუბუქება: კოპიჰოლდერის ძველი სავალდებულო ფეოდალური ფიცი შეიცვალა კოპიჰოლდერის მიერ იმის უბრალო აღიარებით, რომ მას მიწა მფლობელობაში მიღებული აქვს ლორდისაგან. ძველად კოპიჰოლდის ერთი ხელიდან მეორეში გადასვლის დროს დაწესებული გადასახადი თვითნებური იყო, ამიერიდან იგი შეიცვალა მტკიცედ ნორმირებული გადასახადით, რომელიც უდრიდა მიწის წლიურ რენტას.

ბურჟუაზია, ახალი თავადაზნაურობა და მათი ლიდერი კრომველი თავდაპირველად ესალმებოდნენ მცირე პარლამენტის ღონისძიებებს, „იესო ქრისტე უხილავად მოქმედებს მცირე პარლამენტის მუშაობაში, მის მისწრაფებაში მოაწესრიგოს ერის ცხოვრება“, — ამბობდა ლორდი-გენერალი. მაგრამ თანდათან მათი განწყობა შეიცვალა. მათ აღარ მოეწონათ პარლამენტის ზედმეტი რადიკალიზმი და არც ის,

---

* თანახმად ძველი წესისა, როგორც ვიცით, არსებობდა სახელმწიფო გადასახადთა (ამ შემთხვევაში არაპირდაპირ გადასახადთა) თუ სხვა ბასიათის ეალდებულებათა შესყიდვა (იჯარით აღება) ცალკეული ფინანსისტების ან ფინანსისტთა კორპორაციების მიერ. ეს სისტემა საგადასახადო ტვირთს ამძიმებდა, „შემსყიდველი“ კრეფდა მეტს, ვიდრე სახელმწიფოს მიერ იყო განსაზღვრული. „შემსყიდველთა“ ინსტიტუტის გაუქმება მიმართული იყო მსხვილი ბურჟუაზიის, პირველ ყოვლისა, ლონდონის სიტის მაგნატების წინააღმდეგ.

რომ პარლამენტი უფრო „მეხუთე მონარქიის ადამიანების“ კარნახით მოქმედებს, ვიდრე ლორდ-გენერლისა. გარდინერის თქმით, „ერთმა მუჭა მეოცნებეებმა“ („მეხუთე მონარქიის ადამიანები“ — გ. კ.) სერიოზულად განაცხადეს, რომ დგება მეუფება „წმინდანების“. რომ ეს „წმინდანები“ თვითონვე არიან. ამიერიდან კრომველს მცირე პარლამენტის „ტუტუცები“ უფრო აწუხებენ, ვიდრე „ნაბოლარას“ „არამზადები“. კრომველის წინაშე კვლავ აღიმართა „ქონების გათანაბრების“ აჩრდილი. „წმინდანები“ საფრთხეს უქმნიდნენ საკუთრებას და თავისუფლებას, — ამბობდა იგი მოგვიანებით (1657 წ.). კრომველის აზრით მათ მოქმედებას მოჰყვება ისეთი ვითარება, როცა 12 ძროხის მფლობელი ადამიანი იძულებული იქნება იგი გაუყოს მეზობელს, რომელსაც ძროხა საერთოდ არ ჰყავს. ასეთ შემთხვევაში „ვის შეუძლია რაიმეს საკუთრება უწოდოს“. „წმინდანთა“ პოლიტიკით უკმაყოფილო იყო ეკლესია, ოფიცრობა და იურისტთა დიდი ამალა (სასამართლო რეფორმა მათ შეეწროებას მოასწავებდა).

კრომველმა გადაწყვიტა გაერეკა „ტუტუცი წმინდანები“, მაგრამ კვლავ არმიის გამოყენება არ ჩათვალა მიზანშეწონილად, უმჯობესად მიიჩნია განეხორციელებინა პარლამენტის „თვით დაშლა“. ამ შემთხვევაში კრომველი ოფიცრობასთან ერთად დაეყრდნო პარლამენტის შიგნით მოქმედ მემარჯვენე ჯგუფს.

შესაფერისი ინსცენირების ორგანიზება ითავა გენერალ-მაიორმა ჯონ ლამბერტმა, ხოლო “წმინდანთა“ „თვით დაშლა“ უშუალოდ განახორციელა პოლკოვნიკმა უილიამ საიდენჰემმა. 1653 წლის 16 დეკემბერს პარლამენტის სხდომაზე წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად პოლკოვნიკმა პარლამენტში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც „წმინდანებს“ ბრალს სდებდა კანონის, სარწმუნოებისა და საკუთრებისადმი ძირგამომთხრელ საქმიანობაში. ერთ-ერთი მემარჯვენე დეპუტატის წინადადებას — პარლამენტს „ნებაყოფლობით“ ეთქვა უარი თავის რწმუნებაზე და მთელი ძალაუფლება გადაეცა კრომველისათვის, პარლამენტის უმრავლესობამ დაუყოვნებლივ დაუჭირა მხარი, დანარჩენები ჯარისკაცებმა გარეკეს. რამდენიმე „წმინდანი“ ჯიუტად განაგრძობდა ადგილზე ჯდომას. პოლკოვნიკ ჰოფს, რომელიც პოდპოლკოვნიკ უაიტთან ერთად დარბაზის გაწმენდას ხელმძღვანელობდა, შეკითხვაზე თუ რას აკეთებდნენ ისინი აქ, მათ უპასუხეს: „ვეძებთ ღმერთს“. „წადით სხვაგან სადმე, რადგან რამდენადაც მე ვიცი, აქ ღმერთი აღარ ყოფილა უკვე 12 წელია“, — ურჩია მათ ჰოფმა. საინტერესო იყო კრომველის პოზიცია მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. იგი თამაშობდა ნეიტრალური პიროვნების როლს. სურდა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ თვითონ უშუალოდ კი არ მიიღტვის ხელისუფლებისაკენ, არამედ მას აქეთკენ მოუწოდებენ, უხმობენ,

აიძულებენ აიღოს მმართველობის მძიმე სადავეები. ამით უნდა ავხსნათ კრომველის ფარისევლური გაოცება პარლამენტის „თვითგადადგომის“ გამო. კრომველს უმრავი პეტიცია მოსდიოდა, მას სთხოვდნენ დაეკავებინა სახელმწიფოს მეთაურის პოსტი, მიეღო თვით მეფის ტიტულიც კი. მაგრამ იგი ჯერჯერობით ამჯობინებდა ემოქმედა როგორც მხოლოდ ოფიცერთა შორის რანგით პირველს. ამასთან ერთი რამ უდავოა, ამჯერად კრომველს ღრმად სწამდა, რომ ინგლისის მოწესრიგებას რელიგიური კონგრეგაციები ვერ შესძლებდნენ, რომ რევოლუციისა და მისი მონაპოვარის ხსნა შეეძლო მხოლოდ ძლიერ, ცენტრალიზებულ, ერთპიროვნულ, არმიაზე დაყრდნობილ ხელისუფლებას. ასევე ფიქრობდა ოფიცერთა უმრავლესობა.

კრომველისათვის დიქტატორული ხელისუფლების გადაცემის ორგანიზებაში დიდ როლს ასრულებდა მისი ერთგული ოფიცრების ძლიერი კოჰორტა, გენერალი ჯონ ლამბერტი, გენერალი ტომას ჰარისონი, გენერალი ჯონ დებბორო, და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია გენერალი ლამბერტი, რომელმაც კრომველთან ურთიერთობაში გარდაცვალებული აირტონის როლის შესრულება იკისრა. 16 დეკემბერს მისი წინამძღოლობით უეჭმინსტერის სასახლეში კრომველს ეახლა დელეგაცია (მის შემადგენლობაში შედიოდნენ უმაღლესი ოფიცრები, მოსამართლეები, დიდმოხელეები, ლონდონის ლორდმერი, ოლდმენთა ჯგუფი და სხვ.). ლამბერტმა კრომველს შესთავაზა სახელმწიფოს (ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის) მეთაურობა ლორდ-პროტექტორის ტიტულით. კრომველმა ეს წინადადება მიიღო. კრომველის ლორდ-პროტექტორად გამოცხადება გარეგნულად თითქმის მეფის კურთხევის დონეზე ჩატარდა. გენერალმა ხელი მოაწერა საზეიმო ფიცს, პროტექტორმა თავზე დაიხურა ოქროს ფართო სირმით შემოვლებული ქუდი და დაჯდა ტახტის მსგავს სავარძელში, მას გადასცეს სახელმწიფოს დიდი ბეჭედი, სახელმწიფოს მახვილი. საზეიმო პროცესია ლორდ-პროტექტორის წინამძღოლობითა და ჯარისკაცთა აღფრთოვანებული შეძახილების თანხლებით უაიტჰოლში გაემართა.

ახალი კონსტიტუცია — „მმართველობის იარაღი“ (The Instrument of Government) უკვე მზად იყო (ოფიციალურად მიიღეს 16 დეკემბერს). იგი შეადგინეს უმაღლესმა ოფიცრებმა გენერალ ლამბერტის ხელმძღვანელობით. სახელმწიფოს მეთაურად გამოცხადდა კრომველი ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის ლორდ-პროტექტორის სახელით. აღმასრულებელთან ერთად იგი ფლობდა საკანონმდებლო ხელისუფლებას, რომელსაც ახორციელებდა ერთპალატიან პარლამენტთან ერთად, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას — სახელმწიფო საბჭოსთან ერთად (იგი მოგვაგონებდა ძველ სამეფო

საიდუმლო საბჭოს). ახალი სახელმწიფო საბჭოს პირველი შემადგენლობა (7 სამხედრო, 8 სამოქალაქო პირი) ოფიცერთა ელიტამ განსაზღვრა. საბჭოს წევრები ინიშნებოდნენ მთელი სიცოცხლის მანძილზე. პროტექტორს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება (საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა, ადმინისტრაციული მმართველობა, გადასახადების აკრეფა, სასამართლოების ხელმძღვანელობა, არმიის, ფლოტის, მილიციის ხელმძღვანელობა და სხვ.) კონსტიტუციის თანახმად, როგორც აღვნიშნეთ, უნდა განეხორციელებინა პარლამენტთან და სახელმწიფო საბჭოსთან ერთად. 40 გირვანქიანი ცენზი დაიწესებას მიეცა. ახალი კონსტიტუციის მიერ დაწესებული ქონებრივი ცენზი — 200 გირვანქა სტერლინგი თვით სტიუარტთა ეპოქის ცენზსაც კი აღემატებოდა. ახალი საარჩევნო სისტემა პარლამენტში არჩევას უზრუნველყოფდა მხოლოდ მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიისათვის და ახალი თავადაზნაურობისათვის. პარლამენტში ირჩევდნენ 400 დეპუტატს ინგლისიდან, 30—ირლანდიიდან და 30 — შოტლანდიიდან. თანამედროვეების აზრით ახალმა კონსტიტუციამ გააერთიანა პოლიტიკური მმართველობის სამი — ისტორიულად გამართლებული ფორმა: მონარქიზმი (სამუდამოდ არჩეული ერთმმართველი ლორდ-პროტექტორი), არისტოკრატიზმი (სამუდამოდ არჩეული სახელმწიფო საბჭო) და დემოკრატიზმი (არჩევითი პარლამენტი). ბევრი ძველი საარჩევნო ოლქი („დამპალი დაბა") გაუქმდა, ამიერიდან მათ ნაცვლად მანდატები მიიღეს ახალმა ეკონომიკურად განვითარებულმა საგრაფოებმა და მსხვილმა ქალაქებმა. ის პირები, რომლებმაც 1641 წლიდან მიიღეს მონაწილეობა პარლამენტის საწინააღმდეგო რომელიმე ომში, კარგავდნენ აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას პირველი ოთხი პარლამენტის სამოქმედო პერიოდში. რომაულ-კათოლიკური რწმენის მიმდევარნი და ირლანდიის ამბოხების მონაწილენი ხმის უფლებას კარგავდნენ სამუდამოდ. პარლამენტის რწმუნებანი განისაზღვრა სამი წლით. მისი დათხოვნა შეიძლებოდა მხოლოდ საკუთარი თანხმობით. პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს ამტკიცებდა ლორდი-პროტექტორი, სესიებს შორის პროტექტორს შეეძლო გამოექვეყნებინა ორდონანსები, რომელიც კანონის უფლებით სარგებლობდა. უმაღლესი თანამდებობის პირების (კანცლერი, ხაზინადარი, ადმირალი, გუბერნატორი, ირლანდიის და შოტლანდიის მთავარი გუბერნატორები, უმაღლესი მოსამართლეები და სხვ.) არჩევისას აუცილებელი იყო პარლამენტის სანქცია.

ლორდ-პროტექტორს ირჩევდა სახელმწიფო საბჭო სამუდამოდ — სიკვდილამდე. კონსტიტუციის თანახმად მისი უფლებები განუზომლად დიდი იყო, მაგრამ მთლიანად მეფური არ იყო. ლორდ-პროტექტორის სახელით იწერებოდა ყველა სახელმწიფო აქტი, მასვე წა-

რედგინებოდა დასამტკიცებლად პარლამენტის ბილი. ეს უკვე მეფური პრეროგატივი იყო, მაგრამ არა სრული. პროტექტორის" „Vetos" უფლების ხასიათი გაურკვეველია, თუ მთლად ფიქცია არ არის, როგორც ამას სავინი აღნიშნავს. თანახმად კონსტიტუციისა, თუ პროტექტორი დასამტკიცებლად წარდგენილ ბილთან დაკავშირებით თავისი აზრის წარდგენას 20 დღეს გადააცილებდა, ანდა თუ პარლამენტს არ დააკმაყოფილებდა ბილის უარყოფის პროტექტორული მოტივები — ბილი კანონი ხდებოდა (თუ იგი არ ეწინააღმდეგებოდა ძირითად კანონს — კონსტიტუციას, ანუ „მმართველობის ორალს"). „პროტექტორს" შეუძლია დამნაშავის შეწყნარება, კონფისკაცია, რაინდად კურთხევა, საპატიო წოდებების მინიჭება და სხვა მეფური უფლებების განხორციელება, მაგრამ კონსტიტუციის თანახმად, მისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ძალზე შეკვეცილია პარლამენტისა და სახელმწიფო საბჭოს მიერ. თანამდებობის პირის პირდაპირი დანიშვნა პროტექტორს არ შეუძლია. პარლამენტი ირჩევს 6 კანდიდატს, აქედან ორს შეარჩევს სახელმწიფო საბჭო, ორიდან ერთს — პროტექტორი. საგარეო პოლიტიკის წარმართვა პროტექტორს შეუძლია მხოლოდ სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებით, საბჭოს თანხმობაა საჭირო საგანგებო პარლამენტის მოსაწვევად, მილიციისადმი ბრძანებების გასაცემად, პარლამენტის დათხოვის შემთხვევაში და სხვ. პროტექტორს აქვს უფლება დაითხოვოს პარლამენტი, მაგრამ მისი ყოველ სამ წელიწადში არჩევა სავალდებულოა. იმ შემთხვევაში, თუ პროტექტორი არ გასცემს განკარგულებას დათხოვნილის ნაცვლად ახალი პარლამენტის მოსაწვევად, ადგილობრივ ხელისუფლებას უფლება აქვს თვითონვე ჩაატაროს არჩევნები. პარლამენტის დათხოვნა შეიძლებოდა მისი მოწვევიდან მხოლოდ ხუთი თვის გასვლის შემდეგ. გადასახადების დაწესებისა და გაწერის უფლება აქვს პარლამენტს, მაგრამ გადასახადების წყაროს (ბაჟები და სხვ.) აწესებს პროტექტორი და საბჭო, მათი გაუქმება ან შეკვეცა პროტექტორის თანხმობის გარეშე არ შეიძლება. პროტექტორს მიენიჭა უფლება ექსტრაორდინალური გადასახადების დაწესებისა პარლამენტის თანხმობით.

ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა ქრისტიანობა, ამასთან კონსტიტუცია ითვალისწინებდა საკმაოდ ფართო მასშტაბის რჯულშეწყნარებას. ნებადართული იყო ქრისტიანული რელიგიის აღიარება მისი სხვადასხვა ფორმით. ამ თავისუფლებით არ სარგებლობდა კათოლიციზმი და ანგლიკანობა (ანუ კლასობრივი მტრის — ფეოდალური თავადაზნაურობისა და აბსოლუტიზმის რელიგია კანონგარეშე გამოცხადდა). კონსტიტუცია ითვალისწინებდა მეათედის რაღაცით შეცვლას, ჯერჯერობით კი იგი ძალაში რჩებოდა.

კონსტიტუციის კლასობრივ ბუნებას მკაფიოდ გამოხატავს XXXIV პუნქტი, რომელიც ადასტურებს ქონების, პირველ ყოვლისა, მიწების გადანაწილების რევოლუციურ აქტს და აკანონებს ახალ მესაკუთრეთა უფლებებს (იგულისხმება მეფის, მისი ოჯახის, ეპისკოპოსების, არქიეპისკოპოსების, დეკანების, კაპიტულების, დელიქვენტების და სხვათა მიწები, უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვა ან სხვა ფორმით განსხვისება, რაც განხორციელდა რევოლუციის დროს და რასაც ქონების დიდი გადანაწილება მოჰყვა. ეს ქონება, როგორც ვიცით, ძირითადად ალმოჩნდა ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ხელში).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კონსტიტუცია ძალაში ტოვებს რესპუბლიკას. კრომველმა ოფიციალურად მიიღო ტიტული „ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს (Commonwealth) ლორდი-პროტექტორისა“, — ანუ რესპუბლიკის „მფარველისა“. პროტექტორის ხელისუფლება კონსტიტუციის ძალით, როგორც აღვნიშნეთ, არსებითად შეიზღუდა პარლამენტისა და სახელმწიფო საბჭოს ხარჯზე, იგი ფორმალურ ხასიათს ატარებდა. სახელმწიფოს რესპუბლიკური და დემოკრატიული სამოსი კი ჩააცვეს, მაგრამ ფაქტიურად პარლამენტი და სახელმწიფო საბჭო პროტექტორის მორჩილ იარაღს წარმოადგენდა. სახეზე იყო ლორდ-პროტექტორის აბსოლუტურად შეუზღუდავი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება — სამხედრო-პოლიტიკურ-ბიუროკრატიული დიქტატურა. ამიერიდან ინგლისის ერის ბედს განაგებდა ერთი პიროვნება — ოლივერ კრომველი. ახალი კონსტიტუცია მოასწავებდა რევოლუციის ჩახშობას და კონტრრევოლუციურ გადატრიალებას. კრომველმა განახორციელა ის, რაც XVIII — XIX საუკუნეების მიჯნაზე საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიმართ მოიმოქმედა ნაპოლეონ ბონაპარტმა.

ახალი კონსტიტუციის თანახმად არჩეულმა პირველმა პარლამენტმა მუშაობა დაიწყო 1654 წლის 1 სექტემბერს. მაღალმა საარჩევნო ცენზმა და ადმინისტრაციულმა ჩარევამ უზრუნველყო შესაფერისი სოციალური შემადგენლობა, პარლამენტში მხოლოდ მესაკუთრე (მდიდარი და საშუალო) ინგლისი იყო წარმოდგენილი. პარლამენტის შემადგენლობაში აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს თითქმის ყველა წევრი, კრომველის ორი ვაჟი — რიჩარდი და ჰენრი. პროტექტორის ერთგულ ოფიცერთა დიდი ჯგუფი. არჩეულთა შორის იყვნენ გენერალი ფერფაქსი, ადმირალი რობერტ ბლეკი, ხანგრძლივი პარლამენტის სპიკერი უილიამ ლენტოლი. თანამედროვეთა გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ახალი ანაბაპტისტური და ლეველერული შეხედულების“ მომ-

დევრებს, ანუ მემარცხენე ელემენტებს პარლამენტში ადგილი არ ჰქონდათ, მაგრამ დეპუტატთა შორის ბევრი აღმოჩნდა არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან. აქ იყვნენ პრესბიტერელები, შენიღბული როიალისტები და მტკიცე რესპუბლიკელები თვით ინდეპენდენტთა ბანაკიდან, მათ შორის ჯონ ბრედშოუ, არტურ ჰეზრიგი, ტომას სკოტი და სხვ. პარლამენტში მოხვდნენ ცნობილი სექტანტებიც, მათ შორის გენერალი ტომას ჰარისონი და სხვ. დრჩეულთა შორის არ იყო ჰენრი ვენი, რომელიც კრომველისეული გადატრიალებისადმი პროტესტის ნიშნად პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოშორდა. საქმე იმაშია, რომ კრომველს დიქტატურის დამყარებისთანავე გაუჩნდნენ მეხოტბეები და ოპოზიციონერებიც. ნიჭიერმა, მაგრამ უპრინციპო ჟურნალისტმა ნიდჰემმა ქება-დიდებით მოიხსენია პროტექტორატის რეჟიმი როგორც მონარქიზმის, არისტოკრატიზმის და დემოკრატიზმის სინთეზი, რომელიც გამორიცხავს ტირანიასა და ანარქიზმს. გამრავლდნენ კრომველისადმი მიძღვნილი პანეგირიკები და მლიქვნელური, იაფფასიანი ლექსები — ვირშები. კრომველს ხოტბას ასხამდნენ იმის გამო, რომ მან უარი თქვა გვირგვინზე, აყენებდნენ ცეზარზე მაღლა, მესაკუთრე ინგლისი მას მოუწოდებდა უზრუნველეყო ინგლისისათვის მსოფლიო ბატონობა და სხვ. ხანგრძლივი პარლამენტის წევრმა, პოეტმა ედმუნდ უოლერმა პროტექტორატის დამყარება შეადარა თანდათანობით გადასვლას უკუნი ღამიდან ნათელ დღისაკენ და სხვ. მეხოტბეთა შორის იყვნენ ინგლისის მსხვილი კაპიტალის მაგნატები. ლონდონის სიტის მესვეურებმა ქალაქის თავისა და ოლდერმენების ინიციატივით პროტექტორატს მდიდრული მეჯლისი მოუწყეს. მაგრამ მოქმედებდა ოპოზიციაც. კრომველს დიქტატორულმა მისწრაფებებმა ბევრი მეგობარი და თანამებრძოლიც კი ჩამოაშორა. ზოგიერთმა ოფიცერმა ახალი რეჟიმისადმი ერთგულების ფიცი არ დადო. ბევრი მათგანი, როგორც ამას ა. ნ. სავინი მიუთითებს, კიცხავდა არმიას, რომელმაც ქრისტეს მეუფებას კრომველის მეუფება ამჯობინა. გენერალი ტომას ჰარისონი გადადგა და სოფელში წავიდა. ოფიციალურ რწმუნებაზე უარი განაცხადა და რესპუბლიკურ ოპოზიციას შეუერთდა გენერალი ედმუნდ ლედლოუ, რესპუბლიკური ოპოზიციის რიგებში იყო სახელგანთქმული ჰენრი ვენი უმცროსი და სხვ. გააქტიურდნენ როიალისტებიც, მათი იმედი ლეგიტიმური მონარქიის აღდგენისა გაქრა. 1654 წელს აღმოაჩინეს როიალისტური შეთქმულება, რომელიც ამზადებდა ტერორისტულ აქტს პროტექტორის წინააღმდეგ. დააპატიმრეს 500 კაცი.

პარლამენტის გახსნის დღეს კრომველმა წარმოთქვა სიტყვა. იგი, პირველ ყოვლისა, ახალი რეჟიმისა და ახალი პარლამენტის მოღვაწეობის უპირველეს ამოცანად თვლიდა საკუთრების, საზოგადოების ამ

ძირითადი ქვაკუთხედის დაცვას, ადასტურებდა უთანასწორობას როგორც აუცილებლობას. მისი აზრით, ერის საფუძველი ღირსეული იყო და მარადჟამს დარჩება: დიდებული აზნაური და იომენი (a noble-man, a gentleman, a yeomen). იგი თავს ესხმოდა თანასწორობის პრინციპს და მის დამცველებს — ლეველერებს, დიგერებს, რადიკალურ სექტებს, „მეხუთე მონარქიის ადამიანებს“ და სხვ. კრომველის გამოსვლის მიზანი ნათელი იყო. მესაკუთრეთა პარლამენტმა უნდა ცნოს მისი ხელისუფლება, უნდა ითანამშრომლოს მასთან. აკი ამ ხელისუფლების მთავარი და უპირველესი ამოცანაა დაიცვას საკუთრება და ამოძირკვოს ანარქიის ყოველგვარი საფრთხე. პარლამენტმა არ უნდა დაარღვიოს არსებული სოციალური სისტემა, არ უნდა გააუქმოს წოდებრივი განსხვავება, არ უნდა შეეცადოს „გაათანაბროს მოიჯარე და ლორდი“.

პარლამენტმა პროტექტორს იმედი არ გაუმართლა. მორჩილი სათათბიროს ნაცვლად მან თავიდანვე დამფუძნებელი კრების როლი იკისრა და კონსტიტუციის — „მმართველობის იარაღის“ გადასინჯვა ითავა. პირველ ყოვლისა, დაისვა თავისუფლების, ანუ პარლამენტის უზენაესობის აღდგენისა და პროტექტორის ერთპიროვნული უფლებების გადასინჯვის საკითხი. მიზანი ნათელი იყო — პროტექტორი უნდა დაქვემდებარებოდა პარლამენტს, მისი მორჩილი იარაღი უნდა გამხდარიყო. პარლამენტმა, პირველ ყოვლისა, მოითხოვა: საარჩევნო უფლების დემოკრატიზაცია — 40 შილინგიანი საარჩევნო ცენზის აღდგენის გზით, შეიარაღებულ ძალებზე პროტექტორის კონტროლის შეზღუდვა, არმიის შემადგენლობის შემცირება (ნაცვლად 60 000, თოფქვეშ უნდა ყოფილიყო 30 000 კაცი), პარლამენტმა შეაჩერა პროტექტორის მიერ მიღებული ყველა აქტი და იგი განსახილველად გადასცა პარლამენტის სათანადო კომიტეტებს.

კრომველი საზოგადოებრივ აზრს და პარლამენტს არწმუნებდა, რომ იგი წარმოადგენს არა ბატონს, არამედ ხალხის მორიდებულ მსახურს, რომ მას სურს მაჯაზე (პარლამენტზე — გ. კ.) ბატონობა, რომ იგი არის „ადამიანი, რომელმაც გადაწყვიტა თქვენთან (პარლამენტთან—გ. კ.) ერთად ემსახუროს ამ ხალხის დიდ საქმეებს“ და სხვ. სიტყვით „ხალხის მოკრძალებული მსახური“ საქმით მოქმედებდა როგორც სამხედრო დიქტატორი. ორი კვირის თავზე პარლამენტის შენობა დეპუტატებს დაკეტილი დახვდათ. კრომველმა ისინი საკუთარ რეზიდენციაში იხმო და წინადადება მისცა წერილობითი ფიცი დაედოთ პროტექტორატის რეჟიმისადმი ერთგულებაზე.

ჯარებით გარშემორტყმულ პარლამენტში პროტექტორის ბრძანებით დაუშვეს მხოლოდ ისინი, ვინც აღნიშნულ წინადადებაზე თანხმობა განაცხადა. ასზე მეტი დეპუტატი დაითხოვეს. მაგრამ დარჩენი-

ლებმაც არ ისურვეს პროტექტორატის რეჟიმთან ბოლომდე თანამშრომლობა.

კრომველმა გადაწყვიტა ურჩი პარლამენტის თავიდან მოშორება. ამ ახალ ძალმომრეობას მან „კანონიერი“ ფორმა მისცა. როგორც ეიცით, კონსტიტუციის თანახმად პარლამენტის დათხოვა პროტექტორს შეეძლო ხუთი თვის შემდეგ დღიდან მისი მოწვევისა. კრომველმა დროის მოგების მიზნით გადაითვალა ხუთი მთვარის და არა კალენდარული თვე. 1655 წლის 22 იანვარს, არსებობის 140 დღის თავზე, კრომველმა პარლამენტი დაითხოვა. გამოსათხოვარ სიტყვაში კრომველი ირწმუნებოდა: „იმით, რომ თვითონ უშუალოდ კისრულობს მმართველობის მთელ სიმძიმეს, მას სრულიადაც არ სურს თავისი თავისა და ოჯახის განდიდება“.) „ნურავინ ყბედობს თავისუფლების შესახებ... რა უფლება აქვთ ილაპარაკონ თავისუფლების შესახებ, როცა მშვიდობიან მოქალაქეთა სიცოცხლე და საკუთრება საფრთხის ქვეშ იქყოფება“, — ამბობდა იგი. ინგლისის მესაკუთრეებს პროტექტორი არწმუნებდა, რომ პარლამენტი დაითხოვა და დიქტატურა დაამყარა მათი საკუთრებისა და სიცოცხლის დაცვის მიზნით. ეს იყო თავისი კლასის გამოჩენილი შვილის დიდოსტატური პოლიტიკური განცხადება. მესაკუთრე ინგლისი ასეთი ხელისუფლების მომხრე იყო. 20 თვის განმავლობაში კრომველს ახალი პარლამენტი აღარ მოუწვევია. ინგლისის ბედს ერთპიროვნულად წყვეტდა სამხედრო დიქტატორი — გენერალი ოლივერ კრომველი.

კრომველის საშინაო პოლიტიკა უპირველეს ამოცანად ისახავდა უზრუნველეყო რეჟიმის უსაფრთხოება როგორც მარჯვნიდან, როიალისტების მხრივ, ასევე მარცხნიდან — ხალხის ფართო მასების მხრივ. კრომველისათვის როიალისტი და ლეველერი ერთნაირად საშიშ ძალას წარმოადგენდა. როიალისტურ ძალებს კრომველმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ. პოლიტიკური უფლებების აყრა, პირადი ქონების კონფისკაცია, უმნიშვნელო შეთქმულების დაუყოვნებლივ ამოძირკვა, ციხე და სიკვდილით დასჯა — ასეთი იყო როიალისტთა ხვედრი. სასტიკი რეპრესიები განხორციელდა დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ. ცენზურა დევნის სიტყვისა და აზრის თავისუფლებას, სასტიკად იკრძალება ხალხის თავშეყრა, ქუჩაში ჯგუფურად დგომა და მასლაათი; აიკრძალა სახალხო დღესასწაულები და შეკრებები, მათ შორის სპორტული შეჯიბრებები: ჯირითი, მამალთა ჩხუბი, დათვთა ჭიდილი და სხვ. სპეციალური აქტით დადგინდა კვირა დღის სასტიკი დაცვა. აიკრძალა საკვირაო გასართობები, სიმღერა, ცეკვა, პიკნიკები, ქალაქგარეთ გასეირნება — ღარიბი ინგლისის ეს ერთადერთი სიხარული. კვირა დღეს აიკრძალა ვაჭრობა, სახელოსნოებში მუშაობა, სამიკიტ-

წოები და ტავერნები ღახტრული იყო. დევნიდნენ მოხეტიალე მსახიობებს, მუსიკოსებს, მომღერლებს და ხელოსნებს, ღარიბებს ეკრძალებოდათ თავიანთ სამრევლოდან გასვლა, სავალო ციხეებში მძევლებად მჯდომთ შეწყალების თხოვნათა წერა. „ძველი მჱიარული ინგლისი“ მოიცვა საყოველთაო პირქუშობამ. ადამიანებს ეშინიათ ერთმანეთისა, ხელისუფლებისა. მეზობელი აო ენდობა მეზობელს, მეგობარი — მეგობარს, ახლობელი — ახლობელს. 1657 წლის აქტით მოწყალების თხოვნა ცხადდებოდა როგორც მაწანწალობა და მძარცველობა, რაც ითვალისწინებდა სასტიკ სასჯელს. კრომველმა ინგლისის ოპოზიციურ ელემენტებისაგან გასაწმენდად მიმართა სასტიკ საშუალებას — ათასობით ღარიბ-ღატაკსა და უსახლკაროს მკვლელებთან, მძარცველებთან და სისხლის სამართლის სხვა დამნაშავეებთან ერთად გზავნიდნენ ვესტ-ინდოეთის კოლონიებში — „თეთრ მონებად“.

როგორც აღვნიშნეთ, კრომველი თავს ასაღებდა სინდისის სრული თავისუფლების დამცველად, ფაქტიურად იგი მხოლოდ ინდეპენდენტურ რელიგიას მფარველობდა. დევნიდა კათოლიციზმს, ანგლიკანიზმს, პრესბიტერიზმს და სხვ. ახალი რეჟიმი განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენდა მემარცხენე სახალხო-რელიგიური სექტების მიმართ. პროტექტორს იგი მიაჩნდა რადიკალიზმის ბუდედ, ანარქისტულ, დამანგრეველ ძალად, თავისუფლებისა და საკუთრების საშიშ მტრად და სხვ. სექტებს უმოწყალოდ არბევდნენ, მქადაგებლებს იჭერდნენ.

1655 წელს ერთგვარად გააქტიურდნენ ლეველერები, რასაც სასტიკი რეპრესიები მოჰყვა. მძიმედ ავადმყოფი ლილბერნი კრომველს ციხეში ჰყავს გამოკეტილი. 1655 წლის იანვარში დააპატიმრეს რიჩარდ ოვერტონი, რომელმაც სცადა მოეწყო ამბოხება შოტლანდიაში განლაგებულ სამხედრო ნაწილებში. თებერვალში დააპატიმრეს ჯონ უაილდმანი პროკლამაციისათვის, სადაც იგი „ტირანის — ოლივერ კრომველის“ სიკვდილს ქადაგებდა. ბევრი ლეველერი საერთოდ ჩამოშორდა პოლიტიკურ ცხოვრებას. ბევრი შეეგუა ახალ რეჟიმს და მის სამსახურში ჩადგა, მათ შორის თვით ჯონ უაილდმანი, რომელმაც სულ მალე კრომველის პოლიტიკური მსტოვარის როლიც კი იკისრა, ბევრი უპრინციპო ლეველერი პოლიტიკური ავანტიურიზმის გზას დაადგა და, პირველ ყოვლისა, კრომველის წინააღმდეგ ინდივიდუალური ტერორის ორგანიზება ითავა. ისინი ამ შემთხვევაში არ თაკილობენ თვით როიალისტებთან კავშირსაც კი, ღებულობენ მათგან ფულს, ინსტრუქციებს. ტერორისტული, შეთქმულებითი ტაქტიკა აირჩია გამოჩენილმა ლეველერმა და სამხედრო მოღვაწემ ედუარდ სექსბიმ.

ლეველერებთან ერთად კრომველმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა სექტანტურ მოძრაობას. ჰირველი რისხვა თავს დაატყდა

„მეხუთე მონარქიის ადამიანებს"; მათ ლიდერს, კრომველის უახლოეს თანამებრძოლს, გენერალ-მაიორ ჰარისონს ნებაყოფლობით გადადგომამ ვერ უშველა, იგი არმიიდან დაითხოვეს და დააპატიმრეს.

დემოკრატიულ წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა რელიგიურ-რადიკალური კვაკერების სექტა ანუ „შინაგანი ნათელის მეგობართა საზოგადოება" (კვაკერი — სიტყვასიტყვით „მოკანკალე". ასე შეარქვეს ამ სექტის წევრებს არაბუნებრივი მოძრაობების გამო, რომელსაც ისინი ასრულებდნენ მათი ლოცვისათვის დამახასიათებელი რელიგიური ექსტაზის დროს).

კვაკერები ამტკიცებდნენ, რომ რელიგიის ერთადერთი წყარო არის არა „საღვთო წერილი", არამედ თვით ადამიანი, მისთვის დამახასიათებელია „შინაგანი ნათელი" და „ღვთაებრივი გონება". კვაკერები ქადაგებდნენ სრულ რელიგიურ თავისუფლებას, უარყოფდნენ ყოველგვარ საეკლესიო ოფიციალურ ორგანიზაციას, ყოველგვარ ფორმალურ რელიგიურ წეს-ჩვეულებას, ყოველგვარ ფიცს, ყოველგვარ საეკლესიო გადასახადს, პირველ ყოვლისა, „მეათედს" და სხვ.

კვაკერების მოძღვრების თანახმად ყველა ადამიანი დაბადებითვე თანასწორია, აზდენად ყოველგვარი უთანასწორობა, ერთი ადამიანის მეორეზე რაიმე უპირატესობა ხელოვნურადაა შექმნილი, ბოროტებაა და უნდა მოისპოს. კვაკერები უარყოფდნენ ყოველგვარ ტიტულებს, წოდებებს (მათ შორის მეფისას), არავის წინაშე არ იხდიდნენ ქუდს, ყველას მიმართავდნენ „შენობით" და სხვ. ადამიანთა ბუნებრივი თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, კვაკერები ქონებრივ თანასწორობასაც ქადაგებდნენ. ამდენად მათ გააგრძელეს „დიგერთა" მოძღვრება ახალი ფორმით, ახალ პირობებში.

კვაკერთა რიგები სწრაფად იზრდებოდა. მათ შეუერთდნენ ყოფილი ლეველერები, დიგერები, ქვეყნად „ღვთის მეუფეობის" დამყარებაში იმედგაცრუებული „წმინდანები", რესპუბლიკელები და რადიკალური ოპოზიციის სხვა წარმომადგენლები. კვაკერთა ქადაგებას დიდძალი ხალხი ესწრებოდა. კვაკერები გმობდნენ არსებულ რეჟიმს, კრომველს ბრალს სდებდნენ მონარქიზმში, ამხელდნენ მთავრობის ანტიდემოკრატიულ საქმიანობას და სხვ. კვაკერები ხალხს რევოლუციური ბრძოლისაკენ არ მოუწოდებდნენ, მთელს იმედებს ამყარებდნენ „განგების ძალაზე", ადამიანთა „შინაგან ნათელზე", მაგრამ რეჟიმის მიმართ პასიური წინააღმდეგობისას იჩენდნენ სასტიკ ფანატიზმს და შეუპოვრობას. კრომველმა კვაკერების სახით საშიში ძალა დაინახა—დაიწყო სექტის დარბევა, სექტანტთა დაპატიმრება, დაჯარიმება, წამება, სამარცხვინო ბოძზე გაკვრა და გამათრახება. ათასობით კვაკერი ტოვებს ინგლისს და შორეულ ამერიკის ახალშენში გარბის.

თავი წამოყვეს როიალისტებმაც. 1655 წლის თებერვალსა და მარტში რამდენიმე ქალაქში მათ გამოსვლებიც კი მოაწყვეს, რაც ადვილად იქნა ლიკვიდირებული. ქვეყნად მოქმედებდა ჩარლზ II-ის აგენტთა ფარული, საკმაოდ ფართო ქსელი. მათ წინააღმდეგ პროტექტორის რეჟიმი სასტიკ ზომებს იღებდა. პროტექტორმა ბრძოლა გამოუცხადა აგრეთვე ინგლისის გარეთ არსებულ როიალისტურ ცენტრებს. მათ წინააღმდეგ კრომველი წარმატებით იყენებდა მოსყიდვას და ფარული სამსახურის აგენტთა ფართო წრეს.

1655 წელს, საგანგებო ბრძანებით, როიალისტები სამ კატეგორიად დაჰყვეს შესაფერისი სასჯელის დადებით. პირველ კატეგორიას მიაკუთვნეს შეთქმულებათა და აჯანყებების ხელმძღვანელები და უშუალო მონაწილენი. მათ ელოდათ სიკვდილი ან გაძევება ქონების სრული კონფისკაციით. მეორე კატეგორიაში მოხვდნენ მეფის ან მისი შვილის აშკარა მომხრეები, რომლებიც შეთქმულებაში არ მონაწილეობდნენ. მათი ხვედრი იყო გაძევება ან ციხე და ქონების (შემოსავალის) ნაწილობრივი კონფისკაცია. მესამე კატეგორიას განეკუთვნენ როიალიზმში ეჭვმიტანილნი. მათი ქონების (შემოსავალის) ნაწილი (წლიური შემოსავალის 10%) მიჰქონდა სახელმწიფოს. როიალისტებს აეკრძალათ იარაღის ტარება. ამ ღონისძიებით კრომველმა ორი კურდღელი დაიჭირა: პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს მოუშალა ეკონომიკური საფუძველი და ერთდროულად შეავსო მუდამ დეფიციტური ხაზინა.

აღსანიშნავია, რომ მსგავს რეპრესიებს განიცდიდნენ პრესბიტერელებიც, რის შედეგადაც მდიდარი პრესბიტერული ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა პროტექტორატის რეჟიმის მოწინააღმდეგეთა შორის აღმოჩნდნენ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ორ საფრთხეს შორის უფრო მეტად საშიშ ძალად კრომველი რადიკალურ მოძრაობას თვლიდა. „თუ ქვეყანას ტანჯვა უწერია, — ამბობდა კრომველი,—დაე იგი იტანჯოს მდიდრებისაგან, ვიდრე ღარიბებისაგან, რადგან თუ მჩაგვრელის როლში ღარიბობა მოგვევლინა, მაშინ, როგორც სოლომონმა თქვა, აღმოვჩნდებით გრიგალის წინაშე, რომელიც მოსპობს ყველაფერს და არ დატოვებს არაფერს“. კრომველის ამ განცხადებით კიდევ ერთხელ დასტურდება მისი ხელისუფლების კლასობრივი არსი. მესაკუთრე ინგლისი, განსაკუთრებით კი რევოლუციის პერიოდში გამდიდრებული „ნუვორიშები“, ახალი ბურჟუაზია და მემამულეები დარწმუნებულნი იყვნენ ძლიერი ხელისუფლების არსებობის აუცილებლობაში. ითმენდნენ „უზურპატორს“, მძიმე გადასახადებს და პარლამენტის დარბევას.

პირადი ხელისუფლების შემდგომი განმტკიცების მიზნით, კრომ-

ველმა განახორციელა ადგილობრივი ხელისუფლების ცენტრალიზებისა და ბიუროკრატიზაციის ახალი საშუალებები. პროტექტორის ბრძანებით ინგლისი დაიყო 12 სამხედრო-ადმინისტრაციულ პოლიტიკურ ოლქად. ოლქების მმართველებად — გენერალ-მაიორებად (ეს იყო თანამდებობა და არა წოდება) შეუზღუდველი უფლებებით მან დანიშნა თავისი ერთგული ოფიცრები (5 გენერალი, 5 პოლკოვნიკი, 1 მაიორი). მათ შორის: ფილიპ სკიპონი, ჯონ ლამბერტი, უილიამ გოფი, ჩარლზ ფლიტვუდი, ჯონ დესბორო, ჯონ ბარკსტედი და სხვ. გენერალ-მაიორთა საქმიანობა პირადად პროტექტორმა განსაზღვრა 1655 წლის 22 აგვისტოს ინსტრუქციით. გენერალ-მაიორები ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივ შეიარაღებულ ძალებს, მილიციას, პოლიციას. კონტროლს უწევდნენ სასამართლოს, ეკლესიას. წარმართავდნენ საგადასახადო პოლიტიკას, სდევნიდნენ როიალისტებს, კათოლიკეებს, პრესბიტერელებს, ლეველერებს, სექტანტებს, რესპუბლიკელებს და საერთოდ ახალი რეჟიმის ყველა მოწინააღმდეგეს. მტკიცედ ნერგავდნენ კრომველის მიერ შემუშავებულ პურიტანულ-მორალურ ახალ ნორმებს და სხვ. გენერალ-მაიორების უშუალო განკარგულებაში იყო ცხენოსანი პოლიციის გაძლიერებული რაზმები. კრომველის „სატრაპებმა" — გენერალ-მაიორებმა თავიანთი დესპოტური მოქმედებით თავიდანვე დიდი უკმაყოფილება გამოიწვიეს.

დიქტატორული ხელისუფლების ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტს და მთავარ საყრდენს წარმოადგენს პოლიცია, პირველ ყოვლისა, საიდუმლო-პოლიტიკური პოლიცია. კრომველმა ამ საქმეშიც გამოავლინა ერთმმართველისათვის საჭირო ინიციატივა, მან შექმნა ძლიერი პოლიცია და საიდუმლო სამსახური. „მე იძულებული ვიყავი მეკისრა პოლიციის უფროსის (High Constable) ფუნქციები" მე ვიყავი „კარგი კონსტებლი (პოლიციელი — გ. ქ.), რომელიც მოწოდებულია „სამრევლოში წესრიგი დაამყაროს". კრომველის ამ სიტყვებში აშკარად ჩანს მისი ხელისუფლების არსი. საპოლიციო სამსახურის გაძლიერების მიზნით, კრომველის ბრძანებით შეიქმნა სპეციალური დანიშნულების ცხენოსანი პოლიციის შენაერთი 6 500 კაცის შემადგენლობით. პოლიციელებად შეარჩიეს განსაკუთრებით სანდო პირები. ამ რაზმის შენახვა ძალზე ძვირი ჯდებოდა — 80 000 გირვანქა სტერლინგი. ეს თანხა პროტექტორმა ძირითადად როიალისტებს შეაწერა განსაკუთრებული გადასახადების ხარჯზე. ადგილებზე პოლიციური სამსახურის ხელმძღვანელობა დაეკისრათ გენერალ-მაიორებს, რომლებიც ამ უფლებას ფართოდ იყენებდნენ. მასზე დაყრდნობით ამყარებდნენ ისინი პროტექტორატისეულ წესრიგს: კრძალავდნენ ხალხის თავშეყრას, სდევნიდნენ პაპისტებს და როიალისტებს, რადიკალებს, ახშობდნენ ყოველგვარ გამოსვლებს, ააშკარავებდნენ შეთქ-

მულებებს, კრეფდნენ გადასახადებს, იცავდნენ რელიგიურ-მორალურ კოდექსს და სხვ.

კრომველმა შექმნა აგრეთვე კარგად ორგანიზებული პოლიტიკური დაზვერვის და კონტრდაზვერვის საიდუმლო სამსახური. ამ მხრივ იგი გვეელინება ნაპოლეონისა და ჟოზეფ ფუშეს ღირსეულ წინამორბედად. ამ საქმეში კრომველის მარჯვენა ხელს წარმოადგენდა სახელგანთქმული ჯონ ტერლო (1616 — 1668) — კრომველისეული დაზვერვის დიდი ორგანიზატორი. დაზვერვას ფართოდ იყენებდნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ — საგარეო პოლიტიკაში და დიპლომატიაში. ჯერ კიდევ 1649 წელს დაზვერვის ხელმძღვანელობა დაევალა ტომას სკოტს—ერთ-ერთ „მეფის მკელელს". მისი ერთგული თანაშემწე იყო კაპიტანი ჯორჯ ბიშოპი, რომელიც ძირითადად ხელმძღვანელობდა შინაგან დაზვერვას. კრომველის სადაზვერვო სამსახურის ორგანიზებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ოქსფორდის უნივერსიტეტის გეომეტრიის პროფესორს ჯონ ჯოლისს, კრიპტოგრაფიის ერთ-ერთ ფუძემდებელს. მისი დახმარებით კრომველისათვის ცნობილი იყო ყველა როიალისტური საიდუმლო შიფრი. უოლისთან ერთად საიდუმლო წერილების გაშიფვრის დიდოსტატი იყო ჩესტერის ეპისკოპოსი ჯონ უილკინსი. სკოტმა აგენტურის ქსელი გააბა უშუალოდ მოწინააღმდეგეთა ბანაკში.

ყველასა და ყველაფერს გადააჭარბა ტერლომ, რევოლუციის წინ პროვინციელმა უბრალო ადვოკატმა ესექსის საგრაფოდან. კრომველის დროს იგი გახდა სახელმწიფოს მდივანი, შინაგან საქმეთა მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, სამხედრო მინისტრი, სახელმწიფო საბჭოს წევრი და ბოლოს პოლიციის დაზვერვის შეფი. მან შექმნა აგენტთა და ჯაშუშთა საოცრად ფართო ქსელი ინგლისსა და მის გარეთ — საფრანგეთში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, პორტუგალიაში, ესპანეთში და სხვ. ინგლის-ჰოლანდიის ომის დროს (1652 — 1654) ტერლომ შეიტყო ჰოლანდიის გენერალური შტატების საიდუმლო გადაწყვეტილებანი მისი მიღებისთანავე. ტერლომ იცოდა ჩარლზ II-ისა და მისი ბანაკის ყველა საიდუმლო ჩანაფიქრი, ტერლოს ემსახურებოდნენ მინისტრები, გრაფები, მეცნიერები, დიპლომატები, კათოლიკეები, როიალისტები, რადიკალები, „მეხუთე მონარქიის წმინდანები", ბავშვები, ქალები, მოხუცები. დაზვერვის შეფი ხშირად სიკვდილმისჯილებს სახრჩობელიდან ათავისუფლებდა იმ პირობით, რომ იმინი ლორდ-პროტექტორის ჯაშუშობას იკისრებდნენ.

მზვერავის დიდი ნიჭი გამოავლინა თვით ოლივერ კრომველმა. მან პირადად შეიმუშავა სადაზვერვო სამსახურის აგების პრინციპები; დანერგა სადაზვერვო სამსახურში დღესაც მოქმედი წესი, რომლის თანახმად აგენტმა არ უნდა იცოდეს იმაზე მეტი, რაც აუცილებელია

მისი მოქმედებისათვის, არ უნდა იცოდეს (იშვიათი გამონაკლისის გარდა, საგანგებო შემთხვევაში) სხვა აგენტების მოვალეობა და საქმიანობა.

კრომველი ფლობდა საიდუმლო ინფორმაციის საოცრად დეტალურ წყაროს. მან იცოდა არა მარტო დიდი საიდუმლოება, არამედ მის ირგვლივ მყოფთა ცხოვრებისეული წვრილმანებიც კი. ეს ვითარება ხელისუფლებისა და მისი პირადი კულტის განმტკიცების საქმეში არსებით როლს ასრულებდა. საბჭოთა ისტორიკოსს ე. ბ. ჩერნიაკს წიგნში „დიდი ბრიტანეთის საიდუმლო დიპლომატი“ (M., 1975) მოყვანილი აქვს საინტერესო ფაქტი. პარლამენტის მომხრე ერთ-ერთმა არისტოკრატმა კრომველს სთხოვა ნებართვა საზღვარგარეთ გამგზავრებისა. კრომველი დათანხმდა იმ პირობით, რომ არისტოკრატი არ შეხვედებოდა ჩარლზ II-ს. ჩამოსვლისთანავე აღნიშნული პიროვნება პროტექტორთან იხმეს. „ზუსტად დაიცავით ჩემი ბრძანება?“ — ჰკითხა კრომველმა. „დიახ“, — იყო პასუხი. „ეს მართალია, — ღიმილით თქვა კრომველმა, — თქვენ შეასრულეთ ჩემი პირობა, ჩარლზ სტიუარტი არ გინახავთ, რადგანაც მას თქვენ სიბნელეში შეხვდით. ოთახიდან ხომ ყველა სანთელი გაიტანეს“. შემდეგ კრომველმა დეტალურად მოუთხრო შიშისაგან გაქვავებულ არისტოკრატს მეფესთან მისი საუბრის შინაარსი.

* *

კრომველმა კიდევ ერთი, მისი აზრით, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მისია აკისრა — მიზნად დაისახა ინგლისის ხალხის ზნეობრივი სრულყოფა, რის განხორციელებაც მან სცადა პურიტანულ-რელიგიური ფარისევლობის საფუძველზე დიქტატორული მეთოდებით. ამ მიზანსაც ისახავდა ზემოაღწერილი აკრძალვები (სახალხო გართობები, ზეიმები და სხვ.). კრომველი, ა. სავინის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ამ სოციალურ-პედაგოგიურ და რელიგიურ-ზნეობრივ ამოცანას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. „ზნე-ჩვეულებების რეფორმაზე“, მისი აზრით, იყო დამოკიდებული ინგლისის თავისუფლება და კეთილდღეობა. მხოლოდ ზნეობა ანიჭებს ადამიანებს ღირსებას, მის გარეშე ისინი მხეცებად იქცევიან — ასეთი იყო პროტექტორის ღრმა რწმენა. კრომველმა „ერის თავდაცვის“ ამ მისიის აღსრულება მიანდო გენერალ-მაიორებსა და პოლიციას.

გართობებთან და დღესასწაულებთან ერთად თითქმის სიკვდილით ისჯებოდა ლოთობა, გარყვნილება, მრუშობა, მეძავეობა, ცოლ-ქმრული ღალატი და სხვ. სასტიკად იდევნებოდა აგრეთვე ზედმეტი სიბარიტიზმი. ხშირ შემთხვევაში ტრადიციების და ადათ-ჩვეულების წინააღ-

მდეგ ბრძოლა ღებულობდა კურიოზულ და თანაც უკანონო ხასიათს. ამ მხრივ საინტერესოა ა. სავინის მიერ დამოწმებული ზოგიერთი ფაქტი. გენერალ-მაიორ ბარკსტედის ბრძანებით მის ოლქში დაუხოცათ გაწვრთნილი დათვები და მამლები; გენერალ-მაიორ უორსლეის ჭალაქ ჩესტერში დაუხურავს თითქმის ყველა სამიკიტნო, ტრაქტირი თუ ტავერნა: გენერალ-მაიორ ბერის ბრძანებით მიდლსექსში კვირა დღეს იქერდნენ ყველა გარეთ მყოფ ცხენს, რომლებსაც მხოლოდ ორშაბათს ათავისუფლებდნენ; ბრისტოლში აჯარიმებდნენ ყველას, ვინც კვირა დღეს სასეირნოდ გამოვიდოდა, კვირა დღეებში კეტავდნენ წყალსადენს და ა. შ. პოლიციურმა რეჟიმმა ღრმად გაიდგა ფესვები. 1655 წლის აგვისტოში შეიქმნა ცენზურის კომიტეტი. ახალი კანონების გამოქვეყნება შეიძლებოდა მხოლოდ ტერლოს ნებართვით. თავისუფალი დისკუსია და კამათი დავიწყებას მიეცა. ოპოზიციური პამფლეტების გამოქვეყნება შესაძლებელი იყო მხოლოდ არალეგალურად. დატოვეს მხოლოდ ორი გაზეთი, რომლებიც უშუალოდ ტერლოს ზედამხედველობით იბეჭდებოდა.

სახელმწიფოს წინაშე მწვავედ იდგა ერთ-ერთი თავსატეხი და რთული პრობლემა — ფინანსები და მასთან დაკავშირებული საგადასახადო პოლიტიკა. რევოლუციის მთელს მანძილზე ყველა პარტია, ყველა პარლამენტი ცდილობდა ამ პრობლემის მოგვარებას, ყველა, მათ შორის კრომველიც, ხალხს აღუთქვამდა საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას; მაგრამ ყველაფერი ახალი ხელისუფალის მიერ ძველი ხელისუფალის ლანძღვით მთავრდებოდა, ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა მწვავდებოდა, საგადასახადო ტვირთი მძიმდებოდა. რევოლუციამ ამ საკითხში სტიუარტების მიერ დატოვებული სენი განკურნვის ნაცვლად კიდევ უფრო გააღრმავა.

კრომველი ხალხის თვალში მრავალ სასურველ ილუზიას ქმნიდა. მათ შორის „იაფი მთავრობის“ და საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების იმედს. ნამდვილად კი პროტექტორატის რეჟიმის ხარჯებმა ყველაფერს გადააჭარბა. პირველ ყოვლისა, გაძვირდა თვით მთავრობა, საჭირო გახდა უზარმაზარი არმიისა და ფლოტის შენახვა. ძვირი ჯდებოდა პოლიციის შენახვა, უზარმაზარ ფულს შთანთქავდა აგრესიული საგარეო პოლიტიკა და სხვ.

1654 წელს სახელმწიფოს ბიუჯეტმა 1,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიაღწია. ეს იმ დროისათვის კოლოსალური თანხა იყო. მაგრამ სახელმწიფოს ხარჯი გაცილებით უფრო დიდი იყო, რაც პერმანენტულ ფინანსურ დეფიციტს (წლიურად დაახლოებით 1/2 მილიონ გირვანქა სტერლინგს) ქმნიდა. ინგლისში, ირლანდიაში და შოტლანდიაში განლაგებული 53 ათასიანი არმიის შენახვა ჯდებოდა 1,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი. მილიონზე მეტი იხარჯებოდა ძველი ფლოტის

შესანახად და ახლის ასაგებად. 1649 — 1654 წლებში აშენდა 147 სამხედრო გემი. მარტო ინგლის-ჰოლანდიის 1652 — 1654 წლების ომი ინგლისს დაუჯდა 2,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი. სახელმწიფო რეზერვები იწურებოდა. ეკლესიის, მეფისა და როიალისტების ქონება გაიყიდა, ლონდონის სიტი, რომელსაც რეჟიმის სიმყარეში ეშვი ეპარება, სესხს ხელგაშლილად არ იძლევა. ხელისუფლება იძულებულია საგანგებო ღონისძიებანი გაატაროს. პროტექტორატის ფინანსური პოლიტიკა ბევრი რამით გვაგონებს სტიუარტთა შესაბამის პოლიტიკას რევოლუციის წინ. განახლდა შემსყიდველთა საქმიანობა, დაინერგა წარმოების და ვაჭრობის ამა თუ იმ დარგში მონოპოლიების გაყიდვა, აღდგა კერძო პირებისაგან სესხის აღების ძველი პრაქტიკა. ამ საქმეში უშუალოდ მონაწილეობდა თვით ლორდ-პროტექტორი. მან დაიახლოვა და დაიმეგობრა (მათგან დახმარებასაც იღებდა) საეკვო რეპუტაციის მქონე კომერსანტები და ფინანსისტები, მათ შორის ცნობილი შემსყიდველი და არმატორი (მონებით ვაჭარი) მარტინ ნელი, საქმოსანი ტომას პოკი და სხვ. ეს პირები დაუახლოვდნენ მთავრობის წევრებს, მონაწილეობდნენ სხვადასხვა კომიტეტების მუშაობაში. პროტექტორმა დანერგა „ნებაყოფლობითი ნაბოძვარის“ ძველი წესი, დგებოდა შეწირულობათა ხელმოწერილი სიები, პირველთა შორის იყო თვით პროტექტორი. ფართოდ ტარდებოდა კონფისკაციებისა და თვითნებური ჯარიმების წესი. შემოღებულ იქნა საგანგებო გადასახადი წლიური შემოსავლის 10 პროცენტის ოდენობით, რომელსაც იხდიდნენ როიალისტები და ყოფილი კავალერები. პროტექტორი იძულებული გახდა ოფიცრებისათვის ხელფასი 10 პროცენტით შეემცირებინა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფისკალური მოსაზრებით უშუალოდ პროტექტორს დაუქვემდებარეს ყველა გაუყიდავი და გაუნაწილებელი კონფისკაციაქმნილი მიწა ირლანდიაში და ინგლისში. ყველაფერი ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, დეფიციტი კვლავ მძვინვარებდა. 1656 წლის ივნისში კრომველმა მოიწვია სახელმწიფო საბჭოსა და უმაღლეს ოფიცერთა თათბირი. თათბირის წევრებმა კრომველს ურჩიეს სახსრები ეშოვა ერთპიროვნული ხელისუფლების გამოყენების გზით. პირველ ყოვლისა, დაისვა საკითხი იძულებითი სესხის შემოღებისა.

ასეთ პირობებში, ცხადია, კრომველმა დაივიწყა თავისი დაპირება საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების შესახებ. ინგლისელმა ისტორიკოსმა ს. დ. ჩენდემენმა (წმინდა დავიდის უნივერსიტეტი, უელსი) მონოგრაფიაში „ინგლისის სახელმწიფო შემოსავალი“ (ოქსფორდი, 1975) ნათელყო ის, რომ რევოლუციამ ვერ გადაჭრა ფინანსებისა და გადასახადების. XVII საუკუნის ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც მეფესა და პარლამენტს შორის ბრძოლის ცენ-

ტრში იდგა. ამ პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებული პარლამენტისა და კრომველის ყველა დაპირება დარჩა როგორც ლიტონი სიტყვა. რევოლუციის წინ არსებულმა სახელმწიფო ფინანსების შუასაუკუნეობრივმა სისტემამ უპირატესად განიცადა მხოლოდ მოდერნიზაცია. რევოლუციის მიერ ამ სფეროში დანერგილი ზოგიერთი სიახლე (აქციზი, საფოსტო და მთელი რიგი სავაჭრო ბაჟები) ოდნავადაც არ პასუხობდა ინგლისის ხალხთა ფართო მასების ინტერესებს. მოუგვარებელი დარჩა მეორე პრობლემა „სახელმწიფოს შემოსავლის შესაბამისობა მთავრობის მოთხოვნილებებთან". მთავრობა ხარჯავდა შემოსავალზე გაცილებით მეტს. ასეთ პირობებში საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების, ამ დემოკრატიული ღონისძიების განხორციელება გამორიცხული იყო. პირიქით, აღინიშნებოდა გადასახადების (უპირატესად არაპირდაპირის) ზრდის ტენდენცია. საილუსტრაციოდ ჩენდემენს მოყვანილი აქვს საბაჟო გადასახადების ზრდის ფაქტი. როგორც ვიცით, XVII საუკუნე აღინიშნა ინგლისის სავაჭრო ექსპორტის ზრდით. პარლამენტმა მკაცრი კონტროლი დააწესა საბაჟო გადასახადებით მიღებულ შემოსავალზე მისგან მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით. 1642 წელს შემოსავალი უდრიდა 315 000, ხოლო 1660 წელს — 400 000 გირვანქა სტერლინგს. რევოლუციამდე ბაჟი ედებოდა უცხოურ საქონელს, რევოლუციის დროს კი საბაჟო გადასახადი დაეკისრა ინგლისური წარმოშობის საქონელსაც.

რევოლუციამდე მეფის შემოსავალი ვერ ფარავდა გასავალს. ეს ვითარება მეფეებს აიძულებდა პარლამენტისათვის მიემართათ. იგივე განმეორდა პროტექტორატის დროს. კრომველმა ვერ მოიპოვა ფინანსური „დამოუკიდებლობა" და იძულებული გახდა 1656 წელს ისევ პარლამენტისათვის მიემართა.

1656 წელს კრომველმა გადაწყვიტა მოეწვია ახალი პარლამენტი (პროტექტორატის რეჟიმის მეორე პარლამენტი). არჩევნები ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მიმდინარეობდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გენერალ-მაიორები. საეკვო ამომრჩევლებს კენჭის საყრელად არ უშვებდნენ, სინჯავდნენ, ამოწმებდნენ და კვეცავდნენ ამომრჩეველთა სიებს, დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ კანდიდატთა შესარჩევად. მიუხედავად ამისა პარლამენტის შემადგენლობაში რესპუბლიკელებიც აღმოჩნდნენ, მათ შორის: ჰეზლრიგი, სკოტი და სხვ. მათ შეუერთდა აგრეთვე ეშლი კუპერი. ვენი და ბრედშოუ არ აურჩევიათ. ახალი პარლამენტის პირველი სხდომა გაიხსნა 1656 წლის 17 სექტემბერს. წინასწარ ჩატარდა ახლად არჩეულ დეპუტატთა „წმენდა". დეპუტატთა კეთილსაიმედობა შეამოწმა სახელმწიფო საბჭომ. სხდომის გახსნის დღეს უესტმინსტერის სასახლის შეიარაღებული დაცვა შენობაში უშვებდა მხოლოდ იმათ, ვისაც ხელთ ჰქონდა საბჭოს

საშვი. ასეთი აღმოჩნდა 300 დეპუტატი. 100 დეპუტატი შენობაში არ დაუშვეს. მათ შორის ჰეზლრიგი, სკოტი და ეშლი.

ოპოზიციის პირველი მსხვერპლი თვითონ გენერალ-მაიორები გახდნენ. პარლამენტმა გააუქმა ხელისუფლების ეს ორგანო. კრომველი შეურიგდა ამ ფაქტს. როგორც ჩანს, არც მას მოსწონდა მაინც-დამაინც გენერალ-მაიორების ზედმეტი თავგასულობა და უკიდურესობამდე მისული ერთპიროვნული ხელისუფლება, რომელსაც კრომველი პარლამენტის გახსნისას წარმოთქმულ სიტყვაში მხურვალედ იცავდა. ამის შემდეგ პარლამენტმა გადასინჯა „მმართველობის იარაღი“ და 1657 წლის 22 თებერვალს განსახილველად წარმოადგინა კონსტიტუციის ახალი ვარიანტი — „უმორჩილესი პეტიცია და რჩევა“ (The Humble Petition and Advice). პროექტის წარმომდგენი ქრისტეფერ პეკი (მდიდარი ვაჭარი, „ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის“ გავლენიანი წევრი, ლონდონის ყოფილი ლორდი-მერი) წინადადებას იძლეოდა ბოლოს და ბოლოს შეეშუშაებინათ „ნორმალური“ კონსტიტუცია, შეექმნათ სტაბილური, საიმედო, მყარი სახელმწიფო მონარქისა და ორპალატიანი პარლამენტის საფუძველზე. მონარქიის აღდგენით ბოლო მოეღებოდა ინგლისის სახელმწიფო სისტემის გაურკვეველ მდგომარეობას. მეფის პოსტი შესთავაზეს თვით ოლივერ კრომველს. ამ ეტაპზე მისი ავტორიტეტი საგარეო პოლიტიკაში მოპოვებული დიდი წარმატებების გამო განუზომლად გაიზარდა. მეფის ხელისუფლების აღდგენა მოტივირებული იყო ასე: „ინგლისური სამართლისათვის პროტექტორის ტიტული სავსებით უცხოა, მაშინ როდესაც მეფის წოდება არსებობს მრავალი საუკუნის განმავლობაში“. მონარქიის აღდგენით ინგლისის ბურჟუაზიას და ახალ თავადაზნაურობას. მათ შორის ახალ მესაკუთრეებს, სურდათ საბოლოოდ განემტკიცებინათ და დაეკანონებინათ კრომველის რეჟიმი. ახალი დინასტია საბოლოოდ აღმოფხვრიდა სტიუარტთა რესტავრაციის საფრთხეს, საბოლოოდ ბოლოს მოუღებდა მესაკუთრეთათვის არანაკლებ საშიშ ძალას დემოკრატიული ინგლისის სახით. მოკავშირე კლასები იმედოვნებდნენ, რომ მონარქია ყველაზე უფრო საიმედო გარანტია იქნებოდა ფეოდალური შეზღუდვისაგან თავისუფალი ბურჟუა-თავადაზნაურული საკუთრების მარადიულობისა და ხელშეუხებლობისა, დაიცავდა მათ როგორც როიალისტებისაგან, ასევე ხალხისაგან. მეორე მხრივ, ისინი იმედოვნებდნენ, რომ მათი კაცის — კრომველის მონარქია უფრო მასშტაბურად განაპირობებდა აგრესიულ საგარეო და კოლონიურ პოლიტიკას, უზრუნველყოფდა ინგლისის ბატონობას ზღვებზე, ოკეანეებზე, დაჯაბნიდა მათ მეტოქეებს. მონარქიის აღდგენას მხარს უჭერდა მესაკუთრეთა ის ნაწილი, რომელიც ვერ შეე-

გუა არმიისა და მსედრიონის ბატონობას, მათ შორის იყვნენ ლონდონის სიტის მაგნატებიც.

25 მარტს პალატამ 123 ხმით 63-ის წინააღმდეგ დაადგინა ეთხოვათ კრომველისათვის მიეღო მეფის ტიტული. კრომველმა პარლამენტს ნდობისათვის მადლობა მოახსენა, განუცხადა, რომ სურს „კითხოს რჩევა ღმერთს და საკუთარ გულს“ და მოფიქრებისათვის ითხოვა დრო. სამი დღის შემდეგ მან გვირგვინზე უარი თქვა. რით უნდა აეხსნათ მისი ასეთი გადაწყვეტილება, რატომ უარყო ის, რაზედაც იგი თვითონ ოცნებობდა? გარდინერის მიხედვით უარი განაპირობა არმიის და ანტიმონარქისტულად განწყობილი ოფიცრობის წინააღმდეგობამ. მაგრამ მთავარი მაინც იყო შეგნება იმისა, რომ „საუკუნეებით ნაკურთხი ამ წოდების მიღება კრომველს არ ეკადრებოდა, მისთვის შეუსაბამო იყო... მეფის ხელისუფლება ემყარებოდა უძველეს ტრადიციებს, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, კრომველმა კი ხელისუფლება პირადი ღირსებებით მოიპოვა... მეფის ტიტულის მიღება მას სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენებდა, რადგანაც ეს წოდება ადამიანთა შეგნებაში გამოიწვევდა მის ნამდვილ მდგომარეობასთან არსებითად შეუსაბამო წარმოდგენებს“.

კრომველი, პირველ ყოვლისა, ანგარიშს უწევდა არმიას, რომელიც მონარქიის აღდგენის მომხრე არ იყო. ახალი კონსტიტუციის წინააღმდეგ გაილაშქრა ოფიცერთა ელიტამ. 27 თებერვალს ოფიცერთა (ასკაციანი) დელეგაცია ლამბერტის, ფლიტვუდის, დესბოროსა და სხვათა მეთაურობით ეახლა პროტექტორს და წინადადება მისცა უარეყო ახალი კონსტიტუცია, არ მიეღო მეფის ტიტული და ყოველმხრივ დაეცვა „მმართველობის იარაღი“. მეფის ტიტულის მიღება „არმიას არ მოსწონს“, „ღვთის ადამიანთა (ჯარისკაცთა — გ. კ.) თვალში ეს სკანდალური ფაქტია“, — ამბობდნენ ოფიცრები. ოფიცერთა ზედაფენას არ სურდა ხელიდან გაეშვა ის უფლებები და პრივილეგიები, რასაც მათ ეს კონსტიტუცია ანიჭებდა და ის გაელენა, რომელიც მათ სახელმწიფოში გააჩნდათ. პროტექტორი ამ კონსტიტუციის ძალით არმიისა და ოფიცერთა ხელთ იყო, მეფე-კრომველი კი მოიპოვებდა მათგან დამოუკიდებელ ძალას.

1657 წლის მაისში პარლამენტს წარედგინა მონარქიის აღდგენის საწინააღმდეგო პეტიცია, რომელიც პოლკოვნიკმა პრაიდმა შეადგინა უმაღლეს ოფიცერთა დავალებით. კრომველი ღებულობდა ბევრ წერილს არმიის ვეტერანებისაგან, ისინი სთხოვდნენ კრომველს არ შეებღალა რესპუბლიკელთა და ანტიმონარქისტთა სახელი. ანგარიშგასაწევი იყო პარლამენტში მოქმედი რესპუბლიკელთა ჯგუფი, რომელიც კატეგორიული წინააღმდეგი იყო მონარქიის აღდგენისა. მონარქიის აღდგენის წინააღმდეგ გამოდიოდნენ „მეხუთე მონარქიის ადა-

მიანები“, რომლებიც პროტექტორს უწოდებდნენ „ანტიქრისტეს“, „სატანას“, „ქურდს“, „უზურპატორს“, „მოღალატეს“ და სხვ.

1657 წლის 9 აპრილს „მეხუთე მონარქიის ადამიანთა“ ოთხმოცამდე მიმდევარმა სცადა ამბოხების მოწყობა. ჯონ ტერლოს სამსახურმა გამოსვლები დაწყებისთანავე ჩაახშო. ტერლო თავის მოხსნებით ბარათში (11 აპრილი, 1657) აღნიშნავს: აჯანყებულები იმედოვნებდნენ, რომ გამოსვლები სულ მალე საყოველთაო-სახალხო ხასიათს მიიღებდაო, აღსანიშნავია, რომ გამოსვლების ორგანიზატორები მოსახლეობის დაბალ ფენებს ეკუთვნოდნენ. აჯანყებას ხელმძღვანელობდა მეკასრე ტომას ვენერი, რომელიც ადრე ეპყრობილი იყო ტოუერის აფეთქების მცდელობაში და არაერთხელ გამოუთქვამს სურვილი პროტექტორის მოკვლისა.

გააქტიურდნენ კვაკერებიც. ხალხთა დაბალ ფენებში დიდი პოპულარობა მოიპოვა ბრისტოლელმა მქადაგებელმა ვინმე ჯეიმზ ნეილორმა, რომელიც თავს აცხადებდა ახალ მესიად, ახალ ქრისტედ. 1656 წლის 24 ოქტომბერს მისი შესვლა ბრისტოლში ორგანიზებული იყო ქრისტეს იერუსალიმში შესვლის ბიბლიური სურათის მსგავსად. იგი რამდენიმე თანამზრახველთან ერთად დააპატიმრეს, მისი გასამართლება თვით პარლამენტმა იკისრა. მას მიუსაჯეს სამარცხვინო ბოძზე ორჯერ გაკვრა (ლონდონში და ბრისტოლში), გამათრახება, დადაღვა, ენის დაშანთვა და ბოლოს სამუდამო პატიმრობა.

ედუარდ ჰაიდის (ლორდ კლარენდონის) ცნობით როიალისტთა ნაწილი მხარს უჭერდა კრომველის გამეფებას იმ იმედით, რომ ასეთი ვითარება კანონიერი დინასტიის აღდგენისათვის ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა. უმრავლესობა არ იზიარებდა ამ აზრს. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ახალი დინასტიის შექმნა საბოლოოდ გამორიცხავდა სტიუარტების ტახტზე დაბრუნების ყოველგვარ შესაძლებლობას. როიალისტები კვლავ ცდილობენ მოაწყონ ტერორისტული აქტი პროტექტორის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ მათ მხარში უდგას ზოგიერთი ყოფილი ლეველერი, მათ შორის იყო პოლკოვნიკი ედუარდ სექსბი. სწორედ ამ პერიოდში გამოქვეყნდა მისი პამფლეტი — „ყველა მკვლელობა დანაშაული როდია“ (Killing no murder), რომელიც ამართლებდა მონარქომახიზმს, ამ შემთხვევაში პროტექტორის მოკვლას. პამფლეტი სექსბიმ ერთ-ერთი როიალისტი ოფიცრის დახმარებით დაწერა. სექსბი საქმითაც მოქმედებდა. მან ჩამოაყალიბა ტერორისტული ჯგუფი უკმაყოფილო ვეტერან ჯარისკაცის მაილს სანდერკომის მეთაურობით. შემუშავდა პროტექტორის მოკვლის რამდენიმე გეგმა, რომელთა განხორციელება სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოხერხდა. სანდერკომმა უაიტჰოლის აფეთქება სცადა,

მაგრამ შეთქმულების ერთ-ერთმა მონაწილემ გასცა იგი. სანდერკომს სიკვდილი მიუსაჯეს, მან მოახერხა წინასწარ თავის მოკვლა.

ასეთი იყო სიტუაცია, რომელმაც კრომველი აიძულა უარეყო შემოთავაზებული გვირგვინი. გამორიცხული არაა უარის თქმის გარდინერისეული, მეორე მიზეზი. კრომველის ხელისუფლებას რასაკვირველია ძალას მატებდა მისი პირადი ავტორიტეტი. ხალხის თვალში იგი იყო რევოლუციის პირმშო, გამარჯვებათა ორგანიზატორი გენერალი, პიროვნება, რომელმაც შემუსრა მეფე, ფეოდალები, ანგლიკანური ეკლესია, ინგლისის გარეშე თუ შინაური მტრები და სხვ. ეს მოჩვენებითი შარავანდედი კრომველისათვის საუკეთესო საშუალება იყო ეთამაშა ხალხის მსახურის როლი, ადვილად განახორციელებინა პოლიტიკური დემაგოგიის ურთულესი პოლიტიკა.

კრომველის მიერ გვირგვინზე უარის თქმის შემდეგ კონსტიტუციაში სიტყვა მეფე შეცვალეს სიტყვით — პროტექტორი. „მისი უდიდებულესობის“ — პროტექტორის ხელისუფლება მემკვიდრეობითი გახდა, მას უფლება მიეცა თვითონვე განესაზღვრა თავისი მემკვიდრე. საგრძნობლად გაფართოვდა ქვედა პალატის ფუნქციები. ამიერიდან დეპუტატთა რწმუნებას პარლამენტი თავად ამოწმებს, მისი სანქციის გარეშე გადასახადების შემოღება არ შეიძლება, სახელმწიფო ბიუჯეტს ამტკიცებს მხოლოდ პარლამენტი, მის ხელში გადადის კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე და სახელმწიფო საბჭოზე. ახალი კონსტიტუციის თანახმად აღდგენილ იქნა ზემო (ლორდთა) პალატა მაქსიმუმ — 70. მინიმუმ — 40 კაცის შემადგენლობით. ზემო პალატის წევრებს ნიშნავს თვითონ პროტექტორი. კვლავ დადგინდა პარლამენტის წევრთა ხელშეუხებლობის პრინციპი. ამიერიდან კომონერთა პარლამენტიდან განდევნა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით და არა პროტექტორის განკარგულებით. სახელმწიფო საბჭო შეიცვალა საიდუმლო საბჭოთი, რომელიც ტიუდორთა და სტიუარტთა მსგავსი ორგანოს თითქმის ანალოგიას წარმოადგენდა. ყოფილი სახელმწიფო საბჭოს ხელისუფლება საგრძნობლად შეიზღუდა პარლამენტისა და პროტექტორის ხელისუფლების სასარგებლოდ. გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტი, იგი განისაზღვრა 1 300 000 გირვანქა სტერლინგით. იურიდიულად გაუქმდა სტიუარტთა ყოველი პრეტენზია ინგლისის ტახტის მიმართ. აღიარებულ იქნა პროტექტორის — კრომველის პიროვნების ხელშეუხებლობისა და დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობა. ამ შემთხვევაში აღდგა „მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფის“ ცნობილი მონარქისტული პრინციპი. პარლამენტმა ესპანეთი გამოაცხადა ინგლისელი ერის ბუნებრივ მტრად, ომის საჭიროებისათვის გამოყვეს 400 000 გირვანქა სტერლინგი.

26 ივნისს ჩატარდა პროტექტორის მეორედ კურთხევა, რამაც

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ესოდენ მდიდარსა და პომპეზურ ცერემონიას ევროპის ვერც ერთი მონარქი ვერ ინატრებდა. მეფური სამოსით (თეთრი სიასამურით მორთული მეწამული მოსასხამი) შემოსილი „მისი უდიდებულესობა პროტექტორი“ (ასე ეწოდებოდა მას ოფიციალურად) დაბრძანდა ბალდახინის ქვეშ მდგომ მდიდრულ ტახტზე, პარლამენტის სპიკერმა იგი აღჭურვა სამეფო რეგალიებით: ბიბლიით, ხმლით, სამეფო კვერთხით. კურთხევას ბევრი უცხოელი ელჩი ესწრებოდა. საზეიმო ცერემონიალს ხალხი, ჯარისკაცები და პარლამენტის წევრები ხვდებოდნენ შეძახილებით „ღმერთო, ფარვიდე პროტექტორსა“. პროტექტორის რეზიდენცია, უაიტჰოლის სასახლე ერთ-ერთი უმდიდრესი იყო ევროპაში. პროტექტორს გარს ეხვია დიდი ამალა, სასახლეში შეიქმნა მრავალრიცხოვანი კარი, იმართებოდა მეჯლისები, მიღებები, მუსიკალური საღამოები, მდიდრული სადილებითა და ვახშმებით, პროტექტორი დასეირნობდა ოქროთი მოვარაყებული ეტლით, მცველთა, ფარეშთა და კარისკაცთა დიდი ამალის თანხლებით. კრომველი არისტოკრატულ ინგლისს დაუნათესავდა კიდეც. ერთი ქალიშვილი მან გრაფ უორვიკს გააყოლა, მეორე — გრაფ ფოლკონბრიჯს (როიალისტის შვილი, შემდგომ ჩარლზ II-ის მრჩეველი). თავის თავს კი პროტექტორი თვლიდა როგორც ღვთის რჩეულს, რომელსაც უნდა განეგო ინგლისის და მთელი მსოფლიოს ბედი. ასე გარდაიქმნა სოფლის უხეში სკუპირი, ერთ დროს მონარქიზმის და ფეოდალიზმის შეურიგებელი მტერი, მამაცი კავალერისტი, ღრმად მორწმუნე პურიტანი ოლივერ კრომველი ინგლისის მონარქად, რომელსაც მეფის ნაცვლად პროტექტორს უწოდებდნენ. ინგლისის ისტორიაში არც ერთი მონარქი არ ყოფილა ესოდენ დიდი დიდებითა და უფლებებით აღჭურვილი.

* *

პროტექტორის ეკონომიკური პოლიტიკა მხოლოდ მდიდარი ინგლისის ინტერესებით იყო ნაკარნახევი. 1656 წლის 27 ნოემბერს მიღებულ იქნა აქტი ფეოდალურ გადასახადთა გაუქმების შესახებ (Court of Wards and Liveries), რომელიც ადასტურებდა და აზუსტებდა 1646 წლის 24 თებერვლის ცნობილ აქტს „სარაინდო მფლობელობის გაუქმების შესახებ“, რომელმაც აგრარული პრობლემა ცალმხრივად, მხოლოდ მემამულეთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. ახალი აქტი კიდევ ერთხელ ადასტურებდა გლეხობის, პირველ ყოვლისა, კოპიჰოლდერთა ინტერესების აბსოლუტურ და საბოლოო უგულებელყოფას. დეკრეტში ხაზგასმული იყო, რომ „ლორდებისათვის და სხვა კერძო პირებისათვის განკუთვნილი ძველი რენტა და ჰერიოტი გადახ-

დიდ უნდა იქნას". აგრარული საკითხი ერთხელ და საბოლოოდ გადაწყდა ცალმხრივად ახალი თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის იმ ნაწილის სასარგებლოდ, რომელსაც კაპიტალი მიწაში ჰქონდა დაბანდებული. „სარაინდო მფლობელობის" გაუქმების (1646) შემდეგ იომენის მდგომარეობა გაუარესდა, მოკავშირე კლასებმა საბოლოოდ გასწირეს მათი გამარჯვების უპირველესი წყარო — ინგლისის გლეხი. ძველი რეჟიმის დროს ფეოდალური მიწის მფლობელის როლში მყოფი გლეხის ექსპლუატაციის ნორმები ახალ ვითარებასთან შედარებით უფრო ასატანი იყო, ამასთანავე მისი მიწიდან აყრის პროცესს თან ახლდა შემკავებელი ფაქტორები, პირველ ყოვლისა, ძველი ფეოდალი გლეხის მიწიდან განდევნით დაინტერესებული არ იყო, ასეთი რამ წარმოების კაპიტალისტურ წესს ზიარებულ ახალთავადაზნაურობას და მიწათმფლობელ ბურჟუაზიას აინტერესებდა. მაგრამ მათი მადა ერთგვარად იკვეცებოდა სამეფო ხელისუფლების მიერ (შემოღობვათა რეგლამენტაცია). მათთვის სიძნელეს ქმნიდა აგრეთვე მიწაზე ფეოდალური საკუთრება და ის ფაქტი, რომ გლეხი ფეოდალურ სინამდვილეში მიწის მფლობელი იყო და ამ მიწის მიმართ რაღაც ტრადიციული უფლებები მაინც გააჩნდა.

ამჟამად ვითარება არსებითად შეიცვალა. მიწათმფლობელებმა მიწა პირდაპირ ბურჟუაზიულ საკუთრებაში დაიმკვიდრეს, ამით მოიპოვეს გლეხობის ექსპლუატაციისა და ექსპროპრიაციის (მიწიდან აყრის) შეუზღუდველი უფლება. ამიერიდან ისინი თავისუფლად ზრდიან რენტას და გადასახადს, უფრო ადვილად ერეკებიან მიწიდან გლეხს, რომელიც მიწაზე უკვე ფაქტიურად უფლებააყრილი მოიჯარის სახითაა. გლეხის მიწიდან აყრას არავინ უშლის ხელს, მთავრობა და კანონი მსხვილ მიწათმფლობელთა ხელშია, შემოღობვები მასობრივ და „კანონიერ" ხასიათს ღებულობს. მიწათმფლობელს გლეხის მიწიდან აყრა ორი მოსაზრებით აინტერესებს: პირველი — მისი მიზანია მიწა გასცეს კაპიტალისტური იჯარის, პირველ ყოვლისა, ფერმის პირობებში, მეორე — მისი მიზანია გლეხისაგან განთავისუფლებული მიწა შემოღობოს, ანუ განავითაროს მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობა.

რესპუბლიკის, განსაკუთრებით პროტექტორის დროს გლეხობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ახალი თავადაზნაურობის ძველ, რევოლუციამდელ თაობას ამჯერად დაემატა მეფის, ეკლესიის, დელიქვენტებისა და ირლანდიელთა კონფისკაციაქმნილი მიწების შეძენით შექმნილი ახალ მიწათმფლობელთა უკიდურესად რეაქციული ფენა. იგი ახალი ძალით ეკვეთა გლეხს, მისმა შევიწროებამ და მიწებიდან აყრამ (ორივე ზემოაღნიშნული მოსაზრებით) მასობრივი ხასიათი მიიღო.

„სარაინდო მფლობელობის“ გაუქმების ანტიგლეხური ხასიათი ინგლისის გლეხისათვის ნათელი გახდა. გლეხობა დარწმუნდა, რომ მოკავშირე კლასებმა აგრარული საკითხი გადაწყვიტეს ცალმხრივად, თავის სასარგებლოდ. ამაზე კარგად მეტყველებს გლეხთა მოძრაობა 40-50-იან წლებში და პარლამენტის სახელზე წარდგენილი უამრავი პეტიცია. ერთ-ერთ პეტიციაში 1654 წელს ჩესტერისა და ლანკაშირის გლეხობა სწერს პროტექტორს: „ომის დაწყებიდანვე პარლამენტს ერთგულად ვემსახურებოდით, სიცოცხლეს და ყველაფერს ჩვენთვის ძვირფასს, ვწირავდით რესპუბლიკის ინტერესებს სისხლიანი პაპისტებისა და კავალერების წინააღმდეგ. ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ მტერზე გამარჯვების შემდეგ შემდგომი მონობისაგან გაგვანთავისუფლებდით“.

როგორც აღვნიშნეთ, „შემოღობვის“ პროცესი პროტექტორატის დროს უფრო გაძლიერდა. მთავრობა ამიერიდან მფარველობს ამ პროცესს, ხელს უწყობს მას. თუ ოდესღაც კრომველმა, გლეხობის ინტერესებიდან გამომდინარე, სასტიკი ბრძოლა გაუმართა ჭაობების ამოშრობელთა ცნობილ კომპანიას, ამჯერად ლორდი-პროტექტორი ხელს უწყობს კომპანიის საქმიანობას, მეტიც, იგი თვითონ გახდა მონაწილე გრაფ ბედფორდის საქმიანობისა და ცოტა გვიან საკუთრებაში მიიღო 200 აკრი ამოშრობილი მიწა. მთავრობა სასტიკად ახშობდა გლეხობის ყოველგვარ გამოსვლას „შემოღობვათა წინააღმდეგ“. 1656 წელს პროტექტორატის მეორე პარლამენტს წარედგინა ბილი „ვერანი (სათემო) ადგილების მელიორაციისა და გაუკაცრიელების თაობიდან აცდენის შესახებ“. საკითხის განხილვა შეწყვიტეს, ჩათვალეს, რომ ვერანი (სათემო) მიწები ლენდლორდთა საკუთრებაა და უხერხულად მიიჩნიეს „ვაიძულოთ ხელისუფლება განსაზღვროს საკუთრება მესამე პირთა მეშვეობით“. პრინციპზე — „პარლამენტს არ აქვს უფლება ჩაერიოს კერძო საკუთრებაში“ — დაყრდნობით პროტექტორატმა საბოლოოდ დაასამარა „მეათედის“ გაუქმების საკითხი, რომელიც 1644 წლიდან იდგა დღის წესრიგში. ხელისუფლებისათვის მებრძოლი ყველა პარტია თუ პიროვნება, მათ შორის კრომველიც, პოლიტიკური პოპულარობის მოპოვების მიზნით მზად იყო „დაეკმაყოფილებინა“ ხალხის მოთხოვნა მეათედის გაუქმების შესახებ. მაგრამ, დაპირება დაპირებად რჩებოდა. „მეათედის“ შენარჩუნებით დაინტერესებული იყვნენ გამარჯვებული მოკავშირე კლასები. საეკლესიო-სამონასტრო მამულების დიდი ნაწილი და მასთან ერთად მნიშვნელოვანი შემოსავალი „მეათედის“ სახით მათ ხელში აღმოჩნდა. „მეათედის“ სახით მნიშვნელოვან შემოსავალს ღებულობდა თვით პროტექტორის ოჯახიც. მეორე პარლამენტის გახსნისას 17 სექტემ-

ბერს წარმოთქმულ სიტყვაში კრომველმა მხარი დაუჭირა „მეათედის“ შენარჩუნებას.

კრომველის რეჟიმი საკმაოდ ლოიალურად განეწყო მონოპოლიების, პატენტებისა და სხვა სავაჭრო-სამრეწველო პრივილეგიების მიმართ. დავიწყებას მიეცა დაპირება მათი საბოლოოდ და საესებით მოსპობის შესახებ. ბევრი სავაჭრო-სამრეწველო თუ ფინანსური კორპორაცია ამ უფლებით სარგებლობდა. ასეთთა რიცხვს ეკუთვნოდა „ვაჭარ ავანტიურისტთა კომპანია“, „ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანია“ და სხვ. 1650 წლის იანვარში პარლამენტმა დაადასტურა ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიის მონოპოლიური უფლებები, 1657 წლის 19 ოქტომბერს ოლივერ კრომველმა ხელი მოაწერა კომპანიის მფარველობის მესამე ქარტიას. აღსანიშნავია ისიც, რომ იმავე კომპანიას შეუერთდა ე. წ. „კურტენის ასოციაცია“ („ახადის ვაჭართა ასოციაცია“). რესპუბლიკა და პროტექტორატი ფართოდ თანამშრომლობდა კომპანიასთან ფინანსურ და კომერციულ საქმიანობაში, მფარველობდა მის ფლოტს. კომპანია ამარაგებდა სახელმწიფოს ფულით, გემებით. თანამშრომლობამ განსაკუთრებით ფართოდ ინგლის-ჰოლანდიის ომის დროს იჩინა თავი. პროტექტორმა მონოპოლიები ორ კატეგორიად დაჰყო. პირველს — „მავნეს“ მიაკუთვნა მონოპოლიები, რომლებსაც ცალკე პირები ფლობდნენ, მეორეს — „სასარგებლოს“, რომლებიც კორპორაციებსა და კომპანიებს ეკუთვნოდა. ამ პრინციპით მან აღადგინა საპნის ხარშვის ძველი მონოპოლია, რომლითაც თითქოს სარგებლობა შეეძლო ყველა მსურველს. თითქმის უცვლელად დატოვეს საქალაქო წარმოების რეგლამენტაციის ძველი შუასაუკუნეობრივი წესი. კვლავ სახელმწიფოს კონტროლს ემორჩილებოდა ნაწარმის ხარისხი, კვლავ იცავდნენ ძველი პრივილეგირებული ხელოსნური კორპორაციის პრიორიტეტს წარმოების ამა თუ იმ დარგში, კვლავ ძალაში დატოვეს ხელფასის „ზემოდან“ რეგულირების ძველი წესი და ა. შ.

მსხვილ მიწათმფლობელებთან (როგორც თავადაზნაურული ასევე ბურჟუაზიული წარმოშობისა) ერთად პროტექტორატი აქტიურად იცავდა სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს. ამაზე შეტყველებს, მაგალითად, 1656 წლის 27 ნოემბერს მიღებული „აქტი ინგლისის სახელმწიფოში წარმოებულ, აღმოცენებულ, დამზადებულ საქონლის გატანისათვის ხელისშეწყობის შესახებ“. აქტის თანახმად ბევრი საქონლისათვის დაწესდა ექსპორტის შეღავათიანი პირობები. უცხოელ ვაჭრებთან შედარებით ინგლისელ ვაჭართათვის დაწესდა ნაკლები ბაჟები და სხვ. წარმოებისა და ვაჭრობის საერთო ხელშეწყობის გაუმჯობესების მიზნით პროტექტორატის მთავრობამ შექმნა სპეციალური საბჭო, სადაც გაერთიანდნენ მსხვილი სავაჭრო-

სამრეწველო ცენტრების წარმომადგენლები. პროტექტორატი დიდ ყურადღებას უთმობდა სამხედრო და კომერციული ფლოტის შემდგომ განვითარებას.

კრომველი ხშირად აკრიტიკებდა ინგლისში მოქმედ კანონებსა და სამართალს. მას არა ერთხელ შეუფასებია იგი როგორც „არაზნეობრივი და უვარგისი“, „რომელიც ადამიანს 6 პენსის გამო სახრჩობელაზე გზავნის და მკვლელს ამართლებს“, მაგრამ ამ მოძველებული და ნახევრად ბარბაროსული კანონების და სასამართლო წარმოების შუასაუკუნეობრივი სისტემის შეცვლაზე არავის უფიქრია. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მათი არსებობა აწყობდა მემამულეებს და აგრეთვე იურისტთა მრავალრიცხოვან კორპორაციას, რომელთა გავლენა პარლამენტში და მთავრობაში დიდი იყო.

მიწათმფლობელთა პოლიტიკური ძლიერების ზრდამ, ტრადიციებისადმი ქედის მოხრამ, „საკუთრებისა და წესრიგის“ დამცველ პროტექტორატის რეჟიმს არ მისცა საშუალება განეხორციელებინა ჩაფიქრებული მრავალი საინტერესო ბურჟუაზიული რეფორმა, მათ შორის: ბირჟის რეორგანიზაცია, ეროვნული ბანკის შექმნა, თევზჭერის გაუმჯობესება და სხვ.

კლასობრივი შეზღუდულობით ხასიათდება პროტექტორის რელიგიური პოლიტიკაც. ამაზე მეტყველებს პროტექტორის ორი ორდონანსი (1654 წლის 20 მარტი, 1654 წლის 28 აგვისტო). კრომველი, სიტყვით სინდისის სრული თავისუფლების, სრული რჯულშეწყნარების მომხრე იყო, საქმით კი საწინააღმდეგო გაკეთდა. ნებადართული იყო მხოლოდ ის რელიგიური პურიტანული მიმდინარეობანი (ინდეპენდენტები, პრესბიტერელები, სექტები), რომლებიც არ ეწინააღმდეგებოდნენ არსებულ რეჟიმს და იზიარებდნენ საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპს. საამისოდ ლონდონში 1654 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია 38 კაცის შემადგენლობით. კომისიას ევალებოდა მღვდელმსახურთა შესაფერისი კადრების შერჩევა. მსგავსი კომისიები მოქმედებდნენ ცალკეულ საგრაფოებშიც. მათ ევალებოდათ ადგილობრივ სამღვდელოებაზე კონტროლი და „უვარგის“ სასულიერო პირთა და მასწავლებელთა დაუყოვნებლივ დათხოვნა. ამრიგად, ახალი ეკლესია მხოლოდ ფორმით იყო მრავალგვაროვანი, ფაქტიურად კი მაინც ერთგვაროვნობასთან გვაქვს საქმე — უფლებამოსილი იყო მხოლოდ ის რელიგიური ჯგუფი, რომელიც არსებულ რეჟიმს უჭერდა მხარს. კათოლიციზმი და ანგლიკანიზმი პოლიტიკური არასაიმედოობის გამო ნებადართული არ იყო (მათ კრძალავდა პროტექტორატის ორივე — 1653 და 1657 წლის კონსტიტუციები). მათდამი სიძულვილს განაპირობებდა, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური მოსაზრებები: კათოლიკური სამყარო (ესპანეთი, რომის პაპი) კრომველისეული ახა-

ლი ინგლისის დაუძინებელი მტერი იყო, ხოლო ინგლისური კათოლიციზმი მათ დასაყრდენს წარმოადგენდა. მათ მოკავშირედ იქცა ასევე პოლიტიკურად საშიში ძალა, როიალიზმის საყრდენი — ანგლიკანიზმი.

1658 წლის პარლამენტი სულ მალე პროტექტორისადმი ოპოზიციურად განეწყო. ამას ხელი შეუწყო პარლამენტში განდევნილი ასი დეპუტატის დაბრუნებამ. ამასთან ერთად თემთა პალატის ოცდაათამდე ერთგული წევრი კრომველმა ლორდთა პალატის წევრად განაწესა (მათ შორის იყო კრომველის ოჯახის შვიდი წევრი, ვაჟიშვილების — რიჩარდისა და ჰენრის მეთაურობით, ლორდის 17 ადგილი დაიკავეს პოლკის მეთაურებმა). ასეთ ვითარებაში თემთა პალატის უმრავლესობა ოპოზიციის ხელთ აღმოჩნდა. პირველ ყოლისა, გაძლიერდა ოპოზიციის რესპუბლიკური ფრთა. მათ შეუტიეს არსებულ კონსტიტუციას და რეჟიმს პარლამენტში და მის გარეთ. განრისხებულმა პროტექტორმა 1658 წლის 4 თებერვალს პარლამენტი დაითხოვა. 59 წლის პროტექტორის ჯანმრთელობა საგრძნობლად იყო შერყეული. გართულდა რვა წლის წინ შოტლანდიაში შენაძენი დაავადება — ციებ-ცხელების მწვავე ფორმა. ავადმყოფ კრომველზე მძიმედ იმოქმედა საყვარელი ქალიშვილის ელისაბედის გარდაცვალებამ. 1658 წლის აგვისტოში პროტექტორი ლოგინად ჩავარდა. ღრმად მორწმუნე კრომველი სიკვდილს წარბშეუხრელად შეხვდა. უარი თქვა საშველზე, სასმელზე, წამალზე, — „მე მინდა ამ ქვეყნიდან რაც შეიძლება მალე წავიდე“, — ამბობდა იგი. მას წამდა, რომ ამ ქვეყნიდან იგი მიდიოდა როგორც „ღვთის რჩეული“. სიკვდილის წინ კრომველი ეკითხებოდა პირად მღვდელმსახურს: „შესაძლებელია თუ არა, რომ ღმერთის მიერ ერთხელ არჩეული ადამიანი რაღაცის გამო შერისხული აღმოჩნდეს და მოფენილი მადლი დაჰკარგოს?“ მღვდლის პასუხზე: „არა, არ შეიძლება“, კრომველი სიამოვნებით მიესვენა ბალიშზე, „ამ შემთხვევაში ცხონება მელის, მე ვიცი, რომ ოდესღაც მადლი მომეფინა“. 1658 წლის 3 სექტემბერს (დენბოროსთან და ვუსტერთან დიდი გამარჯვებების წლისთავი) პროტექტორი გარდაიცვალა. სიკვდილის წინ რამდენიმე საათით ადრე მან დაასახელა თავისი მემკვიდრე, უფროსი ვაჟი რიჩარდ კრომველი. ლორდ-პროტექტორის ბალზამირებული ცხედარი 1-ელ ნოემბერს გადაასვენეს სომერსეტ-ჰაუზში. მიცვალებულთან ოფიციალური გამოთხოვება გაგრძელდა 23 ნოემბრამდე. კრომველი დაკრძალეს უესტმინსტერის სააბატოში, ინგლისის მეფეთა საგვარეულო აკლდამაში. ახალმა პროტექტორმა სიტის მესვეურებისაგან ნასესხები ფულით (ხაზინა ცარიელი იყო) მამა მეფური დიდებით დაკრძალა.

რიჩარდ კრომველმა ხელისუფლება მხოლოდ ერთი წლით შეინარჩუნა. კრომველის უახლოესმა თანამებრძოლმა გენერალმა ჯორჯ მონკმა მასზე დაქვემდებარებული ჯარები 1659 წლის 23 დეკემბერს ლონდონში შეიყვანა და 1660 წლის 26 მაისს ტახტზე დააბრუნა თავმოყვეთილი ჩარლზ I-ის უფროსი ვაჟი — ჩარლზ II. ეს ფაქტი ისტორიაში შევიდა „სტიუარტთა რესტავრაციის“ სახელით.

რესპუბლიკისა და პროტექტორატის საგარეო და კოლონიური პოლიტიკა

რესპუბლიკის, განსაკუთრებით კი პროტექტორატის დროს ინგლისის საერთაშორისო ავტორიტეტი გაიზარდა, საგარეო და კოლონიური პოლიტიკა გააქტიურდა, საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები. ახალი ინგლისის საგარეო პოლიტიკა, საშინაო პოლიტიკის მსგავსად, მესაკუთრე ინგლისის — გამარჯვებული მოკავშირე კლასების სასარგებლოდ იყო მიმართული. რევოლუციის შედეგად ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ თავის ძირითად მიზანს მიაღწია, ხელისუფლებას დაეპატრონა, ქონება თავის სასარგებლოდ გადაიანაწილა. ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის, „ფულის ტომრის ადამიანების“ ბანაკი კიდევ უფრო გაძლიერდა. მას დაემატა „რევოლუციის მტრების“ ქონების შეძენით, გადასახადების და აქციზების შესყიდვით (იჯარით აღებით), სახელმწიფო სესხის პროცენტებით და სხვა საშუალებებით რევოლუციის პროცესში გამდიდრებული და აღზევებული „ახალი მდიდრები“. მათი მიზანია „შინ“ მოპოვებულ წარმატებებს დაუმატონ წარმატებები „გარეთ“ — საერთაშორისო ასპარეზზე; ხელთ იგდონ ევროპის, შემდეგ კი მსოფლიოს ბაზარი, დაჩაგრონ და დაიმორჩილონ ყველა მეტოქე, დაეუფლონ კოლონიებს — შექმნან დიდი ბრიტანეთის კოლონიური იმპერია და სხვ. აღსანიშნავია, რომ საშინაო პოლიტიკისაგან განსხვავებით, სადაც მმართველი წრეების არათანამიმდევრული, შეზღუდული კლასობრივ-პარტიული და რელიგიური კურსის გამო მნიშვნელოვანი სიძნელეები შეიქმნა, ახალი რეჟიმის, განსაკუთრებით რესპუბლიკისა და პროტექტორატის საგარეო პოლიტიკა ხასიათდება უპირატესად წარმატებული და პოზიტიური შედეგებით, რაც საერთაშორისო ასპარეზზე ახალი ინგლისის და პირადად პროტექტორის ავტორიტეტის ზრდის ერთ-ერთი არსებითი საფუძველი გახდა.

პირველ ეტაპზე რესპუბლიკისა და პროტექტორატის საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავდა კონტინენტის სახელმწიფოებთან დიპლომატიურ, კომერციულ თუ სხვა საქმიან ურთიერთობის აღდგენას, დიდი სახელმწიფოების მიერ ინგლისის ახალი სახელმწიფოს ოფი-

ციალურ აღიარებას. მეორე ეტაპზე კი გათვალისწინებული იყო ძირითადი ჩანაფიქრის — ინგლისის მსოფლიოში უძლიერეს სავაჭრო, საზღვაო და კოლონიურ სახელმწიფოდ გადაქცევის, ინგლისისათვის ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით პრიორიტეტის მოპოვების, ძირითადი მეტოქეების: ესპანეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიის და პორტუგალიის კონკურენციის დაძლევის განხორციელება. პოლიტიკის ასეთი, ძირითადად მერკანტილისტური მოსაზრებებით ნაკარნახევი კურსი ინგლისში უკვე XVI საუკუნეში მეფეთა შორის დამკვიდრდა და „ეროვნულ ტრადიციად" იქცა. ტიუდორებმა, განსაკუთრებით კი დიდმა დედოფალმა ელისაბედმა, მხარი აუბეს ამ ტრადიციას და ბურჟუაზიასთან და ახალ თავადაზნაურობასთან (პარლამენტთან) ურთიერთობის სტაბილიზება შეძლეს. სტიუარტებმა კი ამ ტრადიციას არსებითად უღალატეს, ამით დაიმსახურეს ბურჟუაზია-ახალთავადაზნაურობის (პარლამენტის) და ფართო საზოგადოებრიობის დიდი წყრომა, გაამწვავეს ფეოდალურ-აბსოლუტიზმის კრიზისი. ინგლისის ახალი დიპლომატები აგრძელებენ XVI საუკუნის კორსარების, არმატორების, ნეგოციანტების საქმიანობას, რომელსაც ისინი ეწეოდნენ მთავრობის დახმარების გარეშე, საკუთარი რისკით და სახსრებით. რევოლუციურმა ინგლისმა ეს ტრადიციული, არსებითად აგრესიული კურსი კიდევ უფრო აქტიურად წარმართა. „რევოლუციონერები უფრო აქტიურად იბრძოდნენ, ვიდრე მათი წინამორბედი მეფეები. სწორედ ისინი არიან ბრიტანეთის იმპერიის შემოქმედნი", — წერს ა. ნ. სავინი. რესპუბლიკისა და კრომველის მოღვაწეობას (საერთაშორისო ასპარეზზე დიპლომატიის და კოლონიური პოლიტიკის სფეროში), ბურჟუაზიულ-ლიბერალურ ისტორიოგრაფიასთან ერთად დადებითად აფასებს რევოლუციისადმი, რესპუბლიკისადმი და კრომველისადმი მტრულად განწყობილი თვით მემარჯვენე-კონსერვატორული ისტორიოგრაფიაც კი. აღსანიშნავია, რომ ეს წარმატებები თავდაპირველად თვით ედუარდ ჰაიდმა (ლორდმა კლარენდონმა) დაადასტურა.

რევოლუციური ინგლისის აქტიურობა ადვილად გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამჯერად ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა უშუალოდ წარმართავს „თავის საკუთარ" საგარეო პოლიტიკას, მაშინ, როდესაც ადრე „ძველი რეჟიმის" დროს მისი განხორციელება „სხვისთვის", სოციალურად უცხო, ფეოდალური მეფისგან უნდა გამოეთხოვა.

გამარჯვებული მოკავშირე კლასების საგარეო პოლიტიკას ჯერ წარმართავდა „ხანგრძლივი პარლამენტი", შემდეგ კი დიქტატორი ოლივერ კრომველი. აღსანიშნავია, რომ კრომველმა საგარეო პოლიტიკის სადავეები ხელთ იგდო პროტექტორატის გამოცხადებამდე. ყოველ შემთხვევაში 1652 წლიდან უცხოეთის სახელმწიფო მოღვაწეე-

ბი, საერთაშორისო ურთიერთობათა უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადასაწყვეტად უშუალოდ მას უკავშირდებიან. „ნაბოლარა“ პარლამენტის დათხოვნის შემდეგ კრომველი ერთპიროვნულად წარმართავს ინგლისის საგარეო პოლიტიკას.

რესპუბლიკას და პროტექტორატს პროფესიული დიპლომატები არ ჰყავდა. მაგრამ გამარჯვებულმა, თავის საქმის სიმართლეში და თავის ძალებში დარწმუნებულმა, ოპტიმისტურად განწყობილმა ახალმა კლასმა (როგორც ეს ისტორიაში ყოველთვის ხდება) თავის შიგნით პოვა შესანიშნავი პოლიტიკური ტალანტები, სახელმწიფო მოღვაწეები, სარდლები, კანონმდებლები და მათ შორის ახალი დიპლომატებიც. ძველ აბსოლუტისტურ ფეოდალური ეპოქის პროფესიული დიპლომატიისათვის დამახასიათებელ ინტრიგებს, ღრმა გასაიდუმლოებას, რთულ მზაკვრულობას, მიზნების შეზღუდულობას და სხვ. ინგლისის ბურჟუაზიულმა დიპლომატიამ დაუპირისპირა ჩანაფიქრის ბუნებრიობა, მიზნის სიცხადე და მასშტაბურობა, პერსპექტიულობა, პრინციპულობა, გამოყენებითი-პრაგმატული რეალიზმი, ღონისძიებათა მიზანშეწონილობა, გადაწყვეტილებათა აღსრულებაში გაბედულება და სხვ. რესპუბლიკისა და პროტექტორატის დროს დაწინაურდა მრავალი ბრწყინვალე დიპლომატი, მათ შორის, პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ ოლივერ კრომველი — თავისი დროის გამოჩენილი დიპლომატი. მას გვერდში ედგნენ გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე ჰენრი ვენი, ცნობილი იურისტი და პოლიტიკური მოღვაწე ოლივერ სენტ-ჯონი, იურისტი, პოლიტიკოსი და ლიტერატორი ბალტოლდ უაიტლოკი, დიპლომატიური და საიდუმლო სამსახურის შესანიშნავი ორგანიზატორი ჯონ ტერლო, ხანგრძლივი პარლამენტის რეზიდენტი ჰოლანდიაში უოლტერ სტრიკლენდი, ცნობილი ინდეპენდენტი და „მეფის მკვლელი“, საიდუმლო სამსახურის ერთ-ერთი ორგანიზატორი ტომას სკოტი, გენერალი და დიპლომატი რიჩარდ ბრედშოუ, უილიამ ლოკარტი, ფილიპე მიდოუსი, უილიამ პრიდო და სხვა მრავალი. დიპლომატიურ სარბიელზე მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა დიდი მოაზროვნე, პოეტი და გამოჩენილი ინდეპენდენტი— რესპუბლიკელი ჯონ მილტონი, იგი როგორც „სახელმწიფო საბჭოს ლათინური მდივანი“ ლათინური ენის შესანიშნავი ცოდნით ინგლისის დიპლომატიას მნიშვნელოვან სამსახურს უწევდა. ლათინური შაშინ ჯერ კიდევ რჩებოდა დიპლომატთა ენად (ამ პოსტზე მილტონი შეცვალა გიდოუსმა).

ინგლისელი რევოლუციონერები, „წმინდანი ადამიანები“, „ღვთის ადამიანები“, რევოლუციას ანუ „ღვთის საქმეს“ ახორციელებდნენ და მის მონაპოვარს იცავდნენ პურიტანიზმის რელიგიური დროშით. ინგლისელი რევოლუციონერები იდეოლოგიას — პურიტანიზმს იყე-

ნებდნენ პოლიტიკისა და ეკონომიკის სამსახურში და არა პირიქით. „ღვთის შვილნი“ არასოდეს ივიწყებდნენ უპირველეს მიწიერ ინტერესებს. „მიყვარს ბიბლია, მაგრამ ფულს ანგარიშით ვიხდი“, — ასეთი იყო ახალი ინგლისელის მორალი. ყველაზე ტიპური ახალი ინგლისელი — კრომველი, როგორც ვიცით, მარტო ღმერთის იმედით როდი იყო. იგი არანაკლებ ძნიშვნელობას ანიჭებდა ხმალს, გონებას.

რევოლუციამ წამოჭრა აუცილებლობა ბურჟუაზიული „გონივრულობის“, „რეალიზმის“, უტილიტარიზმის და არსებული ახალი სისტემის „ბუნებრიობის“ აღიარებისა. „ბუნებრივად“ ცხადდებოდა სოციალური უთანასწორობა, საკუთრების მარადიულობა, მისი წმიდათაწმიდობა და ხელშეუხებლობა, ბურჟუაზიის ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობა და სხვ. პურიტანიზმმა ითავა ამ სიახლის იდეოლოგიური გამართლება და დაცვა.

ახალი ინგლისის მესვეურებმა „ბუნებრიობის“ სამოსით შემოსეს აგრეთვე ინგლისის აგრესიული საგარეო პოლიტიკა და მისი ძირითადი მიზანი — ინგლისის მსოფლიო ბატონობა. მისი იდეოლოგიური გამართლება და დაცვა „მსოფლიო პროტესტანტების მფარველობის“ დროშით კვლავ პურიტანიზმმა იკისრა. ამჯერად რევოლუციის იდეოლოგია უკვე საგარეო პოლიტიკის სამსახურშიც ჩადგა. პურიტანული საგარეო-პოლიტიკური დოქტრინის თანახმად „ღვთის რჩეული“ ინგლისელი ღმერთის მითითებით და მისი სახელით მოქმედებს, როცა მსოფლიო პროტესტანტიზმს „იცავს“. ღმერთისათვის ბრძოლა, ყველა ქვეყნის პურიტანიზმის დაცვა, ინგლისის მეთაურობით მათი გაერთიანება ფაქტიურად ნიშნავდა ინგლისის მიერ სხვა ხალხების დამორჩილებას და მსოფლიოზე ბატონობის მოპოვებას. ამ მხრივ საინტერესოა ინგლისისა და ჰოლანდიის, ამ ორი „მოძმე“ პროტესტანტული და ამავე დროს საზღვაო-საეკპრო ასპარეზზე დიდად მოქიშპე სახელმწიფოს ურთიერთობა. ერთ-ერთი პურიტანი მქადაგებლის განცხადებით: „ღმერთმა ჰოლანდია ინგლისელებს გადასცა. იქ უნდა გაემართონ წმინდანები, რათა ტახტიდან ჩამოაგდონ ბაბილონელი მრუშები და კონტინენტზე დაამყარონ ქრისტეს მეუფება“. ინგლისელები ერთმორწმუნე ჰოლანდიას წინადადებას აძლევდნენ გაერთიანებულიყვნენ ერთიან, ძმურ ოჯახში, ერთი პარლამენტის (რასაკვირველია ინგლისის) ხელმძღვანელობის ქვეშ, ერთიანი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკით და სხვ. ჰოლანდიელებმა კარგად იცოდნენ, თუ რას ნიშნავდა მათთვის ეს „მეგობრული“ გაერთიანება და ინგლისელთა წინადადება კატეგორიულად უარყვეს. 1653 წელს ინგლისში შეიმუშავეს ჰოლანდიასა და ინგლისს შორის თავდაცვითი და თავდასხმითი კავშირის დადების გეგმა, რომელიც ფაქტიურად მოასწავებდა ინგლისის მიერ ჰოლანდიის შთანთქმას. ჰოლანდია ინგლისს უნდა

დახმარებოდა ამერიკიდან „ურწმუნო“ (კათოლიკე) ესპანეთის განდევნაში, შემდეგ ინგლისის პარლამენტის ხელმძღვანელობით გაერთიანებულმა ევროპის პროტესტანტულმა ქვეყნებმა უნდა ებრძოლონ ევროპის კათოლიკურ ქვეყნებს. კრომველის სტრატეგიული ჩანაფიქრი ნათელი იყო. მსოფლიოს გაერთიანება პროტესტანტების, ანუ მათ სათაოში მდგომი ინგლისის სასარგებლოდ. „ამრიგად, ჩვენ აქ საქმე გვაქვს მსოფლიოს პროტესტანტთა სასარგებლოდ გადანაწილების ოცნებასთან“, — წერს ა. ნ. სავინი. ევროპის მონარქებმა გაშიფრეს ინგლისის „ღვთის ადამიანების“ ნამდვილი ზრახვები. შვეციის დედოფალი ქრისტინა (1644—1654) ეუბნებოდა ინგლისის ელჩს უაიტლოკს: „თქვენ, ინგლისელები, ფარისეველები და თვალთმაქცნი ხართ. მე ამას არ ვამბობ თქვენს გენერალზე (კრომველი — გ. კ.) და პირადად თქვენზე, მაგრამ მე მგონია, რომ ინგლისში ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც შესაძლებელზე მეტი სარგებლიანობის მიღების მიზნით იმაზე მეტად წმინდანობს, ვიდრე სინამდვილეში.“

30-წლიან ომში ღრმად ჩაფლული ევროპა სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდა ინგლისში მიმდინარე მოვლენებს. ამასთან, ევროპის მონარქებს არ ჰქონდათ სათანადო წარმოდგენა ინგლისის რევოლუციაზე, ვერ ერკვეოდნენ მის არსში. ევროპის მონარქებს შორის იყო ღრმა რწმენა იმისა, რომ ჩარლზ I შეძლებს სამოქალაქო ომში გამარჯვებას, რევოლუციის ლიკვიდაციას, ამბოხებულ ქვეშევრდომთა დაშოშმინებას. მეორე მხრივ, ევროპის კონტინენტური სახელმწიფოები იმედოვნებდნენ, რომ შინა ომი დაასუსტებდა ინგლისს — მათ საშიშ მეტოქეს საზღვაო-სავაჭრო და კოლონიურ ასპარეზზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისის რევოლუციამ ევროპის ფეოდალურ აბსოლუტიზმს არ შეუქმნა უშუალო საფრთხე, როგორც XVIII საუკუნის საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ. ყოველივე ამის შედეგად კონტინენტური ევროპა ინგლისის მეფეს უფრო მორალურ მხარდაჭერას სთავაზობდა, ვიდრე პრაქტიკულს. როგორც ვიცით, სამოქალაქო ომის დასაწყისისთანავე ინგლისის ფლოტი ძირითადად პარლამენტის მხარეზე აღმოჩნდა. კომუნიკაციებს ინგლისსა და კონტინენტს შორის პარლამენტი უწევდა კონტროლს, ასეთ ვითარებაში კონტინენტის მონარქებს არათუ ინტერვენციის, არამედ მიმდინარე დახმარების საშუალებაც კი თითქმის არ ჰქონდათ.

რაც შეეხება თვით ინგლისს, იგი რევოლუციამ და სამოქალაქო ომებმა ურთულეს საშინაო სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ პრობლემების წინაშე დააყენა, ამიტომ არც მეფესა და არც პარლამენტს აქტიური საგარეო პოლიტიკისათვის დრო და საშუალება აღარ რჩებოდა. ასეთ ვითარებაში ინგლისის საგარეო პოზიციები საგრძნობლად შესუსტდა მეტოქეთა სასარგებლოდ. ერთი შე-

ხედვით ინგლისი საერთაშორისო ასპარეზზე საშიშ და ანგარიშგასაწევ ძალას აღარ წარმოადგენდა.

რევოლუციურ ინგლისს საერთაშორისო, სავაჭრო-საზღვაო და კოლონიურ ასპარეზზე დიდი სიძნელეები შეუქმნა უცხო სახელმწიფოებში მოკალათებულმა როიალისტურმა ემიგრაციამ და კოლონიებში მცხოვრებმა მონარქისტულმა ძალებმა. როიალისტთა ემიგრაციამ საყუდელი პოვა ესპანეთში, პორტუგალიაში, განსაკუთრებით საფრანგეთსა და ჰოლანდიაში. საფრანგეთი გარკვეულ ანგარიშს უწევდა მეფის — ლუი XVI-ის მამიდას, ინგლისის დედოფალს ჰენრიეტა-მარის. ჰოლანდიის შტატ-ჰალტერი ვილჰემ II ორანელი ჩარლზ I-ის სიძე იყო (1641 წლიდან ცოლად ჰყავდა ჩარლზის ქალიშვილი მარიამი). იგი რევოლუციური ინგლისისადმი მტრულად იყო განწყობილი.

ამსტერდამი, ჰააგა, ბრიუგე და ჰოლანდიის სხვა ქალაქები სავსე იყო ემიგრანტებით. პრინცი რუპერტი აერთიანებდა ახალგაზრდა, თავზეხელაღებულ თავადაზნაურობას — „მკაცრ კავალერებს“ (rigid cavaliers) და აქტიურ მოქმედებას მოითხოვდა. ედუარდ ჰაიდის (ლორდი კლარენდონი) და ნიკოლასის ჯგუფი ლონდონის პოლიტიკას ამჯობინებდა. ჰენრიეტა-მარის ჯგუფი (ლუვრელები) ევროპის მონარქთა დახმარების იმედით ცხოვრობდა. ემიგრანტთა შორის გამონაკლისის სახით აღმოჩნდნენ ისეთნიც, რომლებიც უცხო სახელმწიფოთა დახმარების იმედს დაკარგულად თვლიდნენ, მოითხოვდნენ ბრძოლის შეწყვეტას და სამშობლოში დაბრუნებას (ახალგაზრდა ჰერცოგი ბეკინჰემი, კოლპეპერი, ჰოპტონი და სხვ.).

განსაკუთრებით საშიშ ძალად იქცა პრინცი რუპერტი. იგი ძმასთან — პრინც მორიცთან ერთად სათავეში ჩაუდგა საკმაოდ ძლიერ ფლოტს, რომელიც ძირითადად შეიქმნა 1648 წელს პარლამენტისაგან განდგომილ სამხედრო ხომალდთა ბაზაზე. რუპერტმა სამხრეთ ირლანდიის ნავსადგურ კინსელში შექმნა ბაზა და აქედან აწყობდა ულმობელ თავდასხმებს ინგლისის სანაპიროებზე. იპერდა, ძარცვავდა და ანადგურებდა ინგლისის სავაჭრო ფლოტის გემებს. მას ეხმარებოდნენ საფრანგეთი, ჰოლანდია, ესპანეთი, პორტუგალია, შოტლანდია და სხვ. პრინცის მეკობრულ ოპერაციებში უშუალოდ მონაწილეობდნენ საფრანგეთის, ჰოლანდიისა და შოტლანდიის სახელმწიფო სამსახურში მყოფი კაპიტნები. პრინცი რუპერტი და მისი მოკავშირეები ინგლისს უდიდეს ზიანს აყენებდნენ. პრინცი რუპერტი და პრინცი მორიცი ოფიციალურად მოქმედებდნენ ინგლისის ახალი, „ლეგიტიმიური“ (კანონიერი) მეფის ჩარლზ II-ის რწმუნებით, მაგრამ ფაქტიურად ისინი ეწეოდნენ საზღვაო მეკობრეობას, ამ სიტყვის უკიდურესი გაგებით. ნაძარცვი ნადავლის ნაწილს პრინცი რუპერტი ჩარლზ II-ეს უნაწილებდა.

ზღვებზე უპირატესობის აღდგენა ახალი ინგლისის მესვეურთათ-

ვის გადაუდებელ ამოცანად იქცა. ზღვებზე ბატონობის ყველაზე ნაღდი არგუმენტი ძლიერი ფლოტია, ამბობდა უაიტლოკი. გამარჯვებულმა მოკავშირე კლასებმა სამართლის ახალი საზომი გამოაჩინეს — ძალა. „ვისაც ძალა აქვს, ის მართალია“, „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ“ — ასეთი იყო ახალი ინგლისის მორალი. აქედან გამომდინარე ახალი ინგლისელის ღრმა რწმენით ზღვა ეკუთვნის იმას, ვისაც ძლიერი ფლოტი ჰყავს. რატომ უნდა დაევმორჩილო ჩემზე სუსტს, რატომ უნდა ვთხოვო მას ნებართვა თევზის დასაჭერად, რატომ უნდა გადავუხადო მას ბაჟი, რატომ უნდა შემოვიდეს იგი ინგლისის ან მისი კოლონიების გარემომცველ ზღვებში. რატომ უნდა გაზიდონ მათ აქედან საქონელი საკუთარი გემებით? აი, რა კითხვები აწუხებდა იმდროინდელ ინგლისელ ბურჟუას. ძალა, ამ შემთხვევაში ძლიერი ფლოტი რომ ზღვებზე ბატონობის ყველაზე ნაღდი არგუმენტია, ამაში უაიტლოკი ერთ-ერთ ჰოლანდიელ შკიპერთან საუბარში დარწმუნდა. უაიტლოკის კითხვაზე, „რა უფლება გაქვთ ჩვენს წყლებში თევზი დაიჭიროთო“, შკიპერმა უპასუხა — „ღია ზღვაში თევზაობის უფლება ყველას ეკუთვნის“. უაიტლოკის შენიშვნაზე, „მაგრამ არა იმას ნებართვის გარეშე, ვისაც ეს ზღვა ეკუთვნის“, შკიპერის პასუხი ასეთი იყო — „ზღვა ეკუთვნის იმას, ვისაც უკეთესი ფლოტი ჰყავს“.

რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე შემუშავდა გემთმშენებლობის გრანდიოზული გეგმა. რესპუბლიკის არსებობის სამი წლის განმავლობაში აიგო ჯეიმზ I-ისა და ჩარლზ I-ის დროს აშენებულ ხომალდებზე გაცილებით მეტი. ლიტერატურაში გავრცელებული ცნობით 11 წლის განმავლობაში (1649 — 1660) აშენდა 98 სამხედრო ხომალდი. ისტორიკოს ეშლის ცნობით 1649 — 1654 წლებში აშენდა 147 სამხედრო ხომალდი. არსებობს მონაცემები, რომლის თანახმად იანკვევა, რომ 1649 — 1660 წლებში ინგლისის სამხედრო ფლოტმა მტრისთვის წართმეულ სამხედრო ხომალდებთან ერთად მიაღწია 207 ერთეულს. ჯეიმზ I-ის და ჩარლზ I-ის მეფობის დროს წელიწადში ერთი ან ორი ხომალდის კურთხევა დიდ წარმატებად ითვლებოდა. ჯეიმზ I-მა თავისი მეფობის (22 წლის) განმავლობაში სულ ააგო 19 ხომალდი. 1648 წლისათვის ინგლისის სამხედრო ფლოტი ითვლიდა სულ 41 ხომალდს. მშენებლობის ტემპმა შეუდარებლად იმატა. მარტო 1652 წელს აშენდა 30 საბრძოლო ფრეგატი, რაზეც დაიხარჯა 300 000 გირვანქა სტერლინგი. ერთი წლის განმავლობაში (1653 — 1654) ფლოტის საჭიროებისათვის მოიხმარეს მილიონზე მეტი გირვანქა სტერლინგი. ინგლისის ფლოტს ტექნიკური აღჭურვილობით, გამძლეობით, სისწრაფით, ცეცხლის ძალით იმდროინდელ ევროპაში ბადალი არ ჰყავდა.

სამხედრო-საზღვაო გეგმის განხორციელების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა გამოჩენილმა რევოლუციონერმა პენრი ვენმა-უმცროსმა, რომელიც ამ საქმეს ოფიციალურად ხელმძღვანელობდა.

ფლოტს შესაფერისი სარდალი სჭირდებოდა. ასეთი იყო ადმირალი რობერტ ბლეკი (1599 — 1657). ბლეკმა ადგილი დაიკავა ფრენსის დრეიკის, სერ უალტერ რალეის, სერ ჰორაციო ნელსონის და ინგლისის სხვა დიდ ადმირალთა გვერდით. ბლეკის წინაპრები მეზღვაურები და ვაჭრები ყოფილან. მამას, სომერსეტის საგრაფოს პატარა ქალაქ ბრიჯუოტერის მცხოვრებს, პატარა საწარმო გაუხსნია. ბლეკი ბავშვობიდანვე გაიტაცა საზღვაო რომანტიკამ. იგი გულმოდგინედ უსმენდა ძველი შკიპერებისა და მეზღვაურების ნაამბობს. მამას სურდა შვილი მეცნიერად აღეზარდა, ამ მიზნით იგი ოქსფორდის უნივერსიტეტში მიაბარეს. ბლეკი შესანიშნავად სწავლობდა, ბევრს კითხულობდა, მაგრამ მალე იძულებული გახდა სწავლა შეეწყვიტა. მამის გარდაცვალების გამო იგი სათავეში ჩაუდგა წარმოებას და ოჯახს. ახალგაზრდა ბლეკი პურიტანიზმს ეზიარა და ოპოზიციას მიემხრო. მისი პოლიტიკური კარიერა დაიწყო „ხანმოკლე პარლამენტში" არჩევით. სამოქალაქო ომში იგი დაწინაურდა როგორც ნიჭიერი სარდალი და მიიღო პოლკოვნიკის ჩინი. მან თავი ისახელა ლაიმისა და ტაუნტონის დაცვისას. 1644 — 1645 წლებში დამატებითი არჩევნების დროს პოლკოვნიკი ბლეკი „ხანგრძლივი პარლამენტის" წევრად აირჩიეს აირტონთან, ფლიტვუდთან, ლედლოუსთან და სხვებთან ერთად. 1649 წელს პარლამენტმა პოლკოვნიკები რობერტ ბლეკი, რიჩარდ დინი და ედუარდ პოფემი ფლოტის მეთაურებად დანიშნა და საგანგებო რწმუნებანი მიანიჭა. ინგლისის საზღვაო ძლიერების აღდგენაში თავი ისახელეს აგრეთვე ადმირალებმა უილიამ პეინმა (ცნობილი კლონური მოღვაწის, კვაკერის უილიამ პეინის მამამ), სერ ჯორჯ ეისკიუმ და სხვ. საზღვაო ბრძოლებში თავი ისახელა აგრეთვე გენერალმა ჯორჯ მონკმა.

მეფის სიკვდილით დასჯისა და რესპუბლიკის გამოცხადების ჟამს ვითარება დაიძაბა. პრინცი რუპერტი გააქტიურდა. ინგლისის გარშემო რამდენიმე კუნძული (ჯერსი, გერნსი, მენი, სილის კუნძულები) როიალისტთა ხელთ იყო. რესპუბლიკას განუდგა და მეფეს მიემხრო ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენები: ვირჯინია და მერილენდი; ინგლისის კოლონიები ვესტ-ინდოეთში: კუნძული ბარბადოსი, კუნძული ანტიგუა და ბერმუდის კუნძულები. მეფის სიკვდილით დასჯამ გამოიწვია ევროპის მონარქთა დიდი გულისწყრომა. ჩარლზ II ოფიციალურად აღიარეს ინგლისის მეფედ, მას ტახტის დაბრუნების დიდი იმედები გაუჩნდა, რაც კიდევ უფრო განუმტკიცა 1648 წლის ვესტფალის ზავმა.

30-წლიანი ომი დამთავრდა. ევროპის მონარქებს ინგლისის ამბებისადმი მეტი ყურადღების მიქცევის საშუალება მიეცათ. ჰააგაში 1649 წლის 3 მაისს როიალისტებმა მოკლეს ინგლისის ოფიციალური წარმომადგენელი, ერთ-ერთი „მეფის მკვლელი“ ისაკ დორისლაუ. ჰოლანდიის ხელისუფლებამ არაფერი იღონა მკვლელთა დასასჯელად. ხელისუფალნი მხოლოდ ბოდიშის მოხდით დაკმაყოფილდნენ. პარლამენტმა დორისლაუ დიდის პატივით დაკრძალა, ოჯახს დაენიშნა მაღალი პენსია. იგივე განმეორდა მადრიდში. აქ 1650 წლის მაისში ისევ როიალისტების ხელით მოკლეს ინგლისის წარმომადგენელი ანტონ ეშემი (თარჯიმანთან, ყოფილ ფრანცისკანელ ბერთან ერთად). მკვლელებმა თავი შეაფარეს ეკლესიას (ეკლესია ხომ თავშესაფარის უფლებით სარგებლობდა). ხელისუფლებამ ისინი მაინც დააპატიმრა იმ მოტივით, რომ მკვლელები ეკლესიის თავშესაფარის უფლებით არ სარგებლობენ. მკვლელთაგან ერთი ჩამოახრჩვეს, დანარჩენები გაუშვეს და კვლავ ეკლესიას გადასცეს. ხელისუფლებამ ანგარიში გაუწია მღვდელმსახურთ, რომლებმაც ამ ღონისძიებაში მაინც დაინახეს ეკლესიის უფლებების შელახვა.

1649 წლის გაზაფხულზე ადმირალმა ბლეკმა განახორციელა ნავსადგურ კინსეილში რუპერტის ფლოტის ბლოკირება. ბლეკმა ხელთ იგდო მოწინააღმდეგის სამი ხომალდი, იმავე წლის ნოემბერში პრინცმა შეძლო ალყისაგან თავის დაღწევა და გადარჩენილი ფლოტით ლისაბონში გაიქცა. პორტუგალიის მეფემ ხუან IV-ემ შეიფარა „მეფის მკვლელთა“ მტერი. 1650 წლის მარტში ლისაბონს რესპუბლიკის ფლოტით მიადგა ადმირალი ბლეკი და მდინარე ტეხოს შესართავთან დაბანაკდა. რუპერტი კვლავ ალყაში აღმოჩნდა. ხუან IV-ემ უარყო რესპუბლიკის მთავრობის წინადადება (მოსალაპარაკებლად ლისაბონში ჩამოვიდა ჰენრი ვენის ძმა) ინგლისისათვის პრინც რუპერტის ფლოტის გადაცემის შესახებ. რესპუბლიკის მთავრობის მითითებით ბლეკმა პორტუგალიას ომი გამოუცხადა (1650 წლის ივლისი). ასე შეიცვალა ადრე კეთილგანწყობილი ურთიერთობა ინგლისსა და პორტუგალიას შორის (რომელიც 1640 წელს ესპანეთს გამოეყო და დამოუკიდებლობა მოიპოვა). პორტუგალიას, რომელიც ესპანეთს დაუპირისპირდა (ესპანეთთან მისი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის გაგრძელდა 1665 წლამდე), ინგლისმა მეგობრული ხელი გაუწოდა; 1642 წლის იანვარში პორტუგალიასა და ინგლისს შორის დადებულ იქნა კეთილმეგობრული, სავაჭრო ხელშეკრულება.

ამჯერად კი, როგორც ვხედავთ, ვითარება შეიცვალა. ხუან IV-ის ბრძანებით პორტუგალიაში მყოფი ყველა ინგლისელი, უპირატესად ვაჭრები, დააპატიმრეს და მათ საქონელსა და ქონებას კონფისკაცია უყვეს. ამიერიდან ბლეკი თავს ესხმის პორტუგალიის გემებსაც, პირ-

ველ ყოვლისა, მათ სავაჭრო ფლოტს. მაგალითად 1650 წლის სექტემბერში ბლეკმა ხელთ იგდო და გაძარცვა ბრაზილიიდან მომავალი ძვირფასი საქონლით დატვირთული საზღვაო-სავაჭრო ჭარავანი (4 გემი ჩაძირა, 7 გემი, მათ შორის ფლაგმანი, დაატყვევა). შემოდგომის დადგომისა და ზამთრის მოახლოების პირობებში მაშინდელ ხომალდებს ზღვაზე ყოფნა უჭირდათ, ბლეკმა ლისაბონს ალყა მოხსნა, ფლოტის ნაწილი დიდი ნადავლით ინგლისში გაისტუმრა, ნაწილით კი ესპანეთის ნავსადგურ კადიქსში დაბანაკდა. ესპანეთის მეფე ფილიპ IV თანაუგრძნობდა ბლეკის ექსპედიციას. პირველ ყოვლისა, იგი მაშინ ეძიებდა ინგლისთან თანამშრომლობას, მეორე მხრივ, იგი სჯიდა ესპანეთისაგან ჩამოშორებულ პორტუგალიას. ესპანელები ამარაგებდნენ ბლეკს ფულით, სურსათ-სანოვაგით და სხვა საჭირო საგნებით.

13 ოქტომბერს რუპერტმა დატოვა ლისაბონი და ხმელთაშუა ზღვისკენ გაემართა. იგი გზაში თავს ესხმოდა ინგლისის გემებს, მათ შორის იმათაც, რომლებიც ესპანეთის ნავსადგურებში იყვნენ თავშეფარებულნი. ბლეკი დაედევნა რუპერტს და გიბრალტარის მისადგომებთან დაეწია მას. რუპერტის ფლოტი ფაქტიურად განადგურდა. ნაწილი მოსპო ბლეკმა, ნაწილი ქარიშხლის მსხვერპლი გახდა. პრინცმა გადარჩენილი სამი გემით თავი შეაფარა საფრანგეთის ნავსადგურ ტულონს.

ბლეკი დაბრუნდა სამშობლოში, სადაც იგი დიდი პატივისცემით მიიღეს. ხმელთაშუა ზღვაში მან დატოვა ადმირალი უილიამ პენი. რუპერტმა შეაკეთა და შეავსო ფლოტი. 1651 წლის გაზაფხულზე მან შეძლო პენის მოტყუება (ხმა დაყარა ლევანტისკენ მიედევარო), განელო გიბრალტარი და ოსტ-ინდოეთისაკენ გაემართა. იგი იმედოვნებდა აქაურ როიალისტთა სახით ეპოვა მფარველობა და საყრდენი. პარლამენტმა 1650 წლის 3 ოქტომბერს გამოსცა აქტი რესპუბლიკისაგან განდგომილი კოლონიების წინააღმდეგ. უცხოელ ვაჭრებს ეკრძალებოდათ ვირჯინიასთან და ვესტ-ინდოეთის ინგლისურ სამფლობელოებთან ვაჭრობა. ეს აქტი, პირველ ყოვლისა, მიმართული იყო ჰოლანდიის წინააღმდეგ, რომელიც ინგლისის კოლონიებში ფართოდ ვაჭრობდა. ამასთან ერთად პარლამენტმა 1651 წლის შემოდგომაზე როიალისტური კოლონიების წინააღმდეგ გაგზავნა დამსჯელი საზღვაო ექსპედიცია ადმირალ სერ ჯორჯ ეისკიუს ბარდლობით. 1651 — 1652 წლების განმავლობაში ყველა ამბოხებული კოლონია რესპუბლიკამ დაიმორჩილა. პრინცი რუპერტი ამერიკაში გამოჩნდა სწორედ მაშინ, როცა აქ როიალიზმის ბედი გადაწყვეტილი იყო. ხელმოცარული პრინცი რუპერტი ევროპაში დაბრუნდა. ექსპედიციას შეეწირა პრინცი მორიცი, იგი ქარიშხლიან ღელეს ზღვის სტიქიამ იმსხვერპლა. რუპერტის პატარა ფლოტმა ღუზა ჩაუშვა საფრანგეთში მდინარე ლუა-

რას შესართავთან, ნავსადგურ პემბეკში. პრინცმა შემორჩენილი საბიო-დე ხომალდი მაზარინს მიჰყიდა, თვით კი საფრანგეთის სამეფო კარს შეაფარა თავი.

რესპუბლიკამ ახალ წარმატებას მიაღწია. 1651 წელს ლიკვიდირე-ბულ იქნა როიალისტთა ბაზები ინგლისის მოსაზღვრე კუნძულებზე. ამ ოპერაციაში თავი ისახელა ისევ ადმირალმა ბლეკმა. ზღვებზე ესო-დენ მნიშვნელოვანმა წარმატებებმა ევროპა დაარწმუნა ახალი ინგლი-სის ძლიერებაში. ამას დაემატა დიდი გამარჯვებები ხმელეთზე — კრომველის ლაშქრობა ირლანდიასა და შოტლანდიაში. დენბარმა და ვუსტერმა საბოლოოდ ნათელყვეს რესპუბლიკური ინგლისის პოლიტი-კური და სამხედრო ძლიერება.

ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯამ ევროპის სახელმწიფოთა დამო-კიდებულება რევოლუციური ინგლისისადმი მკვეთრად გაამწვავა; მათ მიერ განხორციელდა მრავალი მკაცრი ღონისძიება. მაგრამ რესპუბ-ლიკის მიერ მოპოვებულმა წარმატებებმა მის მიმართ ევროპის სა-ხელმწიფოთა დამოკიდებულება დიამეტრულად შეცვალა. ამიერიდან, ურთიერთმოქიშპე კონტინენტური მონარქები ცდილობენ დაიახლო-ვონ ინგლისი, გამოიყენონ იგი როგორც პოლიტიკური პარტნიორი და სამხედრო მოკავშირე. პირველ რიგში, ასეთი მიზანი დაისახა საფ-რანგეთმა და ესპანეთმა, ამ ორმა ტრადიციულმა მოწინააღმდეგემ, რომლებიც 1653 წლიდან ურთიერთშორის მძიმე, ტოტალურ ომს აწარმოებდნენ. ინგლისელთა მოკავშირეობა ორივესათვის სანუკვარ ოცნებად იქცა.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ახალი ინგლისი ერთ-ერთმა პირველმა ცნო რელიგიური და პოლიტიკური რეაქციის ბურჯმა, ულ-ტრაკათოლიკურმა და ულტრააბსოლუტისტურმა ფეოდალურმა ესპა-ნეთმა—ინგლისის ტრადიციულმა და შეურიგებელმა მტერმა. ამიერი-დან ესპანეთის მონარქია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დაუ-მეგობრდეს „ერეტიკოსებს“, „მეფის მკვლელებს“, „ჯოჯოხეთის მო-ციქულებს“, „ჯალათებს“. სხვა გამოსაყალი, პოლიტიკურად, ეკონო-მიკურად და სამხედრო თვალსაზრისით დაუძლურებულ ესპანეთს არ ჰქონდა. ცნობილია, რომ ესპანეთი 30-წლიან ომში დიდი, მსოფლიო მასშტაბის პრეტენზიებით ჩაება. მაგრამ შედეგი მისთვის სავალალო აღმოჩნდა, საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ ამ ომში ესპანეთ-მა დაკარგა სამასამდე ხომალდი, 1648 წლისათვის მას სამხედრო ფლო-ტი თითქმის არ გააჩნდა. ესპანეთის ეკონომიკა კატასტროფულად მო-იშალა, მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა. ესპანეთის კოლონიური იმპერია იშლებოდა, აშკარა იყო, რომ ესპანეთი ვეღარ შეძლებდა სამფლობელოების შენარჩუნებას ევროპაში და ზღვის გაღმა. ესპანე-თის მეტოქემ — საფრანგეთმა ვესტფალის ზავით საგრძნობ წარმატე-

ბებს მიაღწია. ესპანელები განაგრძობდნენ მასთან ომს. ასეთ ვითარებაში ადვილად წარმოსადგენია ის დიდი შეღავათი, რომელსაც ესპანეთი მიიღებდა ინგლისთან კავშირის მიღწევის შემთხვევაში.

ფილიპე IV-მ ოფიციალურად არ ცნო ინგლისის რესპუბლიკა. მაგრამ ელჩი დონ ალონზო კარდენია კვლავ ლონდონში დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ მის რწმუნებებს ვადა გაუვიდა და რწმუნებათა ახალი სიგელი მიღებული არ ჰქონდა, იგი ფარულად დაუკავშირდა სახელმწიფო საბჭოს წევრებს და მასთან საქმიანი კონტაქტი დაამყარა. ესპანეთი ყოველნაირად ცდილობს ინგლისთან კეთილმეგობრული დამოკიდებულება გამოხატოს. ესპანეთი აშკარად თვალს ხუჭავს იმ სიძნელეების მიმართ, რომელსაც ინგლისელი ვაჭრები უქმნიან მას საკუთარ კოლონიებთან ვაჭრობისას (ინგლისელი კომერსანტები ესპანურ კოლონიებში თავისუფლად ვაჭრობდნენ და ესპანელებს სახტიკ კონკურენციას უწევდნენ). ესპანეთის სამეფო კარზე ჩარლზ II-ის ოფიციალური ელჩები ედუარდ ჰაიდი (ლორდი კლარენდონი) და ლორდი ფრენსის კოტინგტონი ძალიან ცივად მიიღეს. ინგლისელები შემოთავაზებულ „მეგობრობაზე" უარს არ ამბობენ, მაგრამ მის ოფიციალურად გაფორმებას აჭიანურებენ. ამ შემთხვევაში ინგლისელები ახორციელებენ შემდგომი ინგლისის დიპლომატიისათვის ეპოდენ დამახასიათებელ, „ლოდინისა" და „გამოძალვის" პოლიტიკას. მას უკეთესი არჩევანის საშუალებას აძლევდა მისი „მეგობრობის" მეორე მაბიებელი, პირველის მოქიშპე — საფრანგეთი. ამიტომ პარლამენტი არ ჩქარობს ერთ-ერთ მათგანზე არჩევანის შეჩერებას, ჯერჯერობით ესპანეთ-საფრანგეთის ქიშპში მეთვალყურის როლში გამოდის.

1650 წლის დეკემბერში ესპანეთის სამეფომ ალონზო კარდენია ოფიციალურად აღჭურვა რწმუნების ახალი სიგელით, ანუ ოფიციალურად ცნო ინგლისის რესპუბლიკა. ელჩის მიერ პარლამენტისათვის სიგელების გადაცემა დიდი ზარ-ზეიმით ჩატარდა. პარლამენტის წევრები გრაფ უილიამ სოლსბერის მეთაურობით წინასწარ ეახლნენ ელჩს მის რეზიდენციაში. პარლამენტის შენობაში ელჩი მოაცილა ინგლისის და ესპანეთის თავადაზნაურობამ 40 ეტლით, გზაზე განლაგებული იყო კავალერიის ორი პოლკი, ელჩს მოაცილებდა ფეხოსანთა პოლკი. პარლამენტში ელჩი დასვეს მისთვის განკუთვნილ სპეციალურ სკამზე. ელჩმა სკიპერს გადასცა ლათინურ ენაზე დაწერილი სიგელი, შემდეგ კი ესპანურ ენაზე წარმოთქვა სიტყვა, სადაც მიესალმა კავშირს ესპანეთის „დიდ მონარქსა" და ინგლისის ერის უზენაეს ხელისუფლებას (პარლამენტს) შორის. ასე „დაიმცირა" თავი ქედმაღალმა მონარქიამ „მეფის მკვლელთა" რესპუბლიკის წინაშე. ესპანელებმა ამ ღონისძიებით რაიმე რეალურ წარმატებას ვერ მიაღწიეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ (1652 წ.) შინაური სიძნელეე-

ბის წინაშე მყოფ (ფრონდა) ფრანგებისათვის კატალონიის წართმევას. რესპუბლიკამ და კრომველმა ესპანეთთან ურთიერთობის აღდგენა საკმაოდ კარგად გამოიყენეს. 1654 წელს კრომველმა პორტუგალიასთან დადებული ხელშეკრულებით უზრუნველყო პორტუგალიის ესპანეთისაგან დამოუკიდებლობა, თანაც პორტუგალია თავის გავლენას დაუქვემდებარა. ესპანეთი იძულებული გახდა ეცნო ეს ახალი „დამცირება“. საბოლოოდ მიზანი მაინც მიუღწეველი დარჩა. 1655 წელს ოლივერ კრომველმა ესპანეთს ომი გამოუცხადა, საფრანგეთი ამჯერად მისი მოკავშირე იყო.

უფრო რთულად წარიმართა საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობა. საფრანგეთის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ არ დაეშვა ინგლისიდან რევოლუციური „გადამდები სენის“ გავრცელება საფრანგეთში და საერთოდ ევროპის კონტინენტზე. ამასთანავე, საფრანგეთის ფაქტიური მმართველი კარდინალი მაზარინი მზად იყო ეცნო ინგლისი, — საიმედო მოკავშირე ესპანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო მრავალი, საკმაოდ დიდი წინააღმდეგობის დაძლევა. ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობა დაძაბული იყო. ფაქტიურად ორივე ქვეყანა ომის გამოუცხადებლად საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ჯერ კიდევ მეფის სიკვდილით დასჯამდე (1648 წ.) საფრანგეთმა აკრძალა ინგლისიდან მაუდისა და აბრეშუმის ნაწარმის შემოზიდვა. საფრანგეთის მესვეურებს, კერძოდ მაზარინს, რომელიც 18 წლის (1643 — 1661) განმავლობაში საფრანგეთს ერთპიროვნულად მართავდა, ეგონათ, რომ შინა ომით დასუსტებული ინგლისი საფრანგეთის ამ ღონისძიებას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, მაგრამ პარლამენტს ეყო ძალა კონტრღონისძიებით ეპასუხა. მან აკრძალა საფრანგეთის ღვინის, სპირტეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების შემოტანა ინგლისში. „მიუხედავად მეფისადმი ძველთაძველი რწმენისა, ჩვენ ვძლებთ მის გარეშე. ასევე ადვილად გავძლებთ ფრანგული ღვინის გარეშე“, — განუცხადეს ინგლისელებმა საფრანგეთის ელჩს კრულეს. ინგლის-საფრანგეთს შორის დაიწყო მკაცრი საბაჟო ომი, სავაჭრო ხომალდებზე ურთიერთთავდასხმა. ამ ვითარებამ ორივე ქვეყანას დიდი ეკონომიკური ზიანი მოუტანა. ამასთან ერთად, საფრანგეთმა თავშესაფარი მისცა ინგლისელ როიალისტებს, რომლებიც დედოფალ ჰენრიეტა-მარიის მეთაურობით საფრანგეთში ანტიინგლისურ განწყობას აძლიერებდნენ. აბსოლუტისტური საფრანგეთის მესვეურები, პირველ ყოვლისა, სამეფო კარი, ინგლისის რევოლუციას მიიჩნევენ როგორც არა მხოლოდ სხვა, არამედ, გარკვეული გაგებით, საკუთარი ერის საქმედ, რამდენადაც იგი შეეხებოდა საფრანგეთის მონარქის დიდ ინტერესებს. საფრანგეთის არისტოკრატია მხურვალედ თანაუგრძნობდა (1644 წ. ივლის-

ში) საფრანგეთში ჩამოსულ ჰენრიეტა-მარის. მაზარინისთვის ძნელი იყო საფრანგეთის არისტოკრატიის ასეთი განწყობის ნეიტრალიზაცია. ინგლისელ როიალისტ ზღვის მეკობრეებთან ერთად ინგლისის გემებზე ნადირობდნენ ფრანგი კორსარები და თვით სამეფო კაპიტნებიც. ინგლისელები თავს ესხმოდნენ არა მარტო საფრანგეთის გემებს, არამედ ნეიტრალური ქვეყნების იმ ხომალდებსაც, რომელთაც ფრანგული საქონელი გადაჰქონდათ (მათი უმრავლესობა ჰოლანდიას ეკუთვნოდა). მეფის სიკვდილით დასჯამ, შეიძლება კი ესპანეთის მიერ ინგლისის რესპუბლიკის ცნობამ ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა. კარდენიას მიერ ინგლისის პარლამენტისათვის რწმუნების წარდგენის მეორე დღესვე, საფრანგეთის ელჩი კრულე დააპატიმრეს. და ინგლისიდან გააძევეს. ესპანელები ინგლისელებს აღუთქვამდნენ აშკარად ანტიფრანგულ ღონისძიებას, დახმარებას მნიშვნელოვანი ნავსადგურისა და სტრატეგიული პუნქტის — კალეს დაბრუნებაში (კალე ფრანგებს ინგლისელებმა წაართვეს 1347 წელს. ფრანგებმა იგი დაიბრუნეს 1558 წელს). რთული საერთაშორისო ვითარება, პირველ ყოვლისა, 30-წლიანი ომი მაზარინს არ აძლევდა ინგლისის პრობლემით აქტიურად დაინტერესების საშუალებას. სიძნელეებს ქმნიდა დაძაბული საშინაო ვითარება, პირველ ყოვლისა, მასობრივი სახალხო მოძრაობა, რომელმაც განსაკუთრებით მწვავედ იჩინა თავი 1643 — 1645 წლებში. სახალხო მოძრაობას დაემატა საფრანგეთის ფეოდალური არისტოკრატიის ბრძოლა მაზარინის რეჟიმის წინააღმდეგ და ბურჟუაზიის დაახლოება სახალხო მოძრაობასთან.

საფრანგეთის აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ხალხის ფართო ფენების (გლეხობა, ქალაქის პლებსი) მასობრივი გამოსვლები გადაიზარდა გახანგრძლივებულ და მძიმე ფრონდის სახელით ცნობილ შინა ომში (1648—1653). მოძრაობას პირველ ეტაპზე (1648—1649 წ. ე. წ. „ძველი“ ანუ „საპარლამენტო ფრონდა“) სათავეში ჩაუდგა მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში ინგლისის პარლამენტის წარმატებებით შთაგონებული საფრანგეთის ბურჟუაზია. მაგრამ სულ მალე რევოლუციის გაღრმავებამ და ხალხის საბრძოლო განწყობის ზრდამ კლასობრივად განუვითარებელი დ უძლური საფრანგეთის ბურჟუაზია დააფრთხო და მაზარინის ხელისუფლებას შეარიგა. ბურჟუაზიისაგან მიტოვებულ სახალხო მოძრაობას კი, აშკარად დემაგოგიური მოსაზრებებით სათავეში ჩაუდგა მაზარინის რეჟიმით უკმაყოფილო საფრანგეთის უმაღლესი არისტოკრატია. მათ შორის პრინცები ლუი კონდე და არმან კონტი, ჰერცოგი ბოფორი, კარდინალი ჟან რეტცი და სხვ. ფრონდის ეს მეორე ეტაპი — ე. წ. „პრინცების“ ანუ „ახალი“ ფრონდა დაიწყო 1650 წელს და დამთავრდა 1653 წელს.

რესპუბლიკა და პროტექტორი დიდ დაინტერესებას იჩენდა ფრონ-

დით. მათთან მოსალაპარაკებლად წარგზავნეს რამდენიმე დელეგაცია, მათ შორის იყო გამოჩენილი პოლიტიკოსი ჰენრი ვენი, ცნობილი ლეველერი პოლკოვნიკი სექსბი და სხვ. მოლაპარაკება მიმდინარეობდა უპირატესად ბორდოელ ფრონდერებთან, რომლებსაც პრინცი კონდე ხელმძღვანელობდა. 1652 წელს ფრონდისადმი დახმარების მასშტაბები საგრძნობლად ფართოდ იყო გააზრებული, იყო ლაპარაკი ინგლისის მიერ ჯარების გადმოსხმის შესახებაც კი.

ფრონდისა და რევოლუციური ინგლისის ამ სახიფათო ფლირტის ჩაშლა მაზარინისათვის გადაუდებელ ამოცანად იქცა. ამისათვის საჭირო იყო ახალი ინგლისის ცნობა, მასთან პოლიტიკური კონტაქტების აღდგენა. ინგლისთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნება საფრანგეთისათვის აუცილებელი იყო თუნდაც იმიტომ, რომ საფრანგეთი თავისი მუდმივი არმიისათვის ჯარისკაცებს უპირატესად ქირაობდა შოტლანდიასა და ირლანდიაში.

მაზარინი რთული ამოცანის წინაშე იდგა. სახელმწიფოს რეალური ინტერესები და სახელმწიფო მოღვაწის ჯანსაღი გონება მას კარნახობდა „მეფის მკვლელებთან" დაახლოებას. მაგრამ აპატიებდა კი მას აბსოლუტისტურ-როიალისტური საფრანგეთი მონარქიის ასეთ „დამცირებას"?

მაზარინის სურვილი — „დაემცირებინა თავი" და ეცნო ახალი ინგლისი, განსაკუთრებით გაძლიერდა ესპანეთ-საფრანგეთის დაახლოების შემდეგ. მაზარინი არწმუნებდა სამეფოს რეგენტს, დედოფალ ანა ავსტრიელს, რომ ურთიერთობის გამწვავებას მხოლოდ ზარალი მოაქვს, რომ ესპანეთმა ისარგებლა ამ დაახლოებით და ურჩევდა ეცნოთ ინგლისი „იმ ტიტულით, რომელიც მას სურს". მაზარინის მარჯვენა ხელი ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებში ახალგაზრდა ჟან ბატისტ კოლბერი, 1650 წელს მეფისადმი (რეგენტისადმი) წარდგენილ მემორანდიუმში ლაპარაკობდა იმ უდიდეს ეკონომიკურ ზარალზე, რომელსაც საფრანგეთი განიცდიდა ინგლისთან საზღვაო კონფლიქტის გამო. მას მიაჩნდა, რომ საფრანგეთის ვაჭრობის აღორძინება შესაძლებელი იყო მხოლოდ ინგლისთან კეთილმეზობლობის აღდგენით. ღმერთი გვაპატიებს ჩვენ, — ამბობდა კოლბერი, — ინგლისის რესპუბლიკის ცნობას, საწინააღმდეგო პოლიტიკა სარგებლობას მოუტანს ჩვენს მოწინააღმდეგეებს, პირველ ყოვლისა, ესპანეთს, — დაასკვნიდა იგი. ეკონომიკური ზარალი მართლაც დიდი იყო. ინგლისის ფლოტი, რომელსაც 1651 წლისათვის მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს, რისხვად მოევლინა საფრანგეთს.

მაზარინი უკვე 1650 წლიდან ცდილობს მოსინჯოს შესაძერისი ნიადაგი. ეს მისია დაევალა ვინმე დე სოლომონს, რომელიც ინგლისში ოფიციალურად გაემგზავრა ფრანგი კომერსანტების საქმეთა მო-

საკვარებლად. 1651 წელს მაზარინმა ლონდონში გაგზავნა თავისი აგენტი ჟანტილო. დაბოლოს, 1652 წლის დეკემბერში ლონდონში ჩამოვიდა უკვე ოფიციალური წარმომადგენლის რანგით დიპლომატი ანტუან დე ბორდო, რომელიც ინგლისში ძალიან ცივად მიიღეს, ჯერ იყო და იგი ოფიციალურ პირად არ ცნეს, რადგან მისი რწმუნების სიგელები დაწერილი იყო „ინგლისის ხალხის პარლამენტის“ და არა „ინგლისის რესპუბლიკის“ სახელზე. დე ბორდო იძულებული გახდა შეეცვალა რწმუნებათა მისამართი. იგი ოთხი თვე ლონდონში ცხოვრობდა როგორც კერძო პირი. ბოლოს, პარლამენტმა, უფრო სწორედ, საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომიტეტმა იგი მიიღო.

ინგლსელები საფრანგეთისაგან რესპუბლიკის ცნობასთან ერთად მოითხოვდნენ იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც საფრანგეთის კაპერებმა და კაპიტნებმა ინგლისის ქვეშევრდომებს მიაყენეს (ამ წინადადების ავტორი იყო თვით კრომველი). მაზარინი წავიდა ამ დათმობაზე, ანტუან დე ბორდომ მოლაპარაკების დროს ცნო ეს წინადადება. მაზარინი ვალდებულებას იღებდა მხარი არ დაეჭირა ჩარლზ მეორისათვის; კარდინალი ტერიტორიულ დათმობასაც კისრულობდა. იგი ინგლისელებს კალეს ნაცვლად პირდებოდა დიუნკერკს, რომელიც ესპანეთ-საფრანგეთის ომის დროს ფრანგებმა ესპანელებს წაართვეს (უფრო სწორად დაიბრუნეს). დიუნკერკი ესპანელების ალყაში იმყოფებოდა. მაზარინი ესპანელთა წინააღმდეგობის დაძლევას საფრანგეთ–ინგლისის ერთობლივი ძალებით ითვალისწინებდა. კრომველი პირიქით, ესპანეთს თანაუგრძნობდა (ფრანგებზე ზეგავლენის გაძლიერების მიზნით) და მათ დასახმარებლად ლუვრში 500-კაციანი რაზმიც კი შექმნა. ადმირალმა ბლეკმა ესპანელებს საგრძნობი სამსახური გაუწია, მან გზა გადაუღობა დიუნკერკისაკენ მიმავალ საფრანგეთის ფლოტს. 1652 წლის მოლაპარაკების დროს მაზარინი დიუნკერკს აღარ იხსენებს. აშკარა იყო, რომ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი ინგლისისათვის ამ უმნიშვნელოვანეს პუნქტის გადაცემას ვერ შეურიგდებოდა. საინტერესოა მოლაპარაკების ერთი დეტალი: კრომველი მაზარინს თავშესაფარს ჰპირდება საფრანგეთში ფრონდის გამარჯვების შემთხვევაში. საფრანგეთის მიერ ინგლისის ოფიციალური აღიარება არ ნიშნავდა ამ ორი სახელმწიფოს არსებით დაახლოებას. საფრანგეთის მიერ ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის პირველი პოზიტიური შედეგი იყო ორ სახელმწიფოს შორის საეაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობის აღიარება. საფრანგეთის უკიდურესი როიალისტური წრეები, განსაკუთრებით ჰენრიეტა-მარი და მისი გარემოცვა დე ბორდოს მისიას შეხვდა აღშფოთებით და პროტესტით. ინგლისის ყოფილი დედოფალი შვილისადმი (იორკის ჰერცოგი) წერილში ირწმუნებოდა, რომ ამაზე დიდი

დამცირება დიდი უბედურების (ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯა) შემდეგ მას არ განუცდია.

1655 წლიდან საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობაში ახალი ეტაპი იწყება.

* *

ჰოლანდიასთან ურთიერთობა ინგლის-ჰოლანდიის 1652 — 1654 წლების ომით დამთავრდა. „XVII საუკუნის სანიმუშო ბურჟუაზიული ქვეყანა" ჰოლანდია ინგლისის რევოლუციის პერიოდში თავის ძლიერების ზენიტს აღწევს და წარმოადგენს ინგლისის უპირველეს მეტოქეს სავაჭრო-საზღვაო და კოლონიურ ასპარეზზე. ჰოლანდიის ძლიერების წყაროს წარმოადგენდა ვაჭრობა, მათ შორის განსაკუთრებით სატრანზიტო ვაჭრობა. ჰოლანდია ფლობდა იმ დროისათვის უდიდეს სავაჭრო ფლოტს. სერ უალტერ რალეი XVII საუკუნის დასაწყისში ამბობდა: „ჰოლანდიას იმაზე მეტი გემი ჰყავს, ვიდრე 11 ქრისტიანულ სახელმწიფოს ერთად აღებულს". ჰოლანდიამ მტკიცედ დაიმკვიდრა „მსოფლიოს მეეტლის" მონოპოლური მდგომარეობა. ჰოლანდიური ფრაზა ძალზე იაფი იყო, ამიტომ ევროპელი, მათ შორის ინგლისელი ვაჭრები საკუთარი ქვეყნის ძვირი გემების ნაცვლად უპირატესად სარგებლობდნენ ჰოლანდიის გემების მომსახურეობით. ასეთი გზით ჰოლანდიელი ვაჭრები უდიდეს მოგებას ნახულობდნენ. ინგლისის ოქროს მნიშვნელოვანი ნაწილი მათ ჯიბეებში გადადიოდა. ჰოლანდია ფლობდა აგრეთვე უზარმაზარ თევზსაჭერ ფლოტს. თევზჭერა და თევზით ვაჭრობა ჰოლანდიისათვის შემოსავლის უდიდეს წყაროს ქმნიდა. ჰოლანდიელები თევზს იჭერდნენ სხვა ქვეყნების წყლებში და მას თვით ამ ქვეყანაში ყიდდნენ. მაგალითად, ინგლისის ზღვებში დაჭერილი თევზი ინგლისშივე იყიდებოდა, ცხადია, საგრძნობლად ძვირ ფასებში. ჰოლანდიელებმა საკუთარ კონტროლს დაუმორჩილეს ვაჭრობა ჩრდილოეთ და ბალტიის ზღვებზე. ჰოლანდიამ დანიასთან მოლაპარაკების შემდეგ (1649 წელს) ჩაკეტა ზუნდის ვიწრო სრუტე. სრუტეში გასვლა შეეძლოთ მხოლოდ მის გემებს. ამ უფლებისათვის ჰოლანდია დანიას ფულს უხდიდა, თვითონ კი სრუტეში გატარებულ უცხო გემებისაგან აღებული ბაჟის შედეგად დიდი მოგება რჩებოდა. ამ ვითარებამ განსაკუთრებით დააზარალა ინგლისი, რომელსაც ბალტიისპირა ქვეყნებთან მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა. ინგლისელებს აქედან შემოჰქონდათ ბეწვეული, პური, რკინა, და რაც მთავარია, გემთსაშენი მასალა, მათ შორის ანძებისათვის საჭირო ხე, ფისი, კუპრი და სხვ. შექმნილი ვითარების გამო უფრო ხელსაყრელი იყო ბალტიისპირა ქვეყნების საქონლის ჰოლანდიელებისაგან შეძენა, ვიდრე მათ საყიდად უშუა-

ლოდ საქონლის მწარმოებელ ქვეყნებში ჩასელა. ინგლისელები საჭირო მასალას ეზიდებოდნენ შორეულ კოლონიებიდან. ინგლისელთა განგაში და პროტესტი ამაო იყო.

ოსტ-ინდოეთში, ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანია საგრძნობლად ავიწროვებდა ინგლისის ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიას. დიდი იყო ჰოლანდიის კონკურენცია ვესტ-ინდოეთში. ჰოლანდიელებმა ინგლისს დასავლეთ ევროპის ბაზარზეც შეუტიეს. მათ პირველ რიგში საგრძნობლად დააზარალეს ინგლისური მაუდით ვაჭრობა. ძალიან ხშირად ჰოლანდიელებს ევროპის ბაზარში შემოჰქონდათ არაინგლისური მაუდის ნაწარმი, ინგლისური ყალბი დამღით.

ინგლისი ვერ ივიწყებდა იმ დიდ ზარალს, რომელიც მას ჰოლანდიამ მიაყენა ოსტ-ინდოეთში სანელებლებით, საკაზმითა და სუნელით მდიდარ მოლუკის კუნძულებისათვის ბრძოლაში, რაც ინგლისელთა აქედან განდევნით დამთავრდა. ინგლისელთათვის მწარედ მოსაგონი იყო 1623 წელს კუნძულ ამბოინზე (მოლუკის არქიპელაგი) ჰოლანდიელთა მიერ ინგლისელთა ამოჟლეტა; უფრო ადრე, 1621 წელს, კუნძულ პელარუნიდან (ბანდის არქიპელაგი) ინგლისელების განდევნა და ბევრი სხვა „დამცირება" კოლონიურ ასპარეზზე. ინგლისის სავაჭრო-ეკონომიკურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რუსეთთან ურთიერთობას. აქაც ჰოლანდიის კონკურენცია უდიდეს დაბრკოლებად იქცა. ინგლისელები მათი მეშვეობით კარგავდნენ რუსეთის უმდიდრეს ბაზარს და აქ მოპოვებულ ყველა სავაჭრო პრივილეგიას. დიდი იყო ჰოლანდიის როლი რუსეთის მეფის, ალექსანდრე მიხეილის ძის მიერ „მონარქის მკვლელ" ინგლისისათვის სავაჭრო უფლებებისა და პრივილეგიების აღკვეცის საქმეში. ერთი სიტყვით, ჰოლანდია ინგლისის ყველაზე საშიში მეტოქე იყო და ინგლისისათვის მისი იზოლირება გადაუდებელ ამოცანად იქცა.

ადრე, როცა ინგლისის უმთავრეს მეტოქედ რჩებოდა ესპანეთი, ჰოლანდია მხარში ედგა ერთმორწმუნე და ნათესავ ინგლისს. ისინი ერთად ებრძოდნენ საერთო მტერს — ფეოდალურ-აბსოლუტისტურ ესპანეთს. მისი მეტოქეობის დაძლევის შემდეგ ორი „მეგობარი" და მოკავშირე ერთმანეთს დაუპირისპირდა. შტატჰალტერი ვილჰელმ II ორანელი, სიძე ჩარლზ I-ისა, რომელიც ჰოლანდიას 1647 წლიდან მართავდა, როგორც ვიცით, სტიუარტებს უჭერდა მხარს და რევოლუციური ინგლისის მიმართ აშკარად მტრულ პოლიტიკას ახორციელებდა. 1650 წელს იგი ყვავილმა იმსხვერპლა (მეუღლემ, მარიამ სტიუარტმა, მემკვიდრე-ვილჰელმ III ორანელი, ჰოლანდიის შტატჰალტერი 1672 — 1702 წწ. და ინგლისის მეფე 1689 — 1702 წწ. შობა ქმრის გარდაცვალებიდან ერთი კვირის თავზე). ამიერიდან შტატჰალტერთა ნასაუ-ორანელთა საგვარეულომ ავტორიტეტი დროებით

დაკარგა. უპირატესობა მოიპოვა „რესპუბლიკელ-არისტოკრატთა“ ოპოზიციურმა პარტიამ, რომელიც ინგლისთან ურთიერთობის მოგვარების და რესპუბლიკის ცნობის შესაძლებლობას არ გამორიცხავდა. სამოქალაქო ომების დროს ინგლისისათვის აქტიური საგარეო პოლიტიკის განხორციელების საშუალება თითქმის გამორიცხული იყო. მეტოქეებმა (მათ შორის ჰოლანდიამ) ისარგებლეს ინგლისის დროებითი სისუსტით და ინგლისის ხარჯზე სავაჭრო-საზღვაო და კოლონიური პოზიციები საგრძნობლად განიმტკიცეს. მეფის დამარცხების, სიკვდილით დასჯისა და რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ხელფეხგახსნილმა ინგლისმა სასწრაფოდ მოიკრიფა ძალა და მეტოქეებს შეუტია. პირველი მსხვერპლი ჰოლანდია იყო. ამ უპირველესი მეტოქის არსებითი განადგურება — ასეთი იყო ინგლისის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული გეგმა.

1651 წლის თებერვალში ჰააგას ეწვია „მეფის მკვლელთა“ პირველი ოფიციალური დიპლომატიური მისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 40 ჯენტლმენი და 200 მსახური. მისიას ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი რევოლუციონერები ოლივერ სენტ-ჯონი, ჯონ ტერლო და ჰოლანდიაში ინგლისის ელჩადყოფილი უოლტერ სტრიკლენდი. ჰოლანდიის რესპუბლიკის მესვეურებმა და გენერალურმა შტატებმა ელჩობა ოფიციალურად დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს. მაგრამ ხალხი უკმაყოფილებას არ მალავდა. აშკარად იგრძნობოდა ინგლისელთა არაპოპულარობა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჰოლანდიაში ემიგრირებული ინგლისელი არისტოკრატები, მეფისწულის იორკის ჰერცოგის და რუპერტის უმცროსი ძმის პრინც ედუარდის მეთაურობით. „მკვლელებო“, „ძაღლებო“, „არამზადებო“, „კრომველის კუდებო“—ასეთი შეძახილებით ხვდებოდნენ ისინი რესპუბლიკის სრულუფლებიან ელჩებს და მათ სიკვდილითაც კი ემუქრებოდნენ. იორკის ჰერცოგმა ქალაქის პარკში სენტ-ჯონის წინააღმდეგ ხმალიც კი იშიშვლა.

ინგლისელებმა ჰოლანდიელებს დაახლოების მეტად ვერაგული, ამასთან, გარკვეულად უგუნური და ფანტასტიკური გეგმა შესთავაზეს. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ჩამოვიდნენ ერთმორწმუნე მეგობარ ქვეყანაში ურთიერთდაძმობილების მიზნით. მათი აზრით ამ მეგობრობას და კავშირს საფუძვლად უნდა დაედოს ინგლისის და ჰოლანდიის პოლიტიკური გაერთიანება (შოტლანდია-ინგლისის გაერთიანების მსგავსი). ცხადია ამ გაერთიანებაში უცილობელი პრიორიტეტი უნდა მინიჭებოდა ინგლისს. გეგმის პოზიტიური ჩანაფიქრი ასეთი იყო: ჰოლანდია ნებაყოფლობით უნდა დამორჩილებოდა და შერწყმოდა ინგლისს, უნდა გამხდარიყო მისი უბრალო დანამატი. „მეგობრული“ წინადადება ულტიმატუმის ხასიათს ატარებდა. მისი უარყოფის შემთხვევაში ინგლისი წყვეტდა ჰოლანდიასთან ყოველგვარ ურთიერთობას.

ბუნებრივია, ჰოლანდიამ, რომელმაც ადვილად შეიცნო ის, თუ რა იმალებოდა ინგლისელთა მიერ შემოთავაზებულ „მეგობრობის“ უკან, უარყო ეს არსებითად ვერაგული, თავხედური წინადადება. ინგლისის რესპუბლიკამ სენტ-ჯონის ელჩობა უკან გამოიწვია და დაიწყო ჰოლანდიის საწინააღმდეგო ახალი აქციების განხორციელება.

1650 წლის 1-ელ აგვისტოს პარლამენტმა მიიღო „აქტი ინგლისის სახელმწიფოს ვაჭრობის წახალისებისა და მოწესრიგების შესახებ“. აქტის თანახმად შეიქმნა მუდმივი საბჭო, რომლის წევრებს — კომისრებს დაევალათ სამამულო წარმოებასა და ვაჭრობაზე ზრუნვა, აქტიური სავაჭრო ბალანსის დაცვა, საბაჟო პოლიტიკის განხორციელება და სხვ. საბჭოს ევალებოდა აგრეთვე ინგლისური თევზჭერის ორგანიზება და მფარველობა. სანაპირო წყლების გარდა ინგლისმა თევზჭერის თავის ზონაში მოაქცია ირლანდიის სანაპიროები, ესპანეთის წყლები, ისლანდია, გრენლანდია, ნიუფაუნდლენდი, „ახალი ინგლისი“ და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა 1650 წლის 3 ოქტომბერს მიღებულმა აქტმა, რომელიც კრძალავდა ინგლისის კოლონიებთან უცხოელთა ვაჭრობას. აქტი, პირველ ყოვლისა, ითვალისწინებდა ვაჭრობის აკრძალვას ამბოხებულ ბარბადოსთან, ვირჯინიასთან, ბერმუდთან და ანტიგუასთან. ამ საბაბით აიკრძალა უცხოელთა ვაჭრობა ინგლისის ყველა ამერიკულ ახალშენთან. ინგლისის კოლონიებთან ვაჭრობა შეიძლებოდა პარლამენტის ან სახელმწიფო საბჭოს საგანგებო ნებართვით. პირველ ყოვლისა, ამ ღონისძიებამ დიდი დარტყმა მიაყენა ჰოლანდიას, რომელიც აქ ფართოდ ვაჭრობდა და დიდ მოგებასაც ნახულობდა. ჰოლანდია იძულებული იყო ინგლისის ახალშენებთან ფარულად, კონტრაბანდულად ევაჭრა. ამ საქმეში მას თვით კოლონისტებიც ეხმარებოდნენ. საქმე იმაშია, რომ ამიერიდან უცხო კონკურენციისაგან დაზღვეული ინგლისელი ვაჭრები კოლონიებში საქონელს ყიდდენ მამასისხლად, გაცილებით უფრო ძვირად ვიდრე ჰოლანდიელები. ამიტომ იყო, რომ ვესტ-ინდოეთის წყლებში როიალისტების წინააღმდეგ გაგზავნილ ფლოტს რესპუბლიკამ მისცა მეორე დავალება — ბრძოლა ჰოლანდიის წინააღმდეგ. ადმირალ ეისკიუს ესკადრამ მოკლე დროში ხელთ იგდო და გაძარცვა ჰოლანდიის 27 სავაჭრო ხომალდი.

1651 წლის 9 ოქტომბერს პარლამენტმა მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება — „ინგლისის ერის ზღვაოსნობის წახალისებისა და სავაჭრო ფლოტის გაზრდის შესახებ“, რომელიც ისტორიაში შევიდა „1651 წლის სანავიგაციო აქტის სახელით“. ამ აქტმა ინგლისის საზღვაო-სავაჭრო ძლიერების უზრუნველყოფის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა, იგი წარმოადგენდა ბურჟუაზიული ინგლისის მსოფლიო

ინტერესების დაცვისა და განმტკიცების პოლიტიკის თავისებურ გვირგვინს. ედუარდ ჰაიდი მოგვითხრობს: სენტ-ჯონის მისიის ჩაშლაა შემდეგ, ოლივერ კრომველმა, რომელმაც მოისმინა მეგობრისა და პარლამენტის ამ გავლენიანი წევრის მოხსენება, ინგლისის აღზევებისა და ჰოლანდიის დაჩოქების, მისი ვაჭრობის მოშლის, მასზე ინგლისის კონტროლის დაწესების ახალი გზებისა და საშუალებების ძებნა დაიწყო. კრომველმა ამ პრობლემის გადაწყვეტად მოიწვია პარლამენტის წევრთა თათბირი, რის შედეგადაც იშვა ზემოაღნიშნული აქტი. კლარენდონი მიუთითებდა, რომ ჰოლანდია „თვითონ საქონელს უმნიშვნელო რაოდენობით აწარმოებდა, მაგრამ თავისი გემებით გადაჰქონდა მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყნის საქონელი“, — ეს იყო მისი ძლიერების წყარო. კრომველმა სწორედ ამ წყაროს ამოშრობა განიზრახა. გადაწყვიტა აღეკვეთა ჰოლანდიისათვის არა მარტო კოლონიების, არამედ ევროპის საქონლით ვაჭრობა. ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ადამ სმიტმა აღნიშნული კანონი დაახასიათა, როგორც „სახელოვანი აქტი“, როგორც ინგლისის სავაჭრო კანონთა შორის ერთ-ერთი „ყველაზე უფრო ბრძნული“. მისი თქმით, ეს აქტი გამოირჩევა „დიდი სიბრძნით“, „ღრმა ჩანაფიქრით“ და წარმოადგენს მტრის — ჰოლანდიის მეტოქეობის დაძლევის საუკეთესო საშუალებას. აქტის თანახმად აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში დამზადებული ან აღმოცენებული (მოყვანილი) საქონელის შეტანა ინგლისში, ირლანდიაში ან მის კოლონიაში, შეიძლება მხოლოდ ინგლისის ან მისი კოლონიების გემებით, თანაც კაპიტანი და ეკიპაჟის უმრავლესობა ინგლისის მოქალაქეები უნდა იყვნენ. ევროპული საქონელის შეზიდვა ინგლისში, ირლანდიაში და ინგლისის კოლონიებში შეიძლება ან ინგლისის გემით, ან იმ ქვეყნის გემით, რომელსაც საქონელი ეკუთვნის. იმ შემთხვევაში როცა იმ ქვეყანას, სადაც საქონელი მზადდება, გემი არ გააჩნია, მაშინ მისი საქონელის შემოტანა შეიძლება მხოლოდ იმ გემით, რომელიც ეკუთვნის ნავსადგურს, სადაც განხორციელდა დატვირთვა. ინგლისელებს ეკრძალათ რომელიმე პუნქტიდან გამოეტანათ ისეთი საქონელი, რომელიც ადგილობრივი წარმოებისა არ იყო და აქ შემოტანილი იყო სხვა უცხო შუამავლის მიერ. გამონაკლისს წარმოადგენდა ოსტ-ინდოეთთან და ლევანტთან ვაჭრობის სფერო. ინგლისელებს ნება ეძლეოდათ, აგრეთვე, გამოეზიდათ საქონელი, მათ შორის სხვების შემოზიდულიც, პორტუგალიის და ესპანეთის ნავსადგურებიდან მათი წარმომავლობის გაუთვალისწინებლად. უცხოელებს ეკრძალებოდათ ყოველგვარი საქონელის, მათ შორის თევზის პროდუქტის ინგლისის ერთი ნავსადგურიდან მეორეში გადაზიდვა. გამონაკლისს შეადგენდა ძვირფასი ლითონის ზოდები, ან ნადავლი, რომელიც მათ მიერ

მოპოვებული იყო ინგლისის ოფიციალური რწმუნებით ნებადართული მეკობრეობის გზით. ამ საქონელის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო მათი შემოტანა შეიძლებოდა ყველა გემით.

„სანავიგაციო აქტი" საგანგებოდ ითვალისწინებდა თევზჭერის პრობლემას. თევზეულისა და თევზის პროდუქტის (დამარილებული და შებოლილი თევზი, ვეშაპის ძვლები, ვეშაპის კბილი, თევზის ზეთი და სხვ.) შემოზიდვა ინგლისში და მის კოლონიებში ნებადართული იყო მხოლოდ ინგლისის გემებით. ამ შემთხვევაშიც ეკიპაჟი (კაპიტანთან ერთად) ინგლისური უნდა ყოფილიყო.

„სანავიგაციო აქტმა" ერთგვარი შეღავათი დააწესა იტალიური აბრეშუმის მიმართ. ინგლისელ ვაჭრებს ნება დაერთოთ ევროპის ნავსადგურებიდან (ოსტენდი, ნიუ-პორტი, ამსტერდამი, მიდელბურგი) გამოეტანათ აქ სხვა ეროვნების ვაჭართა მიერ შემოზიდული იტალიური აბრეშუმი, იმ შემთხვევაში თუ ისინი დაადასტურებდნენ, რომ ეს საქონელი მათ მიერ ნაყიდია უშუალოდ იტალიაში.

სანავიგაციო აქტის დამრღვევი მკაცრად ისჯებოდა. გათვალისწინებული იყო საქონლისა და გემების სრული, უშეღავათო კონფისკაცია ინგლისის სახელმწიფოს სასარგებლოდ. შემოსავლის ნაწილი განკუთვნილი იყო იმ კერძო პირთათვისაც, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებდნენ კანონის დამრღვევთა გამოვლენის, მათი გემებისა და საქონლის დაკავებაში.

მართალია, „სანავიგაციო აქტმა" ევროპის ხალხებს, პირველ რიგში, ჰოლანდიელებს უდიდესი ეკონომიკური ტრავმა მიაყენა, მაგრამ ინგლისელთათვის იგი დიდი მონაპოვარი იყო, მან უზრუნველყო ინგლისის ვაჭრობის და საზღვაო პრიორიტეტის არნახული წარმატება. ამ გაგებით კრომველისა და მისი კოლეგების მიერ შემუშავებული ეს ღონისძიება სახელმწიფოებრივი „დიდი სიბრძნის" გამოვლენას წარმოადგენდა. „სანავიგაციო აქტში" ჰოლანდია ნახსენები არ იყო, მაგრამ ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ღონისძიება, პირველ ყოვლისა, დიდ უბედურებას სწორედ ჰოლანდიისათვის მოასწავებდა. ჰოლანდიელებმა სამართლიანი განგაში ატეხეს. ცნობილი ჰოლანდიელი პოლიტიკოსი და დიპლომატი იან დე ვიტი აღნიშნავდა, რომ აქტი იყო ჰოლანდიის კეთილდღეობისადმი ინგლისელთა სიძულვილის ნაყოფი. ჰოლანდიის ელჩმა ადრიან პაუმ ინგლისის ხელისუფლებას ოფიციალური პროტესტი განუცხადა. „ორდონანსი, — ამბობდა იგი,— წარმოადგენს ვაჭრობისა და მეგობრობის აშკარა დარღვევას და ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობისათვის შეუთავსებელია". „სანავიგაციო აქტი" მოასწავებს ომს, ასეთი იყო საერთო აზრი. ჰოლანდიელებს შეუძლიათ ორდონანსი გაიგონ როგორც სურთ. ჩვენ ვმოქმედებთ ჩვენი ერის ინტერესების შესაბამისად და კანონს სხვის საპარ-

გებლოდ ვერ შევცელით, — ასეთი იყო ედუარდ ჰაიდის ცნობით პარლამენტის და კრომველის საერთო ურყევი აზრი.

პარლამენტმა გასცა განკარგულება კანონის სრული და უკიდურესი სიმკაცრით აღსრულების შესახებ. ინგლისის სამხედრო ფლოტთან ერთად ამოქმედდნენ კერძო ვაჭრები და ვაჭართა კომპანიები, რომლებსაც მთავრობამ ოფიციალურად დართო ნება თავს დასხმოდნენ ორდონანსის დამრღვევი ქვეყნების, პირველ ყოვლისა, ცხადია ჰოლანდიის გემებს. ამიერიდან, ინგლისელი ვაჭრები შეიარაღებული კაპერების როლში მოგვევლინენ. დაიწყო ჰოლანდიის გემებზე მასობრივი ნადირობა. იჭერდნენ არა მარტო ჰოლანდიის იმ გემებს, რომელთაც ინგლისის ან მისი კოლონიების საქონელი გადაჰქონდათ, არამედ იმასაც, რომელიც უცხო ქვეყნების, უპირატესად ფრანგული საქონელი გადაჰქონდათ. ამ შემთხვევაში ინგლისელები არღვევდნენ საერთაშორისო სამართალს, რომლის თანახმადაც მოწინააღმდეგის საქონელი ხელშეუხებელია თუ იგი გადააქვთ ნეიტრალური დროშით. ინგლისელები თვლიდნენ, რომ ამ შემთხვევაშიც გემებისა და საქონელის კონფისკაცია კანონიერია. ამასთან ერთად, ინგლისელები ფრანგებს მოწინააღმდეგე მხარედ თვლიდნენ. ნადავლი გემები და საქონელი საადმირალო უწყების სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით ინგლისის სახელმწიფოს საკუთრებად ცხადდებოდა.

1651 წლის დეკემბრის დამლევს ჰოლანდიამ, რომელმაც 3 სექტემბერს ვუსტერთან ჩარლზ II-ის დამარცხების შემდეგ უკანასკნელი იმედიც დაკარგა, ლონდონში ოფიციალური ელჩობა წარგზავნა და „სანავიგაციო აქტის" გაუქმება მოითხოვა. ინგლისელებმა სასტიკი უარით უპასუხეს და ჰოლანდიელებს ახალი პრეტენზია წაუყენეს, მოითხოვეს მისგან ევროპაში, თუ ოსტ-ინდოეთში მიყენებული ძველი თუ ახალი ყველა ზარალის ანაზღაურება. აღსანიშნავია ისიც, რომ ჰოლანდიის ელჩობას ლონდონელებმა მტრული გამოხდომები მოუწყეს. მოლაპარაკება გრძელდებოდა 1652 წლის მაისსა და ივნისში. ახალმა მწვავე გართულებამ მოლაპარაკებას ყოველგვარი ფასი დაუკარგა. 1652 წლის 18-19 მაისს კენტის სანაპირო წყლებში, ფოლკსტონთან ერთმანეთს შეხვდნენ ჰოლანდიისა (გამოჩენილი ადმირალის მარტინ ჰარპერსტონ ვან ტრომპის მეთაურობით) და ინგლისის ფლოტი (რობერტ ბლეკის სარდლობით). ტრომპის 40 ხომალდისაგან შემდგარი ესკადრა ზღვის ინგლისურ ზონაში ჰოლანდიის ალმით ცურავდა. არსებული წესის თანახმად მას ასეთ შემთხვევაში თავისი სახელმწიფო ალამი უნდა დაეშვა. როგორც ჩანს, ამ ვითარებამ განაპირობა შეტაკება ორ ფლოტს შორის. ბლეკმა თითქმის ორჯერ ნაკლები ფლოტით შესძლო ტრომპის ძლევა. ამ ინციდენტმა ვითარება უკიდურესად დაძაბა. კომისიამ კრომველის მეთაურობით მოიწონა ბლე-

კის მოქმედება. 21 ივნისს ლონდონში სპეციალურად ჩამოსული ადრიან პაუ ამაოდ აღიარებდა ტრომპის დანაშაულს, მის მოქმედებაში გამორიცხავდა რაიმე წინასწარგანზრახულობას და ყველაფერს შემთხვევითობას მიაწერდა. ინგლისელები „სანავიგაციო აქტს“ ძალაში ტოვებდნენ და კვლავ მოითხოვდნენ მრავალი წლების განმავლობაში მიყენებული ზარალის ანაზღაურებას — 1,5 მილიონ გირვანქა სტერლინგის ფარგლებში. ინგლისელები მოითხოვდნენ „სანელებელთა“ კუნძულებიც (მოლუკია) ინგლისისათვის გადაცემას, ამბოინის ტრაგედიის დამნაშავეთა დასჯას, ინგლისის კოლონიებში ჰოლანდიელების მიერ ვაჭრობაზე უარის თქმას, ამერიკაში ინგლისისა და ჰოლანდიის კოლონიებს შორის არსებულ საზღვრებზე უარის თქმას და სხვ.

1652 წლის ივნისის დამლევს ჰოლანდიამ ინგლისიდან ელჩი გაიწვია. დაიწყო ინგლის-ჰოლანდიის ომი (1652 — 1654). ინგლისის სამხედრო ესკადრამ 20 ხომალდის შემადგენლობით ხელთ იგდო ჰოლანდიის 16 საეკლესიო გემი. პარლამენტმა ბრძანა ინგლისის, ირლანდიისა და შოტლანდიის ზღვებში შემოსული ჰოლანდიის ყველა ხომალდის დატყვევება. ეს იყო ინგლისის ისტორიაში პირველი ომი მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლაში. ომის ბედი წყდებოდა ზღვაზე. საომარი ასპარეზი მოიცავდა ჰოლანდიისა და ინგლისის გარემომცველ ზღვებს, ძირითადად, ჩრდილოეთ ზღვას და ლამანშს. ომის ექო შეეხო აგრეთვე ბალტიის ზღვას, ინდოეთის და ატლანტის ოკეანეს, ხმელთაშუა ზღვას. ომი დამთავრდა 1654 წელს ინგლისის გამარჯვებით.

ინგლისის წარმატებები მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, მათ შორის დავასახელებთ რამდენიმე არსებითს: პირველ ყოვლისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ინგლისი მრეწველიც იყო და ვაჭარიც. მაშინ, როდესაც ჰოლანდია ძირითადად მხოლოდ ვაჭარი იყო. მებრძოლი მხარეების სამხედრო ფლოტის პოტენციალი თითქმის თანაბარი იყო. ჰოლანდია უპირატესად საზღვაო-სატრანზიტო ვაჭრობით ცხოვრობდა, მას ჰყავდა უზარმაზარი, სხვადასხვა ადგილებში გაფანტული, კომერციული ფლოტი, რომელიც სამხედრო ბადრაგის გარეშე ვერ ცურავდა. ამიტომ ჰოლანდია იძულებული იყო დაექსაქსა სამხედრო ფლოტი. ეს ვითარება ინგლისს საშუალებას აძლევდა საჭირო მომენტში უფრო მეტი ძალებისათვის მოეყარა თავი. ამასთან ერთად ინგლისელებმა ჩარლზ I-საგან მემკვიდრეობით მიღებული საკმაოდ ძლიერი ფლოტი საგრძნობლად გაზარდეს, ააგეს შეუდარებლად უფრო დიდი, მძლავრი, მდგრადი, შესანიშნავად შეიარაღებული და გაუმჯობესებული მანევრირების მქონე გემები. ჰოლანდიელებს ხელს უშლიდა სახელმწიფო სისტემის თავისებურებანი. ჰოლანდიის შეერ-

თებული პროვინციები ფედერალური რესპუბლიკა იყო. მას აკლდა სათანადო ცენტრალიზმი, ცალკეული პროვინციები პარტიკულარიზმით იყვნენ განმსჭვალულნი. ასეთ შემთხვევაში ცენტრალიზებულ ინგლისს რესურსების მობილიზების საქმეში გაცილებით უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა. ინგლისი განვითარებული სამრეწველო და აგრარული ქვეყანა იყო. იგი საჭირო პროდუქტს თვითონვე ამზადებდა, ჰოლანდიას კი ყველაფერი გარედან უნდა შემოეტანა. ინგლისს რამდენადმე აბრკოლებდა შესაფერისად გაწვრთნილი მეზღვაურების ნაკლებობა. მტკივნეულ სიძნელეებს ქმნიდა დანიის მიერ ზუნდის ჩაკეტვა. ომმა გაზარდა მოთხოვნები გემთსაშენ მასალაზე. ინგლისელებს იგი კვლავ „ახალ ინგლისში" და შოტლანდიაში უნდა ეძებნათ. ინგლისის ომში წარმატებას ხელი შეუწყო აგრეთვე ჯონ ტერლოს მიერ ორგანიზებულმა შესანიშნავმა დაზვერვამ და კონტრდაზვერვამ. ტერლომ დეტალურად იცოდა ყველაფერი, რასაც ფიქრობდნენ მოწინააღმდეგის ბანაკში.

ინგლის-ჰოლანდიის ომში თავი გამოიჩინა ადმირალმა რობერტ ბლეკმა, მასთან ერთად თავი ისახელეს ადმირალებმა ჯორჯ ეისკიუმ, უილიამ ჰენმა, ლოუსონმა, გენერალმა ჯორჯ მონკმა, ადმირალმა რიჩარდ დინმა და სხვ. ჰოლანდიის სამხედრო-საზღვაო ძალებს ხელმძღვანელობდნენ: სახელოვანი ვან ტრომპი, ადმირალები—კორნელი დე ვიტი, მიშელ დე რუიტერი, ვან გალენი და სხვ. მთავარსარდლის პოსტი ომის განმავლობაში თითქმის უცვლელად ვან ტრომპს ეკავა.

1652 წელს საზღვაო ბრძოლები გარდამავალი უპირატესობით აღინიშნა. იყო მომენტი, როცა ჰოლანდიელებმა ინგლისის სანაპიროზე დესანტიც კი გადმოსხეს, თუმცა უშედეგოდ. 1653 წელს (18-20 თებერვალს) ლამანშში გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა. ადმირალ ბლეკთან ერთად იბრძოდნენ ადმირალები—პენი, ლოუსონი, გენერალი მონკი. ვან ტრომპი სასტიკად დამარცხდა. ბლეკი მძიმედ დაიჭრა. სამხედრო ფლოტთან ერთად ინგლისელებმა გაანადგურეს ჰოლანდიის სავაჭრო ფლოტის დიდი ქარავანი, რომელსაც ტრომპი ბადრაგობდა.

ჰოლანდიელებმა ომის პროცესშივე ითხოვეს ზავი. მათი შესაძლებლობანი ამოიწურა, ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა.

* * *

1653 წლის 16 დეკემბერს კრომველი ინგლისის პროტექტორი გახდა. ამიერიდან, უკვე ოფიციალურად, საშინაოსთან ერთად საგარეო პოლიტიკაც მის ერთპიროვნულ ხელისუფლებას დაექვემდებარა. პროტექტორატის პირველმა წელმა ინგლისს საერთაშორისო სარბიელზე მრავალი წარმატება მოუტანა.

კრომველმა აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა გვიან დაიწყო, ორმოცი წლის ასაკში, მაგრამ მაინც ბევრს მიაღწია, გარკვეული გა-

გვპით მან ნაპოლეონსაც კი გადააჭარბა. კრომველი ერთსა და იმავე დროს იყო დიდი რეფორმატორი და დიდი სახელმწიფო მოღვაწე, სარდალი, ადმინისტრატორი, კანონმდებელი, მოქნილი პოლიტიკოსი და დიპლომატი. თუ ნაპოლეონმა ვერ აღასრულა თავისი ოცნება — საფრანგეთი მსოფლიო მბრძანებლად ვერ გახდა, კრომველმა შესძლო ჩანაფიქრის განხორციელება. იგი ინგლისს მოეელინა როგორც დიდი ბრიტანეთის კოლონიური იმპერიისა და ინგლისის მსოფლიო ბატონობის ფუძემდებელი.

კრომველის დიპლომატიური კარიერა ხანმოკლე იყო, მაგრამ მან მაინც შესძლო გამოეელინა თავისი დიდი ნიჭი და უნარი სახელმწიფო მოღვაწეობის ამ უმნიშვნელოვანეს უბანზეც. კრომველის საგარეო პოლიტიკა კიდევ უფრო გამოკვეთილად ემსახურება გამარჯვებული მოკავშირე კლასების ინტერესებს. კრომველი ოსტატურად იყენებს პროტესტანტული რელიგიის მფარველის ნიღაბს კათოლიციზმის წინააღმდეგ, პროტესტანტული ქვეყნების საერთო ევროპული კავშირის იდეას თავისი კლასის კომერციული მიზნების სასარგებლოდ, ინგლისის სავაჭრო კაპიტალის ჰეგემონობის საყოველთაო დამკვიდრებისათვის, მსოფლიო ბაზარზე გაბატონებისათვის, ახალი კოლონიების შეძენისათვის და სხვ. ამ მიზანს ემსახურება კრომველისეული ყველა სავაჭრო ომი, ამ სულისკვეთებითაა გაჟღენთილი კრომველის მიერ დადებული ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება. კრომველი მოქმედებდა სწრაფად, გაბედულად, ორგანიზებულად, ყველგან და ყოველთვის იმოწმებდა ღმერთსა და ბიბლიას. „ნაბოლარა პარლამენტის“ განდევნის შემდეგ ინგლისელი მდიდარი ნეგიციანტი მორელი სწერდა მაზარინს: „ჩვენ ათზე უფრო დიდ იმედებს ვამყარებთ ვიდრე ორასზე ვამყარებდით (ათი — კრომველი და მისი ჯგუფი, ორასი — პარლამენტი — გ. კ.). მეტი საიდუმლო, მეტი სისწრაფე, ნაკლები სიტყვა, მეტი საქმე და ძველებურად ოთხი წელი აღარ დაიხარჯება ორატორული ლაყბობისათვის“.

კრომველის მიერ ჩაფიქრებული საგარეო ურთიერთობათა სტრატეგია დაახლოებით ასე გამოიყურება: პირველ ყოვლისა, გათვალისწინებული იყო ევროპის პროტესტანტულ სახელმწიფოთა კავშირის შექმნა ინგლისის ჰეგემონობით. „თქვენი და გერმანიის, დანიის, შვეიცარიის პროტესტანტთა ინტერესები, მთელი ქრისტიანული სამყაროს (კათოლიკების გარდა, რომელთაც პურიტანული ინგლისი ქრისტიანებად არ თვლიდა) ინტერესები ერთნაირია“, — ეუბნებოდა კრომველი პარლამენტს. კრომველი მფარველობდა პროტესტანტობას ყველგან, მათ შორის კათოლიკურ ქვეყნებშიც. მაგალითად, კრომველი მაზარინთან მოლაპარაკებისას მოითხოვდა ფრანგი ჰუგენოტებისათვის სრულ რელიგიურ თავისუფლებას, კრომველმა იკისრა საოიის (იტა-

ლია) ჰუგენოტთა მფარველობა, იგი აქტიურად თანაუგრძნობდა შვეიცარიის პროტესტანტულ კანტონებს კათოლიკურ კანტონების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კათოლიკური სამყაროსათვის ნათელი იყო ამ „მფარველობის“ არსი. პოლიშინელის საიდუმლოებას წარმოადგენდა ის, რომ ეს იყო კრომველის დიდმპყრობელური პოლიტიკის მხოლოდ ნიღაბი. ამიტომ, კათოლიკური ევროპა შეეცადა საკუთარი ძალების კონსოლიდაციას. კათოლიკურ სახელმწიფოთა ერთიანობის უზრუნველყოფას. ამ საქმეში აქტიურობდნენ ავსტრიისა და ესპანეთის ჰაბსბურგები, რომის პაპი ინოკენტი X და მისი შემცვლელი ალექსანდრე VII. ევროპის კათოლიკურ სახელმწიფოთა ანტიპროტესტანტული. ანუ უფრო ზუსტად ანტიინგლისური ალიანსის შექმნას ხელს უშლიდა მათ შორის არსებული დიდი და ხანგრძლივი წინააღმდეგობანი, მაგალითად. საფრანგეთსა და ესპანეთს შორის, ესპანეთსა და პორტუგალიას შორის, საფრანგეთსა და ავსტრიის ჰაბსბურგთა შორის და ა. შ. კათოლიკურ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობა კრომველის საგარეო პოლიტიკას დიდ ძალასა და შესაძლებლობას მატებდა. ეს კარგად დადასტურდა ინგლის-ესპანეთის ომის დროს. კათოლიკური საფრანგეთი მაშინ პროტესტანტული ინგლისის მოკავშირე აღმოჩნდა და არა კათოლიკური ესპანეთისა. კათოლიკური სამყაროდან კრომველისათვის შედარებით საშიშ ძალას წარმოადგენდა რომის პაპი და გერმანიის იმპერია ავსტრიის ჰაბსბურგთა მეთაურობით. ესპანეთ-ინგლის-საფრანგეთის ომის დროს იმპერატორმა ფერდინანდ III ჰაბსბურგმა ესპანეთის დახმარება იკისრა. ნიშანდობლივია ისიც, რომ მან შეიფარა „მოხეტიალე რაინდი“, რევოლუციური ინგლისის დაუძინებელი მტერი პრინცი რუპერტი, დაუნიშნა მას პენსია და გადასცა პოლკი. რომის პაპი და ჰაბსბურგი კრომველის საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ. რომში ოსტატურად მოქმედებდა კრომველის დიპლომატიური აგენტი, პოლიტიკური მზვერავი ტომას ბეილი. თავის მხრივ ინგლისში ოსტატურად მოქმედებდა პაპის მზვერავთა დიდი ქსელი. კრომველი დიდ მონდომებას იჩენდა ჰაბსბურგთა წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოთა კოალიციის შესაქმნელად. კრომველის ყურადღების ცენტრში იყო აგრეთვე ხმელთაშუა ზღვა და ახლო აღმოსავლეთი. აქ ინგლისის ინტერესებს ოსტატურად იცავდა ძლიერი ლევანტის სავაჭრო კომპანია. ინგლისი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხმელთაშუა ზღვის მეკობრეთა წინააღმდეგ კომპანიაში. თურქული, მავრიტანული და სხვა წარმოშობის პირატები უდიდეს ზარალს აყენებდნენ ინგლისის ვაჭრებს. ჯერ კიდევ 1637 წელს აქ გაიგზავნა ესკადრა კაპიტან უილიამ რენსბოროს მეთაურობით. პირატთა წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებდა „ხანგრძლივი პარლამენტიც“. განსაკუთრებული წარმა-

ტებები მოპოვებულ იქნა კრომველის დროს. პირატთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავი გამოიჩინეს ადმირალმა ბლეკმა და მის მა შემცვლელმა, კაპიტანმა ჯონ სტოუკსმა.

პროტესტანტობის „მფარველის“ გარესამოსი კრომველს ხელს არ უშლიდა ცეცხლითა და მახვილით აღეკვეცა ყველა მეტოქე ერთმორწმუნეთა ბანაკიდან. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა პოლანდიასთან ურთიერთობა.

„ნაბოლარა პარლამენტის“ განდევნისთანავე კრომველმა პირადი ცერემონმაისტერის საშუალებით აუწყა ლონდონში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების ყველა წარმომადგენელს, რომ ახალი ხელისუფლება არ ცვლის წინარე ხელისუფლების მიერ შემუშავებულ ურთიერთობათა ნორმებს. სახელმწიფო საბჭომ გამოყო ხუთი წევრი საგარეო საქმეების ოპერატიული წარმართვისათვის. ფაქტიურად ისინი ემორჩილებოდნენ კრომველს და აღასრულებდნენ მის ჩანაფიქრს. პროტექტორის სასახელოდ უნდა ითქვას ის, რომ მან მმართველობის პირველსავე წელს ინგლისს საერთაშორისო სარბიელზე მრავალი არსებითი წარმატება მოუტანა.

პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ჰოლანდიასთან ომის პრობლემის გადაჭრა. ინგლისის მმართველი წრეების გარკვეული ნაწილი მოითხოვდა „ომს საბოლოო გამარჯვებამდე“, რასაც უნდა მოჰყოლოდა ჰოლანდიის, როგორც სახელმწიფოს ანულირება და მისი შერწყმა ინგლისთან. კრომველი, ცხადია, არ იყო წინააღმდეგი ასეთი ფინალისა, მაგრამ იგი როგორც ჭკვიანი სახელმწიფო მოღვაწე მოვლენათა მსვლელობას უფრო რეალურად აფასებდა. ომმა უდიდესი მატერიალური რესურსები შთანთქა. ინგლისის ეკონომიკა საგრძნობლად მოიშალა, სამოქალაქო ომებისა და საზღვაო კაპერობის შედეგად ჩამკვდარი და ძლივს აღდგენილი საშინაო თუ საგარეო ვაჭრობა ისევ კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, საგადასახადო ტვირთის ზრდამ წარმოშვა მშრომელთა ფართო ფენების უკმაყოფილება, სახელმწიფო ვალი იზრდება, არმია და განსაკუთრებით ფლოტი უზარმაზარ თანხებს შთანთქავს. ჰოლანდიასთან ომის პარალელურად გრძელდებოდა სამხედრო კონფლიქტი პორტუგალიასთან, ომის გამოუცხადებლად ინგლისი ჩაბმული იყო საფრანგეთთან საკმაოდ მწვავე საზღვაო ბრძოლაში. ასეთ პირობებში კრომველი მოითხოვდა ზავს. მით უფრო, რომ საეაჭრო კომუნიკაციებს მოწყვეტილი თითქმის უფლოტოდ დარჩენილი ჰოლანდია სულს ღაფავდა, შიმშილის საფრთხის წინაშე იდგა და ხელაპყრობილი ითხოვდა ზავს. ჰოლანდიის შეერთებული პროვინციების გენერალური შტატების სხდომაზე კორნელი დე ვიტმა განაცხადა: „მე ვალდებული ვარ გაგიცხადოთ, რომ ამიერიდან ჩვენ და ზღვა ინგლისელების ხელთ ვართ“.

საზაფო მოლაპარაკება ინგლისსა და ჰოლანდიას შორის თითქმის ერთ წელიწადს გაგრძელდა და მრავალ წინააღმდეგობას წააწყდა. პირველ ყოვლისა, ეს ეხება ინგლისელთა ცდას განეხორციელებინათ ჰოლანდიის და ინგლისის ერთ სახელმწიფოდ შერწყმა და კოლონიურ სამყაროს ურთიერთ გაყოფა. ჰოლანდიელთა შეუპოვარმა წინააღმდეგობამ ინგლისელებს ამ განზრახვაზე ხელი ააღებინა.

1654 წლის 5 აპრილს უესტმინსტერის სასახლეში ხელმოწერილი „შეთანხმება ზავისა და კავშირის შესახებ, ინგლისის პროტექტორს ოლივერ კრომველსა და ჰოლანდიის შეერთებულ პროვინციებს შორის“ ანუ მოკლედ „უესტმინსტერის ხელშეკრულება“ (ხელშეკრულება გააფორმეს ინგლისის მხრივ: კრომველმა, ჰარისონმა და ლამბერტმა. შეერთებული პროვინციების მხრივ: ბეევერნინგმა, ნიუპორტმა, ვანდერმა, პერემ და იენგსტალმა) მოასწავებდა ინგლისს უდიდეს წარმატებას. ჰოლანდიამ აღიარა დამარცხება და ინგლისის პრიორიტეტი აზღვაო-სავაჭრო და კოლონიურ ასპარეზზე. ინგლისმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ჰოლანდიის ძლიერებას, მის ზღვისიქეთა ვაჭრობას. ამიერიდან ინგლისი ჰოლანდიასთან კოლონიურ ბრძოლაში თავდაცვის პოლიტიკიდან თავდასხმის და შეტევის პოლიტიკაზე გადავიდა. „სანავიგაციო აქტი“ და ჰოლანდიაზე გამარჯვება ინგლისში კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა, მანვე დიდად შეუწყო ხელი დიდი ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის შექმნას. ომში წარმატებამ უზრუნველყო ინგლისის ბურჟუაზიის ბატონობა საშინაო ბაზარზე და მონოპოლია კოლონიებთან ვაჭრობაში. ჰოლანდიელთა ვაჭრობა ინგლისის კოლონიებში და თვით ინგლისში საბოლოოდ აღიკვეთა. ჰოლანდია საბოლოოდ გამოეთხოვა იმ დიდ სარგებელს, რომელსაც მას თევზისჭერა და თევზით ვაჭრობა აძლევდა.

ხელშეკრულების თანახმად ჰოლანდიამ იკისრა ინგლისისათვის ზღვებზე და კოლონიებში, მათ შორის „ამბიონის ხოცვა-ჟლეტის“ დროს მიყენებული ყველა ზარალის ანაზღაურება, ინგლისელთა უფლებების აღდგენა „სანელებლების კუნძულებზე“, სცნო ინგლისის პრიორიტეტი „ბრიტანეთის ზღვებზე“. ამიერიდან ამ ზღვებში მოხვედრილ ჰოლანდიის ფლოტს ინგლისის ხომალდებთან შეხვედრისას სახელმწიფო ალამი უნდა დაეშვა. ჰოლანდიას აეკრძალა ემიგრანტებისა და მეამბოხეებისათვის თავშესაფარის მიცემა. ინგლისმა დაიტოვა კერძო პირებისათვის კაპერობის სიგელების გაცემის უფლება. შეიარაღებული ინგლისელი ვაჭრები ჰოლანდიელთათვის ინგლისის სამხედრო ფლოტზე ნაკლებ რისხვას როდი წარმოადგენდნენ. ზავის შემდეგ ჰოლანდიამ და ინგლისმა დანიასთან, ჰანზის ქალაქებთან და შვე-

შვეიცარიის პროტესტანტულ კანტონებთან ერთად შექმნეს პროტესტანტ ქვეყნებთან ლიგა ურთიერთდაცვის მიზნით.

კრომველმა მხოლოდ ერთ საკითხში განიცადა ერთგვარი ფიასკო. იგი ჰოლანდიელებისაგან მოითხოვდა სტიუარტებთან დანათესავებულ ორანელთა საგვარეულოსათვის აღეკვეთათ შტატჰალტერობისა და გაერთიანებული პროვინციების შეიარაღებულ ძალებზე მთავარსარდლობის უფლება. კრომველმა თანხმობა მიიღო მხოლოდ ჰოლანდიისაგან, რომელიც ერთ-ერთი იყო გაერთიანებული პროვინციების რესპუბლიკაში შემავალ შვიდი შტატიდან. ჰოლანდიის მიერ მიღებული შესაბამისი დეკლარაცია გაფორმდა როგორც ხელშეკრულების საიდუმლო პუნქტი.

„უეტსმინსტერის ხელშეკრულების" მიღებაში ჰოლანდიის მოკავშირეთა უფლებით მონაწილეობდნენ აგრეთვე დანია, შვეიცარიის პროტესტანტული კანტონები, ჰანზის ქალაქები და ჩრდილოეთ გერმანიის ზოგიერთი პროტესტანტი მთავარი. ბუნებრივია, ინგლისის წარმატება მათაც უნდა ეცნოთ და გაეთვალისწინებინათ.

მალე კრომველმა ახალ, დიდ წარმატებას მიაღწია. პორტუგალიასთან შეწყდა შეიარაღებული კონფლიქტი, 1654 წლის 10 ივლისს დადებულ იქნა საზავო ხელშეკრულება პორტუგალიასა და ინგლისს შორის. ამ ხელშეკრულებით ინგლისის ბურჟუაზიამ ერთდროულად სამი კურდღელი დაიჭირა; ერთ დროს ძლიერი სავაჭრო და კოლონიური ქვეყანა — პორტუგალია ინგლისზე დაქვემდებარებულ, თითქმის ვასალურ ქვეყნად იქცა. პორტუგალიის საკმაოდ დიდი და მდიდარი კოლონიური იმპერიის „მფარველის" და „მცველის" ნიღბით, ეკონომიკურად ძლიერმა ინგლისმა ფაქტიურად ხელთ იგდო ამ კოლონიებთან ვაჭრობის მონოპოლური უფლება განსაკუთრებულ შეღავათიან პირობებში. ჰოლანდიამ, ინგლისის ამ მნიშვნელოვანმა მეტოქემ, ახალი მძიმე ტრავმა განიცადა, დაკარგა უდიდესი მომგებიანი საქმე — 1641 წელს მოპოვებული პრივილეგია პორტუგალიასთან და მის კოლონიებთან ვაჭრობაში. პორტუგალიამ იკისრა ინგლისისათვის გადაეხადა 50 000 გირვანქა სტერლინგი იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც რუპერტმა მიაყენა ბლეიკის ფლოტს. შეირყა ესპანეთის პრესტიჟიც. ამიერიდან მან საავსებით დაკარგა იმედი, 1640 წელს მისგან გამოყოფილი პორტუგალიის კვლავ შემოერთებისა. ამას პორტუგალიის ახალი, ძლიერი „მფარველი", ცხადია, აღარ დაუშვებდა.

საზავოსთან ერთად კრომველმა ცოტა ადრე ინგლისისათვის რამდენიმე ხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკრულება დადო. 1654 წლის 11 აპრილს, ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ინგლისსა და შვეიცას შორის. ამასთან, ვაჭრობის განვითარებას ინგლისელები ადრეც ცდილობდნენ, მაგრამ ადგილობრივი არისტოკრატიის დაუფარავი სიძულვილი ინგ-

ლისის პარლამენტისადმი, ანუ როგორც ისინი უწოდებდნენ „თერძებისა და მეჯღანეების კომპანიისადმი“, ამის საშუალებას გამორიცხავდა. ინგლის-შვეციის დაახლოებაში უდიდესი როლი შეასრულა ბალსტროდ უაიტლოკმა, რომელიც 1653 წლის დამლევს შვეციაში ელჩად დაინიშნა. ჰოლანდიასთან გარდუვალი ომის ვითარებაში კრომველი ჩქარობდა შვეციასთან დაახლოებას. უაიტლოკმა მოიპოვა შვეციის დედოფლის, გუსტავ-ადოლფის განსწავლული ქალიშვილის ქრისტინას კეთილგანწყობა, დაძლია თავადაზნაურობის წინააღმდეგობა და შეთანხმებასაც მიაღწია. ხელშეკრულება ინგლისს შვეციასთან ვაჭრობის და შვეციის ზღვებში ნაოსნობის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა, ინგლისელებმა მიიღეს უფლება შვეციის ნავსადგურებში მოეწყოთ საქონლის საწყობები, მიღწეულ იქნა ამერიკასთან ვაჭრობის შეთანხმება თევზისა და ვეშაპების ჭერის სფეროში. ხელშეკრულებას პოლიტიკური ხასიათიც ჰქონდა — ორივე მხარე კისრულობდა არ გაეწიათ დახმარება მათი შესაძლო მტრებისათვის, ერთმანეთისათვის შეეტყობინებინათ მოსალოდნელი საგარეო საფრთხე და სხვ.

დანიის სამეფო რევოლუციური ინგლისის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას აელენდა უკვე სამოქალაქო ომების დროს. მეფე ქრისტიან IV ჩარლზ I-ს საკმაოდ დიდ დახმარებას უწევდა. იგივე გაგრძელდა რესპუბლიკისა და პროტექტორატის დროს. დანიამ ინგლისს მნიშვნელოვანი ტრავმა მიაყენა ზუნდის ჩაკეტვით, რასაც იგი, როგორც ვიცით, ჰოლანდიის სასარგებლოდ აკეთებდა. ინგლის-ჰოლანდიის ომის დროს დანიის მეფე, ამჯერად ფრიდრიხ III ჰოლანდიას ქმედით, ხშირად საშხედრო-შეიარაღებულ დახმარებას უწევს. მისი ბრძანებით ზუნდის სრუტეში ხელთ იგდეს საშენი მასალით დატვირთული ინგლისის 10 ხომალდი, მეფემ ბრძანა ზუნდის მიდამოებში გამოჩენისთანავე ინგლისის ყველა ხომალდის დაკავება. თავის მხრივ ინგლისმა ტემზის შესართავთან დანიის ყველა გემი დააკავა. ჰოლანდიისა და დანიის გაერთიანებულმა ფლოტმა ალყაში მოაქცია ნიუკასლის მენახშირეთა ფლოტილია. ჰოლანდიის დამარცხებისა და პროტესტანტულ სახელმწიფოთა ლიგის შექმნის შემდეგ დანიამ ინგლისელთა წინაშე ქედი მოიხარა. 1654 წელს დანიასთან დადებულ იქნა ხელშეკრულება „მტკიცე, ურყევი და გულწრფელი მეგობრობის, ზავის და კავშირის“ შესახებ. ამიერიდან ინგლისმა ზუნდის სრუტეში ნაოსნობის თანასწორი უფლება მოიპოვა, ამასთან ერთად, დანიამ იკისრა ვალდებულება, არ მიეცა თავშესაფარი პოლიტიკური ემიგრანტებისა და „მეამბოხეებისათვის“. კრომველი ზუნდის სრუტეში თავისუფალი ნაოსნობის უფლების მოპოვებას დიდ წარმატებად თვლიდა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ გემთმშენებლობა, ინგლისის ძლიერების საფუძველთ-საფუძველი, ამიერიდან უზრუნველყოფილი იქნა საკირო საშენი და გასაწყობი მასალით.

კრომველის წინაშე იდგა ესპანეთი ანდა საფრანგეთთან ურთიერთობის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა. კრომველი 1653—1655 წლებში კვლავ განაგრძობს „ლოდინის“ და „ხელსაყრელი მომენტის შერჩევის“ პოლიტიკას, კვლავ ოსტატურად იყენებს მისი ხელის მთხოვნელი ორი კავალერის თავგამოდებას. კრომველს პროტექტორატის გამოცხადებისთანავე ეახლა ესპანეთის ელჩი კარდენია, შეპირდა მას მხარდაჭერას. ჩარლზ II-ის მფარველობაზე უარის თქმას და სხვ. ელჩმა საფასურად მოითხოვა მხარდაჭერა საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. თავის მხრივ მაზარინიც ჩქარობდა პროტექტორატისადმი მეგობრული გრძნობების დადასტურებას. კარდინალი პროტექტორს პირდება ფულს, კავშირს, სტიუარტთა ოჯახის საფრანგეთიდან გაძევებას. საფასურად კი ითხოვს მხარდაჭერას ესპანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. კრომველი ისმენს მათ წინადადებას, არც ერთს არ აძლევს ზედმეტად, მოითხოვს მათგან ახალ-ახალ დათმობებს.

საფრანგეთთან ინგლისი ფაქტიურად საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, გრძელდებოდა ურთიერთთავდასხმა ზღვებზე: ინგლისმა საფრანგეთის წინააღმდეგ სახმელეთო ოპერაციებიც ჩაიფიქრა. 1651 წელს ნორმანდიის სანაპიროებთან ჯარისკაცებით დატვირთული ფლოტის გამოგზავნამ დიდი პანიკა გამოიწვია. ფრანგებმა ირწმუნეს, რომ ინგლისელები სადესანტო ოპერაციას ამზადებდნენ. საფრანგეთის ხელისუფლება დიდად შეაშფოთა რესპუბლიკისა და პროტექტორატის მიერ ფრონდის მფარველობამ. 1653 წელს „მცირე პარლამენტმა“, სადაც უმრავლესობას ქმნიდნენ ფანატიკოსი პურიტანები — „წმინდანები“, ბორდოს ფრონდერების დასახმარებლად (მათ შორის უმრავლესობა პროტესტანტი იყო) გაგზავნა ესკადრა. „წმინდანები“ ინგლისის ფლოტისა და არმიის მთავარ ამოცანად თვლიდნენ მსოფლიო პროტესტანტიზმის მფარველობას. კრომველი, რომელსაც არ სურდა საფრანგეთთან ურთიერთობის უკიდურესი გამწვავება, მართალია, დათანხმდა. მაგრამ ყოველნაირად დააყოვნა ფლოტის გაგზავნა. ინგლისის ხომალდები ბორდოში ჩავიდნენ გვიან, ქალაქი უკვე მეფის და მაზარინის ჯარების ხელთ იყო. პრინცი კონდე ესპანეთში გაიქცა და მის სამსახურში ჩადგა.

1654 წლის ზაფხულში ინგლისმა ფრანგული კანადის სანაპიროზე დესანტი გადასხა და ხელთ იგდო მდიდარი ფრანგული კოლონია — აკადია. საფრანგეთის ელჩი ინგლისში დე ბორდო ცდილობდა მიეჩქმალა ამ ინციდენტის მნიშვნელობა. იგი ამტკიცებდა, რომ ამ კოლონიის დაცვა გადააჭარბებდა მასთან ვაჭრობით მიღებულ შემოსავალს. ამ შემთხვევაში ელჩი მოქმედებდა მაზარინის მითითებით. მიუხედავად ინციდენტის აშკარად ანტიფრანგული ხასიათისა, კარდინალი მას არ აზვიადებდა, არ სურდა ინგლისთან ურთიერთობის გართულება.

მაგრამ, სულ მალე, აღმოჩნდა, რომ ესპანეთთან წინააღმდეგობის კვანძი უფრო დახლართული იყო, ვიდრე საფრანგეთთან. ჰოლანდიაზე გამარჯვების შემდეგ პროტექტორის საბჭოში ხშირად სვამდნენ კითხვას: „...ჰოლანდიასთან ზავის შემდეგ სახეზეა 160 ხომალდი და დიდი სახმელეთო ძალები — დავითხოვოთ თუ გამოვიყენოთ იგი? თუ გამოვიყენებთ (უმრავლესობა ამას უჭერდა მხარს, მათ შორის პროტექტორიც), ვის წინააღმდეგ — საფრანგეთის თუ ესპანეთის?“

1654 წლის 20 აპრილს ინგლისის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ამერიკაში ესპანეთის კოლონიებზე თავდასხმის შესახებ. შექმნეს ორი ესკადრა, ერთი ადმირალ ბლეკის მეთაურობით (გამიზნული იყო ხმელთაშუა ზღვაში გასაგზავნად), მეორე ადმირალ უილიამ პენის მეთაურობით (გამიზნული იყო ვესტ-ინდოეთში გასაგზავნად). 1654 წლის 18 აგვისტოს კრომველმა შეიმუშავა ვესტ-ინდოეთზე თავდასხმის ინსტრუქცია. პირველ ყოვლისა. ინგლისის მიზანი იყო ვესტ-ინდოეთის ესპანურ სამფლობელოებში უზრუნველეყო ინგლისის ვაჭრობის თავისუფლება. ინგლისთან მეგობრობის ძიება მადრიდს ხელს არ უშლიდა, ინგლისელ ვაჭართათვის აეკრძალა ესპანურ კოლონიებთან ვაჭრობა. წესის დამრღვევ ინგლისელ „ერეტიკოს“ ვაჭრებს ინკვიზიციის სასამართლო სასტიკად სჯიდა. ესპანეთთან მოლაპარაკების დროს კრომველი დაჟინებით მოითხოვდა ვესტ-ინდოეთში ზღვაოსნობისა და ესპანეთის კოლონიებთან ვაჭრობის თავისუფლებას. კარდენია ამ დათმობაზე არ მიდიოდა, „ვესტ-ინდოეთში ინკვიზიციისაგან განთავისუფლებული შეუზღუდველი ვაჭრობის დაშვება ნიშნავს ჩემს მეფეს მოვთხოვოთ ორივე თვალი“, — ამბობდა იგი.

კრომველი თანდათან რწმუნდებოდა იმაში, რომ საფრანგეთი ძლიერია და მოქნილი სახელმწიფოა, მასთან ურთიერთობა სავსეა მოულოდნელობებით. რაც შეეხება ესპანეთს, კრომველის თქმით, ინგლისის „უდიდეს, ბუნებრივ მტერს“, იგი ამჯერად დაუძლურებული იყო და მისი გაძარცვა ინგლისელებს შედარებით ადვილ საქმედ მიაჩნდათ. ესპანეთის ტერიტორიების მიტაცება, მისი კოლონიების გაძარცვა, — ასეთი იყო ვესტ-ინდოეთის კომპანიის მიზანი. კრომველი არწმუნებდა ინგლისის მესაკუთრეებს, რომ „ღონისძიება აანაზღაურებს გაწეულ ხარჯებს. ექვსი ფრეგატი განლაგდება მექსიკის ყურეში, ნადავლის მოპოვების მიზნით“. ამასთან ერთად, კრომველი დარწმუნებული იყო, რომ ამ ექსპედიციის გულისათვის ესპანეთი ომს არ დაიწყებდა, მაგრამ პროტექტორი შეცდა. ესპანეთმა მათ სამფლობელოებში მოღვაწე ყველა ინგლისელი ვაჭარი დააკავა, მათ საქონელს ემბარგო დაადეს. ფილიპე IV-ის ბრძანებით კარდენიამ 13 ოქტომბერს ინგლისი დატოვა. ესპანეთსა და ინგლისს შორის დაიწყო ომი, რომელიც ახალი დროის პირველი კოლონიური ომი იყო.

1654 წლის 18 დეკემბერს უილიამ პენის ექსპედიცია ვესტ-ინდოეთისაკენ დაიძრა. სახმელეთო ძალების მთავარსარდლად და ამერიკაში ინგლისური კოლონიების ადმინისტრაციის მეთაურად დანიშნეს გენერალი რობერტ ვენებლზი. 1655 წლის იანვარში ექსპედიციის მთავარი ძალები მივიდნენ კუნძულ ბარბადოსზე. ექსპედიციას, პირველ ყოვლისა, ხელთ უნდა ეგდო ესპანიოლა (ჰაიტი), განზრახული იყო აგრეთვე თავდასხმა პორტა-რიკოზე, კუბაზე, კართახენაზე (კოლუმბია). ცოტა ადრე ხმელთაშუა ზღვაში გაიგზავნა ადმირალ ბლეკის ესკადრა, მას დაევალა მეკობრეებთან ბრძოლა, მაგრამ ესპანელები ეშვებოდნენ, რომ ესკადრა მათ წინააღმდეგ იყო გამიზნული. ეშველები გამართლდა, ბლეკი ხმელთაშუა ზღვიდან დაბრუნდა და ესპანეთის დასავლეთ სანაპიროებთან გამოჩნდა. აშკარა იყო, რომ იგი დარაჯობდა ესპანეთში კოლონიებიდან ოქრო-ვერცხლით დატვირთულ „ვერცხლის“ ფლოტს. ბლეკმა ერთი ხომალდი ხელთ იგდო. ესპანელებმა დაიწყეს კადიქსის გამაგრება. გარდა ამისა, ბლეკმა ესპანეთის ფლოტს გზა გადაუკეტა ვესტ-ინდოეთისაკენ.

ვესტ-ინდოეთში ინგლისელებმა ესპანიოლა (ჰაიტი) ვერ აიღეს, ვერ დაძლიეს ქ. სან-დომინგოს წინააღმდეგობა. ნაცვლად ამისა, ინგლისელებმა ხელთ იგდეს იამაიკა 1655 წლის 17 მაისს. მაზარინი ყოველნაირად აქეზებდა ინგლისის ამ წამოწყებას. 1625 წლის 25 ოქტომბერს ინგლისმა გამოსცა ოფიციალური დეკლარაცია ესპანეთთან ომის შესახებ. ესპანეთთან ომმა თავისთავად განაპირობა ინგლის-საფრანგეთის კავშირი. 1654 წლის ოქტომბრიდან დე ბორდოსა და ინგლისის მთავრობას შორის დაიწყო მოლაპარაკება ესპანეთთან ერთობლივი ბრძოლისათვის ურთიერთკავშირის დადების თაობაზე. 1655 წლის 24 ოქტომბრისათვის ხელშეკრულება მზად იყო. კრომველმა მას ხელი მოაწერა იმ მომენტში, როცა დონ კარდენია დუვრში მის წასაყვანად გამოგზავნილ ესპანურ ხომალდში ჯდებოდა. „მართალია, ამ ხელშეკრულებამ დაკარგა თავისი პეწი მოლაპარაკების ხანგრძლივობის გამო, მაგრამ ესპანეთთან განხეთქილებამ მას ახალი ძალა უნდა შემატოს“, — ამბობდა დე ბორდო. 1655 წლის 3 ნოემბერს საკავშირო ხელშეკრულება საფრანგეთსა და ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის რესპუბლიკას (ასე ეწოდებოდა მაშინ ინგლისს ოფიციალურად) შორის ოფიციალურად გაფორმდა. ხელშეკრულებამ ორ სახელმწიფოს შორის დაადასტურა ზავი, მეგობრობა და კავშირი ესპანეთის წინააღმდეგ, ორივე მხარე ვალდებულებას იღებდა არ დახმარებოდა ურთიერთმტრებს, არ შეეფარებინა „მეამბოხეები“ და სხვ. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო თავისუფალი ვაჭრობა ორივე ქვეყანას შორის. ხელშეკრულების ძალით საფრანგეთი ვერ დადებდა სეპარატულ ზავს ესპანეთთან ინგლისის გარეშე და სხვ. 1657 წლის 9

მაისს კავშირი განახლდა. დადებულ იქნა ახალი „ხელშეკრულება ლუი XIV-ესა და ინგლისის ლორდ-პროტექტორის — კრომველს შორის“. ეს იყო თავდაცვითი და თავდასხმითი კავშირი ესპანეთის წინააღმდეგ. ამასთან ერთად, ხელშეკრულება განსაზღვრავდა ორივე ხელმწიფოს დამოკიდებულებას ევროპის პრობლემებთან: იგი ითვალისწინებდა შვეციისადმი დახმარებას დანიის, პოლონეთის და ქ. გდანსკის (დანციგის) წინააღმდეგ ბრძოლაში, ზუნდში საფრანგეთისა და ინგლისის ხომალდების თავისუფალ გასვლას, ერთობლივ ბრძოლას გერმანიის იმპერატორებად ჰაბსბურგების არჩევის წინააღმდეგ. გათვალისწინებული იყო ორივე ფლოტის შეთანხმებული მოქმედება ლამანშში და ხმელთაშუა ზღვაში, აგრეთვე ხმელეთზე საფრანგეთის ჯარებისადმი ინგლისელთა დახმარება. ამ დახმარებისათვის საფრანგეთი ინგლისს პირდებოდა ფლანდრიაში რამდენიმე ქალაქის და ნავსადგურის, მათ შორის ოსტენდის დაპყრობის უფლებას, ფრანგებმა ინგლისელებს დაუთმეს აგრეთვე დიუნკერკი (უფრო სწორედ, მისი დაპყრობის უფლება, რადგან ამჯერად დიუნკერკი ესპანელთა ხელში იყო).

ესპანეთთან ომი საფრანგეთში საკმაოდ პოპულარული იყო. პირველ ყოვლისა, თავს იჩენდა ტრადიციული სიძულვილი „ძველი, ბუნებრივი მტრის“ მიმართ. ფანატიკოსი პურიტანები მიესალმებოდნენ ომს „კათოლიციზმის ბუდის“ წინააღმდეგ. პურიტანული ინგლისი ვარაუდობდა, რომ ამ უკიდურესად რეაქციული კათოლიკური ქვეყნის დამარცხება ევროპაში პროტესტანტული ძალების უდიდესი გამარჯვების საწინდარი გახდებოდა. იგივე ომს უნდა უზრუნველეყო „ახალ სამყაროდან“ პაპისტ-კათოლიკეების განდევნა და აქ კალვინისტების მკაცრი „პროტესტანტული ღმერთის“, ანუ ინგლისის კაპიტალიზმის, ინგლისელი ბურჟუაზიისა და ბირჟის მაკლერის გამარჯვება. ამიტომ მიესალმებოდნენ ინგლისის კოლონიური ბურჟუაზია და კოლონიური წრეები ამ ომს. ლონდონის სიტის მაგნატების მუდმივი ოცნება იყო ესპანეთის მემკვიდრეობის ხელში ჩაგდება. ომს მხარს უჭერდა აგრეთვე ინგლისის სამხედრო მეზღვაურთა დიდი ამალა, მათ აქ ელოდათ დიდი ნადავლი, კოლონიებისა და კოლონიებიდან წამოსული საზღვაო ქარავნების ძარცვის გზით. გამდიდრების სულისკვეთებით იყვნენ გაჟღენთილნი მეზღვაურები, ჯარისკაცები, ოფიცრები. ომს კრომველი და მისი კოლეგები წმინდა ფისკალურ ინტერესებსაც უკავშირებდნენ, რადგან პროტექტორატის რეჟიმი დიდი ფინანსური სიძნელეების წინაშე იდგა, მისგან თავის დაღწევის ერთ-ერთი არსებითი საშუალება იყო ის დიდი ნადავლი, რომელსაც ამ ომით ჩაიგდებდნენ ხელში (იგულისხმებოდა ესპანეთის სამფლობელოების და ესპანეთისაკენ მიმავალი ქარავნების ძარცვა). ამ შემთხვევაში კრომ-

ველი აგრძელებდა ტიუდორთა დიდი კაპიტნების — დრეიკის, რალეისა და სხვათა ტრადიციებს. ეს სავსებით რეალური ჩანაფიქრი იყო. ერთ-ერთი საზღვაო ოპერაციის დროს ადმირალმა ბლეიკმა და კაპიტანმა სტეინერმა (ტენერიფის ცნობილი ოპერაციის დროს) ხელთ იგდეს ესპანეთში კოლონიებიდან მომავალი ფლოტი. ნადავლი შეადგინდა 225 000 გირვანქა სტერლინგის ვერცხლის ზოდებს და 25 000 გირვანქა სტერლინგის ძვირფას საღებავს — ჰიაფერს. ინგლისის ხალხზე ეფექტის მოხდენის მიზნით ნადავლი პორტსმუტიდან ლონდონში სახმელეთო გზით გადაიტანეს ღია სახიდრებით.

იყვნენ ომის მოწინააღმდეგეებიც, მათ შორის ბურჟუაზიის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ვაჭრობდა ესპანეთთან. ამსადებდა ესპანეთში გასატან ნაწარმს, ან ახორციელებდა ესპანურ იმპორტს (პირველ რიგში, მაუდი). ომის წინააღმდეგი იყვნენ ინგლისელი თევზის მრეწველები, რომლებიც თევზის პროდუქტს უპირატესად ესპანეთში ყიდდნენ. უკმაყოფილოთა შორის იყვნენ კომერციული ფლოტის მეზღვაურები, რომლებიც კარგავდნენ შემოსავალს ესპანეთთან და მის კოლონიებთან ვაჭრობის შეწყვეტის გამო. უკმაყოფილო იყვნენ მაუდის მწარმოებლები, რომლებიც თავიანთ პროდუქციას ძირითადად ესპანეთში ასაღებდნენ. კრომველს საფრანგეთთან ხელშეკრულების დადებისას ამოძრავებდა არსებითად პოლიტიკური მოტივი. ჩარლზ II. სტიუარტთა ოჯახი და ყველა როიალისტი, ბუნებრივია ესპანეთს მიაშურებდა. ეს კი მათ პრეატიჟს კიდევ უფრო შელახავდა. ინგლისის ხალხს ადვილად დაარწმუნებდით იმაში, რომ სტიუარტებმა ქვეყნის ინტერესები მიჰყიდეს „კათოლიკურ", „უწმინდურ" ჰტერს. ასეც მოხდა. ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ესპანეთსა და ჩარლზ II-ს შორის 1655 წლის ზაფხულში გაფორმდა საკავშირო ხელშეკრულება.

1657 წელს მოკავშირეებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ზღვებზე და ხმელეთზე ბრძოლებში. ბლეკმა საზღვაო ბრძოლებში დიდ წარმატებებს მიაღწია, განსაკუთრებით დიდი იყო გამარჯვება 1657 წლის აპრილში, კუნძულ ტენარიფთან ბრძოლაში. ამ გამარჯვებას ხშირად ადარებდნენ „უძლეველ არმიაზე" გამარჯვებას 1588 წელს. ბლეკი იმავე წლის აგვისტოში გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, ფლოტი წარმატებით განაგრძობდა ესპანეთის სანაპიროს ბლოკადას, ძარცვავდა ოსტ-ინდოეთიდან მომავალ გალეონებს და საიმედოდ ჰყავდა ჩაკეტილი ესპანეთის ფლოტი კადიქსში. იმავე წელს ინგლისელებმა ესპანეთის ფლანდრიაში გადასხეს 6 000-კაციანი დესანტი, რომელსაც სარდლობდა უილიამ ლოკარტი, რომელიც ერთდროულად ასრულებდა მოკავშირესთან — საფრანგეთთან ინგლისის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოვალეობას. აქვე მოქმედებდა საფოან-

გეთის არმია, შემდგომში ლუი XIV-ის სახელგანთქმული მარშლის — ანრი ტიურენის მეთაურობით. იმავე წელს საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობაში გარკვეული წინააღმდეგობები წარმოიშვა. ამას ხელს უწყობდა რომის პაპი, საფრანგეთის და ევროპის კათოლიკური ეკლესია და ყველა რეაქციული კათოლიკური ძალა. კავშირის წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებდნენ სტიუარტები და ინგლისის კონტრრევოლუციური ძალები. ამას დაერთო ის, რომ 1657 წლის 26 ივნისს ინგლისში ხელი მოაწერეს კათოლიკეების საწინააღმდეგო ახალ დეკრეტს, რომლის თანახმად კათოლიკეს, რომელიც არ მოაწერდა ხელს ანტიკათოლიკურ ფიცს, ელოდა ქონების ორი მესამედის კონფისკაცია. დე ბორდო მაზარინის მითითებით წინ აღუდგა ამ აქციას. ამას მოითხოვდა საკუთარი ქვეყნის კათოლიკური ძალები, რომლებიც არ ფარავდნენ აღშფოთებას „ერეტიკოსებთან" მაზარინის კავშირის გამო. კრომველმა საფრანგეთის ასეთი მოქმედება ჩათვალა ინგლისის საშინაო საქმეებში ჩარევად. დე ბორდო და მაზარინი აგრძნობინებდნენ მას, რომ ივივეს აკეთებდა კრომველიც, როცა კავშირის ერთერთ საფასურად მოითხოვდა ფრანგ და სავოიელ პიემონტელ პროტესტანტების მფარველობას. ბოლოს და ბოლოს ორივე მხარემ საჭიროდ ჩათვალა ხელშეკრულების კვლავ განახლება მისი შემდგომი განმტკიცების მიზნით. ახალი ხელშეკრულება გაფორმდა 1658 წლის 28 მარტს. საფრანგეთზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით კრომველის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა (საფრანგეთში) ლოკარტმა მოსინჯა საზავო შეთანხმების დადების შესაძლებლობა ესპანეთთან. ამ ვითარებამ დააჩქარა ფრანგების მიერ დიუნკერკის აღება და მისი ინგლისელებისათვის გადაცემა. ამ დიდი მნიშვნელობის ქალაქ-ნავსადგურს ხმელეთიდან უტევდა ტიურენი, ზღვიდან — ინგლისი. ესპანეთის ჯარებს სარდლობდა ცნობილი სარდალი დონ ხუან ავსტრიელი, მას ებმარებოდა ინგლისელ როიალისტთა რაზმი, ჩარლზ II-ის უმცროსი ძმების — იორკის ჰერცოგისა და გლოსტერის ჰერცოგის მეთაურობით. ესპანეთის არმიაში იბრძოდა აგრეთვე საფრანგეთიდან დევნილი პრინცი კონდე. 1658 წლის 4 ივნისს დიუნკერკი დაეცა. იგი შეთანხმების თანახმად გადაეცა ინგლისს. დიუნკერკის, ფლანდრიის სანაპიროზე ამ უმნიშვნელოვანესი საზღვაო პუნქტის ხელში ჩავდება კრომველის საგარეო პოლიტიკის უდიდესი წარმატება იყო. კრომველი დიუნკერკს ახასიათებდა როგორც „კონტინენტის კარებს", როგორც „ჰოლანდიის დასაკეტებელ ლაგამს". მაგრამ ამ წარმატებების შემდეგ სულ მალე პროტექტორი გარდაიცვალა. ესპანეთთან ომი გრძელდება. მაზარინი ამიერიდან ხშირად არღვევს ხელშეკრულების პირობებს და 1659 წლის 7 ნოემბერს ესპანეთთან დებს სეპარატულ, ე. წ. პი-

რინეის ზავს. ესპანეთ-ინგლისის ომი დამთავრდა უფრო გვიან, სტიუ-
არტთა რესტავრაციის დროს.

კრომველის საგარეო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში იყო ჩრდი-
ლო-აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე მოვლენები. ეს ბუნებრივია,
თუ მხედველობაში მივიღებთ იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც
ინგლისის ეკონომიკურ ცხოვრებაში ამ ქვეყნებთან ვაჭრობას ენიჭე-
ბოდა. ინგლისი ფართოდ ვაჭრობდა შვეციასთან, დანიასთან, გერმა-
ნიასთან, პოლონეთთან და ბალტიისპირა ქვეყნებთან. ამ ქვეყნების
ნავსადგურებში ასობით ინგლისური ხომალდი შედიოდა, შეჰ-
ქონდა ინგლისური საქონელი. ინგლისი ყიდდა მარილს, ნახშირს; გაჰ-
ქონდა გემთსაშენი მასალა, პური და სხვ. უდიდესი მნიშვნელობა
ჰქონდა ინგლისისათვის ამ ზღვებში თევზის რეწვას, განსაკუთრებით
ქაშაყის ჭერას. ამრიგად, ინგლისისათვის ზუნდის სრუტეს, რომელიც
ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვებს აერთიანებდა, უდიდესი მნიშ-
ნელობა ენიჭებოდა. ევროპის ამ რეგიონში ინგლისელთა წარმატების
მაუწყებელი იყო მის მიერ შვეციასთან და დანიასთან დადებული
ხელშეკრულებები. 1655 წელს შვეცია-პოლონეთის ომის დროს ინგ-
ლისი კიდევ უფრო დაუახლოვდა შვეციას. მის დასახმარებლად კრომ-
ველმა შოტლანდიელთა 20 000-კაციანი არმიაც კი გამოჰყო. 1656 წელს,
როცა კრომველმა შვეციის მეფესთან კარლოს-გუსტავთან განაახლა
1654 წლის ხელშეკრულება, შვეციასა და ინგლისს შორის უფრო მჭიდ-
რო თანამშრომლობა დამყარდა. ორივე მხარე კისრულობს შეწყვიტოს
ყოველგვარი ვაჭრობა ერთმანეთის მტრებთან. მოკავშირეების გემებისა-
თვის ღიაა ორივე ქვეყნის ყველა ნავსადგური, მოკავშირეებს შეუძლიათ
ჯარი მოაგროვონ ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე, შვეციის მიერ აღ-
მოსავლეთ ევროპაში დაპყრობილ ტერიტორიაზე ინგლისს უფლება
ეძლევა უბაჟოდ ვაჭრობისა. 1657 წელს შვეციას ომი გამოუცხადა და-
ნიამ. ინგლისმა უშედეგოდ სცადა მათი შერიგება. 1658 წელს დანია
დამარცხდა. შვეციამ განიმტკიცა პოზიცია ბალტიის ზღვაზე, ამით
მისმა მოკავშირემ — ინგლისმაც ისარგებლა, ამიერიდან ინგლისის გე-
მები ზუნდის სრუტეში დადიან საუსებით თავისუფლად. აპრილში
გარდაიცვალა გერმანიის იმპერატორი ფერდინანდ III ჰაბსბურგი.
ახალი არჩევნები დაინიშნა 1658 წელს. კრომველი შეეცადა ამ პოსტ-
ზე გაეყვანა შვეციის პროტესტანტი მეფე კარლ X. ამ კანდიდატს
მხარს უჭერდა საფრანგეთი და შვეცია. მაგრამ ეს ჩანაფიქრი არ გან-
ხორციელდა, გერმანიის იმპერატორის ტახტი კვლავ ავსტრიის ჰაბს-
ბურგებს დარჩათ — იმპერატორად აირჩიეს ლეოპოლდ I. კრომველს
არ დასცალდა დიდი ჩანაფიქრის — ინგლისის მეთაურობით პროტეს-
ტანტული ქვეყნების ლიგის შექმნა, რომელიც დაუპირისპირდებოდა
ჰაბსბურგებსა და ესპანეთს.

ოლივერ კრომველის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო რუსეთთან ურთიერთობას. რევოლუციის დროს, განსაკუთრებით კი მეფის სიკვდილით დასჯის შემდეგ, ინგლისის მოსკოვის სავაჭრო კომპანიამ დაკარგა ის პრივილეგიები, რომლითაც იგი სარგებლობდა რუსეთში XVI საუკუნიდან. 1649 წელს ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯის შემდეგ მოსკოვმა მიიღო კანონი, რომლითაც ინგლისელების ვაჭრობა მხოლოდ არხანგელსკით შემოფარგლეს მეტად მაღალი ბაჟების პირობით. მეფე ალექსი მიხეილის ძემ არ სცნო ინგლისის რესპუბლიკა და მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ჩარლზ II-თან.

1654 წლის ზაფხულში კრომველმა რუსეთთან მოსალაპარაკებლად წარგზავნა სრულუფლებიანი ელჩი უილიამ პრიდო. იგი მეფე ალექსი მიხეილის ძემ მიიღო 1655 წლის დასაწყისში. მისი მისია უშედეგოდ დამთავრდა. ამავე დროს მოსკოვს ჩამოვიდა ჩარლზ II-ის ელჩი. იგი აქ კარგად მიიღეს და მისი ხელით ჩარლზს გაუგზავნეს 40 000 მანეთის პური და ბეწვეული. 1657 წელს მოსკოვში კრომველმა ახალი ელჩობა წარგზავნა რიჩარდ ბრედშოუს მეთაურობით. მას ინგლისთან ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენასთან ერთად ევალებოდა მოსკოვის ჩამოშორება ანტიშვედური კოალიციისაგან (შვეცია-დანიის ომში დანიას ეხმარებოდნენ ჰოლანდია, ბრანდერბურგი, ჰაბსბურგები და მოსკოვის სახელმწიფო). ბრედშოუს ელჩობა უნაყოფოდ დამთავრდა, იგი მოსკოვშიაც კი არ შეუშვეს. 1649 წლის ბრძანებულება ინგლისის ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ რესტავრაციის დროსაც მოქმედებდა.

* * *

რესპუბლიკისა და კრომველის დროს საფუძველი ჩაეყარა ინგლისის კოლონიური პოლიტიკის სრულიად ახალ კურსს, რომელმაც განსაზღვრა მისი, როგორც სამყაროს უძლიერესი და უდიდესი კოლონიური სახელმწიფოს შემდგომი განვითარება. კრომველმა კოლონიური პრობლემა საგარეო პოლიტიკის განუყოფელ და ძირითად საზრუნავად აქცია. ამიერიდან ასეთი მნიშვნელობა მას ინგლისის დიპლომატიის ისტორიაში აღარ დაუკარგავს. კრომველმა დანერგა კიდევ ერთი სიახლე — კოლონიურ პოლიტიკაში სახელმწიფოს უშუალო ჩარევის სახით. მანამდე კი დომინირებდა ძველი ტრადიცია, როცა კოლონიური პოლიტიკა უპირატესად ხორციელდებოდა კერძო ინიციატივის საფუძველზე, კერძო პირებისა ან სავაჭრო კომპანიების მიერ, ანუ „ვაჭარი წინ უძღოდა დროშას".

რესპუბლიკისა და პროტექტორატის დროს კოლონიური ვაჭრობა და წარმოება საესებით დაემორჩილა მეტროპოლის სავაჭრო-ფინანსური და სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს. მათთან ერთად კოლო-

ნიების ძარცვაში აქტიურად მონაწილეობდნენ ადგილობრივი მსხვილი პლანტატორები. ამასთან, კოლონიური ნადავლის განაწილების დროს ამ ორ ძალას შორის თავს იჩენს საკმაოდ მწვავე წინააღმდეგობა.

კრომველის კოლონიური პოლიტიკის უპირველესი მიზანი იყო კოლონიების გადაქცევა მეტროპოლიის „აგრარულ დანამატად", ნედლეულის ბაზად და გასაღების ბაზრად. კოლონიებს აეკრძალათ უცხო ქვეყნებთან ვაჭრობა, უცხო ქვეყნებში ნედლეულის გატანა. კოლონიის ნედლეული უნდა გასულიყო მხოლოდ მეტროპოლში. საჭირო საქონელი კოლონიას უნდა შეეძინა მხოლოდ მეტროპოლიისაგან. ეკონომიკურ მორჩილებასთან ერთად მეტროპოლია ცდილობდა კოლონიებისათვის აღეკვეცა პოლიტიკური ორდნავი დამოუკიდებლობაც კი. ასეთი ვითარება იწვევდა მეტროპოლიისადმი კოლონიების უკმაყოფილებას, ზოგჯერ აშკარა წინააღმდეგობასაც კი.

კრომველის დროს ინგლისმა უკან ჩამოიტოვა ყველა მნიშვნელოვანი მეტოქე საზღვაო-სავაჭრო და კოლონიურ ასპარეზზე. მათ შორის ესპანეთი, პორტუგალია და ჰოლანდია. XVIII საუკუნეში ძლეულ იქნა კიდევ ერთი მთავარი მეტოქე — საფრანგეთი. ამიერიდან ინგლისის კოლონიური და ეკონომიკური უპირატესობა მსოფლიო მასშტაბით კონკურსგარეშე აღმოჩნდა. „დიდი ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის შემოქმედი", — ასე შეაფასა კრომველის როლი მადლიერმა ბურჟუაზიამ.

კოლონიების საკითხი მეფისა და პარლამენტის პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა. სტიუარტები კოლონიურ პოლიტიკას მხოლოდ სამეფო პრეროგატივად სთვლიდნენ. პარლამენტები აპროტესტებდნენ მეფეთა ამ პრეტენზიას; „ხანგრძლივმა პარლამენტმა" კი კოლონიური პოლიტიკა საერთოდ დაიქვემდებარა. პურიტანულ-ბურჟუაზიული ინგლისი პარლამენტს აქტიური კოლონიური პოლიტიკისაკენ მოუწოდებდა. ამაზე მეტყველებს ინგლისელ და შოტლანდიელ სასულიერო პირთა 1641 წლის პეტიცია, ისინი მოუწოდებენ პარლამენტს იზრუნოს ამერიკაში და ვესტ-ინდოეთში სახარების პროპაგანდისათვის, იქ კოლონიების შექმნისათვის, იქიდან ესპანელთა გამოდევნისათვის და სხვ.

მეფის წინააღმდეგ მწვავე პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმულ „ხანგრძლივ პარლამენტს" აქტიური კოლონიური პოლიტიკისათვის არ ეცალა. მის საქმიანობაში კოლონიების საკითხი უმთავრესად ფიგურირებს როგორც მეფესთან პოლიტიკური ბრძოლის ობიექტი. პარლამენტის მიზანია კოლონიები მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში მიიმხ-

როს, პირველ ყოვლისა, მოფერებით, შეღავათებითა და დათმობებით. კოლონიებს ათავისუფლებენ ბაჟებისაგან, აძლევენ სავაჭრო პრივილეგიებს, აგრეთვე უფლებას ივაჭროს სხვა ქვეყნებთან, ნაკლებად ერევიან კოლონიების შინაგან პოლიტიკურ ცხოვრებაში, ძალას იყენებენ მხოლოდ კოლონიებში მოქმედ სამეფო, სამხედრო და კომერციული ფლოტის წინააღმდეგ. „ხანგრძლივი პარლამენტის“ კოლონიებისადმი ასეთი დამოკიდებულება კოლონიებს კიდევ უფრო ფართო დამოუკიდებლობის საშუალებას აძლევს, ეს განსაკუთრებით თავს იჩენს სამოქალაქო ომების დროს. 1644 წლის 22 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო პირველი აქტი (კანონპროექტის განხილვა დაიწყო 1643 წლის მარტში), რომელიც ინგლისის კოლონიებს ამერიკაში ანიჭებდა მნიშვნელოვან სავაჭრო პრივილეგიებს. კერძოდ, ინგლისის კოლონიებიდან გატანილი და კოლონიებში შემოტანილი ინგლისური საქონელი თავისუფლდებოდა ყოველგვარი ბაჟებისაგან, გადასახადებისაგან, ჯარიმებისაგან და სხვ. ეს ღონისძიება აქტის თანახმად ტარდება ინგლისის ამერიკული „პლანტაციების“ (კოლონიების) განვითარების მიზნით. 1647 წლის 23 იანვარს ახალი აქტით მეტროპოლმა კოლონიებს კვლავ დაუტოვა უბაჟოდ ვაჭრობის უფლება, მხოლოდ ერთი პირობით — კოლონიებს თავისი ნაწარმის ექსპორტირება შეეძლო მხოლოდ ინგლისის გემებით. ინგლისისათვის ეს ხელსაყრელი პირობა შემდგომ საფუძვლად დაედო ცნობილ „სანავიგაციო აქტს“ და საერთოდ დიდი ბრიტანეთის ურთიერთობას თავის კოლონიებთან.

კოლონიებისადმი კომპრომისის სულისკვეთებით იყო განმსჭვალული მოღვაწეობა „ხანგრძლივ პარლამენტთან“ არსებული „კოლონიების საქმეთა კომიტეტისა“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი საქმოსანი ჯეიმზისა და ჩარლზის დროს, „პროვიდენსის კომპანიის“ დამაარსებელი, პრესბიტერელთა ერთ-ერთი ლიდერი პარლამენტში, გრაფი რობერტ უორვიკი. თითქმის იგივე პოლიტიკა გააგრძელა 1643 წლის 31 ოქტომბრის ორდონანსის საფუძველზე შექმნილმა კოლონიების მართვის საგანგებო ორგანომ — „საპარლამენტო კომისიამ“, რომელსაც კოლონიების უმაღლესი გენერალ-გუბერნატორის და ლორდ-ადმირალის ტიტულით კვლავ უორვიკი ხელმძღვანელობდა. ამ ახალ ორგანოს უნდა განეხორციელებინა კოლონიების ცენტრალიზებული მართვა ლონდონიდან (ანალოგიური კომისია სტიუარტებმაც შექმნეს 1643 წელს არქიეპისკოპოს ლოდის მეთაურობით. მაშინ კომისიის წევრები წარმოდგენილნი იყვნენ საერო და სასულიერო უმაღლესი არისტოკრატიით). კომისიაში მოღვაწეობდნენ ოპოზიციის ლიდერები, პარლამენტის გავლენიანი წევრები, დიდი მასშტაბის კოლონიური საქმოსნები. მათ შორის, თვით ჯონ პიმი, ვიკონტი უილიამ ფიენ სეიენდ-სილი, ჰენრი ვენი უმცროსი და სხვ. კომისია თანამიმდევრულად

ახორციელებდა კოლონიების თავის მხარეზე გადმობირების პოლიტიკას, ისევე და ისევ დათმობების და შეღავათების აღიარებული გზით. ამასთან ერთად, აღებული იყო კოლონიებში მეფის მიერ დანიშნული მოხელეების შეცვლის კურსი, გარდა ამისა უორვიკი ახორციელებდა როიალისტთა სამხედრო და კომერციულ გემებზე კაპერულ თავდასხმას. საკაპერო სიგელებით უორვიკმა მრავალი კერძო გემთმეპატრონე აღუთურვა. მისი რწმუნებით მერილენდში მოქმედებდა ცნობილი საქმოსანი რიჩარდ ინგლი. როიალისტთა გემებზე თავდასხმა განხორციელდა მასაჩუზეტსში და სხვ. მსგავს კონტრღონისძიებებს ახორციელებდა ჩარლზ I, რომელიც ოქსფორდიდან თავის ფლოტს და კოლონიურ ადმინისტრაციას ბრძანებას აძლევდა დაეკავებინათ პარლამენტის ფლოტი. 1644 წელს ამერიკისაკენ გაემართა მეფის ფლოტი ადმირალ ჯეიმზ ლის (გრაფი მალბორო) მეთაურობით. უორვიკის წინადადებით პარლამენტმა მიიღო ბილი, მოქმედ 26 ხომალდისათვის დაემატებინათ 56 ხომალდი.

მფარველობისა და დათმობების საპარლამენტო პოლიტიკამ ამერიკისა და ვესტ-ინდოეთის ახალშენებში კიდევ უფრო განამტკიცა სეპარატიზმი. კოლონიები ახორციელებენ მთელ რიგ მნიშვნელოვან პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ღონისძიებებს პირადი ინიციატივით, პარლამენტის სანქციის გარეშე. მაგალითად, „ახალი ინგლისის“ ახალშენებმა ნიუ-ჰევენმა, ნიუ-პლიმუტმა, კონეკტიკუტმა, მასაჩუზეტსმა 1643 წლის 29 მაისს განახორციელეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქცია, შექმნეს კონფედერაცია — „ახალი ინგლისის შეერთებული შტატები“. კოლონიები დამოუკიდებელ კონტაქტს ამყარებენ ჰოლანდიელებთან, ფრანგებთან, მეზობელ კოლონიებთან. იმავე წლის მარტში ვირჯინიამ მიიღო აქტი ჰოლანდიასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ცოტა ადრე მასაჩუზეტსში ინგლისურ ფულთან ერთად ხმარებაში დაუშვეს ჰოლანდიური მონეტაც. მასაჩუზეტსის ხელმძღვანელობა საერთოდ უარყოფდა ინგლისელთა რაიმე უფლებას კოლონიების ეკონომიკურ ცხოვრებაზე და თვითონ დამოუკიდებლად ღებულობდა გადაწყვეტილებას ბაჟების გაუქმების თაობაზე. მასაჩუზეტსის ხელისუფლებამ განაცხადა: „ჩვენ ინგლისის კანონებს მხოლოდ ინგლისში უნდა დავემორჩილოთ, რადგან პარლამენტის აქტებსა და დიდი ბეჭდით დამოწმებულ მეფის კანონს ძალა აქვს მხოლოდ ინგლისის ფარგლებში“.

ამრიგად, აქტიური პოლიტიკის ნაცვლად სამოქალაქო ომების პერიოდში „ხანგრძლივი პარლამენტი“ ახორციელებს დათმობისა და მფარველობის პოლიტიკას, არ ერევა კოლონიების საშინაო ცხოვრებაში. უხვად არიგებს საბაჟო, საგადასახადო თუ სხვა სახის შეღავა-

თებს, სავაჭრო პრივილეგიებს და სხვ. ყველაფერი ეს კეთდებოდა ერთი მიზნით — კოლონიები მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში პარლამენტის ბანაკში ყოფილიყვნენ.

* *

1649 წელს მეფის სიკვდილით დასჯისა და რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ კოლონიური პოლიტიკის კურსი არსებითად შეცვალეს. კოლონიების ყოველგვარი ბაჟებისაგან განთავისუფლების ნაცვლად დამკვიდრდა მხოლოდ საბაჟო შეღავათების სისტემა.

მეტროპოლსა და კოლონიებს შორის ურთიერთობის ნებაყოფლობით, კომპრომისებით მოგვარების პრინციპი შეცვალა (კოლონიების მეტროპოლიისადმი შეიარაღებული ძალებით) სასტიკი რეპრესიებით დამორჩილების პრინციპმა. კოლონიების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ავტონომიას ბოლო მოეღო. მეტროპოლიამ კოლონიებთან ვაჭრობის მონოპოლიური უფლებები მოიპოვა, დაეპატრონა მის ყველა ეკონომიკურ რესურსს და გადააქცია იგი თავისი ნაწარმების გასაღების ბაზად. ფართოდ დაინერგა აგრეთვე მეტროპოლიის მიერ კოლონიებში იაფად შეძენილი საქონლის სხვა ქვეყნებში ძვირად გადაყიდვის სისტემა. ინგლისელები აღარ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ საკუთარი კოლონიებით, მათი აგრესიის ობიექტია სხვა ქვეყნების, მათ შორის ესპანეთის, პორტუგალიის, ჰოლანდიისა და საფრანგეთის ოკეანეს იქითა ტერიტორიები. ინგლისი კოლონიურ სამფლობელოთა გაფართოების მიზნით ახორციელებს აქტიურ დაპყრობით პოლიტიკას, განსაკუთრებით ვესტ-ინდოეთში და ჩრდილოეთ ამერიკაში.

რესპუბლიკამ ახალი კოლონიური კურსის განხორციელება უშუალოდ დაავალა 1649 წლის 13 თებერვალს შექმნილ „სახელმწიფო საბჭოს". კოლონიურ პოლიტიკას წარმართავდა აგრეთვე პარლამენტთან არსებული კლანტაციების (კოლონიების — გ. კ.), ვაჭრობის და ფლოტის კომიტეტები. აქტიურ კოლონიურ პოლიტიკას ემსახურებოდა (ჩვენთვის ცნობილი) 1650 წლის 1 აგვისტოს აქტი „ინგლისის სახელმწიფოს ვაჭრობის წახალისების და მოწესრიგების შესახებ". კოლონიებიდან კონკურენტების განდევნის და მეტროპოლიისათვის მონოპოლიური უფლებების დამკვიდრებას ითვალისწინებდა (ჩვენს მიერ უკვე განხილული) 1650 წლის 3 ოქტომბრის აქტი. კოლონიებში გაბატონებას და საშინაო მეტოქის — ჰოლანდიის იზოლაციას ემსახურებოდა 1651 წლის 9 ოქტომბრის „სანავიგაციო აქტი", რომელმაც ინგლისს კოლონიურ სარბიელზე უდიდესი წარმატება მოუტანა. ინგლის-ჰოლანდიის 1652—1654 წლების ომი არსებითად კოლონიური ომი იყო.

ინგლისელებმა სასტიკად დასაჯეს კოლონიების პირველივე აქტიური ურჩობა. მხედველობაში გვაქვს ვესტ-ინდოეთის ინგლისის კუთვნილი კუნძულებისა და ვირჯინიის რესპუბლიკისგან განდგომა და როიალისტთა ბანაკში გადასვლა. როგორც ვიცით, მათ წინააღმდეგ რესპუბლიკამ 1650 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გაგზავნა დამსჯელი საზღვაო-სამხედრო ექსპედიცია ადმირალ ეისკიუს სარდლობით. 1652 წლის აგვისტოში კოლონიებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს. ამ ექსპედიციით ინგლისის ისტორიაში პირველად განხორციელდა სანქცია მეტროპოლიის მიერ კოლონიების ძალით, იარაღით დამორჩილებისა. კოლონიებთან ურთიერთობათა ნებაყოფლობით საწყისზე დამყარების ძველი მეთოდი ისტორიას ჩაბარდა. ახალი კურსის პირველი გმირი ადმირალი ეისკიუ პარლამენტმა სათანადოდ დააჯილდოვა.

აქტიურ კოლონიურ პოლიტიკას ემსახურებოდა, პირველ ყოვლისა, ფლოტის შენების დიდი გეგმა, რომელსაც რესპუბლიკა ახორციელებდა. ინგლისის მიერ შექმნილი უძლიერესი სამხედრო და კომერციული ფლოტი ინგლისის კოლონიური პოლიტიკის წარმატების ერთერთი არსებითი საწინდარი გახდა.

1652 წლის 25 თებერვალს პარლამენტმა კოლონიური აგრესიის ფართო გეგმა შეიმუშავა. სახელმწიფო საბჭოს დაევალა განესაზღვრა რესპუბლიკის ზღვებს იქითა ვაჭრობის განვითარებისათვის საჭირო პუნქტები და გამოენახა მათი დაპყრობის საშუალებები. ამიერიდან ერთხელ და სამუდამოდ კოლონიური პოლიტიკა სახელმწიფოს უშუალო ზრუნვის ობიექტი გახდა. ვითარება კარდინალურად შეიცვალა, ახლა უკვე „ვაჭრობას წინ მიუძღვის დროშა".

კრომველმა პროტექტორის როლში აქტიურ კოლონიურ პოლიტიკას ახალი ძალა შემატა. კოლონიების მართვის ფუნქცია სახელმწიფო საბჭოს ნაცვლად გადაეცა პროტექტორის საბჭოს, შეიქმნა ახალი კომიტეტები, მათ შორის „იამაიკის კომიტეტი" (1655), „ამერიკის კომიტეტი" (1656). 1655 წელს შეიქმნა ცენტრალიზებული სახელმწიფო ორგანო — „ნავიგაციის და ვაჭრობის კომიტეტი". კოლონიური საქმეების წარმართვაში აქტიურად მონაწილეობდნენ კრომველის ოფიცრები, მსხვილი ვაჭრები, ფინანსისტები, ხაზინის მოიჯარეები, აქციზების და გადასახადების შემსყიდველები, თეთრი და შავი მონებით მოვაჭრენი და საერთოდ ბნელ საქმოსანთა და ავანტიურისტთა დიდი ამალა. კოლონიურ საქმოსანთა დიდი ნაწილი მოღვაწეობს პარლამენტში და სხვადასხვა კომიტეტებში, ისინი ინიშნებიან კოლონიების ადმინისტრატორებად და სხვ. კრომველის დროს სახელი გაითქვეს ახალი ტიპის კოლონიურმა საქმოსნებმა, მათ შორის მდიდარმა

მონათვაჭარმა მარტინ ნელიმ, კომერსანტმა და ფინანსისტმა ტომას პოვიმ, ლონდონელმა დიდვაჭარმა მორის ტომპსონმა.

კრომველის დროს მკაცრი კონტროლია დაწესებული „სანავიგაციო აქტის“ აღსრულებაზე. კოლონიები პირველ შესაძლებლობისთანავე არღვევდნენ მას, ჰოლანდიელები ახერხებდნენ კონტრაბანდულ ვაჭრობას. კოლონისტებს ფარულად გაჰქონდათ თავიანთი ნედლეული და ნაწარმი სხვა ქვეყნებში, ფარულადვე შემოჰქონდათ მათი საქონელი, რისთვისაც სასტიკად ისჯებოდნენ. კრომველი განაგრძობდა კოლონიების თვითმმართველობის წინააღმდეგ ბრძოლას, მკაცრად ინერგებოდა ადმინისტრატორთა „ზემოდან“ დანიშვნის წესი. რესპუბლიკა და პროტექტორი კოლონიებს ახალ პრეტენზიებს უყენებენ, ცდილობენ ისინი ჩააბან ინგლისის მიერ წარმოებულ ომებში. 1652 წლის 19 ივნისს „სახელმწიფო საბჭომ“ ამერიკის ინგლისურ ახალშენებს უბრძანა ჰოლანდიის წინააღმდეგ ომში ჩაბმა და „ახალი ჰოლანდიის“ დაპყრობა. მეტროპოლიის მოწოდებას აქტიურად მხოლოდ ნიუ-ჰეივერი და კონექტიკუტი გამოეხმაურნენ. 1654 წელს კონექტიკუტმა ხელთ იგდო ჰოლანდიის ფორტი ჰარტ-ფორდი. იმავე წლის მაისში კრომველმა „ახალი ინგლისის“ სანაპიროებთან გაგზავნა ესკადრა (ორი ხომალდი), რობერტ სეჯვიკისა და ჯონ ლევერეტის (შემდგომ მასაჩუზეტსის გუბერნატორი) სარდლობით. მათ ევალებოდათ „ახალი ინგლისის“ ახალშენების ომში აქტიური ჩაბმა. სამმა კოლონიამ — ნიუ-ჰევენმა, პლიმუტმა და კონექტიკუტმა იარაღი აისხეს, მასაჩუზეტსმა („ახალი ინგლისის“ კოლონიების კონფედერაციაში ყველაზე ძლიერმა) 5 000 მოხალისის გაწვევაზე თანხმობა განაცხადა. ექსპედიცია ბოსტონიდან უნდა დაძრულიყო, მაგრამ იგი არ შედგა, მას მიუსწრო ინგლის-ჰოლანდიის დაზავებამ. „ახალი ჰოლანდიის“, „ახალი ინგლისის“ მეშვეობით დაპყრობის 1654 წელს ჩაფიქრებული კრომველისეული გეგმა განხორციელდა 10 წლის შემდეგ. 1664 წელს ჰოლანდიას წაართვეს „ახალი ამსტერდამი“ (ყუნძულ მანჰატანზე მდინარე ჰუძონის შესართავთან) და მას ამიერიდან ეწოდა „ნიუ-იორკი“.

კოლონიურ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ინგლის-საფრანგეთ, ინგლის-ესპანეთისა და ინგლის-პორტუგალიის ურთიერთობაში. კრომველის უპირველესი მიზანი იყო ესპანელების განდევნა ვესტ-ინდოეთთან, თავისუფალი ვაჭრობა ესპანეთის ახალშენებთან. კრომველმა თვალი მიაპყრო აგრეთვე საფრანგეთის ზღვის იქეთა მიწებს, პირველ ყოვლისა, კანადას. 1654 წელს „ახალი ჰოლანდიის“ წინააღმდეგ გაგზავნილმა სეჯვიკის ფლოტმა, ყოველ შემთხვევაში ხელთ იგდო ფრანგული ტერიტორია კანადაში — აკადია.

კრომველმა 1655 წელს განახორციელა დიდი კოლონიური სამ-

ხელრო ექსპედიცია ვესტ-ინდოეთში, ესპანეთის სამფლობელოების მისატაცებლად. ამ ექსპედიციის დროს ინგლისელებმა წარმატებით ინადირეს ჰოლანდიის გემებზეც, რომლებიც ფარულად ვაჭრობდნენ ინგლისის ახალშენებთან. ინგლისის კოლონიები ხშირად არღვევდნენ „სანავიგაციო აქტს“ და კარს უხსნიდნენ უცხო ვაჭრებს, პირველ ყოვლისა, ჰოლანდიელებს, ცხადია, უპირველესად ფარულად, ზოგჯერ აშკარადაც კი. მაგალითად, ასე მოიქცა ახალშენი როდ-აილენდი, რომელმაც 1657 წელს ჰოლანდიასთან ვაჭრობა გააჩაღა. მეტროპოლია დაუნდობლად ებრძოდა ასეთ გამოვლენებს, ინგლისელებმა ხელთ იგდეს 20 ხომალდი დიდძალი სიმდიდრით. ინგლისელებმა ნადაელისათვის არც საკუთარი ახალშენები დაინდეს. ექსპედიციას, რომელიც სათანადოდ ორგანიზებული არ იყო, ინგლისისათვის რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება არ მოუტანია, ესპანიოლა ვერ აიღეს, დაკმაყოფილდნენ მხოლოდ იამაიკის დაპყრობით. ამით აიხსნება ის, რომ ინგლისში დაბრუნებისას ექსპედიციის ხელმძღვანელები ადმირალი პენი და გენერალი ვენებლეზი ტოუერის ციხეში აღმოჩნდნენ. იამაიკის ექსპედიციას მოჰყვა ესპანეთ-ინგლისის ომი, რომლის დროსაც კოლონიურ საკითხს უპირველესი როლი ეკისრებოდა. დიდი წარმატება მოიპოვა ინგლისმა პორტუგალიის ხარჯზეც. 1654 წლის ხელშეკრულებამ ინგლისს პორტუგალიის კოლონიებში გზა გაუხსნა ესპანეთის იქიდან განდევნის ხარჯზე. 1654 წლიდან პორტუგალია მისი კოლონიებით (მათ შორის ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბრაზილიას) ინგლისის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. ინგლისისადმი პორტუგალიის მორჩილება საბოლოოდ დადგინდა 1703 წელს, ე. წ. მეტუენის ხელშეკრულებით. 1654 წლის პორტუგალიის ხელშეკრულებით ინგლისმა შეაღწია ახალ კოლონიურ სფეროში—აფრიკაში, სადაც პორტუგალიელებს მნიშვნელოვანი სამფლობელოები გააჩნდათ.

რესპუბლიკისა და პროტექტორატის დროს გააქტიურდა ინგლისის პოლიტიკა აღმოსავლეთის, კერძოდ, ინდოეთის მიმართ. ამ პერიოდში ოსტ-ინდოეთში ინგლისი ფორმალურად არ ფლობდა კოლონიურ სამფლობელოებს. აქ ჯერჯერობით მოღვაწეობდა კერძო ძალა — ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანია. იგი ფლობდა ინდოეთის სანაპიროზე მთელ რიგ პუნქტებს — სავაჭრო ფაქტორებს. სამოქალაქო ომების დროს ინდოეთში ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიის პოზიციები საგრძნობლად შესუსტდა მისი ძირითადი მეტოქის—ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიის ხარჯზე. ამიტომ იყო, რომ ინგლისის ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანია ასე აქტიურად მიესალმა და გამოეხმაურა ინგლის-ჰოლანდიის ომს. კომპანია აქტიურად მონაწილეობდა ომის დიპლომატიურ მომზადებაში, მოითხოვდა ზარალის ანაზღაურებას 1611 წლიდან, თეორიულად აყალიბებდა ჰოლანდიის პოლი-

ტიკის ანტიინგლისურ ხასიათს. კომპანია ინგლისელებს ამარაგებდა ფულით, ტყვია-წამლით, გვარჯილით, ხომალდებით და სხვ. ინდოეთის ოკეანეში საზღვაო გზებზე ადგილი ჰქონდა კომპანიის სამხედრო შეტაკებებს ჰოლანდიელებთან. „უესტმინსტერის შეთანხმებამ“ კომპანიას წარმატება მოუტანა. ჰოლანდიამ იკისრა მისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება. კრომველი, ისევე როგორც რესპუბლიკა, დიდად მფარველობდა კომპანიას. 1657 წლის 10 ოქტომბერს ახალ ქარტიაზე ხელმოწერით პროტექტორმა ერთხელ კიდევ დაადასტურა კომპანიის საგანგებო უფლებები და პრივილეგიები. კრომველის დროს, განსაკუთრებით მისი მმართველობის ბოლო წლებში, კომპანიის საქმიანობა მეტად გამოცოცხლდა. სწორედ კრომველის დროს გახდა კომპანია ძირითადი ინსტრუმენტი ინდოეთის ფართო კოლონიური დაპყრობისა, რაც XVIII საუკუნეში განხორციელდა.

რესპუბლიკისა და განსაკუთრებით პროტექტორის დროს ფართოდ დაინერგა კოლონიებში ინგლისიდან დამნაშავეთა მასობრივი გადასახლების ცნობილი პოლიტიკა. აშკარა სისხლის სამართლის დამნაშავეებთან და სასამართლოს მიერ სხვა მსჯავრდადებულებთან ერთად აქ იძულების წესით აგზავნიდნენ სოციალური უბედურების მსხვერპლთ: მაწანწალებს, მათხოვრებს — სწორედ ისინი ქმნიდნენ „თეთრი“ ანუ „კაბალური მონების“ ძირითად რეზერვუარს.

3. პროტექტორატის დაცემა

როგორც წესი, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია პროტექტორატის დაცემას და შემდეგ სტიუარტთა რესტავრაციას სუბიექტური, შემთხვევითი გარემოებებით ხსნის. ყოველივე ამას უპირატესად მიაწერენ ლორდ-პროტექტორის მოულოდნელ გარდაცვალებას და მისი მემკვიდრის, რიჩარდ კრომველის პოლიტიკურ უსუსურობას. ხოლო სტიუარტთა რესტავრაცია უპირატესად წარმოჩენილია როგორც გენერალ ჯორჯ მონკის პირადი დამსახურება. ცნობილია, რომ ისტორიაში ის, რაც ერთი შეხედვით შემთხვევითია, თურმე კანონზომიერების შედეგია. ოლივერ კრომველი მოულოდნელად გარდაიცვალა. ეს აშკარად შემთხვევითობაა, მაგრამ პროტექტორის სიკვდილს, საბჭოთა ისტორიკოსის ნ. ა. ეროფეევის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „თან მოჰყვა მოვლენები, რომლებმაც 1660 წელს მიგვიყვანა სტიუარტთა რესტავრაციამდე“. ამდენად, მოვლენათა ზედაპირული შეფასებით, ერთი შეხედვით, რესტავრაცია გამოიყურება როგორც წმინდა შემთხვევითობა. მაგრამ პროტექტორატის დაცემა და სტიუარტთა რესტავრაცია იყო შედეგი ისტორიული აუცილებლობისა, რომელიც განაპირობა იმჟამად ინგლისში შექმნილმა ეკონომიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა კონკრეტულმა ვითარებამ, კლასობრივ ძალთა არსებულმა თანაფარდობამ

და კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებამ. მაგრამ აუცილებლობას გზა გაუკვალა შემთხვევითობამ, ამიტომ ზემოაღნიშნული სუბიექტური ფაქტორების ისტორიიდან საერთოდ გამორიცხვა არ შეიძლება. ერთი რამ უდავოა, მათ დააჩქარეს აუცილებლობა—პროტექტორატის რეჟიმის დაცემა და სტიუარტთა რესტავრაცია.

კრომველის რეჟიმი, მიუხედავად საშინაო, განსაკუთრებით კი საგარეო პოლიტიკაში მოპოვებული წარმატებებისა, მწვავე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, განსაკუთრებით კრომველის გარდაცვალების წინა წლიდან.

ჰოლანდიასთან და შემდეგ ესპანეთთან ომმა დიდი ეკონომიკური სიძნელეები წარმოშვა. მოიშალა ვაჭრობა, შეფერხდა წარმოება. ესპანეთიდან ინგლისის შალის მრეწველობისათვის ესოდენ საჭირო ნედლეულის მაღალხარისხიანი მატყლის შემოზიდვა შეწყდა. შეწყდა აგრეთვე ინგლისის სამრეწველო საქონლის ექსპორტი ესპანეთში, ინგლისისათვის ამ უმნიშვნელოვანეს ბაზარზე. ბევრი საწარმო დაიხურა, დაიწყო მასობრივი უმუშევრობა და გაღატაკება. ერთ-ერთი ცნობით ბრისტოლმა დაკარგა 250 გემი, ჰამბურგში ნაცვლად 100 000 ნაჭერი შალისა წლიურად გააქვთ მხოლოდ 20 000 ნაჭერი. მარტო ესექსში და სეფოლკში გაღატაკდა ათასობით ოჯახი. „დასავლეთ ინგლისის მთელი ვაჭრობა მოშლილია“, — წერს ერთი თანამედროვე. 1658 წლიდან ზოგიერთ საგრაფოში დაიწყო მწვავე და ხანგრძლივი შიმშილი, რაც სტიქიური უბედურებით გამოწვეული მოუსავლიანობის შედეგი იყო. 1659 წლის შემოდგომაზე ინგლისის რამდენიმე საგრაფოში წყალდიდობის შედეგად წაილეკა მოსავალი. 1659 წლის ზაფხულში გაჩნდა საქონლის უცნობი დაავადება, რომელმაც დიდი ზარალი გამოიწვია. მშრომელი ინგლისის მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესება, რაც 50-იანი წლების შუა პერიოდში შეინიშნებოდა, 1658 წლიდან მკვეთრად გაუარესდა. გაიზარდა ფასები, განსაკუთრებით სურსათზე და პირველმოხმარების საგნებზე. 1652 წელთან შედარებით 1654 წელს ხორბალი გაძვირდა ორჯერ მეტად, ხორცი — 25 პროცენტით, ეს მაშინ, როცა ხელფასი შემცირდა და ფულის კურსი დაეცა. სამხედრო ხარჯების დიდი მასშტაბით ზრდამ ქვეყანა მწვავე ფინანსური კრიზისის წინაშე მიიყვანა (ჰოლანდიასთან ომი 2 მილიონი დაჯდა, ესპანეთთან ომი ყოველწლიურად ითხოვდა 1 მილიონზე მეტს; პროტექტორატის დროს თოფქვეშ იყო 42 000 კაცი). 1657 წელს სახელმწიფოს შემოსავალი უდრიდა 1,9 მილიონ გირვანქა სტერლინგს, ხარჯები — 2 426 939. ამრიგად, დეფიციტი აღემატებოდა ნახევარ მილიონს, იზრდებოდა სახელმწიფო ვალი, 1658 წლისათვის მან 1,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა. ვაჭრობის მოშლამ კატასტროფულად შეამცირა საბაჟო გადასახადი — სახელმწიფოს ეს მნიშვნელოვანი შემოსავალი.

ასეთ პირობებში ხელისუფლება იძულებული იყო გაეზარდა არაპირდაპირი გადასახადები, რაც ინგლისის ფართო მასების მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა და არსებული რეჟიმისადმი მათ წინააღმდეგობას აძლიერებდა. „შემოღობვის“ პროცესი ახალი რეჟიმის დროს საგრძნობლად გაძლიერდა, ამან კიდევ უფრო გაზარდა უმუშევართა და უკმაყოფილოთა რიცხვი. ესპანეთთან ომი ხალხში არაპოპულარული იყო. დევონშირის, ლანკაშირის, კენტის და სხვა საგრაფოებიდან ხელისუფლებას მოსდიოდა უამრავი საპროტესტო პეტიცია, წერილი, პროტესტი. სიტის მაგნატებს აღარ სჯერათ კრომველის რეჟიმის სტაბილურობა და გადახდისუნარიანობა და მას სესხს აღარ აძლევენ. როცა კრომველმა ლონდონის მუნიციპალიტეტს სესხად 10 000 გირვანქა სტერლინგი სთხოვა, ლორდ-მერისაგან ასეთი პასუხი მიიღო: „ჩვენ კარდაკარ დავდივართ, ვითხოვთ მოწყალებას ღარიბთათვის, რომელთა რიცხვი გაიზარდა ისე, როგორც არასდროს“. სიტისაგან გაწბილებულმა კრომველმა სესხისათვის კერძო პირებს მიმართა. აღადგინეს, ჩარლზ I-ის მიერ შემოღებული გადასახადი ლონდონში მშენებარე სახლებზე და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ ხელისუფლება კერძო პირებს ზოგჯერ ვალს არ უბრუნებდა, ეს ვითარება რეჟიმის მოწინააღმდეგეთა რიგებს ზრდიდა.

ერთადერთი საყრდენი პროტექტორატის რეჟიმისა იყო თვით კრომველის უდიდესი პირადი და შეუზღუდველი ხელისუფლების ძალაზე დამყარებული ავტორიტეტი. ეს საყრდენიც სუსტდებოდა. ინგლისის ბალხი, რომელმაც იწვნია დიქტატორისა და მხედრიონის ხელისუფლების მძიმე ტვირთი, კრომველში ვეღარ ხედავს რევოლუციის სიმბოლოს, მის ბელადს, რაც რეჟიმის კრიზისის და დაცემის ერთ-ერთი უპირველესი საწინდარი იყო. მარტივი ჭეშმარიტებაა—მყარია ის ხელისუფლება, რომელიც ხალხის ფართო ფენების მხარდაჭერით სარგებლობს. კრომველის რეჟიმის ავტორიტეტი შეირყა იმათ თვალშიც, ვინც მათ ხელისუფლებისაკენ გზა გაუკაფა.

1648 წელს მომავალი დიქტატორი სპტიკად ესხმოდა თავს „ერთი ადამიანის მმართველობას“ და მიუთითებდა, რომ ასეთი ხელისუფლება მიგვიყვანს „ტირანიამდე, ჩაგვრამდე და მთელი ერის სიღატაკემდე“. კრომველის და ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსული სხვა პიროვნებების სიტყვა და საქმე ერთმანეთს დასცილდა. 1658 წელს 58 წლის კრომველი, ადრე განახლებისათვის დიდი მებრძოლი და ჭეშმარიტი რევოლუციონერი, ახლა მოგვევლინა როგორც დესპოტი და ტირანი ამ სიტყვის საკმაოდ ფართო გაგებით. ეს რეალურად, ჯანსაღად მოაზროვნე და მოქმედი პოლიტიკოსი ამჯერად ჯიუტი, სასტიკი, შეურიგებელი, დაუნდობელი და ეჭვიანი მმართველია. ოდესღაც მორიდებული, უპრეტენზიო, კოლეგიალური სოფ-

ლის სკუპარი ამჟამად პატივმოყვარე, მკაცრი და უკიდურესად ქედმაღალი მბრძანებელია, რომელიც ავადმყოფურად განიცდის ყოველგვარ შეკამათებას, მისი სურვილისადმი ოდნავ წინააღმდეგობას, თუნდაც გონივრულსა და საქმიანს. პროტექტორი გულჩათხრობილი გახდა, უნდობლობას უცხადებს ყველას, მათ შორის ძველ ნაცად თანამებრძოლებსა და თანამშრომლებს, თავიდან იშორებს მათ. ცდილობს მმართველობაში მოიზიდოს ახლობლები. შვილი ჰენრი ირლანდიის მმართველად განაწესა, სიძეს, საკმაოდ უნიჭო ფლიტვუდს, არმია გადაუღლიცა, სახელმწიფო საბჭო ნათესავებით გაავსო. მან არმიიდან განდევნა თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად აქტიური პიროვნება. პროტექტორს არ ასვენებს შეთქმულებათა და მის სიცოცხლეზე ხელყოფის კოშმარი. ეს შიში უსაფუძვლო როდი იყო. პროტექტორატის და პირადად პროტექტორის წინააღმდეგ შეთქმულებები გახშირდა. შეთქმულებას აწყობდნენ როიალისტები, რომლებიც ხშირად მოქმედებდნენ ლეველერებთან ერთად. 1654 წლის გაზაფხულზე გაანადგურეს როიალისტთა შეთქმულება, რომელსაც ახალგაზრდა პოლკოვნიკი ჯერარდი ხელმძღვანელობდა. დააპატიმრეს 500-ზე მეტი კაცი. ჯერარდი და შეთქმულების მეორე ხელმძღვანელი — სკოლის მასწავლებელი პიტერ ვოუოლი სიკვდილით დასაჯეს. პირველს თავი მოჰკვეთეს (როგორც ჯენტლმენს), მეორე — ჩამოახრჩვეს (როგორც მდაბიო), დანარჩენები ვესტ-ინდოეთში გადაასახლეს ბარბადოსის კუნძულებზე. საკმაოდ ორგანიზებული იყო როიალისტთა გამოსვლები 1655 წლის აპრილში. განზრახული იყო აჯანყების მოწყობა ერთდროულად რამდენიმე საგრაფოში, მთელი რიგი ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების ხელში ჩაგდება. შეთქმულნი უშუალოდ დაკავშირებულნი იყვნენ ჩარლზ II-სთან. აჯანყებისთანავე მეფეს უნდა გადმოესხა ჯარი. კრომველი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც საქმის კურსში იყო. ლონდონში და უესტმინსტერში კონფისკაცია უყო ყველა ცხენს, მოიწვია ლონდონის მილიცია, საიმედოდ ჩაკეტა ყველა ნავსადგური. მიუხედავად ამისა, მეფის აგენტებმა მაინც მოახერხეს ინგლისში შემოღწევა. როიალისტებმა რამდენიმე საგრაფოში შეძლეს აჯანყების მოწყობა, მაგრამ მოსახლეობაში მხარდაჭერა ვერ პოვეს და ხელისუფლებამ ადვილად მოუღო ბოლო მათ გამოსვლებს. აჯანყების რამდენიმე მოთავე სიკვდილით დასაჯეს, დიდი ნაწილი ვესტ-ინდოეთში გადაასახლეს. 1657 წლის დასაწყისში ლიკვიდირებულ იქნა მაილს საინდერკომის შეთქმულება, რომელიც სექსბის მიერ იყო ორგანიზებული. სექსბი ინგლისიდან გაიქცა ჰოლანდიაში. აქ დაწერა მან თავისი ცნობილი პამფლეტი, სადაც ტირანის, ანუ კრომველის სიკვდილი კეთილშობილურ საქმედ იყო აღიარებული. სექსბი კვლავ დაბრუნდა ინგლისში ახალი შეთქმულების ორგანიზების მიზნით, იგი გასცეს და დააპატიმრეს. 1658 წლის იანვარში სექსბი ციხეში გარდა-

იცვალა. მთელი შესაძლებლობებით ამოქმედდა ტერლოს მიერ ორგანიზებული საიდუმლო სამსახური, ფართოდ დაინერგა პოლიტიკური ტერორი და რეპრესიები. როიალისტებთან ერთად ციხეებში იტანჯებოდა რევოლუციის ბევრი მოღვაწე, მათ შორის ბევრი დაპატიმრებული იყო სასამართლოს გარეშე, დიქტატორის პირადი ბრძანებით. ყოველ შეთქმულებას თან სდევდა მასობრივი, უსასტიკესი რეპრესიები, სჯიდნენ დამნაშავეს, ეჭვმიტანილს და უდანაშაულოსაც კი. მაგალითად, ეპისკოპოსი სიკვდილით დასაჯეს მხოლოდ როგორც კათოლიციზმის მიმდევარი.

შეიცვალა კრომველის პირადი ხასიათი და გარეგნობაც კი. იგი განშარტოვდა, უპირატესად კაბინეტშია ჩაკეტილი, არავის ღებულობს, თვით ოჯახის წევრებსაც კი. პროტექტორს სახე შეუშუპდა, ხელები უკანკალებს იმდენად, რომ წერაც უჭირს, დადის ფეხების ფრატუნით. ყველაფერ ამას დაერთო მძიმე ავადმყოფობა, რომელიც პროგრესულად გართულდა.

კრომველის წინააღმდეგ საკმაოდ ფართო ოპოზიცია შეიქმნა. რეჟიმის მოწინააღმდეგეები ჯერჯერობით მოქმედებდნენ ფარულად, შენიღბულად, პროტექტორის რკინის ხელი და მის მიერ შექმნილი სახელმწიფო მექანიზმი ჯერ კიდევ ძალაშია, მის აშკარად უგულებელყოფას ჯერჯერობით ვერავინ ბედავს.

პროტექტორატის რეჟიმის წინააღმდეგ განეწყო ინგლისის ხალხის ფართო ფენები, ამოქმედდნენ დემოკრატიულად განწყობილი რელიგიური სექტები, რომელთა თვალში კრომველი წარმოდგენილია როგორც სინდისის თავისუფლების ჩამხშობი „აპოკალიფსური მხეცი“, „ეშმაკის ნაშიერი“. კრომველის რეჟიმისადმი მტრულად განეწყო ომითა და გადასახადებით გაღატაკებული წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მედუქნეები, წვრილი ხელოსნები, ფეიქრები, მემაუდეები, რომლებიც მათი გაღატაკების მიზეზად არსებულ რეჟიმს მიიჩნევენ. კრომველს განუდგა ინდეპენდენტების მიერ სასტიკად მოტყუებული გლეხობა. კრომველს ისინი სთვლიან „მოღალატედ“ და „მატყუარად“, გლეხობას აწუხებს ძველი თუ ახალი ლენდლორდების თავაშვებულობა. რესპუბლიკელებისათვის კრომველი არის „უზურპატორი“, „ხალხის თავისუფლების ჩამხშობი“; ლეველერებისათვის კრომველი რჩება „ტირანად“, რომლის მოკვლა მიჩნეულია კეთილშობილ საქმედ. მსხვილი ბურჟუაზია და მსხვილი მემამულეები მწვავე ეკონომიკური კრიზისის და სავაჭრო-სამეურნეო დეპრესიის მიზეზად კრომველის რეჟიმს მიიჩნევენ. კრომველის რეჟიმისადმი მტრულადაა განწყობილი პრესბიტერულ მიწათმფლობელთა რეაქციული ფენა. მეორე სამოქალაქო ომის შემდეგ კრომველმა ისინიც როიალისტებს მიაკუთვნა და მათი მიწა-მამულები და ქონება კონფისკაციის და დაჯარიმების ობიექტად აქცია. კრომველს

განუდგნენ სოფლის სკუაირებიც, რომლებიც ადრე მის ერთ-ერთ ძირითად საყრდენს წარმოადგენდნენ. კრომველის რეჟიმის უკმაყოფილო იყო არმია. კრომველის დიქტატურისადმი უკმაყოფილებას განაპირობებდა არმიის ნაწილის ერთგულება „ძველი კეთილი საქმისადმი"—რეოლუციისადმი და რესპუბლიკისადმი. ამასთან ერთად, პროტექტორატის რეჟიმი არმიას ხელფასით ხანგრძლივად ვერ აკმაყოფილებდა, ეს კი, როგორც ვიცით, ადრეც წარმოადგენდა არმიის უკმაყოფილების მძლავრ ფაქტორს. მაგრამ მაშინ არმიაში ჰარბობდა რევოლუციური რომანტიკა და ენთუზიაზმი, რაც უკმაყოფილებას აშკარად ანეიტრალებდა. ამჟამად არმიაში ახალმა, არსებითად პრაგმატულმა განწყობამ დაისადგურა. ჯარისკაცთა დიდ ნაწილს აინტერესებს ნადავლი, ფული, მიწის ნაკვეთი. ახალ ვითარებაში ამ მოთხოვნათა უგულებელყოფა გაცილებით საშიში იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არმია კვლავ რჩებოდა პოლიტიკურ ძალად. უმაღლეს ოფიცრობას შეეძლო არმიის უკმაყოფილების თავის სასარგებლოდ წარმართვა. ასეთ შემთხვევაში სახეზე იყო ოფიცერთა ოლიგარქიის საკმაოდ რეალური საფრთხე. უკმაყოფილება სუფევდა მეზღვაურთა შორისაც. სამხედრო სამსახურში მყოფ მეზღვაურებს, ისევე როგორც ჯარისკაცებს, ხელფასს უგვიანებდნენ, ნადავლს არ უნაწილებდნენ, იგი ძირითადად ხაზინის საკუთრებად ცხადდებოდა. უკმაყოფილო კომერციული ფლოტის მეზღვაურთა დიდმა ნაწილმა დაკარგა სამუშაო საზღვაო ვაჭრობის მნიშვნელოვანი შეფერხების გამო.

არსებობდა საზოგადოებრივი უკმაყოფილების კიდევ ერთი, თითქოსდა არა არსებითი მიზეზი — პროტექტორი მტკიცედ იცავდა პურიტანული მორალის ნორმებს. იგი ხალხს მოუწოდებდა ეცხოვრათ თავიანთი შემოსავლის შესაბამისად, ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე, ამასთან დაკავშირებით სპეციალური ორდონანსიც კი გამოვიდა. ხალხისათვის ზედმეტი ფუფუნება, ზედმეტი ჭამა და გართობა პროტექტორს ბოროტებად და ღვთისგმობად მიაჩნდა და დევნიდა მას. მაგრამ თვითონ და მისი ოჯახი ცხოვრობდა წარმოუდგენელ ფუფუნებაში, მთელი ლონდონი გაკვირვებას გამოთქვამდა კრომველის ქალიშვილების საოცრად მდიდრული ჩაცმულობისა და კაზმულობის გამო. კრომველს მიაჩნდა, რომ ეს ყველაფერი მისთვის ღვთითაა მონიშნებული და ნებადართული. ეს შეუსაბამობა ინგლისის საზოგადოების ფართო წრეების სამართლიან გულისწყრომას იწვევდა.

გააქტიურდნენ როიალისტებიც, განსაკუთრებით 1657 წლიდან, ესპანეთსა და ჩარლზ II-ეს შორის კავშირის დადების შემდეგ. ესპანელებმა ჩარლზს აღუთქვეს ინგლისში შეჭრისათვის არმიის დაფინანსება (4 000 — ქვეითი, 2 000 — ცხენოსანი), თავის მხრივ ჩარლზი ესპანელებს პირდებოდა კრომველის მიერ დაპყრობილი ყველა ტერიტო-

რიის დაბრუნებას და მხარდაჭერას პორტუგალიის ხელახლა დაპყრობაში. როიალისტები აღაფრთოვანა აგრეთვე პროტექტორის რეჟიმის წინააღმდეგ მასების უკმაყოფილებამ. ლონდონში მეფის დავალებით ფარულად ჩამოვიდა გრაფი ორმონდი და ახალი შეთქმულების ორგანიზება ითავა. მასთან ერთად აქტიურად მოქმედებდნენ ცნობილი როიალისტი სერ ჰენრი სლინგსბი (იგი ციხიდან ხელმძღვანელობდა შეთქმულებას), ანგლიკანურ-ეპისკოპალური ეკლესიის ცნობილი მოღვაწე დოქტორი ჯონ ჰიუტი, ჯონ მორდაუნტი და სხვ. კრომველის ლორდთა პალატაში როიალისტებს ბევრი მხარდამჭერი ჰყავდათ. 1658 წლის მაისსა და ივნისში შეთქმულება აღმოაჩინეს. 8 ივნისს სიკვდილით დასაჯეს სლინგსბი და ჰიუტი, მოგვიანებით სიკვდილით დაისაჯა შეთქმულების კიდევ სამი მონაწილე. ორმონდი ინგლისიდან გაიქცა. სასამართლოს შიმდინარეობის დროს ლონდონში როიალისტთა თავზეხელაღებულმა ჯგუფმა სცადა აჯანყების მოწყობა. შეთქმულნი ერთ-ერთ ტავერნაში დააპატიმრეს, სამი მოთავე ჩამოახრჩვეს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ როიალისტურმა განწყობამ თვით პროტექტორის ოჯახის წევრთა შორისაც მოიკიდა ფეხი. კრომველს სიძეთა შორის (ქალიშვილების ქმრები) იყვნენ ძველი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები. ერთ-ერთი მისი სიძე გრაფი ტომაზ ფოლკონბრიჯი (ფოკონბერგი) სიკვდილით დასჯილი როიალისტის სლინგსბის ახლო ნათესავი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ დოქტორი ჰიუტი კრომველის ოჯახთან ახლოს იყო. მან ეპისკოპალური ეკლესიის წესით დასწერა ჯვარი კრომველის ქალიშვილებს, რომლებიც ოფიციალური პურიტანული წესით ჯვარისწერას არაკანონიერად თვლიდნენ. სხვათა შორის ქალიშვილებმა სთხოვეს კიდეც მამას შეეწყალებინა ჰიუტი, მაგრამ ამაოდ.

ოპოზიცია განსაკუთრებით გააქტიურდა კრომველის მიერ 1658 წლის 4 თებერვალს პროტექტორატის მეორე და უკანასკნელი პარლამენტის დათხოვის შემდეგ. მიუხედავად ძლაცრი პოლიციური და საცენზურო შეზღუდვებისა, გამრავლდა რეჟიმის საწინააღმდეგო ლიტერატურა: პამფლეტები, ბროშურები, მოწოდებები, პროკლამაციები, ქადაგებანი და სხვ. მათი ავტორები არიან როიალისტ-კავალერები, ლეველერები, რესპუბლიკელები, პრესბიტერელები, ანაბაპტისტები, „მეხუთე მონარქიის ადამიანები“ და მრავალი სხვ.

მაგრამ იყო ფაქტორი, რომელიც ანეიტრალებდა სხვადასხვა ოპოზიციური ჯგუფის აქტიურობას — ეს იყო სახალხო მოძრაობის აღმავლობა. მასთან ერთად, ანგარიშგასაწევი იყო აგრეთვე როიალისტური ძალების მომძლავრება. მესაკუთრე ინგლისისათვის კრომველი კვლავ რჩებოდა წესრიგისა და სახელმწიფოს სტაბილურობის, მართალია, ძირმოკუეულ, მაგრამ ჯერჯერობით ერთადერთ გარანტიად. ინგლისის ზე-

დაფენები ერთხელ კიდევ შეეცადნენ რეჟიმის განმტკიცებას, კრომველს კვლავ შეთავაზეს მეფის გვირგვინი. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ფლიტვუდი და ტერლო. აღსანიშნავია, რომ შეთავაზებას ლოიალურად შეხვდნენ შეურიგებელი რესპუბლიკელები — ჰენრი ვენი და ლედლოუ.

1658 წლის 3 სექტემბერს, პარასკევს, გარდაცვალების წინ რამდენიმე საათით ადრე კრომველმა მოასწრო მემკვიდრის გამოცხადება. ის იყო, როგორც ვიცით, მისი უფროსი ვაჟი რიჩარდ კრომველი.

* *

აი, ასეთ რთულ ვითარებაში ჩაიბარა ახალმა პროტექტორმა, 32 წლის რიჩარდ კრომველმა ინგლისის სახელმწიფო. მოვლენათა მსვლელობა ძალზე სწრაფად ვითარდებოდა. რიჩარდმა ხელისუფლების შენარჩუნება მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში შეძლო, როგორც სახელმწიფო მოღვაწე იგი მამის სრული ანტიპოდი იყო: თანამედროვეთა თქმით, ამ „რბილი ხასიათის თავდაჭერილ და მშვიდ ადამიანს", მორიდებულს, თავაზიანს და ზრდილს აკლდა სახელმწიფო მოღვაწის ელემენტარული თვისებებიც კი. მას არ გააჩნდა მამისეული ენერგია, ჭამხედრო, ადმინისტრაციული და დიპლომატიური ტალანტი, რევოლუციური ენთუზიაზმი და პათოსი, საკუთარ ძალაში დარწმუნებულობა, რაიმე პოლიტიკური მრწამსი, პოპულარობა. ეს იყო ობივატელური სულისკვეთებით განმსჭვალული ნამდვილი სოფლის სკუაირი, უყვარდა მშვიდი ცხოვრება, ნადირობა, ცხენოსნობა, ერთი სიტყვით, ივი სახელმწიფო მოღვაწის როლისათვის სავსებით შეუფერებელი იყო. მისი მმართველობის დროს ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი კიდევ უფრო დაიძაბა. უმაღლესი ოფიცრობა, სახელმწიფოში ეს ყველაზე უფრო გაელენიანი კორპორაცია, აშკარად ცდილობდა პროტექტორის სისუსტე თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ამას ფიქრობდნენ თვით პროტექტორის ახლო ნათესაეები, გენერლები—სიძე ფლიტვუდი და ბიძა (დედის მხრივ) დეზბორო. თანამედროვეთა შორის ბევრი ამტკიცებდა, რომ კრომველმა მემკვიდრედ დატოვა არა რიჩარდი, არამედ ფლიტვუდი. მეორენი ლაპარაკობდნენ დეზბოროს შესახებ. გენერალ ლამბერტს მიაჩნდა, რომ იგი კრომველის ხელისუფლების მემკვიდრეობას უფრო იმსახურებდა, ვიდრე რიჩარდი. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად პროტექტორის პოსტზე პრეტენზია ჰქონდა აგრეთვე გენერალ მონკს.

კრომველის რეჟიმის დღეები რომ დათვლილი იყო, ეს ეჭვს აღარ იწვევდა. გამარჯვებული რევოლუციამდელი („ძველი") ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა და მასთან ერთად რევოლუციის დროს გამ-

დიდრებული და აღზევებული „ახალი მდიდრები“ (ნუვორიშები), ახალი ბურჟუაზია და ახალი მიწათმფლობელი არისტოკრატია ცდილობდა შეექმნა სტაბილური, ძლიერი ხელისუფლება, რომელიც უზრუნველყოფდა მათ პრივილეგირებულ მდგომარეობას. გამარჯვებულთა ბანაკში შემავალი სხვადასხვა სოციალური ფენები და შესაბამისი პოლიტიკური ჯგუფები ხელისუფლებისათვის მწვავე ბრძოლაში ჩაებნენ. დაიხლართა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ურთულესი ლაბირინთი, მასში გზის გაკვლევა რიჩარდ კრომველს ძალიან გაუჭირდა.

ოფიცერთა ზედაფენა აშკარად სამხედრო ოლიგარქიისაკენ მიიწევდა. ისინი საკმაოდ ძლიერ პოზიციებს ფლობდნენ. რაც მთავარია ისინი ახერხებდნენ არმიის, ამ ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ორგანიზებული პოლიტიკური ძალის შესაძლებლობათა თავის ნებასურვილის მიხედვით წარმართვას. სოციალური თვალსაზრისით ოფიცერთა უმრავლესობა „ახალ მდიდართა“ კატეგორიას მიეკუთვნებოდა. ძალა მოიკრიფეს და პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების რეალურ პრეტენდენტებად იქცნენ რესპუბლიკელები — გამოჩენილი მოღვაწეების პენრი ვენის, არტურ პეზლრიგისა და ედმუნდ ლედლოუს ხელმძღვანელობით. მათ არმიაში ბევრი მომხრე ჰყავდათ, მათ მხარს უჭერდა საშუალო და წვრილი ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილი. რადიკალურად განწყობილ მასებში, სხვა ბურჟუაზიულ დაჯგუფებებთან შედარებით, რესპუბლიკელები მეტი სიმპათიით სარგებლობდნენ.

ბურჟუაზიული რევოლუციონერების მიერ მოტყუებული ხალხის ფართო მასები საბრძოლველად იყვნენ განწყობილნი, ისინი მოითხოვდნენ დემოკრატიულ რესპუბლიკას, აგრარული პრობლემის დემოკრატიულ გადაწყვეტას, სინდისის სრულ თავისუფლებას და სხვ. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ კვლავ ალაპარაკდნენ წვრილი ბურჟუაზიის ყველაზე უფრო რევოლუციური წარმომადგენლები — ლეველერები. მათ კვლავ წამოაყენეს ინდეპენდენტების მიერ დასამარებული „სახალხო შეთანხმებაში“ გათვალისწინებული პრინციპები: სახალხო სუვერენიტეტი, უზენაესი ხელისუფლება ეკუთვნის სახალხო წარმომადგენლობით ორგანოს, კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლება, ხალხის საყოველთაო შეიარაღება, არმიის დაბრარჩელება პარლამენტისადმი და სხვ. გააქტიურდნენ რელიგიური სექტები, რომლებიც, როგორც ვიცით, უკიდურესი რელიგიურ-პოლიტიკური რადიკალიზმით გამოირჩეოდნენ, მათ შორის: „მეხუთე მონარქიის ადამიანები“ (მილენარიები), კვაკერები, ანაბაბტისტები, რანტერები, სიკერები, ანტინომიანელები, ლიბერტონები, ვიზიონარე-

ბი, ბენემისტები, სოცინიანელები და ბევრი სხვ. ერთ-ერთი თანამედროვის, ედვარდსის ცნობით, მათი რიცხვი ორასამდე აღწევდა.

საკმაოდ ძლიერი იყო პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც მეფის აღდგენას ითხოვდა. მონარქისტთა შორის უნდა გამოვყოთ ორი სოციალურად განსხვავებული ჯგუფი: ფეოდალური მონარქისტები და ბურჟუაზიული მონარქისტები. პირველ ჯგუფში გაერთიანებული იყო რევოლუციის მიერ განადგურებული ძველი ფეოდალური თავადაზნაურობა, ანგლიკანური (ეპისკოპალური) ეკლესიის მსვეურები და მათთან დაახლოებული სხვადასხვა რეაქციული ძალები. ისინი ფეოდალური აბსოლუტიზმის აღდგენას ცდილობდნენ, ანუ უკან იხედებოდნენ, ისტორიის ჩარხის უკუღმა შებრუნებას ცდილობდნენ. მყარ სოციალურ საყრდენს მოკლებულ ამ ჯგუფისთვის, რაიმე რეალური წარმატების მოპოვება ფაქტიურად შეუძლებელი იყო.

მონარქიის აღდგენაზე ფიქრობდა გამარჯვებული, ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მისი უმაღლესი ზედაფენები თავდაპირველად პრესბიტერული ბურჟუაზიის, ახალი თავადაზნაურობისა და ლონდონის სიტის სახით. რასაკვირველია მონარქიას, რომლის აღდგენაზედაც ისინი ფიქრობდნენ, არაფერი საერთო არ ჰქონდა „ძველ რეჟიმთან“. იგი უნდა ყოფილიყო ახალ სოციალურ საფუძველზე დაყრდნობილი ბურჟუაზიულ-ახალთავადაზნაურული მონარქია, არა „ნებითა ღვთისითა“, არამედ „ნებითა ბურჟუაზიისა“. მოკავშირე კლასები, რომლებსაც სურდათ მასების დაშოშმინება და მტკიცე ხელისუფლების შექმნა, საბელმწიფოს ფორმების სხვადასხვა ვარიანტების შერჩევის შემდეგ, ბოლოს ერთსულოვნად შეჩერდნენ ბურჟუაზიულ მონარქიაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ მოკავშირე კლასებმა კურსი აიღეს მტრული ბანაკის კანდიდატზე — ჩარლზ II-ზე. ამ ლეგიტიმური მონარქის ტახტზე დაბრუნებას ინგლისის საზოგადოებრივი აზრი უფრო შეურიგდებოდა, ვიდრე ახალი, ყოველგვარ ტრადიციას მოკლებული დინასტიის შექმნას. ხორცით ფეოდალურ მეფეს ახალი — ბურჟუაზიული სული ჩაბერეს, ბურჟუაზიული სამოსით შემოსეს. მონარქისტები და რესპუბლიკელები დიამეტრულად საწინააღმდეგო პოზიციებზე იდგნენ, მათ აერთიანებდათ მხოლოდ ერთი მრწამსი — ოფიცერთა და არმიის დიქტატურა, როგორც არამყარი და არასტაბილური რეჟიმი, უნდა აღიკვეთოს.

პირველ ხანებში რიჩარდ კრომველის პროტექტორობას პოლიტიკური ჯგუფები გარკვეული კმაყოფილებით შეხვდნენ. ოფიცერთა ზედაფენა ფიქრობდა, რომ ახალგაზრდა პროტექტორს გამოიყენებდა როგორც მარიონეტს, როგორც მათი ოლიგარქიული მმართველობის თეჯირს. რესპუბლიკელები მიესალმებოდნენ ხელისუფლების სათავეში „სამოქალაქო პირის“ მოსვლას, იმედოვნებდნენ, რომ ამიერიდან

ბოლო მოეღებოდა მხედრიონისა და არმიის პოლიტიკურ ბატონობას. თვით როიალისტებშიც იგრძნობოდა ერთგვარი კმაყოფილება. ჯერ ერთი, ახალმა პროტექტორმა ხელისუფლება მემკვიდრეობით მიიღო (მონარქიზმის საფუძველი აღსდგა), ამასთან ერთად, როგორც ჩანს, როიალისტები ფიქრობდნენ, რომ სუსტი ხელისუფლების პირობებში მათ მოქმედების მეტი თავისუფლება ექნებოდათ. ახალგაზრდა მბრძანებელს რაიმე სასიკეთო განახლების მოლოდინში იმედის თვალით შეცქეროდა მშრომელი, ჩაგრული ინგლისელიც.

რიჩარდ კრომველმა დაიწყო იმით, რომ ლონდონელი ფინანსისტებისაგან ახალი დიდი სესხი აიღო. ფულის დიდი ნაწილი (150 000 გირვანქა სტერლინგი) მან მამის არნახულ მდიდრულ დაკრძალვას მოახმარა. ნაწილი უფრო პოზიტიურად გამოიყენა. არმიას და ფლოტს სამი თვის ხელფასი გადაუხადა. ამ ახალმა სესხმა სახელმწიფოს ვალი კიდევ უფრო გაზარდა. მძიმე ფინანსურმა მდგომარეობამ წამოჭრა პარლამენტის მოწვევის აუცილებლობა. ამასთან ერთად, ახალგაზრდა პროტექტორი ფიქრობდა, რომ პარლამენტი შეძლებდა ოფიცერთა პოლიტიკური ექსპანსიის დაკავებას, ბოლოს მოუღებდა მხედრიონისა და არმიის დიქტატურის საფრთხეს. სამხედრო „ხუნტის" ძალმომრეობა პროტექტორმა პირველივე დღეებში განიცადა. ოფიცრები მასობრივად ჩამოდიან ლონდონში, თავს იყრიან ფლიტვუდთან უოლინგფორდჰაუზში, ან დეზბოროს ბინაში. პირველ ყოვლისა, მათ გადაწყვეტეს რიჩარდ კრომველის არმიისაგან იზოლაცია.

1653 წლის კონსტიტუციის თანახმად პროტექტორი არმიის მთავარსარდალიც უნდა ყოფილიყო. 1658 წლის 8 ოქტომბერს უმაღლესმა ოფიცრებმა ფლიტვუდის პირით რიჩარდ კრომველს მოთხოვეს ამ პოსტის სხვისთვის გადაცემა. ვ. თ. სემენოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეს მოთხოვნა ფაქტიურად სახელმწიფოში არმიის სახელმწიფოსაგან და სამოქალაქო ხელისუფლებისაგან სრულიად დამოუკიდებელ ძალად გადაქცევის საშიშროებას ქმნიდა". რიჩარდ კრომველი ნაწილობრივ დათმობაზე მაინც წავიდა. მან ფლიტვუდი დანიშნა თავის მოადგილედ — გენერალ-ლეიტენანტად. პროტექტორი და მისი მომხრეები იმედოვნებდნენ, რომ პარლამენტს თავისთვის სასურველი კანდიდატებით დააკომპლექტებდნენ და მის საქმიანობას თავის სასარგებლოდ წარმართავდნენ. ეს ჩანაფიქრი მათ ნაწილობრივ განახორციელეს. სასურველი კანდიდატების შერჩევის მიზნით ახალ პარლამენტში არჩევნები ჩატარდა არა კრომველის მიერ დადგენილი, არამედ რევოლუციამდელი საარჩევნო სისტემით, რადგან ძველ „დამპალ დაბებში" სასურველი კანდიდატის გაყვანის მიზნით ადგილობრივ მოსახლეობაზე ზეგავლენის მოხდენა და მათი მოსყიდვა გაცილებით უფრო ადვილი იყო, ვიდრე საგრაფოებში და ახალ სავაჭრო-სამრეწველო ქალაქებში. სა-

ხელმწიფოს მდივანმა ტერლომ და „კრომველის დინასტიის“ მომხრე სხვა მოღვაწეებმა ინგლისის სხვადასხვა კუთხეში წინასწარ განსაზღვრეს კიდეც ასარჩევი კანდიდატები. „კრომველის დინასტიის“ მომხრეთა პოლიტიკურ დაჯგუფებას მაშინ უწოდებდნენ „სასახლის“, ანუ „კარის“ პარტიას. რესპუბლიკელი ლედლოუს თქმით, ამ პარტიის რიგებში გაერთიანებული იყო ყველა, ვინც კრომველთან ერთად ხელისუფლების უზურპირებაში მონაწილეობდა და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. პარტიის რიგებში გაერთიანებული იყო კრომველის სახელმწიფო აპარატის მოხელეთა დიდი ჯგუფი, ოფიცერთა ნაწილი, მსხვილი ბურჟუაზიის ვიწრო წრე, რომელსაც კრომველისაგან მინიჭებული ჰქონდა მონოპოლიები და სხვა პრივილეგიები. პარტიის ხელმძღვანელთა შორის გამოირჩეოდნენ სახელმწიფოს მდივანი ტერლო, დიდი ბეჭდის ლორდი-მცველი ფაინესი, ლორდი ბროგჰილი, ლოკარტი, ფილიპე ჯონსი, ჰუგი, უოლი და სხვ.

1659 წლის 17 იანვარს ახალი პარლამენტი შეუდგა საქმიანობას. არჩეულთა უმრავლესობა (100 კაცი) პროტექტორატის მომხრე იყო. რესპუბლიკური ოპოზიცია უმცირესობაში აღმოჩნდა (დაახლოებით 50 დეპუტატი). მიუხედავად ამისა, იგი მაინც საშიშ ძალას წარმოადგენდა. ამას განაპირობებდა მისი ძლიერი შემადგენლობა გამოჩენილი ინდეპენდენტ-რესპუბლიკელების — ჰენრი ვენის, არტურ ჰეზლრიგის, ედმუნდ ლედლოუს, ტომას სკოტის, ადამ ბეინზის და სხვათა სახით. კვლავ გააქტიურდა რესპუბლიკელთა ცნობილი იდეოლოგი ჯეიმზ ჰარინგტონი. დანარჩენი დეპუტატები ზომიერი პრესბიტერელების მეთაურობით ქმნიდნენ თავისებურ „ცენტრს“ — „ჭაობს“.

რესპუბლიკელებმა უარყვეს პროტექტორის რწმუნებანი, უკანონოდ ჩათვალეს ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის ფაქტი და განაცხადეს, რომ სახელმწიფოს მეთაურის, ამ შემთხვევაში პროტექტორის პოსტის დაკავება შეუძლია მხოლოდ პარლამენტის მიერ დანიშნულ პირს. რესპუბლიკელებმა უკანონოდ ჩათვალეს პროტექტორის „ვეტოს“ უფლება, კითხვის ქვეშ დააყენეს მისი, როგორც მხედართმთავრის უფლება. ისინი აცხადებდნენ, რომ სცნობდნენ რიჩარდ კრომველს მისი ხელისუფლების შესაბამისი შეზღუდვის შემდეგ. უმაღლესმა ოფიცრობამ მხარი დაუჭირა რესპუბლიკელთა ამ მოთხოვნას. რესპუბლიკელები უკანონოდ სთვლიდნენ თვით პროტექტორატის კონსტიტუციას, როგორც არაკანონიერი პარლამენტის მიერ შემუშავებულს. ჰენრი ვენის თქმით, პროტექტორატი მოასწავებდა რევოლუციის მონაპოვარზე უარის თქმას, უკან დაბრუნებას „მეფის, ლორდების და თემების“ მმართველობისკენ, მოსპობას „ყველაფრის, რისთვისაც ვიბრძოდით“. რესპუბლიკელებმა მარცხი განიცადეს. გაიმარჯვა „კარის პარტიამ“. ტერლოს წინადადებით პარლამენტმა აღიარა პრო-

ტექტორატი, სცნო ახალი პროტექტორი, საგანგებოდ ხაზი გაუსვა მის, როგორც მთავარსარდლის უფლებას. პარლამენტმა დააშტკიცა შესაბამისი ბიუჯეტი და რაც მთავარია, დაგმო ოფიცერთა უკანონო ჩარევა სამოქალაქო საქმეებში და ზოგიერთი მათგანი სამართალშიც კი მისცა.

რესპუბლიკელები მუდამ იცავდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში არმიის ჩაურეველობის პრინციპს, მუდამ ილაშქრებდნენ არმიის და მისი მეთაურის დიქტატურის წინააღმდეგ, ამჯერად სელისუფლებისათვის ბრძოლის დროს მათ უღალატეს თავის პრინციპს და შეუკავშირდნენ ჯერ არმიას, მერე — თვით ოფიცერთა პარტიას (ე. წ. უოლინგფორდჰაუზის პარტია). არმია, როგორც ვიცით, უკმაყოფილო, თანაც მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. კრომველის გარდაცვალების შემდეგ არმიის უკმაყოფილებამ მთელი ძალით იჩინა თავი. 1658 წლის ოქტომბრიდან ჯარისკაცები და უმცროსი ოფიცრები კვლავ აწყობენ პოლიტიკურ შეკრებებს (წმინდა ჯეიმზის (იაკობის) კაპელაში). ისინი აცხადებდნენ, რომ „ძველი კეთილი საქმე (რევოლუცია — გ. კ.) უსინდისოდ გაყიდეს, ხალხს ხელისუფლება წაართვეს, თავისუფლება მოსპო პროტექტორატის ტირანიამ". ისინი მოითხოვდნენ არმიის წარსული ძლიერების აღდგენას, მისთვის ძველი პრივილეგიების დაბრუნებას. არმია თვლიდა, რომ მას უნდა ჰყავდეს სამოქალაქო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი მთავარსარდალი. არმიაში ყველა უფროსი ოფიცერი (პოლკოვნიკის ჩათვლით) უნდა ინიშნებოდეს მხოლოდ მთავარსარდლის მიერ (პარლამენტისა და პროტექტორის გარეშე). სამხედრო პირნი ექვემდებარებოდნენ მხოლოდ სამხედრო სასამართლოს და სხვ. ჯარისკაცები მოითხოვდნენ აგრეთვე მთავრობის მიერ ხელფასის ვალის დაფარვას, ჯარისკაცთათვის და უმცროსი ოფიცრობისათვის ხელფასების მომატებას. აღსანიშნავია ისიც, რომ არმიის რიგებში საკმაო რაოდენობით იყვნენ აქტიური რესპუბლიკელები. პროტექტორატის ბოლო წლებში არმიაში ჯარისკაცთა და უნტერ-ოფიცერთა შორის მტკიცე ერთობა დამყარდა. უნტერ-ოფიცერთა ძველი თაობა, რომელიც უმეტესად სოფლის ჯენტლმენებით იყო წარმოდგენილი, სოფელს დაუბრუნდა, მათი ადგილები კი შეავსეს რიგითმა ჯარისკაცებმა. ამიერიდან არმიაში ყველა არეულობის დროს ისინი ერთად მოქმედებენ. 1659 წლის გაზაფხულისათვის ახალი პარლამენტის მიმართ (რომელიც არ იქნა მოთხოვნები სავსებით უგულებელყო), არმიის უკმაყოფილება იზრდება. წმინდა ჯეიმზის კაპელაში გამართული კრებები ახალი პარლამენტის წინააღმდეგაა მიმართული, მათი მოთხოვნები უკომპრომისოა. ოფიცერთა ზედაფენამ მიმართა კრომველის ტაქტიკას და თვითონვე ჩაუდგა სათავეში ჯარისკაცთა მოძრაობას, მისი სასურველი გზით წარმართვის მიზნით. ამასთანავე, ოფიცერთა ე. წ. „უოლინგფორდჰაუზის პარტიამ", სადაც ფლიტვუდის, დეზბოროს და ლამბერ-

ტის გვერდით აქტიურად მოღვაწეობდნენ პოლკოვნიკები: უილიამ საიდენჰემი, უილიამ კლარკი, კელსი, ბერი და სხვ., გაითვალისწინა რესპუბლიკელთა გავლენა პარლამენტში, ხალხში, არმიაში და მათთან თანამშრომლობა შესაძლებლად სცნო. ამრიგად, ხელისუფლებისათვის ბრძოლამ ორი სრულიად საპირისპირო პოლიტიკური ჯგუფი — უმაღლესი ოფიცრობა და რესპუბლიკები დააახლოვა. მათი თანამშრომლობა დაიწყო ვენის, ჰეზლრიგისა და ლედლოუს მიმოწერით უმაღლეს ოფიცრებთან. შემდეგ უოლინგფორდჰაუზში ფარულად მიიწვიეს ლედლოუ. იგი არწმუნებდა ოფიცრებს, რომ მათ შეუძლიათ გამოისყიდონ პროტექტორატის, ანუ ერთპიროვნული ტირანიის შექმნით ჩადენილი დანაშაული რესპუბლიკელებთან გაერთიანებით, ხანგრძლივი პარლამენტისა და რესპუბლიკური მმართველობის აღდგენით. ოფიცერთა და რესპუბლიკელთა კავშირი მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა, ამასთან ერთად მათ ხელში იყო დიდი ორგანიზებული ძალა — არმია.

1659 წლის აპრილში დაიწყო მწვავე პოლიტიკური კონფლიქტი. პარლამენტი და პროტექტორი დაუპირისპირდნენ არმიას, ოფიცრობას და მათ „მოკავშირე" რესპუბლიკურ ბანაკს. ოფიცერთა ოპოზიციას სათავეში ჩაუდგა აპრილის დასაწყისში მოწვეული სრულიად ოფიცერთა საბჭო და მის მიერ არჩეული კომიტეტი. მათ 6 აპრილს პროტექტორს წარუდგინეს პეტიცია, სადაც ნათქვამი იყო, რომ არმიის მიზანია აღადგინოს „ძველი კეთილი საქმე (რესპუბლიკა)". ოპოზიციამ, პირველ ყოვლისა, პროტექტორს მოსთხოვა პარლამენტის დათხოვნა და მთავარსარდლის პოსტის დათმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იმუქრებოდნენ, რომ ამ საქმის განხორციელებას მიანდობენ არმიას. 18 აპრილს პარლამენტმა აკრძალა ოფიცერთა საბჭოს საქმიანობა, ჯარისკაცთა მიტინგები და სხვ. პოლიტიკისაგან ოფიცრებისა და არმიის იზოლირების მიზნით. პროტექტორი არჩევანის წინაშე იდგა — არმია ან პარლამენტი. იგი მეორეს მხარეზე დადგა, თუმცა ტერლო და „ქარის" პარტიის სხვა წევრები მის ასეთ ნაბიჯს საბედისწეროდ თვლიდნენ. პროტექტორმა სრულიად ოფიცერთა საბჭო დახურულად გამოაცხადა და ოფიცრებს უბრძანა ადგილებზე, შესაბამის შენაერთებში დაბრუნება, მათი პირდაპირი მოვალეობის — სამხედრო სამსახურის აღსასრულებლად. ოფიცრები არ დამორჩილდნენ, მაშინ პროტექტორმა ბრძანა ფლიტვუდისა და სხვათა დაპატიმრება და უაიტჰოლის ეზოში არმიის თავშეყრა. პროტექტორმა ბრძოლა წააგო, არმიის აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის თვით პროტექტორის გვარდია, მოწინააღმდეგე ბანაკში აღმოჩნდა. 22 აპრილს პროტექტორმა ხელი მოაწერა პარლამენტის დათხოვნას, პარლამენტთან ერთად მან ფაქტიურად თავისი ხელისუფლებაც დაკარგა. მაისის დამდეგს რიჩარდ კრომველი გადადგა და თავის ერთ-ერთ მამულში დასახლდა, ხოლო სტი-

უარტთა რესტავრაციის შემდეგ ევროპაში გაიქცა. 1688 წელს „სახელოვანი რევოლუციის" შემდეგ იგი ინგლისში დაბრუნდა, სადაც 1712 წელს გარდაიცვალა.

•

ოფიცრები და რესპუბლიკელები შეთანხმდნენ შეექმნათ „მყარი", „ძლიერი" ხელისუფლება, მაგრამ მისი ფორმა მათ სხვადასხვაგვარად ესმოდათ. გენერლებს და პოლკოვნიკებს პროტექტორატის გაუქმება არ სურდათ. მათი მიზანი იყო დაყრდნობოდნენ არმიას და ქვეყანა თვითონ ემართათ ყოველგვარ რეალურ ძალას მოკლებული პროტექტორის სახელით, მათი მიზანი იყო სამხედრო დიქტატურა შეეცვალათ მხედრიონის ბატონობის სხვა ფორმით — ოფიცერთა ოლიგარქიით. რესპუბლიკელები მოითხოვდნენ „ხანგრძლივი პარლამენტის" და კრომველის მიერ დასამარებული რესპუბლიკის აღდგენას. მათი პოზიცია უფრო მყარი აღმოჩნდა. სამხედრო დიქტატურით, არმიის გაძლიერებით და ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული უკმაყოფილება იზრდებოდა. რესპუბლიკელთა სოციალური ბაზა ფართოვდებოდა. მათ მხარეზე იყო ბურჟუაზიულ-აზნაურული მესაკუთრეების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებმაც დაამარცხეს მეფე, დაიმკვიდრეს საკუთრება. 1649 — 1653 წლების პირველი რესპუბლიკის აღდგენაში ისინი ხედავდნენ ეკონომიკური წარმატებების და როიალისტთა ხელყოფისაგან თავიანთი საკუთრების დაცვის საუკეთესო საწინდარს. რესპუბლიკის აღდგენას ჯარისკაცთა შორისაც ბევრი მოჰხრე აღმოაჩნდა. 1659 წლისათვის არმიაში აღინიშნა რევოლუციურ-დემოკრატიული განწყობის გაძლიერება, მათ შორის კვლავ გამოჩნდნენ „აგიტატორები", კვლავ გაიხსენეს „სახალხო შეთანხმება", დღის წესრიგში კვლავ დადგა „მეათედის", კოპიჰოლდის და სხვა ფეოდალური გადმონაშთების ლიკვიდაცია, შემოღობვის პროცესის შეჩერება და სხვ. ლეველერთა ერთგვარი გამოცოცხლება, რომელიც კრომველის გარდაცვალების წინ დაიწყო, ისევ შეიმჩნევა. მაგრამ მთავარი მაინც ხალხის ფართო ფენების პოზიცია იყო. ოპოზიციის ყველაზე მემარცხენე ფრთას ამჯერად წარმოადგენდნენ სახალხო რელიგიურ-ერეტიკული სექტები, რომლებიც ინგლისის ისტორიის აღნიშნულ ეტაპზე გამოხატავდნენ ქალაქისა და სოფლის წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული და პლებეური მასების ინტერესებს. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა ანაბაპტისტების სექტა, სადაც შეძლებულ ადამიანებსაც ვხედავთ, მათ შორის ვაჭრებს, ფინანსისტებს, ოფიცრებს, მეზღვაურებს, სახელმწიფო მოხელეებს, იურისტებს, სწავლულებს, მბეჭდავებს და სხვ. სექტანტები

„ხანგრძლივი პარლამენტის“ აღდგენით როდი კმაყოფილდებიან, ისინი მოითხოვენ „წმინდანთა მმართველობის“ — სექტანტური „მცირე პარლამენტის“ აღდგენას, რომელიც უკიდურესი რადიკალიზმით გამოირჩეოდა. საყოველთაო-სახალხო მოძრაობის აღმავლობის პირობებში, რასაც 1659 წლისათვის ჰქონდა ადგილი, სექტანტების მოთხოვნებს რეალური ძალა შეემატა. ასეთ პირობებში გენერლებმა უკან დაიხიეს და გზა დაუთმეს რესპუბლიკელებს. 1659 წლის 6 მაისის დეკლარაციით „ხანგრძლივი პარლამენტის“ იმ წევრებს, რომლებიც მოღვაწეობდნენ 1648 წლის 6 დეკემბრიდან (პარლამენტის პრაიდისეული წმენდა) 1653 წლის 20 აპრილამდე (პარლამენტის განდევნა კრომველის მიერ), თხოვდნენ დაბრუნებულიყვნენ უესტმინსტერში და შეგდგომოდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას. როგორც ვხედავთ, ოფიცრებმა და რესპუბლიკელებმა გადაწყვიტეს აღედგინათ „ნაბოლარა პარლამენტი“, სადაც პრაიდისეული წმენდის შემდეგ აბსოლუტური უმრავლესობა და უპირატესობა მოიპოვეს ინდეპენდენტებმა. მათთან საერთო ენის გამონახვა ოფიცრებსა და რესპუბლიკელებს უფრო ადვილად ესახებოდათ, ვიდრე პრესბიტერელებთან. ოფიცერთა და რესპუბლიკელთა დელეგაცია პირადად ეახლა „ხანგრძლივი პარლამენტის“ ყოფილ უცველ სპიკერს უილიამ ლენტოლს (რომელიც პოლიტიკას ჩამოშორდა და კერძო ცხოვრებას ეწეოდა) და წინადადება მისცა შეეკრიბა პარლამენტის წევრები. მოხუცი სპიკერი, რომელმაც თავისი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში ბევრი გაჭირვება გადაიტანა, შიშმა აიტანა და უარზე დადგა. ოფიცრებმა იგი მუქარით დაითანხმეს. პარლამენტის ყოფილ წევრთა თავშეყრა ძნელი აღმოჩნდა; ნაწილი ცოცხალი არ იყო, ბევრი საერთოდ გაექცა პოლიტიკურ ჭარტეხილს და ოჯახურ მყუდროებას მიეცა. ბევრი სატუსაღოში იჯდა ან ინგლისიდან გადახვეწილი იყო. ლედლოუს მიერ შედგენილი სიის მიხედვით ცოცხალი იყო 160 დეპუტატი. პარლამენტში შესაძლებელი გახდა მხოლოდ სამოცამდე წევრის მოწვევა. 7 მაისს „ხანგრძლივი პარლამენტი“ შეუდგა მუშაობას. პარლამენტში მოიწვიეს ბევრი გამოჩენილი რესპუბლიკელი, მათ შორის, ჰენრი ვენი, არტურ ჰეზლრიგი, ჯონ ჰეტჩინსონი, ედმუნდ ლედლოუ, ჰენრი ნევილი და სხვ.

ამრიგად, ინგლისში კვლავ აღსდგა რესპუბლიკური სისტემა, რომელიც ისტორიაში შევიდა „მეორე რესპუბლიკის“ სახელით. პარლამენტის დამორჩილების მიზნით ოფიცრები მოითხოვდნენ თემთა პალატასთან მხედრიონის ბაზაზე შექმნილიყო მუდმივი სენატი. რესპუბლიკელებმა არ გაიზიარეს ეს წინადადება. ახალმა პარლამენტმა, რომელიც ფაქტიურად ოფიცრებისა და არმიის ნებით იყო მოწვეული, თავიდანვე დამოუკიდებელი, უმაღლესი ორგანოს პრეტენზია განაც-

ხადა და, პირველ ყოვლისა, ოფიცერთა ოლიგარქიული მისწრაფებების ალაგმვა სცადა. ოფიცრები აღშფოთებულნი იყვნენ, მათ შორის, თვით გენერალი ჯონ ლამბერტიც კი, რომელიც აირტონის გარდაცვალების შემდეგ კრომველის მარჯვენა ხელი გახდა, შემდეგ განუდგა მას და რესპუბლიკური ოპოზიციის რიგებში აღმოჩნდა. „ჩემთვის გაუგებარია ის, თუ რატომ უნდა იყვნენ ოფიცრები დამოკიდებულნი პარლამენტის წევრთა მოწყალებაზე და არა პირიქით“, — ამბობდა იგი.

„ნაბოლარა პარლამენტში“ მოღვაწე რესპუბლიკელებმა პოზიციების განმტკიცების მიზნით სცადეს ხალხის დაბალი ფენების ნდობის და მხარდაჭერის მოპოვება. ამ მიზნით ისინი მჭიდრო ურთიერთობას ამყარებდნენ სექტანტურ მოძრაობასთან, რომელიც ამჯერად წარმოადგენდა ხალხის ფართო ფენების ინტერესების დამცველ ძირითად ძალას. თავის მხრივ ბურჟუაზიული რევოლუციონერების მიერ მრავალგზის მოტყუებული ინგლისის ხალხი, რომელიც კიდევ ერთხელ შეეცადა რევოლუციისათვის დემოკრატიული მიმართულება მიეცა, იმედის თვალით შეჰყურებდა „ნაბოლარებს“, მისი სახით იგი ხედავდა რევოლუციური, ანტიმონარქისტული, რესპუბლიკურ-ინდეპენდენტური ძველი „ხანგრძლივი პარლამენტის მემკვიდრეს“, რომელმაც თავის დროს თავი მოკვეთა მონარქს და ხალხს მრავალ რადიკალურ რეფორმას დაპირდა. „ხანგრძლივი პარლამენტისა“ და მისი „ნაბოლარას“ ანტიდემოკრატიული საქმიანობა, ლეველერების და დიგერების განადგურება, ყველა უკანონობა და ბოროტმოქმედება ამჯერად მიაწერეს ოლივერ კრომველის დიქტატორულ ხელისუფლებას.

სექტანტებთან თანამშრომლობის საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა რესპუბლიკელთა ლიდერი ჰენრი ვენი. კრომველთან კონფლიქტის შემდეგ (იგი ვერ შეურიგდა კრომველის ერთპიროვნულ მმართველობას) ვენის რადიკალიზმი სულ უფრო და უფრო გამოიკვეთა. იგი უკვე მაშინ დაუახლოვდა სექტანტებს, მათ შორის, ყველაზე უფრო ენერგიულებსა და გაბედულებს — კვაკერებს. ვენი ხშირად სექტანტების წინაშე ქადაგებითაც გამოდიოდა. იგი ავითარებდა უკიდურეს დემოკრატიულ შეხედულებებს: სამყაროში, ვენის აზრით, უზენაესი ხელისუფალი — სუვერენი არის ღმერთი, დედამიწაზე კი — ხალხი, იგი ერთგულია „ძველი კეთილი საქმისა (რესპუბლიკა)“, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკური და სულიერი (რელიგიური) თავისუფლების ყველაზე საუკეთესო გარანტიას. ვენის მიხედვით ინგლისში ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს რევოლუციის ყველა მონაწილეს და მომხრეს, რომლებიც ყოველწლიურად მოიწვევენ ყოველგვარი ცენზის გარეშე არჩეულ პარლამენტს, უფრო გვიან იგი მოით-

ხოვდა „საყოველთაო ხმის უფლებას მთელი ერისათვის“. კრომველის მიერ დეენილი ვენის პოლიტიკური მოღვაწეობა განახლდა რიჩარდ კრომველის დროს.

„მეორე რესპუბლიკის“ პერიოდში ვენი განსაკუთრებით გააქტიურდა. მისი კავშირი ხალხთან და სექტანტებთან ფართოვდება და უფრო მყარი ხდება. იგი აქტიურ კონტაქტშია ანაბაპტისტებთან, მილენარიებთან, კვაკერებთან და სხვ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იგი კვაკერების ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან, ენერგიულ, გაბედულ და რევოლუციონურ სექტას. ვენის რწმენა ურყევია, ხალხი წარმოადგენს რესპუბლიკური სისტემის ძირითად საყრდენს. ვენი უკავშირდება სექტების ხელმძღვანელებს, თხოვს მათ დახმარებას ხელისუფლების რეორგანიზაციის საქმეში, მოუწოდებს დაიკავონ ხელმძღვანელი პოსტები ხელისუფლების აღგილობრივ ორგანოებში და სხვ. ვენი უფრო შორს მიდის, არაა წინააღმდეგი ხელისუფლება გადაეცეს „წმინდანებს“, აღდგეს უკიდურესად რადიკალური „მცირე პარლამენტი“ და სხვ.

რესპუბლიკელებისა და სექტანტების ამ თავისებურ კოალიციას საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ამერიკელმა ისტორიკოსმა (მინესოტის უნივერსიტეტი) ჯეიმზ მაკლეარმა. მან 1659 წელს უწოდა ინგლისის ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის — უღარიბესი კლასების „იმედისა და აღმავლობის“ წელი. ხანგრძლივი პარლამენტის „ნაბოლარას“ მოწვევით შეიქმნა რესპუბლიკელებისა და რელიგიური რადიკალების კოალიცია. მათ, მაკლეარის აზრით, აკავშირებდათ რესტავრაციისადმი საერთო შიში. რესპუბლიკელებს, პირველ ყოვლისა, სამოქალაქო ომების, რესპუბლიკისა და პროტექტორატის დროს უპირატესად როიალისტების და ეკლესიის საკუთრების ხარჯზე გაზრდილი თავიანთი ქონების ბედი აწუხებდათ. რესტავრაციის შემთხვევაში ისინი ყველაფერს კარგავდნენ. ამიტომ ცდილობდნენ ისინი ძალაუფლების დაუფლებას და შენარჩუნებას და სწორედ ამ საკუთარი მიზნებისათვის სურდათ მათ სექტანტების სახით ხალხთა ფართო ფენების გამოყენება. გამონაკლისს წარმოადგენდა ჰენრი ვენი, დიდი დემოკრატი და რესპუბლიკელი. იგი თავის მრწამსს ემსახურებოდა უანგაროდ, მთელის არსებით. საკუთარ ქონებასთან და ფიზიკურ შესაძლებლობასთან ერთად იგი საერთო საქმეს საკუთარ ქონებასაც ახმარდა, ოფიცერთა კორპორაციასაც მესაკუთრეები ქმნიდნენ. როგორც რესპუბლიკურ ბურჟუაზიას და ახალ თავადაზნაურობას, მათაც აწუხებდათ რევოლუციის, სამოქალაქო ომებისა და პროტექტორატის დროს შეძენილი ქონების (ისევ როიალისტებისა და ეკლესიის ხარჯზე) დაკარგვის საფრთხე, ამიტომ ცდილობდნენ ისინი ხელისუფლების ხელში ჩაგდებას. ინტერესთა ერთიანობამ განაპირობა, უპირველეს

ყოველისა, რესპუბლიკელების და ოფიცრების პოლიტიკური კოალიცია. რესპუბლიკელებისაგან განსხვავებით ოფიცრობა ხელისუფლების განმტკიცების მიზნით არ ეძებდა კავშირს ინგლისის მოსახლეობის ფართო ფენებთან. მათ ძალის, საკუთარი თავისა და არმიის იმედი ჰქონდათ.

რესპუბლიკელთა თანამშრომლობამ სექტანტებთან ხელი შეუწყო ხალხის ფართო ფენების პოლიტიკური აქტიურობის მნიშვნელოვან ზრდას. ლონდონში და ინგლისის სხვა პუნქტებში 1659 წლის განმავლობაში ადგილი აქვს მასობრივ სახალხო მღელვარებას, ეწყობა ქარგლებისა და შეგირდების დემონსტრაციები, ადგილი აქვს სექტანტთა თავშეყრას, მათ მიერ აჯანყების მომზადებას და სხვ. მაგალითად, ესექსში „მეხუთე მონარქიის ადამიანთა" მიერ მაისში მოწვეულ მიტინგს 5 000 კაცი დაესწრო. მიტინგები გაიმართა ებენდონში, კენტერბერში და სხვ. პარლამენტში მოედინებოდა პეტიციების ნიაღვარი სომერსეტშირიდან, უილტშირიდან, დევონშირიდან, ჰემპშირიდან, დორსეტშირიდან და სხვ. 1659 წელი აღინიშნა აგრეთვე გლეხთა მასობრივი გამოსვლებით გლოსტერშირში, ჰერტფორდშირში, მიდლსექსში. გლეხები ანგრევდნენ ღობეებს, ზღუდეებს. ცდილობდნენ კვლავ დაპატრონებოდნენ მემამულეთა მიერ მიტაცებულ სათემო მიწებს. მათ წინააღმდეგ ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალები გამოიყენა.

ვენისა და სხვათა ინიციატივით კრომველის მიერ დევნილი „ძველი კეთილი საქმის" ერთგული მოღვაწეები გაანთავისუფლეს პატიმრობიდან და დააწინაურეს. ჯერ კიდევ რიჩარდ კრომველის პარლამენტმა ციხიდან გაანთავისუფლა ცნობილი ლეველერი რობერტ ოვერტონი, რომელიც 1654 წლიდან პროტექტორის ბრძანებით ციხეში იყო გამომწყვდეული. მას ლონდონში მოსახლეობა აღფრთოვანებით შეეგება. ჯონ ლილბერნის ქვრივს ელისაბედ ლილბერნს დაენიშნა სამუდამო პენსია. ციხიდან გაანთავისუფლეს კრომველის მიერ რეპრესირებული რესპუბლიკელი პოლკოვნიკი ნათანიელ რიჩი, ლეველერი უილიამ ალენი, რესპუბლიკელები: ელურდი, ლოუსონი და სხვ. ისინი „ნაბოლარა პარლამენტმა" მაღალ თანამდებობებზე განაწესა. ლონდონის მილიციის ხელმძღვანელ პოსტებზე დაინიშნენ ბაპტისტები: უილიამ კიფონი, ჯონ ფენტონი, და „მეხუთე მონარქიის ადამიანთა" სექტის ცნობილი წარმომადგენელი ჯონ კენი, რომელიც ერთდროულად დაინიშნა მთავრობის ოფიციოზის რედაქტორად, ნაცვლად გადაყენებული პარჩმონტ ნიდჰემისა. ჰენრი ვენი უფრო შორს წავიდა. მან კვაკერები იხმო ადგილობრივი ორგანოების გადახალისების საქმეში პარლამენტის დასახმარებლად.

„ნაბოლარა პარლამენტის" რესპუბლიკური ფრაქციის ასეთი საქ-

მიანობა იწვევდა მესაკუთრე ინგლისის დიდ უკმაყოფილებას. ჯერ კიდევ რიჩარდ კრომველის პარლამენტში გამოითქვა შეშფოთება რესპუბლიკურ-დემოკრატიული და სექტანტური მოძრაობის გაძლიერების გამო. ერთ-ერთი დეპუტატი ამბობდა, რომ ყოველივე ეს მოიტანს „საყოველთაო ნგრევას, ღვთისმოსავ პატიოსნების შეურაცხყოფას და შევიწროებას... აჯანყებებს, გამთანაბრებელ პრინციპებს, „სახალხო შეთანხმებას“ და სხვა საშინელ ნააზრევს“. ერთ-ერთი პრესბიტერი ღვთისმეტყველი 1659 წლის 18 მაისს სწერდა პარლამენტს: „მე მიმაჩნია, რომ ჩვენი ეკლესია და წყობილება არასოდეს არ განიცდიდა სექტანტების მხრივ ესოდენ დიდ საფრთხეს, როგორც ამჯერად“. მესაკუთრე ინგლისის განსაკუთრებით გულისწყრომას იწვევდა ჰენრი ვენი და მისი თანამებრძოლი სოლუეი. მათ მოქმედებას გმობდნენ თვით რესპუბლიკელებიც. უაიტლოკს მიაჩნდა, რომ ვენს სურს „წმინდანების რესპუბლიკა“, ამიტომ ცდილობს იგი შემუსროს არსებული მაგისტრატურა, მინისტრები და კანონები.

„ნაბოლარა პარლამენტებმა“ სულ მალე დაკარგა ხალხისა და სექტანტების ნდობა, რაც მისი სწრაფი დაცემის არსებითი მიზეზი გახდა. მიუხედავად დიდი (თუმცა ბუნდოვანი) დაპირებებისა „ნაბოლარამ“ დემოკრატიული ინგლისის ფართო ფენების არც ერთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. მეათედი ძალაში დატოვეს. „ნაბოლარამ“ დაადასტურა ჯერ კიდევ 1646 წელს „ხანგრძლივი პარლამენტის“ მიერ გამოთქმული მოსაზრება: „მოიჯარეები, რომლებიც მოითხოვენ მეათედის გაუქმებას, მალე მოგვთხოვენ რენტისაგან განთავისუფლებასაც“. „ნაბოლარამ“ ისევე, როგორც ყველა სხვა პარლამენტმა „მეათედები“ საკუთრების კატეგორიას მიაკუთვნა, ანუ მასზე ხელყოფა წარმოაჩინა როგორც საკუთრებაზე ხელყოფა. „ნაბოლარამ“ უგულებელყო მრავალი სხვა რევოლუციური მოთხოვნა: მათ შორის კოპიჰოლდის გაუქმება, შემოღობვების შეჩერება და შემოღობილი მიწების გლეხობისათვის დაბრუნება, კანონმდებლობის დემოკრატიული რეფორმა, სააჩივლო სისტემის დემოკრატიზაცია, რელიგიური თავისუფლება, აქციზების გაუქმების, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება და სხვ. ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილების ნაცვლად „ნაბოლარამ“ განახორციელა უმკაცრესი რეპრესიები სახალხო მოძრაობისა და სექტანტების წინააღმდეგ. მაგალითად, სასტიკად იქნა ჩახშული გლეხთა გამოსვლა ინდფილდჩეიზში (მიდლსექსის საგრაფო). 1659 წლის 1-ელ ივნისს მიიღეს მკაცრი კანონი სექტანტების წინააღმდეგ. განუხორციელებელი დარჩა ხალხის ფართო ფენების (წერილობითი) მოთხოვნა — ერთიანი კონსტიტუციის შექმნა. „ნაბოლარების“ კონსტიტუციური საქმიანობა შემოიფარგლა მხოლოდ ერთი რეზოლუციის გამოქვეყნებით, რომელიც ითვალისწინებდა პარლამენტის რწმუნება-

თა დამთავრებას 1660 წლის 7 მაისს და შემდეგ კი ახალი არჩევნების ჩატარებას.

„ნაბოლარამ“ ვერც ფინანსური კრიზისი დაძლია. პირიქით, 1659 წლისათვის სახელმწიფოს ვალი კატასტროფულად გაიზარდა. არმიისა და ფლოტისადმი დავალიანებამ მიაღწია 3,3 მილიონ გირვანქა სტერლინგს. საჭირო იყო პროტექტორის—რიჩარდ კრომველის ვალის დაახლოებით 30 000 გირვანქა სტერლინგის დაფარვაც. საზინა ფაქტიურად ცარიელი იყო. ასეთ პირობებში „ნაბოლარა“ იძულებული გახდა ძველი საგადასახადო ტვირთი კიდევ უფრო გაეზარდა და შემოეღო ახალი გადასახადები. სიტი მთავრობას სესხს არ აძლევდა. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მან რამდენადმე დააკმაყოფილა ხელისუფლების მოთხოვნა.

იყო ცდა როიალისტთა ქონების ახალი, მასობრივი კონფისკაციის გზით ფინანსური სიძნელეების დაძლევისა. გაჩნდა სათანადო ფონდი. 1659 წლის ზაფხულში ადგილი ჰქონდა როიალისტთა გამოსვლებს მდიდარი პრესბიტერელის, ჯორჯ ბუსის ხელმძღვანელობით. აჯანყება დაიწყო აგვისტოს დამდეგს ლანკაშირში და ჩეშირში. როიალისტებმა ხელთ იგდეს ქალაქები ჩესტერი, ლივერპული, მანჩესტერი. გენერალმა ლამბერტმა 19 აგვისტოს ნორიჩთან ახლოს გაანადგურა მეამბოხეები. ლამბერტის წარმატებას ხელი შეუწყო ხალხისა და სექტანტების დახმარებამ. 1659 წლის 27 აგვისტოს „ნაბოლარამ“ გამოსცა დეკრეტი, რომელიც ითვალისწინებდა ჯორჯ ბრუსისა და მისი მომხრეების ქონების სეკვესტრირებას. აღსანიშნავია, რომ როიალისტური შეთქმულების წინააღმდეგ იბრძოდა ჰენრი ვენი, რომელიც სათავეში უდგა სექტანტების პოლკს. როიალისტების წინააღმდეგ იბრძოდნენ სკიპონი და უაიტი.

ამრიგად, მესაკუთრე ინგლისთან ერთად „ნაბოლარამ“ ნდობა ხალხშიც დაკარგა. „ნაბოლარას“ მალე არმიაც განუდგა. არმიის ვალი იზრდებოდა, მთავრობა ვერ ახერხებდა ჯარისკაცებისათვის ხელფასის გადახდას და მათი ქვრივებისა და ობლების უზრუნველყოფას. 1659 წლის ივლისის დამლევს ამ მიზნისათვის ვენმა ითხოვა 722,5 ათასი გირვანქა სტერლინგი. არმიის დაკმაყოფილება მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა, ისიც საგანგებო დამატებითი გადასახადების შემოღების გზით (პირველი 50 000 გირვანქა სტერლინგის, მეორე — 100 000 გირვანქა სტერლინგის ოდენობით). პარლამენტისადმი არმიის უკმაყოფილებას ოსტატურად იყენებენ ოფიცერთა ზედაფენები. ოქტომბრის დამლევს სრულიად ოფიცერთა საბჭო პარლამენტს ახალ პეტიციას წარუდგენს, რომლის მიზანია უზრუნველყოს არმიის პარლამენტისაგან დამოუკიდებლობა და ოფიცერთა პოლიტიკისადმი პრიორიტეტის შემდგომი განმტკიცება.

12 ოქტომბერს პარლამენტმა გამოსცა ბრძანება ოპოზიციურად განწყობილი ოფიცრების სამსახურიდან გადაყენების შესახებ. თავისი პოსტები უნდა დაეტოვებინათ ლამბერტს, დეზბოროს, ბეკერს, კელსისა და სხვ. პარლამენტმა გადაწყვიტა გადაესინჯა ოფიცერთა ყველა პატენტი და დაადგინა, რომ ამიერიდან მისი დამტკიცება და გაცემა უნდა განახორციელოს პარლამენტმა — სპიკერის შეშველობით. პარლამენტმა უარყო წინადადება ამნისტია მიეცა იმ პირთათვის, რომლებიც მონაწილეობდნენ მის განდევნაში 1653 წელს. ოფიცრებმა ყველაფერი ეს გაიგეს როგორც აშკარად გამოწვევა და საფრთხე.

13 ოქტომბერს უმაღლესმა ოფიცრებმა არმიაზე დაყრდნობით განდევნეს „ნაბოლარა" პარლამენტი. გამარჯვებულმა გენერლებმა და პოლკოვნიკებმა ქვეყნის მართვა დაიწყეს ე. წ. „უშიშროების კომიტეტის" (Committee of Safety) მეშვეობით. გადატრიალების ორგანიზატორ ოფიცრებთან ერთად კომიტეტში შევიდნენ ინდეპენდენტრესპუბლიკელები: ჰენრი ვენი, სოლტეი, ბალსტროდ უაიტლოკი და სხვ. გენერალთა შორის იყვნენ რესპუბლიკურად განწყობილი ჯონ ლამბერტი და ედმონდ ლედლოუ. ფლიტვუდი დანიშნეს მთავარსარდლად, ლამბერტი მის მოადგილედ, დეზბორო კომისარ გენერლის წოდებით სათავეში ჩაუდგა ინგლის-შოტლანდიის კავალერიას. ორმოცდაათამდე ოფიცერმა წინააღმდეგობა გაუწია გადატრიალებას, ისინი პასუხისგებაში მისცეს.

სამხედრო გადატრიალების წინააღმდეგ პოლიტიკურად ჰრელი და ამასთან ძლიერი ოპოზიცია შეიქმნა. მას წინ აღუდგნენ სამხედრო და სამოქალაქო რესპუბლიკელები, ოპოზიციონერთა შორის იყო ჯონ მილტონი. რესპუბლიკელების თავდასხმის ობიექტი გახდა ვენი. იგი ახალ მთავრობაში კეთილშობილური მოსაზრებებით შევიდა. მას ეჩვენებოდა, რომ რესპუბლიკის გადასარჩენად აუცილებლად საჭიროა პარლამენტისა და არმიის ერთიანობა. სწორედ მათი მორიგება იყო ვენის ოფიცერთა ოლიგარქიულ მთავრობაში შესვლის მიზანი. მისი კავშირი სექტანტებთან გრძელდება. ვენი იბრძვის დემოკრატიული გარდაქმნებისათვის „წმინდანთა" „მცირე პარლამენტის" პროგრამით, ცდილობს უზრუნველყოს: სინდისის სრული თავისუფლება, გადასახადების შემცირება, სასამართლო წარმოების გაიაფება და გამარტივება და ახალი პარლამენტის რაც შეიძლება მალე მოწვევა, ვენის მოწინააღმდეგეთა წრე იზრდება, მის წინააღმდეგ გამოდიან: როიალისტები, პრესბიტერელები, ინდეპენდენტები. რესპუბლიკელთა ყველაზე უფრო თვალსაჩინო მოღვაწის — ვენის იზოლაცია, რესტავრაციის ერთ-ერთ არსებით ფაქტორად იქცა.

ამავე პერიოდში, აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაება შოტლანდიაში განლაგებული არმიის მთავარსარდალი, ფარული მონარქისტი

— ჯორჯ მონკი (ამიერიდან მოვლენათა მსვლელობა საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა). იგი იყენებს თავისი არმიის უკმაყოფილებას „ხანგრძლივი პარლამენტისა“ და „ლონდონის გენერლების“ მიმართ და ლონდონზე ილაშქრებს. მის წინააღმდეგ გაგზავნილი გენერალი ლამბერტი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. 1660 წლის 3 თებერვალს მონკის არმია ლონდონში შევიდა. მას მიესალმა 1659 წლის დეკემბრის დამლევს „უშიშროების კომიტეტის“ მიერ ხელახლა მოწვეული „ნაბოლარა პარლამენტი“. მონკი დანიშნეს ინგლისის, ირლანდიის და შოტლანდიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად და დაუნიშნეს ხელფასი 1000 გირვანქა სტერლინგი. მონკი პარლამენტს ერთგულებას ეფიცებოდა. 9 თებერვალს იგი სასტიკად გაუსწორდა როიალისტურ შეთქმულებას, რომელიც მომზადდა ლონდონის სიტში. არტურ ჰეზლრიგი აღტაცებული იყო მონკის მოქმედებით. „ამიერიდან, ჯორჯ, შენ ჩვენ გვეკუთვნი სულითა და ხორცით“, ასე შეაფასა მან მონკის მოქმედება „ნაბოლარა პარლამენტის“ მიმართ. „ნაბოლარა პარლამენტისადმი“ მონკის ერთგულების ილუზია მალე გაქრა. მონკის მხარდაჭერით პარლამენტში დაბრუნდნენ 1648 წლის „პრაიდისეული წმენდის“ შემდეგ განდევნილი პრესბიტერი დეპუტატები. მალე მათ პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვეს. ბევრმა ინდეპენდენტმა ნებაყოფლობით დატოვა უესტმინსტერი. 1660 წლის 17 მარტს ხანგრძლივმა პარლამენტმა თავი დაშლილად გამოაცხადა. მარტსა და აპრილში დაიწყო ახალი არჩევნები. ამ პერიოდში მონკსა და ჩარლზ II-ს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება. 25 აპრილს მუშაობა დაიწყო ახალმა დამფუძნებელმა პარლამენტმა — კონვენტმა, რომელშიც უმრავლესობა პრესბიტერელებმა და როიალისტებმა მოიპოვეს. 1660 წლის 1 მაისს პარლამენტმა ჩარლზ II ინგლისის მეფედ გამოაცხადა. 1660 წლის 26 მაისს „კანონიერი“ მეფე ლონდონში შემობრძანდა — სტიუარტთა რესტავრაცია განხორციელდა.

სტიუარტთა რესტავრაცია და 1688—1689 წლების გადატრიალება

I. სტიუარტთა რესტავრაცია

რამ გამოიწვია, ერთი შეხედვით, ასეთი მოულოდნელობა — ჩარლზ II-ის ტახტზე დაბრუნება? ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას ძალზე გაუჭირდა. ინგლისის რევოლუციის პირველმა ისტორიოგრაფმა, როიალისტური ბანაკის ერთ-ერთმა ლიდერმა ედუარდ ჰაიდმა (ლორდმა კლარენდონმა) რესტავრაციის ერთადერთ მიზეზად გამოაცხადა ჯორჯ მონკი, თანაც ხაზი გაუსვა იმას, რომ გენერალი მოქმედებდა არა პირადი ინიციატივით, არამედ ღმერთის კარნახით, ე. ი. მონკი იყო აღმასრულებელი განგების ნებისა. კლარენდონის კონცეფციით ღმერთი თვალყურს ადევნებდა ინგლისის ხალხის ოცწლიან ტანჯვას, ბოლოს შეიწყალა იგი და კვლავ აღუდგინა ნორმალური ცხოვრება კანონიერი მეფის ტახტზე დაბრუნებით. ამ საქმეში „პატიოსანი ჯორჯი" „განგების იარაღს" წარმოადგენდა. (1680 წელს ჯორჯ მონკის ყოფილი კაპელანის, ჯონ პრეასის მიერ გამოქვეყნებულ წიგნში „მისი უდიდებულესობის რესტავრაციის საიდუმლო და საშუალება", გატარებულია მოსაზრება, რომლის თანახმად რესტავრაცია განახორციელა პირადად გენერალმა მონკმა როიალისტი ძმის, ღვთისმეტყველ ნიკოლასის კარნახით.) იგივეს იმეორებს მონკის ადრინდელი ბიოგრაფი კაპელანი ტ. გაბლი. ტომას ჰობსიც რესტავრაციას მონკის პირად შემოქმედებად სთვლის. ამასვე აღნიშნავენ რესპუბლიკელი ავტორები, მათ შორის უაიტლოკი და ლედლოუ. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მონკს ისინი წარმოგვიდგენდნენ როგორც პირფერ მოღალატეს, რომელმაც ურცხვად გაყიდა „იმისი, ვისაც ემსახურებოდა" (ე. ი. რესპუბლიკელები. ასეთივე აზრს ავითარებს XVIII საუკუნის ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ ტოლანდი პამფლეტში — „მეფის აღდგენის საშუალება, ანუ გენერალ მონკის პატიოსნება და პირდაპირობა"

1724 წელს ტ. სკინერის ავტორობით გამოქვეყნდა მონკის კიდევ ერთი ბიოგრაფია. აქაც რესტავრაციის ერთადერთ ორგანიზატორად

გენერალია გამოცხადებული, მაგრამ სტიუარტების დაბრუნება მიჩნეულია დადებით მოვლენად. რესტავრაციას ერთი პიროვნების — მონკის შემოქმედებად აღიარებს აგრეთვე გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი დევიდ იუმი.

ამრიგად. XVII — XVIII საუკუნის ავტორები რესტავრაციის ერთადერთ შემოქმედად აღიარებენ გენერალ მონკს. ზოგს იგი განგების იარაღად მიაჩნია, ზოგს ცალკეულ, მიწიერ პიროვნებათა იარაღად. ავტორთა ნაწილი რესტავრაციას დადებითად აფასებს, ნაწილი უარყოფითად, შესაბამისადაა შეფასებული მონკის როლიც. ეს შეხედულება დომინირებს XIX—XX საუკუნეების ისტორიკოსთა შემოქმედებაშიც. მათთვის რესტავრაციის (დადებითია თუ უარყოფითია, ამ შემთხვევაში ამას მნიშვნელობა არა აქვს) ძირითადი თუ არა, ერთადერთი გმირია გენერალი ჯორჯ მონკი. ამ პოზიციაზე დგანან ფ. გიზო, ჯ. კორბეტი, ჰ. ჰალამი, ჯ. ფერსი, ჯ. დეევისი, მ. ეშლი და სხვ. ამავე პოზიციაზე იდგა მონკის პირველი რუსი ბიოგრაფი ი. ვ. ლუჩიცკი და რესტავრაციის შესახებ დაწერილი პირველი საბჭოთა გამოკვლევის ავტორი ვ. ვასიუტინსკი.

მართალია, ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში მონკის საქმიანობის ახსნისას განგების ძალა აღარ დომინირებს (თუმცა მსგავსი რამ მაინც იჩენს თავს, მაგალითად, ჯონ ობრის სახით), მაგრამ აქტიურად მოქმედებენ შემთხვევითი გარემოებები, ცალკეული პირები და სხვ. რაც შეეხება თვით მოვლენას — რესტავრაციას, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის უმრავლესობა მას აფასებს დადებით მოვლენად. [საერთო აზრი დაახლოებით ასეთია: კრომველის გარდაცვალებას მოჰყვა „ანარქია", აჯანყებები, ზედაფენათა გაუთავებელი ჭიშპი, ახალი რევოლუციის და ახალი ტრაგედიის საფრთხე. ქვეყანა და ხალხი იხსნა „მომწესრიგებელმა" გმირმა — გენერალმა მონკმა. მას სტიუარტთა ტახტზე დაბრუნებით აღადგინა „წესრიგი" და „ნორმალური ცხოვრება".]

[1] ამ შეხედულების ერთ-ერთი პირველი ავტორია ფრანსუა გიზო. რომელმაც ამ პრობლემას უძღვნა ორტომიანი გამოკვლევა „რიჩარდ კრომველის პროტექტორატისა და სტიუარტთა რესტავრაციის ისტორია" (1856 წ.). იგივეს იმეორებს ერთი საუკუნის შემდეგ ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი გოდფრი დეევისი 1955 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „ჩარლზ II რესტავრაცია, 1658 — 1660". გიზო-დეევისის კონცეფცია საერთოა მთელი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვის.

მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოჩნდნენ ისტორიკოსები, რომლებიც შეეცადნენ გაერკვიათ რესტავრაციის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები, დაედგინათ მოვლენის

ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ასეთ ისტორიკოსთა შორის შეიძლება დავასახელოთ: ჯეიმზ მაკლეარი, ა. ვულრიჩი, ჯორჯ ებერნატი, მარგრეტ ჯეიმზი და სხვ. მაკლეარს და ვულრიჩს მიაჩნიათ, რომ რესტავრაცია დააჩქარა მესაკუთრე ინგლისის შიშმა სახალხო-რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისადმი, რასაც ადგილი ჰქონდა კრომველის სიკვდილის შემდეგ; ჯ. ებერნატიმ მიუთითა პრესბიტერული ძალების როლზე: მ. ჯეიმზმა რესტავრაციის უპირველეს მიზეზად წარმოაჩინა გაპატონებული კლასების შიში სახალხო მღელვარებათა წინაშე.

• •

საბჭოთა ისტორიოგრაფიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რესტავრაციის ვეშმარიტი მიზეზების დადგენის საქმეში. პირველი სპეციალური ნარკვევი ამ პრობლემას მიუძღვნა ვ. ვასიუტინსკიმ („სტიუარტთა რესტავრაცია" — «Борьба классов», 1936. № 4), სადაც ადგილი აქვს სუბიექტური ფაქტორის, კერძოდ, მონკის როლის გადაჭარბებულ შეფასებას. რესტავრაციის წინაპირობებისა და კლასობრივი არსის მეცნიერული გააზრების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ინგლისის ისტორიის, კერძოდ, რევოლუციის ისტორიის ცნობილმა საბჭოთა მკვლევარმა პროფ. ვ. თ. სემენოვმა. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია ინგლისის ისტორიის საბჭოური ორტომეულისათვის მის მიერ დაწერილი თავი „სტიუარტთა რესტავრაცია". ავტორის მიერ აქ გათვალისწინებულია საბჭოური და უცხოური ისტორიოგრაფიის ყველა მიღწევა და მოცემულია რესტავრაციის განმაზოგადებელი გააზრება, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსისტულ-ლენინური ისტორიული კონცეფცია. აღსანიშნავია აგრეთვე ის წვლილი, რომელიც რესტავრაციის კლასობრივი არსის განსაზღვრაში შეიტანეს საბჭოთა ისტორიკოსებმა: ს. ი. არხანგელსკიმ, ვ. მ. ლავროვსკიმ, მ. ა. ბარგმა, გ. რ. ლევინმა, ი. მ. საპრიკონმა და სხვებმა.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია საბჭოთა ისტორიკოსთა ახალი თაობის წარმომადგენლის ტ. ა. პაველოვას დამსახურება სტიუარტთა რესტავრაციის პრობლემების მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან გააზრების საქმეში. უკანასკნელ წლებში მან ამ პრობლემას რამდენიმე საინტერესო სტატია მიუძღვნა, მათ შორის: „პროტექტორატის დაცემა" (Вопросы истории, 1973, № 11), „გენერალი მონკი და სტიუარტთა რესტავრაცია" («Новая и Новейшая история», 1975, № 1), „ინგლისის რევოლუციის დონ კიხოტი" («Вопросы истории», 1972, № 6), დაბოლოს აღნიშნულ პრობლემას მიეძღვნა მისი საინტერესო მონოგრაფია — „ინგლისის მეორე რესპუბლიკა" (М., 1974).

აღნიშნულ ისტორიკოსთა და ზოგიერთი ჩვენი მოსახრების გათვალისწინების საფუძველზე რესტავრაციის მიზეზები და მისი კლასობრივი არსი, პირველ ყოვლისა, განაპირობა თვით რევოლუციის კონსერვატორულმა ბუნებამ. რევოლუციის ასეთი ხასიათი ჯერ კიდევ ფრანსუა გიზომ აღიარა, თუმცა მან ვერ შეძლო მოვლენის არსის სათანადოდ გააზრება. ამ საქმეში დიდია, როგორც ვიცით, კ. მარქსის დამსახურება. მან ამოხსნა „ინგლისის რევოლუციის კონსერვატორული ბუნების გამოცანა“, დაასაბუთა, რომ მას განაპირობებდა ბურჟუაზიისა და მსხვილი მიწათმფლობელების ხანგრძლივი კლასობრივი კავშირი. ეს ფაქტორი იყო რესტავრაციის საფუძველთა საფუძველი.

გამარჯვებული კლასებისათვის — ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობისათვის რევოლუცია არსებითად დამთავრდა 1660 წელს. მათ უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა რევოლუციით მოპოვებული წარმატებების — ბურჟუაზიული საკუთრების, მოკავშირე კლასების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობის სამუდამოდ დამკვიდრება. მისი დაცვა როგორც ფეოდალურ-აბსოლუტისტური, ასევე ხალხის ფართო მასების ხელყოფისაგან. ხალხის დახმარებით პირველი საფრთხე თითქმის ლიკვიდირებულ იქნა, ფეოდალიზმი და აბსოლუტიზმი დაემხო, მეფეს თავი მოკვეთეს, ფეოდალიზმის და აბსოლუტიზმის რესტავრაციის საფრთხე არსებითად გამოირიცხა მისი სოციალური ბაზის თითქმის სავსებით ლიკვიდაციის შედეგად. რჩებოდა მეორე — თავისი მნიშვნელობით უფრო დიდი საფრთხე — ხალხის ფართო მასები. მოკავშირე კლასების მიერ მოტყუებული ხალხი ბრძოლას განაგრძობდა, მისთვის რევოლუცია დამთავრებული არ იყო, იგი მოითხოვდა რევოლუციის გაგრძელებას, გაღრმავებას. ამ ვითარებამ შეაშინა ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა, მმართველ წრეებს ახალი კომპრომისის საფუძველი შეუქმნა. გამარჯვების შენარჩუნების ერთადერთ აუცილებელ პირობად მოკავშირე კლასებმა აღიარეს ძლიერი, მყარი ხელისუფლება. ხელისუფლების ასეთ ფორმებს შორის ბოლოს და ბოლოს უპირატესობა მიენიჭა მონარქიას.

ეს გადაწყვეტილება მოკავშირე კლასებმა ჯერ კიდევ რევოლუციის პრესბიტერიულ ეტაპზე მიიღეს. პირველი სამოქალაქო ომის დამთავრებისთანავე პრესბიტერული პარლამენტი, როგორც ვიცით, შეეცადა ჩარლზ I-თან საერთო ენის გამონახვას და მისი მონარქიის აღდგენას. ინდეპენდენტები, რომელთა უმრავლესობა, მათ შორის თვით კრომველიც, მონარქისტულად იყო განწყობილი, წინ აღუდგნენ პრესბიტერელთა განზრახვას, მაგრამ მათ საღი პოლიტიკური აღლო კარნახობდა. მათთვის ნათელი იყო, რომ ჩარლზ I არ იქნებოდა მონარქი „ნებითა ბურჟუაზიისა“, „ნებითა პარლამენტისა“, რომ იგი დარჩებოდა

მონარქად „ნებითა ღვთისა“, „ნებითა ფეოდალებისა, რომ იგი კვლავ აღადგენდა ფეოდალურ აბსოლუტიზმს, და რევოლუციის საქმე დაიღუპებოდა. ინდეპენდენტები ამ შეშთხვევაში არ ცდებოდნენ, მათი მოსაზრება სწორი იყო; ეს დაადასტურა კიდეც მეორე სამოქალაქო ომმა. ინდეპენდენტებს მაშინ, როგორც ვიცით, მთელმა ხალხმა, მთელმა დემოკრატიულმა ინგლისმაც დაუჭირა მხარი, რის შედეგადაც ინდეპენდენტებმა რევოლუციის საქმე ბოლომდე მიიყვანეს, ჩარლზ I სტიუარტი ეშაფოტზე აიყვანეს. გამარჯვებულ ინდეპენდენტებს შორის ორი მიმდინარეობა იბრძოდა, ერთს სურდა ბურჟუაზიული მონარქიის დამყარება, მეორე — რესპუბლიკურად იყო განწყობილი. სახალხო რევოლუციური ენთუზიაზმის პირობებში არჩევანი რესპუბლიკაზე შეჩერდა. მაგრამ, სულ მალე ხალხის წინაშე შიშმა ისევ იჩინა თავი. გამარჯვებულმა კლასებმა შეძლეს დემოკრატიის ნეიტრალიზაცია, ბოლო მოუღეს ლეველერებს, დიგერებს და რესპუბლიკა შეცვალეს სამხედრო დიქტატურით — პროტექტორატის რეჟიმით. მაგრამ პროტექტორატის რეჟიმმა ბოლომდე ვერ გაამართლა გამარჯვებული კლასების იმედები, იგი არ აღმოჩნდა „მყარი“ და „მუდმივი“ ხელისუფლება. მაშინ ისევ წამოიჭრა მონარქიის აღდგენის იდეა. მეფობა კრომველს შესთავაზეს, მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გამო მან გვირგვინი არ დაიდგა. რიჩარდ კრომველის დროს პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი დაიძაბა. კვლავ დადგა „ძლიერი ხელისუფლების“ საკითხი. უდღეური პროტექტორი შეცვალა ოფიცერთა ოლიგარქიამ, ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ „ხუნტის“ ბატონობამ. ხუნტას დაუპირისპირდა რესპუბლიკა, თავი იჩინა სახალხო-დემოკრატიული მოძრაობის ახალმა აღმავლობამ. გამარჯვებული კლასების უმრავლესობამ „ძლიერი ხელისუფლების“ იდეისას საბოლოოდ ისევ მონარქიის ვარიანტი აღიარა.

მონარქიის აღდგენისათვის პოლიტიკურ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ხელახლა აღზევებული ოპორტუნისტული პრესბიტერული პარტია, რომელიც ამჯერად გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი და ძლიერი იყო, ვიდრე 1647-49 წლებში. მისი რიგები გაიზარდა. თუ ადრე იგი ძირითადად წარმოდგენილი იყო მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიით (პირველ ყოვლისა, ლონდონის სიტის მაგნატებით) და მსხვილი მემამულეებით, ამჯერად მას შეემატა რევოლუციის პროცესში მეფის, ეკლესიის, დელიქვენტების, ირლანდიის მიწებისა და ქონების შეძენით, სპვადასხვა ფინანსური ავანტიურებით, სპეკულაციით და კოლონიური საქმეებით გამდიდრებული ახალი ბურჟუაზიისა და მსხვილი მემამულეების (ნუვორიშების — ახალი მდიდრების) დიდი მასა. პრესბიტერელებს შორის იყო რევოლუციის, განსაკუთრებით კი პროტექტორატის დროს გამდიდრებული ინდეპენდენ-

ტთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის იყვნენ ასევე გამდიდრებული ყოფილი ლეველერები და დემოკრატიული მოძრაობის სხვა წარმომადგენლებიც კი. ნუვორიშების შესახებ ჩვენ ადრეც გვქონდა ლაპარაკი. ამჯერად ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: ცნობილმა ინდეპენდენტმა უილიამ ელისმა, რომელსაც კრომველის დროს მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა, რამდენიმე წელში შემოსავალი 50 გირვანქა სტერლინგიდან 3060 გირვანქა სტერლინგამდე გაზარდა; რესტავრაციის წინ არტურ ჰეზლრიგის შემოსავალმა 50 000 გირვანქა სტერლინგს მიაღწია; კრომველის თანამებრძოლის ფილიპ ჯონსის წლიური რენტა უდრიდა 4 000 გირვანქა სტერლინგს, ჯონ ტრევორისა — 9 000. უზარმაზარი ქონება შეიძინეს ინდეპენდენტებმა: ფილიპე სკიპონმა, რობერტ რეინოლდსმა, რიჩარდ სოლუეიმ, ოგესტინ სკინერმა და სხვა მრავალმა. განსაკუთრებით რეაქციულ განწყობას ავლენდნენ ირლანდიის და ნაწილობრივ შოტლანდიის მიწების მფლობელი ახალი მემამულეები, რომელთა უმრავლესობას შეადგენდნენ კრომველის არმიის ოფიცრები. მათ შორის იყვნენ მიწების სპეკულაციით გამდიდრებული უნტერ-ოფიცრები და ჯარისკაცები, ყოფილი რესპუბლიკელები, ლეველერები, სექტანტები და სხვ. ეს ახალი ფენა რესტავრაციის საიმედო რეზერვად იქცა. ფარული როიალისტთა შორის ოფიცერთა ოლიგარქიის ბევრი წარმომადგენელიც იყო. მათი უმრავლესობა მხსნევილ მესაკუთრეებს წარმოადგენდა. რაც განსაზღვრავდა კიდეც მათ პოლიტიკურ მორალს. მონარქიისკენ იხრებოდა ბევრი რესპუბლიკელიც.

ამრიგად, 1659 წლისათვის პრესბიტერელები წარმოადგენდნენ მრავალრიცხოვან და გავლენიან პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც მოითხოვდა ძლიერ ცენტრალიზებულ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფდა წესრიგს, სტაბილურობას, ბოლოს მოუღებდა „ანარქიას" და უზრუნველყოფდა „ეკონომიკის ნორმალურ განვითარებას". თავდაპირველად ისინი სტიუარტთა ტახტზე დაბრუნების შესახებ აშკარად არ ლაპარაკობდნენ. ჯერ ერთი, ამის თქმა საშიში იყო, ეს სახელმწიფო ღალატად ითვლებოდა, მეორე მხრივ, პრესბიტერელები არ იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, თუ რას მოიმოქმედებდნენ სტიუარტები ტახტის დაბრუნების შემდეგ, იქნებოდნენ თუ არა პურიტანიზმის მსახურნი? მოინდომებდნენ თუ არა ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის რესტავრაციას? თავდაპირველად პრესბიტერელები და მათი ნაცადი ლიდერი უილიამ პრინი მონარქიის ახალ ვარიანტს ეძებდნენ. ისინი ჯერ კრომველის მეფედ კურთხევას უჭერდნენ მხარს. მისი გარდაცვალების შემდეგ მონარქის კონკრეტულ კანდიდატს არ ასახელებდნენ. 1658 წლიდან მათ შეიმუშავეს ბრძოლის ახალი ტაქტიკა — საზოგადოებრივი აზრის მომზადება მონარქიის რესტავრაციის

სასარგებლოდ. პრესბიტერელები რიჩარდ კრომველის პროტექტორატს დადებითად შეხვდნენ. ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის ფაქტში მათ როიალიზმის პრინციპის წარმატება დაინახეს. პრესბიტერელებმა ახალგაზრდა პროტექტორის თავიანთ ბანაკში გადმობირება სცადეს. ამ მიზნისათვის მათ გამოიყენეს თავისი კაცი — ფარული როიალისტი, გავლენიანი გენერალი ჯორჯ მონკი. მონკი ურჩევდა რიჩარდს თავის ირგვლივ შემოეკრიბა „მცოდნე და ენერგიული ხალხი“ ზომიერ პრესბიტერელთა ბანაკიდან ქვეყნის სამართავად, რადგან გენერლის აზრით, „ხალხის დიდი ნაწილი, არ წარმოადგენს მის საუკეთესო ნაწილს“. გენერალმა დაასახელა კიდეც მმართველი ელიტის შემადგენლობა ძველი და ახალი პრესბიტერული მხარეების წიწათმფლობელების სახით. დასახელებულთა შორის იყვნენ: მჭიდარი პრესბიტერული მემამულე, შემდეგ როიალისტური შეთქმულების ლიდერი ჯორჯ ბრუსი, სახელმწიფო მდივანი ტერლო, მთავარი მოსამართლე სენტ-ჯონი და სხვ. მონკი ურჩევდა პროტექტორს შემოეღო ერთიანი ეკლესია, აელაგმა სექტანტების საშიში, დაშანგრეველი საქციანობა. ანუ აელაგმა სახალხო-რადიკალური მოძრაობა. მონკი პროტექტორს სთავაზობდა აგრეთვე არმიის რეორგანიზაციას, საეკლეო ოფიცრების დათხოვას, მათ შევსებას სანდო პირებით (პრესბიტერელებით), ახალი პოლკოვნიკებისათვის ოფიცერთა დანიშვნის უფლების მინიჭებას, ჯარისკაცთათვის ხელფასების დარიგებას და სხვ. ერთი სიტყვით, პრესბიტერელებმა მოსინჯეს ახალგაზრდა პროტექტორის შესაძლებლობა „ბლიერი ხელისუფალის“ როლში. ამავე პერიოდში შემუშავდა პოლიტიკური მმართველობის პრესბიტერული პრინციპი: „ერთი პიროვნების (პროტექტორი ან მეფე) მთავრობა“, მოკავშირე კლასებით დაკომპლექტებული ორპალატიანი პარლამენტი და სამოქალაქო ხელისუფლებას დამორჩილებული არმია.

რესპუბლიკის აღდგენის დროს პრესბიტერელები შეეცადნენ შეეღწიათ ხანგრძლივი პარლამენტის შემადგენლობაში, სადაც მათ გზა დახშული ჰქონდათ. 1659 წლის 9 მაისს პრაიდის წმენდის შედეგად „ხანგრძლივი პარლამენტის“ შემადგენლობიდან დევნილი დეპუტატთა ჯგუფი მიადგა უესტმინსტერის სასახლეს თავისი ადგილების დასაკავებლად. კარებს იცავდა საგანგებო რაზმი, რომელიც აღასრულებდა გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად პრაიდის მიერ დათხოვილ დეპუტატებს პარლამენტში დაბრუნების უფლება არ ჰქონდათ.

პრესბიტერელთა პოლიტიკური აქტიურობა სასურველ შედეგსაც აღწევდა. მაგალითად, მოვიყვანთ ერთ ფაქტს: „ნაბოლარა პარლამენტმა“ ლონდონის ლორდ-მერის პოსტზე თავისი კაცი დანიშნა. პრესბიტერელებმა სასტიკი განგაში ასტეხეს ქალაქის ძველი პრივილეგიების უხეშად დარღვევის გამო. რამდენიმე ოლდერმენი და შერიფი

პროტესტის ნიშნად გადადგა. პარლამენტმა უკან დაიხია, ლონდონის სიტის მესვეურებმა მერად თავიანთი კაცი გაიყვანეს. პრესბიტერელთა პოზიციას ამაგრებდა ლონდონის სიტის მაგნატების მიერ ხელისუფლებისათვის სესხის მიცემაზე უარის თქმა, რასაც კრომველის სიკვდილის შემდეგ ხშირად ჰქონდა ადგილი.

საკმაოდ სოლიდური როიალისტური ამბოხება პრესბიტერული ელემენტების მიერ იყო ორგანიზებული, ამაზე ნათლად მეტყველებს მისი სოციალური შემადგენლობა. ამბოხების ორგანიზატორთა შორის იყვნენ მსხვილი მემამულეები, სავაჭრო, ფინანსური და მრეწველი მსხვილი ბურჟუაზიის, პირველ ყოვლისა, ლონდონის სიტის მაგნატების წარმომადგენლები. ბუსის ამბოხების მომენტში საბოლოოდ გაფორმდა მსხვილი მიწათმფლობელებისა და მსხვილი ბურჟუაზიის როიალისტურ-პრესბიტერული ბლოკი. ამიერიდან სიტყვა „პრესბიტერელი“ და „როიალისტი“ სინონიმად იქცა.

მაგრამ არსებობდა განსხვავება. როიალისტები მიზნად ისახავდნენ შეუძლებელს — მეფის აღდგენას ძველ ფეოდალურ-აბსოლუტისტურ უფლებებში. პრესბიტერელები (ვუწოდოთ მათ „ნეოროიალისტები“) კი კონსტიტუციური ბურჟუაზიული მონარქიის მომხრენი იყვნენ: ამით აიხსნება ის, რომ ბუსის ამბოხების დროს ჩარლზ II-ის ტახტზე აღდგენის შესახებ პირდაპირ არავინ ლაპარაკობდა. „ნეოროიალისტებმა“ ჩარლზ II თავის რეალურ კანდიდატად მიიჩნიეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა მან გამოაქვეყნა ცნობილი „ბრედის დეკლარაცია“, ანუ აღიარა რევოლუციის მიერ დამკვიდრებული ახალი სოციალური სისტემა და დათანხმდა ყოფილიყო კონსტიტუციური, ბურჟუაზიული მონარქი „ნებითა პარლამენტისა“.

„ნეოროიალისტების“ წარმატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ინგლისის მოსახლეობის ფართო ფენების პოზიციას. 1659 წელს ისინი ჯერ კიდევ იმედის თვალით შესცქეროდნენ „ნაბოლარა პარლამენტს“ და რესპუბლიკას.) ასეთ პირობებში „ნეოროიალისტების“ და „ძველი როიალისტების“ ბლოკის წარმატება გამორიცხული იყო. მაგრამ „ნაბოლარებისა“ და რესპუბლიკელების პოლიტიკამ ხალხის თვალში ყოველგვარი ავტორიტეტი დაკარგა. 1660 წლისათვის აშკარად იგრძნობოდა მოსახლეობის ფართო ფენების ინდიფერენტიზმი მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისადმი და ხელისუფლებისადმი მებრძოლი პოლიტიკური პარტიების მიმართ. თანამედროვეები მრავალგზის ადასტურებენ ამ ვითარებას, რამაც „ნეოროიალისტებს“ წარმატების მოპოვების დიდი შესაძლებლობები შეუქმნა. ხალხის თვალში ყოველგვარი ავტორიტეტი დაკარგა ოფიცერთა ოლიგარქიამ „უშიშროების საბჭოს სახით“. დემოკრატიული მასების პოლიტიკურ

დემობილიზაციას ხელი შეუწყო კრომველის მიერ ლეველერების და დიგერების განადგურებამ, მკაცრმა რეპრესიებმა ყოველგვარი დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ. მასების ინდიფერენტიზმმა რესპუბლიკის და ოფიცერთა ხელისუფლების ბედის მიმართ „ნეოროიალისტთა“ პოზიციები საგრძნობლად განამტკიცა. რესპუბლიკური მთავრობისადმი აქტიური მხარდაჭერისა და თანამშრომლობის სურვილი, რომელიც ხალხმა გამოამჟღავნა, მისი არსებობის პირველ თვეში ჩაკვდა. ხალხი გულგრილად შეხვდა ინდეპენდენტური რესპუბლიკის მარცხს, რაც განაპირობა „მეორე რესპუბლიკის“ მმართველი წრეების ეგოისტურმა ანტისახალხო პოლიტიკამ. ხალხი ინდიფერენტულად შეხვდა მწვავე პოლიტიკურ კრიზისს 1659 წლის ნოემბერსა და დეკემბერში. „მეორე რესპუბლიკისა“ და ოფიცერთა დიქტატურის პოლიტიკით იმედგაცრუებული სექტანტები, რადიკალურ-დემოკრატიული მოძრაობის ეს უკანასკნელი მედროშეები, გაეთიშნენ აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლას, დაიშალნენ მცირე ჯგუფებად, გადაეშვნენ უკიდურეს მისტიციზმში, უარყვეს აქტიური ბრძოლის მნიშვნელობა. ანაბაპტისტებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ სურთ მშვიდობიანი ცხოვრება, საქმიანობა და აღიარებენ ხელისუფლებისადმი დამორჩილებას. კვაკერები ლონდონელ ახალგაზრდებს მოუწოდებენ უარი თქვან აქტიურ ბრძოლაზე, აჯანყებაზე და ყოველმხრივ მიენდონ ღმერთს, განგების ძალას.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არმიის პოზიციას. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ არმიაში რევოლუციური რომანტიკა და ენთუზიაზმი შეცვალა წმინდა პროფესიონალურმა ჯარისკაცურმა უტილიტარიზმმა და პრაგმატიზმმა, შემოსავალი, ხელფასი და მატერიალური კეთილდღეობა ამოძრავებს ამიერიდან ინგლისის არმიას, რომელიც ამასთანავე ორ ურთიერთსაპირისპირო ძალად გაითიშა. სახეზე იყო არმიის სამხრეთული, ე. წ. ლონდონისეული დაჯგუფება ლამბერტის მეთაურობით. ლამბერტს ბუსის ამბოხების ლიკვიდაციის შემდეგ მადლიერმა პარლამენტმა მას ჯილდოდ 1000 გირვანქა სტერლინგი გამოუყო. გენერალმა ეს თანხა გაუნაწილა ჯარისკაცებს და ერთგვარად შეარბილა ჯარისკაცთა უკმაყოფილება, რაც ხელფასის დაგვიანებით იყო გამოწვეული. ამის შემდეგ ლამბერტი ჯარისკაცთათვის გახდა ერთადერთი სასურველი გენერალი. თვითონ ლამბერტი — რესპუბლიკის ეს ერთადერთი იმედი, არ გამოირჩეოდა პოლიტიკური თანამიმდევრობით. იგი ჯერ კრომველის მარჯვენა ხელი გახდა, მერე ოპოზიციაში აღმოჩნდა, შემდეგ რესპუბლიკელად მოგვევლინა, მერე კი ოფიცერთა ოლიგარქიის მესვეური იყო. მას მოჭარბებულად ახასიათებდა პოლიტიკური ამბიცია, იგი მუდამ პირველი კაცის პრეტენზიას აცხადებდა, განსაკუთრებით კრომველის გარდაცვალების შემ-

დეგ, როცა თავს კრომველის ყველაზე უფრო რეალურ მემკვიდრედაც კი თვლიდა. ცხადია ასეთი პიროვნება რესპუბლიკური რეჟიმის მტკიცე დამცველის როლში არ გამოდგებოდა. „მე ლამბერტს ძალზე კარგად ვიცნობ, ამიტომ ეჭვი არ მეპარება, რომ იგი არ მისცემს ამ ადამიანებს უფლებას უესტმინსტერში ისხდნენ თუნდაც შობამდე".— ამბობდა მონკი, რომელიც წინასწარ გრძნობდა, რომ ლამბერტი პარლამენტს დაითხოვდა. როგორც აღვნიშნეთ, იგი ბუსის ამბოხების ლიკვიდატორის შარავანდედით შემოსეს. ეს გენერლისა და მასზე დაქვემდებარებული არმიის როლის აშკარა გაზვიადება იყო. აჯანყების ლიკვიდაციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა ლამბერტის დეზორგანიზებულმა არმიამ, არამედ სახალხო მილიციამ და რესპუბლიკის დასაცავად სექტანტების მიერ ორგანიზებულმა შეიარაღებულმა რაზმებმა.

არმიის მეტამორფოზის კარგი მაგალითია მისი პოზიცია ოფიცრების მიერ 1659 წლის 15 ოქტომბერს „ნაბოლარა პარლამენტის" გარეკვის დროს. მსგავს მოვლენას ადგილი ჰქონდა 1653 წელს, როცა კრომველმა არმიის დახმარებით „ნაბოლარები" პირველად განდევნა. მაშინ არმია რევოლუციურ-პროგრესული პოლიტიკური ძალა იყო, მისი მოქმედება პასუხობდა როგორც მოკავშირე კლასების, ასევე ხალხის ფართო ფენების ინტერესებს. 1659 წელს კი არმია ემსახურება ხელისუფლებისათვის მებრძოლ ოფიცერთა ჯგუფს. იგივე განმეორდა ლამბერტისა და მონკის არმიების დაპირისპირების ჟამს. არმიის უკმაყოფილება რესპუბლიკისა და „უშიშროების" კომიტეტის მიმართ, რომლებმაც არმიის მოთხოვნილებები ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილეს, „ნეოროიალისტების" წარმატების კიდევ ერთ საფუძვლად იქცა.

ლამბერტის არმიას, რესპუბლიკის ამ არარეალურ იმედს, უპირისპირდებოდა შოტლანდიაში გახლაგებული, ფარული როიალისტის (კონსტიტუციური მონარქისტის) პრესბიტერელებთან დაახლოებული გენერალ ჯორჯ მონკის გაწვრთნილი, დისციპლინირებული და ერთგული არმია. ეს ფაქტორი „ნეოროიალისტთა" ბანაკის საიმედო ძალას წარმოადგენდა.

ხალხის ფართო ფენებში ავტორიტეტი ვერც „უშიშროების კომიტეტმა" მოიპოვა. ხალხის ფართო მასების მოთხოვნათა ოდნავად მაინც დაკმაყოფილების ნაცვლად, ოფიცრებმა 1659 წლის ნოემბრის დამლევს აკრძალეს სახალხო მიტინგები, 1-ელ დეკემბერს კი — პეტიციების შედგენა და მასზე ხელის მოწერა. დამნაშავენი სასტიკად ისჯებოდნენ. „უშიშროების კომიტეტმა" ვერ გამონახა სახელმწიფო მმართველობის სტაბილური ფორმა, იგი ადგენდა კონსტიტუციის მრავალ, ურთიერთსაწინააღმდეგო პროექტს. „ხუნტის" პოლიტიკური

უსუსურობა გამოვლინდა იმაში, რომ იგი ხან პროტექტორატის აღდგენას ცდილობს (ლონდონში ფარულად ჩამოიყვანეს რიჩარდ კრომველი), ხან ჩარლზ II-თან აბამს ფარულ კავშირს და სთავაზობს დაიბრუნოს ტახტი კუნძულ უაიტზე წარდგენილი წინადადებების საფუძველზე.

ამასთან ერთად „უშიშროების კომიტეტი“ მკაცრად ესწორდება სახალხო გამოსვლებს. მან სასტიკად ჩაახშო ლონდონელ შეგირდთა 1659 წლის 5 დეკემბრის გამოსვლები, 16 დეკემბერს ლიკვიდირებულ იქნა ლონდონელთა შეიარაღებული გამოსვლები, „უშიშროების კომიტეტს“ დაუპირისპირდა აგრეთვე „ნაბოლარა პარლამენტის“ ბევრი მომხრე. დეკემბრის დამდეგს არტურ ჰეზლრიგმა და პოლკოვნიკმა მორლიმ ხელთ იგდეს პორტსმუტის გარნიზონი, მათ წინააღმდეგ გაგზავნილი სამხედრო შენაერთები მათ მხარეზე გადავიდა. „უშიშროების კომიტეტის“ წინააღმდეგ მოქმედებდა აგრეთვე ფლოტი, სადაც მდგომარეობა ძალზე დაძაბული იყო. ფლოტის სარდალი ვიცე-ადმირალი ლოუსონი მოითხოვდა პარლამენტის მოწვევას. ორად გაითიშა ირლანდიის არმიაც. ოფიცერთა და ჯარისკაცთა დიდი ნაწილი პარლამენტის აღდგენას უჭერდა მხარს და არ ცნობდა ოფიცერთა ხელისუფლებას. პარლამენტის აღდგენას ითხოვდა აგრეთვე მონკი და მისი არმია.

„წესრიგი“ და „მყარი სახელმწიფო“, ასეთი იყო მესაკუთრე ინგლისელთა საერთო მოთხოვნა. „კანონიერი“, „თავისუფალი“ და „სოული“ პარლამენტის აღდგენა საყოველთაო ლოზუნგად იქცა. 6 დეკემბერს ჩატარდა „სამი სამეფოს სრულიად ოფიცერთა საბჭოს“ სხდომა, რომელმაც შეიმუშავა ხელისუფლების ახალი ვარიანტი: სენატი, პარლამენტი და „სახელმწიფო საბჭო“. დადგენილი კონსტიტუციური ნორმების მიხედვით არმია უნდა დამორჩილებოდა არა სამოქალაქო ხელისუფლებას, არამედ „სრულიად ოფიცერთა საბჭოს“. ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ახალი კონსტიტუცია ისევ მხედრიონის ბატონობას, ისევ ოფიცერთა ოლიგარქიას აწესებდა. ოფიცერთა ხელისუფლებისადმი საყოველთაო უნდობლობა ძალაში დარჩა. ასეთ ვითარებაში პრესბიტერული პარტიის, როგორც ყველაზე უფრო რეალური „წესრიგის პარტიის“ ავტორიტეტი იზრდებოდა.

განსაკუთრებით ყურადსაღები იყო ის, თუ რა პოზიციას დაიკავებდნენ ინგლისის საშუალო მესაკუთრეები—სახელმწიფოში „მუდმივი ინტერესების“ მქონე ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი და მყარი ფენა (მათ რიგებს უნდა მივაკუთვნოთ წვრილი ბურჟუაზიის მატერიალურად უზრუნველყოფილი ნაწილიც). „საშუალო ადამიანების“ (Middle man), ანუ სხვანაირად, „ნეიტრალების“ (neuters) სოციალური კატეგორია უკვე რეოლუციამდე ამბობდა თავის სიტყვას.

რევოლუციის, რესპუბლიკისა და პროტექტორატის დროს მისი გაკლენა გაძლიერდა. თანამედროვეებმა მისთვის შერქმეული ზედმეტი სახელით — „ნეიტრალები“ კარგად გამოხატეს „საშუალო ადამიანების“ საზოგადოებრივი მორალი და პოლიტიკური ჰაბიტუსი. ამ ფენის ბირთვს ქმნიდა საშუალო შეძლების ქალაქის ბურჟუაზია, მრავალრიცხოვანი სოფლის ჯენტრი და მდიდარი გლეხი. ეს თავიდან რევოლუციური ძალა თანდათან კონსერვატორულ-კონტრრევოლუციური სულისკვეთებით განეწყო. მათთვის არსებობდა ერთი იდეალი, ერთი სამშობლო, ერთი რწმენა — საკუთრება. იგი მათ რევოლუციის შედეგად საიმედოდ დაიმკვიდრეს და გაზარდეს. ამიერიდან მათი მიზანია მშვიდად ისარგებლონ მოპოვებული კეთილდღეობით, უზრუნველყონ საკუთრების უსაფრთხოება და მოიპოვონ ეკონომიკური საქმიანობის ნორმალური პირობები.) „წესრიგი“ და „მყარი“, „სტაბილური“, „მტკიცე ხელისუფლება“ — ასეთია მათი ძირითადი მიზანი. „მიდლმენების“ მესაკუთრულ-ეგოისტური განწყობით უნდა ავხსნათ ერთი შეხედვით ძნელად ასახსნელი კლობმენების სახელით ცნობილი გლეხთა გამოსვლები, როცა გლეხობა ებრძოდა მეფესაც და პარლამენტსაც. პოლიტიკურმა მოუწესრიგებლობამ, გაუთავებელმა ბრძოლამ პარტიებსა და სხვადასხვა ხელისუფლებათა შორის, საგადასახადო სისტემაში თვითნებობამ, ექსტრაორდინარულმა გადასახადებმა, მხედრიონისა და არმიის ძალმომრეობამ, ჯარის სადგომად მათი ბინების გამოყენებამ, დუქნების, სახელოსნოების, კარმიდამოსა და შენახული ჰირნახულის დარბევის გაუთავებელმა საფრთხემ და სხვა, განამტკიცა „ძლიერი“, „სტაბილური“ ხელისუფლებისადმი მიდლმენების მისწრაფება.

კრიზისიდან თავის დაღწევას ინგლისის ხალხის ფართო-პლებეური მასა უპირატესად რევოლუციის შემდგომი გაღრმავებითა და დემოკრატიული გარდაქმნებისათვის ბრძოლის გზით ცდილობდა, მიდლმენი კი ძირითადად ძლიერი ხელისუფლების დამყარების, რევოლუციის კონსერვაციის და კონტრრევოლუციის გზას ამჯობინებს. „მიდლმენები“, როგორც წესი, პოლიტიკური ინდიფერენტიზმით გამოირჩეოდნენ, ისინი მხარს უჭერდნენ იმეთ მთავრობას, რომელიც მათ მესაკუთრე-ეგოისტურ მოთხოვნებს შეესაბამებოდა (ამიტომ იყვნენ ისინი „ნეიტრალები“). კრომველის მერე ასეთი მთავრობა არ ჩანდა. ასეთ პირობებში „მიდლმენები“ „წესრიგის პარტიის“ მხარეზე აღმოჩნდნენ. ამ პრეტენზიას კი ამჯერად აცხადებდა პრესბიტერული პარტია. „მიდლმენების“ მხარდაჭერას მათთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. როცა არჩევანი მონარქიის აღდგენაზე შეჩერდა, ცხადია, „მიდლმენები“ „ნეომონარქიზმის“ პრინციპზე დადგნენ. მათთვის ხელსაყრელი იყო მხოლოდ პარლამენტზე დაქვემდებარებული ბურჟუა-

ზიულ-კონსტიტუციური მონარქია. „ბრედის დეკლარაციის“ შემდეგ „მიდლმენები“ სტიუარტთა აღდგენის მიმართ ლოიალურად განეწყვნენ, ისინი ხომ ბურჟუაზიული საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტიას იძლეოდნენ. „მიდლმენების“ პოზიციას რესტავრაციის ობიექტურ მიზეზთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სამწუხაროდ, ამ სოციალური ფენის ისტორიული როლი საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ ჯეროვნად არ არის შესწავლილი. ბურჟუაზიული ისტოროიოგრაფია კი დამაჯერებელ პასუხს არ იძლევა, ამის საუკეთესო მაგალითია ტროვერ-როპერი, რომელმაც მთელი რევოლუცია მხოლოდ „მიდლმენების“, უფრო ზუსტად, მისი ერთი ნაწილის — სოფლის ჯენტრის დამსახურებად წარმოგვიჩინა.

პოლიტიკური არამდგრადობა, ხელისუფლების ცვალებადობა და ეკონომიკური მოშლილობა წერილი ბურჟუაზიის უკმაყოფილებასაც იწვევდა, სწორედ ამის შესახებ გაიძახოდნენ 5 დეკემბერს ლონდონელ შეგირდთა მღელვარების მონაწილენი. ძლიერი, სტაბილური ხელისუფლების აუცილებლობას წერილი ბურჟუაზია არ უარყოფდა. მათ შორის რესპუბლიკური განწყობა უდავოდ ჭარბობდა, მაგრამ ბევრი მაფგანი არც მონარქიის აღდგენის შესაძლებლობას გამორიცხავდა.

რესტავრაციის უმტკივნეულოდ განხორციელებას ხელი შეუწყო ავრეთვე ოფიცერთა და რესპუბლიკელთა ბლოკის დაშლამ, მათ შორის განხეთქილებამ ვენი და ჰარინგტონის მომხრეთა ჯგუფი, მათ შორის ნევილი, მარტენი, უაილდმანი, ჯოისი და სხვები ცდილობენ აღადგინონ ეს ბლოკი. ვენი რესპუბლიკის გადარჩენას ზეხელოვნის დახმარებით ფიქრობდა, ამით აიხსნება მისი მონაწილეობა ოლიგარქიულ „უშიშროების კომიტეტში“. ოფიცრებისა და არმიის წინაშე ქედს იხრიდა აგრეთვე უაიტლოკი. ჰარინგტონის მომხრეებმა ფლიტვუდს წინადადებით მიმართეს ერთად შეექმნათ რესპუბლიკა ჰარინგტონის კონსტიტუციის საფუძველზე. ჰარინგტონი, გამომდინარე თავისი ცნობილი პრინციპიდან: „მეზღვაური უნდა ენდოს გემს და არა ზღვას“, ანუ ხალხის თავისუფლება თვით ხალხს კი არ უნდა მივანდოთ, არამედ ელიტას (მესაკუთრეებს), ოფიცრებს სთავაზობდა არა დემოკრატიულ, არამედ კონსერვატორულ რესპუბლიკას. მიუხედავად ამისა, მისმა წინადადებამ მხარდაჭერა ვერ პოვა. ოფიცერთა ელიტის შიგნით აღგილი ჰქონდა ურთიერთდაპირისპირებას. პირველობისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ ფლიტვუდი და ლამბერტი. დეზბორო და მონკი ვერ ურიგდებოდნენ იმას, რომ ფლიტვუდსა და ლამბერტს რანგით მათზე უფრო მაღალი პოსტები ეკავათ.

ნეოროიალისტების სასარგებლოდ მოქმედებდა განხეთქილება თვით რესპუბლიკელთა შორის. შემარჯვენე რესპუბლიკელები უკმაყოფილონი იყვნენ ვენის რადიკალიზმით და სექტანტებთან მისი თა-

ნამშრომლობით. ურთიერთდაპირისპირებამ და ხელისუფლებისათვის ბრძოლამ ანტი-მონარქისტული ძალები საგრძნობლად დაასუსტა, რაც ნეოროიალისტების გაძლიერების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საწინდარი გახდა.

„მონარქიის აღდგენის მომხრეთა რიცხვი ინგლისში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, „ადამიანებს, რომლებიც აქამდე მონარქიისადმი მხარდაჭერის სურვილს ოდნავადაც არ ავლენდნენ, ბოლოს და ბოლოს მობეზრდათ მხედრიონის კაპრიზების ტყვეობაში ყოფნა“, — წერდა გარდინერი. რესტავრაციის საფრთხეს თანამედროვენიც გრძნობდნენ. „მეფე ადრე თუ გვიან გვირგვინს დაიბრუნებს, ხალხს სხვა მმართველები აღარ სურს“, — ამბობდა ჰენრი ვენი.

* *

რესტავრაციის აუცილებლობა, არსებითად ობიექტურმა მიზეზებმა მოამზადეს. ამასთან ერთად, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სუბიექტურ ფაქტორს — გენერალ მონკისა და მისი არმიის სახით. აუცილებლობა, ანუ რესტავრაცია, შემთხვევითობის (პიროვნების, ამ შემთხვევაში მონკის) საშუალებით განხორციელდა.

ჯორჯ მონკი, წარმოშობით ძირძველი ახნაური, დაიბადა 1608 წელს, აღიზარდა როგორც ერთგული მონარქისტი, ჭაბუკობიდანვე ეზიარა სამხედრო საქმეს და პროფესიონალი სამხედრო გახდა. მსახურობდა ფლოტში. 1637 წელს მეფის არმიაშია და აჯანყებულ შოტლანდიელებს ებრძვის, 1641 წელს მონაწილეობს ირლანდიის აჯანყების ჩახშობაში, სამოქალაქო ომების დაწყებისას იგი მეფის არმიის ერთ-ერთი პოლკის მეთაურია. 1644 წლის 25 იანვარს ნანტვიჩის ბრძოლაში პარლამენტის ჯარებმა იგი ტყვედ ჩაიგდეს. პარლამენტმა მას პატივმრობა მიუსაჯა და ტოუერში ჩასვა. 1646 წელს მეფის დამარცხების შემდეგ მან მიიღო პარლამენტის წინადადება, აღიარა კოვენანტი და პარლამენტის არმიის ოფიცრის მუნდირი ჩაიცვა. მას მაინც ფარულ მონარქისტად და ანგლიკანური ეკლესიის მიმდევრად თვლიდნენ და ეჭვის თვალით უყურებდნენ. 1650 წელს იგი კრომველის არმიის ერთ-ერთ პოლკს მეთაურობს და წარმატებით იბრძვის შოტლანდიელების წინააღმდეგ. კრომველმა მონკი დააახლოვა და დააწინაურა, დანიშნა არტილერიის ლეიტენანტ-გენერლად. სამხრეთში წამოსვლის შემდეგ კრომველმა მონკი შოტლანდიაში დატოვა. 1652 წელს ჰოლანდიასთან ომის დროს მონკი ფლოტის ერთ-ერთი ხელმძღვანელია და აქაც გამოიჩინა თავისი შესაძლებლობანი. პარლამენტმა მისი დამსახურება უმაღლესი ჯილდოებით აღნიშნა. პროტექტორატის დროს მონკი კრომველის უერთგულესი მსახურია. მან 1654-55 წლებში სასტიკად ჩაახშო გამოსვლები შოტლანდიაში, 1654 წლის დეკემბ-

ერში ბოლო მოუღო კრომველის საწინააღმდეგო სამხედრო შეთქმულებას, რომელიც ორგანიზებული იყო რესპუბლიკელების, საპარლამენტო ოპოზიციის და ლეველერების მიერ. შოტლანდიის საბოლოოდ „დამშვიდების“ შემდეგ კრომველმა მონკი შოტლანდიის მმართველად განაწესა და მასვე დაუქვემდებარა არმია. მონკმა არმიაში შესანიშნავი დისციპლინა დაამყარა. ჯარისკაცთა შორის მოიპოვა აუტორიტეტი და დიდი ერთგულება. 1655 წელს როიალისტებმა რამდენჯერმე სცადეს მასთან საერთო ენის გამონახვა, მაგრამ ამაოდ, მონკი კრომველის რეჟიმს არ ღალატობდა. როიალისტებისა და მონკის ურთიერთობა კრომველისათვის ცნობილი გახდა, პროტექტორი ეჭვებმა შეიპყრო, მაგრამ მონკი თავისი ერთგულებით მათ აქარწყლებდა, „მე ბეუბნებიან, როდ შოტლანდიაში არის ვიღაც საკმაოდ მოხერხებული, ჯორჯ მონკად წოდებული პიროვნება, როგორც ამბობენ, მას სურს პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში მოიწვიოს ჩარლზ სტიუარტი, გთხოვთ ყველა ღონე იხმაროთ მისი დატყვევებისათვის და ჩემთან გადმოგზავნისათვის“ — ასეთი წერილი გაუგზავნა კრომველმა თვითონ მონკს. როგორც ჩანს მას მითქმა-მოთქმა მონკის მოღალატეობის თაობაზე არ სჯეროდა.

კრომველის გარდაცვალების შემდეგ მონკმა რთული და ძნელად ამოსაცნობი პოლიტიკა წამოიწყო. ნათელი იყო მხოლოდ ერთი — მონკის სიმპათიები პრესბიტერელების მიმართ. ამ მოსაზრებით მონკის მონარქიზმმა აისებითი მეტამორფოზი განიცადა. იგი რესპუბლიკისა და პროტექტორატის სამსახურში საკმაოდ გამდიდრდა, და სოციალური ბუნებით ახალ მემამულეთა რიგებში აღმოჩნდა. ფეოდალურ-აბსოლუტისტური მონარქიის აღდგენა მას ცხადია, აღარ აწყობდა. ამით უნდა ავხსნათ, პირველ ყოვლისა, მისი დაახლოება პრესბიტერელებთან — კონსტიტუციურ მონარქისტებთან.

მონკი თავის ჩანაფიქრს საგულდაგულოდ ნიღბავდა. თავს აცხადებდა „სამოქალაქო ხელისუფლების მსახურად“, კანონიერი პარლამენტის დამცველად. 1659 წლის მაისში იგი მიესალმა ხანგრძლივი პარლამენტისა და რესპუბლიკის აღდგენას. მაგრამ სულ მალე მონკმა გამოავლინა თავისი კონსერვატორული ბუნება. როგორც ვიცით, პარლამენტის აღდგენაში უდიდესი როლი შეასრულა ხალხმა, ამიტომ „ნაბოლარები“ იძულებულნი გახდნენ ზოგიერთი დემოკრატიული ღონისძიება გაეტარებინათ. მათ შორის არმიის ფარგლებშიც. პარლამენტმა არმიის ოფიცერთა შემადგენლობა გადაახალისა და მასში შეიყვანა ბევრი რადიკალი—სექტანტი. მონკი სასტიკ უარზე იყო. მიუხედავად ამისა, ღონისძიება მაინც განხორციელდა, რასაც მონკმა აღშფოთებული წერილით უპასუხა. კონსერვატორულ-კონტრრევოლუციურ ბანაკში სუფევდა საერთო აზრი: მონკი ინგლისში ერთმმართ-

ველობის აღდგენას ფიქრობს და კანდიდატთა შორის არ გამორიცხავს საკუთარ თავს. პრესბიტერელები ყოველნაირად ცდილობენ კიდევ უფრო დაიახლოვონ იგი. იგივეს ლამობს მეფის ბანაკი. 1659 წელს ჩარლზ II კიდევ ერთხელ შეეცადა მონკის გადმობირებას, მაგრამ სასტიკი უარი მიიღო. როგორც ჩანს, მონარქიის აღდგენის შესაძლებლობას მაშინ მონკი არ ხედავდა. როიალისტთა აგვისტოს გამოსვლების მარცხმა იგი ამაში კიდევ უფრო დაარწმუნა. პირველ ყოვლისა, მონკი ცდილობდა მოეპოვებინა პოპულარობა და ძალა. ამისათვის არსებობდა მარტივი გზა — ჯარებით შესვლა ლონდონში. მაგრამ როგორ, რა საბაბით? ამ შემთხვევაში მონკმა შესანიშნავი საშუალება გამონახა — პარლამენტის დაცვა ოფიცერთა ძალმომრეობისაგან. ამიტომ გამოდის იგი სამოქალაქო, კანონიერი ხელისუფლების, ანუ პარლამენტის თავგამოდებული ქომაგის როლში. ამიტომ მიმართავს იგი დაჟინებით თავის არმიას: სამხედრო ხელისუფლება სამოქალაქოს უნდა მორჩილებდეს. „ჩვენ ხელფასს და რწმუნებას გვაძლევს პარლამენტი, ჩვენი მოვალეობაა დავიცვათ იგი". „ამ საქმეში, — მიმართავდა იგი არმიას, — მე თქვენგან ველი სრულ მორჩილებას. მაგრამ თუ რომელიმე თქვენგანი არ ეთანხმება ჩემს მოსაზრებას, მას თავისუფლად შეუძლია დატოვოს სამსახური და წავიდეს".

მონკი (13 ოქტომბერს პარლამენტის გარეკვის შემდეგ) „უშიშროების კომიტეტის" სამხედრო-ოლიგარქიული ხელისუფლების წინააღმდეგ განეწყო. მან არ სცნო „ხუნტა", თავის ხელქვეითებსაც აუკრძალა არ ეცნოთ იგი და დაუყოვნებლივ აღიარა თავი რესპუბლიკისა და კანონიერი პარლამენტის დამცველად. პარლამენტის სპიკერს, ფლიტვუდსა და ლამბერტს მონკი სწერდა: „ღმერთია მოწამე, რომ რესპუბლიკის დაცვა ჩემი ერთადერთი მიზანია. მე მსურს, თუ ეს შესაძლებელია, თავიდან ავიცილო სისხლის ღვრა. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ შეეინარჩუნოთ თანხმობა პარლამენტსა და არმიას შორის". „თუ ოფიცრები არ დაემორჩილებიან თქვენს ბრძანებას, — სწერდა იგი პარლამენტს, — მე არ დაგტოვებთ თქვენ ჩემი მრავალეობისა და დაპირებების შესაბამისად". მონკი აღუთქვამდა მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში არმია ლონდონში შეეყვანა.

მონკის განდგომამ „ხუნტა" საგონებელში ჩააგდო. მისთვის გაურკვეველი იყო თუ რას მოიმოქმედებდა გულჩათხრობილი, პირქუში, ენაძუნწი · გენერალი — „მდუმარე როგორც სფინქსი". ოფიცრების მიერ მასთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი პოლკოვნიკი კობეტი მონკმა დააპატიმრა და ციხეში ჩასვა. „უშიშროების კომიტეტმა" ახალი დელეგაცია გაგზავნა მისი ცოლის ძმის კლარჯესის და პოლკოვნიკ ტალბოტის სახით. მოლაპარაკების შედეგად მონკისათვის ცნობილი

გახდა ინგლისში შექმნილი სიძნელეები: ხაზინა ცარიელია, ახალი თანხების მოპოვების საშუალება გამორიცხულია. დათხოვნის წინ პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად პარლამენტის გარეშე გადასახადების აკრეფა ცხადდებოდა როგორც სახელმწიფოს ღალატი. პარლამენტის მიერ დადგენილი გადასახადის აკრეფის ვადა 1660 წლის 1-ელი იანვრისათვის იწურებოდა. ლამბერტის არმიას მიღებული არ ჰქონდა რამდენიმე თვის ხელფასი. მოსახლეობა დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდა არმიის კერძო ბინებში ჩაყენების წესის მოქმედების გამო. მონკი ითვალისწინებდა შექმნილ ვითარებას და მოლაპარაკებას განზრახ აჭიანურებდა.

შეშინებული „ხუნტა" მოლაპარაკებით როდი დაკმაყოფილდა. „უშიშროების კომიტეტი" არ დაელოდა კლარჯესის პასუხს და ჩრდილოეთისკენ დაძრა არმია გენერალ ლამბერტის სარდლობით. ლამბერტის 13-ათასიანი არმია მონკის არმიას თითქმის ორჯერ აღემატებოდა, ამიტომ ჯერჯერობით მონკმა დროის მოგების მიზნით მოწინააღმდეგე ბანაკთან მოლაპარაკება ამჯობინა და ამ მიზნით წარგზავნა კიდეც სამი კომისარი, თვითონ კი არმიის საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანას შეუდგა.

15 ნოემბერს მონკმა ედინბურგში მოიწვია შოტლანდიის საგვარეულოების (შაირების) წარმომადგენელთა (კომისართა) კრება, რომელმაც მას სათანადო მატერიალური დახმარება აღმოუჩინა. კრებაზე გენერალმა განაცხადა, რომ იგი ღმერთისაგან და ხალხისაგან მოწოდებულია წავიდეს ინგლისში და დაამკვიდროს პარლამენტის ხელისუფლება. შეკრების მონაწილეებს მან დაავალა შოტლანდიაში წესრიგის დაცვა, ყოველგვარი მღელვარებების და უკანონო შეკრებების აღკვეთა. ამასთან ერთად აუკრძალა მათ ჩარლზ II-თან კონტაქტის დამყარება. გენერალმა პირობა მისცა შოტლანდიელებს, რომ ყოველმხრივ შეეცდებოდა მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მონკის ბრძანებით დაიწყო მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეების გამაგრება, ჩატარდა არმიის ოფიცერთა შემადგენლობის წმენდა. დაითხოვეს ყველა არასასურველი ოფიცერი, პირველ ყოლისა, სექტანტთა წრიდან, ისინი შეიცვალნენ გენერლის სანდო პირებით, ძირითადად ზომიერი პრესბიტერელებით, რომლებიც ისევე როგორც გენერალი. მხარს უჭერდნენ პოლიტიკურ სტაბილიზაციას. რაც მთავარია, მონკმა შეძლო ჯარისკაცთა მატერიალური პრეტენზიების დაკმაყოფილება და დაარწმუნა ისინი, რომ მათი გამოყენება სურს მართალი საქმისათვის. არმიის მთავარსარდლისადმი ერთგულებას ზრდიდა მონკის პირადი თვისებებიც. იგი თანაუგრძნობდა ჯარისკაცებს, მათთან ერთად იტანდა ყველა სიძნელეს, მათთან ერთად ეძინა, არ თაკილობდა მათ ულუფას. ერთგული, მორჩილი და დისციპლინირებული არმია მან ნოემბრის

დამლევს ინგლისის საზღვრებისაკენ დაძრა და მდინარე ტეიდთან დაბანაკა.

ამრიგად, ლამბერტისა და მონკის არმიები პირისპირ იდგნენ. მონკის ემისრები მოლაპარაკებას განაგრძობდნენ. მიღწეულმა შეთანხმებამ, რომელიც ითვალისწინებდა პარლამენტის მოკლე ხანში აღდგენას და ორივე არმიის უკან გამოწვევას, მონკი არ დააკმაყოფილა. მოლაპარაკება კვლავ გაგრძელდა, რაც მონკს აწყობდა, რადგან ყოველი დღე. ყოველი საათი მის სასარგებლოდ მოქმედებდა.

ლამბერტის არმია სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხელფასშიუღებელ და ცუდად მომარაგებულ ჯარისკაცებში უკმაყოფილება იზრდებოდა, ადგილი ჰქონდა ჯარისკაცთა ბუნტებს, მასობრივ დეზერტირობას. მოსახლეობა წინააღმდეგობას უწევდა მათი სახლების ჯარისკაცთა სადგომად გამოყენებას და სხვ. ცალკეული ჯარისკაცები და ზოგჯერ მთელი შენაერთებიც კი უარს ამბობდნენ ემოქმედათ მონკის წინააღმდეგ და მხარს უჭერდნენ პარლამენტს. უკმაყოფილოთა შორის ბევრი ოფიცერიც იყო.

ქვეყნის შიგნით „ხუნტას" რეჟიმის წინააღმდეგ ფართო მოძრაობა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ მონკი მოლაპარაკების გაჭიანურებისას ამ ვითარებასაც ითვალისწინებდა. ოფიცერთა ოლიგარქიის წინააღმდეგ გაილაშქრეს რესპუბლიკელებმა. ჯონ მილტონმა მათ წინააღმდეგ გამოაქვეყნა პამფლეტი „წერილი მეგობარს რესპუბლიკის განადგურების შესახებ". „ხუნტას" განუდგა ძლიერი პოლიტიკური ძალა და ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი წყარო — ლონდონის სიტი. ლონდონის ჯიბეკნელი მაგნატები აშკარად უჭერდნენ მხარს გენერალ მონკს. ლონდონის მერი და ოლდერმენები აცხადებდნენ, რომ მათ მობეზრდათ პოლიტიკური მმართველობის ფორმების გაუთავებელი ცვლა და მოითხოვდნენ „თავისუფალ პარლამენტს და თავისუფალ ვაჭრობას". „უშიშროების კომიტეტმა" მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით 1659 წლის 1-ელ დეკემბერს აკრძალა მიტინგები, კრებები, პეტიციებზე ხელის მოწერა და სხვ. მათი ბრძანებით ლონდონში (წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით) შეიყვანეს შეიარაღებული ძალები. მიუხედავად ამისა, ხუნტის წინააღმდეგ ბრძოლა ძლიერდებოდა. 5 დეკემბერს „ხუნტამ" არმიაზე დაყრდნობით ჩაახშო ლონდონის შეგირდთა გამოსვლები. პირველად ამ დღეებში გაისმა პოლიტიკური ლოზუნგი „მთლიანი და თავისუფალი პარლამენტი", რომელიც მალე საყოველთაო მოთხოვნად იქცა. ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა ან ძველი პარლამენტის აღდგენა სრული შემადგენლობით (პრაიდის წმენდამდე), ან ახლის არჩევა „კანონიერ" ანუ ძველი საარჩევნო სისტემის საფუძველზე. ასეთი პარლამენტი, პირველ ყოვლისა, აწყობდა მესაკუთრე ინგლისს. რაც შეეხება მოსახლეობის ფართო ფენას, მას

მესაკუთრეთა „მთლიანი და თავისუფალი პარლამენტი“ ოფიცერთა ოლიგარქიასთან შედარებით ნაკლებ ბოროტებად მიიჩნდა. ეს ლოზუნგი განსაკუთრებით პოპულარული იყო პრესბიტერული პარტიის მესვეურთა შორის, რადგან „თავისუფალი პარლამენტი“ მათი პოლიტიკური ჩანაფიქრის განხორციელების საიმედო გარანტიას შექმნიდა. 1659 წლის 9 დეკემბერს ლონდონის მოქალაქეებმა მოითხოვეს ხანგრძლივი პარლამენტის მოწვევა 1642 წლის შემადგენლობით. 20 დეკემბერს ლონდონის სიტის მესვეურებმა ქალაქის მერის სახელით ამ მოთხოვნას ოფიციალური ხასიათი მისცეს.

აქტიურად მოქმედებდნენ „ნაბოლარა“ პარლამენტის მომხრეებიც. 1659 წლის 20 ნოემბერს საიდუმლოდ შეკრებილმა სახელმწიფო საბჭოს ძველმა შემადგენლობამ გენერალი მონკი დანიშნა ინგლისის, ირლანდიის და შოტლანდიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად იმ პირობით, რომ იგი დაემორჩილებოდა პარლამენტსა და სახელმწიფო საბჭოს.

(დეკემბრის დამდეგს არტურ ჰეზლრიგმა და პოლკოვნიკმა მორლიმ ხელთ იგდეს პორტსმუტის გარნიზონი და ოფიციალურად განუდგნენ „უშიშროების კომიტეტს“. პორტსმუტის წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარები აჯანყებულთა მხარეზე გადავიდნენ. ჰეზლრიგს მიემხრო ლამბერტის არმიის ზოგიერთი შენაერთი, მათ შორის უოლტშირში განლაგებული პოლკი კროუკის მეთაურობით. „ნაბოლარა“ პარლამენტს მხარი დაუჭირა კუნძულ უაიტის გარნიზონმა.) „ხუნტას“ განუდგა სესექსში, ბრისტოლში და კოლჩესტერში განლაგებული შენაერთები და სხვ. „ნაბოლარა პარლამენტის“ მხარეს აღმოჩნდა ინგლისის სამხედრო ფლოტიც.(ესკადრა ვიცე-ადმირალ ლოუსონის მეთაურობით მდინარე ტემზით ლონდონს მიადგა.)აღსანიშნავია, რომ ფლოტის დეკლარაცია დემოკრატიულ-რადიკალური შინაარსისა იყო.(ლოუსონის ტემზაში შესვლის შემდეგ ჰეზლრიგმა დატოვა პორტსმუტი და თავისი საკმაოდ მოზრდილი არმია ლონდონისაკენ დაძრა.)

ოფიცერთა მთავრობას განუდგა აგრეთვე ირლანდიის არმიის შენაერთები ჩარლზ კუტის, ტეოფილ ჯონსის და სხვათა მეთაურობით. ოფიცერთა ხელისუფლების მდგომარეობა გართულდა. ხუნტას განუდგნენ აგრეთვე გრინვიჩში, ტაუნტონში და კენტში განლაგებული ნაწილები.

(ამ უკიდურესად დაძაბულ ვითარებაში პოლიტიკურ სცენაზე დაბრუნდა გენერალი ტომას ფერფაქსი,) რომელიც 1650 წლის შემდეგ კერძო ცხოვრებას ეწეოდა. 1659 წლის ნოემბერში მან გენერალ მონკს მხარდაჭერა და დახმარება შეპირდა. ამ მიზნით (ფერფაქსი იორკშირში შეუდგა ახალი არმიის ორგანიზებას. 1650 წლის 1-ლი იანვრისათვის მის ხელთ იყო საკმაოდ ძლიერი სამხედრო შენაერთი.) მას

მხარს უჭერდნენ ადგილობრივი მესაკუთრეები — ჯენტრი, ვაჭრები. მის მხარეზე გადმოვიდა პოლკოვნიკი რობერტ ლილბერნი თავისი ბრიგადით, მასთან გამორბოდა ბევრი ოფიცერი და ჯარისკაცი ლამბერტის არმიიდან.

ორი დიდი ოპორტუნისტის, ზომიერი პრესბიტერელის — ფერფაქსისა და მონკის კავშირმა ნეოროიალისტთა ბანაკს ახალი ძალა შემატა. მონკმა ფერფაქსთან მოლაპარაკების დროს საბოლოოდ გამოკვეთა თავისი პოლიტიკური მიზანსწრაფვა. გარდინერის მიხედვით იგი ასე გამოიყურება: მონკს არ სურს, რომ რევოლუციის შედეგად ჩამოყალიბებულმა „მატერიალურმა და სულიერმა ინტერესებმა“ რაიმე ცვლილებები განიცადოს, ანუ მონკი მხარს უჭერს ახალ ბურჟუაზიულ საზოგადოებას, ახალ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს, ახალ იდეოლოგიას, ანუ მას არ სურს ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის რესტავრირება. მონკი წინააღმდეგია აღადგინოს ძველი მოდელის სამეფო ხელისუფლება. ყველაფერთან ერთად იგი „მტრულად მოეკიდება იმ ადამიანებს, რომლებმაც არსებული წესწყობების წინააღმდეგ აჯანყების დროშა აღმართეს“. ფერფაქსი არსებითად იზიარებდა ამ კონცეფციას. ფერფაქსი უკმაყოფილო იყო მხოლოდ იმით, რომ მონკი მხარს უჭერს მხოლოდ „ნაბოლარა“ პარლამენტის აღდგენას, მაშინ, როდესაც თვითონ „ხანგრძლივი პარლამენტის“ მთლიანად აღდგენის მომხრე იყო. ფერფაქსს არც ის მოსწონდა, რომ მონკი სახელმწიფო მმართველობის მხოლოდ ერთ — რესპუბლიკურ ფორმას ცნობდა. მონკმა განაცხადა, რომ ამჟამად სახელმწიფოს მმართველობის ფორმების შესახებ სჯა-ბაასი ნაადრევია, რომ იგი ამჯერად იძულებულია დაემორჩილოს ჯარისკაცთა მოთხოვნებს და სხვ. ამ პასუხმა ფერფაქსი დაამშვიდა.

შექმნილმა სიძნელეებმა „უშიშროების კომიტეტი“ სასტიკად დააბნია. ერთი მხრივ, იგი აქვეყნებს დეკრეტს პარლამენტის მოწვევის შესახებ, არმიას და ფლოტს პირდება ხელფასის რაც შეიძლება მალე გადახდას, აცხადებს სრულ პოლიტიკურ ამნისტიას (გამონაკლისს წარმოადგენდნენ ჩარლზ II-ის მომხრეები), ამავე დროს ფარულად თათბირობენ მეფესთან მოლაპარაკების პირობების შესათუშავებლად. გადაწყდა მეფესთან მოსალაპარაკებლად გაეგზავნათ უაიტლოკი, ვენმა, დეზბორომ, ბერიმ და სხვა რესპუბლიკელებმა ჩაშალეს ეს გადაწყვეტილება. ამასობაში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. ხელისუფლებისადმი უნდობლობის ნიშნად მოსახლეობამ შეწყვიტა გადასახადების გადახდა.

შექმნილ ვითარებაში „ნაბოლარა პარლამენტის“ წევრებს შესაძლებლობა მიეცათ კვლავ შეკრებილიყვნენ, თავდაპირველად ფარულად. 1659 წლის 23 დეკემბერს პარლამენტმა ყველა მის მომხრეს

წინადადებით მიმართა შეექმნათ ერთიანი ფრონტი. პარლამენტის მოწოდებამ ფართო გამოხმაურება და მხარდაჭერა პოვა. პარლამენტის ერთგულმა სამხედრო შენაერთმა ლენტელის შენობის წინ მანიფესტაცია მოაწყვეს და მას კვლავ თავის პოსტზე დაბრუნება სთხოვეს. სახელმწიფო საბჭოს რამდენიმე ყოფილმა წევრმა ოფიცერთა ხელისუფლებას მოთხოვეს უესტმინსტერის სასახლის გასაღები.

26 დეკემბერს „ნაბოლარა" პარლამენტის წევრები კვლავ შეიკრიბნენ უესტმინსტერში, პარლამენტმა განაახლა მოღვაწეობა. მეორე დღეს პრაიდის მიერ განდევნილი ხანგრძლივი პარლამენტის 22 (პრესბიტერელი) წევრი შეეცადა შეერთებოდა კოლეგებს. „ნაბოლარებმა" მათ ამის საშუალება არ მისცეს. ამ ღონისძიებამ მესაკუთრე ინგლისის დიდი წყრომა გამოიწვია. განსაკუთრებით აქტიურობდა პრესბიტერელების ლიდერი უილიამ პრინი, რომელიც იცავდა პრესბიტერ დეპუტატებს, „პრაიდის წმენდას" მხედრიონის უკანონო ძალადობად თვლიდა.

მიუხედავად შეზღუდვებისა, პრესბიტერელებმა, მათ შორის ფარულმა მონარქისტებმა, ხელისუფლებაში მაინც შეაღწიეს. პარლამენტის შიგნით გამოჩნდა პრესბიტერელებთან კომპრომისის ბევრი მომხრე. სახელმწიფო საბჭოში მტკიცე რესპუბლიკელებთან ერთად (ჰეზლრიგი, სკოტი, უივერი, რეინოლდსი, ნევილი და სხვ.) არჩეულ იქნენ პრესბიტერელებიც, მათ შორის კუპერი, ფერფაქსი, მონკი, ლოუსონი, ბეტელი, ლავი, მორლი და სხვები. ამ ძალების გავლენით პარლამენტმა თავის რიგებიდან დაითხოვა ჰენრი ვენი. რესპუბლიკელებმა მას არ აპატიეს ჯერ სექტანტებთან კავშირი (ანუ გამემარცხენეობა), შემდეგ კი ოფიცრებთან თანამშრომლობა. (ბოწინააღმდეგეები (როიალისტები, პრესბიტერელები, ინდეპენდენტები) ვენს ბრალს სდებენ „წმინდანთა რესპუბლიკის" დამყარების მიზნით სექტანტთა ამბოხების მომზადებაში. უწოდებენ მას მანიაკს, გაიძვერას, ფლიდს და სხვ.) ვენთან ერთად პარლამენტიდან წავიდნენ უაიტლოკი, საიდენჰემი, სოლტეი და სხვა რესპუბლიკელები. პარლამენტმა დაშალა მისი ნებართვის გარეშე შექმნილი ყველა სამხედრო შენაერთი, მის მხარეზე გადმოსულ ნაწილებს კი უბრძანა დაბრუნებულიყვნენ თავთავიანთ ბანაკებში. (გენერალ მონკს დაეკისრა უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქცია.) სამოქალაქო და სამხედრო უმაღლესი პოსტებიდან დაითხოვეს 13 ოქტომბრის გადატრიალების ყველა მონაწილე, მათ შორის ლამბერტი, დეზბორო და სხვ. ყველა განთავისუფლებული პოსტი წილად ხვდა ზომიერ პრესბიტერელებს და ფარულ როიალისტებს. (პარლამენტმა საბჭოს წევრებს დაადებინა ფიცი სტიუარტთა ოჯახთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტაზე და ერთმმართველობის უარყოფა-

ზე. პარლამენტმა დაადგინა ახალი არჩევნების გზით თავისი რიგების შევსება 400 კაცამდე (სულ სახეზე იყო 53 დეპუტატი).

1660 წლის 1-ელ იანვარს მონკმა ბრძანება გასცა ლონდონისკენ ლაშქრობის დაწყების შესახებ. 2 იანვარს მისმა არმიამ გადალახა მდინარე ტვიდი. ასე დაიწყო 30-დღიანი მარში. ლამბერტის მხრივ მონკი წინააღმდეგობას არ შეხვედრია. სიძნელეებს ქმნიდა უმკაცრესი ზამთარი, თოვლი, ყინვა, ქარბუქი. ლამბერტი ლონდონში დაბრუნდა, მალე იგი ყველა პოსტიდან გადააყენეს და აღუკვეთეს ლონდონში ყოფნის უფლება. გენერალმა ლონდონზე ლაშქრობა პარლამენტის ნებართვის გარეშე დაიწყო. შესაფერისი განკარგულება მან იორკში 15 იანვარს მიიღო. სახელმწიფო საბჭოს ბრძანებით მონკს ევალებოდა ლონდონისაკენ სვლა. ჯარის ნაწილი მას უნდა დაებრუნებინა შოტლანდიაში. მიუხედავად ამისა, მონკის არმიის რიგები იზრდებოდა. მას შეემატა ლამბერტის არმიის ნარჩენები და სხვა შენაერთები. ლესიტერთან მონკს დიდი მისალმებებით დახვდნენ პარლამენტის კომისრები სკოტი და რობინზონი. მათ სხვა დავალებაც ჰქონდათ, თვალყური ედევნებინათ გენერლისათვის, აეღოთ მისი ნამდვილი ზრახვები. გზად გენერალი ღებულობდა უამრავ წერილსა და პეტიციას, უმეტესი მათგანი მოითხოვდა პარლამენტის აღდგენას მთლიანი შემადგენლობით, ახალი „თავისუფალი პარლამენტის“ არჩევას და სხვ. გენერალი მათ პასუხობდა მოკლედ და გაუგებრად.

3 თებერვალს მონკი ლონდონში შევიდა, „უშიშროების კომიტეტი“ დაიშალა. 6 თებერვალს გენერალი „ნაბოლარებს“ წარუდგა, პარლამენტმა იგი დიდი ზარ-ზეიმით მიიღო და გამოაცხადა ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის ჯარების მთავარსარდლად, დაუნიშნა წლიური ხელფასი 1000 გირვანქა სტერლინგი. მონკმა თავის სიტყვაში კვლავ დაადასტურა პარლამენტისადმი ერთგულება და დასძინა, რომ ხელისუფლებისკენ გზა უნდა დაეხშოთ როგორც კავალერებს (როიალისტებს), ასევე ფანატიკოსებს (სექტანტები).

მონკს ხელისუფლების თვალში ნდობის მოპოვების ახალი საშუალება მიეცა. უდიდრესმა ლონდონმა, სიტის მაგნატებმა, მსხვილმა ფინანსურმა და სავაჭრო არისტოკრატიამ არ სცნო „ნაბოლარა პარლამენტის“ ავტორიტეტი, შეწყვიტა გადასახადების გადასდა და სესხის გაცემა „სრული და თავისუფალი პარლამენტის“ მოწვევამდე. 9 თებერვალს მონკმა უყოყმანოდ აღასრულა პარლამენტისა და სახელმწიფო საბჭოს ბრძანება, ლონდონის სიტში ჯარი შეიყვანა, სასტიკი რეპრესიები გაატარა და სიტი პარლამენტის ხელისუფლებას დაუმორჩილა. 11 ყველაზე ცნობილი მოქალაქე დააპატიმრეს, გენერლის ბრძანებით დაწვეს და დაანგრიეს სიტის ჭიშკარი და სიმაგრეები.

პარლამენტი და რესპუბლიკელები არ ფარავდნენ თავის კმაყოფილებას: მონკი მათ მხარეზეა, ანუ მათი ხელისუფლება მყარია.) რეალურია, დაზღვეულია ყოველგვარი საფრთხისაგან. „ამიერიდან ჯორჯ, შენ ჩვენ გვეკუთვნი სულითა და ხორცით“, — ამბობდა რეპუბლიკელთა ლიდერი არტურ ჰეზლრიგი.

ჰეზლრიგი სასტიკად ცდებოდა. გენერლის ჩანაფიქრი დიამეტრულად საწინააღმდეგო იყო.(მონკმა თამაში მოიგო, მან შეასრულა თავისი პროგრამა მინიმუმი, მიაღწია იმას, რაც სურდა. იგი ლონდონშია, არმია მის ხელთაა;)პარლამენტი და სახელმწიფო საბჭო მას ნდობით უყურებენ და დიდ რწმუნებებს ანიჭებენ. „ნაბოლარა პარლამენტისა“ და რესპუბლიკის დაცვის საბაბით ლონდონში ჯარით შემოსვლა, სიტის გამოსულების ჩახშობა მან განახორციელა მონარქიის რესტავრაციის სასარგებლოდ. ჯონ პრაისის შეკითხვაზე, თუ როგორ გაბედა მან ასეთი დავალების შესრულება, მონკმა უპასუხა: „ეს იყო ოსტატური ხერხი, რომლის შესახებ თქვენ არაფერი იცოდით. მერწმუნეთ, ამის გარეშე მე ესოდენ სწრაფად ჩანაფიქრს ვერ განვახორციელებდი. მეტიც, შეიძლება იგი საერთოდ ვერ განმეხორციელებინა“. მონკის ლონდონზე ლაშქრობას ჰობსმა უწოდა „აქამდე ისტორიაში ცნობილი ყველა სამხედრო ხერხს შორის საუკეთესო“.

„ამიერიდან(მონკი ყოვლის შემძლე პიროვნებაა, რომელსაც ძალუძს გადაწყვიტოს ინგლისის ბედი.) გენერალი შეუდგა პროგრამა მაქსიმუმის — მონარქიის რესტავრაციის განხორციელებას. მან ოსტატურად ისარგებლა საყოველთაო აღშფოთებით, რაც „ნაბოლარა პარლამენტის“ მიერ სიტის გამოსვლების ლიკვიდაციას მოჰყვა და განახორციელა გეგმის პირველი პუნქტი, პარლამენტში დააბრუნა პრაიდის წმენდის შედეგად განდევნილი პრესბიტერელი დეპუტატები.

საზოგადოებრივი აზრი მხარს უჭერდა მონკს. „ნაბოლარა პარლამენტისადმი“ ნდობა დაიკარგა, ყველასათვის ნათელი იყო, რომ იგი ვერ ახერხებდა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისისაგან ინგლისის გამოხსნას. სიტის დასჯამ საერთო უკმაყოფილება კლავ უფრო გაზარდა. მესაკუთრე ინგლისის დიდი გულისწყრომა გამოიწვია 9 თებერვლის პარლამენტის მიერ, მცირე პარლამენტის ყოფილი წევრის, სექტანტ ბერბონის მიერ წარდგენილი პეტიციის მიღებამ. ბერბონი ლაპარაკობდა დემოკრატიული ინგლისის სახელით და მოითხოვდა რეფორმაციის გაგრძელებას, კატეგორიულად მოითხოვდა აგრეთვე არ დაეშვათ პრესბიტერელთა ხელისუფლების აღდგენა, რასაც, მისი აზრით, მოყვებოდა მონარქიის აღდგენა. მონკი აღაშფოთა რეფორმაციურად განწყობილი დემოკრატიული ინგლისის ამ ახალმა „გამოხტომამ“. 11

თებერვალს მან „ნაბოლარა პარლამენტს" გაუგზავნა წერილი. მონკი პარლამენტს ბრალს სდებდა იმაში, რომ იგი არღვევს ინგლისელი ხალხის უფლებებს და თავისუფლებას, რომ მას კავშირი აქვს ბოროტგანმზრახველ ოფიცრებთან და სხვ. მონკი აღშფოთებას გამოთქვამდა იმის გამოც, რომ პარლამენტმა ბერბონის პეტიცია მიიღო კეთილგანწყობით. მონკი „ნაბოლარებს" წინადადებას აძლევდა გამოეცათ ბრძანება ახალი პარლამენტის მოწვევის შესახებ. მონკი პირადად მივიდა ჰილდჰოლში, ქალაქის მერისა და ოლდერმენების წინაშე ბოდიში მოიხადა 9 თებერვლის ინციდენტის გამო, დაარწმუნა ისინი, რომ მოქმედებდა თავისი სურვილის გარეშე, „ნაბოლარას" ბრძანებით. მოქალაქეები აღტაცებულნი იყვნენ გენერლის მოქმედებით. მონკის ჯარისკაცებს უმართავდნენ სახელდახელო სუფრას, ისმოდა ზარის ცემა, ბერბონის სახლს ქვები დაუშინეს. ქუჩებში დაანთეს კოცონები, სადაც წვავდნენ ხარის უკანა ტანის ნაჭრებს („ნაბოლარა" — კუდი). „ნაბოლარები" აღაშფოთა მონკის საქციელმა. მისი გადაყენება, მიუხედავად სურვილისა, მათ ვერ გაბედეს. სამხედრო ხელისუფლების შესუსტების მიზნით გენერალს მოადგილეებად დაუნიშნეს რესპუბლიკელი ჰეზლრიგი და სექტანტი პოლკოვნიკი ელერდი. 20 თებერვალს ეშლი კუპერის ინიციატივით მოწვეულ იქნა პრესბიტერელთა კრება, აქვე მოიწვიეს მონკი და მისი ახლობელი პირები, მათ შორის მისი მეუღლე ენ რეტფორდი, ფარული მონარქისტი, რომელსაც ქმარზე უდიდესი გავლენა ჰქონდა, გენერლის ახლო ნათესავი კლარჯესი და სხვები. ისინი არწმუნებდნენ მონკს, რომ „ნაბოლარები" არ წარმოადგენდნენ კანონიერ პარლამენტს, რომ მათ არ ძალუძთ ინგლისში წესრიგის დამყარება, რომ პირიქით ისინი ღალატობენ ინგლისის ერის ინტერესებს და სხვ. გენერალს ამასვე ურჩევდა ჯარისკაცთა და ოფიცერთა დელეგაცია. იმოქმედეთ სწრაფად, თორემ მას პარლამენტი დააპატიმრებს და „ყველაფერი დაიღუპება".

1660 წლის 21 თებერვალს დილით ადრე, სანგრძლივი პარლამენტის ყოფილი პრესბიტერელი წევრები მონკის ჯარისკაცების თანხლებით უეს̌ტმინსტერში მოვიდნენ. ისინი „ნაბოლარებს" დაახლოებით სამჯერ სჭარბობდნენ. რესპუბლიკელთა და მათი ლიდერის პროტესტი ამაო იყო. ბევრმა „ნაბოლარამ" დატოვა პარლამენტი. „სრული პარლამენტის" სახით აღსდგა პრესბიტერელთა ხელისუფლება. მათ პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვეს. ინდეპენდენტთა 11-წლიანი პოლიტიკური ბატონობა დამთავრდა.

მონკმა ახალ პარლამენტს განუსაზღვრა მოქმედების გარკვეული პროგრამა. პირველ ყოვლისა, პარლამენტმა არმიას უნდა გადაუხადოს ხელფასი, დანიშნოს სახელმწიფო საბჭოს ახალი შემადგენლობა, აირჩიოს ახალი პარლამენტი და შემდეგ განახორციელოს თვითდაშლა.

მონკი ახალ პარლამენტს უპირველეს ამოცანად უსახავს სიტის („ძთელი ქრისტიანული სამყაროს ვაჭრობის დასაყრდენის") ინტერესების ყოველმხრივ დაცვას. მონკი მოითხოვს სახელმწიფო პრესბიტერული ეკლესიის აღდგენას, სინდისის თავისუფლების გარკვეული მოცულობით დაცვის პირობებში. მონკი კვლავ თვალთმაქცობს, მონარქიის აღდგენაზე სიტყვას არ ძრავს, თავს რესპუბლიკის დამცველად აცხადებს და მოითხოვს პარლამენტს „მეფისა და ლორდების" გარეშე.

ახალმა პარლამენტმა თავისი რეაქციული ბუნება დაუყოვნებლივ გამოავლინა. 1648 წლის შემდეგ მიღებული საპარლამენტო აქტები და გადაწყვეტილებები გააუქმეს. ცხადია, ეს არ შეხებია იმ აქტებს და ორდონანსებს, რომლებიც ფეოდალიზმის ლიკვიდაციის და საკუთრების ახალ გადახალისებას შეეხო. ახალ სახელმწიფო საბჭოში შეიყვანეს მხოლოდ პრესბიტერელები და სხვა ფარული როიალისტები, მათ შორის მონკი. ფერფაქსი, დენზილ ჰოლისი, უილიამ უოლერი და სხვ. პოლიტიკური პატიმრები გაანთავისუფლეს. ლონდონის სიტმა აღიარა ახალი პარლამენტი და მას სასწრაფოდ გამოუყო თანხა მიმდინარე ხარჯებისათვის — 60 000 გირვანქა სტერლინგი. საბჭოს გადაწყვეტილებით ლამბერტი ტოუერში გამოკეტეს. პარლამენტის დადგენილებით აღდგა „აქტი ლიგისა და კოვენანტის შესახებ", ინდეპენდენტები გააძევეს ყველა სახელმწიფო თანამდებობიდან, მონკის ბრძანებით ოფიცერთა შემადგენლობიდან დაითხოვეს ყველა საეკვო ინდეპენდენტი და სექტანტი.

ახალი, „მთლიანი და თავისუფალი პარლამენტის" მოწვევა გადაწყდა 25 აპრილისათვის. სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა არჩევნების ახალი, აშკარად კონსერვატორული სტატუტი. რაც მთავარია საარჩევნო უფლება აღუდგინეს როიალისტებს, რომლებიც ადრე იარაღით ხელში ებრძოდნენ პარლამენტს, ამჟამად კი „მოინანიეს" საქციელი და „შეცვალეს" შეხედულებები. აღსანიშნავია ისიც, რომ ამიერიდან ახლად არჩეულ დეპუტატებს არ ევალებოდათ ერთგულების ფიცი „რესპუბლიკის წინაშე მეფისა და ლორდთა პალატის გარეშე". ახალმა სტატუტმა ლორდთა პალატაში ფართოდ გაუღო კარი ყველა კონსერვატორულად და როიალისტურად განწყობილ პერს, რომლებიც რესპუბლიკისა და პროტექტორატის დროს პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოაშორეს. პარლამენტმა დაადგინა აგრეთვე მილიციის დაშლა და მისი ხელახალი მოწვევა ახალი, სანდო შემადგენლობით. აშკარა იყო ამ გადაწყვეტილებათა კონტრრევოლუციურ-მონარქისტული არსი. რესპუბლიკელთა ერთ-ერთმა ლიდერმა სკოტმა კატეგორიულად მოითხოვა ძალაში დაეტოვებინათ ძველი გადაწყვეტილება, რომელიც ყველას, მათ შორის პარლამენტს, უკრძალავდა ჩარლზ II-თან ყოველგვარ მოლაპარაკებას და კონტაქტს. პრესბიტერელებმა ყურად არ

იღებ ეს განცხადება, ისინი ამბობდნენ: „დაშლამდე ჩვენ უნდა დავადასტუროთ, რომ მეფის მკვლელობაში, რითაც ჩვენ აღშფოთებულნი ვართ, არც გულით და არც საქმით მონაწილეობა არ მიგვიღია". „მე კი, — ამბობდა სკოტი, — მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცი თავი როგორ გადავირჩინო, ვაცხადებ, რომ გულითაც და საქმითაც მონაწილე ვიყავი ამ აქციისა. მე მხოლოდ ერთ პატივს ვითხოვ: ჩემს საფლავის ქვას წააწერონ — აქ განისვენებს ნეშტი ადამიანისა, რომელმაც გულითა და საქმით ხელი შეუწყო ჩარლზ I სიკვდილით დასჯას". 1660 წლის 16 მარტს „ხანგრძლივმა პარლამენტმა" არსებობა შეწყვიტა.

მონარქიის აღდგენის შესახებ ლაპარაკს აშკარად ვერავინ ბედავდა — ვერც პრესბიტერელები და ვერც გენერალი მონკი. თუმცა რესტავრაციის გარდუვალობა ყველასათვის ნათელი იყო. უამრავ პამფლეტში და ქუჩის სიმღერებშიც კი გაისმოდა „კანონიერი მეფის" ქება-დიდება. მდიდარი ლონდონელების მიერ მონკის პატივსაცემად გამართულ ბანკეტებზე მოურიდებლად სვამდნენ ჩარლზ II-ის სადღეგრძელოს. ბირჟის მოედანზე შემორჩენილი იყო მეფის ყოფილი მონუმენტის პიედესტალი წარწერით — „ტირანი გაქრა. მეფეთა შორის უკანასკნელი. ინგლისის თავისუფლების აღდგენის პირველი წლისთავი. 1648". ერთ მშვენიერ დღეს ეს წარწერა გაქრა. მონკი საქვეყნოდ გაიძახოდა, რომ იგი ერთგული რესპუბლიკელია. როცა ფერფაქსთან გამართულ სადილზე ერთ-ერთმა ოფიცერმა გამოთქვა მოსაზრება, „მონკი ჩარლზ II-ს დააბრუნებსო", გენერალმა იგი ჯოხით გალახა.

(13 მარტს რესტავრაციის გარდუვალობაში დარწმუნებულმა რესპუბლიკელთა ჯგუფმა ჰეზლრიგის მეთაურობით გენერალ მონკს წინადადება მისცა სათავეში ჩადგომოდა სახელმწიფოს მეფის ან პროტექტორის ტიტულით. მონკმა კატეგორიულად უარყო ეს წინადადება. იგი დარწმუნებული იყო, რომ ინგლისის საზოგადოებრივი აზრი მხარს უჭერდა მხოლოდ „კანონიერი მონარქიის" აღდგენას და არა რესპუბლიკას და პროტექტორატს,) რომელიც იყო შედეგი საგანგებო გარემოებათა მიერ ნაკარნახევი აუცილებლობით და არ იყო აღმოცენებული ძველი. (ინგლისის ნიადაგიდან, მონკმა გადაწყვიტა თვითონ მოეყვანა ჩარლზ II, ვიდრე ამას სხვა მოიმოქმედებდა.)

უმაღლესმა მთავარსარდალმა გენერალმა მონკმა ბინა სენტ-ჯეიმზში დაიდო. აქედან ახორციელებდა იგი თავის რთულ გეგმას. პირველ ყოვლისა, მან ადგილობრივი გარნიზონის მეთაურებს უბრძანა აღეკვეთათ ყოველგვარი უკმაყოფილება და უწესრიგობა. არმიას და ჯარისკაცებს აღუთქვა ხელფასის დაუყოვნებლივ გადახდა. ყოველ სამხედრო შენაერთში გაგზავნა სპეციალური წერილი, სადაც გაშართლებული იყო ხანგრძლივი პარლამენტის მთლიანად აღდგენის აქტი. იგი

არწმუნებდა ყველას, რომ რევოლუციის პერიოდში განხორციელებული ქონების გადანაწილება დარჩება ძალაში. ჯარისკაცებსა და ოფიცრებს მან აუკრძალა მიტინგები. პროტესტის ყოველგვარი გამოვლენა სასტიკად ისჯებოდა, ფართო ხასიათი მიიღო საეჭვო პირების დასჯამ, დაპატიმრებამ და გადასახლებამ. განსაკუთრებით სასტიკად სჯიდნენ რევოლუციისა და რესპუბლიკური აგიტაციისათვის. დაპატიმრებულთა შორის ბევრი იყო ჯარისკაცი — არმიის „აგიტატორი". გრძელდებოდა არმიისა და სახელმწიფო აპარატის წმენდა. გენერალის ბრძანებით ლონდონიდან გაიყვანეს რამდენიმე არასანდო შენაერთი. საერთოდ კი სამხედრო ნაწილები განალაგეს მცირე ჯგუფებად, ერთმანეთისაგან შორიშორს. რესპუბლიკელ ოფიცრებს ყველგან პრესბიტერელებით ცვლიდნენ. ყველაფერი ეს რესტავრაციის საპიროებისათვის კეთდებოდა. თავის საქმიანობაში გენერალი ეყრდნობოდა პრესბიტერელ სახელმწიფო საბჭოს, რომელიც 15 მარტის შემდეგ ინგლისის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა. საბჭოში მონკს ჰყავდა ერთგული თანამოსაქმე გენერალ ფერფაქსის სახით.

რესპუბლიკელებმა კიდევ ერთხელ სცადეს მოვლენათა მსვლელობის შეცვლა. მაგრამ, იმის გამო, რომ ისინი აღარ სარგებლობდნენ მოსახლეობის ფართო მხარდაჭერით, მათმა წინააღმდეგობამ პოლიტიკური ავანტიურის ხასიათი მიიღო და ადვილად იქნა ჩახშობილი. მონკის მიერ მეფის ან პროტექტორის პოსტზე უარის თქმის შემდეგ ოფიცრებმა და რესპუბლიკელებმა მოსინჯეს რიჩარდ კრომველის დაბრუნების შესაძლებლობა. სამსახურიდან დათხოვილი ოფიცრები და პოლიტიკური ასპარეზიდან დევნილი რესპუბლიკელები მზად იყვნენ უკიდურესი თავგანწირვისათვის. მათ მხარს უჭერდა ჯარისკაცთა გარკვეული ნაწილი; ჩარლზ II დაბრუნებისთანავე წაგვართმევს ქონებას და მასთან ერთად სიცოცხლეს, — ასეთი იყო მათი საერთო აზრი. 11 აპრილს ლამბერტი ციხიდან ბეკინჰემშირში გაიქცა, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ემისრები გაგზავნა და თანამზრახველებს თოფქვეშ მოუწოდა. მას შეუერთდა რამდენიმე ცნობილი ოფიცერი და ჯარისკაცთა ძალზე მცირე ჯგუფი. მონკმა მის წინააღმდეგ გაგზავნა პოლკოვნიკი რიჩარდ ინგოლდსბი. ლამბერტი დამარცხდა, იგი ისევ ტოუერში დააბრუნეს.

19 მარტს ჩარლზ II-მ ბოლოს და ბოლოს შეძლო გენერალ მონკთან კონტაქტის დამყარება. მეფე დარწმუნდა: პრესბიტერელების წინაშე კომპრომისი ტახტის დაბრუნების ერთადერთი საშუალებაა, რადგან ქვეყნის შიგნით როიალისტური შეთქმულებების ლიკვიდაციამ და უცხო ქვეყნების შეიარაღებული ინტერვენციის გამორიცხვამ „ძველი რეჟიმის" უცვლელად აღდგენის მეფისეული გეგმის განხორციელება შეუძლებელი გახადა.

მოლაპარაკება ისევ მონკის ახლო ნათესავს ჯონ გრენვილს დაევალა. მონკისა და მეფის დესპანის შეხვედრა მოხდა გვიან ღამით, კონსპირაციულ პირობებში, მონკის ნათესავის — უილიამ მორისის ბინაში. მეორე დღეს მონკს ასევე ფარული მოლაპარაკება ჰქონდა თავის თანამზრახველებთან. საღამოს მონკი კვლავ შეხვდა გრენვილს და წარუდგინა სამეფო ტახტზე ჩარლზ II-ის დაბრუნების პირობები, რომელიც საფუძვლად დაედო ისტორიულ „ბრედის დეკლარაციას“. ეს პირობები ძირითადად მონკის მიერ იყო შემუშავებული, მას იზიარებდნენ ლონდონის სიტის მესვეურები და ზომიერ პრესბიტერელების ხელმძღვანელობა, მათ შორის: მანჩესტერი, ნორტუმბერლენდი, ბედფორდი, დენზილ ჰოლისი და სხვ. მონკმა მოითხოვა: 1. მეფეს დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ბრიუსელი (ესპანეთის სამფლობელო) და გადმოსულიყო ჰოლანდიაში — ბრედში. მონკი ამ შემთხვევაში ითვალისწინებდა იმას, რომ ესპანეთში, ამ ულტრაკათოლიკურ და ულტრაფეოდალურ-აბსოლუტისტურ, ინგლისთან საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში მცხოვრებ მეფესთან მოლაპარაკებას საზოგადოებრივი აზრი მტრულად შეხვდებოდა; 2. მეფეს არ დაესაჯა რევოლუციის არც ერთი მონაწილე, ანუ გამოეცხადებინა საყოველთაო პოლიტიკური ამნისტია; 3. მეფეს ეღიარებინა და დაემტკიცებინა რევოლუციის დროს განხორციელებული მიწისა და ქონების ყველა გადანაწილება; 4. მეფეს დაეცვა სინდისის თავისუფლება. პოლიტიკურ სფეროში მეფეს, პირველ ყოვლისა, უნდა ეცნო პარლამენტის სრული პრიორიტეტი. ხატოვნად რომ ვთქვათ, ძველი მონარქია აგებული იყო პრინციპით — მეფე პარლამენტით, ახალი მონარქიის საფუძველი იქნებოდა — პარლამენტი მეფით. მოლაპარაკების დროს მონკი უკიდურეს სიფრთხილეს იჩენდა. მან წინადადება მისცა გრენვილს პირობები დაეზეპირებინა, ქაღალდი კი, სადაც იგი ჩამოწერილი იყო, დაეწვა. თვით მონკი ზეპირად ლაპარაკობდა. რაიმე წერილობითი დოკუმენტი მას მეფისათვის არ წარუდგენია.

1660 წლის 4 აპრილს ჩარლზ II-მ ბრედის დეკლარაციის სახით მიიღო გენერალ მონკის, უფრო ზუსტად, რევოლუციის შედეგად გამარჯვებული მოკავშირე კლასების — ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის მიერ შემოთავაზებული წინადადებები. მონკის როლი მეფის ტახტზე დაბრუნების საქმეში უდიდესია, მაგრამ რესტავრაცია არ იყო მისი ერთპიროვნული დამსახურება. მონკი ამ შემთხვევაში აღასრულებდა ინგლისის მესაკუთრე კლასების, ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ინტერესებს. მონკის ძირითად იარაღს ამ მისიის განხორციელებაში წარმოადგენდა დისციპლინირებული, მორჩილი, ძლიერი არმია.

1660 წლის 25 აპრილს მოღვაწეობა დაიწყო ახლად არჩეულმა —

„კონვენტად“ წოდებულმა პარლამენტმა. ინგლისის რევოლუციამდელი კონსტიტუციის თანახმად პარლამენტის მოწვევის უფლება ჰქონდა მხოლოდ მეფეს. ახალი პარლამენტი კი ძის გარეშე მოიწვიეს. ამიტომ პრესბიტერელებმა, რომლებიც თავს ძველი კონსტიტუციის ერთგულებად აცხადებდნენ, ახალ წარმომადგენლობით ორგანოს უწოდეს არა პარლამენტი, არამედ კონვენტი. დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობა წარმოდგენილი იყო მონარქისტულად განწყობილი მსხვილი კონსერვატორული პრესბიტერული ბურჟუაზიითა და მემამულეებით. მათთან ერთად იყვნენ ინდეპენდენტური საშუალო ბურჟუაზიისა და მემამულეების მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლებიც, რომელთა შორის უმრავლესობა ფარული ან აშკარა მონარქისტი იყო. 1 მაისს პარლამენტმა მოისმინა გრენვილის მიერ წარმოდგენილი მეფის წერილი, სადაც იგი აღიარებდა პარლამენტის უზენაესობას და მონკის მიერ შემოთავაზებულ ყველა პირობას. გენერალმა მონკმა ეს წერილი მიიღო როგორც მისთვის სავსებით მოულოდნელი რამ. პარლამენტმა აღიარა, რომ „ინგლისის ძველი და ძირითადი კანონების თანახმად, მთავრობა შედგება და უნდა შესდგეს მეფისაგან, ლორდებისაგან და თემებისაგან“. ერთი კვირის თავზე, 8 მაისს პარლამენტმა ერთხმად გადაწყვიტა „მისმა სამეფო უდიდებულესობამ კეთილი უნდა ინებოს, რაც შეიძლება მოკლე დროში თავის პარლამენტში მობრძანდეს და შეუდგეს სამეფო წოდების აღსრულებას“. ამრიგად, პარლამენტის ორივე — ლორდთა და თემთა პალატამ ჩარლზ II ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის მეფედ გამოაცხადა*. რესპუბლიკისა და პროტექტორატის ბევრი მოღვაწე ერთმანეთს ეცილებოდა მეფისადმი ერთგული ქვეშევრდომობის დამტკიცებაში. ადმირალმა მონტეგიუმ მას ფლოტი გადასცა, ლენტელმა მეფეს რჩევა-დარიგებები მისცა, ტერლომ ბედნიერებად ჩათვალა მასთან სამსახური და სხვა. 29 მაისს, თავის დაბადების დღეს, ჩარლზ II ლონდონში შეივიდა ხომალდს, რომელმაც მეფე ინგლისში ჩამოიყვანა, ეწოდებოდა „ნეზბი“. ამიერიდან მას შეარქვეს „ჩარლზი“. პარლამენტის სპიკერმა მისი დაბრუნება მონათლა როგორც „ღვთაებრივი ზმანება“, „ბედნიერი რესტავრაცია“.

პოლიტიკური ინდიფერენტიზმით მოცული, რევოლუციის მიერ მოტყუებული ხალხი გულგრილი იყო მომხდარი ფაქტის მიმართ. იგი ქუჩაში გამოეფინა უპირატესად ცნობისმოყვარეობით, მდიდრუ-

* ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის მეფის ტიტულს დაემატა ერთი შეხედვით უცნაური ნომენკლატურა — „მეფე საფრანგეთისა“. იგულისხმებოდა, რომ ჩარლზ II-ს, როგორც ბურბონთა ახლო ნათესავს (ლუი XIII-ის შვილიშვილი, ლუი XIV-ის მამიდაშვილი), თანაბრად იერარქიულ-სამემკვიდრეო წესისა, ბურბონთა ტახტის ერთ-ერთი მემკვიდრის უფლებაც ჰქონდა.

ლად მოწყობილი ზეიმის სანახავად. სოციალურ ბაზისს მოკლებული რესპუბლიკელები და პროტექტორის ვეტერანები საკუთარი უძლურებისადმი მორჩილნი შესცქეროდნენ მათი იდეალების კრახს. განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევდა მეფის ამალა, რომელიც ემიგრანტ-კავალერებით იყო წარმოდგენილი. მათ სახეზე აშკარად ამოიკითხებოდა დაკარგული დიდებით გამოწვეული ბოღმა და კონტრრევოლუციურ-რევანშისტული ორგიის სურვილი. რესპუბლიკის ერთგულ დამცველთა შორის გამოირჩეოდა დაბრმავებული გენიალური ჰუმანისტი და დემოკრატი ჯონ მილტონი. „ჩვენ ერთხელ კიდევ მოგვიწევს ეიბრძოლოთ ყველაფერ იმისათვის, რისთვისაც უკვე ვიბრძოდით“, მიმართავდა იგი ინგლისის ხალხს.

გენერალი მონკი ახალმა მეფემ დიდების შარავანდედით შემოსა. მას უპოვეს მრავალი ტიტული და შემოსავლიანი ადგილი. მეფემ იგი ელპმერლის ჰერცოგის წოდებაში აღამაღლა, ამიერიდან მას ასეც იხსენებდნენ. კარზე მისი გავლენა განუზომელი იყო. ინგლის-ჰოლანდიის ახალ ომში იგი პრინც რუპერტთან ერთად სარდლობდა ინგლისის ფლოტს, ხელმძღვანელობდა ლონდონში შავი ჭირის საწინააღმდეგო ღონისძიებებს (1665) და დიდი ხანძრის (1666) ლიკვიდაციას. გენერალი მონკი გარდაიცვალა 1670 წლის 3 იანვარს, 62 წლის ასაკში.

• •

საფრანგეთის ელჩი ანტუან დე ნევილ ბორდო 1660 წელს სწერდა საფრანგეთის მთავრობას: „ახალი ხელისუფლება გარეგნულად მონარქიას მოგვაგონებს, არსებითად კი იგი შორსაა მონარქიისაგან“. ფრანგმა არისტოკრატმა კარგად შეამჩნია სტიუარტთა რესტავრირებული მონარქიის თავისებურება, მას არაფერი ჰქონდა საერთო ფეოდალურ-აბსოლუტისტურ მონარქიასთან.

(ახალი მონარქის სახით ჩვენს წინაშეა ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული კონსტიტუციური მონარქია.) შეიცვალა ახალი მონარქიის კლასობრივი საფუძველი. (სტიუარტთა რევოლუციამდელი მონარქია ეყრდნობოდა და ემსახურებოდა ფეოდალურ კლასს, რევოლუციაში გამარჯვებულ ბურჟუაზიასა და ახალ თავადაზნაურობას.) სტიუარტთა ძველი მონარქია აბსოლუტისტური იყო, პარლამენტი მორჩილებდა მეფეს, რომელიც ერთპიროვნად მართავდა და თავს კანონზე მაღლა აყენებდა. (ამჯერად ვითარება დიამეტრულად შეიცვალა — უზენაესობა ეკუთვნის პარლამენტს, მეფე ემორჩილება კონსტიტუციას და წარმომადგენლობით ორგანოს—ორპალატიან პარლამენტს. თავის მხრივ, პარლამენტი წარმოადგენს გამარჯვებულ მოკავშირე კლასებს—ბურჟუაზიასა და ახალ თავადაზნაურობას, აღასრულებს მათ ნება-სურვილს.) არის მათი კლასობრივი ბატონობის იარაღი. (ამიერიდან, გარდინერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერის (უფრო ზუსტად მესაკუთრე ინ-

გლისის) ნება-სურვილი სამეფო კარის ნება-სურვილზე მაღლა დადგა". ძველი მეფე „ნებითა ღვთისა და ფეოდალებისა" ამიერიდან წარმოგვიდგება მეფედ „ნებითა ბურჟუაზიისა და პარლამენტისა". მეფე ამიერიდან მოკავშირე კლასების მაღალი რანგის მოხელეა და არა „ღმერთის მოადგილე მიწაზე". ცივილური ფურცლის თანასმად, ახალ კონსტიტუციურ მეფეს პარლამენტმა ერის სახელით დაუნიშნა სელფასი—1 200 000 გირვანქა სტერლინგი წელიწადში. მეფეს აშკარად აგრძნობინეს, რომ ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა მის ტახტზე დაბრუნების ნებართვას დაუყოვნებლივ უკან გამოითხოვდა, მეფის შიერ დადებული პირობების დარღვევის შემთხვევაში.

რესტავრაცია სრულიადაც არ ნიშნავდა ახალი საზოგადოებრივი წესწყობილების ოდნავად შეცვლასაც კი. ინგლისის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, ამ უდიდესმა სოციალურმა გადატრიალებამ გაიმარჯვა, სოციალური პროგრესი განხორციელდა, ფეოდალიზმი შეცვალა კაპიტალიზმმა, წარმოების ძველი ფეოდალური ჩამორჩენილი წესი შეიცვალა ახალი, უფრო მოწინავე — კაპიტალისტური წესით, ძველი ფეოდალური თავადაზნაურობის კლასობრივი ბატონობა შეცვალა ახალი კლასების — ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ბატონობამ, ფეოდალური საკუთრება შეცვალა ბურჟუაზიულმა საკუთრებამ, ფეოდალური თავადაზნაურობის, ეკლესიისა და მეფის მამულები და ქონება გადავიდა ახალი კლასების ხელში, ანუ განხორციელდა ძველი პრივილეგირებული კლასის საკუთრების დიდი რევოლუციური გადანაწილება ახალი პრივილეგირებული კლასების სასარგებლოდ.

რესტავრაციით გამარჯვებულმა მოკავშირე კლასებმა კლასობრივი ბატონობის მხოლოდ ფორმა შეცვალეს. მათ რესპუბლიკასა და პროტექტორატს ამჯობინეს მონარქია, როგორც უფრო მყარი, სტაბილური ფორმა მმართველობისა. მათი ღრმა რწმენით მონარქია უფრო მტკიცედ უზრუნველყოფდა „ბურჟუაზიულ წესრიგს", ანუ განამტკიცებდა გამარჯვებული კლასების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ უპირატესობას, მესაკუთრე ექსპლუატატორებისათვის უზრუნველყოფდა მშრომელი ფართო მასების შეუზღუდველ და დაუჯერებელ ექსპლუატაციის საშუალებას, დაიცავდა ბურჟუაზიულ საკუთრებას ყოველგვარი ხელყოფისაგან, უზრუნველყოფდა ეკონომიკური საქმიანობის ნორმალურ პირობებს, დაიცავდა პიროვნებას — ბურჟუას და სხვა. რესტავრაცია სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ როიალისტები — კავალერები ბურჟუაზიაზე და ახალ თავადაზნაურობაზე უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, გაიმარჯვეს და მოკავშირე კლასებს მონარქის აღდგენა იარაღით აიძულეს. როგორც ვხედავთ, მონარქის დაბრუნება თვით გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ ჩათვალა საჭიროდ. რესტავრაცია მათი დამსახურება იყო.

„ბრედის დეკლარაციის“ გამოქვეყნებით მეფემ ბურჟუაზიასა და ახალ თავადაზნაურობას შესაბამისი იმედები აღუძრა. ამიტომ გაუღეს მას ასე ხელგაშლით უაიტჰოლის სასახლის კარი, საიდანაც ადრე ურჩობისათვის იმავე ძალებმა მისი მამა ეშაფოტზე აიყვანეს. როცა ჩარლზ II-ის მომდევნო მეფემ, მისმა ძმამ ჯეიმზ II-მ დაივიწყა ის, თუ რა პირობებით იჯდა ტახტზე, მოკავშირე კლასებმა იგი ტახტიდან ჩამოაგდეს და ინგლისიდან გააძევეს. ამრიგად, ინგლისში მეფობდა მეფე, მაგრამ ინგლისს ნამდვილად მართავდა რევოლუციაში გამარჯვებული ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა წარმომადგენლობითი ორგანოს — პარლამენტის საშუალებით.

მონარქიულ სისტემისაკენ დაბრუნებას ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია დადებითად აფასებს. გარდინერის მიხედვით ასეთი რეჟიმისაკენ დაბრუნება „სავსებით ბუნებრივი იყო“, რადგან მონარქიის ხელში „ერი უკვე არსებობდა მრავალი საუკუნეების განმავლობაში. იგი დაემხო უფრო მეტად უკანასკნელი მეფის პირადი ნაკლისა და არა იმ ნაკლოვანებათა შედეგად, რომელიც ახასიათებდა თვით სისტემას“. ტრეველიანი თვლის, რომ მონარქიის აღდგენა იყო „ძალმომრეობითი ხელისუფლების“ შეცვლა „კანონიერი სახელმწიფოთი“.

„ბრედის დეკლარაციამ“ ზოგადი, კონსტიტუციური ფორმით განსაზღვრა ახალი მონარქიის უფლება-ვალდებულებანი. დეკლარაციას, რომელმაც ინგლისის კონსტიტუციურ ტრადიციაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, ჩარლზ II-მ ხელი მოაწერა 1660 წლის 4 აპრილს დაბა ბრედში (რომელიც მდებარეობდა ჰოლანდიის სამხრეთით, ე. წ. ჩრდილოეთ ბრაბანტში), სადაც იგი გადმოსახლდა მონკის რჩევით ბრიუსელიდან (ბელგიიდან, რომელიც მაშინ ესპანეთს ეკუთვნოდა). დეკლარაცია არსებითად იმეორებს იმ წინადადებებს, რომელიც მონკმა გრენვილთან საუბარში წამოაყენა. მეფემ გამოაცხადა საყოველთაო პოლიტიკური ამნისტია — „თავისუფალი და საყოველთაო პატიება“ (იმ პირების გარდა, რომელთა პატიებას პარლამენტი მიზანშეწონილად არ ჩათვლიდა). შემდეგ მეფემ აღიარა სინდისის თავისუფლების, რჯულშეწყნარების პრინციპი. დეკლარაციის თანახმად რელიგიური დევნა იყო მიზეზი უკმაყოფილებისა და პარტიების ბრძოლისა. მსგავსის თავიდან აცილების მიზნით ცხადდება „სინდისის თავისუფლება, რის საფუძველზეც არ შეიძლება რომელიმე ადამიანის დევნა ან პასუხისგებაში მიცემა რელიგიური უთანხმოების გამო“. განსაკუთრებით ყურადსაღებია მესამე პუნქტი — მეფის გარანტია საკუთრების გადანაწილებაში მომხდარი ცვლილებების ხელშეუხებლად ძალაში დატოვების შესახებ. მეფემ დაადასტურა, რომ რევოლუციის პერიოდში ბევრმა ოფიცერმა, ჯარისკაცმა და სხვა კერძო

პირმა შეიძინა მიწა და მამული, რომელსაც ისინი დღესაც ფლობენ, ბევრ მათგანს ეს მიწები და ქონება უბოძეს სხვადასხვა დამსახურების გამო. ამჯერად შეიძლება მოხდეს ამ გადანაწილების გასაჩივრება გადანაწილებული ქონების უკან დაბრუნების მიზნით. მეფეს მიაჩნია, რომ ეს საქმე მთლიანად ეხება პარლამენტს, რომელსაც ყველაზე უფრო შეუძლია „ყველა დაინტერესებული პირის სამართლიანად დაკმაყოფილების უზრუნველყოფა“. ფაქტიურად მეფემ დაადასტურა გადანაწილებულ საკუთრებაზე ახალ მეპატრონეთა უფლებები. მონკის არმიის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს მეფე მადლობის ნიშნად დაპირდა ხელფასის ანაზღაურებას და სამეფო სამსახურში აყვანას.

1660 წლის 30 მაისს მეფემ პარლამენტის ორივე პალატას საზეიმო ვითარებაში შეჰფიცა, რომ იმოქმედებდა როგორც კონსტიტუციური მეფე და სახელმწიფოს გაუძღვებოდა პარლამენტთან ერთად, დაიცავდა თავისი ქვეშევრდომების თავისუფლებას, რელიგიას, კანონებს; განახორციელებდა საყოველთაო ამნისტიას, რჯულშეწყნარებას; აღიარებდა საკუთრების უფლებას რევოლუციის დროს შეძენილ კონფისკაციაქმნილ მიწებზე და ქონებაზე; ერთგული იქნებოდა „თავისუფლების დიდი ქარტიისა“, „უფლებათა შესახებ პეტიციისა“, აღიარებდა სტატუტს, რომელიც პარლამენტს გადასახადების აკრეფის საქმეში საგანგებო უფლებას ანიჭებდა. აღიარებდა აგრეთვე პარლამენტის ყველა სხვა განსაკუთრებულ უფლებას და პრიორიტეტს. ამიერიდან ახალმა მეფემ სამუდამოდ დაივიწყა პარლამენტის „ძველი უფლებებისა და თავისუფლებების“ წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, რამაც მისი ჰამა ეშაფოტზე აიყვანა.

მუდმივი ჯარი მეფეს არ დაუტოვეს. ინდეპენდენტური არმია პარლამენტმა დაითხოვა, დატოვეს სასახლის დაცვის გვარდიის რაზმი და მცირერიცხოვანი შენაერთები ირლანდიაში და შოტლანდიაში საგარნიზონო სამსახურისათვის. მეფე ფინანსურად მთლიანად პარლამენტს დამორჩილდა, როგორც აღვნიშნეთ, მას დაენიშნა სუბსიდია (ხელფასი) საკუთარი თავისა და კარის შესანახად. ამის გარდა მეფეს სხვა შემოსავალი არ გააჩნდა. მამულები თითქმის არ დაუტოვეს და პარლამენტმა ჩათვალა, რომ ეს იყო კომპენსაცია, რომელიც მეფეს მიეცა ჩამორთმეული მამულებისა და „სარაინდო მფლობელობის“ გაუქმების შედეგად, ვასალების მიერ მისთვის გადასახადების გადახდის შეწყვეტის სანაცვლოდ.

რესტავრაციამ ერთხელ კიდევ დაადასტურა (1660 წელს) რევოლუციის დიდი ღონისძიება — „სარაინდო მფლობელობის“ და ფეოდალური გადასახადების, ანუ ფეოდალური პალატის (Court of wards and Liveries) გაუქმება, რითაც აღიარა რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი შედეგი — ფეოდალური საკუთრების ბურჟუაზიული სა-

კუთრებით შეცვლა. ამ ღონისძიებამ გლეხობა ფაქტიურად მიწის გარეშე დატოვა. მიწის ერთპიროვნულ და ერთადერთ მესაკუთრეებად ცხადდებოდა თავადაზნაურობა, რომელიც თავისუფლდებოდა მეფისა თუ სხვა სუზერენების მიმართ ვასალური დამოკიდებულებისაგან, გადასახადისა და ვალდებულებისაგან. ცხადია, ასეთი ვითარება კავალერებსაც აწყობდათ. კოპიჰოლდის განთავისუფლება არც ამჯერად უფიქრიათ. შეიცვალა მხოლოდ კოპიჰოლდერის სოციალური სტატუტი — ამჯერად იგი გადაიქცა სხვისი მიწის ბურჟუაზიულ მოიჯარედ. მიწაზე ბურჟუაზიულმა საკუთრებამ და ექსპლუატაციის ახალმა ბურჟუაზიულმა ფორმამ გლეხობის მდგომარეობა გააუარესა. სოფლის მეურნეობის კაპიტალიზაციის სწრაფმა პროცესმა, რაც რესტავრაციის დროს აღინიშნა, დააჩქარა წვრილი გლეხის, როგორც კლასის საერთოდ მოსპობის პროცესი. ამრიგად, გამარჯვებული მოკავშირე კლასები მიღწეულით კმაყოფილნი იყვნენ. სახეზე იყო მათი მსახური — კონსტიტუციური მონარქი, გარანტია „წესრიგისა". დაკანონდა რევოლუციის უპირველესი შენაძენი — პირდაპირი, შეუზღუდველი ბურჟუაზიული საკუთრება — ნაცვლად ფეოდალურისა. ხელშეუხებლად გაჩოცხადდა რევოლუციის დროს მეფის, ეკლესიის, როიალისტების და ირლანდიის კონფისკაციაქმნილი მიწებისა და ქონების გადანაწილება ახალ მესაკუთრეთა ხელში. აღიარეს პარლამენტის უზენაესობა. 1660 წლის პარლამენტმა დაადასტურა ფეოდალური ვასალიტეტის სრული გაუქმება მეფესა და ფეოდალებს და თვით ფეოდალთა შორის.

რესტავრაციის პერიოდი ინგლისში ქალაქად და სოფლად კაპიტალიზმის სწრაფი და საყოველთაო განვითარებით აღინიშნა. კაპიტალიზმის წარმატების ყველა ხელისშემშლელი ფაქტორი დაძლეულ იქნა, წარმოების წესი და საწარმოო ურთიერთობანი ურთიერთშებამისობაში აღმოჩნდნენ. კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას ხელი შეუწყო მიწაზე ფეოდალური საკუთრების, სავაჭრო-სამრეწველო მონოპოლიების და საამქროების გაუქმებამ, კოლონიურ სამფლობელოთა გაზრდამ, საშინაო და საგარეო ბაზრების გაფართოებამ და სხვ. 1660 — 1680 წლებში XVII საუკუნის ინგლისელი ეკონომისტის და სტატისტიკოსის ჩარლზ დავენანტის ცნობით, ინგლისის ვაჭრობა, წარმოება და საზღვაო ფლოტის ტონაჟი გაიზარდა ორჯერ მეტად. ფლოტის ზრდა ინგლისის ვაჭრობისა და კოლონიური პოლიტიკის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. რესტავრაციის პერიოდი ინგლისის ისტორიაში აღინიშნა როგორც კაპიტალის დაგროვების უმნიშვნელოვანესი ეტაპი. კრომველის მიერ 50-იან წლებში მტკიცედ დანერგილი მერკანტილისტური პოლიტიკა ამჯერად გრძელდება და ახალი ძალით იჩენს თავს. 1661 და 1662 წლების კანონებით მკაცრად აიკრძალა ინგლისიდან ნედლეულის გატანა (მა-

ტყლი, ტყავი. სელი, მადნეული და სხვ.) და ინგლისში ზოგიერთი უცხოური საქონლის შემოტანა (მაუდი, ტილო, მაქმანი და სხვ.). ინგლისიდან მატყლის გატანა ითვლებოდა როგორც სისხლის სამართლის დანაშაული. საგრძნობლად განვითარდა და გაფართოვდა მანუფაქტურული წარმოება, დაინერგა წარმოების ახალი დარგები (შუშის, შაქრის და სხვ.), გაფართოვდა ინგლისის საგარეო სავაჭრო რეგიონები, ვესტ-ინდოეთში და ამერიკაში ინგლისის ვაჭრობა და კოლონიური პოლიტიკა საგრძნობლად გაძლიერდა. ინგლისელებმა ფართო ვაჭრობა გააჩაღეს ჩინეთთან, ინდოეთთან ირანთან და სხვ. კოლონიებიდან ნედლეულის შემოზიდვის ზრდის შედეგად ინგლისელებმა საგრძნობლად გაზარდეს საკუთარი მრეწველობის მოცულობა და სამრეწველო პროდუქტის გატანა. გაძლიერდნენ ძველი, ჩამოყალიბდნენ ახალი სავაჭრო კომპანიები (ნიუფაუნდელენდისა და სხვ.). ჰოლანდია საბოლოოდ ჩამოაშორეს ინგლისთან და მის კოლონიებთან შუამავალ ვაჭრობას. რესტავრაციის დროს საგარეო ვაჭრობის და მრეწველობის განვითარების შედეგად შემოსავალი კოლოსალურად გაიზარდა. 1688 წლისათვის ჩარლზ დევენანტის ცნობით ინგლისის წლიური შემოსავალი უდრიდა 2 მილიონ გირვანქა სტერლინგს. 1651 წლის „სანავიგაციო აქტი“ მოქმედებდა მთელი ძალით. რესტავრაციის პერიოდში იგი რამდენადმე გაართულეს და უფრო მკაცრი გახადეს. „სანავიგაციო აქტის“ 1660 წლის ვარიანტს („აქტი გემთმშენებლობისა და ზღვაოსნობის განვითარების შესახებ“) დაემატა პუნქტი, რომელიც შეეხებოდა მოსკოვის რუსეთთან ვაჭრობას და კრძალავდა რუსეთის საქონლის შემოზიდვას უცხოეთის გემებით. აიკრძალა აგრეთვე ინგლისის კოლონიებიდან უცხო ქვეყნებში ზოგიერთი საქონლის (შაქარი, თამბაქო, ბამბა, ინდიგო და სხვ.) გატანა. უცხოეთის საქონლის კოლონიებში შემოტანა აკრძალული არ იყო (ცხადია, „სანავიგაციო აქტის“ დადგენილი წესით). 1660 წლის აქტის თანახმად ხომალდის (რომელსაც საქონელი გადაჰქვს ინგლისიდან კოლონიებში და უკან) ეკიპაჟის 3/4 ინგლისელებისაგან უნდა შედგებოდეს. 1663 წელს შეიტანეს ახალი დაზუსტება: გემები არა მარტო ინგლისის საკუთრებას უნდა წარმოადგენდეს, არამედ დამზადებული უნდა იყოს ინგლისში ან მის სამფლობელოებში. 1664 წელს აიკრძალა უცხო საქონლის შეტანა კოლონიებში უშუალოდ უცხოეთის ნავსადგურებიდან ინგლისში შესვლის გარეშე, აიკრძალა უშუალო ვაჭრობა ინგლისის კოლონიებსა და ევროპის კონტინენტურ ქვეყნებს შორის. კოლონიებს საქონელი ჯერ ინგლისში უნდა შემოეზიდათ და აქედან გაეტანათ სხვა ქალაქებში. ინგლისი გადაიქცა კოლონიური საქონლის — ბამბის, ინდიგოს, შაქრის, თამბაქოს და სხვათა საწყობად. 1672 წელს დაწესდა ბაჟები ერთი კოლონიიდან მეორეში გადატანილ საქონელზე. „სანა-

ვიგაციო აქტმა" ინგლისის ფლოტის ზრდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. 1663 წელს ინგლისის ნავსადგურებიდან გასულ ინგლისელთა გემების ტონაჟი უცხოელთა ტონაჟს ორჯერ აღემატებოდა. მარტო ლონდონიდან გატანილ იქნა 2 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი ღირებულების საქონელი. 1668 წელს ეს რიცხვი გაორკეცდა. „სანავიგაციო აქტები" ინგლისის ბურჟუაზიის გამდიდრებისა და მათი საერთაშორისო ასპარეზზე გავლენის ზრდის უმნიშვნელოვანეს საწინდარს ქმნიდა, მანვე უდიდესი როლი შეასრულა ინგლისში თავისუფალი კაპიტალის დაგროვების საქმეში, რაც კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს ქმნიდა. ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებოდა აგრეთვე 1663 წლის აქტი, რომელიც ნებას იძლეოდა ინგლისიდან ფულის და ძვირფასი ლითონების გატანას, ამით ბურჟუაზია თავისუფლდებოდა ძველი მერკანტილისტური პოლიტიკის ზოგიერთი შეზღუდვისაგან.

შალის მრეწველობის წახალისების მიზნით გამოიცა აქტები, რომლებიც შალის ტანისამოსის იძულებით ტარებას აკანონებდა. სამრეწველო პროტექციონიზმის პოლიტიკა ზოგჯერ კურიოზულ ხასიათს ღებულობდა. 1667 წლის კანონით ინგლისში სავალდებულო იყო მიცვალებულის შალის ტანისამოსში დაკრძალვა. 1678 წლის კანონით პარლამენტის წევრები ვალდებულნი იყვნენ ნოემბრის დამდეგიდან მარტის დამლევამდე შალის ტანსაცმელი ჩაეცვათ. მსხვილ კაპიტალისტურ მრეწველთა სასარგებლოდ 1687 წელს მიღებულ იქნა მკაცრი ანტიმუშური კანონი, რომელიც მუშებს უკრძალავდა რაიმე გაერთიანებას ხელფასის მომატებისა და პირობების გაუმჯობესების მიზნით. პირველ შემთხვევაში სასჯელი განისაზღვრა 20 დღის პატიმრობით, ან 10 გირვანქა სტერლინგი ჯარიმით. მეორე შემთხვევაში დამნაშავეს ელოდა სამარცხვინო ბოძი და ყურის მოჭრა.

სტიუარტებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს ზოგიერთი სავაჭრო კომპანიის მონოპოლიური უფლებები და პრივილეგიები. ჩარლზ II, მისი ძმა იორკის ჰერცოგი და ბევრი კარისკაცი, მინისტრი და სახელმწიფოს სხვა დიდი მოხელე, მჭიდრო კავშირში იყო ლონდონის სიტის მაგნატებთან, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სავაჭრო კომპანიების (ოსტ-ინდოეთის, აფრიკის, ჰუდსონის და სხვ.) საქმიანობაში. იორკის ჰერცოგი — საზღვაო სამინისტროს მეთაური და ტახტის მემკვიდრე, იყო აგრეთვე თავმჯდომარე აფრიკის სავაჭრო სამეფო კომპანიისა, რომელსაც აფრიკიდან გამოჰქონდა ოქრო, სპილოს ძვალი და „შავი ხე" — მონა ზანგები. ჩვეულებრივ დიდ ფავორში იყო ოსტ-ინდოეთის კომპანია, რომელთან უშუალოდ თვით მეფე იყო დაკავშირებული. ჰუდსონის სავაჭრო კომპანიას ხელმძღვანელობდა სტიუარ-

ტებთან ერთად ინგლისში დაბრუნებული პრინცი რუპერტი. ამ პოსტზე იგი შეცვალა იორკის ჰერცოგმა, ეს უკანასკნელი — პერცოგმა მალბორომ.

რესტავრაციის პერიოდში ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიის ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზარდა. ჯერ კიდევ 1657 წელს კრომველმა ოფიციალურად დაამტკიცა ამ კომპანიის მონოპოლიური უფლებები. ბომბეის ინგლისელთა ხელში გადასვლის შემდეგ (1668 წელს ქალაქი ჩარლზ II-მ ოფიციალურად ჩააბარა კომპანიას) ინდოეთში ინგლისის პოზიციები საგრძნობლად განმტკიცდა. ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანია 60-80-იან წლებში გადაიქცა აღმოსავლეთში ბრიტანეთის იმპერიის ადმინისტრაციულ ორგანოდ. მას მიენიჭა იურისდიქციის უფლება ყველა კოლონიაზე და ყველა კოლონისტზე, ჯარების შეგროვებისა და სიმაგრეების აშენების უფლება და სხვ. ამიერიდან კომპანია გადაიქცა დიდ დამპყრობელ სამხედრო-პოლიტიკურ ძალად. კომპანიამ დიდი როლი შეასრულა შორეული აღმოსავლეთიდან და ინდოეთის ოკეანიდან ძირითადი მეტოქის — ჰოლანდიის განდევნის საქმეში. კომპანიამ ხელი შეუწყო აგრეთვე ინგლისელთა შეღწევას თურქეთში.

რესტავრაციის პერიოდში გაიზარდა შემოსავლის ახალი, დიდი წყარო — „ცოცხალი საქონლით“ — ზანგებით ვაჭრობა. სწორედ ამ პერიოდში იწყება მონა ზანგების მასობრივი გადაყვანა ამერიკის პლანტაციებში სამუშაოდ. იაფმა „შავმა მონებმა“ თანდათან გამოდევნეს თეთრი „კაბალის მონების“ შრომა. მონათვაჭრობა უდიდეს მოგებას იძლეოდა. მონით ვაჭრობის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა კუნძულები — იამაიკა და ბარბადოსი. ინგლისელებთან ერთად მონებით ვაჭრობდნენ ფრანგები, ჰოლანდიელები, პორტუგალიელები და ესპანელები. მათ შორის მიმდინარეობდა მწვავე ბრძოლა მონებით ვაჭრობის მონოპოლიური უფლების მოპოვებისათვის. ამ ხანგრძლივ და მწვავე ბრძოლაში გაიმარჯვეს ინგლისელებმა, რომლებმაც უტრახტის ზავით 1713 წელს მოიპოვეს ასიენტოს, ანუ მონებით ვაჭრობის მონოპოლიური უფლება.

რესტავრაციის მთავრობა ხელს უწყობდა ვაჭრობის ამ ბარბაროსულ სისტემას. 1663 წელს ინგლისში იორკის ჰერცოგმა დააარსა პირველი მონათსავაჭრო კომპანია, რომლის მეპაეთა შორის, მინისტრებთან და დიდებულებთან ერთად, იყვნენ დედოფალი-დედა (ჰენრიეტა-მარი) და დედოფალი-მეუღლე (კატრინ ბრაგანტელი). უფრო მოგვიანებით ამ კომპანიის ბაზაზე აღმოცენდა ზემოხსენებული აფრიკის სავაჭრო სამეფო კომპანია.

ბურჟუაზიის ინტერესებს პასუხობდა კოლონიური იმპერიის ადმინისტრაციული მმართველობის ცენტრალიზაცია. კოლონიის ინტერე-

სები თითქმის აბსოლუტურად დაექვემდებარა მეტროპოლიის ინტერესებს. ამ საქმეს ახორციელებდა კომიტეტი — Lords of Trade, რომელიც მოგვაგონებდა თანამედროვე Colonial office.

(რესტავრაციის პერიოდში საგრძნობლად გაფართოვდა ინგლისის სამფლობელოები ჩრდილოეთ ამერიკაში. 1667 წელს ინგლისმა საბოლოოდ დაიმკვიდრა ჰოლანდიის კოლონია — ახალი ნიდერლანდი. 60-იან წლებში ჩამოყალიბდა ორი კოლონია — ჩრდილოეთ და სამხრეთ კაროლინა (მათ მეპატრონეთა შორის იყვნენ კლარენდონი და შეფტსბერი). ჰოლანდიის კოლონიების ხელში ჩაგდებით ამერიკის ჩრდილოეთით მდებარე ინგლისის კოლონიები დაუკავშირდნენ სამხრეთ კოლონიებს (კაროლინა, ვირჯინია და სხვ.). 1670 წელს ინგლისელებმა ხელთ იგდეს მდინარე ჰუძონის უბის მდიდარი მიწები. ეს საქმე განახორციელა ახლად შექმნილმა ჰუძონის უბის კომპანიამ. 1681 წელს ცნობილ კვაკერსა და კოლონიურ მოღვაწეს უილიამ პენს ჩრდილოეთ ამერიკაში ჩარლზ II-მ „უბოძა“ (ვალის — 16000 გირვანქა სტერლინგის სანაცვლოდ) მიწები, სადაც დაარსდა ახალი კოლონია — პენსილვანია.)

(ამერიკის ახალშენებს ინგლისის ეკონომიკისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. XVII საუკუნის 80-იან წლებში ჩრდილოეთ ამერიკისა და ვესტ-ინდოეთის კოლონიებიდან გატანილ იქნა 1 მილიონ გირვანქა სტერლინგის საქონელი.) შეტანილ იქნა მეტროპოლიაში დამზადებული 300 000 გირვანქა სტერლინგის ღირებულების საქონელი.

გრძელდება ირლანდიისა და შოტლანდიის მაქსიმალური ძარცვის და დაჩაბალების პოლიტიკა.(60-იანი წლების აქტებით შოტლანდიას აუკრძალეს ინგლისის კოლონიებთან ვაჭრობა.) ირლანდიიდან შემოტანილ საქონელს დაედო უზარმაზარი ბაჟი, ამასთან ერთად აიკრძალა მისი სხვა ქვეყნებში გატანა. ამ ღონისძიებამ ჩაკლა ირლანდიის მაუდის წარმოება და მეცხვარეობა.(1666-81 წლებში ინგლისელებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს ირლანდიის მესაქონლეობას. კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით აიკრძალა ინგლისში ირლანდიის საქონლის — ხორცის, კარაქის და საერთოდ რძის ყოველგვარი პროდუქტის შემოზიდვა, რამაც ირლანდიის მესაქონლეობა უმძიმეს პირობებში ჩააყენა. ასეთმა პოლიტიკამ გაანადგურა ირლანდიის გემთმშენებლობის საქმე და ზღვაოსნობა. ეს ვითარება კი ინგლისის ვაჭრებს გაუდიდრების ახალ საშუალებებს უქმნიდა.)

*

(სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობაში წარმოების კაპიტალისტური წესის განმტკიცება და შემდგომი განვითარება,) რაც პირველ ყოვლისა, ხდება მსხვილი კაპიტალისტური იჯარის —

ფარმერული მეურნეობის ზრდის საფუძველზე. წვრილი გლეხური მეურნეობის კატასტროფული სისწრაფით რღვევის პირობებში. წვრილი გლეხობის ექსპროპრიაციის ეკონომიკური საფუძველი შექმნა სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა დანერგვამ, პოლიტიკური — ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის მიერ ძალაუფლების ხელში აღებამ. (გამარჯვებულმა „მოკავშირე კლასებმა“ შემოღობვასა და გლეხობის უმიწაწყლოდ დატოვებას „კანონიერი“ ხასიათი მისცა.) ამასთან აღსანიშნავია ის, რომ ამიერიდან ექსპროპრიაციის ობიექტია არა მარტო სათემო მიწები და გლეხობის სათემო უფლებები, არამედ წვრილი გლეხური მეურნეობაც, როგორც კოპიჰოლდა, ასევე ფრიჰოლდაც.

(პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ შემოღობვათა მიმართ გარკვეული შეზღუდვები და ოფიციალური რეგლამენტაცია. რასაც რევოლუციამდე სტიუარტები ახორციელებდნენ, საშუალოდ მიეცა დავიწყებას. ამიერიდან სტიუარტები გამარჯვებული ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ინტერესებიდან გამომდინარე „შემოღობვას“ ოფიციალურად უჭერდნენ მხარს, მას იურიდიულად აკანონებდნენ.) გლეხების მიწების მიტაცება, მამულების გამსხვილება-შემოღობვა ძირითადად მიმდინარეობს გლეხების მიწების შესყიდვით ან მათი მიწიდან საცხებით აყრის გზით.

სტიუარტებმა მსხვილი მემამულეების, მსხვილი ლენდლორდების, მსხვილი ფერმერების, ბობოლა — მდიდარი გლეხების მიმართ თავიდანვე აიღეს „უპირატესი მფარველობის“ კურსი. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ ინერგება მიწაზე მაღალი ფასები, რაც გამორიცხავდა დემოკრატიის მიერ მიწების შეძენის შესაძლებლობას და ქმნიდა მსხვილი ლენდლორდებისა და თავისუფალი კაპიტალის მჭონე პირთა ხელში მიწების კონცენტრაციის პირობებს. (1666 წელს პარლამენტმა მიიღო სათემო მიწების განაწილების ახალი კანონი, რომელიც მსხვილ მემამულეებს საშუალებას აძლევდა სათემო მიწების „შემოღობვა“ განეხორციელებინათ „კანონიერი“ გზით, საკანცლერო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.) 1667 წლის 16 აპრილს პარლამენტის ახალმა აქტმა წვრილ გლეხურ მეურნეობას, როგორც კოპიჰოლდს, ასევე ფრიჰოლდს ახალი დიდი დარტყმა მიაყენა. ამიერიდან მიწის მფლობელი გლეხი ვალდებული იყო მიწის ფლობის უფლების კანონიერების დასადასტურებლად წარმოედგინა წერილობითი საბუთი, წინააღმდეგ შემთხვევაში მიწა (მათ შორის ფრიჰოლდაც) ცხადდებოდა როგორც „მფლობელობა ლორდის ნება-სურვილით“. ინგლისის გლეხობა, რომელიც მიწას უპირატესად „ადათობრივი უფლების“ საფუძველზე ფლობდა, ასეთ საბუთებს მოკლებული იყო. ამიერიდან ასეთი გლეხები ითვლებოდნენ არა მიწის მფლობელებად,

არამედ მოკლევადიან მოიჯარეებად. მსხვილ მემამულეს უფლება ეძლეოდა გაეზარდა მიწის რენტა და მეტიც, გლეხი აეყარა მიწიდან როცა სურდა და როგორც სურდა, მათი მიწები კი „შემოეღობა“ ან გადაეცა მსხვილი ფერმერებისათვის კაპიტალისტური იჯარის წესით. ამ აქტით მემამულეთა კლასს მიწაზე გლეხობის უფლებათა უზურპაციის ახალი, თითქმის შეუზღუდველი საშუალება მიეცა.

არსებულმა ხელისუფლებამ სოფლად მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობის იაფი და მუდმივი მუშახელით უზრუნველყოფისათვისაც იზრუნა. 1662 წელს მიღებული კანონი „ბინადრობის (დასახლების) შესახებ“ („Laws of Settlement“)(ერთი შეხედვით ინგლისის ღარიბთა მდგომარეობის გაუმჯობესებას ითვალისწინებდა, მისი სრული სათაური შესაბამისად ჟღერდა კიდეც — „აქტი ინგლისის სამეფოს ღარიბთათვის უკეთესი დახმარების აღმოჩენის შესახებ“.) თვით აქტის ერთ-ერთ პუნქტში ნათქვამი იყო, რომ იგი შემუშავებულია „ღარიბთა სასარგებლოდ, ზარმაცებისა და მაწანწალების გამოსაყოფრებლად, იმ პირთა სამუშაოთი უზრუნველსაყოფად, ვინც თავის სამრეველოში შემწეობის უფლებით სარგებლობდა“. ფაქტიურად კი ყველაფერი კეთდებოდა იმათთვის, ვინც ქალაქად ან სოფლად იაფ მუშახელს საჭიროებდა. კანონის თანახმად, ღარიბ-ღატაკი მიჯაჭვული იყო იმ ადგილას, სადაც დაიბადა, აქ უნდა ეძია მას სამუშაო, უნდა დაქირავებოდა მუშად ან მოჯამაგირედ ადგილობრივ მემამულეს ან ფერმერს მისთვის შეთავაზებულ ყოველგვარ პირობებში, რადგან სხვაგან წასვლა და უკეთესი სამუშაოს ძებნის საშუალება მას არ ჰქონდა. ადგილობრივ ხელისუფლებას — „ღარიბთა მზრუნველებს“, ეკლესიის მსახურებს, მომრიგებელ მოსამართლეებს ევალებოდათ 40 დღის განმავლობაში სხვა ადგილებიდან მოსულთა გამოვლენა და მათი დაბრუნება ძირითად საცხოვრებელ ადგილას. ერთ რეგიონში მუშახელის სიჭარბის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო ზედმეტობის გადასროლა იქ, სადაც მუშახელის ნაკლებობა აღინიშნებოდა. ამ აქტს პოლიტიკური მნიშვნელობა მიეცა. ქალაქებიდან, მათ შორის ლონდონიდან გააძევეს სოფლიდან გამოქცეულ ღარიბ-ღატაკთა მასა, ანუ შეკვეცეს „მეამბოხე ელემენტთა“ რაოდენობა.

ამრიგად, ინგლისის სოფელში კაპიტალიზმის განვითარება, ფეოდალური საკუთრების ბურჟუაზიულ საკუთრებად გარდაქმნა, კაპიტალისტური მსხვილი მემამულური და ფერმერული მეურნეობის განვითარება, ძველი თემური ტრადიციების შემდგომი რღვევა, „შემოღობვები“ და წვრილი გლეხობის ექსპროპრიაცია და სხვ. რესტავრაციის დროს გრძელდებოდა და ახალი ძალით იჩენდა თავს. „სტიუარტების რესტავრაციის დროს — წერს კ. მარქსი, — მიწის მესაკუთ-

რეებმა საკანონმდებლო წესით გაატარეს ის უზურპაცია, რომელიც კონტინენტზე ყოველივე საკანონმდებლო ცერემონიის გარეშე განხორციელდა. მათ მოსპეს ფეოდალური საადგილმამულო წესწყობილება, ე. ი. თავიდან მოიცილეს ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ბეგარა, „აუნაზღაურეს“ სახელმწიფოს ზარალი გლეხებსა და ხალხის დანარჩენ მასაზე გადასახადების შემოღებით, მიითვისეს თანამედროვე კერძო საკუთრების უფლება მამულებზე, რაზედაც მხოლოდ ფეოდალური უფლება ჰქონდათ და, ბოლოს, ინგლისის სოფლის მუშებს თავს მოახვიეს დასახლების კანონები („Laws of Settlement“)[1]. გლეხობის ექსპროპრიაციის პროცესმა რესტავრაციის პროცესში ახალი ძალით იჩინა თავი. გლეხობა კვლავ არსებობს როგორც კლასი, მაგრამ რიცხობრივად საგრძნობლად იკლებს და მისი ცხოვრების პირობები სულ უფრო და უფრო უარესდება. არსებითად რესტავრაციის დროს მომზადდა XVIII საუკუნეში გლეხობის მასობრივი, კანონიერი, „საპარლამენტო ფორმით“ ექსპროპრიაციის ყველა წინაპირობა.

ფეხვილი მიწათმფლობელების, ლენდლორდებისა და კაპიტალისტ-ფერმერების ინტერესების დაცვას ითვალისწინებდა 1670 წელს მიღებული ე. წ. „პურის კანონები“, რომელიც მაღალი შემოტანითი ბაჟების საფუძველზე ფაქტიურად კრძალავდა უცხოეთიდან პურის შემოზიდვას, რაც ინგლისელ მემამულეებს საშუალებას აძლევდა ადგილობრივ ბაზარზე მონოპოლიური მაღალი ფასები შეენარჩუნებინათ. იკრძალებოდა აგრეთვე ხორცისა და პირუტყვის შემოტანა. ხელისუფლება ყოველნაირად მფარველობდა ინგლისური პურის საზღვარგარეთ გატანას, საექსპორტო ბაჟები უკიდურესობამდე შეამცირეს, პურის ექსპორტიორებს ეძლეოდათ პრემია და სხვა. ასეთ ვითარებაში საგრძნობლად გაიზარდა პურის ფასები ქვეყნის შიგნით. შეღავათები ვრცელდებოდა აგრეთვე ინგლისური ხორცისა და პირუტყვის ექსპორტის შემთხვევაში. ეს ღონისძიებანი მშრომელი ინგლისისათვის არაპირდაპირი გადასახადის ხასიათს ღებულობდა. ღარიბი ინგლისელი იძულებული ხდებოდა ეყიდა საგრძნობლად გაძვირებული პური და ხორცი. ამასთან დაკავშირებით ინგლისში გავრცელდა მეტად თავისებური ეკონომიკური „თეორია“: სურსათის და პირველი მოხმარების საგნების სიიაფე სრულიადაც არ ნიშნავს კეთილდღეობას. შრომა რაც უფრო ძნელია, მით უფრო ნაყოფიერია. საარსებო საშუალებათა სიძვირე მწარმოებელ კლასებს მატებს მეტ ენერგიას, ზრდის პროდუქციას, ზრდის მის მყიდველებს შინ თუ გარეთ, ანუ მოასწავებს სიმდიდრის დაგროვებას.

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 908.

(როგორც ვიცით, უპირველესი მიზანი, რომელსაც გამარჯვებული მოკავშირე კლასები სტიუარტთა მონარქიის აღდგენით ისახავდა, მასების რევოლუციური აქტივობის საბოლოო ჩახშობა იყო. ამ შემთხვევაშიც სტიუარტებმა გაამართლეს მოლოდინი.) 60-იანი წლები აღინიშნება გლეხობის და პლებეურ-დემოკრატიული რადიკალური პოლიტიკურ-რელიგიური მოძრაობის მნიშვნელოვანი დაცემით, „ბურჟუაზიული წესრიგი“ თითქმის სავსებით იყო უზრუნველყოფილი.

(რესტავრაციის პირველ წლებში გამარჯვებული მოკავშირე კლასები სტიუარტთა საგარეო პოლიტიკითაც კმაყოფილი იყვნენ. ჩარლზ II-მ ცალმხრივი დეკლარაციით ესპანეთთან საომარი მოქმედება შეწყვიტა. იამაიკა და დიუნკერკი ინგლისელებს დარჩათ, რაც ინგლისელთა მნიშვნელოვანი წარმატების მაუწყებელი იყო. ესპანეთთან ომის შეწყვეტამ შესაძლებელი გახადა არმიის დათხოვა. მეფეს თოფქვეშ დარჩა 5 000 ჯარისკაცი პირადი გვარდიის სახით.

მოკავშირე კლასები კმაყოფილნი იყვნენ მეფის დაქორწინებით პორტუგალიის მეფის ასულზე — ინფანტა კატარინა ბრაგანცელზე, რომელსაც მზითვად მოჰყვა ინდოეთის უდიდესი ქალაქი ბომბეი, მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე გიბრალტართან ტანჯერი და 800 000 გირვანქა სტერლინგი. ამ დინასტიურმა ქორწინებამ კიდევ უფრო განამტკიცა პორტუგალიის კოლონიებში ინგლისელთა გავლენა.

ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზე იყო. სტიუარტთა რესტავრაციამ გაამართლა მოკავშირე კლასების იმედები. მაგრამ მალე ვითარება შეიცვალა. სტიუარტების საშინაო და საგარეო პოლიტიკამ საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. მოკავშირე კლასები იძულებულნი გახდნენ სტიუარტები ხელმეორედ განედევნათ ტახტიდან, ამჯერად რევოლუციის გარეშე, „ზემოდან“ სახელმწიფო გადატრიალების გზით.

II. პოლიტიკურ-რელიგიური რეაქცია და 1688—1689 წლების გადატრიალება

1. პოლიტიკურ-რელიგიური რეაქცია

„ბურბონებმა ვერაფერი დაივიწყეს და ვერაფერი ისწავლეს“, — 1815 წელს საფრანგეთში ბურბონთა რესტავრაციასთან დაკავშირებით ტალეირანის მიერ თქმული ეს კლასიკური კალამბური სავსებით შეეფერება ინგლისში 1660 წელს დაბრუნებულ სტიუარტებს. ბურბონები საფრანგეთში ნაპოლეონზე გამარჯვებულმა მოკავშირეებმა დააბრუნეს, სტიუარტები კი ინგლისის ახალმა ბატონ-პატრონებმა — ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ იხმო ტახტზე.

[მოსალოდნელი იყო, რომ სტიუარტები გაითვალისწინებდნენ რეალურ ვითარებას, ანგარიშს გაუწევდნენ ინგლისში მომხდარ სოციალურ ცვლილებებს, იმ ახალ ძალებს, რომელთა წყალობითაც დაიბრუნეს მათ ტახტი და კეთილდღეობა, დაკმაყოფილდებოდნენ მიღწეულით და ბოლომდე ერთგულნი დარჩებოდნენ ახალი ინგლისისა და მისი ჭეშმარიტი გამგებლების — გამარჯვებული რევოლუციური მოკავშირე კლასებისა, საბოლოოდ დაივიწყებდნენ ფეოდალიზმსა და აბსოლუტიზმის აღდგენის სურვილს.]

[მაგრამ მოხდა პირიქით, სტიუარტებმა პირველივე შესაძლებლობისთანავე უღალატეს „ბრედის დეკლარაციაში“ დადებულ პირობებს, გამოამჟღავნეს თავიანთი ფარული ჩანაფიქრი — ფეოდალური აბსოლუტიზმის და თვით კათოლიციზმის აღდგენის სურვილი.] რევოლუციის მესვეურებმა დაივიწყეს ის, რომ ჩარლზი „კანონიერ“ მონარქის უფლებებში აღადგინა და ემიგრანტებს ინგლისში დაბრუნების უფლება მისცა გამარჯვებულმა რევოლუციურმა ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ, უგულებელყვეს იხგლისის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარი რევოლუციური ცვლილებები, ვერ გაითვალისწინეს ის, რომ მათ წინაშე იყო ახალი, კაპიტალისტური, ბურჟუაზიული ინგლისი, ახალი მოთხოვნებით, ახალი ამოცანებით, ახალი მორალით, ანუ სტიუარტებმა განიზრახეს შეუძლებელი, დაუპირისპირდნენ თვით ისტორიის მიერ დაკანონებულ აუცილებლობას და ბუნებრივია დამარცხდნენ. „ძველი რეჟიმის“ აღდგენისათვის ბრძოლაში ჩარლზ II სტიუარტს გვერდში ედგა თავადაზნაურული რეაქციული ემიგრაცია, კათოლიკური ელემენტები, სამეფო კარი, ძმა—უკიდურესი აბსოლუტისტი და კათოლიკე, ტახტის მემკვიდრე იორკის ჰერცოგი და სხვ. ჩარლზ II თანამიმდევრულად შეუდგა „ბრედის დეკლარაციაში“ გათვალისწინებული პირობების დარღვევას. საყოველთაო პოლიტიკური ამნისტიის ნაცვლად რევოლუციის მრავალი მონაწილის მიმართ მან განახორციელა უსასტიკესი ტერორისტული აქცია; რჯულშეწყნარების ნაცვლად გატარდა პროტესტანტების საყოველთაო დევნა; მეფე და კამარილია არ დაკმაყოფილდა ანგლიკანური ეკლესიის აღდგენით, დღის წესრიგში დაისვა კათოლიციზმის ოფიციალური აღიარების საკითხი; საკმაოდ აქტიურად ცადეს ემიგრანტთათვის მიწა-ქონების დაბრუნება და სხვ. [აბსოლუტიზმის აღდგენას შეეწირა ინგლისის საგარეო პოლიტიკის ეროვნული ინტერესი, სტიუარტებმა ინგლისი გადააქციეს მთავარი მეტოქის — საფრანგეთის და მისი მბრძანებლის ლუი XIV-ის საგარეო პოლიტიკის დანამატად. ფეოდალურ-აბსოლუტისტურმა და კლერიკალურმა რეაქციამ განსაკუთრებით იჩინა თავი უკანასკნელი სტიუარტის ჯეიმზ II-ის მეფობის დროს.]

რეაქცია რევოლუციის ბევრი აქტიური მონაწილის მიმართ ტერორით დაიწყო, ცოცხლებთან ერთად არ დაინდეს მკვდრებიც კი. „ბრედის დეკლარაციის“ ძღიარებული საყოველთაო ამნისტია არ გაავრცელეს განსაკუთრებით „საშიში დამნაშავეების“, პირველ ყოვლისა, „მეფის მკვლელების“ მიმართ. თავდაპირველად ასეთ კატეგორიას მიაკუთვნეს 7 კაცი, შემდეგ — 73. მათ შორის 25 ცოცხალი არ იყო, 19 „დამნაშავე“ ინგლისიდან გაიქცა, 29 დარჩენილი დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს. მათ შორის გენერალი ჰარისონი, ჰიუ პიტერსი და სხვები. დამნაშავეებისათვის გაქცევის საშუალება რომ არ მიეცათ, იმ დღეებში ინგლისის ყველა პორტი საგულდაგულოდ იყო ჩაკეტილი. 1662 წლის 14 ივნისს, ტოუერ-ჰოლის მოედანზე თავი მოკვეთეს „განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეს“, ადამიანთა უფლებისათვის დიდ მებრძოლს, უანგარო რესპუბლიკელს ჰენრი ვენს, თუმცა მას მეფის „მკვლელობაში“ მონაწილეობა არ მიუღია. ციხეში გამოკეტეს გამოჩენილი ინგლისელი პოეტი, პურიტანი ჯონ ბენიენი. დაბრმავებული და დავრდომილი ჯონ მილტონი რისხვას გადურჩა. შური იძიეს მის ნაწარმოებებზე, რომელთაც 1660 წლის 27 აგვისტოს აუტოდაფე მოუწყეს. დააპატიმრეს ცნობილი რესპუბლიკელი და პოლიტოლოგი ჯეიმზ ჰარინგტონი. აღადგინეს კრომველის დროს დახურული თეატრები. იდგმებოდა ამორალური სპექტაკლები, სადაც, პირველ ყოვლისა, დასცინოდნენ პურიტანებს, მათ ზნეობას, მათ იდეებს.

1661 წლის 30 იანვარს ინგლისელები უჩვეულო შურისძიების მოწმენი გახდნენ. დილით, თოვლიან დღეს, ოლივერ კრომველის, ჰენრი აირტონისა და ჯონ ბრედშოუს ნახევრად გახრწნილი გვამები საფლავებიდან ამოიღეს და მარხილებით ტაიბერნში მიიტანეს. სუდარაში გახვეული გვამები სახრჩობელაზე ჩამოკიდეს. მზის ჩასვლისას ცხედრები ჩამოხსნეს და თავები მოკვეთეს. სხეულები იქვე ჩაფლეს სახრჩობელის ქვეშ გათხრილ სამარეში. თავები შუბებზე წამოაცვეს და უესტმინსტერის სასახლის წინ აღმართეს. რეაქციამ შეურაცხყო აგრეთვე დიდი ოპოზიციონერის ჯონ პიმისა და გამოჩენილი ადმირალის რობერტ ბლეკის საფლავები. მათი გვამები უესტმინსტერის სააბატოს სასაფლაოდან ამოიღეს და წმინდა მარგრეტის ეკლესიის ეზოში დაფლეს. რეპრესიის შიშით ათობით რესპუბლიკელი სამშობლოდან გარბოდა. დევნიდნენ კრომველის ვეტერანებს, სასტიკი აწიოკება განიცადეს სექტანტებმაც.

სტიუარტებმა დაარღვიეს აგრეთვე რევოლუციის დროს გადახდილების ქონების ხელშეუხებლობის პირობა. ემიგრანტები და ანგლიკანური ეკლესია მოითხოვდა სეკვესტრირებული, სეკულარიზებული და კონფისკაციაქმნილი მამულების მთლიანად დაბრუნებას. ეს, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო. რესტავრაციის მესვეურები ბურ-

ქუაზიული საკუთრების ჰოსპობისა და ფეოდალური საკუთრების მთლიანად აღდგენის საქმეში აბსოლუტურად უძლურნი აღმოჩნდნენ, საქმე ისაა, რომ მიწების დიდი ნაწილი სეკვესტრირების პირობებში როიალისტებმა თვითონვე გაყიდეს — ჯარიმების (კომპოზიციების) გადასახდელად. ახალმა მესვეურებმა ეს მიწები შეიძინეს ნებაყოფლობითი ყიდვა-გაყიდვის გზით. მიწების გაყიდვა ხდებოდა ყველა იურიდიული ფორმალობის დაცვით, ნაღდ ანგარიშზე. მდგომარეობას ართულებდა აგრეთვე ისიც, რომ დროთა ვითარებაში ამ მიწებმა რამდენიმე მეპატრონე შეიცვალეს. ამრიგად, როიალისტების მიერ გაყიდული საკუთარი მიწების უკან დაბრუნებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. პარლამენტმა სპეციალური აქტით სეკვესტრირებული და გაყიდული მიწების უკან დაბრუნების საკითხი ოფიციალურადაც მოხსნა.

სადავო იყო მხოლოდ მეფის, ანგლიკანური ეკლესიისა და როიალისტ-დელიქვენტების კონფისკაციაქმნილი და სეკულარიზებული მიწების ბედი. იურიდიულად ეს აქტი გამოიყურებოდა როგორც უკანონო და ძალმომრეობითი აქცია. ასეთი მიწების დაბრუნება ყოველი მესაკუთრისათვის ფორმალურად მაინც იყო გამართლებული. კავალერების და საეკლესიო მსახურთა მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო კონფისკაციაქმნილი და სეკულარიზებული მამულების დაბრუნება. ბევრი ახალი მფლობელი ძველმა მეპატრონეებმა მიწაზე დატოვეს როგორც ხანგრძლივვადიანი მოიჯარე, რაც ფაქტიურად მოასწავებდა დროთა ვითარებაში ასეთი მიწის მოიჯარის საკუთრებაში გადასვლას. სეკულარიზებული ან კონფისკაციაქმნილი, შემდეგ კი გაჩუქებული ან გაყიდული მიწა გადადიოდა ხელიდან ხელში. პირველ მფლობელს დიდი დრო, ენერგია და სახსრები სჭირდებოდა სასამართლოს წესით თავისი უფლების აღდგენისათვის, ამიტომ ხშირად კავალერები თანახმანი იყვნენ მიწის ახალი მფლობელისაგან რაიმე სახით კომპენსაცია მიეღოთ, რის შემდეგ ისინი მიწის დაბრუნებაზე აღარ დავობდნენ. მიწების დაბრუნების შესაძლებლობას ართულებდა ისიც, რომ სეკულარიზებული და კონფისკაციაქმნილი მიწების ახალ მესაკუთრეთა შორის ბევრი იყო რესტავრაციის უშუალო მონაწილე, რომელიც დაუახლოვდა მეფეს და დაწინაურდა მის სამსახურში.

რაც შეეხება ირლანდიის მიწებს, იგი მთლიანად დარჩა ახალ მესაკუთრეთა ხელში. ერთადერთი რაც მათ დაუვალათ ეს იყო მიწის საერთო ღირებულების 1/3-ის გადახდა. ასეთი გზით შეგროვილი თანხით სურდათ დაეკმაყოფილებინათ ის ირლანდიელი მიწისმფლობელები, რომლებიც 1641 წლის აჯანყებაში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ მიწები მაინც დაკარგეს. რაც შეეხება მეფეს, მას მამულები არ დაუბრუნეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პარლამენტმა მისთვის დანიშნუ-

ლი ხელფასი — 1 200 000 გირვანქა სტერლინგი ჩათვალა, რომელიც შესაბამისი კომპენსაციის. 1670 წელს გაიყიდა ჯერ კიდევ მეფის ხელთ დარჩენილი რამდენიმე მცირე დომენი.

ამრიგად, აქტმა „ნებაყოფლობით და საყოველთაო პატიების, განთავისუფლების და დავიწყების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა კავალერებისათვის მამულების დაბრუნებას, დააკმაყოფილა მხოლოდ მათი ნაწილი, პირველ ყოვლისა, სახახლესთან დაახლოებული საერო და სასულიერო დიდკაცობა. კავალერ-ემიგრანტთა ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელმაც მამულები ვერ დაიბრუნა, ვერ შეეგუა ახალ სამეურნეო მოთხოვნებს, წარმოადგენდა ყველაზე უფრო საშიშ ძალას, მონარქიის ყველა ანტირევოლუციური წამოწყების მოთავეს. როიალისტ-ემიგრანტთა ამ ნაწილისათვის, რომელმაც ძველი ეკონომიკური ბაზა ვერ აღიდგინა (მამულები ვერ დაიბრუნა), მატერიალური უზრუნველყოფის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა ხაზინა და მეფის სამსახური (შემოსავლიანი თანამდებობები). ისინი იმედოვნებდნენ, რომ მეფე მხოლოდ მისი აბსოლუტისტურ უფლებებში აღდგენის შემთხვევაში შეძლებს მათთვის მამულების, კეთილდღეობის ამ მყარი საფუძველის დაბრუნებას. ძველი თავადაზნაურობის ეს ნაწილი მეფის ირგვლივ იყრიდა თავს, წარმოადგენდა რეაქციის ბურჯს და მეფის ერთგულ იარაღს ფეოდალური აბსოლუტიზმის აღდგენისათვის ბრძოლაში, ძლიერი შეუზღუდველი მეფე — აი, მათი ერთადერთი ამოცანა და იმედი.

მეფის ზემოაღნიშნული პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებდა რესტავრაციას ქონებრივ სფეროში, იწვევდა ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის უკმაყოფილებას და წარმოადგენდა სტიუარტებთან მისი მომავალი კონფლიქტის ერთ-ერთ წინაპირობას.

1660 წლის კონვენტში (პარლამენტში) უმრავლესობას პრესბიტერელები ფლობდნენ. 1661 წელს არჩეულ ახალ პარლამენტში უმრავლესობა როიალისტების (მათ შეარქვეს ზედმეტი სახელი „მილინიანტები“, ანუ „ვერაგნი“) მხარეზე აღმოჩნდა. პრესბიტერელებმა მხოლოდ სამოციოდე მანდატი მოიპოვეს. მეფე კმაყოფილი იყო არჩევნების შედეგებით, მას იმედი ჰქონდა, რომ ახლად არჩეული პარლამენტი, რომელსაც როიალისტური უმრავლესობის გამო „კავალერების პარლამენტი“ უწოდეს, მისი ერთგული იქნებოდა. ეს არსებითად რეაქციული პარლამენტი მეფეს არ დაუთხოვია და მან 18 წელიწადს, 1679 წლამდე იარსება, ამიტომ მას „მეორე ხანგრძლივი პარლამენტის“ ან „რესტავრაციის ხანგრძლივი პარლამენტის“ სახელითაც იხსენიებენ. მაგრამ აღნიშნული პარლამენტი ბოლომდე მეფის ერთგული როდი აღმოჩნდა. ფეოდალურ-აბსოლუტისტური რეაქციის ზღვარგადასულმა თარეშმა პარლამენტში წარმოშვა საკმაოდ ძლიერი, მაგ-

რამ არარადიკალური ოპოზიცია. მის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო აგრეთვე იმან, რომ 18 წლის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით გათავისუფლებული ადგილების შესავსებად რამდენჯერმე ჩატარდა დამატებითი არჩევნები, რომელმაც შეცვალა პარლამენტის შემადგენლობა ოპოზიციის სასარგებლოდ.

პროტექტორატის მიერ 1654 წელს დაწესებული საარჩევნო სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ მაღალ ქონებრივ ცენზს ეყრდნობოდა და საგრძნობლად კვეცავდა ამომრჩეველთა რიცხვს, მაინც შეიცავდა პოზიტიურ სიახლეს — ძველი, არქაული „დამპალი დაბების" ნაცვლად გათვალისწინებული იყო ახალი საარჩევნო ოლქები, რომელიც ახალი სავაჭრო-სამრეწველო ქალაქებით და მჭიდროდ დასახლებული სოფლების საფუძველზე ყალიბდებოდა. ეს წესი ითვალისწინებდა იმ უდიდეს ძვრებს, რომელიც სამეურნეო ცხოვრებაში მოხდა და უზრუნველყოფდა საპარლამენტო უმრავლესობას სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზიისათვის. ძველი წესების აღდგენით მათ ეს უპირატესობა დაკარგეს. ამჯერად პრიორიტეტი მოიპოვეს როიალისტურმა მსხვილმა მიწათმფლობელებმა. 1661 წელს არჩევნები ჩატარდა ძველი, რევოლუციამდელი წესით, „დამპალი დაბების" საფუძველზე. ამან როიალისტებს სასურველი კანდიდატების არჩევის საშუალება მისცა. ფართოდ გამოიყენეს ამომრჩეველთა მოსყიდვისა და მათზე იძულების ძველი მეთოდები, როიალისტებთან ერთად აქტიურად მოქმედებდა უფლებააღდგენილი ანგლიკანური ეკლესიაც.

„კავალერთა პარლამენტთან" ერთად სტიუარტთა რეაქციული პოლიტიკის იარაღს წარმოადგენდა ახალი მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი მონარქისტი „დიდი ამბოხების ისტორიის" ავტორი ედუარდ ჰაიდი გრაფი კლარენდონი, რომელიც ემიგრაციის დროს მეფესთან ერთად იყო, როგორც მისი აღმზრდელი და უახლოესი მრჩეველი. კლარენდონი დაუნათესავდა კიდეც სტიუარტთა ოჯახს. კლარენდონის ქალიშვილი ცოლად ჰყავდა იორკის ჰერცოგს, მომავალ მეფეს—ჯეიმზ II-ს. კლარენდონს ეკავა ლორდ-კანცლერის თანამდებობა და „საიდუმლო საბჭოში" ხელმძღვანელ როლს ასრულებდა. მთავრობის (საიდუმლო საბჭოს) შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე ცნობილი მონარქისტები ლორდი სოუტჰემპტონი (ლორდი ხაზინადარი), ჩარლზ I-ის ერთგული ჯარისკაცი ჯეიმზ ბატლერი, გრაფი ორმონდი (კარის მინისტრი), მეფის ძმა, იორკის ჰერცოგი (საადმირალოს ლორდი). მთავრობის შემადგენლობაში შეიყვანეს აგრეთვე რამდენიმე პრესბიტერელი, მათ შორის გენერალი ჯორჯ მონკი, ამჯერად უკვე ჰერცოგი ელმბერლი, პარლამენტის ფლოტის ყოფილი ადმირალი და კრომველის ახლობელი ედუარდ სენდვიჩ გრაფი მონტეგიუ, ძველი პრესბიტერელი, ხანგრძლივი პარლამენტის აქტიური მოღვაწე

უილიამ ფიენი ლორდი სეი-ენდ-სილი (ბეჭდის მცველი), პროტექტორატის ცნობილი მოღვაწე ანტონი ეშლი კუპერი გრაფი შეფსტბერი (ხაზინის კანცლერი) და სხვ. სახელმწიფოს ორ მდივანს შორის ერთი (ნიკოლაჯი) როიალისტი იყო, მეორე (მორისი) — პრესბიტერელი.

კავალერების ფეოდალურ-აბსოლუტისტურმა და კლერიკალურმა რეაქციამ თანდათან იჩინა თავი. თავდაპირველად ისინი მოქმედებდნენ თავდაუპირალად, მორიდებულად, გარკვეულ ანგარიშს უწევდნენ პრესბიტერელებს, მათი ლიდერები სამეფო (საიდუმლო) საბჭოშიც შეიყვანეს, ყურადღებით ეკიდებოდნენ მათ გამოსვლებს პარლამენტში. თავდაპირველად კავალერებმა ანგლიკანურ და პრესბიტერულ ეკლესიათა შორის კომპრომისის საფუძველზე მათი ერთ ეკლესიად გაერთიანებაც კი სცადეს. ამ მიზნით ეპისკოპოს უშერის ინიციატივით მოიწვიეს საეკლესიო კრება, სადაც მიღწეულ იქნა ზოგიერთი კომპრომისი დოგმებისა და საორგანიზაციო საწესჩვეულებო სფეროში. მაგალითად, ეპისკოპოსი ცხადდებოდა პრესბიტერელების ეპარქიალური კომიტეტის თავმჯდომარედ, ეპისკოპოსების დამტკიცება უნდა მომხდარიყო პრესბიტერების საბჭოზე, გადაისინჯა ანგლიკანური ლოცვანი პრესბიტერული თვალით. პრესბიტერელებმა აღიარეს ანგლიკანური ლიტურგია, ზოგიერთი (მათი შეხედულებით) „ცრუმორწმუნეობითი წესების“ ამოღებით. ამ კომპრომისის შედეგად ერთ-ერთი პრესბიტერი — რეინოლდსი ეპისკოპოსადაც კი ეკურთხა. შერიგება პრესბიტერებისა (მათთან ერთად მემარჯვენე ზომიერ ინდეპენტებისა) და ეპისკოპალურ-ანგლიკანური ეკლესიის მომხრეებისა, რომელთაც აერთიანებდათ მხოლოდ საერთო სიძულვილი კათოლიკეების მიმართ, საბოლოოდ ვერ მოხერხდა. წინააღმდეგობა მათ შორის გრძელდება. ხელისუფლებამ კურსი ანგლიკანური ეკლესიის აღდგენისაკენ აიღო. ცოცხლად დარჩენილი ეპისკოპოსები დაუბრუნდნენ თავიანთ ეპარქიებს, დაიბრუნეს მამულები და ადგილები ლორდთა პალატაში (ცნობილი ბილი, რომელმაც ეპისკოპოსები ლორდთა პალატიდან განდევნა, გააუქმეს). სამრევლოებში დაბრუნდნენ რექტორები, დეკანები, კაპიტულები და ანგლიკანური ეკლესიის სხვა მღვდელმსახურები. აღდგენილ იქნა ერთიანი ლოცვანი. აშკარა იყო, რომ „კავალერების პარლამენტი“ ომს უცხადებდა ოფიციალური ანგლიკანური ეკლესიის მოწინააღმდეგე ყველა პურიტანულ მიმდინარეობასა თუ სექტას, ანუ დისენტერებს (ეს ტერმინი მაშინ დამკვიდრდა ხმარებაში, ნაცვლად ადრე ხმარებული ტერმინებისა დისიდენტი და ნონკონფორმისტი).

პრესბიტერელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სტიუარტები ძალაში დატოვებდნენ ყველაფერს, რაც ხანგრძლივმა პარლამენტმა განახორციელა 1649 წლამდე (მეფის სიკვდილით დასჯამდე). მაგრამ

მათი იმედი არ გამართლდა. მეფემ, კლარენდონმა და „კავალერთა პარლამენტმა“ მთლიანად გადაანგრიეს „ხანგრძლივი პარლამენტის“ მთელი საქმიანობა და მონარქიზმის განმტკიცების მიზნით ბევრი კანონი, აქტი თუ გადაწყვეტილება გააუქმეს ან შეცვალეს. ბევრი მათგანი, რომლის გაუქმება შეუძლებელი იყო, მათ ხელახლა დაადასტურეს. სტიუარტებმა ვერ გაბედეს ხელყოფა იმ საპარლამენტო ღონისძიებებზე, რომლებიც ასახავდნენ ბურჟუაზიული რევოლუციის ძირითად სოციალურ მონაპოვარს და ადასტურებდნენ ქვეყნად კაპიტალისტურ განვითარებას. როგორც ვნახეთ, ძალაში დარჩა კანონი „პარლამენტის მფლობელობის“ გაუქმების შესახებ.

კავალერთა შორის ბევრი იყო ისეთი, რომელიც მოითხოვდა „ბრედის დეკლარაციის“ დაუყოვნებლივ მთლიანად გაუქმებას და აბსოლუტიზმის აღდგენას სტრაფორდ-ლოდის ვარიანტით. მაგრამ კლარენდონი (რომლის სახელთანაა დაკავშირებული ყველა პირველი რეაქციული წამოწყება შინ თუ გარეთ: დისენტერების დევნა, ანგარიშსწორება რევოლუციის მოღვაწეებისადმი, დამამცირებელი კავშირი ლუი XIV-თან და სხვ.) შედარებით უფრო ზომიერებითა და მოვლენებისადმი რეალისტური მიდგომით გამოირჩეოდა. იგი ახერხებდა ულტრაროიალისტთა მადის ერთგვარად დაოკებას, მას ეშინოდა სახალხო რისხვისა და 1649 წლის განმეორებისა. იგი აგრძელებდა ცნობილი როიალისტების, კოლპეპერისა და ფოკლენდის ტრადიციებს — იცავდა ძლიერი მონარქისა და მასზე მორჩილი პარლამენტის პრინციპს. კლარენდონი ყველაფერს აკეთებდა პარლამენტის უფლებათა შეკვეცის ხარჯზე მეფის პრეროგატივის შემდგომი განმტკიცებისა და გაფართოებისათვის, ამასთან, ყოველნაირად ცდილობდა აელაგმა ჯარის თავგასულობა, პოლიტიკური ცინიზმი, ამორალიზმი და შეუზღუდველი აბსოლუტიზმისა და კათოლიციზმის აღდგენის სურვილი.

სამეფო ხელისუფლების განმტკიცების საწინდარი იყო ანგლიკანური ეკლესიის სრული ბატონობის აღდგენა, რაც რელიგიური თავისუფლების — რჯულშეწყნარების აღკვეცის საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო. დისენტერების დევნას და ანგლიკანური ეკლესიის აღდგენას რელიგიურთან ერთად პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. 1661 წლიდან მეფე, სასახლის კამარილია, „კავალერთა პარლამენტი“ და კლარენდონი შეუდგნენ ამ ჩანაფიქრის თანამიმდევრულად განხორციელებას. პირველ ყოვლისა, დაიწყეს იმით, რომ დაადგინეს უესტმინსტერის ეზოში ჯალათის ხელით დაეწვათ პრესბიტერელთა ძირითადი დოკუმენტი — „აქტი ლიგისა და კოვენანტის შესახებ“. შემდეგ კი დისენტერების წინააღმდეგ მიიღეს რამდენიმე უმკაცრესი კანონი, რითაც რეაქციულმა კავალერებმა განახორციელეს „ბრედის დეკლარაციის“ კიდევ ერთი პირობის — რჯულშეწყნარების უხეში

დარღვევა. დისენტერების დევნა დაიწყო 1662 წელს მიღებული „აქტით კორპორაციის შესახებ". იგი ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის გაწმენდას პურიტან-პროტესტანტებისაგან, რადგან შესაფერისი თანამდებობის დაკავება შეეძლოთ მხოლოდ იმ პირებს, ვინც უარყოფდა კოვენანტს და ფიცს დებდა ანგლიკანური წესის შესაბამისად. კოვენანტის უარყოფასთან ერთად უნდა უარეყოთ „დანაშაულებრივი მოძღვრება მეფისა და მისი თანამდებობის პირებისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის კანონიერების შესახებ". 1662 წლის 24 აგვისტოს გამოქვეყნდა ახალი კანონი — „აქტი ერთგვაროვნობის (ერთმორწმუნეობის) შესახებ", რომელიც უკვე მიმართული იყო საერთოდ პურიტანული (პრესბიტერელები, ინდეპენდენტები, სექტები) რწმენისა და ეკლესიის წინააღმდეგ. აქტის თანახმად ყველა სასულიერო პირი, ვისაც სურს ღვთისმსახურება, ვალდებულია აღიაროს ანგლიკანიზმი და ფიცი დადოს მისი პრინციპის შესაბამისად. უნდა შეჰფიცოს მეფეს, ვითარცა ეკლესიის პრიმასს (მეთაურს), უნდა აღიაროს, რომ დაუშვებელია მეფისადმი დაუმორჩილებლობა, მის წინააღმდეგ იარაღის აღმართვა ან სხვა ხასიათის წინააღმდეგობების გაწევა, რაიმე ცვლილებების შეტანა სახელმწიფო და საეკლესიო წყობილებაში. ციხისა და გადასახადების მუქარით აიკრძალა ყოველგვარი წირვა-ლოცვა, გარდა ანგლიკანურისა. ამ ღონისძიების სიმკაცრემ და შესაძლო არასასურველმა შედეგმა სტიუარტთა ბევრი მომხრეც ჩააფიქრა. თვით ლორდთა პალატაში გაისმა პროტესტის ხმა. პერების ერთი ნაწილი წინადადებას იძლეოდა გადაყენებულ დისენტერებისათვის პენსია მაინც დაენიშნათ. ანტონი ეშლი კუპერი უფრო კატეგორიულ პოზიციაზე იდგა, იგი მოითხოვდა ბილის შეჩერებას. ერთგვარი ყოყმანი თვით კლარენდონსაც კი დაეტყო. რეაქციამ იმძლავრა. ბილი ძალაში შევიდა. „კავალერთა პარლამენტმა" გადმოისროლა ლოზუნგი: „არასოდეს ხელახლა". რელიგიური თავისუფლება მათი აზრით ნიშნავს პოლიტიკურ თავისუფლებას, ანუ ხელყოფას მეფისა და ეკლესიის მიმართ.

პურიტან-პროტესტანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ დაემორჩილა ახალ კანონს. რასაც მოჰყვა დისენტერთა მასობრივი დევნა და რეპრესიები. დევნილთა შორის გარდა რიგითი პურიტანებისა იყვნენ მასწავლებლები და თანამდებობის პირები. 2000-ზე მეტი პურიტანი მღვდელმსახური (ნონკონფორმისტი — ფიცმიუღებელი), ანუ ინგლისის სამღვდელოების ერთი მეხუთედი, თავიანთ პოსტებიდან განდევნეს. ეს მასობრივი დევნა და რეპრესიები წოდებულ იქნა „წმინდა ბათლომეს მეორე ღამედ" („აქტი ერთგვაროვნობის შესახებ" მიღებულ იქნა 24 აგვისტოს — წმინდა ბათლომეს დღეს).

პურიტანული წეს-ჩვეულებებისა და კულტის აღსრულება აიკრძალა. პურიტანები იკრიბებოდნენ ფარულად, კერძო ბინებში, მიმალულ ადგილებში. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა 1665 წელს, როცა ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ მიიღო მკაცრი, რეპრესიული კანონი — „აქტი ფარული სამლოცველოების შესახებ“ (ე. წ. „Conventicle Act“). კანონის დამრღვევთ ელოდათ ციხე და გადასახლება. ასე მოეღო ბოლო რევოლუციის დიდ მონაპოვარს, რელიგიური თავისუფლების დიდ პრინციპს, ადამიანის უფლებას იწამოს ღმერთი, როგორც სურს, პრინციპს, რომელიც ამასთან ერთად წარმოადგენდა პოლიტიკური თავისუფლების მნიშვნელოვან საფუძველს. დავიწყებას მიეცა კრომველის ცნობილი დოქტრინა, რომლის თანახმად არავინ არ უნდა დაისაჯოს თავისი რწმენისათვის თუკი იგი არ არღვევს სახელმწიფოს სიმშვიდეს.

1665 წელს მიღებულ იქნა კიდევ ერთი შემზღუდავი კანონი — „ხუთმილიანი აქტი“ (Five Mile Act), რომლის თანახმად დათხოვილ ყველა დისენტერს, — ყოფილ მღვდელს თუ სკოლის მასწავლებელს, ვინც არ აღიარებდა იმას, რომ მეფისადმი ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევა დანაშაულია, ეკრძალებოდა 5 მილით ახლოს მისულიყენენ თავიანთ სამრეველოსთან ან ქალაქთან, რომელსაც მუნიციპალური მმართველობა აქვს. დევნილ დისენტერებს საერთოდ აეკრძალათ სკოლების გახსნა და ახალგაზრდობის სწავლება პურიტანიზმის საფუძველზე. კანონის დამრღვევი ჯარიმდებოდა 40 გირვანქა სტერლინგის ფარგლებში. აქტის საბაბი გახდა შემდეგი ვითარება: 1665 წელს ლონდონში „შავი ჭირის“ მძვინვარების დროს ანგლიკანურმა სამღვდელოებამ დატოვა ქალაქი. პურიტანებმა ისარგებლეს ამით და კვლავ დაიკავეს თავისუფალი კათედრები.

პურიტანების დევნამ საყოველთაო და სასტიკი ხასიათი მიიღო. მოქმედებდა სასჯელის რამდენიმე ზომა, ჯარიმა, ციხე, გადასახლება. სამღვდელო პირებთან და ინტელიგენტებთან ერთად დაზარალდა ინგლისის მწარმოებელი, მატერიალური დოვლათის შემქმნელი კლასი. დევნილ პურიტანთა შორის იყვნენ ვაჭარი, მრეწველი, მანუფაქტურისტი და სხვ. მაგრამ განსაკუთრებით დიდ მასას შეადგენდნენ წვრილი და საშუალო ხელოსნები. ტრეველიანი მიუთითებს, რომ „კლარენდონის კოდექსების“ (ასე უწოდებს იგი დისენტერების წინააღმდეგ მიმართულ კანონებს) მსხვერპლი გახდა „საშუალო და დაბალი“ კლასები, ვაჭარი და განსაკუთრებით ბევრი ხელოსანი, რაც საგრძნობლად დაეტყო ინგლისის მეურნეობას. „სახელმწიფო მოღვაწეები ჩივიან, რომ რელიგიური დევნა საგრძნობლად ამუხრუჭებს ვაჭრობას“, — წერს ტრეველიანი. ფარული მლოცველების გამოსაელენად ამოქმედდა ჯაშუშთა უზარმაზარი ქსელი. მკაცრი ცენზურა ცდილობდა პური-

ტანული ლიტერატურის ამოძირკვას. კავალერები და რეაქციული „ოჭროს ახალგაზრდობა“ დასცინოდა და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა პურიტანებს. 1660-62 წლების განმავლობაში დააპატიმრეს 3 000-ზე მეტი კვაკერი. კანონის დამრღვევ პურიტანებს აჯარიმებდნენ ძალზე დიდი თანხით, რის შედეგადაც ბევრი მათგანი, უპირატესად წვრილი ხელოსანი, წვრილი ვაჭარი, წვრილი ჯენტრი და გლეხი ღატაკდებოდა. ამიერიდან პურიტანები განიცდიდნენ ისეთ დევნას და შევიწროებას, როგორც კათოლიკები. დევნილი დისენტერების ოჯახები უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ერთ-ერთი თანამედროვის თქმით, „რამდენიმე ასეულ მათგანის ცოლებსა და შვილებს აღარ გააჩნიათ აღარც ჰერი და აღარც პური“. ციხეები გაივსო პატიმრებით. ცნობილი ღვთისმეტყველი ალეინი ციხეში გარდაიცვალა 39 წლის ასაკში. უელსის პურიტანი აპოსტოლო პოეული 11 წელი სხვადასხვა ციხეში იტანჯებოდა, ბოლოს გარდაიცვალა ფლიტის ციხეში. მიუხედავად დევნისა, ჯარიმებისა, დაჭერისა და გადასახლების საფრთხისა, პურიტანები განაგრძობდნენ ფარულად შეკრებას და წირვა-ლოცვას.

გარდინერი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ რელიგიური თავისუფლების აღკვეცას ინგლისის ხალხი დადებითად შეხვდა. ხალხის თვალში, — ამბობდა იგი, — რელიგიური თავისუფლების კრომველისეული პრინციპი „დაკავშირებული იყო არმიის ბატონობასთან, უვიც და ფანატიკოს მქადაგებელთა უხეშ გულისნადების გადაშლასთან“. არასოდეს ყოფილა რელიგიური თავისუფლება ესოდენ უიმედო მდგომარეობაში, დაასკვნის იგი, რადგან „ლორდისათვის და ჩარლზ I წინააღმდეგობის გაწევა შეიძლებოდა. ვიღა გასწევდა წინააღმდეგობას, როცა მდევნელის როლში აღმოჩნდა თვით ერი?“ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მთელი პროცესი რესტავრაციისა წარიმართა რევოლუციისაგან მოტყუებული დემოკრატიული ინგლისის პოლიტიკური ინდიფერენტიზმის პირობებში, გარდინერის მოსაზრება რამდენადმე მართალია. წინააღმდეგობა მასობრივი, რევოლუციური არ იყო. ასეთ შემთხვევაში კავალერები თავიანთ მიზანს საერთოდ ვერ მიაღწევდნენ, მაგრამ პროტესტი მაინც იყო და ზოგჯერ საკმაოდ ძლიერი. იგივე გარდინერი იძულებულია აღიაროს, რომ რელიგიური თავისუფლების იდეის საბოლოო აღკვეთა სტიუარტებმა ვერ შეძლეს, იგი ცოცხლობდა და მის მიმართ „დაინტერესებას იჩენდა ადამიანთა ძალზე დიდი რიცხვი“.

როცა ინგლისის ხალხის პოლიტიკური ინდიფერენტიზმის შესახებ ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, იგი აბსოლუტური გაგებით როდი წარმოგვიდგება. რესტავრაციის რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობამ თავიდანვე იჩინა თავი, მაგრამ მას ჰქონდა დაჭაქსული, არაორგანიზებუ-

ლი, არასაყოველთაო ხასიათი და აკლდა მიზნის სიცხადე, რაც მისი წარუმატებლობის უპირველეს საფუძველს ქმნიდა. ასეთი იყო, მაგალითად, „მეხუთე მონარქიის ადამიანთა“ (მილენართა) მიერ ორგანიზებული გამოსვლები 1661 წლის იანვარში. გამოსვლებს ხელმძღვანელობდა მეკასრე ტომას ვენერი, რომელმაც ჯერ კიდევ 1657 წელს სცადა აჯანყება კრომველის წინააღმდეგ. 6 იანვარს სამოცამდე შეიარაღებულმა მეამბოხემ ხელთ იგდო ქ. წმინდა პავლეს ტაძარი. კვლავ გაისმა მათი მისტიკური წინასწარმეტყველება: ინგლისში დადგა ჟამი იოანეს აპოკალიფსისში დადასტურებული „ციური მხედრიონის“ მიწიერ ბოროტ ძალებზე გამარჯვებისა, ათასი წლით სამართლიანი მეუფების მოსელისა, როცა სატანას ბორკილებს დაადებენ და დამკვიდრდება ქრისტეს მეუფებით „წმინდანთა რესპუბლიკა“, რომელიც მოსეს კანონებს დაეყრდნობა და სხვ. „მეხუთე მონარქიის ადამიანთა“ შორის, როგორც ვიცით, ბევრი უკიდურეს რადიკალურად იყო განწყობილი, მრავალი მათგანი კერძო საკუთრების მოსპობას და ქონების ერთობასაც კი მოითხოვდა. აჯანყებულები ფიქრობდნენ აღედგინათ „ძველი კეთილი საქმე“ — „წმინდანთა რესპუბლიკა“. ისინი დღის წესრიგში აყენებდნენ სამართლის რეფორმას, ქურდობისათვის სიკვდილით დასჯის გაუქმებას, ხოლო ამორალური საქციელისათვის მკაცრ სასჯელს—სიკვდილით დასჯამდე და სხვა. 9 იანვარს მეამბოხეებმა სცადეს ციხეებიდან გაენთავისუფლებინათ ყველა პოლიტიკური პატიმარი, ხელისუფლებამ სამხედრო ძალაზე დაყრდნობით გაანადგურა აჯანყება, მთელი ინგლისის მასშტაბით დაიწყო „მეხუთე მონარქიის ადამიანების“ მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, ტერორს ცოცხალი თითქმის ვერავინ გადაურჩა.

„მეხუთე მონარქიის ადამიანთა“ ყოველგვარ რეალობას მოკლებული სექტანტური მისტიკა ფართო მასებისათვის გაუგებარი იყო, ამდენად, მათი განადგურება ხელისუფლებისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

1661 წლის შემოდგომაზე გამოააშკარავეს შეთქმულება, რომლის მონაწილეთა შორის იყვნენ პარლამენტის ყოფილი წევრები, რესპუბლიკელები, გადაყენებული ოფიცრები, დათხოვილი ჯარისკაცები, ინდეპენდენტები, სექტანტები, სეკულარიზებული და კონფისკაციაქმნილი მიწების შემსყიდველები და სხვ. შეთქმულებს ერთიანი სამოქმედო გეგმა არ გააჩნდათ, ხელმძღვანელთა შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა. დაპატიმრებულ შეთქმულთა შორის იყო ბევრი ცნობილი რესპუბლიკელი, მათ შორის უილიამ პულტნეი, ჯონ უაილდმანი და სხვ. შეთქმულთა მონაწილეობაში ბრალი დასდეს და დააპატიმრეს თვით ჯერარდ ჰარინგტონი.

რესტავრაციის რეჟიმს პირველი და რთული სიძნელეები შეუქმნა

და პირველი კონფლიქტები გამოიწვია ფინანსურმა და საგადასახადო პოლიტიკამ. ჩარლზ II-მ სახელმწიფო ჩაიბარა დიდი ვალით — 2,5 მილიონი გირვანქა სტერლინგით. ამას დაემატა მისი საკუთარი ვალი 3 მილიონი. დიდი თანხა იყო საჭირო არმიის და ფლოტის ხელფასის დავალიანების დასაფარავად, გაჩნდნენ სახელმწიფო თანხების ახალი მხარჯველები — მეფე და მისი კარი, უნდა გამოენახათ სახსრები განსაკუთრებით გაველენიანი კავალერებისათვის რევოლუციის მიერ მიყენებული ზარალის საკომპენსაციოდ.

ერთგულ ქვეშევრდომულმა პარლამენტმა თავდაპირველად ყურად იღო მონარქის მოთხოვნები და ჩვეულებრივთან ერთად რამდენიმე საგანგებო ღონისძიებაც გაატარა. დააწესა თერთმეტი სპეციალური თვიური გადასახადი (Honthly Asseswent), რომელმაც მეფეს მისცა 70000 გირვანქა სტერლინგი, ნება დართო აეკრიფათ სულადი გადასახადი (Poll-tax). იგი არ წარმოადგენდა პროგრესულ-საშემოსავლო გადასახადს, მას იხდიდნენ კონკრეტული პიროვნებები რანგის შესაბამისად, მაგალითად, ჰერცოგი 100 გირვანქა სტერლინგს, ჩვეულებრივი ჯენტლმენები 5 გირვანქა სტერლინგიდან 1 შილინგამდე და ა. შ. ამ საგანგებო გადასახადმაც მეფის ხაზინას შესძინა 400 000 გირვანქა სტერლინგი.

„ბრედის დეკლარაციაში“ მეფე ხალხს სინდისის თავისუფლებასთან ერთად აღუთქვამდა აქციზების და სხვა გადასახადების შემსუბუქებას, მაგრამ მოხდა პირიქით, ახალი საგადასახადო პოლიტიკის მთელი სიმძიმე, პირველ ყოვლისა ხალხს, ხოლო შემდეგ ბურჟუაზიას უნდა გადაეტანა. როცა მეფისათვის ცივილური ფურცლით გამოყოფილი 1 200 000 გირვანქა სტერლინგის დაფინანსების საკითხი დაისვა, იყო წინადადება ამ თანხის გაღება დაკისრებოდა „სარაინდო უფლებისაგან“ განთავისუფლებულ მემამულეებს (მათ ხომ გაუნთავისუფლდათ უზარმაზარი თანხა, რომელსაც ისინი ადრე მეფეს უხდიდნენ). მაგრამ პარლამენტმა, რომელიც თანამიმდევრულად იცავდა მსხვილი მემამულეების ინტერესებს, ეს წინადადება უარყო და თანხა ისევ ხალხს დააკისრა, პირველ ყოვლისა, აქციზის გაზრდის ხარჯზე. 1668 წელს გაზარდეს აქციზი ლუდზე, ზოგიერთ ღვინოზე, ძმარზე, ყავაზე, ჩაიზე, დაწესეს აქციზი იმპორტულ ღვინოზე. 1671 წელს აქციზები კიდევ უფრო გაზარდეს. 1662 წელს შემოიღეს ახალი — „ოჯახის, კერის ანუ ბუხრის გადასახადი“ (Hearth money). ყოველ ოჯახზე — კერიაზე (ბუხარზე) დაწესებული იყო გადასახადი 2 შილინგი, რაც წლიურად მეფეს საშუალოდ აძლევდა 200 000 გირვანქა სტერლინგს. 1670 წელს დაწესდა ახალი პირდაპირი გადასახადი სამთამადნო წარმოებაში, შემოსავალზე (1 შილინგი 1 გირვანქა სტერლინგზე) და ხელფასზე (2 შილინგი ერთ გირვანქა სტერლინგზე). პირდაპირი გადა-

სახადები დაედო აგრეთვე სამეფო ბანკირებისა და კრედიტორების მოძრავ ქონებას და კაპიტალს, 1672 წელს მეფის ხელისუფლებამ შეამცირა პროცენტები, რომელსაც იგი უხდიდა ბანკირებს მეფის სესხთან დაკავშირებით, რასაც მოჰყვა, პირველ ყოვლისა, სიტის მაგნატების უკმაყოფილება.

საგადასახადო პოლიტიკით ხალხისა და ბურჟუაზიის უკმაყოფილებას იზიარებდა აგრეთვე მემამულეთა ის ნაწილი, რომელიც ეკონომიკურად უშუალოდ უკავშირდებოდა ბურჟუაზიას. 1661 წელს აღმოჩენილ იქნა შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა მეფე აეძულებინათ განეხორციელებინა დანაპირები — სინდისის თავისუფლებისა და აქციზების გაუქმება. 1663 წელს მსგავსი შეთქმულებებია იორკში, ლანკასტერში, ნოტინჰემში და სხვ. 1664 წელს ვინმე რალფ პოტერი ინგლისელებს აჯანყებისკენ მოუწოდებდა ლოზუნგით — სინდისის თავისუფლება, აქციზების გაუქმება. 1668 წელს სერიოზული მღელვარებაა ლონდონის ქარგალთა შორის, არის ცდა ციხეებიდან პოლიტპატიმართა განთავისუფლებისა. 1670 წელს ლონდონში მღელვარებაა, რაც ფრანგული საქონლის თავისუფალი იმპორტის წინააღმდეგ იყო მიმართული. მაგრამ მთავრობა მაინც დაუსჯელად ახორციელებდა თავის საგადასახადო პოლიტიკას. მესაკუთრე ინგლისი, გამარჯვებული მოკავშირე კლასები ურიგდებოდნენ ამ ვითარებას. აქტიურ წინააღმდეგობას არ უწევდნენ მეფეს და მის ხელისუფლებას, პირიქით, მხარში ედგნენ მას სახალხო მღელვარებათა ჩახშობისას. მათ აღარ სურდათ სახალხო მოძრაობის ახალი აღზევების მოწმენი ყოფილიყვნენ.

მაგრამ მეფისა და სასახლის წრეგადასულმა მფლანგველობამ და ამორალიზმმა მალე ერთგულ ქვეშევრდომულ „კავალერთა პარლამენტშიც“ კი გარკვეული უკმაყოფილება წარმოშვა. ძალაუფლებისა და საკუთრების დაბრუნების იმედდაკარგულმა სასახლეში თავმოყრილმა კავალერებმა შელახული უფლებების კომპენსირების თავისებური საშუალება გამონახეს გაუთავებელი კარის ინტრიგების, მფლანგველობის, ორგიებამდე მისულ ღრეობების, გარყვნილებისა და ავხორცობის, აზარტული თამაშებისა და სხვა მანკიერებათა სახით. ყოველივე ამას ტონს თვით „მუდამ მოცინარი“, ცინიკოსი, ფუჭსავატი, გარყვნილი, „მხიარული მეფე“ ჩარლზ II აძლევდა, რომელმაც თავაშვებული ცხოვრებით ყველას და ყველაფერს გადააჭარბა. სახელმწიფო თანხები უმოწყალოდ იფლანგებოდა, განსაკუთრებით „ძვირი ჯდებოდა“ მეფის ფავორიტი ქალები, რომელთაც იგი წარამარა იცვლიდა. მარტო ერთ-ერთი ასეთი არსება ლუიზა დე კერუაილი, რომელიც მეფეზე უდიდესი ზეგავლენით სარგებლობდა (იგი დედოფალ ჰენრიეტა-მარის ამალასთან ერთად ჩამოვიდა საფრანგეთიდან. ლუი XIV

მას ხშირად იყენებდა, აგენტად), ინგლისის ხაზინას ყოველწლიურად უჯდებოდა 40 000 გირვანქა სტერლინგი. 1681 წელს ამ ფავორიტის საჭიროებისათვის დაიხარჯა 136 000 გირვანქა სტერლინგი. მეფე თავის მრავალრიცხოვან ფავორიტ ქალებს და მათთან შეძენილ უკანონო შვილებს ურიგებდა მამულებსა და ტიტულებს. ინგლისის მრავალი არისტოკრატული ოჯახის საწყისები ამ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთანაა დაკავშირებული. მეფის უკანონო კავშირმა ვარვარა პალმერთან, რომელსაც მეფემ კლივლენდის ტიტული უბოძა, დასაბამი მისცა გრაფტონების ჰერცოგთა ცნობილ საგვარეულოს. კურტიზან მსახიობთან ნელი გვინტთან და მეფის რომანთანაა დაკავშირებული სენტ-ალბანების ჰერცოგთა საგვარეულოს წარმოშობა. ლუიზა დე კერუაილმა მიიღო პორტსმუტის ჰერცოგის ტიტული და საფუძველი ჩაუყარა რიჩმონდების სახლს. პირველმა საყვარელმა ლუისი ვალტერმა მეფეს შეასძინა ვაჟი, მონმაუტის ჰერცოგი, რომელმაც დასაბამი მისცა ბუკლეიგების ჰერცოგთა ოჯახს. სასახლეში უზარმაზარი თანხა იფლანგებოდა კარის მუსიკოსების, ეგერთა მრავალრიცხოვანი ამალის, პარფიუმერიის და კულინარიის ოსტატების და მეფის სხვადასხვა დანიშნულების მრავალრიცხოვან მსახურთა შესანახად. დიდძალი ფული იხარჯებოდა ზღაპრული მეჯლისების, ღრეობების და ნადიმობის მოწყობაზე. სასახლე სავსე იყო კარის მასხარებით, მოქეიფეებით, შულერებით და სხვადასხვა რანგის უცხოელი ავანტიურისტებით.

მეფისა და კარის თავაშვებულობა იწვევდა თვით ძველი, ჩარლზ I-ის ერთგული როიალისტების, მათ შორის ორივე ჩარლზის ერთგული მსახურის კლარენდონის აღშფოთებას. მან თავის „დიდი ამბოხების ისტორიაში", რომელიც დაიწერა სტიუარტთა სადიდებლად, თავი ვერ შეიკავა და სათანადოდ ამხილა ჩარლზ II და მისი კარის უზნეო ცხოვრება. „მორალისტი" კლარენდონის ზედმეტი ჩარევა მეფის პირად ცხოვრებაში, ბოლოს და ბოლოს მისი პოლიტიკური მოკვეთია ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

პარლამენტი დააფიქრა მეფისა და სამეფო კარის თავაშვებულობამ. სახელმწიფო თანხების განიავების შეჩერების მიზნით მან მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა, რაც ფინანსთა სფეროში მისი უფლებათა შემდგომი განმტკიცების ახალი საწინდარი გახდა. არსებითად მეფის ერთგულმა და მისდამი ლოიალურად განწყობილმა „კავალერთა პარლამენტმაც" კი არ დაუშვა ქვეშევრდომის ჯიბეში მონარქის განუკითხავი ხელის ფათური. ჩარლზ I-ის დროს პარლამენტი მეფეს ფულს არ აძლევდა, ვიდრე მეფე მის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდა, მაგრამ სუბსიდიის, ანუ ფულის გაცემის შემდეგ პარლამენტი მის ხარჯვაზე კონტროლს თითქმის ვერ ახორციელებდა. ამჯერად,

განსაკუთრებით კი ჰოლანდიასთან წარმატებულად დამთავრებული მეორე ომის (1665-67) შემდეგ, ვითარება შეიცვალა. „კავალერთა პარლამენტმა“ თავის თავს უფლება მისცა დაედგინა სად წავიდა ომისათვის გამოყოფილი თანხა, რას მოხმარდა იგი — ხმას, ჯარისკაცებს, ფლოტს თუ უაიტჰოლის ღრეობებსა და ბაკქანალიებს? 1665 წელს მიღებული ასაგანგებო აქტით (Appropriation act) პარლამენტის მიერ ამა თუ იმ მიზნით გაღებული თანხის გაცემა ხაზინას შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ხელთ ექნებოდა ოფიციალური საბუთი (ბრძანება) იმისა, რომ თანხა დაიხარჯებოდა დანიშნულებისამებრ. 1666 წელს პარლამენტმა დაადგინა შემოწმებულიყო ის, თუ რად და როგორ დაიხარჯა ჰოლანდიასთან ომისათვის გამოყოფილი თანხა, მოიხმარეს თუ არა იგი დანიშნულებისამებრ. ამრიგად, საპარლამენტო სუბსიდიამ მიიღო თანამედროვე კონსტიტუციური ბიუჯეტის ხასიათი. ამიერიდან პარლამენტმა გადასახადის ვოტირებასთან ერთად დაიმკვიდრა ახალი უფლება — მკაცრი კონტროლი მის ხარჯვაზე.

[გამარჯვებული ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის უკმაყოფილებას იწვევდა ის სერიოზული შეცდომები, რომელიც სტიუარტებმა დაუშვეს საგარეო პოლიტიკაში, კერძოდ, საფრანგეთთან ურთიერთობაში. ესპანეთზე, პორტუგალიასა და ჰოლანდიაზე მოპოვებულ წარმატებათა შემდეგ ინგლისის უპირველეს მეტოქედ რჩებოდა საფრანგეთი. ამიერიდან ინგლისისათვის საფრანგეთთან ურთიერთობაში უნდა გადაჭრილიყო მსოფლიო საზღვაო-სავაჭრო და კოლონიური უპირატესობის პრობლემა. გამარჯვებული ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა საგარეო პოლიტიკის უპირველეს ამოცანად მიიჩნევდა ბრძოლას ამიერიდან პირველი მეტოქის — საფრანგეთის წინააღმდეგ. სტიუარტებმა საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავეს. ისინი საფრანგეთის ძლიერი მონარქის — ლუი XIV-ის პენსიონერები გახდნენ და ინგლისის საგარეო პოლიტიკა საფრანგეთის პოლიტიკის უბრალო დანამატად აქციეს. ამ შემთხვევაში სტიუარტებმა არსებითად უღალატეს ინგლისის ეროვნულ (საავაჭრო-სამრეწველო) ინტერესებს. მათ „თავიანთი პირადი მოგებისა და კარის დიდებულთა კეთილდღეობისათვის ინგლისის მთელი მრეწველობისა და ვაჭრობის ინტერესები საფრანგეთის მთავრობას მიჰყიდეს“.[1]]

[1] კ. მ ა რ ქ ს ი. რეცენზია ფ. გიზოს წიგნზე „რატომ გაიმარჯვა ინგლისის რევოლუციამ“; კ. მარქსი და ფ. ენგელსი ინგლისის შესახებ, გვ. 389.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ პარლამენტისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილით შეპყრობილმა ჩარლზ II-მ საფრანგეთისაგან ფულადი სუბსიდიების მიღება სცადა. ლუი XIV მზად იყო გაეღო ასეთი თანხა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ინგლისი მხარს დაუჭერდა საფრანგეთის ყველა დიდმპყრობელურ მისწრაფებას, პირველ ყოვლისა, ევროპის ქვეყნების ხარჯზე საფრანგეთის იმპერიის გაფართოებას. იყო მეორე, არანაკლებ საშიში და სტიუარტთათვის საბედისწერო წინადადება: ლუი XIV მოითხოვდა ინგლისში კათოლიციზმის ოფიციალურად აღდგენას. ჩარლზ II და შემდეგ ჯეიმს II ყველაფერზე თანახმანი იყვნენ. უკანასკნელი სტიუარტების ეს პოლიტიკა გაცილებით უფრო უგუნური იყო, ვიდრე პირველი — სტიუარტების ესპანეთთან ურთიერთობა.

სტიუარტებისა და ბურბონების დაახლოებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კანცლერმა კლარენდონმა. ორ დინასტიას შორის უკვე არსებული ახლო ნათესაური კავშირის კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით ჩარლზ II-მ თავისი და ჰენრიეტა ცოლად გააყოლა ლუი XIV-ის ძმას, ორლეანის ჰერცოგს. 1662 წელს ჩარლზ II-მ და კლარენდონმა ლუი XIV-ს 2 მილიონ გირვანქა სტერლინგად მიჰყიდეს დიუნკერკი (დიუკირჰენი). ხანგრძლივი ვაჭრობის შედეგად ლუი XIV-მ გადაიხადა ფაქტიურად იმის ნახევარი, რასაც ინგლისელები ითხოვდნენ. კრომველის მიერ დიდი სიახლისა და გარჯის ფასად ხელთგდებული ეს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი, ინგლისის ხელისუფლებამ საიდუმლო (სამეფო) საბჭოს წევრის ლორდ სენდვიჩის წინადადებით დასთმო იმ საბაბით, რომ აქ გარნიზონის შენახვა ძალზე ძვირი ჯდებოდა. დიუნკერკში აღებული ფული ჩარლზ II-მ და მისმა კარმა სულ მალე გაფლანგა. 1664 წელს ჩარლზ II-მ კლარენდონის პირით ლუი XIV-ს სესხად სთხოვა 50 000 გირვანქა სტერლინგი, საფრანგეთის მეფემ თანხა უყოყმანოდ გაიღო. ეს იყო ლუი XIV-ის მიერ ინგლისის მეფის „გულის მოგების“ მიზნით გაცემული პირველი ქრთამი, რადგან „სესხის“ დაბრუნებას არც ჩარლზი ფიქრობდა და არც ლუის ჰქონდა საამისო სურვილი. ასე ჩაეწერნენ სტიუარტები საფრანგეთის მეფის კმაყოფაზე მყოფ პენსიონერთა სიაში.

მეფესა და პარლამენტს შორის პოლიტიკური წონასწორობა და საქმიანობის კოოპერირება, რის დამკვიდრებასაც და განმტკიცებას კლარენდონი ყოველნაირად ცდილობდა, დაირღვა. კლარენდონს არ სურდა ეხილა მეფე პარლამენტის ფეხთქვეშ, ან პირიქით. მაგრამ მისივე თქმით, „როცა ერთ ცხენზე ორი ადამიანი ზის, ერთი აუცილებლად წინ უნდა იჯდეს“. „კავალერთა პარლამენტში“ მეფის ბიმართ ჩამოაყალიბა ოპოზიცია, რომელმაც პირველად თავი იჩინა ინგლის-ჰოლანდიის ე. წ.

„მეოთე ომის“ (1665-67) დროს და გაღრმავდა ჰოლანდიასთან ე. წ. „მესამე ომის“ (1672-74) დროს.

ომი ინგლისის მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო და კოლონიურ ბურჟუაზიას შორის პოპულარობით სარგებლობდა, რადგან ჰოლანდიის ეკონომიკური პოტენციალი ჯერ კიდევ ძალაში რჩებოდა და ეს საშინაო კონკურენტი საბოლოოდ ძლეული ჯერ კიდევ არ იყო. პარლამენტმა ომისათვის უზარმაზარი სუბსიდია — 6 მილიონი გირვანქა სტერლინგი გაიღო. წვრილბურჟუაზიულ და დემოკრატიულ ინგლისს ომმა მხოლოდ ახალი, მძიმე საგადასახადო ტვირთი მოუტანა. დევნილი პურიტანები — დისენტერები ერთმორწმუნე ჰოლანდიელების მიმართ ფარულ სიმპათიებს ავლენდნენ. ორივე მხარემ ერთმანეთს ძლიერი ფლოტი (დაახლოებით ას-ასი სამხედრო ხომალდი) დაუპირისპირა. ინგლისის ესკადრას სარდლობდა იორკის ჰერცოგი; ოფიცერთა შორის უმრავლესობა წარმოდგენილი იყო სამხედრო-საზღვაო საქმისაგან შორს მდგომი კარიერისტი კარისკაცებით, რომელთათვის ომი მხოლოდ შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. ომისათვის გამოყოფილი თანხები იფლანგებოდა, სუფევდა წრესგადასული კორუფცია, მეზღვაურებს ვერ უზრუნველყოფდნენ ხელფასითა და სურსათით, ხომალდებს აკლდა აღჭურვილობა, შეიარაღება და საბრძოლო მასალა. საქმეს ვერც პრინცმა რუპერტმა და ჰერცოგმა ალბემარალმა (მონკმა) უშველეს. ომის მსვლელობაში 1666 წელს ჰოლანდიის მხარეზე ჩაერია ლუი XIV, რომელსაც იმჯერად არ სურდა ინგლისის მიერ ჰოლანდიის საბოლოო განადგურება. გაერთიანებული საფრანგეთ-ჰოლანდიის ფლოტის წინააღმდეგ ინგლისელებს წინააღმდეგობის გაწევა გაუჭირდათ. ჩარლზ II-მ ლუი XIV-თან ფარული მოლაპარაკება გამართა. ორივე მხარე შეთანხმდა, არ მიეღო მონაწილეობა რაიმე კავშირში მეორეს წინააღმდეგ. ჩარლზ II-მ საფრანგეთს აღუთქვა სრული მხარდაჭერა ესპანეთის ნიდერლანდების (ბელგიის) მიმართ პრეტენზიაში.

1667 წელს ჰოლანდიის ესკადრა ადმირალ დე რიუტერის სარდლობით ტემზაში შემოიჭრა და ლონდონს დაემუქრა. მტრისათვის გზის გადაკეტვის მიზნით ინგლისელებმა ტემზაში რამდენიმე გემიც კი ჩაძირეს. ჰოლანდიელებმა ქალაქი დაბომბეს. დაიწყო საშინელი პანიკა. ჰოლანდიელების მოსვლამდე ქალაქმა უკვე გადაიტანა ორი ტრაგედია. 1665 წელს ლონდონში იფეთქა შავმა ჭირმა („შავი სიკვდილი“), 1666 წლის 2 სექტემბერს ღამით ქალაქში დაიწყო დიდი ხანძარი, რომელიც ოთხ დღეს გაგრძელდა. დაიწვა 1300 სახლი, 90 ეკლესია, გადაიბუგა ქალაქის თითქმის 2/3. ხალხი ღელავდა, „სად არის მეფე?“ კითხულობდნენ აღშფოთებული ლონდონელები. „იგი ბაღში პეპლებს დასდევს ლედი კესტლმენთან (მეფის მორიგი საყვარელი) ერთად“ —

იყო პასუხი. ხალხი იგონებდა კრომველის სახელოვან დღეებს, უკმაყოფილება მოედო ინგლისის ფლოტსაც, აჯანყდა ხომალდის — „ბედნიერი დაბრუნება“ — ეკიპაჟი, მღელვარებას ჰქონდა ადგილი უოპინგში განლაგებულ ხომალდებზე. 1667 წლის ზაფხულში დადებულ იქნა ბრედის ზავი. ორივე მხარე ინარჩუნებდა თავის ყოფილ სამფლობელოებს. გარდა ამისა, ინგლისმა დაიმკვიდრა 1664 წელს მიტაცებული ახალი ამსტერდამი (მომავალი ნიუ-იორკი).

ომში მარცხმა საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. მეფემ „განტევების ვაცად“ კლარენდონი გამოიყენა. ყველაფერი პირველ მინისტრს დაბრალდა: ომში მარცხი, ხაზინის ქურდობის აღმაშფოთებელი ფაქტები, ადმინისტრაციული ბოროტმოქმედებანი, კათოლიკეებთან კავშირი და ლონდონის დაწვაც კი. შერისპული კლარენდონი ჰოლანდიაში გადასახლდა. აქ მან დაამთავრა თავისი „დიდი ამბოხების ისტორია“ და 1674 წელს გარდაიცვალა. კლარენდონის კაბინეტი დაიშალა. ლორდი სოუთჰემპტონი მოკვდა, ორმონდსა და ნიკოლას პოსტები დაატოვებინეს.

საგარეო პოლიტიკაში ჩარლზ II საზოგადოებრივი აზრის დამშვიდების მიზნით პროტესტანტულ ქვეყნებთან თანამშრომლობის მოთავის ნიღაბს იფარებს და 1668 წელს ქმნის ინგლის-ჰოლანდია-შვეციის პროტესტანტულ „სამთა კავშირს“. ამასთან ერთად განაგრძობს ეროვნული ღალატის პოლიტიკას. აგრძელებს მოლაპარაკებას ლუი XIV-სთან და ამზადებს ნიადაგს კათოლიციზმის აღსადგენად. ეს მოლაპარაკება მიმდინარეობდა პარლამენტისაგან ღრმად საიდუმლოდ. მოლაპარაკების შესახებ იცოდა მხოლოდ ახალი მთავრობის ორმა კათოლიკე მინისტრმა — არლინგტონმა და კლიფორდმა.

კლარენდონის მემკვიდრე ახალი მთავრობა წარმოდგენილი იყო ხუთი მინისტრით: ტომას ჩადლი ლორდი კლიფორდით, ჰენრი ბენატ გრაფი არლინგტონით, ჯორჯ ვილერს ჰერცოგი ბეკინჰემით (უმცროსი), ანტონი ეშლი (აშლი) კუპერ გრაფი შეფტსბერით და ჯონ მეტლენდ ჰერცოგი ლოდერდეილით. ამ მთავრობას თანამედროვეებმა ზედმეტ სახელად შეარქვეს — Cabal, სიტყვა, რომელიც შედგენილია მინისტრთა გვარების საწყისი ასოების შესაბამისად. ამასთან ერთად იგივე სიტყვა ინგლისურად ნიშნავდა „ინტრიგას“, „ვერაგობას“ — ოპოზიციურ წრეებში ასე მონათლეს მთავრობის ცდა, განეხორციელებინა პარლამენტისაგან დამოუკიდებელი, საკუთარი ფარული პოლიტიკა. რევოლუციამდე ამ სიტყვას მეორე მნიშვნელობით, დაახლოებით „კაბინეტის“ გაგებით ხმარობდნენ; პირველ ხანებში იგი ასეთი გაგებით ჟღერდა, მაგრამ, როცა ახალმა „კაბინეტმა“ თავისი ბუნება გამოავლინა, სიტყვა „Cabal“ უკვე ახალი გაგებით იხმარეს, მთავრობაში წამყვან როლს ასრულებდა ანტონი ეშლი კუპერი გრაფი შეფტსბერი.

მან რევოლუციის პერიოდში პოლიტიკური ცხოვრების შეტად რთული წინააღმდეგობებით და ფათერაკებით აღსავსე გზა განვლო. 18 წლისა იგი ხანმოკლე პარლამენტში აირჩიეს. სამოქალაქო ომის დროს ეშლი ერთხანს მეფის მხარეზე იბრძოდა, მერე პარლამენტს მიემხრო და კრომველის ახლო თანამშრომელთა შორის აღმოჩნდა. პროტექტორმა ეშლი „სახელმწიფო საბჭოს“ წევრად დანიშნა. კრომველის გარდაცვალების შემდეგ იგი ზომიერ პრესბიტერელებს დაუკავშირდა და მონკთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო სტიუარტთა მონარქიის რესტავრაციაში. მადლიერმა მეფემ მას შეფსბერის გრაფობა უბოძა და სახელმწიფო სარბიელზე დააწინაურა. მალე ეშლი განუდგა სტიუარტებს, ოპოზიციის სათავეში აღმოჩნდა და ვიგების პარტიის ლიდერი გახდა. შოტლანდიელი პრესბიტერელების ლიდერი ლოდერდეილი უკვე ჩარლზ I-ის დროს გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე, როგორც ზომიერი მონარქისტი. ჰერცოგი ბეკინჰემი ჩარლზ II-ის ფუქსავატ და თავზეხელაღებულ ფავორიტთა ტიპური წარმომადგენელი იყო. მისი პორტრეტის წარმოსადგენად საკმარისია მოვიხსენიოთ ერთი ფაქტი მისი ავანტიურისტული ცხოვრებისა. ერთ-ერთი დუელის დროს, როცა მოტყუებულ ქმარს, გრაფს შრეფსბიურის ჰერცოგი საიქიოს ისტუმრებდა, ლედი შრეფსბიური პაჟის ტანსაცმელში გადაცმული დარაჯობდა ბეკინჰემის ცხენს და გულგრილად უყურებდა ქმრის ტრაგედიას. ჰერცოგი ბეკინჰემისა, გენერალ ტომას ფეოფაქსის სიძე გახდა და პრესბიტერელებს დაუახლოვდა. კაბალის მთავრობის ორი წევრი, მეფის სამეფო კარზე დაწინაურებული ფავორიტები ჰენრიხ ბენეტი გრაფი არლინგტონი და ტომას ჩადლი ლორდი კლიფორდი პირწავარდნილი კათოლიკეები იყვნენ. ისინი ინგლისში კათოლიციზმის აღსადგენად არაფერს დაიშურებდნენ, თვით ინგლისის თავისუფლების შეწირვასაც კი. მაგრამ თავიდან, ისევე როგორც მეფე, მოქმედებდნენ შენიღბულად, კათოლიციზმის აშკარად გამოვლენას ვერ ბედავდნენ.

ახალმა კაბინეტმა მოღვაწეობა იმედისმომცემი ნაბიჯებით დაიწყო. სწორედ მისი ინიციატივით განხორციელდა 1668 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიება — პროტესტანტული ქვეყნების „სამთა კავშირის“ დადება. ამ შემთხვევაში მთავრობა და პარლამენტი გამოთქვამდა მზადყოფნას ყურადღება ინგლისის ეროვნული ინტერესი — განეხორციელებინა ანტიფრანგული პოლიტიკა, მომზადებულიყო მის წინააღმდეგ საბრძოლველად. „სამთა კავშირი“, პირველ ყოვლისა, მიმართული იყო ლუი XIV-ის დიდმპყრობელური პოლიტიკის მიმართ.

სულ სხვა რამ ხდებოდა პარლამენტისა და მთავრობის ზურგს უკან. ფარული მოლაპარაკება საფრანგეთთან გრძელდებოდა. ლუი XIV ინგლისსა და ჰოლანდიას შორის ბრედის ზავის დადებისთანავე

შეუდგა თავისი ერთ-ერთი ძირითადი აგრესიული ჩანაფიქრის — ესპანეთის ნიდერლანდების (ფლანდრიის, დაახლოებით თანამედროვე ბელგიის) დაპყრობის განხორციელებას, რაც თავისთავად ნიშნავდა ჰოლანდიასთან ომს. საფრანგეთის ჯარებმა ორი თვის განმავლობაში ხელთ იგდეს ფლანდრია და 17 დღის განმავლობაში ფრანშ-კონტე. 1668 წელს ომი დამთავრდა აახენის ზავით. ლუი XIV-მ გაითვალისწინა ის, რომ ჰოლანდიასთან ომმა დაუყოვნებლივ გამოიწვია ევროპის სახელმწიფოთა ანტიფრანგული კოალიცია (ამ შემთხვევაში იგი გულისხმობდა ინგლის, ჰოლანდიისა და შვეციის პროტესტანტულ „სამთა კავშირს") და დაკმაყოფილდა მხოლოდ რამდენიმე სასაზღვრო ციხე-სიმაგრის შემოერთებით (ლილი და სხვ.) ლუი XIV ახალი ომისათვის მზადებას შეუდგა. პირველ ყოვლისა, მან მიზნად დაისახა „სამთა კავშირის" დაშლა. მან შეძლო შვეციის კავშირისადმი ჩამოცილება. მთავარი მაინც ინგლისის პოზიცია იყო. ლუი XIV ჩარლზ II-ს დიდ სუბსიდიას შეპირდა და საფრანგეთის მოკავშირეობა შესთავაზა.

1669 წლის იანვარში ჩარლზმა მოიწვია ფარული თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ უკიდურეს მონარქისტულ-კათოლიკური ბანაკის წარმომადგენლები: იორკის ჰერცოგი, მინისტრები არლინგტონი და კლიფორდი, ლორდები ბელინზი და არონდელი. შეთქმულებმა გადაწყვიტეს მიეღოთ ლუი XIV-ის წინადადებანი, მიეღოთ მისგან სუბსიდია, მფარველობა და დახმარება, რომელიც საფრანგეთის ელჩის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩარლზ II-ს საშუალება მისცემოდა „შეეცვალა ინგლისში არსებული რელიგიური ვითარება და განემტკიცებინა თავისი ხელისუფლება, რაც მას საშუალებას მისცემდა ქვეშევრდომები ჰყოლოდა სასურველ მორჩილებაში". ანუ ჩარლზ II და მისი ძმა იმედოვნებდნენ, რომ ლუი XIV-ის სუბსიდიები და დახმარება ხელს შეუწყობდა განეხორციელებინათ ძირითადი ჩანაფიქრი, აღედგინათ აბსოლუტიზმი და კათოლიციზმი, როგორც მეფის შეუზღუდველი ხელისუფლების საიმედო დასაყრდენი. ჩარლზ II, რომელიც ოფიციალურად აღიარებდა ანგლიკანიზმს, ფარული კათოლიკე იყო. მან ეს რელიგია ემიგრაციის დროს აღიარა. რაც შეეხება იორკის ჰერცოგს, ემიგრაციაში ისიც კათოლიკე გახდა, მაგრამ ძმისაგან განსხვავებით იგი ამას არ მალავდა და 1672 წლის გაზაფხულზე მან კათოლიციზმი ოფიციალურადაც აღიარა. ჩარლზ II-ის „თეორიის" მიხედვით ანგლიკანური, ეპისკოპალური ეკლესია, მიუხედავად აშკარა ერთგულ ქვეშევრდომული პოზიციისა, არ წარმოადგენდა აბსოლუტიზმის საიმედო გარანტიას, რადგან იყო პროდუქტი რეფორმაციისა, ანუ „ადამიანური შემოქმედებისა", მის წიაღიდან განვითარდა მონარქიის დამანგრეველი ძალა — პრესბიტერიანობა და ინდეპენდენტიზმი. „რე-

ფორმაცია, თავისთავად აჯანყების დაწყებას ნიშნავს", — ამბობდა ჩარლზ II. ძმებს მიაჩნდათ, რომ მამის კატასტროფის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო კათოლიციზმის უარყოფა და ანგლიკანური ეკლესიისადმი მორჩილება.

ძმები ითვალისწინებდნენ კიდევ ერთ ვითარებას. პარლამენტზე ფინანსური დამოკიდებულება მათ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას გამორიცხავდა. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ლუი XIV-ის სუბსიდიები მათ პარლამენტის „მეურვეობისაგან" თავის დახსნისა და აბსოლუტისტური რეჟიმის განმტკიცების საშუალებას მისცემდა. ინტერესთა ამ ერთიანობასთან ერთად ძმებს შორის გარკვეული განსხვავება არსებობდა. ჩარლზ II არ ერიდებოდა პარლამენტის უფლებებისა და კონსტიტუციის დარღვევას, ახორციელებდა პარლამენტის წევრების მოსყიდვას, პარლამენტის სესიების შეწყვეტას ან გადადებას მისი მოწვევისთანავე, იცავდა აშკარად დამნაშავე მინისტრებს და სხვა მოხელეებს, თვითნებურად აფართოებდა მის უფლებებს, უკონტროლოდ ფლანგავდა საპარლამენტო სუბსიდიებს, იყენებდა ვეტოს (დისპენსიური და სუსპენზიურ) უფლებას, აუქმებდა კანონს ან დროებით აჩერებდა მის მოქმედებას, თვითნებურად იყენებდა შეწყალების უფლებას აშკარა დამნაშავეების მიმართ და სხვ. მაგრამ საჭირო შემთხვევაში იგი ოპორტუნისტულ პოზიციაზე დგებოდა, მიდიოდა გარკვეული დათმობების წინაშე. „რაც არ უნდა მოხდეს, მე მეორედ მოგზაურობა აღარ მსურს", — ამბობდა იგი. მაგალითად, მან ვერ გაბედა პარლამენტის ისეთი არსებითი უფლების შელახვა, როგორიც იყო საკანონმდებლო ინიციატივა, მან ვერ აუკრძალა პარლამენტს განეხორციელებინა კონტროლი მინისტრთა საქმიანობაზე, ვერ შეზღუდა პარლამენტის პრიორიტეტი საგადასახადო პოლიტიკაში. რამდენჯერმე დაითხოვა პარლამენტის მიერ შერისხული სამინისტრო, შეცვალა საგარეო პოლიტიკის კურსი და სხვ. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მან ხელისუფლების სათავეში შედარებით დიდხანს გაძლო. იორკის ჰერცოგი, მომავალი მეფე ჯეიმზ II ძმისაგან არსებითად განსხვავებულ პოზიციაზე იდგა. მართალია, მისთვის უცხო იყო ჩარლზისეული ამორალიზმი და მფლანგველობა. მაგრამ პოლიტიკურ და რელიგიურ სფეროში გამოირჩეოდა სიჯიუტითა და შეურიგებლობით. იგი მოქმედებდა როგორც აშკარა კათოლიკე — ფანატიკოსი და აბსოლუტისტი, მის საქმიანობაში გამორიცხული იყო ძმისეული პოლიტიკური ოპორტუნიზმი. მისმა მოსვლამ ხელისუფლების სათავეში დააჩქარა სტიუარტთა დამხობა. შემთხვევითი როდი იყო ის, რომ 1685 წელს ტახტზე ასულმა ჯეიმზ II-მ გვირგვინი სულ მოკლე ხანში, 1688 წლისათვის დასთმო.

[ჩარლზ II-ისა და ლუი XIV-ის დაახლოების პირველი ნაბიჯები გადაიდგა ჯერ კიდევ 1667 წლის მოლაპარაკების დროს. მათი კავშირი საბოლოოდ გაფორმდა 1670 წლის 26 მაისს ლუვრში დადებული საიდუმლო შეთანხმებით, რომელსაც საფრანგეთის მხრივ ხელი მოაწერა ჟან ბატისტ კოლბერმა, ინგლისის მხრივ კათოლიკე მინისტრებმა არლინგტონმა და კლიფორდმა. მოლაპარაკებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ლუი XIV-ის რძალი, ჩარლზ II-ის და, პრინცესა ჰენრიეტა და ჩარლზ II-ის ერთ-ერთი სატრფო, ფრანგი კურტიზანი ქალი ლუიზა დე კერუაილი პერცოგი პორტსმუტისა. ხელშეკრულება სრული საიდულოებით იყო მოცული, პარლამენტმა მისი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა, ინგლისი ოფიციალურად კვლავ რჩებოდა ანტიფრანგული „სამთა კავშირის" წევრად.]

[ჩარლზ II-მ გაყიდა ინგლისის ეროვნული ინტერესი. ნ. კარეევის თქმით, იგი „აღსდგა ქვეყნის სახელმწიფო წყობილების და რელიგიის წინააღმდეგ". დუვრის ხელშეკრულების თანახმად, პირველ ყოველისა, ინგლისი საფრანგეთის მოკავშირე გახდა ჰოლანდიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ინგლისმა დამხმარე არმიის გამოყოფაც კი იკისრა, რომელიც ფრანგების მეთაურობით იმოქმედებდა. კავშირი უფრო შორეულ ამოცანებსაც ისახავდა. იმ შემთხვევაში თუ ესპანეთის ტახტი თავისუფალი აღმოჩნდებოდა (ამის რეალური საფუძველი არსებობდა), მაშინ ინგლისი ვალდებული იყო ლუი XIV-ს ზღვასა და ხმელეთზე დახმარებოდა ესპანეთის ტახტზე უფლების მოპოვებაში (იმჟამად ესპანეთის ტახტზე იჯდა ფილიპე IV-ის ვაჟი მეორე ქორწინებისაგან, ავადმყოფი და უშვილო კარლოს II. ლუი XIV, რომელსაც ცოლად ჰყავდა ფილიპე IV-ის ქალიშვილი პირველ ქორწინებიდან — მარი-ტერეზა, თავს აცხადებდა ესპანეთის ტახტისა და ესპანეთის იმპერიის მემკვიდრედ. ფლანდრიის დაპყრობა ამ გეგმის განხორციელების პირველი ნაბიჯი იყო). ამრიგად ინგლისი ხელს იღებდა დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე და ლუი XIV-ის დიდმპყრობელურ მისწრაფებათა მსახური ხდებოდა. გარდა ამისა ხელშეკრულების თანახმად ჩარლზ II-მ პირობა დადო „პირველ შესაძლებლობისთანავე" ინგლისში აღედგინა კათოლიციზმი. ამასთან ერთად ჩარლზმა თანხმობა განაცხადა დაუყოვნებლივ დაედო საფრანგეთისათვის ხელსაყრელი კომერციული ხელშეკრულება. საფრანგეთმა მეტად უმნიშვნელო ვალდებულება იკისრა, იგი შეპირდა ინგლისს ზელანდიის სანაპიროზე რანდენიმე პუნქტის დათმობას და ფლოტისათვი 30 ხომალდის გამოყოფას. ეს დიდი წარმატება ლუი XIV-მ ძალიან იაფად მოიპოვა. მან ჩარლზ II-ს ერთდროულად მისცა 150 000 გირვანქა სტერლინგი და ომის პერიოდში ყოველწლიურად გამოუყო სუბსიდია 225 000 გირვანქა სტერლინგი.

ქვეშევრდომთა აჯანყების შემთხვევაში ლუი XIV ჩარლზ II-ს დაპირდა დახმარებას საექსპედიციო კორპუსის სახით.

ხელშეკრულების თანახმად სტიუარტებმა ინგლისში შემოტანილი საფრანგეთის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონელზე საბაჟო ტარიფები შეამცირეს. კოლბერმა კი 60-იან წლებში საფრანგეთში შემოტანილ საქონელზე, მათ შორის ინგლისურზეც საბაჟო ტარიფები მნიშვნელოვნად გაზარდა. ასეთ ვითარებაში ინგლისის წარმოებამ, სოფლის მეურნეობამ და ვაჭრობამ საგრძნობი ზარალი განიცადა. იგივე განმეორდა ინგლისის კოლონიებშიც. ფრანგებმა დიდი წარმატება მოიპოვეს ვესტ-ინდოეთის და ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისურ ახალშენებში. ინგლისის სავაჭრო ბალანსი მკვეთრად დაეცა. ასეთი გზით კოლბერმა შეძლო ლუი XIV-ის მიერ ჩარლზ II-ისადმი გაღებული სუბსიდიების გარკვეული კომპენსირება.]

ინგლისის საზოგადოებრივი აზრი, შესაბამისად პარლამენტისა და მთავრობის ნაწილი, შექმნილი ვითარებით უკმაყოფილო იყო. ჩარლზ II განაგრძობს მათთვის თვალისახვევია პოლიტიკას, იგი და მისი მომხრე მინისტრები ირწმუნებიან, რომ აღიარებენ „სამთა კავშირს“, რომ ემზადებიან საფრანგეთის წინააღმდეგ საომრად. პარლამენტმა ირწმუნა მმართველთა განცხადება და ამ მიზნით საკმაოდ დიდი სუბსიდია — 800 000 გირვანქა სტერლინგი გამოჰყო. 1672 წლის გაზაფხულზე. როცა საფრანგეთსა და ჰოლანდიას შორის ახალი, მეორე ომი დაიწყო პარლამენტისათვის საქმის ნამდვილი ვითარება რამდენადმე ნათელი გახდა. ინგლისი ჯერ ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა ლევანტიდან შინ მომავალ ჰოლანდიის სავაჭრო ჭარავანს და გაძარცვა იგი, ხოლო შემდეგ 1672 წლის 16 მარტს ოფიციალურადაც ჩაება ჰოლანდიის წინააღმდეგ ომში. მეფე და კარი არწმუნებდა ინგლისის ბურჟუაზიას, რომ ომი გამართლებულია, რომ მისი მიზანი ისახავს ინგლისისათვის ჯერ კიდევ საშიში მეტოქის — ჰოლანდიის საბოლოოდ განადგურებას. მოკავშირე კლასები სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ. მათთვის უკვე ნათელი იყო ის, რომ ამჟამად ინგლისის მთავარი მეტოქეა საფრანგეთი, უკვე დაუძლურებული ჰოლანდიის წინააღმდეგ ომი კი წყალს საფრანგეთის წისქვილზე ასხამს. ინგლისის ბურჟუაზიას უფრო რეალურად მიაჩნდა ჰოლანდიასთან ერთად საფრანგეთის წინააღმდეგ ომის ვარიანტი. ამიტომ 1674-78 წლების ომი ჰოლანდიასთან (ინგლის-ჰოლანდიის მესამე ომი) თავიდანვე არაპოპულარული იყო. საზოგადოებრივი აზრი მოითხოვდა ამ ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. პარლამენტმა შეაჩერა სუბსიდიების გაცემა. ჩარლზ II მიუხედავად ლუი XIV-ის მკაცრი პროტესტისა, იძულებული გახდა (განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ინგლის-საფრანგეთის გაერთიანებული სამხედრო ესკადრა ჰოლანდიელების მიერ ძლეული იქნა) შეეწყვიტა ომი და ჰოლანდიას-

თან ზავი დაედო („ლონდონის ტრაქტატი" 1674 წ. 19 თებერვალი). ჰოლანდიამ აღიარა ინგლისთან ძველად დადებული ყველა პირობა, ინგლისის მიერ ადრე მოპოვებული ყველა წარმატება, გადაიხადა 800 000 კრონი, აღიარა ინგლისის ყველა ტერიტორიული შენაძენი, კვლავ დაადასტურა ვალდებულება პირველი მისალმებოდა ინგლისის ფლოტს ინგლისის ტერიტორიის წყლებში. თავის მხრივ ინგლისმა აღუთქვა ჰოლანდიას, რომ ამიერიდან აღარ აღმოუჩენს დახმარებას მის მოწინააღმდეგეებს. ამასთან ერთად შეთანხმების თანახმად დავა ოსტ-ინდოეთის ორივე კომპანიას შორის უნდა გადაეწყვიტა შუამავლებს.

პარლამენტი უფრო მეტს მოითხოვდა. მან წინადადება მისცა ჩარლზ II-ს აქტიურად დახმარებოდა ჰოლანდიას საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მხოლოდ ასეთი პირობით აძლევდნენ მეფეს უფლებას ყოლოდა ჯარი და მიეღო შესაბამისი სუბსიდია. ჩარლზი ყოველნაირად ცდილობდა რამდენადმე მაინც დაემშვიდებინა განრისხებული „მარჩენალი" ლუი XIV. მან მიაღწია მხოლოდ იმას, რომ საფრანგეთის სამსახურში მყოფი ინგლისური ნაწილების გამოწვევის საკითხი ღიად დატოვა, ხოლო კელნში აკრედიტირებული ინგლისის წარმომადგენლებს წინადადება მისცა ემოქმედათ საფრანგეთის ინტერესების შესაბამისად.

* *

ჩარლზ II-მ ვერც კათოლიციზმის აღდგენა შეძლო. 1672 წლის 15 მარტს, ჰოლანდიისათვის ომის გამოცხადებამდე სამი დღით ადრე, მან ისარგებლა დისპენსიური უფლებით და თავისი სახელით გამოაქვეყნა ახალი „რჯულშეწყნარების (ინდულგენციის) დეკლარაცია", რომელიც ინგლისში კათოლიციზმის აღდგენას ითვალისწინებდა. როგორც ჩანს, ჩარლზ II-ს სურდა ერთდროულად შეესრულებინა ლუი XIV-ის ადმი მიცემული ორივე პირობა — აღედგინა კათოლიციზმი და დაეწყო ომი. საქმე იმაშია, რომ ომის დაწყების თარიღი, 18 მარტი, ლუი XIV-ს ჩარლზმა უკარნახა. დეკლარაციით თანახმად რელიგიური თავისუფლება ენიჭებოდათ კათოლიკეებსა და პროტესტანტ დისენტერებს. მეფე იღებდა უფლებას გაენთავისუფლებინა დისენტერები და კათოლიკეები მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის კანონების გამოყენებისაგან. პროტესტანტებს ღვთისმსახურების აღსრულება შეეძლოთ მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, კათოლიკეებს — მხოლოდ კერძო სახლებში. ასეთი „ფართო" ღონისძიება დემაგოგიური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი, ამით სურდათ შეენელებინათ საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგობა. მაგრამ მეფის ეს განზრახვა უშედეგო აღმოჩნდა, დეკლარაცია პარლამენტმა უარყო. აღსანიშნავია, რომ მის წინააღმდეგ თვით დისენტერებმაც გაილაშქრეს, ისინი მზად იყვნენ

დარჩენილიყვნენ ძველ მდგომარეობაში, ოღონდ არ ეხილათ საძულველი კათოლიციზმის რაიმე რეაბილიტაცია. არ გვინდა ვისარგებლოთ იმ შეღავათებით, რომელიც ერთდროულად შესთავაზეს „ანტიქრისტეს მსახურებს“, ამბობდნენ ლანი. პარლამენტმა „დეკლარაცია“ მეორე მოსაზრებითაც უარყო. დეკლარაციის ძალით მეფე თავის თავზე იღებდა უფლებას შეეჩერებინა პარლამენტის მიერ „სხვაგვარად მორწმუნეთა“, ამ შემთხვევაში კათოლიკეთა წინააღმდეგ მიღებული კანონები, ანუ მეფე არღვევდა კონსტიტუციას, თავის თავს აყენებდა პარლამენტზე მაღლა, ერეოდა პარლამენტის უფლებებში. აღსანიშნავია, რომ საიდუმლო საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, სახელმწიფო ბეჭდის მცველმა ორლანდო ბრიჯმენმა მეფეს წინააღმდეგობა გაუწია, დეკლარაციას ბეჭედი არ დაუსვა. მეფემ იგი გადააყენა.

„დეკლარაციის“ განხილვა მიმდინარეობდა მწვავე კამათის პირობებში. პარლამენტში აშკარად გამოიკვეთა ორი პოლიტიკური ჯგუფი. ერთი მხარს უჭერდა მეფეს და მალე შესაფერისი სახელიც მიიღო — „კარის პარტია“ (Court party). „დეკლარაციის“, ანუ მეფის მოწინააღმდეგეთა ჯგუფს ეწოდა „საერობო პარტია“, ანუ „ქვეყნის პარტია“ (Country party). ამ ჯგუფს ზოგიერთი ისტორიკოსი „სოფლის პარტიის“ სახელითაც იხსენიებს. კამათი მარტო „დეკლარაციით“ როდი შემოიფარგლა, მან უფრო ფართო ხასიათი მიიღო და შეეხო თვით მეფის პრეროგატივის საკითხს. როგორც გემის კაპიტანს, რომელსაც ქარიშხლის დროს გემის გადარჩენისათვის უფლება აქვს ტვირთი წყალში გადაყაროს, ასევე მეფეს უფლება უნდა ჰქონდეს ზოგჯერ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეაჩეროს კანონი, — ამბობდნენ მეფის მომხრეები. შეუძლებელია მთავრობამ წარმატებით იმოქმედოს შეუზღუდველი ხელისუფლების სავსებით იგნორირების პირობებში — ასეთი იყო მათი დასკვნა. „საერობო პარტიის“ წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ მეფეს განსაკუთრებულ შემთხვევაში აქვს უფლება შეიწყნაროს დამნაშავეები, მაგრამ მას არ უნდა მივცეთ უფლება ჩაიდინოს დანაშაული — გვერდი აუაროს კანონს. დეკლარაციის მიღება მოასწავებს პარლამენტის მიერ სხვადასხვა დროს მიღებულ 40 კანონის და თვით ჩარლზ II-ის მეფობის დროს მიღებულ 18 სტატუტის გაუქმებას. მეფის ასეთი მოქმედება, ამბობდა ერთი ოპოზიციონერი, ნიშნავს „ფიცის დარღვევას და საკუთრებაზე ხელყოფას“. 168 კომონერმა უარყო დეკლარაცია, 116-მა — მხარი დაუჭირა. დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ „კანონების შეჩერების უფლება აქვს მხოლოდ პარლამენტს“. ამასთანავე პარლამენტმა წამოაყენა წინადადება, რომ თვით „პალატას შეემუშავებინა ბილი პროტესტანტ-დისენტერების მდგომარეობის შემსუბუქების პირობების თაობაზე“. ასე დაიწყო ახალი მწვავე ბრძოლა მეფესა და პარლამენტს შორის.

მალე ოპოზიცია ალაპარაკდა 30-40-წლიანი პარლამენტის ენით. იგი კვლავ იცავს „საზოგადოებრივი ხელშეკრულების", სახალხო სუვერენიტეტის და მისი გამომხატველის — პარლამენტის წინაშე მეფის სრული პასუხისმგებლობის პრინციპს. „კარის პარტია" კვლავ იმეორებს ერთხელ უკვე ძლეულ დებულებას — სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ, მოითხოვს ერთმმართველობის განმტკიცებას პარლამენტის უფლებების გარკვეული შეზღუდვის ხარჯზე და სხვა.

პარლამენტმა დააწესა მკაცრი კონტროლი მეფის მიერ მისთვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვაზე, რაც პარლამენტის უფლებათა შემდგომ განმტკიცებას მოასწავებდა. პარლამენტმა ამ შემთხვევაში ყურად იღო გადასახადის გადამხდელთა შორის არსებული დიდი უკმაყოფილება. მეფისა და კარის ყოველგვარ საზღვარს გადაცილებულმა მფლანგველობამ მეტად დიდი სიძნელეები შექმნა. მდგომარეობა გაართულა საიდუმლო საბჭოს ყოველგვარ გონიერებას მოკლებულმა გადაწყვიტილებამ, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოს კრედიტორებისათვის კუთვნილი პროცენტების შემცირებას (12% ნაცვლად 6%-ისა). ბანკირებმა, რომლებიც პარლამენტის მიერ ვოტირებული გადასახადების საფუძველზე მეფეს ფულით ამარაგებდნენ, კუთვნილი პროცენტების შემცირების შედეგად შეწყვიტეს ვადახდითი ოპერაციები, რასაც მოჰყვა მასობრივი გაღატაკება, ასობით გაკოტრებულმა კერძო პირმა დაკარგა საარსებო საშუალება, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ვაჭრები, რომელთაც თავისუფალი კაპიტალები ბანკებში ჰქონდათ დაბანდებული, ასე ძვირად დაუჯდა ინგლისის ხალხს სამეფო კრედიტი. ხოლო ლორდ კლიფორდს, რომელიც ამ უგუნური ღონისძიების ინიციატორი იყო, მეფემ პერობა და ლორდ-ხაზინადარის კვერთხი უბოძა. აღსანიშნავია, რომ საიდუმლო საბჭოს წევრთა შორის მხოლოდ ანტონი ეშლი კუპერმა გაილაშქრა პროცენტების შემცირების წინააღმდეგ.

1673 წელს ოპოზიციამ ახალ წარმატებას მიაღწია. 29 მარტს მიღებული იქნა „აქტი ფიცის დადების შესახებ" (Test Acl), რომელიც სახელმწიფოს სამსახურში მყოფ ყველა პირისაგან აუცილებლად მოითხოვდა ანგლიკანური წეს-ჩვეულებით ფიცის დადებას და კათოლიკური დოგმების უარყოფას.* ეს აქტი, პირველ ყოვლისა, მიმართული იყო იორკის ჰერცოგისა და კათოლიკე მინისტრების წინააღმდეგ. პარლამენტმა მიზანს მიაღწია, ჯეიმზმა დატოვა საადმირალოს მთავა-

* აქტმა იარსება 1829 წლამდე, როცა ინგლისში განხორციელდა კათოლიკეთა ოფიციალური ემანსიპაცია.

რი ლორდის პოსტი. სამსახურიდან გადადგა ლორდი კლიფორდიც, რომელმაც მალე სიცოცხლე (როგორც ფიქრობენ) თვითმკვლელობით დაასრულა. 1674 წლის თებერვალში ინგლისმა შეწყვიტა ომი ჰოლანდიასთან — ესეც ოპოზიციის მნიშვნელოვან წარმატებას ჰოასწავებდა.

პარლამენტმა ვერ განახორციელა მხოლოდ ერთი ჩანაფიქრი — დისენტერების სრული რეაბილიტაცია და ემანსიპაცია. კანონპროექტი პარლამენტში სამჯერ წაიკითხეს, ლორდთა პალატამ, პირველ ყოვლისა, ანგლიკანმა ეპისკოპოსებმა უარყვეს იგი. საკუთარ წარუმატებლობას დისენტერები ნაკლებად განიცდიდნენ, ვიდრე კათოლიციზმის საფრთხეს. საქმე ის იყო, რომ დისენტერთა საკმაო ნაწილი რამდენადმე შეეგუა ანგლიკანიზმს, რომელმაც რევოლუციის პერიოდში შეითვისა პურიტანული ზოგიერთი წეს-ჩვეულება და დოგმა. პურიტანულ ზედაფენებისათვის ამ ეკლესიასთან თანამშრომლობა სრულიად აღარ წარმოადგენდა. თუ ჩარლზ I-ის დროს ნონკონფორმისტები მოითხოვდნენ უკიდურესს — არსებული ეკლესიის ახლით შეცვლას, ჩარლზ II-ის დროს დისენტერებს ასეთი პრეტენზია აღარ აქვთ. ისინი კატეგორიულად როდი უპირისპირდებიან ერთიან სახელმწიფოებრივ ეკლესიას (ანგლიკანურს), არ უშლიან მას იმოქმედოს თავისი გზით. დისენტერები მოითხოვენ შეწყნარებას იმათთვისაც, ვინც ოფიციალურ ეკლესიას არ ეთანხმება. დისენტერთა საქმიანი ნაწილი საერთოდ ჩამოშორდა აქტიურ რელიგიურ-პოლიტიკურ ბრძოლას და უპირველეს ამოცანად დაისახა ბიზნესი — სავაჭრო, სამრეწველო თუ ფინანსურ ასპარეზზე. დისენტერთა შორის ბევრი გამდიდრდა, მათ შორის მრავლად ვხედავთ სექტანტებს, თვით კვაკერებსაც კი.

1679 წლის დასაწყისისათვის „კაბალის“ მთავრობა დაშალა. პირველი მინისტრის პოსტი დაიკავა „კარის პარტიის“ წარმომადგენელმა, უკიდურესმა რეაქციონერმა ტომას ორბორნმა, რომელმაც მალე დენბის გრაფობა მიიღო. საზოგადოებრივი აზრი და საპარლამენტო ოპოზიცია დენბის დაწინაურებას თავიდანვე ერთგვარი იმედითაც კი შეხვდა, რადგან გრაფი დენბი ცნობილი იყო, როგორც მტკიცე ინდეპენდენტი და კათოლიციზმის შეურიგებელი მტერი. პარლამენტი იმედოვნებდა, რომ დენბი შეცვლიდა საგარეო პოლიტიკას, აირჩევდა ანტიფრანგულ ორიენტაციას.

მაგრამ დენბიმ, რომელიც თავის უპირველეს ამოცანად მეფის ხელისუფლების შემდგომ განმტკიცებას ისახავდა, მოღვაწეობა ოპოზიციის წინააღმდეგ შეტევით დაიწყო. მან სცადა ოპოზიციის ალაგმვის მიზნით განეხორციელებინა „სამეფო ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის“ (The non-resisting Test) ულტრარეაქციული კანონი. „კარის პარტია“ ერთხმად უჭერდა მხარს დენბის ინიციატივას. დენბი ივიწყებდა რევოლუციის მიერ აღიარებულ დიდ

პრინციპს: არ არსებობს მაღალი მდგომარეობის ადამიანი. პასუხისმგებლობის გარეშე. მეფის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება კავალრებმა უკვე 1661 წელს სცადეს, კორპორაციის შესახებ კანონის მიღების დროს. როიალისტებმა უკვე მეფე გამოაცხადეს ხელშეუხებელ პიროვნებად და აღიარეს, რომ სახელმწიფოში არ შეიძლება არსებობდეს ადამიანი, ან ადამიანთა რაიმე კრება, რომელსაც ექნება უფლება მეფისაგან პასუხისმგებლობა მოითხოვოს. პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მეფის მთავრობას, მინისტრებს და სხვა უმაღლეს ხელისუფალთ, მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება, მათი აზრით, მთავრობის საქმიანობის შეთანხმება პარლამენტის ნება-სურვილთან.

2. ოპოზიცია რესტავრაციის რეჟიმის წინააღმდეგ

ოპოზიცია, რომელსაც ამჯერად უკვე სათავეში ედგა ანტონი ეშლი კუპერი გრაფი შეფტსბერი, მკვეთრად დაუპირისპირდა გრაფ დენბის. „საეროპო პარტია“ არ უარყოფდა იმას, რომ მეფის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლა უკანონო და შეუძლებელია, მაგრამ მისი საქიანობისადმი კონტროლის გაწევა და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება მას დასაშვებად მიაჩნია. „ჩემი პრინციპია — ამბობდა ეშლი — მეფე, მაგრამ მეფე, რომელიც ემორჩილება კანონს... მაგრამ თუ ოდესმე მოხდება ის (ღმერთმა არ ქნას), რომ მეფე არმიაზე დაყრდნობით დაიწყებს მართვას (ე. ი. უკანონოდ, ძალაზე დაყრდნობით — გ. კ.), მე არ ვარ ვალდებული დავემორჩილო ასეთ მმართველობას“. ოპოზიციამ 1675 წლის 24 აპრილს დენბის პასუხისგებაში მიცემაც კი მოითხოვა, მაგრამ მან შესძლო პარლამენტის წევრთა გარკვეული ნაწილის მოსყიდვა და თავი გადაირჩინა. ჩარლზ II-მ ოპოზიციის ნეიტრალიზაციის მიზნით პარლამენტის სხდომები ხანგრძლივი ვადით (15 თვით) გადადო. ყველაფერთან ერთად პარლამენტის ოპოზიციურმა ნაწილმა კვლავ მკვეთრად დასვა საფრანგეთთან თანამშრომლობის პოლიტიკაზე ხელის აღების საკითხი. 1675 წელს პარლამენტმა ინგლისელ მანუფაქტურისტთა და ვაჭართა პეტიციების საფუძველზე მკაცრად წამოაყენა ინგლისში საფრანგეთის საქონლის აკრძალვის საკითხი, იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება ბაჟების დაწევა საფრანგეთში შეტანილ ინგლისურ საქონელზე.

მეფე ოდნავადაც არ ფიქრობდა საფრანგეთთან ურთიერთობის შეცვლას. მან ისარგებლა პარლამენტის სესიების შეწყვეტით და გაანახლა ლუი XIV-ის ფარული მოლაპარაკება, რომელიც სამარცხვინო შეთანხმებით დამთავრდა. ლუი XIV-მ კვლავ დაუნიშნა ჩარლზ II-ს სუბსიდია (პენსია) ყოველწლიურად 100 000 გირვანქა სტერლინგი. ჩარლზ II-მ პირობა დადო არ დაედო ხელშეკრულება რომე-

ლიმე ქვეყანასთან ლუი XIV-სთან შეთანხმების გარეშე. ჩარლზ II-მ იცის, აგრეთვე პარლამენტის სესიების რაც შეიძლება ხანგრძლივად განვადება, რაც მას საშუალებას მისცემდა ემოქმედა დამოუკიდებლად, საკუთარი მოსაზრებებით. დენბი მხარს უჭერდა ამ ანტისახელმწიფოებრივ და ანტიეროვნულ გარიგებას.

1677 წლის 25 თებერვალს პარლამენტმა მუშაობა განაახლა. ამ მომენტისათვის ოპოზიცია ძლიერ ორგანიზებულ ძალად იქცა. პარლამენტის გარეთ მის ცენტრს წარმოადგენდა ლონდონის ე. წ. „მწვანე ბაფთის კლუბი", რომლის პრეზიდენტად აირჩიეს გრაფი შეფტსბერი. კლუბი, რომლის ბაზაზეც ცოტა გვიან შეიქმნა ვიგების პარტია, აერთიანებდა ინგლისის საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს. უპირატესად აქ თავს იყრიდნენ მსხვილი სავაჭრო, სამრეწველო და ფინანსური ბურჟუაზიის, პირველ ყოვლისა, ლონდონის სიტის და მათთან დაკავშირებული მიწათმფლობელი არისტოკრატიის წარმომადგენლები, ძველი და ახალი კაპიტალისტური ლენდლორდები. კლუბთან დაკავშირებული იყო საშუალო ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ფართო ფენა — წარმოების კაპიტალისტურ წესთან დაკავშირებული — „გაბურჟუებული" სოფლის ჯენტრი. რევოლუციამდელ ბურჟუაზიასთან და ახალ თავადაზნაურობასთან ერთად კლუბში წარმოდგენილი იყო თვით რევოლუციის დროს შექმნილი ახალი ბურჟუაზია და მემამულეთა ახალი ფენა. კლუბთან დაკავშირებულნი იყვნენ: ძველი რესპუბლიკელი ცნობილი პოლიტოლოგი ოლჯერონ სიდნეი, ყოფილი ლეველერები რიჩარდ რემბოლდი და ჯონ უაილდმანი. კლუბის აქტიურ წევრთა შორის იყო ტახტის ერთ-ერთი შესაძლო პრეტენდენტი, ჩარლზ II-ის უკანონო შვილი ჯეიმზ სკოტი ჰერცოგი მონმაუტი. კლუბს ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე და ფართოდ იყო წარმოდგენილი ლიბერალური ინტელიგენციით: იურისტებით, მწერლებით, ჟურნალისტებით და სხვ. კლუბს კონტაქტები ჰქონდა წვრილბურჟუაზიულ წრეებთან, რადიკალურ სექტებთან, კლუბის წევრები არ გამორიცხავდნენ აგრეთვე თავიანთი მიზნების მისაღწევად ქალაქის ღარიბი მოსახლეობის გამოყენებასაც. კლუბის წევრები მონარქიზმის პრინციპს არ ღალატობდნენ, ილაშქრებდნენ მხოლოდ სტიუარტთა აბსოლუტისტური ტენდენციებისა და კათოლიციზმის აღდგენის წინააღმდეგ, იცავდნენ თავისუფალი პარლამენტის პოლიტიკური პრიორიტეტის პრინციპს, გმობდნენ სტიუარტთა საგარეო პოლიტიკას. კლუბის წევრები პოლიტიკური მიზნების განხორციელებისას გამორიცხავდნენ რევოლუციურ მეთოდებს, „ბრძოლას ქვემოდან" — ხალხზე დაყრდნობით, საჭიროდ თვლიდნენ ბრძოლას „ზემოდან", საპარლამენტო რეფორმების გზით. „მწვანე ბაფთის კლუბი" შვიდი წლის (1675 — 1682) განმავლობაში საქმია-

ნობდა და ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. დენბი ყოველნაირად ცდილობდა პარლამენტში ოპოზიციის გავლენის ზრდის შეჩერებას. თებერვლის სესია 15 თვის შესვენების შემდეგ განახლდა. შეფტსბერიმ „სამწლიან აქტზე“ დაყრდნობით პარლამენტის ოფიციალური რწმუნებანი სადავოდ გახადა. მაშინ მინისტრმა მას ბრალი დასდო პარლამენტზე თავდასხმაში და ლორდთა პალატას მიაღებინა გადაწყვეტილება ოპოზიციონერების: შეფტსბერის ბეკინჰემის, სოლისბერისა და უორტონის დროებით ტოუერში დაპატიმრების შესახებ. დენბიმ ისარგებლა მათი იზოლაციით და შეეცადა გაეტარებინა კანონი, რომელიც იორკის ჰერცოგის მიერ ტახტის დაკავებას შესაძლებელს გახდიდა. კანონპროექტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ტახტს დაიკავებდა არაოფიციალური ეკლესიის წარმომადგენელი, ეპისკოპოსების დანიშვნის უფლება (მათ მეფე ნიშნავდა) გადავიდოდა პრელატების ხელში, ხოლო მეფის შვილების აღზრდაზე ზრუნვა დაევალებოდა კენტერბერიის არქიეპისკოპოსს. მინისტრის ჩანაფიქრი არ განხორციელდა, პარლამენტმა კანონპროექტი უარყო.

ერთი სიტყვით, გამარჯვებულ კლასებს აღარ მოსწონთ 1660 წელს საკუთარი ხელით შექმნილი მონარქიის სტიუარტისეული მოდელი, ისინი ეძებენ უფრო დამჯერ მონარქს. 1677 წლიდან მათი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ჰოლანდიის შტადჰალტერი ვილჰელმ ორანელი, რომელიც, როგორც ვიცით დედით სტიუარტთა ოჯახს ეკუთვნოდა. ამ წელს იგი მათ კიდევ უფრო დაუახლოვდა, ცოლად შეირთო იორკის ჰერცოგის უფროსი ქალიშვილი მარიამი. „მწვანე ბაფთის კლუბი“, შემდეგ კი ვიგები დაეყრდნენ ძველ პრინციპს, „სუსტი უფლება მეფეს კარგს გახდის“ და ამიერიდან ტახტის ყველაზე უფრო რეალურ კანდიდატად თელიდნენ ვილჰელმ ორანელს. იყო მეორე ნაკლებად რეალური კანდიდატურა, ჰერცოგი მონმაუტი. როცა ვილჰელმ იორანელისა და მარიამის ქორწინებაზე თანხმობას აცხადებდა, ჩარლზ II ვარაუდობდა შტატჰალტერის თავის ბანაკში გადმობირებას და ამით ოპოზიციის შესუსტებას. მოხდა კი პირიქით.

პარლამენტის ყოველ ახალ სესიაზე იგრძნობოდა ოპოზიციის გავლენის ზრდა, მისი პრეტენზიების წრე ფართოვდებოდა, ძირითადი მაინც საფრანგეთთან კავშირის გაწყვეტისა და მის წინააღმდეგ პროტესტანტულ სახელმწიფოებთან ერთად ომის გამოცხადების მოთხოვნა იყო. მცირე შესვენების შემდეგ, 1677 წლის 31 მაისს გახსნილმა საპარლამენტო სესიამ მეფის ხელისუფლების კიდევ ერთი ახალი შეზღუდვა განახორციელა. მეფემ პარლამენტს სხვა სახელმწიფოებთან კავშირის დასადებლად საჭირო თანხების გაღება მოსთხოვა. პარლამენტის პასუხი ასეთი იყო: მეფე მიიღებს თანხას მხოლოდ იმ შემ-

თხვეაში, როცა პარლამენტი წინასწარ განიხილავს კავშირის დადების საკითხს. ტრადიციისამებრ უცხო ქვეყნებთან კავშირის დადება იყო მეფის ერთ-ერთი მთავარი პრეროგატივი. მართალია პარლამენტი ყურადღების გარეშე არ ტოვებდა მეფის ამ უფლებას, მაგრამ საგანგებო უფლების პრეტენზიას არ აცხადებდა. მეფე განრისხდა და პარლამენტის სესია კელავ შეწყვიტა მომავალი წლის ზამთრამდე. ვითარება დაიძაბა. ჩარლზ II-ს ლუი XIV-ის სუბსიდიები დათეურ სამსახურს უწევდა. იგი ახერხებდა პარლამენტის სესიების განვადებას, რაც პარლამენტთან ურთიერთობას კიდევ უფრო აუარესებდა. ახალმა განვადებამ მეფის ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. პარლამენტისაგან ახალი სუბსიდიის მიღება შეიძლებოდა მხოლოდ ერთი პირობით — საფრანგეთის წინააღმდეგ აქტიური მოქმედებით. მეფე ამ დათმობაზე არ მიდიოდა. 1677 წლის ივლისში ჩარლზ II-მ ლუი XIV-ს 1.600.000 გირვანქა სტერლინგი მოთხოვა, იმ პირობით, რომ 1678 წლის მაისამდე პარლამენტს აღარ მოიწვევდა. ახალი სუბსიდია ჩარლზ II-ს საშუალებას მისცემდა დაეძლია ფინანსური სიძნელეები, ხოლო ლუი XIV-ს საშუალება ექნებოდა ჰოლანდიასთან ახალი საზავო მოლაპარაკება (ნიმვეგერში) უფრო სასურველ პირობებში წარემართა.

1678 წლის მარტში პარლამენტმა ჩარლზ II-ს კატეგორიულად მოსთხოვა ან გამოეცხადებინა ომი საფრანგეთისათვის, ანდა დაეთხოვა მუდმივი არმია, რომლის მოგროვების უფლება პარლამენტმა მეფეს მისცა საფრანგეთთან ომის საბაბით, წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება საფრთხე, ამ არმიის არადანიშნულებისამებრ, კერძოდ კი სამეფო დესპოტური მიზნებისათვის გამოყენებისა. იმავე პარლამენტმა აღადარეულა 1675 წლის მუქარა. ფაქტიურად აკრძალა ინგლისში საფრანგეთის საქონლის იმპორტი, ჭრომელიც გავრცელდა: ღვინოზე, ძმარზე, სელის ქსოვილებზე, მაუდზე, აბრეშუმზე, მარილზე, ქაღალდზე და სხვა. ამ საქონლის თავისუფალი იმპორტი „სამეფოს ხაზინას აჩანაგებს" — აცხადებდნენ პარლამენტის ოპოზიციური წევრები. ამ გადაწყვეტილებას ინგლისის საქმიანი წრეები კმაყოფილებით შეხვდნენ.

1678 წლის აგვისტოში საეჭვო წარსულის მქონე სასულიერო პირმა, ყოფილმა ბაპტისტმა და ფლოტის კაპელანმა, ანგლიკან კათოლიკურ წრეებთან დაახლობულმა ვინმე ტიტ ოტსმა, ლონდონის მოსამართლეს გოდფრის გადასცა ამკარად ცრუ დასმენა; იგი ირწმუნებოდა ინგლისში დიდი კათოლიკური შეთქმულების არსებობის შესახებ, რაც მან საკუთარი ყურით მოისმინა ლონდონის ერთ-ერთ ტაეერნაში— „თეთრ ცხენში". გოდფრიმ ოტსი, ეს ამკარა მისტიფიკატორი საიდუმლო საბჭოს წარუდგინა. ოტსი ირწმუნებოდა, რომ ირლანდიაში, შოტლანდიაში და ინგლისში მოქმედებდა კათოლიკე იეზუიტთა სა-

შიში შეთქმულება, რომლის მიზანია ჩარლზ II-ის მოკვლა, კათოლიკე ჯეიმზ II-ის ტახტზე დასმა და კათოლიციზმის აღდგენა. შეთქმულთ შორის იორკის ჰერცოგთან ერთად ასახელებდნენ თვით დედოფალს— კატარინას, რამდენიმე ლორდს და სხვ. ოტსის განცხადება დამაჯერებლობას მოკლებული იყო, რეალურად არსებობდა მხოლოდ იორკის ჰერცოგის მდივნის კოლმანის წერილები ევროპის კათოლიკურ წრეებთან. მსგავსი კორესპონდენცია იპოვეს დედოფლის აპარტამენტებშიც. ოტსის საქმე გახმაურდა, ინგლისის საზოგადოებამ ირწმუნა შეთქმულების არსებობა, დაიწყო მასობრივი ანტიკათოლიკური მოძრაობა. ოპოზიციამ ოსტატურად გამოიყენა შექმნილი ვითარება და ანტიკათოლიკური ფსიქოზი უკიდურესობამდე მიიყვანა. მეფე, რომელიც ღრმად იყო დარწმუნებული ოტსის ბრალდების სიყალბეში დამორჩილდა საერთო აზრს. დაიწყო კათოლიკეთა მასობრივი დევნა, დაპატიმრება, ხშირი იყო სიკვდილით დასჯაც კი. 1678 წლის 21 ოქტომბერს განახლდა პარლამენტის სესია. ოპოზიციამ მოითხოვა კათოლიკების წინააღმდეგ რადიკალური ზომების მიღება, მათი გაძევება ინგლისიდან, კერძოდ ლონდონიდან, ლორდთა პალატის გაწმენდა კათოლიკობაში ყველა ეჭვმიტანილ წევრისაგან, პარლამენტმა მოითხოვა იორკის ჰერცოგისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა. მისი გამოყვანა საიდუმლო საბჭოს შემადგენლობიდან. პარლამენტი არც დედოფალს მოერიდა, დაისვა საკითხი მისი სასახლიდან გაყვანისა. განსაკუთრებული თავადასხმის ობიექტი გახდა გრაფი დენბი, ყველასათვის ცნობილი იყო მისი დანაშაულებრივი პოზიცია საფრანგეთთან ურთიერთობაში. პარლამენტი ითხოვდა მის გადაყენებას და სამართალში მიცემას.

1678 წლის დამლევს ჩარლზ II-მ შეწყვიტა პარლამენტის სესიები. 1679 წლის დასაწყისში კი იგი საერთოდ დაითხოვა და ახალი პარლამენტის არჩევნები ბრძანა. მეფის რჩევით იორკის ჰერცოგმა დატოვა ინგლისი და ბრიუსელში გადასახლდა. ჩარლზმა გაითვალისწინა ის შედეგები, რაც მამამისის მიერ სტრაფორდის დაცვას მოყვა. დენბი გადააყენეს და ტოუერის ციხეში ჩასვეს. ოპორტუნიზმმა კიდევ ერთხელ იხსნა ჩარლზ II. არჩევნებმა, მიუხედავად ხელისუფლების მხრივ უხეში ჩარევის, მოსყიდვის, პოლიტიკური შანტაჟის და სხვა ხასიათის დარღვევებისა, უპირატესობა მაინც ოპოზიციას არგუნა. ამიტომ ახალი პარლამენტი, რომელმაც მუშაობა დაიწყო 1679 წლის 6 მარტს, ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია „პირველი ვიგური პარლამენტის“ სახელით.

მეფე ახალ დათმობაზე წავიდა, იგი დათანხმდა „საიდუმლო საბჭოს“ გადახალისებას. წევრთა რიცხვი გაიზარდა და განისაზღვრა 30 კაცით, რომელთა შორის იყვნენ სხვადასხვა პარტიის, კერძოდ კი ოპო-

ზიციის წარმომადგენლებს. ამასთან ერთად გადაწყდა საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარედ ოპოზიციის ლიდერის გრაფ შეფტსბერის დანიშვნა.

ოპოზიციამ მეფის ხელისუფლების კონსტიტუციური რეგლამენტირების სფეროში ახალი ნაბიჯები გადადგა. 15 მაისს პარლამენტს წარედგინა „ბილი გამორიცხვის შესახებ" (Exclusion Bill). ეს მეტად მკაცრი ტონით შედგენილი დოკუმენტი მოითხოვდა იორკის ჰერცოგისათვის ტახტზე უფლების ჩამორთმევას და მისთვის საერთოდ ინგლისში, შოტლანდიაში და ირლანდიაში დაბრუნების უფლების აღკვეცას. ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში ჰერცოგი ისჯებოდა როგორც სახელმწიფოს მოღალატე. აღნიშნულ კანონპროექტმა „კარის პარტიის" ბანაკში დიდი პანიკა გამოიწვია; ირღვეოდა მონარქიზმის ერთერთი ძირითადი მემკვიდრეობითი პრინციპი, ბილის სასარგებლოდ განეწყვნენ ზომიერი მონარქისტებიც კი, რომელთაც მაინცდამაინც არ მოსწონდათ იორკის ჰერცოგის კათოლიკური ფანატიზმი და აბსოლუტისტური ზედმეტი მისწრაფებანი. ამ შემთხვევაში პიროვნება გადაწონა საერთო პრინციპმა. ოპოზიცია, როგორც ჩანს, ტახტის მემკვიდრედ ითვალისწინებდა ჰერცოგ მონმაუტს, რომელიც „მწვანე ბაფთის კლუბის" აქტიური წევრი და გრაფ შეფტსბერის დაახლოებული პირი იყო. კანონპროექტის ირგვლივ დაიწყო მწვავე კამათი.

ოპოზიციამ კიდევ ერთი სასარგებლო ღონისძიება განახორციელა, ალარ დაადასტურა ხელმეორედ კანონი ცენზურის შესახებ. ბეჭდვის თავისუფლების აღდგენამ სულ მოკლე ხანში სათანადო ნაყოფი გამოიღო. იწერებოდა და მასობრივად ვრცელდებოდა ოპოზიციური ლიტერატურა, შეფტსბერის პარტიის გავლენა იზრდებოდა. ოპოზიციამ დაგმო აგრეთვე მეფის მიერ დამნაშავე მინისტრების მფარველობის მეთოდი, მოღალატედ გამოცხადდა ყველა, ვინც მეფის ასეთ მოქმედებას დაუჭერდა მხარს.

1679 წლის 27 მარტს პარლამენტმა მიიღო მნიშვნელოვანი კანონი, რომელიც ცნობილია „ჰაბეას კორპუს აქტის" (Habeas Corpus Act)* სახელით და წარმოადგენს ინგლისის კონსტიტუციის (კონსტიტუციური ტრადიციის) ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს „თავისუფლებათა დიდი ქარტიისა", „1628 წლის უფლებათა პეტიციისა" და 1689 წლის „უფლებათა ბილის" შემდეგ. აქტი უშუალოდ წარმოადგენს პიროვნების თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის დაცვის იურიდიულ გარანტიას, ინგლისელები ამაყობენ ამ დოკუმენტით და მას თვლიან „პიროვნების თავისუფლების" „მესამე დიდ ქარტიად,"

* მისი სრული დასახელებაა: „აქტი ქვეშევრდომთა თავისუფლების უველაზე უფრო უკეთ უზრუნველსაყოფად და ზღვებს იქით დაპატიმრებათა თაეიდან აცილების შესახებ".

ხელთუქმნელ ძეგლად 1215 წლის „დიდი ქარტიის“ და 1628 წლის „უფლებათა პეტიციის“ შემდეგ. კანონის ისტორიულ-პროგრესული მნიშვნელობა უდავოდ დიდია. მაგრამ მისი აბსოლუტური იდეალიზაციის საფუძველი არ არსებობს, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ იგი ხასიათდება კლასობრივი შეზღუდულობით, იგი იცავს „პიროვნება — ბურჟუას“ და არა საერთოდ პიროვნებას.]

ამ დოკუმენტის შექმნისათვის ბრძოლა დაიწყო სტიუარტთა რეჟიმისადმი ოპოზიციის ჩასახვისთანავე. ოპოზიცია, პირველ ყოვლისა, საკუთარი თავის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ფიქრობდა, განსაკუთრებით ამჯერად, როცა პოლიტიკური რეპრესიების საფრთხე აშკარად იგრძნობოდა. ამ დოკუმენტის მოკლე შინაარსი ასეთია: ხელისუფლების მიერ შეპყრობილ პიროვნებათა სასტიმროში გაჩერება ადმინისტრაციას არ შეეძლო მოსამართლის მიერ ხელმოწერილი სანქციის გარეშე. მოსამართლეს უნდა დაედასტურებინა დაპატიმრების კანონიერება, დაპატიმრების მოტივი და კონკრეტული ბრალდება. ამ მიზნით მოსამართლე ბრძანებით მოითხოვდა ადმინისტრაციისაგან (შერიფი, ციხის უფროსი, ციხის დარაჯი ან ზედამხედველი და სხვ.) პატიმარი დაუყოვნებლივ მოეყვანათ მასთან დაპატიმრების კანონიერების დასადგენად და საქმის სასამართლოს წესით გასარჩევად. აქტმა სახელწოდება მიიღო მოსამართლის ბრძანების პირველი სიტყვებისაგან — „გეკალებათ მომიყვანოთ პატიმარი“, რაც სიტყვა-სიტყვით ლათინურად (ინგლისში 1731 წლამდე სასამართლო ლათინურად წარმოებდა) ასე ჟღერს „Habeas Corpus ad sujiciendum“, — „შენ (პოლიციის მოხელე) ვალდებული ხარ მოიტანო სასამართლოში სხეული (corpus) პატიმრისა“.

ახალი კანონი მოსამართლეებს და ადმინისტრაციას ავალდებულებდა მკაცრად დაეცვათ ეს წესი. კანონის თანახმად: პატიმარი, მისი ნათესავები, ახლობლები ან დაინტერესებული გარეშე პირებიც კი ვინც დაპატიმრებას უკანონოდ მიიჩნევს, უფლებამოსილია მოთხოვოს მოსამართლეს (იგულისხმება უმაღლესი სასამართლო უფლების მატარებელი ყველა დაწესებულება და ინსტანცია, მათ შორის ლორდი კანცლერი, ლორდი ბეუქის მცველი, სხვადასხვას სკამების უმაღლესი მოსამართლეები და სხვ.) გასცეს პატიმრის სასამართლოში მოყვანის ბრძანება დაპატიმრების საფუძვლის შესამოწმებლად. ამ უფლების გამოყენება მოსამართლეს შეუძლია ყველა შემთხვევაში, გარდა იმისა როცა საქმე ეხება სახელმწიფოს ღალატს (treason) ან უმძიმეს სისხლის სამართლის დანაშაულს (felony — მკვლელობა, ცეცხლის წაკიდება და სხვ.). ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელიც მოსამართლის შესაფერის ბრძანებას მიიღებს, მკაცრად ვალდებულია მოსამართლეს წარუდგინოს პატიმარი და დაპატიმრების მიზეზების

განმარტებისათვის საჭირო ყველა საბუთის ასლი. პატიმრის საპატიმროში მოყვანისას საჭირო იყო ციხის ადმინისტრაციისათვის წარდგენა სათანადო წერილობითი ბრძანებისა. სადაც ფიქსირებული იქნებოდა დაპატიმრების მიზეზები. ამ საბუთის გარეშე მეციხოვნეს პატიმრის მიღების უფლება არ ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია ასეთივე საბუთი მისცეს პატიმარს, ან მისი ბედით დაინტერესებულ პირებს 6 საათის განმავლობაში. სასამართლომდე პატიმრის ციხეში დაკავება შეიძლებოდა 3-დან 20 დღე-ღამის განმავლობაში იმის შესაბამისად, თუ რა მანძილით იყო დაშორებული საპატიმრო სასამართლოს (სამი დღე—თუ მანძილი უდრის 20 მილს, 10 დღე—თუ მანძილი 20 მილს აღემატება და 20 დღე—თუ მანძილი აღემატება 100 მილს).

აღნიშნული წესის დამრღვევი ისჯებოდა ჯარიმით, პირველ შემთხვევაში 100 გირვანქა სტერლინგით, მეორე შემთხვევაში—200 გირვანქა სტერლინგით, ჯარიმა გამიზნული იყო პატიმრის სასარგებლოდ. ჯარიმის გარდა უნდა აღძრულიყო კანონის დამრღვევთა დაკავებული თანამდებობიდან გადაყენების საკითხი. Habeas Corpus Act-ის ძალით პატიმრობიდან განთავისუფლებული პიროვნების იმავე ბრძანებით ხელახლა დაპატიმრება იკრძალებოდა, დამრღვევი პირი ჯარიმდებოდა პატიმრის სასარგებლოდ 500 გირვანქა სტერლინგით. სასჯელი 500 გირვანქა სტერლინგის ჯარიმის სახით ედებოდა აგრეთვე იმ მოსამართეებს (კანცლერის უმაღლესი სასამართლოს, ხაზინის სასამართლოს, „მეფის სავარძლის“ სასამართლოს, „საერთო დავის“ სასამართლოს მოსამართლეები. აღნიშნული სასამართლოს ბარონები, ლორდი-კანცლერი ან ლორდი ბეჭდის მცველი და სხვ.), ვინც დაარღვევდა Habeas Corpus Acti-ის გაცემას. ამ შემთხვევაშიც ჯარიმა პატიმრის სასარგებლოდ იყო გამიზნული. კანონის თანახმად ადმინისტრაციას ეკრძალებოდა პატიმრის ერთი ციხიდან მეორეში გადაყვანა სასამართლოსთან შეთანხმების გარეშე.

კანონის თანახმად აიკრძალა დაპატიმრებულ ინგლისის ქვეშევრდომების ინგლისის გარეთ, მის კოლონიებში გადაჰახლება. ასეთ პატიმრობაში მყოფ პირებს, ან იმათ ვისაც ასეთი პატიმრობა ელის უფლება აქვთ აღძრან საჩივარი იმ ოფიციალურ პირთა მიმართ, ვინც ასეთ პატიმრობას დაადასტურებს, მომჩივანის სასარგებლოდ კანონის დამრღვევნი იხდიან ჯარიმას, რომელიც 500 გირვანქა სტერლინგზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამასთან ერთად ასეთ პირებს ეკრძალებათ დაიკავონ „საზოგადოებრივ ნდობასთან დაკავშირებული“ რაიმე თანამდებობა. კანონის აღნიშნული პუნქტი იაფი მუშახელით უზრუნველყოფდა მეტროპოლიის ქალაქის წარმოებას და სოფლის კაპიტალისტურ მეურნეობას.

კანონი არ ივიწყებდა იაფი მუშახელით — „თეთრი (კაბალური) მონებით“ ზღვისიქითა კოლონიების მომარაგების საკითხს. დაშვებული იყო გამონაკლისი. აკრძალვა არ ვრცელდებოდა იმ პირზე, რომელიც ვაჭარს ან პლანტატორს მისცემდა ნებაყოფლობით (წერილობით) თანხმობას გადაეყვანათ იგი სამუშაოდ ზღვის იქითა რომელიმე ქვეყანაში და ამისთვის მიიღებდა შეპაფერის ბეს. კანონში აღნიშნული იყო, რომ ზღვის იქითა ქვეყნებში შეიძლებოდა იმ მძიმე სიმსხლის სამართლის დამნაშავეთა გადასახლება, ვინც სათანადო სურვილს გამოთქვამდა სასამართლოს ღია სხდომაზე. კანონის თანახმად, თუ ინგლისში მცხოვრები დანაშაულს ჩაიდენს ინგლისის გარეთ — შოტლანდიაში, ირლანდიაში, ინგლისის კუთვნილ რომელიმე კუნძულზე ან კოლონიებში (plantations), დასაშვები იყო მისი გაგზავნა და გასამართლება იმ ადგილებში, სადაც დანაშაული იყო ჩაყენილი.

კანონის თანახმად მოსამართლეს დაპატიმრების მოტივების კანონიერებისა თუ უკანონობის საკითხი უნდა განეხილა გამარტივებული წარმოების გზით (ნაფიც მსაჯულთა გარეშე) და ინდივიდუალურად გადაეწყვიტა Habeas Corpus Act-ის გაცემისა თუ არგაცემის საკითხი, თვით სასამართლო სესიების შეწყვეტის (არდაგეგების) დროსაც კი.

კანონი ბრალდებულს ანიჭებდა სასამართლო პროცესის დროს თავის დაცვის უფლებას. ნაფიც მსაჯულთათვის საბოლოოდ გადაწყვეტილების მიღებისას დაცვის შედეგების გათვალისწინება სასამართლო პროცესის დროს აუცილებელ პირობად ცხადდებოდა. ის პირი, ვინც სასამართლოს ორი სესიის განმავლობაში არ მოითხოვდა კანონის აღსრულებას, მექანიკურად კარგავდა მისი შემდგომ გამოყენების უფლებას. Habeas Corpus Act-ის საფუძველზე მოსამართლის მიერ პატიმრის დამნაშავედ აღიარება ოდნავადაც არ ნიშნავდა რაიმე საბოლოო განაჩენს. პატიმრის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის საკითხს საბოლოდ წყვეტდა სასამართლო. ამრიგად, Habeas Corpus Act-ი ვრცელდებოდა წინასწარი პატიმრობის სფეროში.

Habeas Corpus Act--ის მოსამართლეების მიერ გაცემის ტრადიცია ახალი არ იყო, იგი XV საუკუნიდან იღებს სათავეს. მაგრამ მაშინ და შემდეგშიაც წერილობითი გადაწყვეტილების გაგზავნა დამოკიდებული იყო მხოლოდ მოსამართლის ნება-სურვილზე. არ იყო განსაზღვრული უნებართვო პატიმრობის ხანგრძლივობა, კანონის შეუსრულებლობა არ ისჯებოდა, პატიმარსა და დაინტერესებულ პირებს არავითარი გარანტია არ ეძლეოდათ, პატიმრებს ელოდათ ხანგრძლივი ჯდომა მაშინაც, როცა მათი თავდებით გამოშვება შესაძლებელი იყო და სხვა. 1215 წლის „თავისუფლებათა დიდი ქარტიის“ (Magna

Charta Libertatum) 39-ე მუხლში (დღეს მოქმედ „ქარტიის" ვარიანტით 29-ე მუხლი. ქარტიის ძველი ვარიანტი მოიცავდა 63 მუხლს, დღევანდელი — 37 მუხლს) ნათქვამია: არ შეიძლება არც ერთი თავისუფალი მოქალაქის დაპატიმრება, ციხეში ჩასმა, მისთვის ქონების ჩამორთმევა, კანონის გარეშე გამოცხადება, განდევნა ან სხვა რაიმე გზით მისი გაღატაკება თუ არა კანონიერი განაჩენით... ქვეყნად მოქმედი კანონების შესაბამისად". იგივე გაიმეორა 1628 წლის „უფლებათა პეტიციამ".

1679 წლის კანონმა ინგლისის პროცესუალური სამართლის ზემოაღნიშნულ ინსტიტუტს შეჰმატა დამჯერებლობა და აღსრულების შესაძლებლობის მტკიცე გარანტია. კანონის პროგრესული მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს. იგი მნიშვნელოვანწილ უზრუნველყოფდა პიროვნების თავისუფლებას, მის ხელშეუხებლობას, მკაცრ ზღვარს უდებდა აღმასრულებელი ხელისფულების ძალმომრეობის შესაძლებლობას. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ კანონის პროგრესულობას ახასიათებდა ბურჟუაზიულ-კლასობრივი შეზღუდულობა. მისი რეალური მოქმედების სფერო მესაკუთრე, მჭონებელი ინგლისით იფარგლებოდა. ჯერ ერთი კანონის მოქმედება არ ვრცელდებოდა, პოლიტიკურ და მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულის დროს. ეს ვითარება გაბატონებულ კლასებს საშუალებას აძლევდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ მუდამ გამოეყენებინათ ძალმომრეობა და კანონსაწინააღმდეგო აქტები, მით უფრო, რომ პარლამენტს უფლება ჰქონდა განსაკუთრებულ შემთხვევაში შეეჩერებინა კანონის მოქმედება და ხელისუფლებისათვის ფართო რეპრესიების უფლება მიეცა. როგორც წესი, ამ უფლებას პარლამენტი იყენებდა და დღესაც იყენებს დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობისას. პოლიტიკური დანაშაულის დროს ხელისუფლებას შეეძლო პიროვნება სასამართლოს გარეშე პატიმრობაში ხანგრძლივად ყოლოდა. საქმე იმაშია, რომ აქტის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს დაპატიმრებისათვის საჭირო მოტივების არარსებობის შემთხვევაშიც დატოვოს პატიმარი ციხეში, თუ დარწმუნდა, რომ ხელისუფლებას (მეფეს) უახლოეს სასამართლო სესიაზე არ შეუძლია წარადგინოს მამხილებელი საბუთები და საჭირო მოწმეები.

აღსანიშნავია ისიც, რომ პატიმრის დროებით განთავისუფლების დროს კანონი აწესებდა მაღალ ფულად გირაოს და თაუდებს. საერთოდ კანონით გათვალისწინებული მთელი იურიდიული პროცესი გარკვეულ ოფიციალურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, პატიმრის ციხიდან სასამართლოში გადასაყვანად განსაღვრული იყო ყოველ თითო მილზე 12 პენსის გადახდა (პატიმრის ხარჯზე). ეს და სხვა მსგავსი ვითარება ღარიბ ინგლისელისათვის კანონის რეალურად გამოყენების შესაძლებლობას თითქმის გამორიცხავდა. კანონი არ ვრცელდებოდა

იმ პატიმრებზე, რომლებიც ვალის გამო სავალო ციხეში ისხდნენ. სისხლის სამართლის ბრალდებისაგან მოსამართლის მიერ მისი განთავისუფლების შემთხვევაშიც იგი ისევ ციხეში რჩებოდა. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, საქმე ეხებოდა ისევ ღარიბ-დემოკრატიულ ინგლისის წარმომადგენლებს. Habeas Corpus Act-ის მოქმედების შეჩერების უფლებას ინგლისელები ხშირად იყენებდნენ ჩაგრული ხალხის, კერძოდ ირლანდიელების მიმართ მკაცრი რეპრესიების გატარების დროს. პრაქტიკაში არ იყო ისეთი წესი, რომელიც უზრუნველყოფდა მოქალაქის დაცვას ოფიციალურად წარდგენილ ბარათში წამოყენებულ ცრუ ბრალდებებისაგან. როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში, მოსამართლეები დიდ ანგარიშს უწევდნენ ხელისუფალთა მიერ შედგენილ დოკუმენტებს, სადაც დაპატიმრების მოტივები იყო ჩამოყალიბებული და სანქციას მათ სასარგებლოდ იძლეოდნენ. სასამართლოს გადაწყვეტილება დაპატიმრების უკანონობის შესახებ ზოგჯერ არ სრულდებოდა, რადგან მისი შეუსრულებლობა დაუსჯელი რჩებოდა.

ლორდთა პალატამ სამგზის უარყო აქტის მიღება, ყოყმანობდა ჩარლზ II-ც, ბოლოს და ბოლოს მეფისა და ლორდების წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა, აქტი ძალაში შევიდა. რაც შეეხება „ბილი გამორიცხვის შესახებ" იგი მეფემ არ მიიღო და ამ საკითხზე პარლამენტთან მისი დავა დამთავრდა 1679 წლის ივლისში პარლამენტის დათხოვით, გრაფ შეფტსბერის გადაყენებით და ოპოზიციის საერთო დევნით.

1679 წლის ოქტომბერში ახალი პარლამენტის არჩევის დროს შეფტსბერის პარტიამ კვლავ წარმატება მოიპოვა. იგი არჩევნებში გამოდიოდა „გამორიცხვის ბილის" (Exclusion Bill) ლოზუნგით, ამიტომ შეფტსბერის მომხრეებს მაშინ შეარქვეს ზედმეტი სახელი—„ექსკლუზიონისტები", ოპოზიციურ პარტიას ხშირად უწოდებდნენ „პეტიციონერებს", „ბირმინჰამელებს". მეფის მომხრეებმა მიიღეს ზედმეტი სახელი — „აღშფოთებულნი" (Abhorres).

1680 წლის ოქტომბერში მუშაობა დაიწყო ახალმა, ჩარლზ II-ის მეოთხე პარლამენტმა, რომელიც ისტორიაში „მეოთხე ვიგური პარლამენტის" სახელით დამკვიდრდა. ოპოზიცია კვლავ აქტიურად მოქმედებს, „ბილი გამორიცხვის შესახებ" კვლავ ძალაშია. ამჯერად ოპოზიციამ საბოლოოდ დაიმკვიდრა ვიგების პარტიის, ხოლო მეფის მომხრეებმა — ტორების პარტიის სახელი. ორივე, თავიდან სალანძღავი ზედმეტი სახელი, პარტიათა შორის მწვავე პოლემიკის შედეგად იშვა. ვიგების (შოტლანდიური „ვიგამორი" — „მზიდავი", „მეფურგონე", „მეეტლე") სახელით ცნობილი იყვნენ 40-იანი წლების შოტ-

ლანდიელი შეურიგებელი პროტესტანტები — კოვენატრები, ანუ „ვიგამორები". ეს სახელი როიალისტებმა შეარქვეს ოპოზიციონერებს მათი ხელისუფლებისადმი „დაუმორჩილებლობის და „შეაშბოხური" მოქმედების გამო, თავის მხრივ ვიგებმა მოწინააღმდეგენი, კონსერვატორულ, რეაქციული განწყობის გამო მონათლეს ირლანდიელ-კათოლიკე მეამბოხეების—ტორების (ტორი ირლანდიულად—„ქურდი") სახელით.

ვიგების სოციალური შედგენილობა ჩვენთვის ცნობილია. რაც შეეხება ტორებს — იგი წარმოდგენილი იყო უკიდურეს რეაქციული კავალრებით და ინგლისის სოფლის ჩამორჩენილ საშუალო შეძლების მემამულეების—სკუაირების სახით. ამ უკანასკნელთ არ გააჩნდათ საკმაო მიწა, ქონების ნაწილი დაკარგეს და არც ახალ სამეურნეო ცხოვრებას იყვნენ შეგუებულნი, ვერ ეწეოდნენ შერჩენილი მამულების რაციონალურ ექსპლოატაციას, ამისთვის არ ყოფნიდათ არც სახსრები და არც ჩვევები; პოლიტიკურ და რელიგიურ სფეროში გამოირჩეოდნენ უკიდურესი კონსერვატიზმით; იცავდნენ ანგლიკანიზმს და ძლიერი მონარქიის პრინციპს. აღიარებდნენ მეფის ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის იდეას. ტორების პარტიას ეკუთვნოდა აგრეთვე ის ძველი მიწათმფლობელი არისტოკრატია, რომელმაც მთლიანად ვერ დაიბრუნა ძველი მატერიალური კეთილდღეობა და სათანადოდ ვერც წარმოების ახალ წესს ეზიარა. ეს სოციალური ფენა ძლიერი სამეფო ხელისუფლების სახით ხედავდა საკუთარი პოლიტიკური გავლენისა და ეკონომიკური კეთილდღეობის უპირველეს საწინდარს. მათ ნაკლებად შეეძლოთ განეხორციელებინათ მეფისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკა, მაშინ როდესაც ეკონომიკურად ძლიერ ვიგებს — მდიდარ ახალ და ძველ ლენდლორდებს, მდიდარ ბურჟუაზიას, პირველ ყოვლისა ლონდონის სიტის მაგნატებს ამის სრული საშუალება ჰქონდათ.

ტორებს, მეფესა და სასახლის კამარილიას შორის კავშირი არ. იყო მყარი. ტორები ანგლიკანურ ეკლესიას იზიარებდნენ, მაშინ როდესაც მეფის კარისკაცთა შორის ბევრი იყო აშკარა თუ ფარული კათოლიკე. ტორები აბსოლუტიზმის და ფეოდალიზმის აღდგენას როდი ფიქრობდნენ, მათი მიზანი იყო სამეფო ხელისუფლების გაძლიერება პარლამენტის უფლებათა შეზღუდვის პირობებში, სასახლის კამარილია კი ოცნებობდა აღედგინა ძველი რეჟიმი — აბსოლუტიზმით, კათოლიციზმით და ფეოდალიზმით. როცა ჯეიმს II-მ ამ პროგრამის განხორციელება სცადა, ტორების მასა განუდგა მას და ვიგებთან ერთად განახორციელა მისი ტახტიდან ჩამოგდება.

ოპოზიციამ შეძლო 1680 წლის 15 ნოემბერს თემთა პალატაში „გამორიცხვის ბილის" გატარება, ლორდთა პალატამ უარყო იგი.

აღსანიშნავია, რომ ლორდების გარკვეულმა ნაწილმა ბილს მხარი დაუჭირა. 1681 წლის 18 იანვარს მეფემ ეს პარლამენტიც დაითხოვა. 1681 წელს მან მოიწვია ახალი — V პარლამენტი, მაგრამ არა ვიგური ლონდონში, არამედ კონსერვატორულ ოქსფორდში. ეს პარლამენტიც ოპოზიციური აღმოჩნდა, „ბილი გამორიცხვის შესახებ“ კვლავ დადგა დღის წესრიგში. პარლამენტმა მხოლოდ ერთი კვირა იარსება (21-28 მარტი), მეფემ იგი დაითხოვა, მიუხედავად „სამწლიანი აქტისა“ იგი აღარ მოუწვევია და ამიერიდან ქვეყანას მართავდა, ვითარცა აბსოლუტური მონარქი. ვიგების მარცხი განაპირობა იმან, რომ მათ ვერ გაბედეს მონარქის წინააღმდეგ ბრძოლაში მასების ჩაბმა და ბრძოლის რევოლუციური მეთოდების გამოყენება. „ახალი აჯანყება ბევრს უფრო საშიშრად ესახებოდა, ვიდრე ინგლისში კათოლიციზმის აღდგენის გაურკვეველი პერსპექტივა“ — წერს ცნობილი რუსი ისტორიკოსი რ. ვიპერი. ვიგების არისტოკრატთა ნაწილმა დატოვა პარტიის რიგები და მეფის მომხრეთა ბანაკში გადაბარგდა. ვიგური მოძრაობის ხელმძღვანელები (ე. წ. „ექვსთა საბჭო“ — ჰერცოგი მონმაუტი, გრაფი ესექსი, ლორდი უილიამ რასელი, ოლჯერნონ სიდნეი, რიჩარდ ჰემპდენი (ჯონ ჰემპდენის შვილი) და ლორდი უილიამ ჰოვარდი) ბრძოლის მხოლოდ საპარლამენტო მეთოდებს იზიარებდნენ. უკიდურეს შემთხვევაში ისინი სასახლის „ზემოდან გადატრიალების“ მომხრენი იყვნენ. ოპოზიციამ ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი — შოტლანდიაში პრესბიტერული კოვენანტის მომხრეთა ამბოხება. მოხდა პირიქით, ამბოხების ლიკვიდაცია ითავა ვიგებთან დაახლოებულმა ჰერცოგმა მონმაუტმა. ვიგების ძალაუსუსტებდა აგრეთვე პარტიის შიგნით მონარქისტებისა და რესპუბლიკელების დაპირისპირება.

ჩარლზ II-მ შეძლო პოზიციის განმტკიცება. ამის მნიშვნელოვანი საწინდარი იყო მის მიერ ლუი XIV-სგან მიღებული საკმაოდ სოლიდური მორიგი სუბსიდია (ერთდროულად $12^1/_2$ მილიონი ლივრი და ყოველწლიურად — 5 მილიონი ლივრი). ჩარლზ II-მ პირობა მისცა ლუი XIV-ს, რომ არ მიიღებდა მონაწილეობას ჰოლანდიის შტატჰალტერის—ვილჰელმ ორანელის მიერ ორგანიზებულ ანტიფრანგულ კოალიციაში.

ჩარლზ II ოპოზიციის წინააღმდეგ ფრონტალურ შეტევაზე გადავიდა: გრაფი შეფტსბერი დააპატიმრეს, მაგრამ ნაფიცთა სასამართლომ იგი გაამართლა. თავის გადარჩენის მიზნით გრაფმა დატოვა ინგლისი და ამსტერდამში გაიქცა, სადაც მალე (1683 წ.) გარდაიცვალა კიდეც. ჩარლზ II სასტიკად დევნის ვიგებს, დაწესდა მკაცრი ცენზურა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ „გამორიცხვის ბილის“ მოთავეები. იორკის ჰერცოგი ინგლისში დაბრუნდა და ტახტის რეალური პრეტენდენტი გახდა. სტიუარტთა რეაქციას 1681-

85 წლებში ისტორიკოსები ადარებენ ჰერცოგ ალბას ტერორს ნიდერლანდში XVI საუკუნის II ნახევარში. დაიწყო ვიგების მასობრივი დათხოვა სახელმწიფო თანამდებობებიდან და სასამართლოებიდან, ვიგებთან ერთად საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოაშორეს ყველა დისიდენტი. ვიგების გავლენის შესუსტების მიზნით განხორციელდა გადასინჯვა ყველა იმ ძველი ქარტიისა, რომლებიც ქალაქებს პრივილეგიებსა და თვითმმართველობას ანიჭებდნენ. საგრძნობლად შეიკვეცა აგრეთვე ქალაქის სავაჭრო და საწარმოო კორპორაციების უფლებები. ყველაფერი ეს ხორციელდებოდა იმ საბაბით, რომ თითქოს ქალაქები ამ უფლებებს ბოროტად იყენებდნენ. ამიერიდან ქალაქის ხელმძღვანელთა არჩევა შეიძლებოდა მხოლოდ მეფის ნებართვით. ქალაქების უძველესი პრივილეგიებისა და უფლებების შელახვამ. საქალაქო პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაზე მეფის მკაცრი კონტროლის დაწესებამ ინგლისის ბურჟუაზიის ახალი, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. შერისხულთა შორის იყო ლონდონიც ლონდონის სიტის მაგნატების გულისწყრომა დიდი იყო. ამას კი არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მეფემ პოზიციების განმტკიცების მიზნით საგრძნობლად გაზარდა სამეფო გვარდიის რიცხვი.

1683 წელს მთავრობამ აღმოაჩინა ვიგების ე. წ. რაიჰაუზის შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა მეფისა და ტახტის მემკვიდრის, იორკის ჰერცოგის მოკვლას. ისტორიკოსთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ შეთქმულება თვით ხელისუფლების მიერ იყო ინსცენირებული პროვოკატორული მიზნით. ვიგების ჯერ კიდევ გადარჩენილი ლიდერები დააპატიმრეს, მათ შორის არტურ კაპელ გრაფ ესექსი, ლორდი უილიამ რასელი და ოლჯერნონ სიდნეი. ესექსმა ციხეში თავი მოიკლა. რასელსა და სიდნეის 1683 წლის 21 ივლისს თავი მოკვეთეს, თუმცა შეთქმულებაში მათი მონაწილეობა სასამართლომ ვერ დაადასტურა. ხანგრძლივი პარლამენტის გამოჩენილ მოღვაწეს სიდნეის (იგი ინგლისში დაბრუნდა 1677 წელს, ამნისტიით. 1679-81 წწ. აირჩიეს პარლამენტის წევრად) ბრალი დასდეს იმაში, რომ იგი იცავდა სამეფო ხელისუფლების საზოგადოებრივ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობის თეორიას (სახლში მას უპოვეს შესაბამისი ხელნაწერი). იგივე ბრალი ედებოდა ლორდ რასელსაც. მათი სიკვდილით დასჯის დღეს ოქსფორდის ღვთისმეტყველებმა საჯაროდ დაგმეს მეფის ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ეს თეორია, როგორც ქრისტიანობის საწინააღმდეგო. ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების რეაქციული თეოლოგი პროფესორები ოფიციალურად იცავდნენ მეფის ხელისფულების ღვთაებრივი წარმომავლობის თეორიას. სიდნეი ვერ იხსნა ვერც იმან, რომ მან 1649 წელს მეფის სიკვდილით დასჯას ხმა არ მისცა. ვიგების ორი ლიდერი ჰერცოგი მონმა-

უტი და ლორდი უილიამ ჰოვარდი ხელისუფლებამ შეიწყალა, იმ პირობით რომ ისინი დატოვებდნენ ინგლისს. დაიწყო აღვირახსნილი რეაქცია, საჯაროდ იწვოდა ინგლისის პროგრესულ მოაზროვნეთა, მათ შორის მილტონის, ჰარინგტონის, ჰობსის და სხვათა ნაშრომები. ბევრი ვიგი ინგლისიდან გაიქცა. მათ შორის იყო დიდი ინგლისელი მოაზროვნე ჯონ ლოკი. ისინი ძირითადად თავს იყრიდნენ ჰოლანდიაში, შტადჰალტერ ვილჰელმ ორანელის ირგვლივ. მეფესთან ერთად რეაქციას სათავეში ედგა სასახლის კამარილია კლარენდონის მეორე ვაჟის — ლორენს ჰაიდის გრაფ როჩესტერის ხელმძღვანელობით. ინგლისის საშინაო ცხოვრებაში აქტიურად ერეოდა და რეაქციას აღვივებდა საფარნგეთის ელჩი პოლ ბარილონ დ'ამონკური.

რეაქციის მძვინვარების ჟამს, 1685 წლის თებერვალში ჩარლზ II გარდაიცვალა. 52 წლის იორკის ჰერცოგმა დაიკავა ინგლისის ტახტი ჯეიმზ II-ის სახელით.

3. აბსოლუტისტურ-კათოლიკური რეაქციის გაძლიერება და 1688 — 1689 წლების პოლიტიკური გადატრიალება.

ისტორიამ ნაკლებად იცის ჯეიმზ II-ის მსგავსი პოლიტიკურად უპასუხისმგებლო, არარეალისტი მეორე პიროვნება. „ჩვენი მამა დათმობებმა დაღუპა, ახლა იგი შეილსაც დაღუპავს" — ასეთი იყო მისი ცხოვრებისეული დევიზი. მან პოლიტიკაში და რელიგიაში გამორიცხა ყოველგვარი დათმობა, დაუპირისპირდა ყველას, ყველაფერს, პირველ რიგში ისტორიულ სინამდვილეს და იმ საზოგადოებრივ ძალებს, რომლებიც მას ქმნიდნენ. ჩარლზ II უფრო რეალისტი იყო, საჭირო შემთხვევაში იგი დათმობებზეც მიდიოდა, ეგუებოდა სინამდვილეს, ანგარიშს უწევდა ობიექტურ გარემოს. ინიღბებოდა, მათრახთან ერთად იყენებდა ტკბილ კვერს; ერთი სიტყვით, მისთვის პოლიტიკაში ლავირების, წაჯექ-უკუჯექობის პრინციპი უცხო იყო. ჯეიმზ II ისტორიას დაუპირისპირდა, რამაც განაპირობა მისი დაუყოვნებლივ დაღუპვის აუცილებლობა.

ულტრააბსოლუტისტსა და ფანატიკოს კათოლიკე ჯეიმზ II-ს, ჯერ კიდევ პრინცად ყოფნისას ინგლისის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უცხო სხეულად თვლიდა და ყოველნაირად ცდილობდა მისთვის მემკვიდრეობის უფლების აღკვეცას. ამასთან დაკავშირებით, ჩარლზ II-ს ერთხელ ძმისთვის ხუმრობით უთქვამს: „იმის შიშით, რომ შენ ტახტზე დაჯდები, მე არავინ მომკლავს". საფიქრებელი იყო, რომ ტახტზე ასვლისას ის ამ ვითარებას რამდენადმე გაითვალისწინებდა, მაგრამ ეს არ მოხდა, პირიქით, საზოგადოებისა და ახალი მეფის დაპირისპირება კიდევ უფრო დაიძაბა. შუბლმაგარი და

ჯიუტი მეფე იყო ამის ერთ-ერთი არსებითი მიზეზი ჩარლზ II-ის წრეგადასული თავქარიანობა და ფუქსავატობა — პატარა ესპანური ძაღლების მოყვა-გაწვრთნით გატაცება, საკუთარ მინისტრებზე კარიკატურების ხატვა, პარკში საყვარლებთან ერთად ბისკვიტებით გედების კვება, ხომალდის მაკეტების კეთება, შეცვალა იეზუიტებით გარშემორტყმული პირქუში მეფის მიერ ტახტზე ასვლისთანავე დანერგილმა შეთქმულებებმა. მათი გეგმა მარტივი იყო — აღდგენა კათოლიციზმისა და აბსოლუტიზმისა. ინგლისში მცხოვრებ დაახლოებით 25.000 კათოლიკეს ინტერესებს ეწირებოდა ყველაფერი ის, რისთვისაც ინგლისის ხალხმა ესოდენ დიდი სისხლი დაღვარა. ინგლისის ხალხისათვის არსებითად უცხო და მიუღებელი სისტემის — კათოლიციზმისა და აბსოლუტიზმის აღდგენისას ჯეიმზ II კვლავ ეყრდნობოდა ასევე უცხო ძალას — კათოლიკურ-აბსოლუტისტურ საფრანგეთს. XIX საუკუნის რუსმა ისტორიკოსმა დ. ილოვაისკიმ ჯეიმზ II-ს სავსებით მართებულად უწოდა „ლუი XIV ვასალი".

ტახტზე ასვლისას ჯეიმზ II-მ ანგლიკანური ეკლესიისადმი ერთგულების მოჩვენებითი ატმოსფერო შექმნა. ტორებმა იგი იწამეს როგორც ჭეშმარიტი „ტორიული მეფე", რომელიც მზადაა მართოს ქვეყანა ვითარცა „კონსტიტუციის მონარქმა" ტორებზე და ანგლიკანურ ეკლესიაზე დაყრნობით. მან საიდუმლო საბჭოში წარმოთქმულ სიტყვაში შესაბამისი მზადყოფნა დაადასტურა. ჩემი საქმეებით მე გავფანტავ გავრცელებულ ცილისწამებას, თითქოს მე მოწბრე ვარ ძალმომრეობისა და თვითნებობისა, — ამბობდა მეფე და პატიოსან „მეფურ სიტყვას" იძლეოდა. რომ დაიცავდა ანგლიკანური ეკლესიის არსებულ საფუძვლებს, არ შეეხებოდა ქვეშევრდომთა საკუთრებას და სხვა.

1685 წლის მაისში შეიკრიბა ჯეიმზ II-ის პირველი, თავისი შემადგენლობით ძირითადად ტორიული პარლამენტი. ოპოზიციური ელემენტი წარმოდგენილი იყო სულ 30-40 დეპუტატით. ამას ჯეიმსმა მაღალი ამომრჩეველთა მოსყიდვით, „დამპალი დაბების" რიცხვის გაზრდით, ადმინისტრაციული ჩარევით. რაც 1681-85 წწ. ტერორის შედეგად თავისუფლად ხორციელდებოდა, რადგან ჩარლზ II-ის ინიციატივით შერიფების, მომრიგებელი მოსამართლეებისა, მუნიციპალური მოხელეების და სხვა პოსტები ეჭირათ მონარქიის ერთგულ პირებს. პარლამენტმა დაადასტურა თავისი ერთგულ ქვეშევრდომული განწყობა. მან მეფეს მისცა 2.000.000 გირვანქა სტერლინგის სუბსიდია თანაც არა ერთი წლით, არამედ როგორც ეს ჩარლზ II-ის დროს დაკანონდა, სამუდამოდ. პარლამენტის მხარდაჭერით დაიმედებულმა მეფემ დაუყოვნებლივ დაიწყო ჩანაფიქრის განხორციელება. ასობით კათოლიკე ციხეებიდან გაანთავისუფლეს, სამეფო კარზე

წირვა-ლოცვა დაიწყო კათოლიკური წესით, სასახლე გაივსო კათოლიკეებით, მათ შორის იეზუიტებით. მეფე უხეშად აღღვევდა „აქტს ფიცის დადების შესახებ“, კათოლიკეებს მასობრივად ურიგებდა სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო თანამდებობებს, აძლევდა საუნივერსიტეტო კათედრებს, ნიშნავდა კარისკაცებად და სხვა. სულ მალე კათოლიკეები საიდუმლო საბჭოსა და ეპისკოპატის შემადგენლობაშიც აღმოჩნდნენ. მეფემ გაზომაყვავა თავისი თავი, უკმაყოფილება იზრდებოდა. მოკავშირე კლასები დააფიქრა შექმნილმა ვითარებამ.

1685 წლის მაისსა და ივნისში ვიგურმა ემიგრაციამ სცადა ჯეიმზის წინააღმდეგ ორი აჯანყების ორგანიზება. ერთი დაიწყო 6 მაისს, შოტლანდიაში აქაურ პრესბიტერელთა ნაცადი ბელადის, მარკიზ არგაილის შვილის, არჩიბალდ კემპბელ გრაფ არგაილის მეთაურობით. მეორე ამბოხებას სათავეში ედგა ჰერცოგი მონმაუტი, რომელიც მცირე რაზმით ჰოლანდიიდან ინგლისში გადმოჯდა. ახალი რევოლუციის შესაძლებლობით შეშინებულმა ტორიულმა პარლამენტმა მეფეს აჯანყების ჩასახშობად გამოუყო დიდი თანხა —400.000 გირვანქა სტერლინგი. გამოსვლები ლიკვიდირებული იქნა. წარუმატებლობა პირველ ყოვლისა განაპირობა მისმა ლოკალურმა ხასიათმა, დემოკრატიულ მასებისაგან მისმა იზოლაციამ. აჯანყებათა ორგანიზატორებს ეშინოდათ მეფის წინააღმდეგ გამოსავლებისათვის მიეცათ სახალხო-რევოლუციური ხასიათი. შოტლანდიელების წინააღმდეგ მეფის ხელისუფლება ეყრდნობოდა აგრეთვე ანტიშოტლანდიურ ნაციონალიზმს. არგაილი მეფის ჯარებმა ტყვედ იგდეს და სიკვდილით დასჯეს. მასთან ერთად სიკვდილით დაისაჯა აგრეთვე ამბოხების მონაწილე, კრომველის ყოფილი ოფიცერი ლეველერი და რესპუბლიკელი რიჩარდ რემბოლდი, ვიგური ოპოზიციის აქტიური მონაწილე.

ჰერცოგმა მონმაუტმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია. მას მხარი დაუჭირა ინგლისის სამხრეთ-დასავლეთის საგრაფოების მოსახლეობის ფართო ფენებმა, მათ შორის გლეხობამ, ხელოსნებმა, მანუფაქტურის და სამთამადნო წარმოების მუშებმა, ფეიქრებმა. ამ ვითარებამ დააშინა ვიგები და მათთან ერთად თვით მონმაუტიც. ისინი მზად იყვნენ მიეღოთ ადგილობრივი მემამულეებისა და ჯენტრის დახმარება, მაგრამ იგი არ ჩანდა, სამხრეთ-დასავლეთ ინგლისის მესაკუთრეებს არ სურდათ 40-იანი წლების განმეორება. მონმაუტი და ვიგები უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ მათ რიგებში „ამდენი მდაბიოების“ გამოჩენის გამო. ასეთ მერყეობისა და გაუბედაობის ატმოსფეროში რაიმე მნიშვნელოვან წარმატებაზე ფიქრი გამორიცხული იყო. მონმაუტმა ვერ პოვა მხარდაჭერა იმიტომ, რომ ინგლისელებს ყველაზე უფრო ეშინოდათ ახალი ამბოხებისა, რომელიც გამოიწვევდა სამოქალაქო ომს. მონმაუტი დამარცხდა. აღსანიშნავია რომ მონმაუტმა და მისმა

მომხრეებმა მეფის ჯარებთან გადაწყვეტი ბრძოლის დროს (1685 წ. 6 ივლისი, სეჯმურთან, ბრიჯუოტერის ახლოს) დაუყოვნებლივ დაყარეს ფარ-ხმალი. ბოლომდე მამაცურად იბრძოდნენ ამბოხებული გლეხები, მანუფაქტურის მუშები და სხვა დემოკრატიული ელემენტები. ამაოდ ეხვეწებოდა ბიძას — ჯეიმზ II-ს მუხლებზე დაჩოქილი ლამაზი, ახოვანი პრინცი პატიებას და სიცოცხლის შენარჩუნებას. მონანიეტი სიკვდილით დაისაჯა. მან სული საშინელ ტანჯვაში დალია, ჯალათმა მისი თავის მოკვეთა ნაჯახის მეხუთე დარტყმით შეძლო.

მეფემ ისარგებლა მოპოვებული წარმატებებით და ხელი მოჰყო მასობრივ ტერორსა და ანგარიშსწორებას. „Habeas Corpus Act"-ი აღარავის ახსოვდა. შეიქმნა საგანგებო სასამართლო-ტრიბუნალები; რამდენიმე ასეული ადამიანი სიკვდილით დასაჯეს, ათასზე მეტი გაყიდეს მონებად კოლონიებში. სისასტიკითა და ულმობელობით გამოირჩეოდა მეფის მოსამართლე ბარონი ჯორჯ ჯეფრისი, რომელიც ჯალათებთან ერთად მოგზაურობდა ინგლისის სხვადასხვა ადგილებში, აწყობდა განუკითხავ სასამართლო პროცესებს და ანგარიშსწორებას; პირველი ხოცვა-ულტა ჯეფრიზმა უინჩესტერში მოაწყო, შემდეგ დორჩესტერში გადმოვიდა და აქ 80 კაცი დასაჯა სიკვდილით. ექსეტერში, ტაუნტონში და უელსში ჯალათის ხელით დასაჯეს 251 ადამიანი. სომერსეტში ყველგან აღმართული იყო სახრჩობელები, რომლებზედაც დიდხანს ეკიდა გახრწნამდე მისული სხეულები, როგორც ნიდერლანდში ჰერცოგ ალბას დროს. ჯეფრიზისა და მისი ე. წ. „სისხლიანი ასიზების" (სისხლის სამართლის სასამართლოები საფრანგეთსა და ინგლისში) სახელი ინგლისში უკანონობის, განუკითხაობისა და მასობრივი ტერორის სინონიმად იქცა. ჯეფრიზი, რომელსაც ხალხმა „სისხლიანი ყასაბი" შეარქვა ადრეც ცნობილი იყო, როგორც უკიდურესი რეაქციონერი. იგი იყო ერთ-ერთი თაოსანი ქალაქებისათვის პრივილეგიებისა და თვითმართველობის წართმევისა. „ჩვენს წინაშე ყველა ქარტია დაეცემა, ვითარცა იერიხონის კედლებიო" — იკვეხნიდა იგი. მადლიერმა მეფემ ჯეფრიზს უმაღლესი მოსამართლის — ლორდი კანცლერის თანამდებობა უბოძა, მიანიჭა პერობა და ბეჭდის მცველადაც დანიშნა. ტერორი სასახლის საქმოსანი კარისკაცებისა და სეფე ქალების გამდიდრების გარკვეულ წყაროდ იქცა. ისინი დიდძალ ქრთამს იღებდნენ ამა თუ იმ გავლენიანი და მდიდარი პატიმრის „გადასარჩენად". ასეთი „შემოსავალი" თვით ჯეფრიზსაც უხვად ჰქონდა. ძირითადად ფულს იღებდნენ იმათგან, ვისაც სიკვდილით დასჯას კოლონიებში გადასახლებით უცვლიდნენ. ჯეფრიზთან ერთად თავისი სისასტიკით გამოირჩეოდა მეფის პოლკოვნიკი ვინმე კირკი, რომელიც თავის ოფიცრებთან ერთად გაშლილ სუფრაზე ღვინოს მიირთმევდა და ტკბებოდა სიკვდილით დასჯის პროცესზე დასწრებით.

შოტლანდიისა და მონმაუტის ამბოხების ლიკვიდაციისათვის საჭირო არმიის დაკომპლექტების ნებართვა და შესაბამისი თანხა ჯეიმზ II-ს, როგორც უკვე ვიუწყებოდით, პარლამენტმა გამოუყო, აჯანყებები ლიკვიდირებულ იქნა, სახელმწიფოს შინ და გარეთ საფრთხე არ ემუქრება. მეფე ვალდებული იყო არმია დაეთხოვა, რადგან კანონის მიხედვით მას მუდმივი ჯარი შეიძლება ჰყოლოდა მხოლოდ ომიანობის შემთხვევაში. მუდმივი არმია, რომ აბსოლუტიზმის ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა, ჯეიმზ II-მ შესანიშნავად იცოდა, თუნდაც კონტინენტური მონარქიების მაგალითზე. მუდმივი არმიის დახმარებით იმედოვნებდა მეფე, როგორც თვითონ ამბობდა „გამხდარიყო თავისი ქვეყნის პატრონი". ამიტომ მან არმია არა თუ შეინარჩუნა, არამედ გაზარდა და გააძლიერა. თვით საფრანგეთის ელჩი ბარილიონი აღიარებდა, რომ მონმაუტის ამბოხება მეფისთვის მუდმივი არმიის შექმნის შესანიშნავ საბაბად იქცა. მშვიდობიან პერიოდში მეფის შეიარაღებული ძალების (პირადი დაცვა — გვარდია) რაოდენობა 5-6 ათასი კაცით იყო განსაზღვრული, ჯეიმზ II-ს თოფქვეშ ჰყავდა დაახლოებით 29.000 ჯარისკაცი (20 ათასი ინგლისელი, 5.000 შოტლანდიელი, 4.000 ირლანდიელი). მათ გარდა მეფის მუდმივ არმიაში იყვნენ ფრანგი, გერმანელი და იტალიელი დაქირავებული ჯარისკაცები. აშკარა იყო, რომ მეფეს არმიის გამოყენება პოლიტიკური მოსაზრებებით სურდა. შემთხვევით როდი იყო ის, რომ 13.000 ჯარისკაცი ლონდონთან იყო დაბანაკებული. არც ის იყო შემთხვევითი, რომ მეფე შეუდგა ოფიცერთა შემადგენლობის კათოლიკეებით დაკომპლექტებას, რაც იწვევდა ოფიცერ ინდეპენდენტთა დიდ უკმაყოფილებას. როგორც ჩანს, მეფე ნაკლებად ენდობოდა ინგლისურ შენაერთებს; მეფის მითითებით ირლანდიაში ყალიბდებოდა კათოლიკური არმია რეაქციონერი ლორდის — ტირკონელის მეთაურობით.

ჯეიმზ II-ს თავაშვებულ ანტიკონსტიტუციურ მოქმედების საშუალებას აძლევდა ლუი XIV-ის სუბსიდიები, რომელსაც იგი ისეთივე სიამოვნებით იღებდა, როგორც მისი ძმა. ლუი XIV-ს ფულებმა ბოლოს და ბოლოს სტიუარტებს დათუთური სამსხური გაუწია. პარლამენტისაგან ფინანსურად დამოუკიდებელი მეფე ითხოვდა პარლამენტს, არღვევდა კონსტიტუციას, ფეხქვეშ თელავდა კანონებს, ტრადიციებს. ეს კი თავის მხრივ ზრდიდა ოპოზიციურ განწყობას, ართულებდა ურთიერთობის მეფესა და პარლამენტს, ანუ მონარქიასა და ფართო საზოგადოებას შორის.

ჯეიმზ II-ის კათოლიკურ-აბსოლუტისტურ მისწრაფებებს ფრთები შეასხა ლუი XIV-ის მიერ 1685 წელს ნანტის ედიქტის გაუქმებამ. ჯეიმზ II-მ წარმოიდგინა, რომ მისთვისაც შესაძლებელია განახორციელოს მსგავსი აქცია. ეს იყო პოლიტიკური სიბეცის კიდევ ერთი მკა-

რედაქტორი კ. თავართქილაძე
მხატვარი ზ. აფანასიევი
მხატერული რედაქტორი ა. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორები: ნ. თავაძე, ნ. კირთაძე
გამომშვები ნ. მანაგაძე

გადაეცა წარმოებას 18.6.81. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.11.83. უე 05773. საბეჭდი ქაღალდი № 2 60×90 1/16. გარნიტურა ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 29.5. პირ. საღ.-გატ. 29.5 საალრ.-საგამომც. თაბახი 28,38. ტირაჟი 1000 შეკვ. № 82 ფასი 2 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Тип. Тбилисского университета, Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе 1.